დაბეჭდილია შპს "ვესტა"-ში

დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი

# დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი

თბილისი
2012

# დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი

მესამე გამოცემა
გადამუშავებული და დამატებული

შემდგენელი **გიორგი წულაძე**

**თბილისი**
2012

ლექსიკონი მომზადდა და გამოიცა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ინიციატივით.

ლექსიკონის სტატიები განმარტავენ თანამედროვე დემოგრაფიული მეცნიერების ცნებების შინაარსს. დაინტერესებული მკითხველი შეძლებს არა მარტო გაერკვიოს დემოგრაფიულ მეცნიერებასა და მის ძირითად მიმართულებებში, არამედ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კიდეც აქ მოტანილ მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდები. ლექსიკონი განკუთვნილია როგორც დემოგრაფებისა და მომიჯნავე დარგის სპეციალისტებისათვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნებისმიერი მასალის გამოყენებისას აუცილებელია
ლექსიკონის მითითება

გაეროს მოსახლეობის ფონდი პასუხს არ აგებს შესაძლო უზუსტობებზე

**სარედაქციო კოლეგია**
ა. ვადაჭკორია, გ. ლორთქიფანიძე, ნ. მაღლაფერიდზე,
ა. სულაბერიძე (მთ. რედაქტორი), ლ. წულაძე
ტექსტი პერსონალურ კომპიუტერზე მოამზადა მ. ხაჩატუროვამ

© UNFPA

**ISBN** 978-9941-0-4828-9

United Nations Population Fund

# Concise Demographic Encyclopedic Dictionary

Third edition

Compiled by **Giorgi Tsuladze**

Tbilisi
2012

Publication was prepared by initiative and support of United Nations Population Fund (UNFPA) office in Georgia

The dictionary defines the meaning of demographic terms. An individual interested in the demographic problems will be able to learn more about the demographic science and its different fields. Besides, the abovementioned edition can be also used for estimation of demographic trends. The dictionary is intended for demographers and specialists of similar fields as for wide range of readers.

The viws expressed herein are not necessarily shared by UNFPA

EDITORIAL STAFF
G. Lordkipanidze, N. Maglaperidze, A. Sulaberidze (head editor),
L. Tsuladze, A. Vadachkoria

The text was prepared on the personal computer by M. Khachaturova

© UNFPA

**ISBN** 978-9941-0-4828-9

United Nations Population Fund

# КРАТКИЙ ДЕМОГРАФИЧЕСКИЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ

Издание третье,
переработанное и дополненное

*Составитель* **Гиоргий Цуладзе**

Тбилиси
2012

Публикация подготовлена и издана по инициативе офиса фонда народонаселения ООН (UNFPA) в Грузии

Статьи словаря разьясняют содержания демографических терминов. Заинтересованный читатель может ознакомиться не только с основными демографическими направлениями, но и при необходимости использовать методы вычисления демографических показателей. Словарь рассчитан как на демографов, так и на специалистов других общественных наук, а также на всех интересущихся проблемами демографии.

Фонд народонаселения ООН (UNFPA) ответствененость за возможные неточности не несет

*Редакционная коллегия:*
А. Вадачкория, Г. Лордкипанидзе, Н. Маглаперидзе,
А. Сулаберидзе (главный редактор), Л. Цуладзе

*Текст на персональном компютере подготовила*
*М. Хачатурова*

© UNFPA

**ISBN** 978-9941-0-4828-9

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

მსოფლიოში ყოველწლიურად მრავალი დემოგრაფიული ხასიათის ნაშრომი და საკმაოდ ბევრი პერიოდული გამოცემა გამოდის. რაც შეეხება დემოგრაფიული მეცნიერების ამსახველ სპეციალურ ენციკლოპედიურ ლექსიკონებს, ისინი თითებზე ჩამოსათვლელია.

პირველი ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1957 წელს გამოვიდა ტოკიოში იაპონურ ენაზე.

ქართულ ენაზე აღსანიშნავია 1999 წელს, თბილისში, გამოცემული „მოსახლეობის აღწერისა და ზოგიერთი დემოგრაფიული ტერმინის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი", რომელიც შეადგინა ც. ელიაძემ.

მოცემული ლექსიკონი მესამე გადამუშავებული და დამატებული გამოცემაა. „დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი"-ს პირველი გამოცემა 2000 წელს გამოვიდა და 1000-ზე მეტ ცნებას მოიცავდა. მეორე გამოცემა გამოვიდა 2005 წელს.

მესამე გამოცემაში სიახლის თვალსაზრისით აღსანიშნავია მთელი რიგი ცნებების განმარტებები და ილუსტრაციები დიაგრამების სახით, რომლებიც წინა გამოცემებში არ გვხდება.

დიდ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც სათანადო დახმარება გაგვიწია ლექსიკონზე მუშაობისას.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისს დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის.

ცნობილია, რომ დემოგრაფია შეისწავლის არა ცალკეული ადამიანის მახასიათებლებსა და მათ ცვალებადობას, არამედ მათ ერთობლიობებს, რომლებსაც გარკვეული მახასიათებლები გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ტერმინი მოცემულია მრავლობით რიცხვში, ისევე როგორც სხვა მსგავს ლექსიკონებში (მაგ., "აბორიგენის" ნაცვლად "აბორიგენები" და სხვა, ნათესაური ტერმინოლოგიისა და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა).

სხვადასხვა დემოგრაფიული კოეფიციენტის შესახებ ინფორმაციის მიღება შეიძლება ლექსიკონის იმ ნაწილში,

სადაც მოტანილია კოეფიციენტები (მაგ., კოეფიციენტი შობადობისა ზოგადი და სხვა).

მოსახლეობასთან დაკავშირებული განმარტებები უნდა მოიძებნოს „მოსახლეობის" ნაწილში (მაგ., **მოსახლეობა მუდმივი**, **მოსახლეობის აღწერა** და სხვა) და ა.შ.

მოცემულ ლექსიკონში „სიკვდილიანობის" ნაცვლად უპირატესობა ენიჭება ტერმინ „მოკვდაობა-"ს. ამიტომ მასთან დაკავშირებული ცნებები მკითხველმა უნდა ეძიოს ლექსიკონის იმ ნაწილში, სადაც მოყვანილია „მოკვდაობა".

ლექსიკონის განმარტებები ეფუძნება სპეციალურ დემოგრაფიულ ლიტერატურას და სხვა ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში მოტანილ წერილებს.

კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ლექსიკონის შემდგომ გაუმჯობესებას,მადლიერებით მივიღებთ.

*გ. წულაძე*



## PREFACE

Each year many demographic works and quite a large number of periodicals are published all over the world. But the number of special demographic encyclopedic dictionaries is scarce.

The first demographic dictionary was published in the Japanese language in Tokyo in 1957.

It is noteworthy that "Concise Explanatory Dictionary of Population Census and Some Demographic Terms" by Ts. Eliadze was published in Tbilisi in 1999.

The dictionary is the third revised and expanded edition. The first edition of "Concise Demographic Encyclopedic Dictionary" was published in 2000 and consisted of more than 1000 concepts. Second edition published in 2005.

Our Gratitude is extended to everyone who helped us while working on the dictionary.

Special thanks to the UNFPA Georgia Office for the support and active collaboration.

It is well-known that demography studies not a particular person's characteristics, but the characteristics of the communities. Accordingly, some terms are given in plural, as in other demographic dictionaries (e.g. "aborigines" instead of "aborigine," etc. except for some exceptions).

The information on different demographic rates can be found in that part of the dictionary where the rates are presented (e.g. in the Georgian language it is RATE crude birth, etc.).

The concepts concerning population can be found in the "population" part (e.g. in the Georgian language it is POPULATION de facto, etc.).

The definitions presented in the dictionary are based on the demographic literature, including other dictionaries and encyclopedias.

We will appreciate the comments and recommendations that will serve for further mainstreaming of the dictionary

.

*G. Tsuladze*



## ПРЕДИСЛОВИЕ

Несмотря на то, что в мире ежегодно печатается множество трудов и изданий демографического характера, количество изданных и отражающих состояние демографической науки специализированных энциклопедических словарей можно буквально пересчитать по пальцам.

Отметим, что первый энциклопедический словарь такого рода был издан в Токио в 1957 году.

Среди изданных на грузинском языке словарей заслуживает внимаиия составленный Ц. Элиадзе “Краткий толковый словарь переписи населения и некоторых демографических терминов” изданный в Тбилиси в 1999 году.

Настоящий словарь является третьим исправленным и дополненным изданием. Первое и содержащее более тысячи понятий издание “Краткого энциклопедического демографического словаря” вышло в свет в 2000 году (составитель Г. Цуладзе). Второе издание было опубликовано в 2005 году.

Мы благодарим всех кто оказал нам помощь в работе над словарем.

Особую благодарность за помощь и активное сотрудничество мы выражаем грузинскому офису Фонда народонаселения ООН.

Известно, что предметом изучения демографии являются не показатели отдельно взятой человеческой личности, а показатели их совокупности. Исходя из этого, некоторые термины, также как и в иных аналогичных словарях, за некоторым исключением, даны в множественном числе (напр. “Аборигены” вместо “Абориген”).

Информацию о различных демографических коэффициентах можно получить в той части словаря, в которой приводятся коэффициенты (напр. Коэффициент рождаемости общий и др.).

Информацию связанную с населением следует искать в части “Население” (напр. Население постоянное) и т.д.

Приведенные в словаре истолкования терминов основываются на данных специальной демографической литературы и на приведенных в других словарях и энциклопедиях статьях.

Мы будем благодарны за все критические замечания и предложения которые будут способствовать дальнейшему улучшению данного словаря.

*Г. Цуладзе*



# ა

**აბორიგენები** – ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის ან ადგილის მკვიდრი მოსახლეობა (ავტოქთონური მოსახლეობა). როგორც წესი, ერთი ეროვნების ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მოცემული განსახლების ადგილთან ეკონომიკური, სოციალური და სხვა ურთიერთობებით და რომელიც ჩვეულებრივად ყალიბდება ასეული წლების მანძილზე.

**აბორტი** – მუცლის მოწყვეტა, მოშლა, ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევება ორსულობის 28 კვირის შესრულებამდე.

a. შეიძლება იყოს სპონტანური და ხელოვნური. სპონტანური ა. ვითარდება ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე უშუალო ზემოქმედების გარეშე. მისი გამომწვევი მიზეზებია ქალისა და ნაყოფის ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმები. ხელოვნური ა. ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე უშუალო ზემოქმედებით (წამლების მიღება, საშვილოსნოში ინსტრუმენტული ჩარევა ან რაიმე ნივთიერების შეყვანა) არის გამოწვეული. ხელოვნური ა. უარყოფითად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე, იწვევს უნაყოფობას. განსაკუთრებით მავნეა ა. პირველი ორსულობის დროს.

**აგლომერაცია** – ქალაქებისათვის დამახასიათებელი დასახლებული პუნქტების კომპაქტური, სივრცითი დაჯგუფება მრავალმხრივი ინტენსიური ურთიერთკავშირებით, გაერთიანებული რთულ მრავალკომპონენტიან სისტემაში. ა. წარმოიქმნება მსხვილი ქალაქის ბირთვის (ან რამდენიმე ქალაქის ბირთვის) ფუნქციური და სივრცითი განვითარების საფუძველზე. გამოყოფენ მონოცენტრულ ა-ს – ერთი ქალაქის ბირთვით და პოლიცენტრულ ა–ს – რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ქალაქის ბირთვით. ა. გამოირჩევა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით, საწარმოთა, ინფრასტუქტურის ობიექტების, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა და სხვ. ტერიტორიული კონცენტრაციით. ა. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემომცველ ტერიტორიაზე, ცვლის მის ეკონომიკურ სტრუქტურასა და მოსახლეობის ცხოვრების წესს.

**ადამიანი** – საზოგადოებრივი, გონიერი არსება, რომელსაც აქვს ცნობიერება, დანაწევრებული მეტყველება და რომელიც qmnis kul turas a. საზოგადოებრივ-ისტორიული საქმიანობის სუბიექტია. ა. როგორც შრომითი საქმიანობის სუბიექტი და პროდუქტი საზოგადოებაში წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ფიზიკური და ფსიქიკური გენეტიკურადაა განპირობებული და სიცოცხლეში ფორმირებული; მასში ბუნებრივი და სოციალური ქმნიან ურღვევ ერთიანობას.

ანალოგიური თავისებურებების მიხედვით **ა.** ჰომო საფიენს (Homo sapiens) ეკუთვნის ძუძუმწოვართა კლასის პრიმატების რიგის ჰომინიდების ოჯახს. **ა-**ის დამახასიათებელი ძირითადი მორფოლოგიური ნიშნებია: სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა, თავისუფალი ხელები და დიდი და რთული ტვინი (დაახლოებით 15 მილიარდი ნერვი უჯრედი, წონა დაახლ. 1400 გ., ე.ი. სხეულის წონის დაახლ. 1/45 ნაწილი).

**ადამიანის გენეტიკა** – გენეტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ნიშან-თვისებათა მემკვიდრულობასა და ცვალებადობას.

ა.გ-ის დემოგრაფიული ასპექტები ვლინდება: მოსახლეობის რაოდენობასა და დემოგრაფიულ სტრუქტურაში, ქორწინებაში, ოჯახის სტრუქტურაში, შობადობაში, მოკვდაობაში, მოსახლეობის აღწარმოებაში, მიგრაციასა და მოსახლეობის განსახლებაში.

**ადაპტაცია** – ორგანიზმების (ინდივიდების, პოპულაციების, სახეობების) და მათი ორგანოების აგებულებისა და ფუნქციების გარემო პირობებისადმი შეგუების პროცესი. ა. მოიცავს ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ, ფსიქიკურ და სოციალურ დონეებს.

დემოგრაფიაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალურ **ა.**-ს – ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევების შესატყვისობაში მოყვანას იმ ნორმათა და ფასეულობათა სისტემასთან, რომელიც გაბატონებულია მოცემულ საზოგადოებაში ან სოციალურ ჯგუფში.

ა. დემოგრაფიაში შეისწავლება მოსახლეობის, ოჯახის, მიგრანტებისა და სხვ. მიმართ.

**აზრის კვლევა** – ტერმინი, რომლითაც დემოგრაფიაში აღნიშნავენ მოსახლეობის გამოკვლევას, მიმართულს ადამიანთა წარმოდგენების, მოთხოვნილებების, განწყობებისა და სხვ. შესწავლისაკენ, დაკავშირებულს მათი დემოგრაფიული ქცევის სხვადასხვა სახეობასთან. სიტყვა "აზრი", მოცემული ტერმინის შემთხვევაში, არ შეესაბამება იმ შინაარსს, რომელიც არსებობს





სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში.

ა.კ. უფრო ხშირად წარმოებს შობადობის, ქორწინების, განქორწინებისა და მიგრაციის შესწავლის მიზნით.

**აკლიმატიზაცია** – ახალი, უჩვეულო კლიმატური პირობებისადმი ადამიანის ორგანიზმის შეგუების (ადაპტაციის) პროცესი. ერთსა და იმავე კლიმატურ პირობებში მუდმივად ცხოვრების შედეგად ადამიანის ორგანიზმსა და გარე სამყაროს შორის გარკვეული წონასწორობა მყარდება. კლიმატური პირობების შეცვლა ხშირად მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ორგანიზმზე; ზოგჯერ კი (განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანებში) შეიძლება გამოიწვიოს ფიზიოლოგიური ადაპტაციის დარღვევა, საერთო სისუსტე, ქრონიკული დაავადებები და სხვ.; მაგრამ თანდათანობით, გარკვეული დროის განმავლობაში, ადამიანის ორგანიზმი ეგუება ახალ კლიმატურ პირობებს, ე.ი. ხდება მისი აკლიმატიზაცია.

**ალიმენტი** – სარჩო, რომელიც კანონის ძალით ერთმა პირმა უნდა უხადოს მეორეს ნათესაურ, ცოლქმრულ ან სხვა ურთიერთობასთან დაკავშირებით. კანონმდებლობით დადგენილია, თუ ვისა აქვს ა.– ის მიღების უფლება, ვინ არის მოვალე იხადოს ა., როგორია ა. ოდენობა და გადახდის ვადები.

**ამენორეა** – თვიურის უქონლობა. ა. ფიზიოლოგიური მოვლენაა გოგონებში სქესობრივ მომწიფებამდე და ქალებში – ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში ან კლიმაქტერიული პერიოდის შემდეგ. დანარჩენ შემთხვევებში იგი რაიმე დაავადების შედეგია. ა. შეიძლება იყოს პირველადი, როდესაც ქალს თვიური არასდროს არ ჰქონია, და მეორეული, როდესაც თვიური ჰქონდა, მაგრამ შეუწყდა. არსებობს ა-ს იშვიათი ფორმა, როდესაც სისხლი საშვილოსნოდან გარეთ ვერ გამოდის განვითარების მანკების არსებობის გამო.

**ამოწყდომის რიგითობა** – დაბადებულთა რომელიმე საწყისი ერთობლიობის განაწილება სიცოცხლის ხანგრძლივობის, ანუ გარდაცვალების ასაკის მიხედვით. ა.რ. აღიწერება მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში გარდაცვლილთა ricxvis mwkrivis mixedviT $td_x$ (იხ. ცხრილები მოკვდაობისა), ან გარკვეულ ასაკამდე მიღწეულთა რიცხვის მწკრივის $l_x$ (ახალდაბადებულთაგან x ასაკამდე მიღწეულთა რაოდენობა) მიხედვით, ე.ი. დაბადებულთა საწყისი ერთობლიობიდან იმ პირთა წილით, რომლებიც იცოცხლებენ გარკვეულ ასაკამდე.

ა.რ-ის მაჩვენებლების საფუძველზე შესაძლებელია დაბადებულთა მოცემული ერთობლიობისათვის მოკვდაობის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება.

**ანამნეზური გამოკვლევა** - დემოგრაფიულ პროცესებზე დაკვირვების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც მონაცემები ცალკეულ პირთა წარსულის შესახებ მიიღება მათივე მოგონებების საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვის გზით.

**ანთროპოგენეზი** – ადამიანის ფიზიკური ტიპის ისტორიულ-ევოლუციური ჩამოყალიბების, მისი შრომითი საქმიანობისა და მეტყველების, აგრეთვე საზოგადოების განვითარების პროცესი.

**ანთროპოგეოგრაფია** – მიმართულება სოციალურ გეოგრაფიაში, რომელიც ძირითადად შეისწავლის ადამიანისა და გარემოს urTierTqmedebis kavSirebs **ა.** იდეებს საფუძველი, XVIII ს., დაუდეს ფრანგმა ფილოსოფოსებმა შ. მონტესკიემ და ჟ. ბიუფონმა, თუმცა უფრო სრულყოფილი სახით ა. XIX ს. ბოლოს ჩამოაყალიბა გერმანელმა გეოგრაფმა, ეთნოგრაფმა და სოციოლოგმა ფ. რატცელმა.

**ანთროპოლოგია** – მეცნიერება ადამიანის წარმოშობის, ევოლუციის, აგებულებისა და რასების ჩამოყალიბების შესახებ. იკვლევს ადამიანის ფიზიკური ტიპის ვარიაციებს დროსა და სივრცეში, ადამიანისა და მისი რასების წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების შესწავლის მიზნით.

**ანთროპოსოციოლოგია** – რასობრივ-ანთროპოლოგიური სკოლა, ბიოლოგიური მიმართულების ნაირსახეობა სოციოლოგიაში. XIX ს. შუა პერიოდში ა. საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა სოციოლოგმა ჟ. გობინომ.

**ანკეტა** – გამოკვლევის, გამოკითხვის ბლანკი, ფორმულარი. ა. -ის საშუალებით შეისწავლება საზოგადოებრივი აზრი. **ა.** ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისას.

**ანკეტირება** – კონკრეტული გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდი. იყენებენ სოციოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა გამოკვლევების დროს. ა. -ის პროცესში გამოსაკითხი პირი (რესპონდენტი) იძლევა პასუხს ანკეტის ფორმით წარდგენილ კითხვებზე.





**არასრულწლოვანები** – 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირები.

**ასაკი** ადამიანისა – ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანა, პერიოდი დაბადებიდან ნებისმიერ მომენტამდე. განარჩევენ ორგანიზმის ქრონოლოგიურ (კალენდარულ) და ფიზიოლოგიურ (ბიოლოგიურ) ა. –ს. ქრონოლოგიური ა. იზომება დაბადებიდან გავლილი დროის (ჩვეულებრივ წლების) მიხედვით. ფიზიოლოგიური **ა.** განისაზღვრება ნივთიერებათა მიმოცვლის მდგომარეობით და ორგანიზმის ფუნქციით, აგრეთვე ამ პროცესების შესატყვისობით ადამიანის პოპულაციის ასაკობრივ ნორმებთან.

დემოგრაფიაში **ა.** დროის შუალედია პიროვნების დაბადებიდან ამ პიროვნების აღწერის მომენტამდე. ცნობები ა.–ის შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების დროს გამოკითხვის გზით, აგრეთვე დემოგრაფიული შემთხვევების (ქორწინება, განქორწინება და სხვ.) მიმდინარე რეგისტრაციისას – ძირითადად შესაბამის დოკუმენტებში ჩაწერის საფუძველზე. მოსახლეობის აღწერის პროგრამა ზოგ ქვეყანაში ითვალისწინებს ასაკის რეგისტრაციას დაბადების ზუსტი თარიღის (წელი, თვე, დღე) აღნიშვნით.

**ასაკი** ზუსტი – დროის მონაკვეთი დაბადებისა და ადამიანის ცხოვრების გარკვეულ მომენტს შორის. ყველაზე ხშირად დემოგრაფიაში ა.ზ. გამოისახება მთელი რიცხვით. მაგ., ა.ზ-ს - 18 წელს ადამიანი აღწევს თავისი 18 წლის შესრულების დღეს.

ზოგჯერ ტერმინი "ა.ზ. " გამოიყენება დამახინჯების გარეშე გაზომილი ასაკის აღსანიშნავად. ეს გამოწვეულია იმით, რომ ადამიანები გამოკითხვისას არასწორად მიუთითებენ თავიანთ ასაკს, ან ამრგვალებენ (ზრდიან ან ამცირებენ მას), ან კიდევ შესაძლებელია, რომ მოხუცებს აღარც კი ახსოვდეთ თავიანთი ასაკი, რის გამოც ისინი უთითებენ არაზუსტ ასაკს.

**ასაკი** მედიანური – მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის, მისი ცალკეული ჯგუფების განმაზოგადებელი მახასიათებელი ან დემოგრაფიული შემთხვევების განაწილება ასაკის მიხედვით (მაგ., ა.მ. ქორწინებაში შემსვლელთა და სხვ.). ჰყოფს მთელ მოსახლეობას, თაობას ან შემთხვევათა რიცხვს ორ თანაბარ ნაწილად: I – ა.მ-ზე ახალგაზრდა, II – მასზე უფროსი. ჩვეულებრივ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც განაწილება ადამიანთა ასაკის რაოდენობის ან შემთხვევათა მიხედვით არათანაბარია და საშუალო ასაკის გამოთვლა ნაკლებად მიზანშეწონილია. ა.მ. ($M_e$) გამოითვლება

შემდეგი ფორმულით:

$$M_e = x_m + I\frac{\frac{\sum x}{2} - S_{m-1}}{S_m}$$

სადაც $X_m$ არის მედიანური ინტერვალის ქვედა ზღვარი, რომელშიც იმყოფება ა.მ; I- მედიანური ინტერვალის სიდიდე; $S_m$ – მოსახლეობის ან შემთხვევათა რაოდენობა, რომელიც მოდის მედიანურ ინტერვალზე: $S_{m-1}$ – მედიანურ ინტერვალზე დაგროვილი მოსახლეობის ან შემთხვევათა რაოდენობა.

**ასაკი** მოდალური – დემოგრაფიული შემთხვევების ერთ-ერთი განმაზოგადებელი მახასიათებელი. ასაკის ის მნიშვნელობა, რომელშიც ყველაზე ხშირად გვხვდება რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევა (მაგ., ქორწინება და სხვა. იხ. ასაკი საქორწინო მოდალური). ა.მ. ($M_0$) გამოითვლება ფორმულით:

$$M_0 = j + n\frac{m_j - m_{j-1}}{(m_j - m_{j-1}) + (m_j - m_{j+1})},$$

სადაც j არის ასაკის მოდალური ინტერვალის ქვედა ზღვარი; n – ამ ინტერვალის სიდიდე წლობით; $m_j$ – მოდალური ინტერვალის სიხშირე; $m_{j-1}$ – ინტერვალის სიხშირე მოდალურამდე; $m_{j+1}$ – მოდალურისშემდგომი ინტერვალის სიხშირე.

**ასაკი** რეპროდუქციისა – ქალის ასაკი, რომელშიც ის აჩენს ბავშვებს. ქალების უმრავლესობა ბავშვებს აჩენს არა ფერტილური ასაკის (იხ. ასაკი ფერტილური) დაწყებისა და დამთავრების მანძილზე, არამედ მის გარკვეულ შუალედში. ჩვეულებრივ ბავშვებს აჩენენ დაქორწინების შემდეგ და უკანასკნელ ბავშვს იყოლიებენ ფერტილური ასაკის დამთავრებამდე. გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ქალები ბავშვების გაჩენას საშუალოდ იწყებენ დაახლოებით 25 წლის ასაკში, ხოლო უკანასკნელ ბავშვებს აჩენენ საშუალოდ 30 წლის ასაკში.

**ასაკი** სამუშაო – წარმოებაში მონაწილეობიდან





გამომდინარე ადამიანის ასაკის ერთ-ერთი პირობითი საფეხური.

**ასაკი** სამუშაომდელი – ადამიანის ასაკის ერთ-ერთი პირობითი საფეხური წარმოებაში მონაწილეობიდან გამომდინარე. ა.ს-ის საზღვარი განისაზღვრება შრომითი კანონმდებლობით. საქართველოში ის შეადგენს 16 წელს.

**ასაკი** სამუშაოს შემდგომი – ადამიანის ასაკის ერთ-ერთი პირობითი საფეხური, წარმოებაში მონაწილეობიდან გამომდინარე. ა.ს.შ. საპენსიო კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება. ბევრ ქვეყანაში ა.ს.შ. როგორც მამაკაცებისათვის, ისევე ქალებისათვის იწყება 65 წლიდან.

**ასაკი** საპენსიო – ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ ინიშნება მოხუცებულობის პენსია. ა.ს. გამოიყენება როგორც უფროსი ასაკის მოსახლეობის შრომისუნარიანობის პირობითი კრიტერიუმი. ამ ასაკს მიღწეული პირები ითვლებიან პირობითად შრომისუუნაროებად. ბევრ ქვეყანაში ა.ს. ჩვეულებრივად 62-65 წელია, ამასთან ზოგან მამაკაცებისა და ქალებისათვის თანატოლია.

**ასაკი** საქორწინო მედიანური – საქორწინო ასაკის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მახასიათებელი; დაქორწინებულთა რიცხვს ჰყოფს ასაკის მიხედვით ორ თანაბარ ნაწილად. ასეთ დროს ა.ს.მ-ს მნიშვნელობა იმყოფება მათ შორის. ა.ს.მ. (Me) გამოითვლება ფორმულით:

$$Me = j + n\frac{\frac{1}{2}\sum m - \sum_{j-1} m}{m_j}$$

სადაც j არის ასაკობრივი ინტერვალის ქვედა ზღვარი, რომელიც შეიცავს ყველა დაქორწინებულის რიცხვის ნახევარს, n – ამ ინტერვალის სიდიდე მოცემული წლებში, $\Sigma m$ - ქორწინებაში შესულთა საერთო რაოდენობა, $\sum_{j-1} m$ - მედიანურ ინტერვალამდე ყველა ასაკის ქორწინებაში შესულთა რაოდენობა, $m_j$ - მედიანურ ინტერვალში ქორწინებაში შესულთა რაოდენობა.

**ასაკი** საქორწინო მინიმალური – ასაკი, რომლიდანაც ქორწინება ნებადართულია კანონით ან ადათ-წესებით. უმრავლეს

ქვეყანაში ა.ს.მ. დადგენილია კანონმდებლობით სქესობრივი მოწიფულობის ასაკის, ქორწინებაში შემსვლელთა ფსიქოლოგიური და სოციალური სიმწიფის, აგრეთვე მოცემული ქვეყნის ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით. warsulSi a. s. m. განისაზღვრებოდა გაბატონებული რელიგიის ნორმებით და იყო ძალიან დაბალი. კათოლიკური ეკლესიის კანონით ის შეადგენდა 12 წელს ქალებისათვის და 14 წელს მამაკაცებისათვის, ხოლო პროტესტანტულის - 14 წელს ორივე სქესისათვის. შარიათის კანონებით კი ა.ს.მ. განისაზღვრებოდა ქალებისათვის 9 წლის ასაკით, მამაკაცებისათვის 15 წლის ასაკით.

ბაერო-ს გენერალური ანსამბლეის 1965 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციით ბაერო-ში შემავალ ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია კანონმდებლობით განსაზღვრონ ა.ს.მ. არანაკლები 15 წლისა.

საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი ა.ს.მ. შეადგენს ქალებისათვის 16 წელს და მამაკაცებისათვის 17 წელს.

**ასაკი** საქორწინო მოდალური – საქორწინო ასაკის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მახასიათებელი. აჩვენებს ასაკს, რომელიც ყველაზე გავრცელებულია ქორწინებისას. ა.ს.მ. (Mo) გამოითვლება ფორმულით:

$$M_0 = j + n\frac{m_j - m_{j-1}}{(m_j - m_{j-1}) + (m_j - m_{j+1})},$$

სადაც j - ასაკის მოდალური ინტერვალის ქვედა ზღვარი, n - ამ ინტერვალის სიდიდე წლებში, $m_j$ - მოდალურ ინტერვალში დაქორწინებულთა რაოდენობა, $m_{j-1}$ - მოდალურ ინტერვალამდე დაქორწინებულთა რაოდენობა, $m_{j+1}$ - მოდალური ინტერვალის შემდეგ ასაკში დაქორწინებულთა რაოდენობა.

**ასაკი** საშუალო - მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ან ასაკის მიხედვით რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევის მიახლოებითი, განმაზოგადებელი მახასიათებელი. ა.ს. წარმოადგენს მთელი ერთობლიობის აბსტრაქტულ ტიპურ მახასიათებელს. გარკვეული თვალსაზრისით ის ანიველირებს შემთხვევით და არაშემთხვევით ცვალებადობას და რეალური ერთობლიობის ერთეულთა ერთი სიდიდით ზოგადი დახასიათების საშუალებას იძლევა.

ა.ს. გამოითვლება როგორც ყველა ადამიანის ასაკთა მნიშვნელობის საშუალო არითმეტიკული მოცემული მოსახლეობისათვის, თაობებისათვის, აგრეთვე ადამიანებისათვის, რომელთა სიცოცხლეში ადგილი ჰქონდა რომელიმე





დემოგრაფიულ შემთხვევას.

**ასაკი** საშუალო გარდაცვლილთა – დემოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს რომელიმე პერიოდის განმავლობაში, მოსახლეობის მოცემულ ჯგუფში გარდაცვლილთა განაწილებას ასაკის მიხედვით. იგი მიიღება გარდაცვლილთა ასაკების სიდიდეების საშუალო არითმეტიკულით.

ა.ს.გ. განისაზღვრება მოკვდაობის დონით ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის თავისებურებებით.

**ასაკი** საშუალო დედისა - ქალების საშუალო ასაკი ბავშვების გაჩენისას. განისაზღვრება როგორც საშუალო შეწონილი არითმეტიკული დედის თაობისა და მათ ბავშვებს შორის ინტერვალით.

პრაქტიკულად ა.ს.დ. მიახლოებით უდრის თაობის სიგრძის საშუალოს სტაბილურ მოსახლეობაში.

არსებული მონაცემები მიუთითებენ ამ მაჩვენებლის გარკვეულ მდგრადობაზე დროში და სხვადასხვა ქვეყნისათვის (25-30 წლის ფარგლებში).

გარკვეული თვალსაზრისით ა.ს.დ. მაჩვენებლის ცვალებადობა შობადობის დონის ტენდენციის დახასიათებისთვისაა გამოსადეგი. რაც უფრო მცირეა ა.ს.დ. მით ნაკლებია შობადობის დონე.

**ასაკი** საშუალო საქორწინო – ქორწინების ასაკის ერთ-ერთი განმაზოგადებელი მახასიათებელი. წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ., მოცემულ წელს) დაქორწინებულთა მთელი ერთობლიობის საშუალო ასაკს. ა.ს.ს. გამოითვლება როგორც საშუალო არითმეტიკული. ამასთან იგულისხმება, რომ ყოველ X ასაკში დაქორწინება მოდის X-დან X+1 წლამდე ასაკობრივი ინტერვალის შუაზე. ა.ს.ს. (X) გამოითვლება ფორმულით

$$X = \frac{\sum (X + \frac{1}{2}) B_x}{\sum B_x}$$

სადაც X ადამიანის ასაკია დაქორწინებისას , $B_X$ – X ასაკში დაქორწინებულთა რაოდენობა.

**ასაკი** საშუალო საქორწინო გაანგარიშებითი – ფართოდ გამოიყენება დემოგრაფიაში პირველ ქორწინებაში შესულთა საშუალო ასაკის დასადგენად. განსაკუთრებით

გამოსადეგია ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევებისას და ქორწინების მოუწესრიგებელი სტატისტიკის მქონე ქვეყნებისათვის. შემოთავაზებულია ინგლისელი დემოგრაფის ჯ. ჰეჯნელის მიერ. ა.ს.ს.გ. გამოითვლება ფორმულით:

$$x = \frac{\sum_{15-19}^{45-49} W_x \cdot 5 + 1500 - \frac{(W_{45-49} + W_{50-54}) \cdot 50}{2}}{100 - \frac{W_{45-49} + W_{50-54}}{2}},$$

სადაც $W_X$, $W_{45-49}$, $W_{50-54}$ იმ პირთა წილია, რომლებიც არ დაქორწინებულან შესაბამისად X ასაკში და 45-49, 50-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

**ასაკი** ფერტილური – უნდა განვასხვავოთ რეპროდუქციის ასაკისაგან (იხ. ასაკი რეპროდუქციისა), ქალის ასაკი, რომელშიც მას გააჩნია ბავშვის გაჩენის უნარი. როგორც წესი ა.ფ-ის ქვეშ იგულისხმება 15-49 წლის ქალების ასაკი, ხოლო დაბალი შობადობის ქვეყნებში – ზოგჯერ 15-44 წლის ასაკი. ა.ფ-ში მყოფი ქალების წილზე გარკვეულად დამოკიდებულია დაბადებულთა რაოდენობა და შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე.

**ასაკი** ქორწინებისა – ქორწინების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი, იზომება როგორც დროის ინტერვალი ადამიანის დაბადებისა და ქორწინების თარიღს შორის. ინფორმაცია ა.ქ. შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერების, მოსახლეობის გამოკვლევებისა და მიმდინარე აღრიცხვის შედეგად.

დემოგრაფიული ანალიზისას ა.ქ. ყოველთვის განიხილება ადამიანთა ერთობლიობისათვის და წარმოადგენს განაწილებას ამ მაჩვენებლის მიხედვით, ან მის საშუალოს როგორც ამ განაწილების განმაზოგადებელ მახასიათებელს. ჩვეულებრივ ა.ქ. გაანგარიშება წარმოებს ცალ-ცალკე როგორც პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის, ასევე მამაკაცებისა და ქალებისათვის.

ჩვეულებრივად ქალები მამაკაცებზე ადრე ქორწინდებიან. ა.ქ. მამაკაცებისა და ქალებისათვის ფართოდ ვარირებს; გვხვდება ქორწინებები, სადაც მამაკაცი გაცილებით უფროსია ქალზე, და, პირიქით, თუმცა უფრო ხშირად განსხვავება მამაკაცისა და ქალის ა.ქ. შორის მნიშვნელოვანი არ არის – ქორწინებისას საშუალოდ მამაკაცები 2-3 წლით უფროსები არიან ქალებზე.





**ასაკი** ქორწინებისა იდეალური – ახასიათებს ადამიანის წარმოდგენას, მის ორიენტაციას ქორწინების ასაკის მიმართ. წარმოდგენა ა.ქ.ი-ს შესახებ ყალიბდება ეკონომიკური და სოციალური პირობების, მორალის, რელიგიის და სხვ. ზეგავლენით. მონაცემები ა.ქ.ი-ის შესახებ მიიღება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგად.

მონაცემები ა.ქ.ი-ს მაჩვენებლის შესახებ და მისი გადახრა ფაქტობრივი ქორწინების ასაკისაგან გვიჩვენებენ, რომ დაბალი ქორწინების ასაკის მქონე ქვეყნებში ა.ქ.ი. შესამჩნევად აღემატება ფაქტობრივს, ხოლო შედარებით გვიანდელი ქორწინების ასაკის ქვეყნებში – ნაკლებია ფაქტობრივზე. საქართველოში როგორც ქალებისათვის, ისევე მამაკაცებისათვის ა.ქ.ი. და ქორწინების ფაქტობრივი ასაკი საშუალოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

**ასაკის დამახინჯება** - მოსახლეობის აღწერებისას, სხვადასხვა სახის გამოკვლევებისას და ა.შ. ადამიანების მიერ ასაკის არასწორი ან არაზუსტი მითითება.

ა.დ-ის რამდენიმე ფორმა არსებობს: 1. ა.დ. განზრახ, სხვადასხვა სახის შეღავათების მიღების ან სხვა მიზეზით, 2. ა.დ. შემთხვევით, წინასწარი განზრახვის გარეშე, გამოწვეული ადამიანის მიერ თავისი დაბადების წლის არ ცოდნით ან დავიწყებით და სხვა მიზეზით.

**ასაკის დამრგვალება** – ადამიანების მიერ ფაქტობრივი ასაკის მაგივრად იმ ასაკის მითითება, რომლის დაბოლოება დამრგვალებულია “0”-მდე ან „5”-მდე.

ამის მსგავსად ადგილი აქვს ადამიანების მიერ დაბადების წლის დამრგვალებას.

**ასაკის მიხედვით გარდაცვლილთა განაწილება** – გარდაცვლილთა საერთო რაოდენობაში გარდაცვლილთა წილი მოცემული ყოველი ასაკობრივი ინტერვალისათვის. ანსხვავებენ ა.მ.გ.გ- ს მოკვდაობის ცხრილების მიხედვით (ე.წ. ცხრილური) და რეალურ მოსახლეობაში (ე.წ. ფაქტობრივი).

ცხრილური ა.მ.გ.გ. მოცემულია გარდაცვლილთა ასაკობრივი რიცხვების მწკვრივით. ცხრილური ა.მ.გ.გ. ემთხვევა დაბადებულთა განაწილებას სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით, რომელიც დამოკიდებულია მოკვდაობის დონეზე ყოველ ასაკობრივ ინტერვალში.

ფაქტობრივი ა.მ.გ.გ. არსებითად არის დამოკიდებული მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შობადობისა და მოკვდაობის დონეთა ცვალებადობა. ამიტომ

ფაქტობრივი ა.მ.გ.გ. გამოიყენება სხვადასხვა ასაკის მოკვდაობის დონის თანაფარდობის შეფასებისათვის და, როგორც წესი, არ იძლევა სარწმუნო შედეგებს.

**ასაკობრივი აკუმულაცია** – ცალკეულ ასაკში მოსახლეობის რაოდენობის თავმოყრა, უფრო ხშირად "0"-ზე ან "5"-ზე დაბოლოებულ ასაკებში. აქ ა.კ. არსებითად მეტია, ვიდრე მეზობელ ასაკებში. ა.ა. წარმოიქმნება ასაკის დამრგვალების ან ასაკის დამახინჯების შედეგად. **ა.ა-** ის დონის გასაზომად გამოიყენება ა.ა-ის სხვადასხვა მაჩვენებელი. მათ შორის საკმაო გავრცელება ჰპოვა კოეფიციენტმა (იხ. კოეფიციენტი ასაკობრივი აკუმულაციისა). ა.ა-ის ყველა მაჩვენებელი რეაგირებს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ნებისმიერ დეფორმაციაზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას არა მარტო ასაკის დამახინჯების შედეგად, არამედ სხვა ისეთი მიზეზებითაც, როგორიცაა დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხვის ცვალებადობა, მიგრაცია, ომის გავლენა და სხვა.

**ასაკობრივი დაჯგუფება** – იხ. ასაკობრივი კლასიფიკაცია.

**ასაკობრივი ინტერვალი** – სხვაობა ასაკობრივი ჯგუფის საზღვრებს შორის, რომელიც ამასთან შეიცავს ასაკობრივი ჯგუფის ქვედა და ზედა მაჩვენებლებს. მაგ. 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ა.ი. შეადგენს 5 წელს, ხოლო 40-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 10 წელს.

**ასაკობრივი კლასიფიკაცია** – ადამიანთა ასაკის განაწილება მეტნაკლებად მსხვილ ჯგუფებად, რომელიც აერთიანებს მათ რომელიმე სოციალური ან დემოგრაფიული ფუნქციის მსგავსების საფუძველზე. გამოიყენება მთელი მოსახლეობის ან ადამიანთა გარკვეული ერთობლიობის შესწავლისას. ა.კ-ს საფუძვლად უდევს წარმოდგენა ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ. ა.კ. შესაძლებლობას იძლევა გამოყოფილ იქნას ესა თუ ის ასაკობრივი კონტინგენტი. ა.კ-ის კრიტერიუმის შერჩევა დამოკიდებულია გამოკვლევათა მიზნებზე. დემოგრაფიაში უპირატესობას ანიჭებენ ა.კ-ს ერთი ან 5 წლიანი ჯგუფებით. ქორწინებისა და შობადობის შესწავლისას გამოყოფენ საქორწინო და ფერტილურ ასაკს. ეკონომიკური თვალსაზრისით გამოყოფენ 3 ასაკობრივ ჯგუფს – სამუშაომდელს, სამუშაოს, სამუშაოს შემდგომს. საერთაშორისო პრაქტიკაში ეს უკანასკნელი შემდეგი სახით





არის წარმოდგენილი - 0-14, 15-64, 65 და მეტი.

თანამედროვე საერთაშორისო შედარებისას გამოიყენება შემდეგი ა.კ.:
1.) ჩვილობა – 1 წლამდე, 2) სკოლამდელი ასაკი – 1-4 წელი, 3) სკოლის ასაკი – 5-14, 4) ახალგაზრდობა – 15-24, 5) მაქსიმალური აქტივობის წლები – 25-44, 6) საშუალო ასაკი - 45-64, 7) მოხუცებულობის ადრეული პერიოდი – 65-74, 8) მოხუცებულობა – 75 წელი და მეტი.

**ასაკობრივი კონტინგენტი** – მსგავსი დემოგრაფიული ან სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე ერთი ან რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა ერთობლიობა.

ა.კ-ის საზღვრები განპირობებულია ადამიანთა ფიზიოლოგიური თავისებურებებით და დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და მათ ამსახველ კანონმდებლობაზე.

**ასაკობრივი პერიოდიზაცია** – ცალკეულ ეტაპებად ადამიანის სიცოცხლის გამიჯვნა, რომელიც წარმოებს არჩეული კრიტერიუმების მიხედვით. ასეთ კრიტერიუმებად შეიძლება არჩეულ იქნას ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ადამიანის სხვა მახასიათებლები.

არსებობს ა.პ-ის რამდენიმე ტიპი. არსებული ასაკობრივი პერიოდიზაციებიდან ყველაზე მეტადაა გავრცელებული და საკმაო ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლების მქონეა ადამიანის სიცოცხლის დაყოფა შემდეგ დიდ ასაკობრივ პერიოდებად: 1) ბავშვობა – დაბადებიდან სქესობრივ მომწიფებამდე, ე.ი. 12-13 წლამდე გოგონები, 13-14 წლამდე ბიჭები; 2) მოზარდობა (სქესობრივი მომწიფების ხანა – 12-13 წლიდან 16 წლამდე გოგონები, 13-14 წლიდან 17 წლამდე ბიჭები; 3) ჭაბუკობა - 16-25 წლის ქალები, 17-26 წლის მამაკაცები; 4) სრულასაკოვნობა - 25-40 წლის ქალები, 26-45 წლის მამაკაცები; 5) მოწიფულობა - 40-55 წლის ქალები, 45-60 წლის მამაკაცები; 6) ხანშიშესულობა – 55-75 წლის ქალები, 60-75 წლის მამაკაცები; 7) სიბერე - 75 წელს ზემოთ ქალებიც და მამაკაცებიც.

თანამედროვე ინგლისელი ფიზიოლოგები გამოყოფენ 5 ასაკობრივ პერიოდს: 1) ადრეული ბავშვობა - 7 წლამდე; 2) გვიანდელი ბავშვობა – 7-14 წლამდე; 3) ახალგაზრდობა - 14-25 წელი; 4) მოწიფულობა - 25-50 წელი და 5) მოხუცებულობა - 50 წლის ზემოთ.

**ასაკობრივი პირამიდა** (ასაკობრივ-სქესობრივი

პირამიდა) – ასაკისა და სქესის მიხედვით ადამიანთა განაწილების გრაფიკული გამოსახულება. ა.პ. წარმოადგენს ორმხრივი მიმართულების დიაგრამას, რომელზეც ყოველი ასაკისა და სქესის ადამიანთა რაოდენობა ან მათი წილი მოსახლეობაში გამოსახულია გარკვეული მასშტაბის ჰორიზონტალური ზოლით (საფეხურით). ზოლები ერთმანეთზეა განლაგებული ასაკის ზრდის მიხედვით, ჩვეულებრივ 0-დან 100 წლამდე; მარცხნივ მამაკაცებია, მარჯვნივ ქალები. ვინაიდან მოკვდაობის შედეგად ადამიანთა რაოდენობა უფროს ასაკში ნაკლებია, ვიდრე დაბალ ასაკში (როგორც წესი), გრაფიკულ გამოსახულობას, მოცემულ შემთხვევაში, აქვს პირამიდის ფორმა.

ა.პ. აიგება მოსახლეობის აღწერების ან მოსახლეობის გამოკვლევების მონაცემების საფუძველზე, ჩვეულებრივ, ერთი - ან 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ა.პ-ის საფეხურების ფართობი (მასშტაბში) შეესაბამება ყოველი ასაკისა და სქესის მოსახლეობის რაოდენობას ან მათ წილს (%) მოსახლეობაში. ამასთან საფეხურის სიგრძე შეესაბამება მოცემულ ასაკობრივ ერთეულზე მოსულ ადამიანთა რაოდენობას.




1989 წლის საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი პირამიდა

ა.პ. გამოხატავს ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას დროის ამა თუ იმ მომენტისათვის. ის აფიქსირებს წინა პერიოდის მოსახლეობის აღწარმოების და მიგრაციის შედეგს. საფეხურების შედარებითი სიგრძე უფროსი ასაკიდან უმცროს ასაკამდე, მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე შობადობისა და მოკვდაობის პროცესების გავლენაზე იძლევა წარმოდგენას





(ხანგრძლივი დროის მანძილზე). ამასთან, მიგვითითებს მოცემული მომენტისათვის ჩამოყალიბებული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენას მოსახლეობის პერსპექტიულ ზრდაზე.

**ასაკობრივი სკალა** – ასაკობრივ მახასიათებელთა პირობითი სისტემა, რომელიც გამოიყენება ამა თუ იმ დემოგრაფიული შემთხვევისას ადამიანის ასაკის დადგომის, დემოგრაფიული პროცესების ან მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გასაზომად. ა.ს. გამოიხატება სწორი ხაზით, რომელზეც დატანილია ერთმანეთთან თანაბარ მანძილზე მყოფი წერტილები. მათ შეესაბამება ზუსტი ასაკის ან ასაკობრივი ინტერვალების თანმიმდევრობითი მნიშვნელობები. ა.ს-ის დანაყოფებად შეიძლება გამოყენებულ იქნას დღე, თვე, წელი, 5 წლიანი ან სხვა ასაკობრივი ინტერვალები. ასეთი დაყოფა გამომდინარეობს შესასწავლი მოვლენის ან პროცესის თავისებურებებიდან.

**ასაკობრივი სტრუქტურა მოსახლეობისა** – იხ. მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) ასაკობრივი.

**ასაკობრივი ჯგუფი** – ერთნაირი ასაკის ადამიანთა ერთობლიობა, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ძირითადი ელემენტი. დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე ანსხვავებენ ერთწლიან და გამსხვილებულ (5 წლიან, 10 წლიან და სხვ.) ა.ჯ-ს. ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გამოიყენება ა.ჯ-ები თვეებისა და დღეების მიხედვით. ა.ჯ-ების რაოდენობა დამოკიდებულია შერჩეული ასაკობრივი ინტერვალის სიდიდეზე, ვინაიდან დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობა გარკვეულწილად დამოკიდებულია ასაკზე. ა.ჯ-ებს აქვთ განსხვავებული როლი მოსახლეობის აღწარმოების, სოციალური და ეკონომიკური აქტივობისა და სხვა საკითხებში.

**ასიმილაცია** – ეთნიკური პროცესის სახეობა; ერთი ხალხის მეორესთან შერწყმა ერთ-ერთი მათგანის ენის, კულტურისა და ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვის ხარჯზე.

ანსხვავებენ ბუნებრივ და ძალდატანებით ა-ს. ბუნებრივი ა-სას მცირერიცხოვანი ხალხი მეორე უფრო მრავალრიცხოვან ხალხთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად და განსაკუთრებით მის გარშემო ყოფნისას, ითვისებს სხვა ხალხის კულტურასა და ენას და ბოლოს, ჩვეულებრივ შემდგომ თაობებში, ერწყმის მას. ძალდატანებითი ა. ეროვნული და რელიგიური ჩაგვრის შედეგია. მის დროს სპეციალურად იქმნება ისეთი პირობები, რომლებიც აიძულებს

ერთ ხალხს ჩათვალოს და აღიაროს მეორე ხალხთან მიკუთვნებულობა.

**აჩსელერაცია (აჩცელერაცია)** – ბავშვებისა და მოზარდების სომატური განვითარებისა და ფიზიოლოგიური მომწიფების დაჩქარება, რაც უკანასკნელი საუკუნის მანძილზეა აღნიშნული. ფართო გაგებით **ა.** ნიშნავს სხეულის ზომებისა და სომატური განვითარების ვადების შეცვლას ადამიანის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ზოგჯერ ფსიქოლოგიურ **ა**-საც აღნიშნავენ, რაც გონებრივი განვითარების დაჩქარებას გულისხმობს. ყველაზე უკეთ შესწავლილია სხეულის ზომების ცვლა. ახალდაბადებული ბავშვის სიმაღლე საშუალოდ 1 სმ-მდე აღემატება 100 წლის წინანდელს, ხოლო მასა - 100-300 გ-ით. 1880-1950 წწ. პერიოდში ყოველი 10 წლის განმავლობაში 5-7 წლის ბავშვის სიმაღლემ იმატა საშუალოდ 1,5 სმ-ით, მასამ – 0.5 კგ-ით. ამავე პერიოდში სკოლის ასაკის ბავშვების სიმაღლემ იმატა 10-15 სმ-ით. 1-2 წლით შემცირდა სქესობრივი მომწიფების ვადებიც. **ა.** შეინიშნება საქართველოს მოსახლეობაშიც.

ა-ს მრავალი მიზეზით ხსნიან. მას მრავალი ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორი განაპირობებს.

**აქტუარი** – ექსპერტი სადაზღვევო მათემატიკაში. **ა-**ებს ხშირად სოციალურ მათემატიკოსებსაც უწოდებენ, ვინაიდან ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ არა მარტო სადაზღვევო კომპანიების, არამედ საპენსიო და სხვა ფონდების სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრაში.

**აღმწერი** – პირი, რომელიც მოსახლეობის აღწერისას ან გამოკვლევისას აგროვებს ცნობებს ადამიანების, მათი ოჯახების და სხვ. შესახებ. როგორც წესი ა-ები დროებით მიზიდული პირებია. აღწერის წინ ისინი გადიან სპეციალურ მომზადებას და აქვთ შესაბამისი ცოდნა.

**აღრიცხვა** – იხ. მოსახლეობის აღრიცხვა.

**აღწერა სტატისტიკაში** – მასობრივი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების სპეციალურად ორგანიზებული ერთდროული გამოკვლევა, რომელიც ასახავს ამ მოვლენების არსებით თვისებებს დროის განსაზღვრული მომენტის ან პერიოდისათვის.

ა-ის წარმატებით ჩატარების აუცილებელი პირობებია: 1) ა-ს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი და დეტალურად შემუშავებული გეგმა; 2) ა-ის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა; 3) ა-ის ჩატარება უმოკლეს ვადაში და დროის განსაზღვრული მომენტისათვის, ე.წ. კრიტიკული მომენტისათვის და ერთდროულად მთელ ტერიტორიაზე; 4) ა-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევა.

ა-ის აუცილებლობა საზოგადოების განვითარების საჭიროებითაა განპირობებული. ა-ები ტარდებოდა ჯერ კიდევ მონათმფლობელურ საზოგადოებაში. მაშინ მათ მხოლოდ სამხედრო და ფისკალური დანიშნულება ჰქონდათ. ა-ები განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა კაპიტალიზმის ეპოქაში.

საქართველოში ა-ის ისტორია XIII ს-დან იწყება. რეგულარული ხასიათი მას XVII ს-დან მიეცა. ამ ა-ებს უმთავრესად სამხედრო და ფისკალური დანიშნულება ჰქონდა. ა-ს ექვემდებარებოდა არა მარტო მოსახლეობა, არამედ მისი ქონებრივი მდგომარეობაც. XIX ს-დან ა-ები ტარდება შედარებით ვრცელი პროგრამით. 1803-1804, 1816-1817, 1831-1832, 1841-1843 და 1873 წწ. საქართველოში ჩატარდა კამერალური აღწერები. ა-ები ჩატარებულ იქნა: 1897, 1923 და 1926 წწ. (სამრეწველო **ა.**-ები), 1925 და 1929 წწ. (წვრილი მრეწველობის **ა.**-ები), 1932 წლიდან პერიოდულად – სავაჭრო ა-ები, 1939, 1959, 1979 და 1989 წწ. - მოსახლეობის აღწერები (იხ. მოსახლეობის აღწერა).

**ახალგაზრდობა** – სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია ასაკობრივი მახასიათებლების ერთიანობის, სოციალური მდგომარეობის თავისებურების საფუძველზე და განპირობებულია მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებებით.

ა-ის კონკრეტულ ასაკობრივ საზღვრებს და მასთან დაკავშირებულ სოციალურ სტატუსსა და სოციალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს გააჩნიათ სოციალურ-ისტორიული ბუნება და დამოკიდებულია საზოგადოებრივ წყობაზე, კულტურაზე და სოციალიზაციის თავისებურებებზე. ა-ის ქვედა საზღვარს განსაზღვრავენ 14-15 წლის ასაკით, ხოლო ზედას - 25, 30 ან 35 წლით.

**ახალდაბადებულები** – ბავშვები დაბადებიდან სიცოცხლის 28 დღემდე. სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლის გაანგარიშებისას, აღნიშნულ პერიოდში (0-27 დღე), გამოყოფენ ბავშვებს დაბადებიდან სიცოცხლის პირველ და 2-4 კვირამდე.

**ახალმოსახლეები** – ადამიანები, რომელებიც გადმოსახლდნენ ახალ საცხოვრებელ ადგილზე. ა-ის გამოყოფის კრიტერიუმად გამოიყენება ჩასახლების ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა.

**ახალმოსახლეთა შეგუება** – მიგრაციული პროცესის ერთ-ერთი მაჩვენებელი დაკავშირებული მიგრანტების მუდმივი მოსახლეობის კატეგორიაში გადასვლასთან. მიგრანტები

ჩასახლების ადგილას გადადიან მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან მეორეში: გადასახლებულები – ახალმოსახლეები – ძველი მცხოვრებნი. ასეთი ერთობლიობის ყოველი ნაწილი განსხვავდება მოძრაობისა და სტაბილობის ხარისხით, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის გენეზისთან. ა.შ. რთული სოციალურ-ბიოლოგიური პროცესია და ჩასახლების ადგილებში მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაბამისად წარმოებს ახალმოსახლეთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის გარდაქმნა და თავისი მახასიათებლებით მისი დაახლოება მუდმივი მოსახლეობის სტრუქტურასთან.

**ახალშობილი** – იხ. ახალდაბადებული.

## ბ

**ბაბუა** – იგივეა, რაც პაპა (იხ.).

**ბავშვები** – 1) ადამიანები, რომლებსაც არ მიუღწევიათ მოწიფულობისათვის. დემოგრაფიაში განისაზღვრება როგორც ასაკობრივი კატეგორია, რომლის ზედა ზღვარი ცვალებადია და დამოკიდებულია კვლევის მიზანზე. მოსახლეობის აღწარმოების შესწავლისას ზედა ზღვრად ჩვეულებრივ მიჩნეულია 15 წლის ასაკი. ბ-ის კატეგორიის დემოგრაფიული და სოციალური თავისებურებებიდან გამომდინარე, როგორც წესი, მას ყოფენ უფრო ვიწრო ჯგუფებად. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვილთა ჯგუფს (დაბადებიდან 1 წლამდე), რომელსაც ჩვილთა მოკვდაობის შესწავლისას, თავის მხრივ, ყოფენ ნაცოცხლები თვეების, კვირისა და დღეების მიხედვით. 5 წლამდე ბ-ის ჯგუფი (0-4 წ.) გამოიყენება შვილიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების (მაგ. იხ. ინდექსი შვილიანობისა) გამოსაანგარიშებლად და სხვა. დემოგრაფიული ანალიზისას ბ-ის კატეგორია მნიშვნელოვანია როგორც მოსახლეობის აღწარმოების შედეგი და მისი პერსპექტივების შეფასების საფუძველი.

ეკონომიკურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისას ბ-ის ასაკის ზედა ზღვრად მიჩნეულია სამუშაო ასაკის დასაწყისი. სოციოლოგიურ გამოკვლევებში ზოგჯერ გამოყოფენ 14-15 წლის ასაკის ბ-ს – მოზარდებს, ხოლო ზოგჯერ გამოყოფენ სკოლამდელი, სკოლის და სხვა ასაკის ბ-ს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოიყენება ბ-ის ასაკის სხვა პერიოდიზაცია.





2) მდედრობითი და მამრობითი სქესის შთამომავლები, ნათესაობის პირდაპირი ხაზით – ქალიშვილი და ვაჟიშვილი. ბ. ოჯახური მდგომარეობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კატეგორიაა. ოჯახში ბ-ის რაოდენობა ოჯახის განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

3) სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისას გამოიყენება მოსახლეობის შვილიანობის ორიენტაციის შესასწავლად (მაგ., ოჯახში ბ-ის იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი რაოდენობა).

4) იურიდიული თვალსაზრისით პირები, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ სრულწლოვანებისათვის.

**ბავშვები ქორწინებაში დაბადებული** – ბავშვები, რომლებიც გააჩინეს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა ქალებმა. მაგ., საქართველოში 1989 წელს, ასეთი ბავშვების წილმა ყველა დაბადებული ბავშვის 82.3% შეადგინა, ხოლო 2003 წელს 55,4 %-მდე შემცირდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბ.ქ.დ. მნიშვნელოვნად კლებულობს უკანასკნელ პერიოდში. ჯერ კიდევ 1980 წელს ბ.ქ.დ. შეადგენდნენ 95,3 %-ს. სხვდასხვა ქვეყანაში ბ.ქ.დ-ის წილი საკმაოდ განსხვავებულია. მაგ., იტალიაში მათი წილი 95%-ს შეადგენდა (1984წ.), ხოლო იმავე დროს დანიაში, ისლანდიასა და შვედეთში - მხოლოდ 50%-ზე რამდენადმე მეტს.

**ბავშვები ქორწინების გარეშე დაბადებული** – ბავშვები, რომლებიც გააჩინეს რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფმა ქალებმა. მაგ. საქართველოში 1989 წელს, ასეთი ბავშვების წილმა შეადგინა ყველა დაბადებული ბავშვის 17.7%, ხოლო 2003 წელს 44,6 %-მდე გაიზარდა. უნდა აღინიშნის, რომ საქართველოში ბ.ქ.დ-ის წილი უკანასკნელ პერიოდში სულ მატულობს. ჯერ კიდევ 1980 წელს ბ.ქ.დ. შეადგენდნენ 4,7%. სხვადასხვა ქვეყნისათვის ბ.ქ.დ-ის განსხვავებული წილია დამახასიათებელი. მაგ., იტალიაში მათი წილი 5%-ს შეადგენდა, ხოლო დანიაში, ისლანდიასა და შვედეთში - 40 %-ზე მეტს (1984 წ.).

**ბავშვების იდეალური რაოდენობა** – ადამიანის წარმოდგენა ოჯახში ბავშვების საუკეთესო რაოდენობის შესახებ საერთოდ, პირადი უპირატესობის მინიჭებისა და ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ბ.ი.რ. დაკავშირებულია რეპროდუქციული ქცევის სოციალურ ნორმებთან და მის გამოხატულებას წარმოადგენს.

ბ.ი.რ-ის დასადგენად მიზანშეწონილია შემდეგი კითხვის გამოყენება: “თქვენი აზრით, რამდენი ბავშვი უნდა იყოს

საერთოდ ოჯახში?"

პირველად მონაცემები ბ.ი.რ-ის შესახებ მიღებულ იქნა აშშ 1936 წ. გელაპის საზოგადოებრივი აზრის ინ-ტის მიერ, საქართველოში - 1969 წ.

**ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა** – ბავშვების რაოდენობა, რომლის ყოლასაც აპირებს ადამიანი საერთოდ, "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებიდან" გამომდინარე და კონკრეტული ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით. ბ.მ.რ. წარმოადგენს ბავშვების რაოდენობის ინდივიდუალურ ოპტიმუმს კონკრეტულ პირობებში.

ბ.მ.რ. მიზანშეწონილია დადგენილ იქნას ბავშვების ფაქტობრივ და ბავშვების მოსალოდნელ (კიდევ) რაოდენობის კითხვებზე მიღებულ პასუხთა ჯამით (იხ.: ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა, ბავშვების მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობა).

პირველად მონაცემები ოჯახში ბ.მ.რ-ის შესახებ მიღებულ იქნა აშშ 1955 წ., ხოლო საქართველოში - 1969 წელს.

**ბავშვების მოსალოდნელი (კიდევ) რაოდენობა** – ბავშვების რაოდენობა, რომლის ყოლასაც კიდევ აპირებს ადამიანი.

ბ.მ.(კ).რ-ის დასადგენად გამოიყენება კითხვა: "კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ?"

**ბავშვების რაოდენობა მშობლების ოჯახში** – ბავშვების რაოდენობა წინა თაობის ოჯახში. ეს ბავშვების ის რაოდენობაა, რომელიც ჰყავდათ დაკვირვების ერთეულის (ან დაკვირვების ერთობლიობის) მშობლებს.

მის დასადგენად გამოიყენება კითხვა: "სულ რამდენი ბავშვი ჰყავდათ თქვენს მშობლებს?"

**ბავშვების სასურველი რაოდენობა** – ბავშვების რაოდენობა, რომლის ყოლასაც ამჯობინებდა ადამიანი თავის ოჯახში პირადი მისწრაფებიდან გამომდინარე, ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. ბ.ს.რ. წარმოადგენს "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" გამოხატულების მაჩვენებელს.

ბ.ს.რ-ის გამოსავლენად მიზანშეწონილია შემდეგი კითხვა: "პირადად თქვენ სულ რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ?"

მონაცემები ბ.ს.რ-ის შესახებ პირველად მიღებულ იქნა XX ს. 50-იან წწ. შუა პერიოდში აშშ, საქართველოში - 1972 წელს.

**ბავშვების საშუალო რაოდენობა** – გარკვეული ერთობლიობისათვის დამახასიათებელი ბავშვების რაოდენობის





განმაზოგადებელი მაჩვენებელი. ბ.ს.რ. წარმოადგენს ბავშვთა შობის ინტენსივობის ერთ-ერთ მაჩვენებელს.

ძირითადად გამოიანგარიშება როგორც გარკვეული ერთობლიობის ბავშვების საშუალო არითმეტიკული ან შეწონილი საშუალო არითმეტიკული. უკანასკნელს უპირატესობა ენიჭება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების მონაცემების გაანგარიშებისა და ანალიზისას.

**ბავშვების ფასეულობა** – ბავშვების გარკვეული რაოდენობისადმი საზოგადოების, ოჯახისა და ადამიანის dadebiTi damokidebulebis xarisxi ბ.ფ. განსაზღვრავს "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებისა" და რეპროდუქციული მოტივაციის შინაარსს.

სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგები უჩვენებენ ბ.ფ-ის შემცირებას – მრავალშვილიანი და საშუალოშვილიანი ოჯახის ფასეულობის კლებას და მცირეშვილიანი ოჯახის ფასეულობის ზრდას, რითაც ძირითადად არის განპირობებული შობადობის შემცირება.

**ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა** – ბავშვების რაოდენობა, რომელიც ადამიანს ჰყავს გარკვეული მომენტისათვის.

ბ.ფ.რ-ის დასადგენად გამოიყენება კითხვა: "რამდენი ბავშვი გყავთ ამჟამად?"

**„ბავშვების ყოლის მოთხოვნილება"** – ადამიანის მდგომარეობა, რომელიც წარმართავს მას ბავშვების ყოლისთვის.

"ბ.ყ.მ"-ამ ძველი დროიდან დღემდე გარკვეული ევოლუცია და ტრანსფორმაცია განიცადა. თავდაპირველად ის წარმოადგენდა გაჩენის მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილება სუბსტანციური ობიექტით (ბავშვებით) წარმოებდა და რომელსაც ორგანიზმი გარკვეული მიმართულებით მოქმედებაში მოჰყავდა.

ადამიანის განვითარებასთან ერთად, ბავშვების გაჩენის მოთხოვნილება სულ უფრო მეტ ცვლილებას განიცდიდა. გაჩენის ფუნქციური მექანიზმის აქტივობის მოქმედებაში მოყვანისათვის ადამიანს მოთხოვნილების გარდა სხვა საფუძველიც უჩნდება, რომელიც ადამიანის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტ როლს თამაშობს.

ადამიანი თავისი სპეციალური მსჯელობის ობიექტად ხდის ბავშვებს. ასეთ დროს კი ობიექტივაციას აქვს ადგილი, ე.ი. წარმოებს ბავშვების გაჩენის მოთხოვნილების შემდგომი განვითარება. აზროვნება, რომელიც ადამიანისათვის ხდება დამახასათებელი, განასხვავებს მას ცხოველისაგან. ადამიანი

ცხოველისაგან განსხვავებით იწყებს გაჩენის მოთხოვნილების გაცნობიერებას.

საზოგადოებრივი ურთიერთობისა და სოციალური მემკვიდრეობის განვითარებასთან ერთად, ადამიანისათვის გაჩენის მოთხოვნილების შემცირებამ და შემდგომში მისი ფუნქციის შესუსტებამ გამოიწვია გაჩენის მოთხოვნილების ტრანსფორმაცია, მისი შეცვლა ბავშვების ყოლის მისწრაფებით.

ბავშვების ყოლის მისწრაფება ადამიანს სოციალური გარემოს ზემოქმედებით უყალიბდება და შეძენილ ტენდენციას წარმოადგენს. ადამიანი ხედავს რა, რომ ბავშვები ჰყავთ მის გარშემო მყოფთ, თვითონაც იძენს შესაბამის გამოცდილებას და უმუშავდება შესაბამისი მისწრაფება. ადამიანს გაცნობიერებული აქვს ბავშვების ყოლის მისწრაფება. ის წარმოიდგენს ბავშვებს და იმ ვითარებას, სადაც შესაბამისი მისწრაფების დაკმაყოფილებაა შესაძლებელი.

"ბ.ყ.მ"-ის ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში იწყება და საბოლოოდ განსაზღვრულ და დასრულებულ სახეს დაქორწინებისა და ცოლ-ქმრული ცხოვრების რამდენიმე წელიწადში (1-2 წ.) ღებულობს, რომლის შემდეგ არ იცვლება.

**ბავშვების ყოლის მოტივები** – ფსიქიკური ფენომენები, რომლებიც რეპროდუქციული ქცევის პოზიტიურ ძალებად განიცდებიან და წარმართავენ ადამიანს ბავშვების ყოლისკენ. ბ.ყ.მ. განაპირობებენ ნებისმიერი რიგითობის ბავშვის ყოლას. იმისდა მიხედვით, თუ რა საფუძვლიდან გამომდინარეობენ, პირობითად განასხვავებენ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ბ.ყ.მ-ს. დაბალი რიგითობის ბავშვების ყოლა ძირითადად განპირობებულია ფსიქოლოგიური სახის ბ.ყ.მ-ით, ხოლო მაღალი რიგითობის – ძირითადად ეკონომიკური მოტივებით.

ბ.ყ.მ-ის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 1940-ან წწ. აშშ. საქართველოში ბ.ყ.მ-ის კვლევა პირველად 1976 წლიდან დაიწყო.

საქართველოში ჩატარებული კვლევებისას ბ.ყ.მ. ძირითადად გამოვლენილ იქნა შემდეგი კითხვის პასუხებით: „იმისდა მიხედვით, თუ რამდენი შვილი გყავთ, მიუთითეთ რამ განაპირობა თითოეული შვილის ყოლა". კითხვას, თითოეული შვილისათვის მოჰყვებოდა შესაძლებელ პასუხთა ვარიანტები.

**ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობები (მოტივები)** – პირობები, რომლებიც აღიქმება, როგორც ფსიქიკური ფენომენები და რომლებიც განიცდებიან რეპროდუქციული ქცევის ნეგატიურ ძალებად. ბ.ყ.ხ.პ-ის მოქმედება ხელს უშლის "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებას, მის სრულ რეალიზაციას, რის შედეგადაც





ადამიანს, ოჯახს ჰყავს იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე სურს ან საერთოდ არა ჰყავს ბავშვი.

ბ.ყ.ხ.პ-ის შესწავლა საქართველოში 1969 წლიდან დაიწყო.

საქართველოში ჩატარებული კვლევებისას ბ.ყ.ხ.პ. ძირითადად დადგენილ იქნა მოყვანილი კითხვის პასუხებით: "თუ თქვენ გყავთ ან აპირებთ იყოლიოთ იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე გსურთ, მიუთითეთ რატომ?" კითხვას მოჰყვება შესაძლებელ პასუხთა ვარიანტები.

**ბავშვთა მოკვდაობის ბიომეტრული ანალიზი** – მოკვდაობის ანალიზის მეთოდი დაბალი ასაკის ბავშვებში, ძირითადად 1 წლამდე ასაკის ბავშვებში. ბ.მ.ბ.ა. საშუალებას იძლევა მოკვდაობის მაჩვენებელი დავყოთ ენდოგენურ, ე.ი. ბავშვის თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი ავადმყოფობებით და სხვა მიზეზებით და ეგზოგენურ, ე.ი. ორგანიზმზე გარე ზემოქმედებასთან დაკავშირებული მიზეზებით გამოწვეულ სიკვდილთან.

ბ.მ.ბ.ა. არ იყენებს მონაცემებს სიკვდილის მიზეზთა შესახებ, არამედ ეფუძნება სიკვდილის შემთხვევათა განაწილებას თვეების მიხედვით სიცოცხლის პირველი წლის მანძილზე. ბ.მ.ბ.ა. ეფუძნება შემდეგ ფორმულას:

$$D_x = a + b \ln^3 (n+1),$$

sadac $D_x$ X ასაკისათვის გარდაცვლილთა რაოდენობის ჯამია, a – ენდოგენური მოკვდაობის დონე; b - ეგზოგენური მოკვაობის დონე; n – დღეთა რაოდენობა X ასაკისათვის, რომელიც 30-31 ტოლია (დღეების საშუალო რაოდენობა თვეში)

ბ.მ.ბ.ა. შემუშავებულ იქნა ფრანგი დემოგრაფის ჟ. ბურჟუა-პიშას მიერ 1951 წელს.

საქართველოში ეგზოგენური მიზეზებით გამოწვეული ჩვილთა მოკვდაობა ჭარბობს ენდოგენური მიზეზებით გამოწვეულ მოკვდაობას, მაშინ როდესაც ყველა განვითარებულ ქვეყანაში პირიქით – ჩვილთა მოკვდაობაში ჭარბობს ენდოგენური მიზეზები.

**ბავშვთა მოკვდაობის პარადოქსი** – შედარებით ჩვილთა მაღალი მოკვდაობისას ასაკის ზრდასთან ერთად (0-დან 1 წლამდე) მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა. ბ.მ.პ. გამოწვეულია იმით, რომ ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილთა მნიშვნელოვანი რაოდენობა საგრძნობლად ამცირებს მოკვდაობის ცხრილის მიხედვით gamoTvlil gardacvlilTa saSualo asaks. 10 %-ზე ნაკლები ჩვილთა მოკვდაობისას ბ.მ.პ. პრაქტიკულად არ შეიმჩნევა. ტერმინ "ბ.მ.პ"- ის ნაცვლად უფრო მიზანშეწონილია ტერმინი

"ახალდაბადებულთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის პარადოქსი".

მაგ., საქართველოში 2002 წელს ახალდაბადებულთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71,54 წელი იყო, ხოლო 1 წლის ასაკისათვის - 72,18 წელი.

**ბავშვთა მოკვდინება (ინფანტიციდი)** – ახალშობილთა და მცირეწლოვან ბავშვთა მოკვდინების ზნე–ჩვეულება. აღმოცენდა პირველყოფილი წყობილების საწყის ეტაპზე და დაკავშირებული იყო ადამიანის საარსებო საშუალებების სიმცირესთან არსებობისათვის საჭირო პირობებთან. ბ.მ. გამოიყენებოდა როგორც დემოგრაფიული რეგულირების საშუალება, თუმცა, როგორც ჩანს არ იყო ფართოდ გავრცელებული. მონათმფლობელური საზოგადოებისას ბ.მ. კარგავს თავის მნიშვნელობას და თანდათან ქრება, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ის შემორჩენილ იქნა. პლატონი და არისტოტელე მისაღებად თვლიდნენ ბ.მ-ს, როგორც მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციის საშუალებას. ბ.მ. გამოიყენებოდა სპარტაში ჩვ.წ.აღრიცხვამდე IV ს., ხოლო საფრანგეთში – IX ს. დღესდღეობით ბ.მ. ითვლება დანაშაულად.

**ბავშვთა შობა** – ბავშვების გარკვეული რაოდენობის გაჩენა.

**ბავშვთა შობის ნებელობითი შეზღუდვა** – მსგავსია ცნების – "ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება", "ოჯახის დაგეგმვა" (იხ.) ბ.შ.ნ.შ. გულისხმობს რეპროდუქციული ციკლის ბუნებრივ თანმიმდევრობაში ნებელობის (იხ.) შეჭრას, მისდამი რეპროდუქციული ქცევის დაქვემდებარებას და იმდენი ბავშვის ყოლას, რამდენიც სურს ოჯახს (ადამიანს).

**ბავშვთა შობის პერიოდი** – იგივეა, რაც რეპროდუქციის პერიოდი (იხ. რეპროდუქციის პერიოდი)

**ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება** – "ოჯახის დაგეგმვის" (იხ.) ცნების მსგავსია. ბ.შ.შ.რ. გულისხმობს ადამიანის, ცოლ-ქმრის მიერ ოჯახში ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლას. ბ.შ.შ.რ. მიიღწევა ნებელობითი აქტივობის გზით (იხ. ნებელობა), რომელიც ობიექტივაციის (იხ. ობიექტივაცია) ნიადაგზე წარმოებს.

XVIII ს-მდე თვითონ არჩევის იდეა, ის აზრი, რომ საკუთარი სურვილის მიხედვით შეიძლება მეტი ან ნაკლები ბავშვის გაჩენა, საერთოდ წარმოუდგენელი იყო იმ დროინდელი





ადამიანისათვის.

მოკვდაობის შემცირებამ, მაღალი შობადობის პირობებში, გამოიწვია მოსახლეობის სწრაფი ზრდა. ბავშვთა შობის ასეთი მაღალი ინტენსივობა უკვე აღარ იყო საჭირო მოსახლეობის აღწარმოებისათვის, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ბავშვთა შობის ასეთი მაღალი დონე არ იყო საჭირო ოჯახისთვისაც.

ამ დროიდან იწყება ბ.შ.შ.რ., ბავშვთა შობის შეზღუდვა, რომლის ძირითადი საშუალება ხდება რეპროდუქციული ციკლის ბუნებრივ თანმიმდევრობაში ნებელობის შეჭრა, მისდამი ქცევის დაქვემდებარება, ორსულობის არიდება და შეწყვეტა და რაც მთავარია – იმდენი ბავშვის ყოლის შესაძლებლობა, რამდენიც სურს ოჯახს (ადამიანს).

**ბავშვთაცენტრიზმი** – მშობლების დამოკიდებულება ბავშვებისადმი თანამედროვე ოჯახში, რომელიც გულისხმობს მშობლების პასუხისმგებლობას ბავშვების კეთილდღეობისადმი. ძველი ოჯახის ცენტრში იმყოფებოდა მამის ავტორიტეტი. თანამედროვე ოჯახის ცხოვრება დამოკიდებულია ბავშვებსა და მათ მომავალზე. ამასთან, ბ. შედარებით ახალი მოვლენაა, რომელიც უცხოა წარსული ეპოქის ოჯახებისათვის. ბ-ის განვითარების შედეგად წინა პლანზე გამოდის მშობლების პასუხისმგებლობა შვილებისადმი, მათი სიცოცხლისადმი, ჯანმრთელობისადმი, განათლებისადმი, მომავლისადმი და სხვა. ბ-ს გააჩნია დემოგრაფიული შედეგები. დემოგრაფების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბ. იწვევს ბავშვთა შობის ინტენსივობის შემცირებას.

**ბები-ბასტი** - ბები-ბუმის (იხ.) პერიოდის შემდეგ შობადობის სწრაფი კლება. ტერმინი ბ.ბ. ძირითადად აშშ-ში გამოიყენება ბები-ბუმის შემდგომი პერიოდის დასახასიათებლად.

**ბები-ბუმი** (ინგლისურ ენაზე ნიშნავს ბავშვთა შობის აფეთქებას) – შობადობის კომპენსაციური ზრდა XX ს. 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში. ბ.ბ-ს ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ტერმინმა გავრცელება ჰპოვა ძირითადად აშშ-ში. 1940 წ. შობადობის ზოგადმა კოეფიციენტმა aSS-Si Seadgina 19.4‰, 1950 წ. - 24.1‰, 1955 წ. - 24.8‰. ბ.ბ. დროებით ხასიათს ატარებდა, წარმოადგენდა რა დემოგრაფიული კომპენსაციის შედეგს და შემდგომში შობადობამ ისევ დაიკლო (იხ. დემოგრაფიული კომპენსაცია).

**ბებია** – დედის ან მამის დედა.

**ბინადრობა** – დღევანდელობის თვალსაზრისით ნიშნავს

ერთ ადგილზე ხანგრძლივად ცხოვრებას. ისტორიული თვალსაზრისით – საზოგადოების ისეთ საფეხურს, როცა მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოების მოხეტიალე ცხოვრება შეცვალა ერთ ადგილზე დამკვიდრებულმა ცხოვრებამ.

ბ-ის დაწყება ემთხვევა ახალი ქვის ხანას, მომდევნო ეპოქაში, ე.წ. ენეოლითის საფეხურზე ბ. უფრო მყარი გახდა.

ბ-ის მოვლენა განპირობებული იყო: საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ხანგრძლივი და რთული პროცესებით, როცა ადამიანი თავის სასარგებლოდ თანდათან ეუფლებოდა ბუნებრივ მწარმოებლურ ძალებს და სოციალური განვითარებისა და ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმით (ჩამოყალიბებული გვაროვნული საზოგადოება გვარტომობრივი ცხოვრების ტერიტორიულ-ეგზოგამიური ფორმებითა და ფარგლებით).

**ბინადრობის ხანგრძლივობა** – ერთ ადგილზე უწყვეტი ცხოვრების ხანგრძლივობა. მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მაჩვენებელი. მოსახლეობის აღწერებისა და სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისას ბ.ხ-ს ადგენენ კითხვით იმის შესახებ, თუ რა დროიდან ცხოვრობს ადამიანი მოცემულ დასახლებულ პუნქტში, ან კითხვით ცხოვრების (ბინადრობის) შესახებ. პირები, რომლებიც დაიბადნენ და ცხოვრობენ მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე დასახლებულ ერთ ადგილზე, აღწერის, ან გამოკვლევის ჩატარებისას განიხილებიან როგორც არა მიგრანტები, ხოლო ყველა დანარჩენი – როგორც მიგრანტები.

**ბიოსფერო** – დედამიწის გარსი, რომლის სტრუქტურა და ენერგეტიკა არსებითად ცოცხალი ორგანიზმების წარსულით ან თანამედროვე მოქმედებით არის განპირობებული. მოიცავს ატმოსფეროს ნაწილს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს ზედა ფენას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის რთული გეოქიმიური ციკლებით. ტერმინი "ბ." 1875 წელს შემოიღო ავსტრიელმა გეოლოგმა ე. ზიუსმა. ზოგადი მოძღვრება ბ-ს შესახებ შექმნა ვ. ვერნადსკიმ XX ს. 20-30-იან წლებში.

**ბიძა** – მამის ან დედის ძმა.

**ბიძაშვილი** – მამის ან დედის ძმის შვილი.

**ბოიარსკის ფორმულა** – გამოიყენება გარდაცვალების ასაკობრივი ალბათობის დასადგენად. შემოთავაზებულ იქნა





დემოგრაფ ა.ბოიარსკის მიერ 1959 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მასალების მიხედვით მოკვდაობის ცხრილების გასაანგარიშებლად. გამოიყენება ორწლიანი პერიოდისათვის მოკვდაობის სრული ცხრილების გათვლისას.

b.f -ის მიხედვით გარდაცვალების ალბათობა ($q_x$) x ასაკში ტოლია:

$$q_x=\frac{2(M_x+M'_x)}{4S_x+M_x+M'_x+\left[S_{x-1}+S_{x+1}-2S_x+\frac{1}{2}(M_x+M_{x+1})-\frac{1}{2}(M'_x+M'_{x-1})\right]},$$

sadac $M_x$ x ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობაა ცხრილების გაანგარიშების პირველი წლის პერიოდისათვის; $M'_x$ – x ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობა ცხრილების გაანგარიშების მეორე წლის პერიოდისათვის; $S_x$ – შუა პერიოდისათვის x ასაკში მყოფ პირთა რაოდენობა.

**ბორტკევიჩის შესწორება** – დემოგრაფიულ სტატისტიკაში გამოიყენება მოკვდაობის ცხრილების აგებისას ცოცხლად მყოფთა რიცხვის ($L_x$) ყველაზე ზუსტ მნიშვნელობათა დასადგენად.

ფორმულას გააჩნია შემდეგი სახე:

$$L_x = 0.5(l_x + l_{x+1}) + \frac{1}{24}(d_{x+1} - d_{x-1}),$$

სადაც $l_x$ X ასაკობრივი ინტერვალის დასაწყისამდე ცოცხლად მყოფთა რიცხვია; $l_{x+1}$ – X ასაკობრივი ინტერვალის ბოლოს ცოცხლად დარჩენილთა რიცხვი; $d_{x+1}$ – x ასაკობრივი ინტერვალის შემდეგ გარდაცვლილთა რიცხვი, $d_{x-1}$ – x ასაკობრივ ინტერვალამდე გარდაცვლილთა რიცხვი.

მოყვანილი ფორმულის მეორე შემადგენელ ნაწილს ეწოდება ბ.შ. ის შემოთავაზებულ იქნა ვ. ბორტკევიჩის მიერ 1890 წელს.

**ბრუშტო-მიგრაცია** – მიგრანტთა ერთობლიობა რომელიმე მოცემულ ტერიტორიაზე, გარკვეულ პერიოდში. გაიანგარიშება როგორც ჩამოსულთა და წასულთა ჯამი. ბ.მ. ახასიათებს მიგრაციულ ბრუნვას, მის აბსოლუტურ სიდიდეს.

**ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი** – მიუთითებს შობადობის დონის მინიმალურად შესაძლებელ პოტენციალზე. გამოიყენება, როგორც შობადობის შეზღუდვის მასშტაბის განსაზღვრის ერთ-ერთი საზომი.

ბ.შ.ჰ.მ-ზე დაბლა საქორწინო შობადობის დონემ შეიძლება დაიკლოს მხოლოდ 4 მიზეზის გამო: დაბადებულთა არასრული აღრიცხვის, უნაყოფო ცოლ-ქმართა მაღალი წილის, განცალკევებით მცხოვრებ ცოლ-ქმართა მაღალი წილისა და ბოლოს, რაც ყველაზე არსებითია, ქორწინებაში შობადობის განზრახ შეზღუდვის გამო.

შობადობის ფაქტობრივი და ბ.შ.ჰ.მ.-ის მაჩვენებლების შედარებისათვის ყველაზე თვალსაჩინო და სავსებით საკმარისია შობადობის ზოგადი კოეფიციენტების გამოყენება.

ბ.შ.ჰ.მ-ის გაანგარიშება სხვადასხვა ხერხით შეიძლება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მონაცემები გაგვაჩნია. ერთ შემთხვევაში ბ.შ.ჰ.მ-ის გამოსათვლელად გამოსადეგია შემდეგი ფორმულა:

$$n = \frac{\sum_{20}^{49} W_x^m \cdot 0.001 \cdot F_x^0 + (N - \sum_{20}^{49} N_x^m)}{S} \cdot 1000,$$

სადაც n ბ.შ.ჰ.მ-ის ზოგადი კოეფიციენტია; $F_x^0$ – საქორწინო ბუნებრივი შობადობის მინიმალური ასაკობრივი კოეფიციენტები (სტანდარტი: 20-24 წ.-თვის - 400‰, 25-29 – 377‰, 30-34 - 349‰, 35-39 – 279‰, 40-44 – 155‰, 45-49 – 31‰); N - დაბადებულთა საერთო ფაქტობრივი რაოდენობა; $N_x^m$ – ქორწინებაში X ასაკის დედების მიერ დაბადებული ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა; $W_x^m$ – ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა X ასაკში, S – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

ბ.შ.ჰ.მ. ახასიათებს აგრეთვე მოსახლეობის საქორწინო-ასაკობრივ სტრუქტურას შობადობის სოციალურ-ბიოლოგიური პოტენციალის მიხედვით, ხოლო ფაქტობრივი შობადობის მაჩვენებლის გადახრა მისი ბუნებრივი მინიმუმის დონისაგან, რეალურ წარმოდგენას იძლევა შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხზე.

ბ.შ.ჰ.მ-ის მეთოდი შემუშავებული იქნა დემოგრაფ ვ. ბორისოვის მიერ 1976 წ.

**ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი მოდიფიცირებული** – ტრადიციულისაგან განსხვავებით, მოდიფიცირებულ ვარიანტში, დამატებით შეტანილ იქნა სტანდარტი 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის – 224‰, რაც შესაბამისი არსებული მდგომარეობის უფრო ზუსტად ასახვის შესაძლებლობას იძლევა.

ბ.შ.ჰ.მ.მ. ვარიანტისა და ბორისოვის მოდიფიცირებული ინდექსის გასაანგარიშებლად იგივე ფორმულებია გამოსადეგი,





რაც ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმისა და ბორისოვის ინდექსის (იხ.) ტრადიციული ვარიანტებისათვის.

ბ.შ.ჰ.მ.მ. მეთოდისათვის 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის სტანდარტი შემოთავაზებულ იქნა ე. გაჩეჩილაძის,გ. მელაძისა და გ. წულაძის მიერ 1998 წელს.

# გ

**გადამეტმოსახლეობა** – ჭარბმოსახლეობა, ჭარბი მოსახლეობა. მოსახლეობის გარკვეული სიჭარბე არსებობის საშუალებათა წარმოების მოცემულ წესთან შედარებით. გ. ინდუსტრიამდელ ეპოქაში დაკავშირებული იყო მოსახლეობის ბუნებრივ მატებასთან, მის აბსოლუტურ ზრდასთან. ინდუსტრიულ ეპოქაში იწყება გ-ის ახალი სახეობის აღმოცენება შრომისუნარიანი გ., რომელიც უშუალოდ არ განისაზღვრება მოსახლეობის აღწარმოების პარამეტრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანსხვავებენ აბსოლუტურ და შეფარდებით გ-ს.

**გადასახლება** – 1) იგივეა, რაც მოსახლეობის მიგრაცია (იხ. მოსახლეობის მიგრაცია). 2) სასჯელის სახე, რომელიც გულისხმობს მსჯავრდებულის იძულებით გაძევებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან და სხვა განსაზღვრულ ადგილზე მის სავალდებულო დასახლებას.

**გამოკვლევის ბლანკი** – სტატისტიკური ფორმულარი, იმ სახის კითხვებზე მიღებული პასუხების ჩასაწერად, რომელიც შეტანილია გამოკვლევის პროგრამაში. გ.ბ-ს განეკუთვნება მოსახლეობის აღწერის ფურცელი, სხვადასხვა სახის ანკეტები და სხვა.

**გამოკითხვა** – გამოსაკითხ პირთაგან ინფორმაციის მიღების მეთოდი. გ. გამოიყენება სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა კვლევებისას. გ–ის მიზანია: ინფორმაციის მიღება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზრის და მოვლენების, აგრეთვე ობიექტური ფაქტების, შემთხვევების, პროცესების და სხვ. შესახებ.

გამოსაკითხ პირებს წერილობით ან ზეპირად ეძლევათ კითხვები, რომელთა ფორმულირება ერთნაირია ყველა გამოსაკითხისათვის, წინასწარ არის დადგენილი და გაერთიანებულია გამოკვლევის თემით.

გ–ისას მკვლევარსა და გამოსაკითხ პირს შორის მყარდება უშუალო (ინტერვიუ) ან გაშუალებული (ანკეტირება)

ურთიერთკავშირი.

**განაყოფიერება** – სასქესო უჯრედების (გამეტების) შერწყმა, რის შედეგადაც წარმოიქმნება ზიგოტა (იხ. ზიგოტა).

**განაყოფიერების უნარი** – დემოგრაფიაში ბავშვთა შობის ფიზიოლოგიური შესაძლებლობა, შთამომავლობის ყოლის უნარი.

**განივი (კვეთური) ანალიზი** – დემოგრაფიული პროცესების შესწავლის ხერხი, დაფუძნებული დემოგრაფიული მოვლენების მაჩვენებლების სიხშირის ინტერპრეტაციაზე. მიიღება რომელიმე დემოგრაფიული მდგომარეობისათვის, გარკვეული პერიოდისათვის (ჩვეულებრივ 1-2 წ.), როგორც ასეთი მოვლენების სიხშირეების თანმიმდევრობითი ნაკრები კოჰორტის (თაობის) სიცოცხლის მანძილზე. მოსახლეობაში, ნებისმიერი მომენტისათვის, არიან ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მოცემული მდგომარეობის ყოველი ინტერვალის ხანგრძლივობაში (მაგ., ყოველ ასაკობრივ ინტერვალში). მოცემული წლის განმავლობაში მათი ნაწილისათვის ადგილი აქვს რომელიმე დემოგრაფიულ შემთხვევას (მაგ., იბადებიან ბავშვები). დემოგრაფიული შემთხვევების მაჩვენებლების სიხშირეები ინტერვალების მიხედვით, გამოთვლილი ამ პერიოდისათვის, მოიცავენ მოცემული მდგომარეობის მთელ მნიშვნელობას (მაგ., შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ქალებისათვის ფერტილური პერიოდის პირველიდან ბოლო წლამდე).

გ.ა-სას ასეთ სიხშირეთა რიგი მომდევნო მოცემული დემოგრაფიული მდგომარეობის მნიშვნელობისათვის (მაგ., მომდევნო ასაკისათვის) განიხილება როგორც დამახასიათებელი რომელიმე წარმომადგენელი ჰიპოთეზური თაობისათვის. ასეთი თაობის სიცოცხლის მანძილზე, განხილულ დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირე ისეთად არის მიჩნეული, როგორც მოცემულ პერიოდში.

გ.ა. ფართოდ არის გავრცელებული დემოგრაფიაში. მოცემული კალენდარული პერიოდისათვის დამახასიათებელი გამოქვეყნებული დემოგრაფიული მაჩვენებლების უმრავლესობა (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები და სხვა) ჩვეულებრივ ჰიპოთეზური თაობის მახასიათებლებია და არა რეალური თაობის. რა თქმა უნდა ისინი წარმოდგენას იძლევიან დემოგრაფიული პროცესების მდგომარეობაზე, მაგრამ ემთხვევიან რეალური თაობის შესაბამის მაჩვენებლებს მხოლოდ სტაბილურ მოსახლეობაში.

გ.ა-ის მეთოდი ჩამოყალიბდა XIX ს. მეორე ნახევარში.





**განსახლება** – იხ. მოსახლეობის განსახლება.

**განსახლების არეალი** – მოსახლეობის გავრცელების, მისი კონცენტრაციის ტერიტორია, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით არის ათვისებული.

**განსახლების სისტემა** – ტერიტორიულად მთლიან და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ დასახლებათა ერთობლიობა. გ.ს. ხასიათდება როგორც მასში შემავალ დასახლებათა პარამეტრებით, ასევე დასახლებებს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიკური კავშირებით და შემადგენლობით. გ.ს. ამოსავალი ცნებაა მოსახლეობის განსახლების კვლევისას (იხ. მოსახლეობის განსახლება).

დემოგრაფიული მიდგომა განაპირობებს დასახლებათა შორის მოსახლეობის სხვადასხვა ხასიათის გადაადგილების (შრომითი, კულტურულ-ყოფითი, რეკრეაციული და სხვა) გამოყოფასა და შესწავლას. რომელიმე გ.ს-ის დასახლებათა შორის კავშირების ინტენსივობა უფრო მაღალია, ვიდრე გ.ს-ის დასახლების კავშირი მასში არშემავალ დასახლებებთან. კავშირების ინტენსივობა წარმოადგენს გ.ს-ის საზღვრებისა და განვითარების დონის განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმს. გ.ს-ის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მონოცენტრიზმი, ე.ი. ცენტრის (როგორც წესი ქალაქის) არსებობა, რომლის გარშემო ყალიბდება გ.ს.

**განქორწინება** – 1) ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების შედეგად საქორწინო წყვილების დაშლის პროცესი.

გ. რთული სოციალური პროცესია. გ-ის დონე განისაზღვრება მრავალი გარემოებით, რომელთა შორის წამყვანი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მოცემული ეტაპისათვის დამახასიათებელ სოციალურ-კულტურულ ნორმებს, ქორწინების გაბატონებულ ნორმებს, ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში, ოჯახის ცხოვრების წესს და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვეყანაში მოქმედ ქორწინების გაუქმებასთან (განქორწინებასთან) დაკავშირებულ კანონმდებლობას.

დემოგრაფია გ-ს განიხილავს როგორც მოსახლეობის საქორწინო და საოჯახო სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს, მის ურთიერთკავშირს სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან და მის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიას აინტერესებს არა ქორწინების გაუქმების ცალკეული შემთხვევები, არამედ ასეთ შემთხვევათა ერთობლიობა საქორწინო კოჰორტებში.

გ-ის მაჩვენებლებად გამოიყენება განქორწინების სხვადასხვა

სახის კოეფიციენტები, განქორწინების ცხრილები და სხვა.

გ-ის ინტენსივობა, ჩვეულებრივ, ქალაქის მოსახლეობაში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლისაში; დიდ ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე მცირეში. გ-ის დონის ზრდას ხელს უწყობს მოსახლეობის სტრუქტურაში სქესთა მკვეთრი დისპროპორცია, ჰეტეროგამური ქორწინებები, მეუღლეების ასაკს შორის დიდი განსხვავება, უნაყოფობა ან შეგნებული უშვილობა, მცირეშვილიანობა და სხვა.

2. ქორწინების გაუქმება (იხ. ქორწინების გაუქმება).

**ბანქორწინების აქტი** – ქორწინების გაუქმებასთან დაკავშირებული ქმედება, რომელიც ეხება ადამიანის მოქალაქეობრივ-სამართლებრივ მდგომარეობას. გ.ა-ს რეგისტრაცია წარმოებს სარგ-ის ორგანოებში.

გ.ა-ს დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს როგორც იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც წარმოებს დემოგრაფიული შემთხვევის მიმდინარე აღრიცხვა.

**ბანქორწინებულები** – პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ ქორწინებაში და რომელიც შეწყდა ქორწინების გაუქმების შედეგად და ეს მდგომარეობა იურიდიულად არის გაფორმებული. ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთი კატეგორია.

**ბანშორებულები** – პირები, რომლებმაც ფაქტობრივად შეწყვიტეს ქორწინება, თუმცა ქორწინება, ან მისი შეწყვეტა არ იყო იურიდიულად გაფორმებული. ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთი კატეგორია.

**ბანწყობა** – მზაობა გარკვეული მოქმედებისათვის. არსებობს გ-ის განსხვავებული ცნებები: მოტორული გ. გულისხმობს ადამიანის მოტორული სისტემის მზაობას მოქმედებისათვის; ფსიქოლოგიური გ. – ცნობიერების მზადყოფნას ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესისათვის; სოციალური გ. – ადამიანის განსხვავებულ დამოკიდებულებას სოციალურ ფასეულობათა მიმართ, რის გამოც განსხვავებულია მათი სოციალური აქტივობაც. შემეცნებითი პროცესების შესწავლისას გ. გამოხატავს ფიქსირებული, რიგიდული წესით მოქმედების ტენდენციას.

დ. უზნაძის გ-ის ცნებაში იგულისხმება ინდივიდის “აწყობა” ყოველგვარი აქტივობის განსახორციელებლად.

**ბანწყობა სოციალური** – განწყობის ერთ-ერთი სახე, პიროვნების მთლიანი ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, რომელიც ადამიანს სოციალური მნიშვნელობის მქონე საქმიანობისკენ წარმართავს. შინაარსობრივი თვალსაზრისით, გ.ს-ის





თავისებურება ის არის, რომ იგი სოციალურ ფასეულობებზეა მიმართული. ადამიანს უმუშავდება გ.ს. მორალური ქცევის ნორმების, ტრადიციების, იდეოლოგიის და სხვა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მიმართ.

გ.ს-ის ერთ-ერთი ძირითადი ფსიქოლოგიური თავისებურება ის არის, რომ იგი აღნიშნულ სოციალურ ფასეულობათა მიმართ პიროვნების ორგვარ (დადებით და უარყოფით) დამოკიდებულებაში ვლინდება – პიროვნებას ექმნება ტენდენცია შეიწყნაროს ან უკუაგდოს აღნიშნული ფასეულობანი, დაიცვას ისინი ან ებრძოლოს მათ.

**ბანწყობის თეორია** – დ. უზნაძის მიერ ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად შემუშავებული თეორია. დ. უზნაძემ ფსიქოლოგიაში პირველად დაამუშავა ე.წ. ფიქსირებული განწყობის მეთოდი და შესაძლებელი გახადა განწყობის ბუნების შესწავლა იმ როლის საფუძველზე, რომელსაც ის თამაშობს ილუზიის წარმოებაში, მის მიმდინარეობასა და ჩაქრობაში. ფიქსირებული განწყობის მეთოდით შესწავლილ იქნა განწყობის სხვადასხვა განზომილება, დადგინდა განწყობის სახეები. იმავე დროს გაირკვა, რომ ამა თუ იმ ინდივიდს ახასიათებს განწყობის ცალკეულ განზომილებათა სხვადასხვაგვარი ერთობლიობა.

განწყობა მთლიანობითი მდგომარეობაა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ინდივიდის ყველა სხვა დიფერენცირებული პროცესისა და ფსიქიკური თავისებურებებისაგან. გ.თ-ის მიხედვით, განწყობის წარმოქმნის ფაქტორებია მოთხოვნილება და სიტუაცია. მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის თანხვდომის შედეგად წარმოიქმნება განწყობა გარკვეული ქცევის შესრულებისადმი. ამრიგად, ქცევა წარმოდგენილია როგორც განწყობის ფაქტორებით განსაზღვრული და ამავე დროს მიზანმიმართული მოქმედება.

გ.თ-ის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა შ. ნადირაშვილმა.

**გარდაცვალების ალბათობა** – მოკვდაობის ცხრილების მაჩვენებელი. წარმოადგენს გარდაცვლილთა წილს მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში ცოცხლად დარჩენილთა რაოდენობიდან ამ ინტერვალის დაწყებამდე. მოკვდაობის სრულ ცხრილებში გ.ა. გამოიანგარიშება ერთწლიანი ასაკობრივი ინტერვალისათვის, ხოლო მოკვდაობის მოკლე ცხრილებში – ხუთწლიანი ან ათწლიანი ასაკობრივი ინტერვალებისათვის. g.a. Cveu l eb r iv aRini Sneba $_{\tau}q_{x}$-ით, სადაც x - ასაკი, რომელიც შეესაბამება ინტერვალის დასაწყისს, τ – ასაკობრივი ინტერვალის სიგრძე (τ = 1 შემთხვევაში ეს ინდექსი აღარ მიეთითება). თუ $m_x$ – მოკვდაობის კოეფიციენტი X ასაკობრივი ჯგუფისათვის, მაშინ გ.ა. გამოიანგარიშება ფორმულით:

$$q_x = \frac{2m_x}{2 + m_x}$$

**გარდაცვალების აქტი** – ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ქმედება, რომელიც ეხება ადამიანის მოქალაქეობრივ-სამართლებრივ მდგომარეობას. გ.ა-ის რეგისტრაცია წარმოებს სარ (სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია) ორგანოებში.

გ.ა-ს დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, როგორც იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც წარმოებს დემოგრაფიული შემთხვევის (გარდაცვალების) მიმდინარე აღრიცხვა.

**გარდაცვალების წერტილი** – დემოგრაფიულ ბადეზე გარდაცვალების პირობითი გამოსახულება. გ.წ-ს შეესაბამება ადამიანის სიცოცხლის დასრულების მომენტი. გ.წ-ით მთავრდება სიცოცხლის ხაზი (იხ. ხაზი სიცოცხლისა, აგრეთვე შემთხვევის წერტილი).

**გარდაცვლილთა ერთობლიობა** – დემოგრაფიულ სტატისტიკაში ანსხვავებენ გ.ე-ის სამ ძირითად სახეს. პირველი სახის ერთობლიობას განეკუთვნებიან ისინი, რომლებიც დაიბადნენ რომელიმე პერიოდის მანძილზე და გარდაიცვალნენ ასაკის გარკვეულ ინტერვალში. გ.ე-ის მეორე სახე აერთიანებს გარკვეულ პერიოდში დაბადებულებიდან დროის რომელიმე შუალედის მანძილზე გარდაცვლილებს, ხოლო გ.ე-ის მესამე სახე – ასაკის გარკვეულ ინტერვალში რომელიმე კალენდარული პერიოდის მანძილზე გარდაცვლილებს.

**გარემო** ბიოგრაფიული – საზოგადოების გარემომცველი დედამიწის ბუნებრივი გარემოს ნაწილი, რომელიც ასე თუ ისე გარდაქმნილია ადამიანის მიერ და რომელთანაც საზოგადოება უშუალოდაა დაკავშირებული თავისი შრომითი საქმიანობით. დედამიწის ბუნებრივი გარემო მხოლოდ საზოგადოების გაჩენამ აქცია გ.გ-ად და ისიც მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც საზოგადოება ცხოვრობს.

ბუნებრივი გარემოს ის ელემენტები, რომლებიც ბუნებრივი ნივთიერებებისაგან არის შექმნილი ადამიანის ხელით, მაგრამ არა აქვს თვითგანვითარების უნარი, გ.გ-ს არ შეადგენს (ქალაქები, ქარხნები, ჰესები და ა.ს).

**გარემო** სოციალური – ადამიანის გარემომცველი და მისი ფორმირების, არსებობისა და საქმიანობისათვის საჭირო





საზოგადოებრივ, მატერიალურ და სულიერ პირობათა ერთობლიობა.

ფართო გაგებით (მაკროგარემო) გ.ს. მოიცავს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემას მთლიანობაში – საწარმოო ძალებს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ინსტიტუტების ერთობლიობას, საზოგადოებრივ ცნობიერებას, მოცემული საზოგადოების კულტურას. გ.ს. ვიწრო გაგებით (მიკროგარემო), როგორც მთლიანი გ.ს-ის ელემენტი შეიცავს უშუალოდ ადამიანის სოციალურ გარემოცვას – ოჯახს, შრომით, სასწავლო და სხვა კოლექტივებსა და ჯგუფებს.

**გარეუბანი** – მსხვილი ქალაქის მახლობლად განლაგებული დასახლება, რომელიც მიზიდულია მისკენ სამეურნეო, კულტურულ-ყოფითი, შრომითი და სხვა თვალსაზრისით.

**გაუთხოვრები** – ქალები, რომლებიც ჯერ არ გათხოვილან, რომლებსაც ქმარი არა ჰყოლიათ.

**გენერაციის პერიოდი** – იხ. ფერტილური პერიოდი.

**გენეტიკა** – მეცნიერება ორგანიზმთა მემკვიდრულობისა და ცვალებადობის კანონების შესახებ. მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეიმუშაოს მემკვიდრეობის მართვისა და მემკვიდრული ცვალებადობის მეთოდები იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას ადამიანისათვის საჭირო ფორმები, ან წარიმართოს მათი ინდივიდუალური განვითარება.

თანამედროვე გ-ის ფუძემდებლად ითვლება ჩეხი მეცნიერი გ.მენდელი.

თანამედროვე გ-ის მიხედვით მემკვიდრულობა ყველა ორგანიზმის თვისებაა და უზრუნველყოფს მშობელთა ნიშან-თვისებების შთამომავლობაში გადაცემას. ორგანიზმის მემკვიდრულ თავისებურებათა განმაპირობებელი ფაქტორები ძირითადად თავმოყრილია უჯრედის ბირთვის სტრუქტურებში – ქრომოსომებში.

**გენი** – მემკვიდრულობის ელემენტარული ერთეული – დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ-ს; ზოგ ვირუსში - რიბონუკლეინის მჟავას, რნმ-ს) მონაკვეთი, რომელიც განსაზღვრავს უჯრედში ცილის ერთი მოლეკულის სინთეზს და ამით მონაწილეობს ნიშან-თვისებათა ფორმირებაში.

**გენოტიპი** – ორგანიზმის ქრომოსომებში ლოკალიზებული ყველა გენის ერთობლიობა.

**გენოფონდი** – სახეობის მთელი დასახელების ან ცალკეული პოპულაციის ორგანიზმთა გენების სხვადასხვა ფორმის ერთობლიობა.

**გენოციდი** – რასობრივი, ეროვნული და რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს.

**გეოგრაფიული დეტერმინიზმი** – კონცეფცია, რომელიც ხსნის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ქვეყნის ან რეგიონის ბუნებრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით. გ.დ-ის წარმომადგენლები გეოგრაფიულ გარემოს ან მის ცალკეულ ელემენტებს მიიჩნევენ საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებად.

**გეოგრაფიული პოსიბილიზმი** – გეოგრაფიის მიმართულება, რომელიც განიხილავს გეოგრაფიულ გარემოს, როგორც ადამიანთა საქმიანობის შემზღუდველ და ცვალებადობის საწყისს. ამავე დროს, განვითარების ამა თუ იმ გზის არჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ პირობებს. წარმოებული "არჩევის" შედეგად ყალიბდება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის გარკვეული მიმართულება, იქმნება ესა თუ ის კულტურული ლანდშაფტი. ამასთან, გეოგრაფიული ვითარება, სადაც მიმდინარეობს "არჩევა", წარმოდგება როგორც წინასწარ მოცემული და უცვლელი. გ.პ. წარმოიქმნა XIX და XX ს. საზღვარზე.

**გეოდემოგრაფია** – გეოგრაფიული დემოგრაფია, მიმართულება, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული პროცესებისა და განსახლების სისტემების სტრუქტურების ურთიერთკავშირსა და მათი გამვითარების კანონზომიერებებს.

**გეოპოლიტიკა** – კონცეფცია, რომლის თანახმად სახელმწიფოს პოლიტიკა, განსაკუთრებით საგარეო, ძირითადად წინასწარ განსაზღვრულია სხვადასხვა გეოგრაფიული ფაქტორებით: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი რესურსებით, კლიმატური პირობებით, მოსახლეობის სიმჭიდროვით, მოსახლეობის მატების ტემპით და ა.შ

გ-ის ძირითადი დებულებები, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, ჩამოყალიბებულ იქნა ფ. რატცელის (გერმანია), ა. მეჰენის (აშშ), ჰ. მაკინდერის (დიდი ბრიტანეთი), რ. ჩელენის (შვედეთი) მიერ. ტერმინი "გ." შემოღებულ იქნა რ. ჩელენის მიერ 1916 წელს.

**გერი** – უკანასკნელ ქორწინებამდე ცოლის ან ქმრის შვილი მეორე მეუღლის მიმართ.





**გერიატრია** – გერონტოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიბერის დაავადებებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, თავისებურებებს და მკურნალობის მეთოდებს.

**გერონტოლოგია** – მეცნიერება სიბერის შესახებ, რომელიც შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების, მათ შორის ადამიანის დაბერების პროცესებს. გ-ის შემადგენელი ნაწილებია: გერიატრია (იხ. გერიატრია), გეროჰიგიენა (მოძღვრება უფროსი ასაკობრივი ჯგუფების ადამიანთა ჰიგიენაზე) და გერონტოფსიქოლოგია (შეისწავლის ხანშესულთა და მოხუცთა ფსიქიკასა და ქცევას).

**გვარი** – 1) სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან საერთო (რეალურ ან მითიურ) წინაპარს უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ. გ-ში დაცული იყო ეგზოგამია. გ. წარმოიშვა პირველყოფილ ადამიანთა ჯოგიდან ქვედა პალეოლითისა და ზედა პალეოლითის მიჯნაზე. ეგზოგამიის წესის თანახმად, გ-ს არ შეეძლო დამოუკიდებელი არსებობა და ტომში იყო გაერთიანებული.

2) დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გარდამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს. არსებული კანონმდებლობით, დაქორწინების დროს მეუღლეებს შეუძლიათ საერთო გ-ად აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გ., დატოვონ თავიანთი ქორწინებამდელი გ., ანდა თავის გ-ს შეუერთონ მეუღლის გ.; თუ მშობლებს საერთო გ. არა აქვთ, შვილს მშობლების შეთანხმებით ან დედის გ. მიეკუთვნება, ან მამისა. განქორწინების შემთხვევაში მეუღლეს უფლება აქვს დაიტოვოს ქორწინებისდროინდელი გ., ან აღიდგინოს ქორწინებამდელი გ. მშობლების განქორწინების შემთხვევაში შვილს გ. არ ეცვლება.

**გომპერც-მეიკჰემის ფორმულა** – ადგენს კავშირს ასაკსა და მოკვდაობის ინტენსივობას შორის მოცემულ ასაკში. ბ.-მ.ფ. გამოიყენება მოკვდაობის ცხრილებში უფროსი ასაკისათვის მაჩვენებლების გათანაბრებისა და ექსტრაპოლაციის გაანგარიშებისას, როდესაც მოკვდაობის ცხრილის მაჩვენებლების პირდაპირი გაანგარიშება გართულებულია. გ.-მ.ფ-ს აქვს შემდეგი სახე:

$$\ln p_x = A_0 + B_0 c^x,$$

სადაც $p_x$ - რომელიმე $x$ ასაკს მიღწეული ადამიანისათვის

კიდევ ერთი წლის სიცოცხლის ალბათობა; $A_0=-a$; $B_0 = \frac{1-c}{\ln c} \cdot b$; a,b,c ფორმულის პარამეტრებია. იმ ასაკში, სადაც ისინი სანდოა, მათი გამოთვლა წარმოებს $p_x$ ალბათობის საფუძველზე, სხვა ასაკში კი $p_x$ გაიანგარიშება მოტანილი ფორმულის მიხედვით.

# დ

**და** – ერთი დედ-მამის ქალიშვილი სხვა შვილების მიმართ.

**დაავადმყოფება** – ავადმყოფობის გავრცელება მოსახლეობაში ან მის ცალკეულ ჯგუფებში.

**დაბა** – 1) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ქალაქის ტიპის პატარა დასახლებული პუნქტი (საკურორტო დ., სააგარაკო დ. და სხვა.)

2) ძველი ქართული ტერმინი დასახლებული პუნქტის – სოფლის (დღევანდელი მნიშვნელობით) აღსანიშნავად. სვანური შესატყვისი ტერმინი ხნულს ნიშნავს. ჩანს, თავდაპირველად დ. იხმარებოდა დამუშავებული მიწის – ნახნავის მნიშვნელობით.

**დაბადებათა ისტორია** – ქალის მიერ სიცოცხლის განმავლობაში ყველა ცოცხლად დაბადებულის ჩამონათვალი მათი დაბადების თარიღებისა და სქესის მითითებით.

**დაბადების აქტი** – დაბადებასთან დაკავშირებული ქმედება, რომელიც ეხება ადამიანის მოქალაქეობრივ-სამართლებრივ მდგომარეობას. დ.ა-ის რეგისტრაცია წარმოებს სარ ორგანოებში.

დ.ა-ს დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან წარმოადგენს იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე წარმოებს დემოგრაფიული შემთხვევის მიმდინარე აღრიცხვა.

**დაბადების რიგითობა** – დაბადების დახასიათება, რომელიც მიუთითებს, თუ რიგით მერამდენე შვილი გაუჩნდა დედას. დ.რ-ს განასხვავებენ ქალის მიერ ყველა მშობიარობის დროს ან მხოლოდ მოცემულ ქორწინებაში ან კიდევ ცოლ-ქმრული ცხოვრების მთელი დროის მანძილზე გაჩენილი





ბავშვების მიხედვით.

დემოგრაფიული ანალიზისას დ.რ. განიხილება ყველა დაბადების ერთობლიობის მიმართ რეალურ ან ჰიპოთეზურ კოჰორტაში ქალის დაბადების წილის ან საქორწინო კოჰორტის მიხედვით.

დ.რ. აღირიცხება დაბადების აქტის ჩაწერისას პირდაპირ დასმულ კითხვაზე პასუხით – "რიგით მერამდენე ბავშვია დედისათვის ახლად დაბადებულთა ჩათვლით (გარდაცვალებულ ბავშვთა ჩათვლით და მკვდრად დაბადებულ ბავშვთა ჩაუთვლელად)". პასუხით დ.რ. მიიღება აგრეთვე მოსახლეობის აღწერების, ანამნეზური და სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისას.

**დასახლება (დასახლებული პუნქტი)** – მოსახლეობის გაერთიანება განაშენიანებული მიწის ნაკვეთზე. დ-ის აუცილებელი პირობაა მისი მუდმივი გამოყენება სამოსახლოდ.

**დასახლებათა (დასახლებულ პუნქტთა) კლასიფიკაცია** – იხ. დასახლებათა (დასახლებულ პუნქტთა) ტიპოლოგია.

**დასახლებათა (დასახლებულ პუნქტთა) ტიპოლოგია** – დასახლებათა ჯგუფი, რომლებიც გამოყოფილია ერთი ან რამდენიმე არსებითი ნიშნის ერთობლიობის საფუძველზე. დ.ტ-ის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ნიშანია თითოეული დასახლების სამეურნეო მნიშვნელობა. სხვა მნიშვნელოვანი ნიშნებია: დასახლების ხალხმრავლობა, მისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, განვითარების ისტორიული თავისებურებები და სხვა. დასახლებათა ორი ძირითადი ტიპი – საქალაქო და სასოფლო, როგორც წესი, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან ფუნქციის სტრუქტურისა და ხალხმრავლობის მიხედვით.

**დასახლებათა (დასახლებულ პუნქტთა) ჭსელი** – ადამიანთა ბინადრობის რომელიმე ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დასახლებული პუნქტის ერთობლიობა.

**დასახლებათა (დასახლებულ პუნქტთა) ხალხმრავლობის სკალა** – დასახლებათა კლასიფიკაციის სისტემა მათი ხალხმრავლობის მიხედვით. არსებობს სხვადასხვა დ.(დ.პ.)ხ.ს. ქალაქთმშენებლობის პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა შემდეგი სკალა: მცირე ქალაქები – 50 ათას მცხოვრებლამდე, საშუალო ქალაქები - 50-100 ათასი მცხოვრები, დიდი ქალაქები – 100-250 ათასი მცხოვრები, მსხვილი ქალაქები - 250--500

ათასი მცხოვრები, უმსხვილესი ქალაქები – 500 ათასი - 1 მილიონი მცხოვრები, ქალაქი მილიონერები – 1 მილიონ მცხოვრებზე მეტი.

**დასახლების (დასახლებული პუნქტის) ხალხმრავლობა** – დასახლების სიდიდე, მისი მცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით.

**დასახლებულობის ცენტრი** – ახასიათებს ქვეყნის ან რაიონის მოსახლეობის განლაგებას. დ.ც. გამოითვლება იმის ანალოგიურად, როგორც სიმძიმის ცენტრი მექანიკაში. დ.ც. იმყოფება წერტილში, რომლის გეოგრაფიული კოორდინატები გამოიანგარიშება როგორც საშუალოები ქვეყნის ან რაიონის ცალკეული ტერიტორიული ქვედანაყოფების (შესაძლებლობისამებრ წვრილი) ცენტრების კოორდინატებისაგან შეწონილს მათი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ტერიტორიულ ქვედანაყოფებს წარმოადგენენ: 1) ამოსავალი რაიონები – მცირე ტერიტორიული ერთეულები, რომელთა ფარგლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე თანაბრად შეიძლება ჩაითვალოს;

2) "განსაკუთრებული წერტილები" – მსხვილი დასახლებები, რომელთა ფარგლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მეზობელ რაიონებში. დაუსახლებელი ტერიტორიები და ვრცელი წყლიანი აუზები "ნულოვან მოედანს" განეკუთვნებიან, ისინი გამოირიცხებიან "ამოსავალი რაიონების" რიცხვიდან და არ გაითვალისწინებიან დ.ც. განსაზღვრისას.

**დაუქორწინებლები** – პირები, რომლებიც არასდროს ყოფილან ქორწინებაში. ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთი კატეგორია.

**დაქვრივება** – ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის შედეგად გამოწვეული ქორწინების შეწყვეტა. დ-ის შედეგად იცვლება გათხოვილი ქალის ან ცოლიანი მამაკაცის ქორწინებითი მდგომარეობა. დ., განქორწინებასთან ერთად, დემოგრაფიაში განიხილება როგორც კოჰორტაში ქორწინების შეწყვეტის გამომწვევი მიზეზი და მოსახლეობისა და ოჯახის აღწარმოების ერთ-ერთი კომპონენტი. დ-ის შესწავლა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოკვდაობის კვლევასთან. სხვა დემოგრაფიული პროცესებისაგან განსხვავებით, დ-ის სიხშირე განისაზღვრება მდგომარეობით, რომელიც შეემთხვათ არა მოცემულ, არამედ სხვა ადამიანებს. განასხვავებენ ქორწინების შეწყვეტას ქმრის სიკვდილისა (ქალთა დ.) და ცოლის სიკვდილის (მამაკაცთა დ.) შედეგად. დ-ის დემოგრაფიული მნიშვნელობა ის არის, რომ კანონმდებლობითი, რელიგიური და სხვა ნორმების შესაბამისად, როგორც წესი, დაქვრივებული მეუღლე კვლავ შეიძლება დაქორწინდეს (გამონაკლისია - ინდუიზმში ქვრივი ქალების დაქორწინების დაგმობა). დ-ის სიხშირე განისაზღვრება ქორწინებაში მყოფი მოპირდაპირე სქესის პირთა მოკვდაობის დონით.





იგი დამოკიდებულია მოკვდაობის სტრუქტურაზე და განსხვავებულია მამაკაცისა და ქალისათვის. სხვადასხვა ქვეყნისათვის ის მნიშვნელოვან ფარგლებში მერყეობს და მცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად.

ინფორმაცია დ-ის შესახებ მიიღება მოკვდაობის მიმდინარე აღრიცხვის, მოსახლეობის აღწერებისა და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

**დაქვრივების ალბათობა** – დაქვრივების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. დ.ა. წარმოადგენს დაქვრივების ცხრილების ძირითად მაჩვენებელს (იხ. ცხრილები დაქვრივებისა). დ.ა. ქალებისათვის, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისათვის. დ.ა. მამაკაცებისათვის ან ქალებისათვის შეიძლება შემცირდეს ძირითადად საპირისპირო სქესის პირთა მოკვდაობის დონის კლების ან განქორწინების ზრდის შედეგად.

მეუღლეების ასაკისა და ქორწინების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად მატულობს დ.ა. ამასთან, ის მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტია სხვაობა მეუღლეების ასაკს შორის.

**დაქორწინებულები** – პირები, რომლებიც ქორწინებაში იმყოფებიან. ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთი კატეგორია.

**დედა** – ქალი თავისი შვილ(ებ)ის მიმართ.

**დედათა და ბავშვთა დაცვა** – სახელმწიფო, სოციალური და სამედიცინო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელი და ყოველმხრივ განვითარებული შთამომავლობის აღწარმოებას. დ.დ.ბ.დ. დემოგრაფიული პროცესებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. იგი ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ და სულიერ განვითარებას და სხვა.

**დედამთილი** – ქმრის დედა.

**დედინაცვალი** – მამის ცოლი წინანდელ ცოლთან შეძენილი შვილების მიმართ.

**დედისერთა** – დედ-მამის ერთადერთი შვილი.

**დევნილები** – იხ. იძულებით გადაადგილებული პირები.

**დეზურბანიზაცია** – პროცესი, რომელიც გამოიხატება ქალაქის მოსახლეობის დეკონცენტრაციით და მისი ქალაქს გარეთ განსახლებით. დ. ურბანიზაციის (იხ. ურბანიზაცია) საწინააღმდეგო პროცესია.

**დეიდა** – დედის და.

**დეიდაშვილი** – დეიდის შვილი.

**დემოგრაფია** (ბერძნულად ნიშნავს: დემოს – ხალხი და გრაფო – ვწერ) – მეცნიერება მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ. დ-იული პროცესები განპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარებით.

ტერმინი "დ" პირველად გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა 1855 წელს თავისი წიგნის სათაურში – "ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები ანუ შედარებითი დემოგრაფია". ა. გიიარის განმარტებით დემოგრაფია ესაა "ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია". ტერმინმა "დ" ოფიციალური აღიარება მოიპოვა ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესის ჟენევის სესიაზე 1882 წელს; გავრცელება ჰპოვა XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში. თავდაპირველად ტერმინი "დ" გამოიყენებოდა როგორც მოსახლეობის სტატისტიკის სინონიმი.

ცნობები მოსახლეობის შესახებ უძველესი დროიდან იყო ცნობილი. მაგრამ მოსახლეობის განვითარების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერული კვლევა XVII ს. იღებს დასაწყისს. მის ფუძემდებლად მიჩნეულია ინგლისელი ჯონ გრაუნტი, რომლის ავტორობითაც 1662 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი "ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი მოკვდაობის ბიულეტენთა საფუძველზე".

დ-ის საგნის გაგება და შინაარსი იცვლებოდა ცოდნის გაღრმავებისა და მეცნიერების დიფერენციაციასთან ერთად. XX ს. შუა პერიოდში გარკვეულ იქნა, რომ დ. არ დაიყვანება მარტოოდენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის სტატისტიკამდე. შეცნობილ იქნა, რომ დ-ს აქვს თავისი კვლევის სპეციფიკური საგანი, სინამდვილის გარკვეული მხარე, რომელსაც არ შეისწავლის არც ერთი სხვა მეცნიერება; კერძოდ – ადამიანთა თაობის განახლება, ე.ი. შობადობის, მოკვდაობის, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებისა და აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების პროცესების ურთიერთქმედება, რაც მთლიანობაში მოსახლეობის აღწარმოებას განეკუთვნება. იმავე დროს მიგრაცია სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების საგანი, რომელიც შეისწავლის ადამიანთა განსახლება-გადაადგილების კანონზომიერებებსა და მათ ცვალებადობას.

დ. ამუშავებს დემოგრაფიული პროცესებისა და დემოგრაფიული სტრუქტურების აღწერილობის, ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდებს. პრაქტიკულად დემოგრაფიული კვლევის სფეროში შედის დემოგრაფიული ვითარების აღწერილობა, ქვეყანაში, მის ცალკეულ რაიონებში ან მოსახლეობის ჯგუფებში დემოგრაფიული ტენდენციებისა და





ფაქტორების ანალიზი. სხვადასხვა თაობაში, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებსა და ზოგადად მოსახლეობაში დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების შესწავლის საფუძველზე, დ. აფასებს მათ შესაძლებელ ცვალებადობას მომავალში და შეიმუშავებს დემოგრაფიულ პროგნოზებს.

დ. შეისწავლის არა ცალკეული ადამიანის მახასითებლებსა და მათ ცვალებადობას, არამედ მათ ერთობლიობებს, რომლებსაც გარკვეული მახასიათებლები აქვთ. ასეთი ერთობლიობები ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთგვაროვანია. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დემოგრაფიულ ერთობლიობაში შეიძლება შედიოდნენ არა მარტო ადამიანები, არამედ ოჯახი ან უფრო მსხვილი ისეთი ჯგუფები, როგორიცაა თაობა. ასეთ შემთხვევაში შესწავლის ობიექტი ხდება ჯგუფის სტრუქტურაც.

ცალკეული დემოგრაფიული შემთხვევები – დაბადება, სიკვდილი, ქორწინება და ქორწინების შეწყვეტა დემოგრაფიაში განიხილება როგორც სიმრავლე, როგორც ასეთ შემთხვევათა თანმიმდევრობა, რომელიც თაობის ცხოვრების მანძილზე ხდება. დემოგრაფიულ შემთხვევათა თანმიმდევრობა წარმოქმნის დემოგრაფიულ პროცესებს: შობადობას, მოკვდაობას, ქორწინებას, განქორწინებას, დაქვრივებას და მათი ურთიერთმოქმედების შედეგად მოსახლეობის აღწარმოებას.

არსებული ნორმები და განწყობები განსაზღვრავენ შესაბამის დემოგრაფიულ ქცევას: მატრიმონიალური – ქორწინებაში შესვლა და ოჯახის ფორმირება, რეპროდუქციული – ბავშვთა შობა, თვითშენახვითი – დამოკიდებულება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისადმი.

მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებისა და ზოგადად მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტენდენციების შესწავლა ეფუძნება ისტორიულ პრინციპს. ამ პრინციპის თანმიმდევრული გამოყენება გულისხმობს არა მარტო დემოგრაფიული პროცესების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესწავლას, არამედ დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ტენდენციების გახსნა-გამოვლენასაც. დემოგრაფიული განვითარების ინერციულობა, რომელიც განპირობებულია დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურების ურთიერთგავლენით, განსაზღვრავს დემოგრაფიულ ცვალებადობათა ხანგრძლივობას როგორც კალენდარულ, ისევე ისტორიულ მასშტაბში.

მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა ახსნის მიზნით, დ. იყენებს სხვა მეცნიერებათა ცოდნასა და გამოცდილებას. აქედან გამომდინარე, დ-ს მჭიდრო კავშირი აქვს სხვა მეცნიერებებთან. მოსახლეობის აღწარმოების განხილვა როგორც პროცესისა განსაზღვრავს მის კავშირს ისტორიულ მეცნიერებასთან. დ-ის კავშირი ეკონომიკურ

მეცნიერებებთან გამომდინარეობს დემოგრაფიულ პროცესებზე საწარმოო ძალთა განვითარების დონისა და ეკონომიკური ფაქტორების გავლენით. მოსახლეობის აღწარმოების დამოკიდებულება სოციალურ ინსტიტუტებსა და სოციალურ კავშირებზე განაპირობებს მის კავშირს სოციოლოგიასთან. დემოგრაფიულ ქცევათა სახეობების შესწავლა განსაზღვრავს დ-ის კავშირს ფსიქოლოგიასთან. ზოგიერთი დემოგრაფიული შემთხვევა რეგლამენტირებულია სამართლებრივი ნორმებით, ხოლო დემოგრაფიული პოლიტიკა კანონმდებლობითაც ხდება განმტკიცებული, რაც მიუთითებს დ-ის კავშირს სამართლისმცოდნეობასთან. ადამიანთა განსახლება და მათი გადაადგილება მოქმედებს მოსახლეობის აღწარმოებაზე. ამასთან დემოგრაფიული პროცესები მიმდინარეობენ და განიხილებიან გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის. ეს კი განსაზღვრავს დემოგრაფიის კავშირს გეოგრაფიულ მეცნიერებასთან. დ-ს კავშირი აქვს ასევე მედიცინასთან, ბიოლოგიასთან და სხვა მეცნიერებებთან. აღსანიშნავია დ-ის კავშირი მათემატიკასთან.

დ-ის კავშირმა აღნიშნულ მეცნიერებებთან და ზოგადად დ-ის განვითარებამ განაპირობა თვითონ დ-ში მრავალი დარგის ჩამოყალიბება და განვითარება. ასეთი დარგებია: აღწერილობითი დ., გამოყენებითი დ., ეთნიკური დ., ეკონომიკური დ., თეორიული დ., ისტორიული დ., მათემატიკური დ., პოტენციური დ., რეგიონული დ., სამხედრო დ., სოციოლოგიური დ., დემოგრაფიული სტატისტიკა, გეოდემოგრაფია, პალეოდემოგრაფია და სხვა (იხ. მოცემული ლექსიკონის შესაბამისი ნაწილები). ზოგიერთ შემთხვევაში დ-ის ასეთი დაყოფა დარგების მიხედვით პირობითია.

დ-ის ზემომოყვანილი დარგების ფარგლებში მიმდინარეობს შემდგომი სპეციალიზაციის პროცესი. მაგ., სოციოლოგიურ დემოგრაფიაში – შობადობის სოციოლოგია, ოჯახის სოციოლოგია და სხვა.

ზოგიერთი დემოგრაფის აზრით, ყოველ დემოგრაფიულ დარგს გააჩნია თავისი ე.წ. "სარკისებური წყვილი". მაგ., ეკონომიკურ დემოგრაფიას – დემოგრაფიული ეკონომიკა. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური დემოგრაფიის ძირითადი მიზანია შეისწავლოს ეკონომიკური ფაქტორების გავლენა მოსახლეობის აღწარმოებაზე, ხოლო დემოგრაფიული ეკონომიკის – დემოგრაფიული ფაქტორების როლი ეკონომიკურ განვითარებაში.

**დემოგრაფია** აღწერილობითი – დესკრიფციული დემოგრაფია, დემოგრაფიის დარგი, რომლის მიზანს შეადგენს კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის ტერიტორიაზე მოსახლეობის





განაწილების, დემოგრაფიული პროცესების დონისა და ტენდენციების ზოგადი რაოდენობრივი დახასიათება, აღწერა.

**დემოგრაფია** გამოყენებითი – დემოგრაფიის დარგი, რომლის მიზანია მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ მონაცემების გამოყენება გაანგარიშებათა დასაბუთებისა და პრაქტიკული გადაწყვეტისათვის სოციალურ-ეკონომიკური დაგეგმვის, ქალაქთმშენებლობისა და სხვა სფეროებისათვის, რომელიც ეხება ადამიანთა დიდი მასების ცხოველქმედებას.

**დემოგრაფია** დესკრიფციული – იხ. დემოგრაფია აღწერილობითი.

**დემოგრაფია** ეთნიკური (ეთნოდემოგრაფია) – დემოგრაფიის დარგი ეთნოგრაფიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე. შეისწავლის ხალხების ან ეთნოსების აღწარმოების თავისებურებებსა და რაოდენობის დინამიკას.

დ.ე. თავისი კვლევებისას ძირითადად იყენებს ეთნიკურ სტატისტიკას, მოსახლეობის აღწერის მასალებს, დემოგრაფიული და ეთნოგრაფიული სპეციალური გამოკვლევის შედეგებს და სხვა ისეთი მეცნიერებების მასალებსა და მონაცემებს, როგორიცაა სოციოლოგია, გეოგრაფია, ანთროპოლოგია, მედიცინა და სხვა.

დ.ე. როგორც მეცნიერული დისციპლინა ჩამოყალიბებას იწყებს XX ს. დასაწყისიდან. დ.ე-ის ჩამოყალიბება განაპირობა იმ მდგომარეობამ, რომ დემოგრაფიული ქცევა დაკავშირებულია მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებთან და ადათ-წესებთან. ამასთან, ზოგიერთი დემოგრაფიული პროცესის არსის გაგება შეუძლებელია ეთნოგრაფიული მასალის გამოყენებისა და დემოგრაფიული მონაცემების გარკვეულ ეთნოსთან დაკავშირების გარეშე.

**დემოგრაფია** ეკონომიკური – დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის აღწარმოების ურთიერთკავშირს, დემოგრაფიული პროცესების ხასიათის გავლენას ეკონომიკური ზრდის სტრუქტურასა და პროპორციებზე.

დ.ე-ის მიერ გამოყენებულ ანალიზის სპეციფიკურ ხერხებს შორის აღსანიშნავია – ასაკობრივი ეკონომიკური ცხრილები, ეკონომიკურ-დემოგრაფიული გაანგარიშებები და მათემატიკური ეკონომიკურ-დემოგრაფიული მოდელები.

დ.ე-ის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულად დამუშავების პირველი ცდები XIX ს. შუა პერიოდს განეკუთვნება.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ინგლისელი უ.ფარი და რუსი ა. როსლავსკი-პეტროვსკი. XX ს. 20-იანი წწ. ბოლოს ამერიკელმა მეცნიერმა ა. ჰანსენმა განიხილა მოსახლეობის მატების ტემპის შემცირების უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. XX ს. მეორე ნახევარში დემოგრაფები ა. ლანდრი, ა. სოვი. ჟ. ბურჟუა-პიშა, ლ. ანრი, ე. კოული, კ. ბოულდინგი და სხვები, განიხილავენ წარმოებისა და მოსახლეობის მატების ურთიერთკავშირის პრობლემებს. სადღეისოდ შემუშავებულია "მოსახლეობა-ეკონომიკა" სახის სხვადასხვა მოდელი, რომელშიც მოსახლეობის აღწარმოების პროცესი განიხილება ეროვნული შემოსავლის მოცულობის, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული კალორიებისა და სხვ. მიხედვით.

დ.ე-ის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დემოგრაფიული პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიების შესაძლებელი ეკონომიკური შედეგების ანალიზი.

**დემოგრაფია** თეორიული –დემოგრაფიის დარგი, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ხასიათისა და მასში მიმდინარე ცვლილებების ახსნა, დემოგრაფიული ქცევისა და დემოგრაფიული პროცესებისა და სტრუქტურების ურთიერთგავლენის გარკვევა, აგრეთვე მოსახლეობის აღწარმოების განვითარების ისტორიული ტენდენციებისა და მოსახლეობის აღწარმოების ტიპების შეცვლის კანონზომიერებათა გაგება-განმარტება.

დ.თ-ის შესწავლის ყველა ეტაპის ამოსავალს წარმოადგენს დაწყებული სამუშაო ჰიპოთეზების ფორმულირებიდან მოპოვებული და გაანალიზებული ინფორმაციის განზოგადებამდე.

**დემოგრაფია** ისტორიული – დემოგრაფიის დარგი, რომელიც მოსახლეობის აღწარმოებას ისტორიული თვალსაზრისით შეისწავლის. დ.ი-ის ძირითად მიზანს შეადგენს მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული კანონზომიერებების დადგენა.

დ.ი-ში გამოყოფენ კონკრეტული კვლევის სამ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებას. პირველი – შეისწავლის მოსახლეობის რაოდენობის ისტორიულ დინამიკას, მისი შემადგენლობის ცვალებადობას, სიმჭიდროვეს, განსახლებასა და მიგრაციას. მეორის მიზანია – დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ევოლუციის ყოველმხრივი ანალიზი და მოსახლეობის აღწარმოების ისტორიული ტიპების კვლევა. მესამე მიმართულება დაკავშირებულია დემოგრაფიული განვითარების ისტორიული განპირობებულობისა და ისტორიაში დემოგრაფიული ფაქტორების როლის ერთიანობის ახსნის





ამოცანის გადაწყვეტასთან.

წყაროების მდგომარეობის თვალსაზრისით დ.ი. იყოფა სამ პერიოდად: "დამწერლობამდელი", "სტატისტიკამდელი" და "სტატისტიკური".

დ.ი-ის ანალიზის ელემენტებს ჯერ კიდევ ჯ. გრაუნტის ნაშრომი შეიცავდა (XVII ს.), თუმცა დ.ი–ის ჩამოყალიბება, როგორც მეცნიერული დარგისა, XIX ს. ბოლოს იწყება. პირველად სწორედ ამ პერიოდში იქნა გამოყენებული ტერმინი "დ.ი.", რომელმაც თუმცა ფართო გავრცელება XX ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო.

დ.ი-ში აღსანიშნავია ლ. ანრის,ფ. არიესის,დ. გლასის,ა. ლანდრის, ჯ. ლასლეტის, ჯ. რასელის, დ. შელესტოვის, ჯ. ჰაჯნალისა და სხვა მეცნიერთა შრომები. ამ მხრივ საქართველოში აღსანიშნავია კ. ანთაძის, პ. გუგუშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ვ. ჯაოშვილისა და სხვ. შრომები.

**დემოგრაფია** მათემატიკური – ფორმალური დემოგრაფია, წმინდა დემოგრაფია, დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივ და თვისებრივ კანონზომიერებებს მათემატიკური მეთოდებით დემოგრაფიული მოდელების გამოყენების საფუძველზე.

დემოგრაფიულ გამოკვლევებში დ.მ-ის მეთოდები გამოიყენება: 1) მოსახლეობის სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე დემოგრაფიული პროცესებისა და ცალკეული დემოგრაფიული მაჩვენებლების მიღებისათვის, რომელთა შორის ბევრის სწორი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი დემოგრაფიული მოდელების ფარგლებში; 2) დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებათა შესწავლისას მის ცალკეულ კომპონენტებს შორის კავშირის არსებობის გამოვლენის, გაზომვისა და დასაბუთებისათვის; 3) დემოგრაფიული პროგნოზირებისას, რეტროსპექტული შეფასებებისა და სხვა გაანგარიშებისას, რომელიც ეხება მოსახლეობას; 4) მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ამოცანათა განსაზღვრისა და დაზუსტებისათვის.

თანამედროვე დ.მ. იყენებს მათემატიკური ანალიზის, ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკისა და მათემატიკის სხვა დარგების მეთოდებს.

დ.მ-თან მიკუთვნება განისაზღვრება დემოგრაფიული მოდელის არსებობით.

დ.მ-ის განშტოებას წარმოადგენს პოტენციური დემოგრაფია (იხ. დემოგრაფია პოტენციური).

დ.მ-ის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ჯ. გრაუნტის (1662 წ.) ნაშრომთან. დ.მ-ში აღსანიშნავია დ. ბერნულის (1760 წ.), ი. მიურეს (1764 წ.), ბ. გომპერცის (1825 წ.), ა. კეტლეს (1835 წ.), ვ. ლექსისის (1875 წ.), რ. ბეკის (1886 წ.), ა. ლოტკას (1907-1925 წწ.), ჰ. ლესლისა

(1945 წ.) და სხვათა შრომები.

**დემოგრაფია პოტენციური** – განიხილავს მოსახლეობას როგორც გარკვეული სასიცოცხლო პოტენციალის მატარებლების ერთობლიობას, რომელიც იზომება წელიწად-ადამიანებში. დ.პ-ის მაჩვენებლებს საფუძვლად უდევს დრო,რომელშიც საშუალოდ მოსალოდნელია იცოცხლოს ყოველი ასაკის ერთობლიობის წარმომადგენელმა მოცემულ პერიოდში, მოსახლეობის შესასწავლ ჯგუფში, არსებული მოკვდაობის დონის შესაბამისად.

დ.პ-ის ძირითად პრინციპებს საფუძვლად დაედო შვეიცარელი დემოგრაფის ლ. ჰერშის შრომები, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა XX ს. 40-იანი წწ. მოყოლებული. დ.პ-ში აღსანიშნავია პოლონელი დემოგრაფის ე. ფილროზეს შრომები.

**დემოგრაფია რეგიონული** – შეისწავლის ქვეყნის ცალკეული რეგიონებისა და ტერიტორიების თავისებურებათა გათვალისწინებით მათი მოსახლეობის ფორმირებისა და აღწარმოების კანონზომიერებებს.

**დემოგრაფია სამხედრო** – დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული ფაქტორების როლს სამხედრო საქმესა და სამხედრო ეკონომიკაში და ომების გავლენას მოსახლეობის აღწარმოებასა და დემოგრაფიულ პროცესებზე.

**დემოგრაფია სოციალური** – იხ. დემოგრაფია სოციოლოგიური.

**დემოგრაფია სოციოლოგიური** – დემოგრაფია სოციალური, დარგი, რომელიც ჩამოყალიბდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის მიჯნაზე. შეისწავლის დემოგრაფიული და სოციალური პროცესების ურთიერთგავლენას. დ.ს. ყურადღებას უთმობს ძირითადად სოციალური ნორმების, დემოგრაფიული ქცევის სხვადასხვა სახეობის და მათი შესაბამისი განწყობებისა და ფაქტორების კვლევას. დ.ს-ში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს. დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების სრულყოფილი ახსნა მოითხოვს დ.ს-ის მეთოდებისა და თეორიული ბაზის გამოყენებას.

**დემოგრაფია ფორმალური** – იხ. დემოგრაფია მათემატიკური.

**დემოგრაფია წმინდა** – იხ. დემოგრაფია მათემატიკური.

**დემოგრაფიის ისტორია** – დემოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიულ პროცესს. დ.ი-ის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს იმ თეორიული დასკვნებისა და განზოგადებების კრიტიკული ანალიზი, რომელიც დემოგრაფიული ცოდნის დაგროვების პროცესში მიიღება. ასევე მნიშვნელოვანია დემოგრაფიული განვითარების კონცეფციათა შეფასება.





დ.ი-ის სფეროში შედის დემოგრაფიული კვლევებისა და დემოგრაფიული პროგნოზების შემუშავების პრაქტიკას შორის კავშირის შესწავლა, სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე დემოგრაფიული პოლიტიკის ფორმირებაში მოსახლეობის აღწარმოების შესახებ ცოდნის როლის განსაზღვრა და სხვა.

**დემოგრაფიულ შემთხვევათა სიმჭიდროვე** – დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა, რომლებიც ხდება ადამიანთა მოცემულ ერთობლიობაში დროის ერთეულის განმავლობაში. გამოიყენება დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას, დროში მათი ინტენსივობის განსაზღვრისათვის. ანალიზისას ის განიხილება როგორც ცვლადი სიდიდე, რომელიც დამოკიდებულია კოჰორტის (თაობის) რაოდენობაზე და იმ დროზე, რომელშიც წარმოებს დემოგრაფიული შემთხვევები (დაბადებები, გარდაცვალებები და ა.შ.). თუ განხილული დროის მონაკვეთი 0-სკენ მიისწრაფის, მაშინ დ.შ.ს. (D) მოცემულ კოჰორტაში (თაობაში) იქნება

$$D = \lim_{t \to 0} \frac{E}{t},$$

სადაც E არის დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა; t - დრო, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც კალენდარული დრო, ასევე საკუთრივ კოჰორტის დრო (მაგ., ასაკი).

**დემოგრაფიული ამორტიზაცია** – შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკის კანონზომიერება. გამოიხატება იმით, რომ აღნიშნული კოეფიციენტების მკვეთრი ცვალებადობა, რომელიც განპირობებულია დემოგრაფიული პროცესების ასაკობრივი ინტენსივობის ცვალებადობით, დროის განმავლობაში ქრება და ისინი სტაბილიზდებიან. დ.ა. გამომდინარეობს ზოგადი კოეფიციენტების გავლენით მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობაზე და ასაკობრივი შემადგენლობის უკუგავლენით ზოგადი კოეფიციენტების სიდიდეზე.

**დემოგრაფიული ანალიზი** – ადამიანთა თაობების ცვლის პროცესისა და მისი გამომწვევი ფაქტორების შესწავლა. კვლევის ობიექტის მიხედვით გამოყოფენ შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და ქორწინების შეწყვეტის, ოჯახის ცხოვრებისეული ციკლისა და მთლიანობაში მოსახლეობის აღწარმოების ანალიზს.

მიდგომის თვალსაზრისით ანსხვავებენ განივ და სიგრძივ ანალიზს (იხ. შესაბამისად განივი ანალიზი და სიგრძივი ანალიზი).

დ.ა-ის მიზანს წარმოადგენს მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების მასშტაბების შეფასება, მათი კანონზომიერებებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა-დადგენა, აგრეთვე მომავალი განვითარების ტენდენციათა გარკვევა. დ.ა., როგორც წესი, გულისხმობს შესასწავლი ობიექტების რაოდენობრივ შეფასებას მათი თვისებრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

**დემოგრაფიული აფეთქება** – მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა. მოკვდაობის შემცირება მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე შობადობის კლება, რასაც მოჰყვება მოსახლეობის რაოდენობის დაჩქარებული მატება.

დ.ა. დროებითი მოვლენაა. დემოგრაფიული გადასვლის განვითარებასთან ერთად, შობადობისა და მოკვდაობის ტიპებისა და რეჟიმების დარღვეული შეთანხმებულობა თანდათან აღდგება და დ.ა. წყვეტს თავის არსებობას.

აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიული გადასვლის ტემპები გარკვეულად დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და თუ ის შენელებულად მიმდინარეობს, მაშინ დ.ა. დიდი ხნის მანძილზე შეიძლება იქნას შენარჩუნებული.

თავდაპირველად ტერმინი "დ.ა." პუბლიცისტურ ლიტერატურაში გვხვდება 1950-იან წწ. დაწყებული მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი მატების პირობითი აღნიშვნისათვის. შემდგომში ის სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება და სადღეისოდ მიღებულია.

**დემოგრაფიული ბადე** – ლექსის-პრესას ბადე, გრაფიკული აგებულება, ადამიანთა ერთობლიობისა და მათ სიცოცხლეში შემთხვევათა გამოსახატავად, რომელიც განკუთვნილია თაობაში დემოგრაფიული პროცესების ძირითადი მახასიათებლების გამოსაანგარიშებლად და დროში მათი მიმდინარეობის ანალიზისათვის.

დ.ბ. ემსახურება დემოგრაფიულ ერთობლიობებს შორის, გეომეტრიული გზით, ლოგიკური თანაფარდობის დასაბუთებას, იმ რიცხვების მიღებას, რომელთა მნიშვნელობების დაკვირვება უშუალოდ ვერ ხერხდება. დ.ბ. აადვილებს განივი ანალიზის,





სიგრძივი ანალიზისა და დემოგრაფიული ცხრილების შედგენისათვის აუცილებელ გამოანგარიშებებს.

დ.ბ. გამოსახავს მართკუთხა კოორდინატთა სისტემაში დემოგრაფიულ შემთხვევათა ცვლილების შედეგად კოჰორტის რიცხოვნების შემცირებას. ჰორიზონტალურ ღერძზე გადაითვლება კალენდარული დრო, ვერტიკალზე – ამა თუ იმ დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა (ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა და ა.შ.). კოორდინატთა ღერძები ჩვეულებრივ იყოფა თანატოლ მონაკვეთებად, რომლებიც შეესატყვისება დროისა და მდგომარეობის ხანგრძლივობის ერთი და იგივე მონაკვეთებს. ღერძებიდან აღმართული პერპენდიკულარები ქმნიან კვადრატებისაგან შემდგარ ბადეს, რომლის გვერდის სიგრძე შეესაბამება დროის ერთეულს. სკალის დანაწევრების ხარისხი დამოკიდებულია შესასწავლი მოვლენის გავლენით კოჰორტის შეცვლის სისწრაფეზე. მაგ., ჩვილთა მოკვდაობის შესწავლისას სკალა დაყოფილია თვეებისა და ზოგჯერ დღეების მიხედვით. სხვა დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას – ძირითადად წლების მიხედვით, ნაკლებად – ხუთი წლის მიხედვით.

დ.ბ-ზე ანალიზი ხორციელდება სამი სახის პარალელური ხაზების მეშვეობით: ჰორიზონტალური - ასაკის ხაზი (იხ. ხაზი ასაკისა, ვერტიკალური - სიცოცხლის ხაზი (იხ. ხაზი სიცოცხლისა), რომელიც აერთიანებს დროის ერთი და იგივე მომენტებს და დიაგონალური - იზოქრონა (იხ. იზოქრონა), რომელიც მიდის მარცხნიდან მარჯვნივ ზევით $45^{o}$ -იანი კუთხით. აღნიშნული დასახელებები ხაზებისათვის გამომდინარეობს იქიდან, რომ თავდაპირველად დ.ბ. შემოღებულ იქნა მოკვდაობის შესწავლისათვის. სადღეისოდ ანალიზის ხერხები დ.ბ-ის მეშვეობით განზოგადებულია სხვა დემორაფიული პროცესების მიმართაც.

დ.ბ. საშუალებას იძლევა, რომ შემთხვევათა დროის ორი მახასიათებლით განისაზღვროს მესამე დროითი მახასიათებელი და ეს შემთხვევები სწორად იქნას მიკუთვნებული ამა თუ იმ თაობის, ან ამა თუ იმ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ინტერვალს.

დ.ბ., როგორც დემოგრაფიული პროცესების ანალიზის ინსტრუმენტი შემოიღო გერმანელმა მეცნიერმა ვ. ლექსისმა 1875 წ. XX ს. შუა პერიოდიდან მის პარალელურად დაიწყეს ფრანგი მეცნიერის რ. პრესას მიერ შემუშავებული დ.ბ-ის გამოყენება,რომელსაც რამდენადმე სხვა სახე აქვს ვ. ლექსისის დ.ბ-თან შედარებით,თუმცა მათი აგების პრინციპები ერთმანეთს შეესაბამება. განსხვავება შეიმჩნევა მხოლოდ სიცოცხლის ხაზისა და იზოქრონას განლაგებაში კოორდინატთა სიბრტყეზე და როგორც ამის შედეგი – გამოსახულ ერთობლიობათა კონფიგურაციის განსხვავებაში.

დემოგრაფიული ბადის მაგალითი




**დემოგრაფიული გაახალგაზრდავება** – მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ბავშვების (0-14 წელი) ან ახალგაზრდების წილის ზრდა. დ.გ-ის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: შობადობის ზრდა და ჩვილთა და ბავშვთა მოკვდაობის შემცირება. დ.გ. შეიძლება გამოწვეულ იქნას ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ინტენსიური იმიგრაციით.

დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციიდან გამომდინარე, დ.გ-ს დროებითი ხასიათი გააჩნია და შემდგომში იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებით – დემოგრაფიული დაბერებით (იხ. დემოგრაფიული დაბერება).

**დემოგრაფიული გადასვლა** – კონცეფცია, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში მოსახლეობის აღწარმოების ტიპების ცვლის ასახსნელად (იხ. მოსახლეობის აღწარმოების ტიპი).

XIX ს. ბოლოს დადგენილ იქნა, რომ შობადობისა და მოკვდაობის დონეები ძირითადად განპირობებულია არა ბიოლოგიური კანონებით, არამედ სოციალური პირობებით. ამასთან, ისტორიული განვითარების პროცესში მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების ტიპის მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებები.

დ.გ-ის კონცეფციის ზოგად ელემენტს წარმოადგენს დემოგრაფიული განვითარების პერიოდიზაცია, რომელიც შეესაბამება სამ მსხვილ ისტორიულ ეტაპს – მიმთვისებლური





მეურნეობის, აგრარულ და ინდუსტრიულ საზოგადოებას.

ტრადიციული საზოგადოების მოთხოვნაა უზრუნველყოს მოსახლეობის აღწარმოება მაღალი მოკვდაობის პირობებში მაღალი შობადობით. ინდუსტრიალიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს მოკვდაობის დონეს, რაც მრავალშვილიანობას არასაჭიროს ხდის და რასაც მოსდევს შობადობის შემცირება. ბავშვების გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება, ხოლო პიროვნების ავტონომიზაცია განსაზღვრავს ორიენტაციას მცირეშვილიანობაზე.

ამდენად, დ.გ-ის პირველ ეტაპზე წარმოებს მოკვდაობის ტიპის გარდაქმნა – მცირდება ეგზოგენური მოკვდაობა, სიკვდილის შემთხვევები დაბლიდან მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში გადაინაცვლებს, იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და მოსახლეობის აღწარმოების ეკონომიურობა. დ.გ-ის მეორე ეტაპზე იცვლება შობადობის ტიპი.

დ.გ-ის განვითარებისა და დასრულების თეორიული სქემა გამოყოფს დ.გ-ის 4 ფაზას, რომლის საბოლოო შედეგია მოსახლეობის სტაბილიზაცია (იხ. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფაზები). ეს სქემა ფართოდ გამოიყენება დემოგრაფიულ პროგნოზებში.

აღნიშნულ სქემას საფუძვლად უდევს რაციონალიზმის იდეა, რომლის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების რეგულირების ჰომეოსტატურობა (შობადობის დონე საბოლოო ჯამში განისაზღვრება მოკვდაობის დონით). რაციონალიზმის წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან ისეთი დემოგრაფები, როგორებიც იყვნენ ა. ლანდრი, ჟ. ბურჟუა-პიშა, ფ. ნოუტსტაინი, ს. ენკე და სხვები.

დემოგრაფიული გადასვლის მაგალითი (საქართველო)
სწორი ხაზი მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარი 2010-2050 წწ. გ. წულაძის პროგნოზის საშუალო ვატიანტი



დ.გ-ის ინტერპრეტაციის სხვა თეორიული მიმართულება უკუაგდებს ჰომეოსტატურობის იდეას და ეფუძნება მოკვდაობის დონისაგან შობადობის ევოლუციის ფარდობითი დამოუკიდებლობის პრინციპს. მის წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან ამერიკელი დემოგრაფები კ. დევისი და ჯ. ბლეიკი (იხ. შობადობის კონცეფცია დევის-ბლეიკისა).

დ.გ-ის კონცეფციის შესახებ არის სხვა მოსაზრებაც, რომელიც ეკუთვნის ავსტრალიელ დემოგრაფს ჯ. კოლდუელს (იხ. შობადობის კონცეფცია კოლდუელისა).

ტერმინი "დ.გ." შემოთავაზებულ იქნა 1945 წ. ამერიკელი დემოგრაფის ფ. ნოუტსტაინის მიერ. თავდაპირველად დ.გ-ის კონცეფცია შემუშავებულ იქნა ფრანგი დემოგრაფის ა. ლანდრის მიერ 1909-1934 წწ., რომელმაც მის აღსანიშნავად გამოიყენა ტერმინი "დემოგრაფიული რევოლუცია".

**დემოგრაფიული გადასვლის მოდიფიცირებული მოდელი** – წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის კონცეფციის ერთ-ერთ ნაირსახეობას. სამ და ოთხ სტადიანი მოდელებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კომპონენტების ცვალებადობას ის განიხილავს ხუთი საფეხურის სახით. დ.გ.მ.მ. ეხება მოსახლეობის აღწარმოების მხოლოდ თანამედროვე ტიპს.

პირველი სტადია შეესაბამება ინდუსტრიამდელი რევოლუციის პერიოდის საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ დონეს, როდესაც შობადობისა და მოკვდაობის მაღალი დონის გამო მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან დაბალი იყო. შემდგომში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შედეგად, იწყება mokvdaobis Semcireba (15‰ -მდე), ხოლო შობადობის დონე კი კვლავ მაღალი რჩება, რასაც მოჰყვა მოსახლეობის ბუნებრივი მატების სწრაფი ზრდა (II სტადია). მესამე სტადიის დროს იწყება შობადობის დონის შემცირება, ხოლო მოკვდაობა სტაბილიზდება დაბალ დონეზე (5-10‰). მოსახლეობის ბუნებრივი მატება ამ სტადიაში ყველაზე მაღალია (25-30‰ -ზე მეტი). მეოთხე სტადიას ახასიათებს შობადობის დონის სწრაფი კლება (14-15‰ -მდე) და მოკვდაობის სტაბილური დონე (10‰ -მდე), რის შედეგადაც ბუნებრივი მატება მცირდება დაბალ დონემდე (5-10‰). საბოლოო, მეხუთე სტადიაში კი, შობადობა და მოკვდაობა სტაბილიზდება 15‰ -ის დონემდე, რის შედეგადაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება ხდება ყველაზე დაბალი. შობადობის დონის კლების შედეგად გარკვეული პერიოდის შემდეგ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა გაუარესდება, მოკვდაობა გაიზრდება და შეიძლება შობადობასაც გადააჭარბოს. ამიტომ მომავალში მოსალოდნელია





მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნულოვანი დონე ან ძალიან უმნიშვნელო მატება (ან კლებაც კი).

დ.გ.მ.მ. შემოთავაზებულ იქნა ვ. გუჯაბიძის მიერ 1979 წ.

**დემოგრაფიული განვითარება** – დემოგრაფიული პროცესებისა და მოსახლეობის აღწარმოების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება მოსახლეობის ერთი მდგომარეობიდან სხვა რაოდენობრივ-თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლა.

დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას დემოგრაფიული განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პროცესი, რომლის დროსაც მოსახლეობის აღწარმოებისა (აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების) და მიგრაციის რეგულირებით მიიღწევა მოსახლეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვალებადობა.

**დემოგრაფიული დაბერება** – მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ხანში შესული და მოხუცი ადამიანების წილის ზრდა. დ.დ-ის მიზეზია ხანგრძლივი ცვლილებები მოსახლეობის აღწარმოების ხასიათში.

ანსხვავებენ "დაბერებას ქვემოდან", რომელიც შობადობის კლების შედეგად ბავშვების რაოდენობის შემცირებით განისაზღვრება და "დაბერებას ზემოდან", რომელიც გამოწვეულია მოხუცებულობის ასაკში მოკვდაობის დონის შემცირებით და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით, რასაც მოჰყვება მოხუცი ადამიანების რაოდენობისა და წილის ზრდა. აღმოჩნდა, რომ დ.დ-ას ძირითადად განაპირობებს "დაბერება ქვემოდან". სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ნაკლებად მოქმედებს დ.დ-ზე, ვინაიდან მისი განმაპირობებული მოკვდაობის შემცირება ძირითადად ბავშვების ასაკს ეხება, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას.

დ.დ. შემჩნეულ იქნა XIX ს. ბოლოს, მაგრამ მისი მნიშვნელობის, მასშტაბებისა და მიზეზების გაცნობიერება დაიწყო მხოლოდ XX ს. მეორე ნახევარში.

დ.დ-ის პროცესის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა სკალა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სკალაა ჟ. ბოჟე-გარნიეს მიერ შემუშავებული და ე. როსტის მიერ განვითარებული სკალა (იხ. შემდეგ გვერდზე).

65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის ფარდობითი შეფასებისათვის ბაეროს დემოგრაფების მიერ შემუშავებულია სამ საფეხურიანი სკალა: 4% ნაკლები - ახალგაზრდა მოსახლეობა; 4-7% - მოსახლეობა სიბერის კარიბჭეზე; 7%-ზე მეტი – დაბერებული მოსახლეობა.

| ეტაპი | 60 და უფროსი ასაკის პირთა წილი (%) მთელ მოსახლეობაში | მოსახლეობის დაბერების ეტაპები და დონეები |
|---|---|---|
| I | 8-ზე ნაკლები | დემოგრაფიული სიყმაწვილე |
| II | 8-დან 10-მდე | სიბერის პირველი კარიბჭე |
| III | 10-დან 12-მდე | საკუთრივ სიბერის კარიბჭე |
| IV | 12 და მეტი | დემოგრაფიული სიბერე |
| | 12-დან 14-მდე | დემოგრაფიული სიბერის საწყისი დონე |
| | 14-დან 16-მდე | საშუალო დონე |
| | 16-დან 18-მდე | მაღალი დონე |
| | 18 და მეტი | ძალიან მაღალი დონე |

**დემოგრაფიული დარაიონება** – ტერიტორიის დაყოფა მსგავსი დემოგრაფიული მახასიათებლების ზონებად. დ.დ. წარმოებს მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლების, მიგრაციის ინტენსივობისა და მოსახლეობის სტრუქტურის სხვადასხვა ტიპის მიხედვით. დ.დ. ხელს უწყობს შესასწავლ ტერიტორიაზე დემოგრაფიული პროცესების გამოვლენას სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით.

**დემოგრაფიული დატვირთვა** – მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ზოგადი დახასიათება. უჩვენებს ბავშვებისა (0-14 წელი) და ხანდაზმული და მოხუცი ადამიანების (60 წლის და უფროსი) რაოდენობის თანაფარდობას სამუშაო ასაკის მოსახლეობის (პირობითად 15-59 წელი) რაოდენობასთან.

**დემოგრაფიული დეტერმინიზმი** – ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპი,რომელიც საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის ფაქტორს.

დ.დ-ის იდეა გამოთქმულ იქნა XVIII ს. კლოდ ჰელვეციუსის, ანტუან ბარნავისა და სხვების მიერ. დ.დ-ის იდეას თავისებური ინტერპრეტაცია მისცა თომას რობერტ მალთუსმა (იხ. მალთუსიანელობა). დ.დ-ის პრინციპმა ყველაზე ვრცელი დასაბუთება და გავრცელება ჰპოვა დემოგრაფიული სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში (იხ. დემოგრაფიული სკოლა) და რიგ სოციოლოგ-პოზიტივისტთა (ჰ. სპენსერი, მ. კოვალევსკი) შორის.

**დემოგრაფიული ერთობლიობები** – ადამიანთა ჯგუფები და მათ სიცოცხლეში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევები, რომელიც გამოიყოფა დემოგრაფიული პროცესების





ანალიზის, ცხრილების აგებისა და სხვა გაანგარიშებათა დროს.

დემოგრაფიული შემთხვევები დემოგრაფიული ანალიზისას განიხილება როგორც ადამიანებზე მომხდარი მოვლენები, რომლებიც გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამასთან მათ შეიძლება გააჩნდეთ სამი დროული კოორდინატი; ადამიანის მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში შესვლის კალენდარული თარიღი (მაგ., დაბადების ან დაქორწინების თარიღი), დემოგრაფიული შემთხვევის დადგომის მომენტისათვის მისი ამ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობა (მაგ., ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა) და შემთხვევის დადგომის კალენდარული თარიღი (მაგ., გარდაცვალების თარიღი, ქორწინების შეწყვეტის თარიღი).

ადამიანთა ერთობლიობაში ამა თუ იმ დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირე (დაბადებები, ქორწინებები, გარდაცვალებები) განისაზღვრება ასეთ შემთხვევათა რაოდენობის შეპირისპირების გზით იმ ადამიანთა რაოდენობასთან, რომლებისთვისაც ამ შემთხვევებს შეიძლება ჰქონდა ადგილი.

დ.ე-ში განასხვავებენ *შემთხვევათა ერთობლიობებს* (სიკვდილის ან განქორწინების შემთხვევები და სხვა) და *მოსახლეობის ერთობლიობებს.*

მოსახლეობის ერთობლიობები წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში იმყოფებიან და რომლებიც ამ მდგომარეობაში შევიდნენ გარკვეული კალენდარული პერიოდის განმავლობაში (კოჰორტა). პერიოდი ჩვეულებრივ განისაზღვრება ერთი ან ხუთი წლით.

მოსახლეობის ერთობლიობებში გამოყოფენ ორ სახეობას – *მოსახლეობის პირველი სახის ერთობლიობებს* და *მოსახლეობის მეორე სახის ერთობლიობებს.*

მოსახლეობის პირველი სახის ერთობლიობები – მოსახლეობის ის ჯგუფებია, რომლებმაც მიაღწიეს მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ზუსტ მნიშვნელობას. მაგ., კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით, რომელმაც მიაღწია ერთნაირ ზუსტ ასაკს.

მოსახლეობის მეორე სახის ერთობლიობები – ადამიანთა ის ჯგუფებია, რომლებმაც მოცემულ მდგომარეობაში მიაღწიეს რომელიმე კალენდარულ მომენტს. მაგ., კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით, რომელმაც მიაღწია ერთი და იგივე კალენდარულ მომენტს.

წარმოდგენა დ.ე-ის შესახებ აღმოცენდა XVIII ს. მეორე ნახევარში გარდაცვალების ასაკზე დამოკიდებულების შესწავლისას და სათანადოდ განვითარებული სახე მიიღო უკვე XIX ს. მეორე ნახევარში.

დემოგრაფიული ერთობლიობების მაგალითი




**დემოგრაფიული ვითარება** – დემოგრაფიული სიტუაცია, დემოგრაფიული პროცესების, მოსახლეობის შემადგენლობისა და განლაგების მდგომარეობა რომელიმე გარკვეული დროისათვის, უფრო ხშირად ამა თუ იმ წელს. დ.ვ. ჩვეულებრივ განიხილება რომელიმე ქვეყნის ან მისი ცალკეული რეგიონის მიმართ.

დ.ვ-ის თვისებრივი შეფასება შესაძლებელია რეალურად არსებული დ.ვ-ის იმ მდგომარეობასთან შედარების საფუძველზე, რომელიც ოპტიმალურად არის მიჩნეული დემოგრაფიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე მოსახლეობის აღწარმოების გრძელვადიანი ტენდენციების გათვალისწინებით.

დ.ვ-ის ანალიზის ძირითადი პრინციპებია: სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის კვლევა, რომელთა სპეციფიკურობა ვლინდება ყოველი ქვეყნისა თუ ცალკეული რეგიონისათვის; დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის ცვალებადობის გავლენისა და სტრუქტურული ფაქტორების ზემოქმედების გამოვლენა; ინფორმაციის წყაროებისა და ანალიზის მეთოდების კომპლექსური გამოყენება.

დ.ვ-ის ინფორმაციულ წყაროებად გამოსადეგია მოსახლეობის აღწერისა და მიმდინარე აღრიცხვის მასალები, აგრეთვე სპეციალური გამოკვლევის შედეგები. შესაბამისი ანალიზი





წარმოებს დემოგრაფიული ანალიზის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების საფუძველზე.

**დემოგრაფიული ინფორმაციის წყაროები** - ბეჭდვითი გამოცემები, რომლებიც შეიცავენ რიცხობრივ მონაცემებს მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ.

დ.ი.წ. განსხვავდება:

მოცვის ხარისხის მიხედვით (მსოფლიოს, რეგიონის, ქვეყნის ან მისი ცალკეული ნაწილის, დასახლებული პუნქტის მოსახლეობა);

ეროვნული მიკუთვნებულობის მიხედვით (ეროვნული და საერთაშორისო);

მონაცემთა ხასიათის მიხედვით (მოსახლეობის რაოდენობა და შემადგენლობა, დემოგრაფიული პროცესების დინამიკა);

დროთი, რომელსაც მიეკუთვნება მონაცემები (ისტორიული, რეტროსპექტული, მიმდინარე, პროგნოზი);

მონაცემთა მიღების საშუალების მიხედვით (ოფიციალური, სპეციალური გამოკვლევის მონაცემები);

გამოცემის ხასიათის მიხედვით (სპეციალური, ზოგადი ტიპის).

დ.ი.წ. იყოფა პირველადად და მეორადად. პირველადს განეკუთვნება მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და შეპირისპირების უშუალო შედეგები და მათ საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები. მეორადს - პირველადი მონაცემების შეფასებისა და მათი მეშვეობით ჩატარებული სხვადასხვა სახის გაანგარიშებათა შედეგები.

**დემოგრაფიული ისტორია** - კაცობრიობის ისტორიული განვითარების პროცესის ორგანული ნაწილი, რომელიც ასახავს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკასა და მოსახლეობის აღწარმოების ცვალებადობას. დ.ი. წარმოადგენს ისტორიული დემოგრაფიის შესწავლის საგანს (იხ. დემოგრაფია ისტორიული).

თანამედროვე ადამიანის (Homo sapiens) დ.ი-ის საწყისი პერიოდი ჩამოყალიბდა დაახლოებით 50 ათასი წლის წინ. მიჩნეულია, რომ მეზოლითის დასაწყისში (დაახლოებით 15 ათასი წლის წინ) პირველყოფილი ადამიანები განსახლდნენ ყველა მატერიკზე და იმ დროისათვის შეადგენდნენ რამდენიმე მილიონს. ნეოლითის დასაწყისისათვის (7 ათასი წელი ჩვენს ერამდე) მათმა რაოდენობამ დაახლოებით 10 მილიონი შეადგინა. მოსახლეობის მატების ტემპი ძალიან დაბალი იყო და შეადგენდა დაახლოებით 10-20% ათასწლეულის მანძილზე. ასეთი მდგომარეობა განპირობებული იყო ძალიან მაღალი მოკვდაობით – 50- და მეტი მოსახლეობის 1000 სულზე. განსაკუთრებით მაღალი იყო ჩვილთა მოკვდაობა. სიცოცხლის საშუალო

ხანგრძლივობა 20 წელს არ აღემატებოდა. ამოწყდომისაგან ადამიანებს ძალიან მაღალი შობადობა იცავდა, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელოდ ჭარბობდა იმ დროის მოკვდაობას.

ნეოლითის ხანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ რევოლუციას მოჰყვა მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა (ძირითადად VI-III ათასწლეული ძვ.წ.; ახლო აღმოსავლეთში – ძვ. წ. VIII–VII ათასწლეული), საფუძველი შეექმნა მყარად ბინადარ ცხოვრებას, ჩნდება მძლავრი დასახლებები. წინა პერიოდთან შედარებით რამდენადმე შემცირდა მოკვდაობა, თუმცა ის საკმაოდ მაღალი იყო, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 30 წელს. ძვ.წ. მეხუთე ათასწლეულისათვის მოსახლეობის რაოდენობამ მსოფლიოში შეადგინა დაახლოებით 30 მილიონი.

წინანდელთან შედარებით არსებული პირობების გაუმჯობესებას მოჰყვა მოსახლეობის მატების რამდენადმე დაჩქარება და უკვე ახალი წ-ის დასაწყისისათვის მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია დაახლოებით 230 მილიონს. უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ჩათვლით მოსახლეობის მატების ტემპი მაინც დაბალი იყო, მოკვდაობა და შობადობა მაღალ დონეზე რჩებოდა და სხვაობა მათ შორის მნიშვნელოვანი არ იყო. ამის გამო მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა ნელა მატულობდა. ათასი წლის მანძილზე მან ასი მილიონითაც კი არ მოიმატა და შეადგინა დაახლოებით 305 მილიონი 1000 წ. მართალია, ნელი ტემპებით, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა განაგრძობს მატებას და 1500 წლისათვის შეადგენს დაახლოებით 440 მილიონს, ხოლო 1650 წ. – 550 მილიონს.

XVIII ს. მრეწველობის განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს მოჰყვა მედიცინის განვითარება და ახალი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ჩამოყალიბება, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ვითარდებოდა. ამის შედეგად შესამჩნევი კლება იწყო მოკვდაობამ: 1500-დან 1800 წლამდე 35-40-დან 30-35-მდე მოსახლეობის 1000 სულზე; 1800-დან 1900 წლამდე – 20-25-მდე და 1900-დან XX ს. შუა პერიოდისათვის – 10-15-მდე მოსახლეობის 1000 სულზე. იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელმაც განვითარებულ ქვეყნებში მიაღწია XIX ს. შუა პერიოდისათვის 40 წელს, ხოლო 1905 წ. 45-55 წელს.

XX საუკუნემდე ოჯახის დაგეგმვა არ იყო ფართოდ გავრცელებული, რის შედეგადაც, მართალია, შობადობა მცირდებოდა, მაგრამ მისი დონე მაინც მაღალი იყო. მაგ., XIX ს. ბოლოს ის საშუალოდ შეადგენდა 40-ს მოსახლეობის 1000 სულზე და შემცირდა 35-მდე მხოლოდ XX ს. დასაწყისისათვის.

შობადობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას და ამავე დროს





მოკვდაობის შემცირებას მოჰყვა მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა. მოსახლეობის რაოდენობამ მსოფლიოში 1800 წლისათვის შეადგინა დაახლოებით 950 მილიონი, 1900 წელს – 1650 მილიონი, ხოლო 1950 წ. – 2508 მილიონი. 1988 წლის მონაცემებით, 1950 წ. შედარებით, ის გაორკეცდა და შეადგინა 5112,3 მილიონი. 2003 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ გადააჭარბა 6 მილიარდს (6,314 მილიონი), ხოლო პროგნოზით 2050 წლისათვის 9 მილიარდს მიაღწევს და შეიძლება გადააჭარბოს კიდეც..

**დემოგრაფიული კანონები** - დემოგრაფიულ მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივი აუცილებელი, მყარი, მუდმივგანმეორებადი,არსებითი კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა.

დ.კ-ების მოქმედება მნიშვნელოვანწილად მოსახლეობის აღწარმოების არეალით შემოიფარგლება და დემოგრაფიულ ურთიერთობებს ასახავს. დ.კ. დემოგრაფიულ ურთიერთობათა განვითარების კანონებია.

დ.კ. იყოფა საერთო (ზოგად), კერძო და სპეციფიკურ კანონებად.

საერთო დ.კ., როგორც წესი, მოქმედებენ კაცობრიობის არსებობის მთელ მანძილზე, თუმცა გზადაგზა გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან. ასეთებია: მოსახლეობის აღწარმოების დემოგრაფიული გადასვლისა და სხვ. კანონები. კერძო დ.კ-თვის დამახასიათებელია განცალკევებულ დემოგრაფიულ კანონზომიერებათა ასახვა. მათ მოეკუთვნება: მოსახლეობის გაფართოებული, მარტივი და შეკვეცილი აღწარმოების კანონები, დემოგრაფიული კომპენსაციის კანონი და ა.შ. სპეციფიკური დ.კ. მოქმედებენ საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებზე. ასეთი კანონებია: შობადობის კლების, დემოგრაფიული დაბერების და სხვ. კანონები.

დ.კ-ბს მიეკუთვნებიან: ზოგადად მოსახლეობის აღწარმოების, მოსახლეობის გაფართოებული, მარტივი და შეკვეცილი აღწარმოების, დემოგრაფიული კომპენსაციის, დემოგრაფიული გადასვლის, მოსახლეობის რაოდენობის განუხრელი მატების, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის, შობადობის კლების, დემოგრაფიული დაბერების კანონები.

დ.კ. გამოყო და კლასიფიკაცია გაუკეთა ლეო ჩიქვამ 2001 წელს.

**დემოგრაფიული კანონმდებლობა** - სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არეგულირებს მოსახლეობის აღწარმოებასთან, მოსახლეობის მოძრაობასთან და მოსახლეობის შემადგენლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დ.კ. დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს. დ.კ. არ წარმოადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს. იგი შეიცავს სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებს.

დ.კ-ის ზემოქმედება დემოგრაფიულ პროცესებზე შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი (მაგ., აბორტების აკრძალვა), ისევე არაპირდაპირი,

გაშუალებული არასამართლებრივი ხასიათის ურთიერთობებით (მაგ., ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვ.).

დ.კ-ის ნორმების რეალიზაცია და შედეგიანობის ხარისხი დამოკიდებულია მოსახლეობის კულტურულ დონეზე, ისტორიულ, ეთნიკურ, მორალურ და სხვა ფაქტორებზე.

**დემოგრაფიული კატეგორიები** – მასობრივი, განმეორებადი, დემოგრაფიული შემთხვევებისა და პროცესების, საერთოდ დემოგრაფიულ ურთიერთობათა განზოგადებული აბსტრაქტული (თეორიული) გამოხატულება. დ.კ-ებს მიეკუთვნება მოსახლეობა, შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება, ოჯახი, კოჰორტა, ეთნოსი, ეროვნება, ბავშვების ყოლის მოთხოვნილება, რეპროდუქციული განწყობა, რეპროდუქციული ქცევა, თვითშენახვითი (თვითმოვლითი) ქცევა, დემოგრაფიული ვითარება, დეპოპულაცია, დემოგრაფიული კრიზისი, დემოგრაფიული ოპტიმუმი, დემოგრაფიული დატვირთვა და სხვა.

დ.კ-ების შესახებ მწყობრი, თეორიული წარმოდგენა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ლეო ჩიქავამ 2001 წელს.

**დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია** – წარმოადგენს დემოგრაფიული კოეფიციენტების შედარებისას სტრუქტურულ განსხვავებათა გავლენის აცილების მეთოდს.

ვინაიდან ზოგადი კოეფიციენტების სიდიდეზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი, სქესობრივი, ქორწინებითი და სხვ. შემადგენლობის თავისებურებები, ამიტომ ზოგადი კოეფიციენტების შედარებამ შესადარისი მოსახლეობისათვის ან მოსახლეობის ჯგუფებისათვის ამა თუ იმ დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობაზე შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეგვიქმნას. ასეთი მდგომარეობის აცილების მიზნით, ზოგად კოეფიციენტებს ადარებენ ერთმანეთს არა უშუალოდ, არამედ წინასწარი სტანდარტიზაციის შემდეგ. ამასთან, რომელიმე პროცესის ინტენსივობის მაჩვენებელი ან მოსახლეობის სტრუქტურა მიიჩნევა სტანდარტად და ყოველი შესადარისი მოსახლეობისათვის გამოითვლება კოეფიციენტი (ინდექსი), რომელიც უჩვენებს განსახილველი პროცესის ინტენსივობის თანაფარდობას მოცემულ და სტანდარტულ მოსახლეობაში. ინდექსის გამრავლებით ზოგად კოეფიციენტებზე მიიღება სტანდარტიზებული კოეფიციენტები შესადარისი მოსახლეობისათვის, რომელშიც მათი სტრუქტურის ინდივიდუალური თავისებურებები თავიდან არის აცილებული.

არსებობს დ.კ.ს-ის რამდენიმე მეთოდი: პირდაპირი, ირიბი, ორმაგი და შექცეული (იხ. მეთოდი სტანდარტიზაციისა პირდაპირი, მეთოდი სტანდარტიზაციისა ორმაგი, მეთოდი სტანდარტიზაციისა ირიბი, მეთოდი სტანდარტიზაციისა შექცეული).

დ.კ.ს-ის მეთოდი წარმოიშვა და ფართო გამოყენება ჰპოვა მოკვდაობის შესწავლის სფეროში. პირველად ის XIX ს. შუა პერიოდში გამოიყენა ინგლისელმა სტატისტიკოსმა უილიამ ფარმა. სადღეისოდ დ.კ.ს-ის მეთოდი, მოკვდაობასთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც გამოიყენება შობადობის, ქორწინებისა და სხვა პროცესების ანალიზის დროს.

**დემოგრაფიული კომპენსაცია** – მოვლენა, რომლის არსი ის არის, რომ ზოგიერთი მიზეზის გამო გადადებული (ან უფრო მოკლე ვადებში დაჩქარებული), თაობის სიცოცხლეში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევები, რომლებიც არღვევენ მათი დადგომის ბუნებრივ მსვლელობას, ამ მიზეზების გაქრობის შემდეგ მიმდინარეობენ მომატებული (ან შემცირებული) ინტენსივობით. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს კომპენსაციურ ეფექტს.

დ.კ-ს საფუძვლად უდევს მოსახლეობის შესაბამისი დემოგრაფიული კონტიგენტებით ამოწურვა ან შევსება. მაგ., დაქორწინება შესაძლებელია ქორწინებაში არმყოფი პირებისათვის; ბავშვის გაჩენა – იმ ოჯახებში, რომლებშიც უკანასკნელი წლის მანძილზე არ იყო ახალდაბადებული. როდესაც არსებობს ზოგიერთი პირობა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე ხელს უშლის ამა თუ იმ სახის დემოგრაფიული შემთხვევის მოხდენას, მაშინ მოსახლეობაში წარმოებს იმ პირთა დიდი რაოდენობის დაგროვება, რომლებისთვისაც ასეთი დემოგრაფიული შემთხვევები შესაძლებელია. ხელშემშლელი პირობების აცილებისას ეს დემოგრაფიული შემთხვევები ერთბაშად ადამიანთა დიდ რაოდენობაში ხდება. ამას მოჰყვება გარკვეული დემოგრაფიული მაჩვენებლების მკვეთრი ამაღლება, რასაც თავის მხრივ მოსდევს შესაბამისი კონტინგენტების ამოწურვა. ამის შედეგად მაჩვენებლის ამაღლებას მოჰყვება მისი შემცირება.

დ.კ-ის მაგალითს წარმოადგენს შობადობისა და ქორწინების ზოგადი კოეფიციენტების ამაღლება ომის შემდგომ წლებში.

დ.კ. პირველად XIX ს. ბოლოს ფრანგმა პიერ ემილ ლევასიერმა აღწერა.

**დემოგრაფიული კრიზისი** – მოსახლეობის აღწარმოების მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც ემუქრება მოსახლეობის არსებობას.

XIX საუკუნემდე დ.კ-ების გამომწვევი მიზეზები იყო ეპიდემიები, ომები, შიმშილობები და მათ შედეგად მოკვდაობის მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც მოჰყვებოდა ზოგიერთი ქვეყნის ან რეგიონის მოსახლეობის რაოდენობის საგრძნობი შემცირება. დღევანდელ ეტაპზე, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, რეპროდუქციული ქცევის ცვლილებას მოჰყვა შობადობის დონის

ისეთ დონემდე შემცირება, რომელიც საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვის და რომელსაც დ.კ-ამდე მივყავართ.

ტერმინი "დ.კ." ზოგჯერ გამოიყენება იმ ვითარების მიმართ, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად მატულობს და რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში მისი სიმრავლე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთმანეთის წინააღმდეგობაში მოდის.

**დემოგრაფიული მდგომარეობა** – ადამიანის მდგომარეობა, რომელსაც მოსახლეობის აღწარმოებისათვის აქვს მნიშვნელობა.

დემოგრაფიული ანალიზისას ადამიანის სიცოცხლე განიხილება როგორც ერთი დ.მ-დან მეორეში გადასვლა, დაწყებული დაბადებიდან და სიკვდილით დამთავრებული. მოსახლეობის აღწარმოებისათვის არსებითია მდგომარეობა ქორწინებამდე, ქორწინებაში, განქორწინება ან დაქვრივება, ამა თუ იმ შემადგენლობის ოჯახში ყოფნა და სხვა. ერთი დ.მ-დან მეორეში გადასვლა დემოგრაფიული შემთხვევების შედეგად წარმოებს. მაგ., დაქორწინება ცვლის ქორწინებით მდგომარეობას. ერთიდან სხვა დ.მ-ში გადასვლის ალბათობა განსხვავდება ამა თუ იმ მდგომარეობისათვის და დამოკიდებულია მდგომარეობის ხანგრძლივობაზე. მაგ., ბავშვის დაბადება ქორწინებაში შესაძლებელია მხოლოდ ქორწინებაში მყოფებისათვის და ამ შემთხვევის ალბათობა ქორწინების პირველ წლებში უფრო მეტია, ვიდრე მომდევნო წლებში. ამიტომ ასეთ გადასვლათა სიხშირე ან მათი განმაპირობებელი შემთხვევების რაოდენობა ჩვეულებრივ განიხილება როგორც დროის ფუნქცია და მოცემულ დ.მ-ში ყოფნის ხანგრძლივობა. ერთიდან სხვა დ.მ-ში გადასვლათა ერთობლიობა საკუთრივ მოსახლეობის აღწარმოების პროცესს წარმოადგენს.

**დემოგრაფიული მოვლენა** – მნიშვნელოვანი ცვლილებები დემოგრაფიულ პროცესებში, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ მოსახლეობის აღწარმოებაზე. დ.მ-ად მიიჩნევა არა ყოველგვარი ცვალებადობა, არამედ ისეთი, რომელსაც მოჰყვება არსებითი შედეგები მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით.

დემოგრაფიული შემთხვევისაგან განსხვავებით, რომელიც ერთეულ აქტს განეკუთვნება, დ.მ. მთელ მოსახლეობას ან ადამიანთა დიდ ჯგუფებს მიეკუთვნება. მაგ., დაბადება- დემოგრაფიული შემთხვევაა, ხოლო ჩვილთა მოკვდაობის შემცირება – დ.მ.

პირობითად დ.მ. შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. დ.მ. განპირობებული უშუალოდ მოსახლეობის აღწარმოებით და მისი კომპონენტების ურთიერთკავშირით; 2. დ.მ. გამოწვეული





მოსახლეობის აღწარმოების სხვა ბუნებრივ ან საზოგადოებრივ პროცესებთან ურთიერთობებით. პირველს მოსახლეობის აღწარმოების კომპონენტების (ბავშვთა შობა, ამოწყდომა და სხვ.) გარდა შეიძლება მივაკუთვნოთ მოვლენები, რომლებიც გამოხატავენ მოსახლეობის შინაგან ურთიერთმოქმედებას (მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტაბილიზაცია მოსახლეობის აღწარმოების უცვლელი რეჟიმის შენარჩუნებისას, დემოგრაფიული დაბერება და სხვა). დ.მ-ის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის მოვლენები, რომლებიც გამოწვეულია გარე ფაქტორების გავლენით – დემოგრაფიული გადასვლა, დემოგრაფიული აფეთქება და სხვა.

**დემოგრაფიული ოპტიმუმი** – ყველაზე რაციონალური (არჩეული კრიტერიუმის თვალსაზრისით) მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი ოპტიმალურად შესაძლებელი დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის, დემოგრაფიული სტრუქტურების აღწარმოების და მოსახლეობის მიგრაციის ჩათვლით.

ანსხვავებენ *დინამიკურ* დ.ო-ს, რომელიც ხასიათდება დემოგრაფიული პროცესების სასურველი ინტენსივობითა და დემოგრაფიული სტრუქტურების სასურველი განვითარებით და *სტატიკურ* დ.ო-ს, რომელიც გამოიხატება დემოგრაფიული პროცესებისა და დემოგრაფიული სტრუქტურების სასურველი მდგომარეობით გარკვეული დროისათვის.

მათემატიკური მოდელების საფუძველზე ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმალური რეჟიმისას, ეკონომიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი უნდა იმყოფებოდეს ინტერვალში – 1,0 – 1,3 (მოსახლეობის სტაბილური ასაკობრივი სტრუქტურის შემთხვევაში).

**დემოგრაფიული პოლიტიკა** – ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული დემოგრაფიული პროცესების ისეთი რეგულირებისაკენ, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს. დ.პ-ის ობიექტია მოსახლეობის აღწარმოება. დ.პ. მიმართულია პერსპექტივაში მოსახლეობის აღწარმოების სასურველი რეჟიმის მიღწევისაკენ.

დ.პ. არ უნდა გავაიგივეოთ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან, ან არ უნდა მივიჩნიოთ მარტოოდენ მის ნაწილად. დ.პ-ად მხოლოდ ის მიზანდასახული ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც გამიზნულია მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე ზემოქმედებისაკენ. ამასთან, ასეთი სახით წარმოდგენილი დ.პ. შეიძლება დავყოთ:

1. სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ის ღონისძიებები,

რომლებიც მიმართულია დემოგრაფიული პროცესების რეგულირებისაკენ და გულისხმობენ სხვადასხვა სახის დახმარებებს, პირობების შექმნას და ა.შ. 2. უშუალოდ დ.პ. – ღონისძიებები გამიზნული დემოგრაფიული პროცესების განმსაზღვრელ შინაგან ფაქტორებზე ზემოქმედებისათვის.

დ.პ-ს არ მიეკუთვნება ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც ამა თუ იმ სახით ან ზომით შეიძლება გავლენა ჰქონდეთ მოსახლეობის აღწარმოებაზე, მაგრამ დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედებას თავის კონკრეტულ მიზნად არ ისახავენ.

დ.პ-ის მეთოდები შეიძლება დავყოთ: სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური. სოციალურ-ეკონომიკურს მიეკუთვნება ოჯახის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ერთჯერადი და პერიოდული მატერიალური დახმარება, სესხები და სხვა. სამართლებრივი – ნების მიმცემი ან ამკრძალავი აქტები, რომლებიც ეხება მაგ., აბორტებს ან კონტრაცეპტივების გაყიდვას, ქორწინების ასაკს და სხვა. აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური – მასობრივი ინფორმაციის ან სხვა საშუალებებით ოჯახის სასურველი ტიპის, რეპროდუქციული ქცევის გარკვეული სტანდარტების და სხვა პროპაგანდა – ფიქსაცია.

დ.პ. და მისი კონკრეტული ღონისძიებები ბევრად არის დამოკიდებული რომელიმე ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების სახელმწიფოებრივ შეფასებაზე. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მსგავსი დემოგრაფიული ვითარების (ან დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობის) სახელმწიფოებრივი შეფასება შეიძლება განსხვავდებოდეს, რაც იწვევს განსხვავებას როგორც დ.პ-ის ორიენტაციაში, ისე თვით დ.პ-ის გატარების აუცილებლობაში. მაგ., საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში არსებული მსგავსი მოსახლეობის მატების ტემპისა და შობადობის დონის სახელმწიფოებრივი შეფასება განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. საფრანგეთში ის ძალიან დაბალად იყო ჩათვლილი, ხოლო დიდ ბრიტანეთში – დამაკმაყოფილებლად. აქედან გამომდინარე, საფრანგეთში მოსახლეობის მატების ტემპისა და შობადობის დონის ამაღლების აუცილებლობა იყო მიჩნეული, ხოლო დიდ ბრიტანეთში, მათ მიმართ, მთავრობის მხრიდან ჩაურევლობა იქნა აღიარებული.

ზოგჯერ დ.პ-ს განიხილავენ სხვადასხვა დონეზე. მაგ., ა.სულაბერიძე გამოყოფს დ.პ-ს შემდეგ დონეებს: მეგა, მაკრო, მეზო და მიკრო. ამასთან, იგი დ.პ-ს განიხილავს „ფართო გაგებით“, როგორც სოციალურ-დემოგრაფიულ პოლიტიკას.

დ.პ-ის იდეები და მაგალითები ძველი დროიდან არის ცნობილი. პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური ხანის სხვა ავტორების ნაშრომებში გვხვდება იდეები საზოგადოების მხრიდან ქორწინებისა და შობადობის პროცესებზე ზემოქმედების შესახებ. ძველ რომში, ჩვენი წ.ა-ის მიჯნაზე, მიღებულ იქნა კანონები, რომელიც მიმართული იყო





შობადობის ამაღლებისა და ქორწინების წახალისებისაკენ.

**დემოგრაფიული პროცესი** – ადამიანთა სიცოცხლეში თანამოსახელე (ერთგვაროვანი) შემთხვევების თანმიმდევრობა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს თაობათა ცვლისათვის. დ.პ-ს მიეკუთვნება შობაობა, მოკვდაობა, ქორწინება, ქორწინების შეწყვეტა (განქორწინება, დაქვრივება).

დემოგრაფიული ანალიზისას თაობის რიცხოვნობის ცვალებადობა განიხილება ერთ, ორ ან რამდენიმე დ.პ-თან დამოკიდებულებაში. დ.პ. შეისწავლება დროსა და ასაკთან დამოკიდებულებაში, აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში მისი მიმდინარეობის ხასიათის მიხედვით. დ.პ-ის ძირითად მახასიათებელს მისი ინტენსივობა წარმოადგენს.

დ.პ-ებს შორის გამოყოფენ შევსების (შობადობა, ქორწინება) და დაკლების (მოკვდაობა, ქორწინების შეწყვეტა) პროცესებს.

**დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა** – დემოგრაფიული პროცესის დაძაბულობის ხარისხი, მისი ძირითადი მახასიათებელი.

დ.პ.ი. იზომება დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირით თაობაში ან მოსახლეობაში და წარმოადგენენ ინტენსივობის შეფარდებით სიდიდეებს. დ.პ.ი-ის მაჩვენებლებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის დემოგრაფიული კოეფიციენტები, დემოგრაფიული შემთხვევის ალბათობა და დემოგრაფიული პროცესის ძალა.

წარმოდგენა დ.პ.ი-ზე საფუძვლად უდევს დემოგრაფიულ ანალიზს და დემოგრაფიულ მოდელირებას.

**დემოგრაფიული პროცესის ძალა** – დემოგრაფიული შემთხვევის ალბათობა დროის უსასრულოდ მცირე შუალედში. დ.პ.ძ. წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის ზუსტ გამოხატულებას. თუ კოჰორტა (თაობა) იცვლის თავის რიცხოვნობას მხოლოდ მოცემული პროცესის გავლენით და დროის განმავლობაში მოხდა $E$ დემოგრაფიული შემთხვევა და კოჰორტის რიცხოვნობა შეიცვალა $P_t$ –დან $P_{t+\Delta t}$–მდე, მაშინ ცვალებადობის ალბათობა დროის ერთეულამდე დაყვანილ იქნება:

$$P_t = \frac{P_{t+\Delta t} - P_t}{P_t \Delta t} = \frac{E}{P_t \Delta t}$$

თუ შემთხვევათა რაოდენობას, ისევე როგორც კოჰორტის რიცხოვნობას განვიხილავთ დროის უწყვეტი ფუნქციის სახით, მაშინ $\Delta t \to 0$ შემთხვევაში ცვალებადობის ალბათობა გახდება დ.პ.ძ-ად და გამოისახება ფორმულით:

$$M_t = \frac{P_{t+dt} - P_t}{P_t dt} = \frac{dP_t}{P_t dt} = \frac{P'(t)}{P_t},$$

სადაც d არის დიფერენციალის ნიშანი, $P'(t)$ – $P_t$ წარმოებული ფუნქცია დროში. თუ მრიცხველში აღებულია მოსახლეობის მატების სიდიდე, მაშინ ანალოგიური გამოსახულება მართებული იქნება მოსახლეობის მატებისათვის, რომელიც შობადობისა და მოკვდაობის გავლენით წარმოებს.

ვინაიდან დემოგრაფიული ანალიზისას კოჰორტა, ჩვეულებრივ, განიხილება, როგორც დემოგრაფიული პროცესის გავლენით შემცირებადი ერთობლიობა (მაგ. მოკვდაობის დროს), ამიტომ $P_{t+\Delta t} < P_t$ -ზე და $M_t$ უარყოფითი სიდიდეა. ჩვეულებრივ, პროცესის ინტენსივობა გამოიხატება დადებითი სიდიდით, ამიტომ $M_t = -\frac{P'(t)}{P_t}$.

**დემოგრაფიული რევოლუცია** – ტერმინი, რომელიც 1934 წელს შემოიღო ფრანგმა დემოგრაფმა ა. ლანდრიმ, ისტორიული განვითარების პროცესში მოსახლეობის აღწარმოებაში მომხდარი ძირეული ცვლილებების აღსანიშნავად. თანამედროვე დემოგრაფიულ ლიტერატურაში ტერმინი "დ.რ"-ის ნაცვლად, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი "დემოგრაფიული გადასვლა".

ზოგიერთი ავტორი განასხვავებს დ.რ-ას დემოგრაფიული გადასვლისაგან. ასეთ შემთხვევაში დ.რ. განიხილება როგორც დემოგრაფიული გადასვლის კულმინაციური მდგომარეობა, რომელიც მოსახლეობის აღწარმოების ნახტომისებურ თვისებრივ ცვალებადობას წარმოადგენს ან სხვანაირად რომ ითქვას, ის არის მოსახლეობის აღწარმოების ერთი ტიპიდან სხვაზე ნახტომისებური გადასვლა.

**დემოგრაფიული სისტემა** – წარმოადგენს მოსახლეობას, ადამიანებს ერთმანეთთან დაკავშირებელი დემოგრაფიული ურთიერთობებით (იხ. დემოგრაფიული ურთიერთობები).

**დემოგრაფიული სიტუაცია** – იხ. დემოგრაფიული ვითარება.

**დემოგრაფიული სკოლა** – მიმდინარეობა სოციოლოგიაში, რომელიც შეისწავლის დემოგრაფიული პროცესებისა და სოციალური სტრუქტურის დინამიკის თანაფარდობის პრობლემებს. მოსახლეობას განიხილავს როგორც საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს.





დ.ს-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კ. ჯინისა და რ. პირლის "ციკლის" თეორიებმა და ფ. კარლის "რითმის" თეორიამ. დ.ს-ის წარმომადგენლები მოსახლეობის აღწარმოებაში არსებით ყურადღებას უთმობენ ბიოლოგიურ ფაქტორს და ადამიანის ორგანიზმში მის ცვლილებებს დემოგრაფიულ ქცევასთან აკავშირებენ.

დ.ს-ამ ჩამოყალიბება დაიწყო XIX ს. ბოლოს. მასზე დიდი გავლენა იქონიეს ო. კონტის, ჰ. სპენსერის და ე. დიურკჰაიმის იდეებმა.

**დემოგრაფიული სტატისტიკა** – მოსახლეობის სტატისტიკა, სტატისტიკის დარგი, რომელიც სტატისტიკურ მეთოდებს იყენებს მოსახლეობის აღწარმოების, რაოდენობის, შემადგენლობისა და განლაგების შესახებ მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზისათვის.

დ.ს. წარმოიქმნა XVII ს. ბოლოს როგორც პოლიტიკური არითმეტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტი და იყო სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი პირველი დარგი. XX ს. დასაწყისამდე მას დემოგრაფიასთან აიგივებდნენ. თანამედროვე დ.ს-თვის დამახასიათებელია ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მრავალფეროვანი მეთოდები.

იმავდროულად დ.ს. დემოგრაფიის შემადგენელი ნაწილია.

**დემოგრაფიული ურთიერთობები** – ურთიერთობები ადამიანების სიცოცხლის შექმნისა და შენარჩუნებისათვის.

**დემოგრაფიული ფაქტორი** – აქვს რამდენიმე შინაარსი. ერთ შემთხვევაში ტერმინი "დ.ფ." გამოიყენება საზოგადოების ან მისი ცალკეული ეკონომიკური პარამეტრების განვითარების ტემპებისა და პროპორციების დამოკიდებულების აღსანიშნავად მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე, ოჯახურ შემადგენლობაზე, შობადობისა და მოკვდაობის დინამიკასა და ზოგადად მოსახლეობის აღწარმოებაზე. დ.ფ. შეიძლება განხილულ იქნას როგორც საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთი წანამძღვარი და საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროდუქტი და შედეგი. დ.ფ., ეკონომიკურ, სოციალურ და ეროვნულ ფაქტორებთან ერთად, წარმოქმნის საზოგადოებრივი განვითარების ფაქტორთა რთულ სისტემას, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან.

მეორე შემთხვევაში ტერმინი "დ.ფ." გამოიყენება მოსახლეობის აღწარმოების ან მისი რომელიმე კომპონენტის (მაგ. შობადობის) ანალიზისას ასაკის, სქესის, ქორწინების ხანგრძლივობის ან სხვ. მიხედვით დამოკიდებულების აღსანიშნავად. ასეთ შემთხვევაში დ.ფ. განიხილება როგორც

მახასიათებელთა გარკვეული სახეობის ჯგუფი ფაქტორთა საერთო კლასიფიკაციაში, მაგ., შობადობის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთ-ერთი კლასიფიკაციის მიხედვით ისინი დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად: დემოგრაფიული, ფიზიოლოგიური, გენეტიკური და სოციალურ-ეკონომიკური. თავის მხრივ, დემოგრაფიულ ფაქტორებში შედის ქორწინების ხანგრძლივობა, ასაკი, კოჰორტა დაბადების დროის მიხედვით და ა.შ.

**დემოგრაფიული ქცევა** – მოქმედებათა ურთიერდაკავშირებული სისტემა, მიმართული ადამიანის დემოგრაფიული მდგომარეობის შეცვლის ან შენარჩუნებისათვის. დ.ქ-ის სუბიექტად უფრო ხშირად მიჩნეულია ცალკეული ადამიანი ან ოჯახი, უფრო იშვიათად ერი, ქვეყნის ან რომელიმე რეგიონის მოსახლეობა. დ.ქ. წარმოადგენს ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების, მისი ცხოვრებისეული პირობების და მოთხოვნილებების, არსებული სოციალური ნორმებისა და ფასეულობების ურთიერთქმედების შედეგს.

დ.ქ-ში გამოყოფენ მის ისეთ სახეობებს, როგორიცაა: რეპროდუქციული ქცევა, ქორწინებითი ქცევა, თვითშენახვითი ქცევა და მიგრაციული ქცევა (იხ. მოცემული ლექსიკონის შესაბამისი ნაწილები). ზოგიერთი ავტორი მიგრაციული ქცევის სახეობის შეტანას დ.ქ-ში არამართებულად მიიჩნევს და მას ცალკე განიხილავს.

დ.ქ. ძირითადად სოციოლოგიური (სოციალური) დემოგრაფიის შესწავლის საგანია. დ.ქ-ის შესწავლისას გამოიყენება დემოგრაფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, ეთნოგრაფიის და სხვა მეცნიერებათა მიღწევები.

დ.ქ-ის შესწავლის გარეშე შეუძლებელია (ან ძალიან რთულია) დემოგრაფიული პროცესების განმაპირობებელი მექანიზმებისა და დემოგრაფიული პროცესების ცვალებადობის მიზეზთა გარკვევა – ახსნა და სრულყოფილი პროგნოზირება. დ.ქ-ის კვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა განსაზღვრისათვის.

**დემოგრაფიული შემთხვევა** – შემთხვევა, რომელიც ხდება ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში და გააჩნია მნიშვნელობა ადამიანთა თაობის ცვლისათვის, მოსახლეობის რაოდენობის, მისი სტრუქტურის, საქორწინო წყვილთა და ოჯახის ცვალებადობისათვის.

დ.შ. აღნიშნავს ადამიანის ამა თუ იმ მოსახლეობის ჯგუფში შესვლას ან გასვლას. ზოგი დ.შ. ზრდის მოსახლეობის ან ოჯახთა რაოდენობას (დაბადება, ქორწინებაში შესვლა),





ზოგიერთი – ამცირებს მათ (სიკვდილი, ქორწინების შეწყვეტა), ხოლო ზოგიერთი დ.შ. იწვევს მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლას (დაბალი ასაკობრივი ჯგუფიდან მაღალში გადასვლა) და ცვლის მხოლოდ მოსახლეობის შემადგენლობას.

მოუხედავად იმისა, რომ დ.შ. ხდება ცალკეული ადამიანისათვის, დემოგრაფიაში ისინი განიხილება როგორც დროის გარკვეულ მანძილზე მომხდარი შემთხვევათა ერთობლიობა მთელ მოსახლეობაში, ან მის ცალკეულ ჯგუფებში. ერთგვაროვანი დ.შ-თა თანმიმდევრობა წარმოქმნის დემოგრაფიულ პროცესს.

დ.შ-ები იყოფა განუმეორებად და განმეორებად შემთხვევებად. განუმეორებადი დ.შ. შეიძლება ერთი და იგივე ადამიანს მოუვიდეს მხოლოდ ერთხელ (სიკვდილი), განმეორებადი დ.შ. ერთი და იგივე ადამიანს სიცოცხლის მანძილზე შეიძლება რამდენჯერმე მოუვიდეს (ბავშვის დაბადება). ზოგჯერ განმეორებადი შემთხვევებისათვის იხმარება რიგითობა (მეორე ბავშვის გაჩენა). თუ მითითებულია შემთხვევის რიგითობა, მაშინ ის განუმეორებადი ხდება.

დემოგრაფიაში დ.შ. განიხილება როგორც შემთხვევითი, თანაბრად შესაძლებელი ყველა ადამიანისათვის, რომელიც მოცემულ მდგომარეობაში იმყოფება. მიჩნეულია, რომ დ.შ. გარკვეული ალბათობით ხდება, რომელიც დროზე ან მოცემულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული.

**დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვა** – დაბადების, სიკვდილის, ქორწინებისა და განქორწინების შესახებ ცნობათა შეგროვება ამ შემთხვევების წარმოქმნასთან დაკავშირებით. შემთხვევის ფაქტის დაფიქსირების გარდა, მისი რეგისტრაციისას ითვალისწინებენ თვით შემთხვევისა და ადამიანთა იმ ნიშნებს, რომლებიც მის ცხოვრებაში მოხდა. რეგისტრაციისას დაფიქსირებულ ნიშანთა ნუსხა განეკუთვნება დ.შ.მ.ა-ის პროგრამას.

დ.შ.მ.ა-ის მიზანია მონაცემთა მიღება მოსახლეობის რაოდენობის, მისი შემადგენლობისა და დემოგრაფიული პროცესების მახასიათებლების შესახებ. ყოველ დემოგრაფიულ შემთხვევას სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ დ.შ.მ.ა-ის სპეციფიკა ისაა, რომ დემოგრაფიული შემთხვევების დაკვირვება მათი იურიდიული გაფორმებისას ხდება. დ.შ.მ.ა-ის სისრულე დამოკიდებულია შემთხვევის ფაქტის იურიდიულ აღიარებაზე. მაგ., იქ, სადაც მრავალცოლიანობა აკრძალულია კანონით, მაგრამ მაინც არსებობს ტრადიციებიდან გამომდინარე, ქორწინება მეორე ცოლთან არ იქნება აღრიცხული. დ.შ.მ.ა-ის სისრულე ასევე ბევრადაა დამოკიდებული მიმდინარე რეგისტრაციის სისტემის მოწესრიგებაზე.

დაბადებულთა და გარდაცვლილთა სიებს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ადგენდნენ. XX ს. შუა პერიოდიდან უმრავლეს განვითარებულ ქვეყანაში დ.შ.მ.ა. არსებობს დემოგრაფიული შემთხვევის აუცილებელი რეგისტრაციის სახით და ხორციელდება სპეციალური სახელმწიფო ორგანოების ან ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ.

**დემოგრაფიული შემთხვევების ალბათობა** – დროის ერთეულში ადამიანთა ერთობლიობის რაოდენობის ცვალებადობის ზომა, რომელიც სხვადასხვა სახის დემოგრაფიული შემთხვევების გავლენით კოჰორტას წარმოქმნის.

დემოგრაფიული ანალიზისას დ.შ.ა. გამოიხატება გარკვეული დროის განმავლობაში მომხდარი დემოგრაფიული შემთხვევის მქონე ადამიანების რაოდენობის შეფარდებით იმ ადამიანთა რაოდენობასთან, რომლებისთვისაც ეს შემთხვევა შეიძლება მომხდარიყო. მაგ., პირმშოს დაბადების ალბათობა არის წლის განმავლობაში დაბადებული პირმშოების რაოდენობის შეფარდება წლის დასაწყისში არსებული ქალების იმ რაოდენობასთან, რომლებსაც ჯერ არ გაუჩენიათ არც ერთი ბავშვი. დ.შ.ა. წარმოადგენს ფარდობით სიდიდეს, რომელიც ახასიათებს მოცემული დემოგრაფიული შემთხვევის შესაძლებლობას ერთი ადამიანისათვის, იმ პირობით, რომ ყველა ადამიანისათვის, მოცემული კოჰორტიდან, თანაბრად არის შესაძლებელი ეს შემთხვევა და გამოითვლება კოჰორტის რიცხოვნობის მიმართ განსახილველი დროის შუალედის დასაწყისისათვის. რაც უფრო მეტია დროის შუალედი, მით უფრო მეტი შემთხვევა შეიძლება მოხდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არ არსებობს, ვინაიდან მოცემული შემთხვევის გავლენით იცვლება კოჰორტის საწყისი რაოდენობა.

**დემოგრაფიკა** – ტერმინი, რომლითაც აშშ და დასავლეთის რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში აღნიშნავენ დემოგრაფიული მონაცემებისა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას ბიზნესში, ძირითადად მარკეტინგში.

დ. შეისწავლის მოსახლეობასა და შინამეურნეობებს როგორც საქონლისა და მომსახურების პოტენციურ მომხმარებლებს, ხოლო დემოგრაფიულ ცვლილებებს – ზემოქმედების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს მოხმარების ბაზრებზე.

**დემოლოგია** – ტერმინი, შემოთავაზებული 1871 წელს გერმანელი ეკონომისტის ერნსტ ენგელის მიერ მეცნიერების აღსანიშნავად, რომელიც მისი თქმით შეისწავლის შინაგანი





ბუნებისა და ცვალებადობის წარმოქმნას სახელმწიფო და ადამიანთა სხვა ერთობებში. ე. ენგელის აზრით, დემოგრაფიისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ აღწერს ამ პროცესს, დ. მოწოდებულია ახსნას მისი არსი. დემოგრაფიისა და დ-ის ასეთი დაპირისპირება არ დამკვიდრდა მეცნიერებაში, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ტერმინი "დ." მაინც გამოიყენება.

**დემომეტრია** – დემოგრაფიული პროცესების გაზომვა; მათემატიკური მეთოდების გამოყენება დემოგრაფიაში. ტერმინი შემოთავაზებულ იქნა 1966 წელს შვედი მეცნიერის ჰ. ჰიურენიუსის მიერ როგორც მათემატიკური დემოგრაფიის სინონიმი. ტერმინი "დ." გავრცელდა მას შემდეგ, რაც 1969 წელს გამოვიდა ავსტრიელი დემოგრაფის ვ. ვინკლერის წიგნი იგივე სათაურით. მოცემულ ნაშრომში დ-ს უფრო ფართე შინაარსი აქვს და მათემატიკური დემოგრაფიის გარდა გულისხმობს დემოგრაფიულ მოდელებს და დემოგრაფიული კოეფიციენტების მიღების მეთოდოლოგიას. ამასთან აღსანიშნავია, რომ დემოგრაფიისა და დ-ს შორის ისეთი სახის განსხვავებაა როგორიც სოციოლოგიასა და სოციომეტრიას და ფსიქოლოგიასა და ფსიქომეტრიას შორის.

**დემოსკოპია** – ტერმინი შემოთავაზებულ იქნა 1946 წელს ამერიკელი სოციოლოგის ს. დოდის მიერ. ტერმინი იშვიათად გამოიყენება. აღნიშნავს სხვადასხვა მეთოდებით ინფორმაციის მიღებას მოსახლეობის შესახებ. ზოგჯერ თანამედროვე დემოგრაფიულ ლიტერატურაში დ-ას განიხილავენ როგორც დემოგრაფიული სტატისტიკის ნაწილს. ზოგიერთ შემთხვევაში დ-ის ქვეშ გულისხმობენ ნებისმიერი სახის ინფორმაციის (არა მარტო დემოგრაფიული) მოპოვებისა და ანალიზის თეორიას, მეთოდიკასა და პრაქტიკას.

**დემპროჯ** – დემოგრაფიული პროგნოზირების კომპიუტერული პროგრამა. პროგნოზი წარმოებს კოჰორტ-კომპონენტების მეთოდის საფუძველზე. პროგრამა შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებულ იქნას გარე მიგრაცია, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ზრდა და სხვ. პროგნოზის შედეგები მიიღება შემდეგი ფორმით: მოსახლეობის საერთო რაოდენობა, ნებისმიერი ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფის რაოდენობა, დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა, შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, მოსახლეობის ზრდის ტემპები, შედეგების გრაფიკული სახით წარმოდგენა. დ.შემუშავებულ იქნა 1987 წელს.

**დეპოპულაცია** – ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება ან

მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, რომლის დროს მომდევნო თაობების რიცხობრიობა ნაკლებია წინაზე. დ-ს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე ჭარბობს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეს.

დემოგრაფიული ანალიზისას,ჰიპოთეზური თაობის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ტერმინით "დ" ჩვეულებრივ აღნიშნავენ მოსახლეობის აღწარმოების ისეთ რეჟიმს, რომლის დროსაც მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის სიდიდე ნაკლებია ერთზე.

სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში დ-ის ქვეშ ზოგჯერ გულისხმობენ დემოგრაფიული კრიზისის ერთ-ერთ ფორმას. დ. შეიძლება გამოწვეულ იქნას ომებით, ეპიდემიებით, სტიქიური უბედურებებით. ზოგიერთი ავტორი დ-ის გამომწვევ მიზეზებს შორის ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებსაც უთითებს.

ზოგიერთი დემოგრაფი (მაგ., ა. სულაბერიძე) მიიჩნევს, რომ არსებობს ფარული და ღია სახის დ. როდესაც მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ფარავს (აჭარბებს) დადებითი მიგრაციული სალდო, მაშინ ადგილი აქვს ფარული ფორმის დ-ს. როდესაც ბუნებრივი კლება აღემატება მიგრაციის დადებით სალდოს, მაშინ ადგილი აქვს ღია ფორმის დ-ს. ბუნებრივი მატების შემთხვევაში, როდესაც იგი ვერ ფარავს მიგრაციის უარყოფით სალდოს, ა. სულაბერიძის აზრით, ადგილი აქვს მოსახლეობის აბსოლუტურ შემცირებას და არა დ-ს.

**დეპორტაცია** – პიროვნების, ხალხის ან მოსახლეობის ნაწილის გაძევება (იძულებით გადასახლება) ქვეყნის გარეთ.

**დიასპორა** – ხალხის (ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის სამშობლოს გარეთ ცხოვრება.

**დისპანსერიზაცია** – მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების სისტემა, რომლის მიზანია მოსახლეობის გარკვეული კონტინგენტის სავალდებულო აღრიცხვა, მათზე დაავადებათა ადრეული სტადიების გამოსავლენად და ამა თუ იმ დაავადების გამომწვევ ფაქტორთა თავიდან ასაცილებლად.

**დიფერენციული მოკვდაობა** – მიმართულება მოკვდაობის დემოგრაფიულ ანალიზში. უფუძნება ცალკეული დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების მოკვდაობის დონეში განსხვავებების შესწავლას. ფორმალურად დ.მ-ის ანალიზს მიეკუთვნება მისი ასაკობრივ-სქესობრივი განსხვავებების შესწავლა. პრაქტიკულად დ.მ-ს მიაკუთვნებენ მოკვდაობის რასობრივ, ეთნიკურ, სარწმუნოებრივ, სოციალურ-





ეკონომიკურ, ქორწინებითი მდგომარეობის და ა.შ. განსხვავებათა შესწავლას.

**დროებით არმყოფნი** – გამოყოფენ მოსახლეობის აღწერებისას. წარმოადგენს ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში ან მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ აღწერის მომენტში იმყოფებიან სხვა ადგილას. მაგ., მივლინებაში, დასასვენებლად, არდადაგებზე და ა.შ. წასულები. დ.ა. შედიან მუდმივი მოსახლეობის კატეგორიაში.

**დროებით მცხოვრებნი** – მოსახლეობის კატეგორია, რომელსაც გამოყოფენ მოსახლეობის აღწერებისას. წარმოადგენს ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც აღწერის მომენტში იმყოფებიან მოცემულ დასახლებულ პუნქტში ან მოცემულ ტერიტორიაზე, მაგრამ მუდმივად სხვა ადგილას ცხოვრობენ. მაგ., მივლინებით, დროებით ან სეზონურ სამუშაოზე, არდადაგებზე, სტუმრად და ა.შ. ჩამოსულები. დ.მ. შედიან ფაქტობრივი (ე.წ. "სახეზე მყოფი") მოსახლეობის კატეგორიაში.

**დროის ბიუჯეტი** – ამა თუ იმ ადამიანის, ოჯახის, მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფისა და მთლიანად მოსახლეობის მიერ დროის (დღე-ღამის, კვირის, თვის, წლის) დანახარჯის განაწილების დამახასიათებელ მაჩვენებელთა სისტემა. დ.ბ. შედის: 1) სამუშაო დრო - ფაქტობრივი მუშაობის დრო, მოცდენები და სამუშაო დროის არამწარმოებლური ხარჯვა, რეგლამენტური შესვენებები და ა.შ.; 2) არასამუშაო დრო – სამსახურში და სამსახურიდან სახლში მგზავრობის დრო, დროის დანახარჯები საოჯახო შრომაზე, ბავშვების მოვლაზე, პირად ჰიგიენაზე, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა (ძილი, კვება და ა.შ.) დაკმაყოფილებაზე, აგრეთვე თავისუფალი დრო (თვითგანათლება, აქტიური დასვენება და ა.შ.) და დროის სხვა დანახარჯები.

**დროულად დაბადებული ბავშვი** – ბავშვი, რომელიც დაიბადა ორსულობის ნორმალური ვადის დამთავრებისას (ნაყოფის ჩასახვიდან 40 კვირის ბოლოს; დასაშვები მერყეობა 14 დღეა). დ.დ.ბ-ის სხეულის მასა საშუალოდ შეადგენს 3200-3500 გრ. ბიჭისათვის და 3250-3400 გრ. გოგოსათვის, ხოლო სიმაღლე - 47-56 სმ. (უფრო ხშირად – 50-51).

**დღეგრძელები** – 80 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანები. დღეგრძელების გამოკვლევებს აწარმოებენ ადამიანისათვის მაქსიმალურად შესაძლებელი სიცოცხლის ხანგრძლივობისა

და მასზე მოქმედი ცხოვრებისეული პირობების განსაზღვრის მიზნით.

**დღეგრძელობა** – ადამიანის მიერ 80 წლისა და უფრო მაღალი ასაკის მიღწევა. დ. დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მატერიალური პირობები, კულტურული დონე, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ცხოვრების პირობები და შრომის ხასიათი. დ-ზე გავლენას ახდენს ასევე ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანის მემკვიდრეობითობას; აგრეთვე მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ ფაქტორებს.

ზოგჯერ დ-ის შესწავლა გართულებულია ადამიანის ასაკის შესახებ სანდო ინფორმაციის არარსებობის გამო, ვინაიდან ზოგიერთ მოხუცს თავისი ფაქტობრივი ასაკის გაზვიადების მიდრეკილება აქვს..

დ-ის დონე ჩვეულებრივ განისაზღვრება 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობის შეფარდებით 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან (გამოისახება პრომილებში, ანუ შეფარდება გამრავლებული 1000-ზე). გამოიანგარიშება მამაკაცებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე. მაგ., 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ დ-ის დონე საქართველოში შეადგენდა: მამაკაცებისათვის – 59,4 და ქალებისათვის - 114,4 (შეფასებითი მონაცემებით შესაბამისად 89,2 და 127,4). სტატისტიკის დეპარტამენტის პროგნოზის საშუალო ვარიანტიდან გამომდინარე 2050 წელს საქართველოში დ. დონე, დღევანდელთან შედარებით, გაიზრდება და მამაკაცებისათვის შეადგენს 133,9, ხოლო ქალებისათვის - 178,8 (შეფასებით მონაცემებზე გაკეთებული პროგნოზით შესაბამისად 138,6 და 212,7).

**დღენაკლული ბავშვი** – ბავშვი, რომელიც დაიბადა ორსულობის სრული ვადის გასვლამდე (28-დან 39 კვირამდე), 2500 გრ. ნაკლები წონისა და სიმაღლით - 45 სმ-ზე ნაკლები.

დ.ბ-ებში მოკვდაობა 20-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე დროულად დაბადებულ ბავშვებში.

დ.ბ-ის გაჩენის ძირითადი მიზეზებია დედის ქრონიკული დაავადებები, ეკოლოგიური პრობლემები, გადატანილი აბორტები, მრავალნაყოფიანი ორსულობა, ორსულობის გართულებანი, ქრონიკული მოწამვლები და სხვა.





# ე

**ეგზოგამია** – საქორწილო ურთიერთობების აკრძალვა ნათესაური, უფრო იშვიათად კი ლოკალური კოლექტივების წევრებს შორის. ე. წარმოიშვა და საყოველთაოდ გავრცელდა პირველყოფილ-თემური წყობილების დროს. ეთნოგრაფიულ ყოფას ე. გვიანდლამდე შემორჩა. ე-ის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს შთამომავლობაზე სისხლით ნათესავთა შორის ქორწინების მავნე ბიოლოგიური გავლენის თავიდან აცილებაზე ზრუნვას; 2) ადამიანის ლტოლვა გააფართოოს თავისი სოციალური კონტაქტები და კავშირი დაამყაროს სხვა კოლექტივებთან; 3) სქესობრივი ურთიერთობისა და მასთან დაკავშირებული კონფლიქტების კოლექტივის გარეთ გატანით სოციალური მშვიდობის დამყარება.

**ევაკუაცია** – 1) სამოქალაქო მოსახლეობის, საწარმოებისა და დაწესებულებების გაყვანა, ქონებისა და ფასეულობათა გატანა იმ ადგილებიდან, რომელსაც რაიმე საშიშროება ემუქრება (სტიქიური უბედურება, მტრის თავდასხმა და სხვა). 2) საომარი მოქმედების ასპარეზიდან დაჭრილების, ტყვეებისა და მოსახლეობის ზურგში გაყვანა. აგრეთვე ალაფისა და მატერიალურ საშუალებათა გაზიდვა. 3) ჯარების გაყვანა მათ მიერ ადრე დაკავებული რაიონებიდან.

**ევგენიკა** – მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე. ე-ის მიზანია შეიმუშაოს ადამიანის ევოლუციაზე აქტიური ზეგავლენის შესაძლო მეთოდები, გამოიკვლიოს ნიჭისა და ტალანტის მემკვიდრეობით გადაცემის პირობები და კანონები, მემკვიდრული დაავადებების შთამომავლობაზე გადაცემის შეზღუდვის შესაძლებლობა. ტერმინი "ე" შემოიღო ინგლისელმა ბიოლოგმა ფ. გალტონმა 1869 წელს. იგი ე-ის ამოცანად მიიჩნევდა ჯანსაღ წყვილთა ქორწინების წახალისებას, ხოლო არასასურველთა შეუღლების შეზღუდვას.

**ეთნიკური ერთობა** – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური დაჯგუფების განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ცნობილია ტომის, ეროვნების, ერის და სხვა წარმონაქმნის სახით. ე.ე-ის წარმოქმნის მთავარი პირობა იყო საერთო ტერიტორია, როგორც ადამიანთა გაერთიანების ბუნებრივი ბაზა და საერთო ენა. რიგ შემთხვევაში, მაგ., ამერიკის ერების ჩამოყალიბებისას, მათი ენების ერთიანობა გამომუშავდა ე.ე-ის სხვადასხვაენოვან კომპონენტებში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტების განვითარების პროცესში. ე.ე-ის ეთნოგენეზის პროცესში ყალიბდება თითოეული ეთნოსისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები როგორც მატერიალურ და სულიერ კულტურაში, ისე ყოფასა და ფსიქიკაში.

ყოველივე ამასთან ერთად იქმნება ეთნიკური თვითშეგნება ამა თუ იმ ე.ე-ის საერთო წარმომავლობასა და ისტორიულ ბედ-იღბალზე. საერთო ტერიტორიასა და ენასთან ერთად ე.ე-ის თითქმის ყველა ეს ელემენტი შეიძლება ჩაითვალოს მის ნიშან-თვისებად. ე.ე-ის ფორმირებას ზოგჯერ ხელს უწყობს საერთო რელიგია და აგრეთვე რასობრივი ნიშნების სიახლოვე. ფორმირებული ე.ე. სოციალური ორგანიზმია, რომელიც საკუთარი თავის აღწარმოებას ახდენს და ამასთან ახალ თაობას მშობლიურ ენას, კულტურას, ტრადიციებს, ეთნიკურ ორიენტაციასა და სხვ. გადასცემს. უფრო მყარი არსებობის უზრუნველყოფის მიზნით, ე.ე. ცდილობს შექმნას სოციალურ-ტერიტორიული ორგანიზაციები (სახელმწიფო). დროთა ვითარებაში ამა თუ იმ ე.ე-ის წევრები შეიძლება ერთმანეთისაგან ტერიტორიულად გათიშული აღმოჩნდნენ, გამოიცვალონ ენა, კულტურა, მაგრამ ვიდრე მათ შემონახული აქვთ მთავარი ეთნიკური მსაზღვრელი - ეთნიკური თვითშეგნება, ისინი მაინც თავიანთი ღვიძლი ე.ე-ის წევრებად ითვლებიან.

**ეთნიკური თვითშეგნება** – ეთნიკური ერთობის ძირითადი ნიშან-თვისება, რომელიც მისი წევრების საერთო წარმომავლობასა და ისტორიულ ბედ-იღბალზე მიუთითებს. გარკვეული ე.თ-ის მქონე ადამიანი შესაბამის ეთნიკურ ერთობას განეკუთვნება. (იხ. აგრეთვე ეთნიკური ერთობა).

**ეთნიკური პროცესები** – პროცესები, რომლებიც იწვევენ ცვლილებებს ეთნიკური ერთობის ენასა და კულტურაში, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც იწვევს ეთნიკური თვითშეგნების შეცვლას, ანუ ადამიანთა ჯგუფების ერთი ეთნიკური ერთობიდან მეორეში გადასვლას.

**ეთნიკური სტატისტიკა** – დემოგრაფიული სტატისტიკის ნაწილი, რომლის მიზანია მოსახლეობის ეთნიკური (ეროვნული) შემადგენლობის აღწარმოების შესახებ მონაცემთა მოპოვება და დამუშავება.

**ეთნიკური სტრუქტურა** – იხ. მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) ეთნიკური.

**ეთნიკური ტერიტორია** – მოცემული ეთნოსის ძირითადი განსახლების ტერიტორია. ჩვეულებრივ შეიცავს მისი ფორმირებისა და კომპაქტური განსახლების არეალს. ე.ტ-ის მდებარეობა და მისი ბუნებრივი პირობები არსებით გავლენას ახდენს ეთნოსის ცხოვრებაზე, კულტურასა და ყოფაზე.

**ეთნოგენეზი** – ადრე არსებული სხვადასხვა ეთნოსის კომპონენტის ბაზაზე შექმნილი ახალი ეთნიკური ერთობის





ჩამოყალიბების პროცესი. ე. წარმოადგენს ყოველი ეთნოსის ეთნიკური ისტორიის დასაწყისს, რომელიც გრძელდება ე-ის დამთავრების შემდეგაც და გამოიხატება უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსის შემდგომი განსახლების პროცესში მასში ზოგიერთი სხვა ასიმილირებული ჯგუფების შერწყმით, ზოგჯერ კი მისგან ახალი ლოკალური ჯგუფების გამოყოფით.

ისტორიულად ე-ის ორი სხვადასხვა ტიპია ცნობილი. პირველი დამახასიათებელია პირველყოფილ-თემურ და წინაკაპიტალისტურ საზოგადოებათა ეთნოსის ისტორიისათვის, რაც მთავრდება ისტორიულად ცნობილ ეროვნებათა ჩამოყალიბებით, უმთავრესად ადრინდელ ფეოდალურ ხანაში. ე-ის მეორე ტიპი ნიშანდობლივია გვიანდელი ხანის ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნისათვის, მაგ., თანამედროვე ამერიკის ხალხთა ფორმირებისათვის, რომელშიც მთავარი როლი შეასრულეს უკვე ჩამოყალიბებული ხალხების წარმომადგენლებმა. მთავარი განსხვავება ამ ორ ტიპს შორის ისაა, რომ თავისი დროისათვის ახალი ტომობრივი ჯგუფების ანუ ადრინდელი ეროვნების ე-ში მონაწილეობდნენ უფრო ძველი ტომობრივი ჯგუფები – მასობრივი, ამასთან აუცილებელი ბიოლოგიური კონტაქტების გზით, მაშინ როცა ახალი დროის ეთნიკურ ერთობათა ე-ში მთავარი როლი განეკუთვნება აკულტურაციის პროცესებს. ე-ის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ეთნოსის კომპონენტების კონსოლიდაციის, ასიმილაციისა და მიგრაციის პროცესები.

**ეთნოგრაფია** – იხ. ეთნოლოგია.

**ეთნოგრაფიული ჯგუფი** – ეროვნების ან ერის ლოკალური ნაწილი, რომლის კულტურასა და ყოფაში შემონახულია ზოგიერთი თავისებურება (დიალექტი, მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკა, რელიგია და სხვ.). ე.ჯ. ჩვეულებრივ წარმოიქმნება ეროვნების ან ერის მიერ სხვა ერის წარმომადგენელთა ასიმილაციის ან ტომების ერთ ეროვნებად შერწყმის შედეგად, აგრეთვე ხალხის ნაწილის ხანგრძლივი მოწყვეტით ძირითადი ეთნოსის მასისაგან (მიგრაცია, სახელმწიფო საზღვრების შეცვლა და სხვ.). ახალი ე.ჯ-ის წარმოქმნაში დიდ როლს ასრულებს რელიგია, წოდებრივი ჯგუფები და სხვ.

ე.ჯ-გან განასხვავებენ უფრო ფართო ცნებას – ეთნიკურ ჯგუფს, რომელშიც რამდენიმე ახლო მონათესავე ხალხთა ჯგუფი იგულისხმება (მაგ., სლავები).

**ეთნოლოგია** - ხალხის ყოფისა და კულტურის, წარმოშობის, განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირის შემსწავლელი ჰუმანიტარული მეცნიერება. ე. იკვლევს ეთნიკურ კულტურათა საერთო და განსხვავებულ ფორმებს, მათი განვითარების

კანონზომიერებებს, იმას, თუ რა წვლილი შეუტანია კაცობრიობის კულტურის საგანძურში ამა თუ იმ ხალხს. ე. იმასაც სწავლობს, თუ რა განაპირობებს და ასაზრდოებს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფაქცევის ნორმებს.

ე., როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, XIX ს. მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, თუმცა მისი ცოდნის საწყისები შორეული წარსულიდან მომდინარეობს.

**ეთნოსი** – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მეტ-ნაკლებად დიდი თუ მცირე ჯგუფი (ტომი, ხალხი, ერი), შეკავშირებული ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობის საფუძველზე. პირველყოფილ-თემურ საზოგადოებაში ამ ერთობის ნიშანია აგრეთვე სისხლით ნათესაობა. ზოგიერთ შემთხვევაში ე. წარმოიქმნება სხვადასხვა ენოვანი ჯგუფებისაგან (მაგ., ამერიკის ბევრი ეროვნება).

**ეთნოსის განსახლება** – ეთნოსის განლაგება როგორც მისი კომპაქტური განსახლების არესა და ეთნიკურად შერეულ რაიონებში, რომლებიც ეთნიკურ ტერიტორიაში შედიან, ისევე მის ფარგლებს გარეთაც.

**ეკოლოგია ადამიანისა** – შეისწავლის ურთიერთკავშირს ადამიანსა და ბუნებას შორის. ეკოლოგიურმა მიდგომამ, რომელიც შეისწავლის გარემოს ელემენტების ზემოქმედებას ადამიანსა და მოსახლეობაზე, საყოველთაო ხასიათი მიიღო. ტერმინი „ე.ა.” შემოიღეს 1921 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა რ. პარკმა და ე. ბერჯესმა.

**ეკოლოგია სოციალური** – იხ. ეკოლოგია ადამიანისა.

**ეკოლოგიური კრიზისი** – ურთიერთკავშირის დარღვევა ეკოლოგიურ სისტემებს შიგნით (ან შეუქცევადი მოვლენები ბიოსფეროში), გამოწვეული ადამიანის საქმიანობით, რომელიც ემუქრება მის არსებობას. 1980-იან წწ. “ე.კ”-ის ცნების განმარტებამ უფრო ფართო გააზრება შეიძინა. ე.კ-ის ცნებაში ყველა იმ მოვლენას აერთიანებენ, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ნეგატიურად ზემოქმედებენ მოსახლეობის განვითარებაზე და საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლის ბუნებრივ საფუძველს. ანსხვავებენ ლოკალურ და გლობალურ ე.კ.

**ეკოლოგიური პოლიტიკა** – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებაზე საზოგადოების ზემოქმედებასთან. ვიწრო გაგებით, ე.პ. ბუნების დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან





დაკავშირებული საქმიანობაა. ფართო გაგებით, ე.პ. გულისხმობს მთელი რიგი იმ სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს ხარისხის გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ე.პ. განუყოფელია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკისაგან.

**ეკოლოგიური სისტემა (ეკოსისტემა)** – ბუნებრივი კომპლექსი, რომელიც წარმოქმნილია ცოცხალი ორგანიზმებისა და მათი ბინადრობის გარემოთი და დაკავშირებულია ერთმანეთთან ნივთიერებათა და ენერგიის გაცვლით. ეს ტერმინი მიესადაგება როგორც ბუნებრივ (მთები, ტყეები და ა.შ.), ისევე ხელოვნურ (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ბაღები და ა.შ.) ე.ს-ს. ყოველ ე.ს-ს ახასიათებს ნივთიერებათა და ენერგიის გაცვლათა თავისებურებები, რომელთა დანაკლისს მოჰყვება ე.ს-ის სტაბილურობის დარღვევა, რაც აუარესებს გარემოს ხარისხს და ზრდის ეკოლოგიური კრიზისის საშიშროებას.

ახალი ცნების – ადამიანის ე.ს-ის აღმოცენებამ ხელი შეუწყო ბიოსფეროს რესურსების გამოყენებისა და საზოგადოებრივი განვითარებისადმი კომპლექსურ მიდგომას. ე.ს. გარდაიქმნა საზოგადოების აღწარმოების ინტეგრალურ რესურსად.

ტერმინი „ეკოსისტემა” 1935 წელს იქნა შემოთავაზებული ინგლისელი ბოტანიკოსის ა. ტენსლის მიერ.

**ემიგრანტები** – პირები, რომლებიც ტოვებენ მშობლიურ ქვეყანას და მოქალაქეობის შენარჩუნებით, მიმღებ ქვეყანაში მიიღებენ მუდმივი ცხოვრების უფლებას (ან იმიგრანტის სტატუსს).

**ემიგრაცია** – პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება მოსახლეობის ქვეყნიდან გარეთ მიგრაცია.

**ენდემია** – ამა თუ იმ დასახლებულ ტერიტორიაზე ინფექციური ან სხვა დაავადების მუდმივად (მრავალი წლის მანძილზე) არსებობა. იწვევს გარკვეული გარემო პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ტერიტორიაზე ერთხელ გაჩენილი დაავადების გამომწვევი მაავადებელი თვისებების ხანგრძლივად შენარჩუნებას.

**ენდოგამია** – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება ნებადართული იყო გარკვეული საზოგადოების ჯგუფის - ტომის, კასტის, საგვარეულოს და ა.შ. ფარგლებში. პირველყოფილ საზოგადოებაში გვარი იყო ეგზოგამური (იხ. ეგზოგამია), ტომი კი – ენდოგამური. პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდში რიგ ხალხებში (მაგ., არაბები, უზბეკები და სხვ.) საგვარეულოები ან უფრო ხშირად შიდა საგვარეულო ჯგუფები – პატრონიმიები გახდა ენდოგამური, რაც გამოწვეული იყო ქონების

ახლო ნათესავებში შენარჩუნების მისწრაფებით. ამასთან, ქორწინება მყარდებოდა (მამის მხრიდან, უფრო იშვიათად დედის მხრიდან) დებსა და ძმებში, ბიძაშვილ-მამიდაშვილებში და ა.შ. (ე.წ. ორთოკუზენური ქორწინება).

**ეპიდემია** – მწვავე (გადამდები) ინფექციური დაავადების გავრცელება რომელიმე რაიონსა ან ქვეყანაში. დასნეულების საერთო წყაროთი დაკავშირებულ ჯგუფურ დაავადებებს, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიაზე უეცრად ჩნდება ეპიდემიურ აფეთქებას, ხოლო ცალკეულ ინფექციურ დაავადებებს – სპორადულ ავადობას უწოდებენ. ეპიდემიური პროცესის ინტენსივობა დამოკიდებილია არა მარტო დაავადებათა რაოდენობაზე, არამედ დაავადების სახეობასა და ქვეყანაზე, სადაც ვრცელდება ესა თუ ის დაავადება.

**ეპიდემიოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ინფექციური დაავადებების აღმოცენებისა და გავრცელების კანონზომიერებებს და შეიმუშავებს ამ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებსა და მეთოდებს.

**ეპიდემიოლოგიური გადასვლა** – კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია ახსნას ავადობისა და მოკვდაობის მიზეზების მიხედვით განაწილების ისტორიული პროცესის ცვალებადობის მიზეზები და კანონზომიერებები. ე.გ. გამოყოფს ავადობის მაჩვენებლების დეტერმინანტებს და ასაბუთებს მათი ცვალებადობის გარკვეულ როლს დემოგრაფიული გადასვლის ჩასახვაში.

ე.გ. კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) მეცნიერის ა. ომრანის მიერ 1971 წელს.

**ერგოდიულობის თვისება** – დემოგრაფიაში იმით გამოიხატება, რომ მოსახლეობის წარსული ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა მომდევნოზე დროთა განმავლობაში თანდათან სუსტდება და ასაკობრივი სტრუქტურა დამოკიდებული ხდება წინამავალი პერიოდის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმზე. ანსხვავებენ ძლიერ და სუსტ ე.თ-ს.

ძლიერი ე.თ. გულისხმობს, რომ თუ რომელიმე მოსახლეობისათვის შობადობისა და მოკვდაობის ინტენსივობა უცვლელი ხდება დროში, მაშინ ასეთი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და მასზე დამოკიდებული პარამეტრები (მაგ., ზოგადი კოეფიციენტები), როგორც უნდა ყოფილიყო აქამდე, თანდათან უახლოვდება ზოგიერთ ზღვრულ მნიშვნელობას, დამოკიდებულს შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივ ინტენსივობაზე. ასეთ დროს მოსახლეობას ეწოდება ასიმპტოტურად სტაბილური





მოსახლეობა, ხოლო მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ზღვრულ მნიშვნელობებთან მიახლოების პროცესს – მოსახლეობის სტაბილიზაცია. ძლიერი ე.თ. პირველად დადგენილ იქნა ალფრედ ჯეიმს ლოტკას მიერ XX ს. პირველ მესამედში.

ზოგადად სუსტი ე.თ. არ გულისხმობს შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის უცვლელობას და უშვებს ასაკობრივი სტრუქტურის ცვალებადობას დროში. ე. კოულმა 1957 წელს უჩვენა საწყისი ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის შესუსტება დროში. ა. ლოპესმა 1961 წელს დაამტკიცა, რომ თუ ორ მოსახლეობას, დროის გარკვეული მომენტიდან დაწყებული, ახასიათებს შობადობისა და მოკვდაობის ერთნაირი ასაკობრივი ინტენსივობა (განდაც დროში ცვალებადი), მაშინ ისინი თანდათან მიღებენ ერთნაირ ასაკობრივ სტრუქტურას (შესაძლებელია დროში ცვალებადს).

მათემატიკურად სუსტი ე.თ. ნიშნავს, რომ თუ 1 და 2 მოსახლეობაში X ასაკში მყოფი ${}^1S_x^t$ და ${}^2S_x^t$ პირთა რაოდენობაა, მაშინ

$$\lim_{t\to\infty}\left(\frac{{}^1S^t_{x_1}}{{}^2S^t_{x_1}}-\frac{{}^1S^t_{x_2}}{{}^2S^t_{x_2}}\right)=0$$

მოცემულ შემთხვევაში $x_1$ და $x_2$ ნებისმიერი ასაკია.

ე.თ. მნიშვნელოვანია მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე გავლენის სწორი გაგებისათვის.

**ერი** – ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმა, რომელიც ყალიბდება ტერიტორიის, ეკონომიკური კავშირების, საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენის, ეროვნული კულტურის ძირითად თავისებურებათა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული ფსიქიკური წყობის ერთობის საფუძველზე.

**ეროვნება** – 1) მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების ბაზაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობის ისეთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს საერთო ტერიტორია, ენა, ჯერ კიდევ არამყარი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები და კულტურული ერთობის წარმოშობის პირობების შექმნა; 2) გამაერთიანებელი სახელი ერისა, ხალხისა, ტომისა; 3) ეროვნული წარმომავლობა, წარმოშობა, რომელიმე ერისადმი კუთვნილება.

**ეროვნებათა ლექსიკონი** – მოცემულ ქვეყანაში ყველა ეთნოსის ან ეროვნებათა სია (ჩვეულებრივ კომენტარებით), მათი ძირითადი დასახელების მიხედვით და მათი ადგილობრივი ყოფითი დასახელებით,

რომელიც ეხება როგორც მთელ ეთნოსს, ისევე მის ცალკეულ ეთნოგრაფიულ, რეგიონულ, რელიგიურ და სხვა ჯგუფებს. ე.ლ-ს ჩვეულებრივ ადგენენ მოსახლეობის აღწერის ჩატარების წინ, რომლის პროგრამა ითვალისწინებს ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილების აღრიცხვას. მას იყენებენ როგორც დამხმარე საშუალებას სააღწერო ფურცლებისა და მონაცემთა მანქანური დამუშავების პროგრამების შედგენისას.

**ექსორია** – სახელმწიფოდან განდევნა, გადახვეწა (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზების გამო). ფეოდალურ საქართველოში ტერმინი "ე." იხმარებოდა გაძევების აღსანიშნავად. გაძევებულთ "ექსორიაქმნილნი" ეწოდებოდათ.

# ზ

**ზემოკვდაობა (ჭარბმოკვდაობა) მამაკაცთა** – მამაკაცთა მოკვდაობის ინტენსივობის სიჭარბე ქალების მოკვდაობის ინტენსივობასთან შედარებით. ზ.მ. გამოიანგარიშება როგორც შეფარდებითი სიდიდე, რომლის მრიცხველია მამაკაცთა მოკვდაობის კოეფიციენტი (ზოგადი ან ასაკობრივი), ხოლო მნიშვნელში ქალების მოკვდაობის კოეფიციენტი (ზოგადი ან ასაკობრივი). ეს მაჩვენებელი გამოისახება პროცენტობით. ზ.მ. აიხსნება ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით. პირველს მიეკუთვნება გენეტიკურად განპირობებული ქალის ორგანიზმის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ეგზოგენურ ზემოქმედებას; მეორეს - სამუშაო ასაკში მამაკაცთა სიკვდილის მაღალი რისკი საწარმოო ხასიათის ტრავმებისაგან, მავნე ჩვევების (თამბაქოს წევა, ალკოჰოლიზმი) მეტი გავრცელებისა და სხვა სახის ქცევებისაგან, რომლებიც უარყოფით გაელენას ახდენენ ჯანმრთელობაზე. ზ.მ. განსაკუთრებით მაღალია სამუშაო ასაკში.

**ზიგოტა** – განაყოფიერების შედეგად წარმოქმნილი უჯრედი. ზ. ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების (ონტოგენეზის) საწყისი სტადიაა. ადამიანის ზ. განვითარებას იწყებს განაყოფიერების დამთავრებისთანავე.

# თ

**თანამედროვეები** – ერთდროულად მცხოვრები ადამიანები. დემოგრაფიული ანალიზისას თ-ად ითვლება ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ცხოვრობდა დროის რომელიმე მომენტში ან დროის ინტერვალში, ჩვეულებრივად – კალენდარულ წელს.





განივი ანალიზისას თ. განიხილება როგორც ჰიპოთეზური თაობა.

**თანატოლები** – ერთდროულად დაბადებული ადამიანები. დემოგრაფიული ანალიზისას თ. განიხილება როგორც ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც დაიბადნენ დროის რომელიმე მომენტში ან დროის ინტერვალში, ჩვეულებრივად – 1 წელი ან 5 წელი და წარმოქმნიან რეალურ თაობას. "თ"-ის კატეგორია წარმოადგენს ძირითად ცნებას სიგრძივი ანალიზისას.

**თანაცხოვრება** – მამაკაცისა და ქალის სქესობრივი და სამეურნეო-ყოფითი კავშირი, რომელმაც არ მიიღო არავითარი საზოგადოებრივი აღიარება. ბავშვები, რომლებიც გააჩინეს თანაცხოვრებაში მყოფმა წყვილმა, ითვლებიან ქორწინების გარეშე დაბადებულებად.

**თაობა** – 1) გარკვეულ პერიოდში (ჩვეულებრივ, კალენდარული წლის ტოლი) დაბადებულ ადამიანთა ერთობლიობა. თ. იგივეა, რაც კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით.

2) ცოლ-ქმრული წყვილის ან ცოლ-ქმრულ წყვილთა ერთობლიობის შთამომავლობა ნათესაობის ხარისხის მიხედვით. ამასთან, თვითონ ეს წყვილები (მშობლები) ითვლებიან ნულოვან თ-დ, ხოლო მათი შვილები – პირველ თ., შვილიშვილები – მეორე თ. და ა.შ.

3) საფეხური ნათესაობის ხაზში ორ ნათესავს შორის პირდაპირი ხაზით, ე.ი. საერთო წინაპრებისაგან წარმოშობილი (დედა – ქალიშვილი, მამა – ვაჟიშვილი). ვინაიდან დემოგრაფია განიხილავს არა ცალკეულ ადამიანებს ან ოჯახებს, არამედ მათ ერთობლიობებს, თ. ამ აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ საშუალო სიდიდე.

**თაობა მამაკაცების** – ერთი და იგივე დროის პერიოდში (კალენდარული წლის ან რამდენიმე წლის ტოლი) დაბადებული მამაკაცების ერთობლიობა. თ.მ. იგივეა, რაც მამაკაცების კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით. დემოგრაფიაში ტერმინი "თ.მ." გამოიყენება თ.მ. სიგრძის მნიშვნელობით.

**თაობა ჰიპოთეზური** – იხ. თაობა ჰიპოთეზური.

**თაობა რეალური** – კოჰორტა დაბადების წლის მიხედვით; ერთდროულად დაბადებული ადამიანების ერთობლიობა ან თანატოლების ერთობლიობა. თ.რ. წარმოადგენს ძირითად ცნებას დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას სიგრძივი ანალიზის მეთოდით.

**თაობა ქალების** – ერთი და იგივე დროის პერიოდში (კალენდარული წლის ან რამდენიმე წლის ტოლი) დაბადებული ქალების ერთობლიობა. თ.ქ. იგივეა, რაც ქალების კოჰორტა დაბადების წლის

მიხედვით. დემოგრაფიაში ტერმინი “თ.ქ.” გამოიყენება თ.ქ. სიგრძის მნიშვნელობით.

**თაობა ჰიპოთეზური** – ადამიანთა პირობითი ერთობლიობა, რომელთა სიცოცხლის მანძილზე (ან მათი რომელიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნისას) დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა ყოველ ასაკში შეესაბამება მოცემულ კალენდარულ პერიოდში არსებულს. ამასთან, სხვადასხვა ასაკის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ამ კალენდარულ პერიოდში, განიხილებიან როგორც ერთი და იგივე თაობის წარმომადგენლები. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა დავახასიათოთ დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობა, მოცემულ კალენდარულ პერიოდში, მაჩვენებელთა იმ სისტემით, რომელიც თითქოს ასახავს ამ თაობის რაოდენობის ან შემადგენლობის ცვალებადობას სიცოცხლის მანძილზე მოცემული პროცესის გავლენით. კრებსითი მონაცემები ასეთი ერთობლიობისათვის გამოიყენება თაობისათვის მთლიანობაში. თჰ-ის მაჩვენებლები გაგებულ უნდა იქნას როგორც ამ პროცესის მიმდინარეობის შედეგი რომელიმე წარმოსახვით კოჰორტაში. თჰ-ის კრებსითი დემოგრაფიული მახასიათებლები (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო და ნეტო კოეფიციენტები და ა.შ.) განისაზღვრება დემოგრაფიული პროცესების ასაკობრივი საზომით მოცემული პერიოდისათვის თჰ-ის წარმომქმნელი ერთდროულად მცხოვრები რეალური თაობის მიერ. ამასთან მიიჩნევა, რომ დემოგრაფიული მახასიათებლები რჩება კალენდარული პერიოდის დონეზე თაობის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თჰ. წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ცნებას განივი ანალიზისას. თჰ-ის საფუძველზე აგებული დემოგრაფიული მაჩვენებლები იძლევიან საჭირო ინფორმაციას არსებული დემოგრაფიული ვითარების შესახებ, მაგრამ მათი დინამიკა განიცდის გავლენას რეალურ თაობებში მიმდინარე პროცესების ინტენსივობის ცვალებადობასთან ერთად.

თჰ-ის ცნების ელემენტები ჯერ კიდევ XVII ს. გამოჩნდა. მისი ჩამოყალიბება XIX ს. მოხდა, თუმცა დასრულებული სახით თჰ. XX ს. 40-50-იან წწ. წარმოდგა, მას შემდეგ, რაც პ. უელპტონის, ლ. ანრისა და სხვების მიერ მოხდა განივი ანალიზის ინტენსიური დამუშავება.

**თაობათა განახლება** (თაობათა აღდგენა) – იხ. მოსახლეობის აღწარმოება.

**თაობათა შენაცვლება** (თაობათა ცვლა) – იგივეა, რაც თაობათა განახლება (თაობათა აღდგენა).

**თაობის სიგრძე** – მშობლებისა და მათი შვილების თაობების გამყოფი დროის საშუალო ინტერვალი. ანსხვავებენ თ.ს-ის გამოთვლის პირდაპირ და ირიბ მეთოდებს.

პირდაპირი მეთოდი ეფუძნება რეალური თაობის სქემას და





განისაზღვრება მშობლებისა და მათი შვილების საშუალო ასაკებს შორის სხვაობით. თ.ს-ის გამოთვლის ირიბი მეთოდი ეფუძნება ჰიპოთეზური თაობის სქემას. არსებობს თ.ს-ის ირიბი მეთოდით გაანგარიშების რამდენიმე ვარიანტი. ირიბი მეთოდის ერთ-ერთი პირველი ვარიანტი შემოთავაზებულ იქნა ა. ლოტკას მიერ XX ს. 20-ian ww. mis SemTxvevaSi T.s. (T) გამოითვლება ფორმულით:

$$T = \frac{\ln Ro}{r},$$

სადაც $R_0$ – მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი; r – სტაბილური მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი.

**თაობის შრომითი პოტენციალი** – თაობის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მახასიათებელი. თ.შ.პ. გამოისახება კაც-წელიწადებში. იგი დამოკიდებულია სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეობის რაოდენობასა და მოკვდაობის მოსალოდნელ ინტენსივობაზე.

**თემი** – ადრინდელი, გვაროვნული, სისხლით ნათესაობის ბუნებრივ საწყისებზე წარმოქმნილი სოციალური ორგანიზაციის პირველი ფორმა, რომელიც ამა თუ იმ სახით არსებობდა ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე.

**თვითაღრიცხვა** – მოსახლეობის აღწერის ან მოსახლეობის გამოკვლევის ჩატარებისას მონაცემთა მოპოვების მეთოდი, რომლის დროსაც პასუხებს დასმულ შეკითხვებზე აფიქსირებს (ჩაწერს) არა რეგისტრატორი, არამედ თვით გამოსაკითხი პირი. რეგისტრატორები ჯერ დაარიგებენ აღწერის ფურცლებს (ან კითხვარებს) და შემდეგ კრეფენ მათ შევსებულებს. ზოგჯერ კითხვარები დაიგზავნება ფოსტით. თ-ის მეთოდის გამოყენება დაიწყეს XIX ს. მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მოსახლეობის აღწერებისას. სადღეისოდ ის გავრცელებულია ეკონომიკურად განვითარებულ ბევრ ქვეყანაში. თ-ის მეთოდის გამოყენება საჭიროებს მოსახლეობის შედარებით მაღალ კულტურულ დონეს და ამასთან მიზანშეწონილია, რომ გამოკვლევის (აღწერის) პროგრამა არ იყოს რთული.

**თვითგამორკვევის პრინციპი მოსახლეობის აღწერისას (გამოკვლევისას)** – წესი, რომლის თანახმად ადამიანის კუთვნილება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფთან განისაზღვრება მისი თვითშეგნებით, თვითონ ადამიანის მიერ. თ. პ. გამოიყენება ძირითადად მაშინ, როდესაც ადამიანის მიკუთვნება მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფთან არ შეიძლება (ან გართულებულია) ობიექტური მიზეზების გამო.

ხშირად თ.პ-ის გამოყენება გულისხმობს სანდოობის ამაღლებას და ასეთ დროს გარკვეული მონაცემები აღწერისას (გამოკვლევისას)

აღირიცხება გამოსაკითხი პირის სიტყვებიდან გამომდინარე, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე მაშინაც კი, როდესაც არსებობს შესაძლებელი პასუხის მკაცრი ობიექტური კრიტერიუმები.

**თვითრეგისტრაცია** – იხ. თვითაღრიცხვა.

**თვითშენახვითი (თვითშენარჩუნებითი) ქცევა** – ადამიანის აქტივობა, რომელიც მიმართულია ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდისაკენ. ის შეიძლება იყოს გაცნობიერებული და გაუცნობიერებელიც. თ. ქ. ეფუძნება თავის ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლების მოთხოვნილებას, თუმცა სოციალური ქცევის დონისას შეიძლება ამ მიმართულებით ითვალისწინებდეს სხვა ადამიანების მოთხოვნილებასაც. თ.ქ-ის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მოკვდაობის კვლევისას და აქტუალურია მოსახლეობის აღწარმოების პროცესის ანალიზისას.თ.ქ-ის არსის გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა განსაზღვრისათვის.

## ი

**იზოლატები** – იხ. იზოლირებულები.

**იზოლირებულები** – ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფები, რომლებიც თავიანთი ტერიტორიული მდებარეობის (მთებში, პატარა კუნძულზე და სხვა ძნელმისადგომ ადგილებში განსახლებულები) ან სხვა მიზეზების (რელიგიური, ეთნიკური და სხვ.) გამო მოწყვეტილი აღმოჩნდნენ მოსახლეობის ძირითადი მასისაგან.

**იზოქრონა** – ხაზი, რომელიც დემოგრაფიულ ბადეზე აერთიანებს ერთი და იგივე დროის მომენტში მომხდარ ადამიანთა ცხოვრების დემოგრაფიულ შემთხვევებს. ი. წარმოადგენს დიაგონალს, რომელიც იწყება კალენდარული დერძის იმ წერტილში, რომელსაც შეესაბამება ესა თუ ის კალენდარული თარიღი. ყველა ადამიანი, რომელთა სიცოცხლის ხაზს (იხ. ხაზი სიცოცხლისა) კვეთს ი., იმყოფება მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში (იმყოფებიან ქირწინებაში, გააჩინეს ბავშვების გარკვეული რაოდენობა და ა.შ.) ერთი და იგივე დროის მომენტისათვის, ე.ი. ისინი თანამედროვეებს წარმოადგენენ. ი-ის დახმარებით ადვილად შეიძლება შემთხვევის თარიღიდან ასაკზე ან მდგომარეობის ხანგრძლივობაზე გადასვლა, რომელშიც ეს შემთხვევა მოხდა და პირიქით.





**იმიგრანტები** – პირები, რომლებიც იმყოფებიან რეციპიენტ ქვეყანაში და აქვთ მუდმივი ცხოვრების უფლება ან იმიგრანტის სტატუსი.

**იმიგრაცია** – პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ქვეყანაში გარედან მიგრაცია.

**იმიგრაციული კვოტა** – იმიგრანტთა (მუდმივად ცხოვრების მსურველთა) ზღვრული სიდიდე, რომლის მიღებაც განსაზღვრული ვადით დასაშვებია მიმღებ ქვეყანაში.

**ინდექსები დემოგრაფიული** – არსებობს ი.დ-ის სხვადასხვა სახეობა. ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოცემული მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობას ეტალონად (სტანდარტად) მიჩნეულ სხვა მოსახლეობასთან შედარებით (კოულის ინდექსები, ბორისოვის ინდექსი, ქორწინების ინდექსები).

ი.დ-ის მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ რომელიმე დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობას ურთიერთსაწინააღმდეგო დემოგრაფიულ შემთხვევათა სიმჭიდროვეთა თანაფარდობით – განქორწინებათა – ქორწინებასთან, დაბადებათა – გარდაცვლილებთან (განქორწინების ინდექსი, ცხოველმყოფელობის ინდექსი).

ი.დ-ის მესამე ჯგუფში შედიან ე.წ. დატვირთვის მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობას ერთი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობის თანაფარდობით – გარკვეული ასაკის ბავშვების რაოდენობის შეფარდება ქალების რაოდენობასთან (შვილიანობის ინდექსი).

**ინდექსები კოულისა** – ახასიათებენ შობადობის არსებული დონის გადახრას შესაძლებელი მაქსიმუმიდან. მაქსიმუმის სტანდარტად აღებულ იქნა ჰუტერიტების (რელიგიური სექტა) 1921-1930 წლების ქორწინებითი შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები (‰): 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის – 300, 20-24 – 550, 25-29 – 502, 30-34 – 447, 35-39 – 406, 40-44 – 222, 45-49 – 61.

ჰუტერიტი ქალების რეალური ნაყოფიერება ძალიან მაღალი იყო და ამასთან მათში პრაქტიკულად გავრცელებული არ იყო ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება.

შესაბამისი სტანდარტები და ინდექსები შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) დემოგრაფის ე. კოულის მიერ 1965 წელს.

ე. კოულის მიერ შემოთავაზებულ იქნა ოთხი ინდექსი: საერთო შობადობის, ქორწინებითი შობადობის, ქორწინების გარეშე შობადობის, ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის (იხ. ინდექსი კოულისა.).

**ინდექსები მიზიდულობის და განზიდულობისა** – იხ. ინდექსები ქორწინებისა.

**ინდექსები მოკვდაობისა** – მაჩვენებლები, რომლებიც ზომავენ მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობისა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვალებადობის გავლენას მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდეზე დროის რომელიმე პერიოდისათვის. წარმოადგენენ მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტების შეფარდებას ზოგად კოეფიციენტთან. ყველაზე უფრო გავრცელებულია ორი მაჩვენებელი: 1) ი.მ., რომელიც ტოლია პირდაპირი მეთოდით გამოთვლილი მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტის შეფარდებისა მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტთან; 2) ი.მ., რომელიც ტოლია ირიბი მეთოდით გამოთვლილი მოკვდაობის სტანდარტიზებული კოეფიციენტის შეფარდებისა მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტთან (იხ. კოეფიციენტი მოკვდაობისა ზოგადი, კოფიციენტი მოკვდაობისა სტანდარტიზებული).

**ინდექსები ქორწინებისა** – დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება ქალებისა და მამაკაცების ჯგუფებისათვის საქორწინო პარტნიორების უპირატესი არჩევანის ხარისხის გასაზომად რომელიმე ნიშნის (ასაკი, ეროვნება, განათლება და სხვ.) მიხედვით. ი.ქ. გამოთვლას საფუძვლად უდევს ფაქტობრივად არსებული დაქორწინებული წყვილების მახასიათებლების სიხშირეებისა და საქორწილო წყვილების შემთხვევითი არჩევანისას თეორიულად შესაძლებელი სიხშირეების შეპირისპირება.

არსებობს ი.ქ. რამდენიმე სისტემა. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს მ. პტუხას მიერ შემუშავებული ინდექსები. ქორწინებისას, მამაკაცისა და ქალის მიერ უპირატესობის მიცემის შემთხვევაში ჰომოგამიის (მიზიდულობის) ხარისხი გამოითვლება ცალ-ცალკე მამაკაცისა და ქალისათვის შემდეგი ფორმულებით:

$$S^{I} = \frac{AT - CL}{L(T - C)}; \qquad S^{II} = \frac{AT - CL}{C(T - L)},$$

სადაც $S^{I}$ და $S^{II}$ ჰომოგამიის ინდექსებია შესაბამისად ქალებისა და მამაკაცებისათვის; L და C – გარკვეული ნიშნის მქონე (მაგ. ეროვნება) დაქორწინებული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა; A – ქორწინებათა რაოდენობა მათ შორის; T – ქორწინებათა საერთო რაოდენობა. ჰომოგამიის ინდექსი ორივე სქესისათვის გამოითვლება როგორც საშუალო გეომეტრიული, მამაკაცებისა





და ქალების ინდექსების მნიშვნელობებიდან ფორმულით:

$$S = \sqrt{S'S''} = \frac{AT - CL}{\sqrt{CL(T - C)(T - L)}}$$

ჰომოგამიის ინდექსი შეიძლება იცვლებოდეს +1-დან 0-მდე, ე.ი. პარტნიორის გარკვეული მახასიათებლის მიმართ უპირატესობის მიცემის მაქსიმალური ხარისხიდან სრულ გულგრილობამდე.

თუ საქორწინო წყვილების არჩევისას შეიმჩნევა უარყოფითი დამოკიდებულება გარკვეული ჯგუფის წარმომადგენლების ქორწინებისადმი (AT - CL<0), მაშინ გამოითვლება ჰეტეროგამიის (განზიდულობის) ინდექსი, ერთიანი ორივე სქესისათვის (a) ფორმულით:

$$a = \frac{AT - CL}{CL} = \frac{AT}{CL} - 1$$

ჰეტეროგამიის ინდექსი შეიძლება იცვლებოდეს 0-დან -1-მდე, ე.ი. სრული გულგრილობიდან მაქსიმალურ განზიდულობამდე.

ვინაიდან მოყვანილ მეთოდს აქვს გარკვეული ნაკლი, ქართველი სპეციალისტების (ზ. გოქაძე, ქ. მანჯგალაძე, მ. ტალახაძე) მიერ შემოთავაზებულ იქნა მისი სრულყოფილი სახე.

პირველ ეტაპზე $\chi^2$ კრიტერიუმის გამოყენებით დადგენილ უნდა იქნას სხვაობა ფაქტობრივ და მოსალოდნელ სიხშირეებს შორის, მნიშვნელოვანია თუ უმნიშვნელო და გვაძლევს თუ არა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ქორწინებაში შესვლისას გარკვეულმა ნიშანმა იმოქმედა პარტნიორის არჩევანზე (ანუ გვაქვს ჰიპოთეზა $H^{o}$ – გარკვეული ნიშნის ნეიტრალურ ზემოქმედებაზე ქორწინებაში შესვლისას). მეორე ეტაპზე განიხილება პტუხას მეთოდით გაანგარიშებული ცხრილი იმ შემთხვევის გათვალისწინებით, სადაც გამართლდა $H^{o}$ ჰიპოთეზა

უნდა აღინიშნოს, რომ $\chi^2$ გამოანგარიშების დროს მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას მნიშვნელობათა დონე $\alpha = 0.05$, რაც საშუალებას იძლევა ალბათობის მაღალი დონით – 0.95 გამოვლენილ იქნას ქორწინებისას მოცემული ნიშნის როლი პარტნიორის არჩევაში. ამასთან ერთად, მთელი ცხრილისათვის გამოიყენება $\chi^2$ სათანადო თავისუფლების ხარისხით, ხოლო ცალკეული ჯგუფისათვის – ოთხუჯრედა $\chi^2$ თავისუფლების ხარისხით $\upsilon = 1$.

**ინდექსები ჰომოგამიის და ჰეტეროგამიისა** _ იხ. ინდექსები ქორწინებისა.

**ინდექსი** განქორწინებისა – წარმოადგენს მოცემულ პერიოდში (მაგ. ერთ წელიწადში) განქორწინებათა რაოდენობის

შეფარდებას იგივე პერიოდის ქორწინებათა რაოდენობასთან. ი.გ. გარდა ზოგადისა, ყველა ასაკისათვის შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ასაკობრივი ი.გ. შესაძლებელია ი.გ. პროცენტებში გამოსახვა, რისთვისაც შეფარდებით მიღებული ი.გ. უნდა გავამრავლოთ 100-ზე. ასეთ შემთხვევაში მიღებული სიდიდე გვიჩვენებს, თუ რამდენი განქორწინება მოდის ყოველ 100 ქორწინებაზე. ი.გ. მაჩვენებელზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურა, ქორწინებისა და განქორწინების დინამიკა წარსულში. მართალია ი.გ. გარკვეულ წარმოდგენას იძლევა განქორწინებაზე, მაგრამ მისი გამოყენება განქორწინების ინტენსივობის დახასიათებისათვის მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან მნიშვნელი არ მოიცავს ყველა იმ ქორწინებას, რომელიც შეიძლება შეწყვეტილიყო (რეგისტრირებულ ქორწინებათა წლიური რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ფაქტობრივად არსებულ ქორწინებათა რაოდენობასთან შედარებით).

ამიტომ განქორწინების დონის უფრო ზუსტი და ადეკვატური მახასიათებელია განქორწინების ინდექსი, რომელიც მიიღება განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტისა (იხ.) და ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტის (იხ.) შეფარდებით.

**ინდექსი** ბორისოვისა, ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის (ბშჰმ) რეალიზაციის fardobiTi xarisxi – წარმოადგენს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის შეფარდებას ბშჰმ-თან; გამოისახება პროცენტებში (იხ. კოეფიციენტი შობადობისა ზოგადი; ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი). ი.ბ. უჩვენებს, თუ რა ზომით წარმოებს მოსახლეობაში ან მის ცალკეულ ჯგუფებში პოტენციურად შესაძლებელი შობადობის რეალიზაცია. ამასთან, როდესაც ი.ბ. 100%-ის ფაგლებშია (ან აღემატება 100%-ს) შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაქტიკულად ადგილი არა აქვს ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას (იხ. ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება). მაგ., XIX ს. ბოლოს ი.ბ. საქართველოში შეადგინა 68,2%, 1979 წ. – 41,2%, ხოლო 2002 წელს - 20,9%. ი.ბ. თავის სახელწოდებას იღებს დემოგრაფ ვ. ბორისოვისაგან, რომლის მიერაც იყო იგი შემოთავაზებული 1976 წელს.

**ინდექსი** ზემოკვდაობისა (ჭარბმოკვდაობისა) – გამოიყენება მამაკაცთა ზემოკვდაობის (ჭარბმოკვდაობის) გასაზომად (იხ. ზემოკვდაობა (ჭარბმოკვდაობა) მამაკაცთა). გვიჩვენებს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის მამაკაცთა მოკვდაობის სიჭარბის ხარისხს ქალების მოკვდაობასთან შედარებით. ი.მ. წარმოადგენს გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცთა მოკვდაობის მაჩვენებლის შეფარდებას იგივე ასაკობრივი ჯგუფის ქალთა მოკვდაობის შესაბამის მაჩვენებელთან. გამოისახება პროცენტებში.





**ინდექსი** ინსტაბილურობისა – გამოიყენება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისას. ი.ი. საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ცვალებადობის მიმართულება (რეალური და სტაბილური მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურებს შორის) – კლება ან ზრდა დემოგრაფიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე დროის რომელიმე (t-i) ინტერვალში. ი.ი. ($I_t$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I_t = \frac{K_t}{K_{t-1}},$$

სადაც $K_t$ არის ასაკობრივი სტრუქტურის ინსტაბილურობის კოეფიციენტი (იხ. კოეფიციენტი ასაკობრივი სტრუქტურის ინსტაბილურობისა), i= 1,2...

როდესაც $I_t$ >1, მაშინ ინსტაბილურობის ზრდის ტენდენცია არსებობს; როდესაც $I_t$ < 1, მაშინ ინსტაბილურობა კლებულობს; როდესაც $I_t$= 1, მაშინ ინსტაბილურობა უცვლელია.

**ინდექსი** კოულისა საერთო შობადობის – უჩვენებს რომელიმე კონკრეტულ მოსახლეობაში ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა რა ხარისხით უახლოვდება დაბადებათა იმ რაოდენობას, რომლებსაც ისინი იყოლიებდნენ, თუ მათთვის დამახასიათებელი იქნებოდა შობადობის მაქსიმალური მაჩვენებლები.

ი.კ.ს.შ. ($I_f$) გამოითვლება ფორმულით:

$$I_f = \frac{N}{\sum W_x \cdot F_x^0},$$

სადაც N რეალურ დაბადებათა რაოდენობაა, Wx - ფერტილური ასაკის x ასაკობრივი ჯგუფის ქალების რაოდენობა; $F_x^0$ - x ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის დამახასიათებელი სტანდარტი (იხ. ინდექსები კოულისა)

**ინდექსი** კოულისა ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის – უჩვენებს, თუ რა ზომით უწყობს ხელს ქორწინებაში ყოფნა მაქსიმალურად შესაძლებელი შობადობის მიღწევას.

ი.კ.ფ.ა.გ.ქ.წ. ($I_m$) გამოითვლება ფორმულით:

$$I_m = \frac{\sum m_x \cdot F_x^0}{\sum W_x \cdot F_x^0},$$

სადაც $m_x$ - x ასაკის გათხოვილი ქალების რაოდენობა (5 წლიან ასაკობივ ინტერვალში, $W_x$ - ფერტილური ასაკის x ასაკობრივი ჯგუფის ქალების რაოდენობა; $F_x^0$ - x ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის მიჩნეული

სტანდარტი (იხ. ინდექსები კოულისა).

**ინდექსი** კოულისა ქორწინებითი შობადობის – უჩვენებს, თუ რა ზომით განსხვავდება (ან უახლოვდება) ფერტილური ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინებაში დაბადებულთა რაოდენობისაგან.

ი.კ.ქ.შ. ($I_g$) გამოითვლება ფორმულით:

$$I_g = \frac{B}{\sum m_x \cdot F_x^0} ,$$

სადაც $B$ – ქორწინებაში მყოფი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა, $m_x$ – $x$ ასაკის (5 წლიან ასაკობრივ ინტერვალში) ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა, $F_x^0$ – $x$ ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის მიჩნეული სტანდარტი (იხ. ინდექსები კოულისა).

**ინდექსი** კოულისა ქორწინების გარეშე შობადობის – უჩვენებს ფერტილური ასაკის გაუთხოვარი ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის მსგავსება-განსხვავების ხარისხს მაქსიმალურად შესაძლებელ ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობისაგან.

ი.კ.ქ.გ.შ. ($I_h$) გამოითვლება ფორმულით:

$$I_h = \frac{U}{\sum U_x \cdot F_x^0} ,$$

სადაც $U$ – ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობა, $U_x$ – $x$ ასაკის (5 წლიან ასაკობრივ ინტერვალში) გაუთხოვარი ქალების რაოდენობა, $F_x^0$ – $x$ ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის მიღებული სტანდარტი (იხ. ინდექსები კოულისა).

**ინდექსი** მიგრაციის ფარდობითი ინტენსივობისა – მიგრაციის ზოგად ინტენსივობაში შემთხვევით განსხვავებათა გავლენის ელიმინირების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ ის უფრო სანდოა, ვიდრე მიგრაციის კერძო კოეფიციენტები (იხ. კოეფიციენტები მიგრაციის სპეციალური). ი.მ.ფ.ი. ($I_m$) გაანგარიშების ერთ-ერთი ხერხია:

$$I_m = \frac{M_s}{M} ,$$

სადაც $M_s$ – მოცემული ჯგუფის მიგრაციის სპეციალური კოეფიციენტი, $M$ – მიგრაციის ზოგადი კოეფიციენტი.





**ინდექსი** მოსახლეობის კონცენტრაციისა – იხ. ინდექსი ტერიტორიული კონცენტრაციისა.

**ინდექსი** პოკროვსკი-პირლისა – იხ. ინდექსი ცხოველმყოფელობისა.

**ინდექსი** საქორწინო სტრუქტურისა – იხ. ინდექსი კოულისა ფერტილური ასაკის გათხოვილ ქალთა წილის.

**ინდექსი** ტერიტორიული კონცენტრაციისა – წარმოადგენს მოსახლეობის განლაგების თანაბრობის ხარისხის მაჩვენებელს. ი.ტ.კ. ($I_T$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I_t = \frac{1}{2}|S_i - P_i| \cdot 100\% ,$$

სადაც $S_i$ – მთელი ქვეყნის საერთო ფართობში $i$ რეგიონის ფართობის წილი; $P_i$ – $i$ რეგიონის მოსახლეობის წილი მთელი ქვეყნის მოსახლეობაში.

**ინდექსი** უიპლისა – გამოიყენება ასაკობრივი აკუმულაციის (იხ. ასაკობრივი აკუმულაცია) დონის გასაზომად. ი.უ. (I) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{(S_{25}+S_{30}+S_{35}+...+S_{60})\cdot 100}{\frac{1}{5}(S_{23}+S_{24}+...+S_{62})} = \frac{\sum_{K=5}^{12} S_{5K} \cdot 100}{\frac{1}{5}\sum_{23}^{62} S_x} ,$$

სადაც $S_x$ - $x$ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა.

რაც უფრო ნაკლებია ი.უ., მით უფრო სანდოა ასაკის აღრიცხვა. ი.უ-ს გარდა ფართო გამოყენება ჰპოვა მერსის ინდექსმა. გამოიყენება სხვა ინდექსებიც – ბაჩის, კარიერასი, რამაჩანდრანის.

**ინდექსი** შვილიანობისა – ჰიპოთეზური თაობის შობადობის დონის ირიბი მაჩვენებელი. ი.შ. განისაზღვრება დაბალი ასაკის ბავშვების რაოდენობის შეფარდებით იმ ქალების რაოდენობასთან, რომლებიც ასაკით შეიძლება იყვნენ მათი დედები. ძირითადად გამოითვლება ორი შემთხვევისათვის – 1) 0-4 წლის ასაკის ბავშვებისათვის და 2) 0-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის. პირველ შემთხვევაში ი.შ. ($Q_{0-4}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{0-4} = \frac{S_{0-4}}{W_{20-49}} \cdot 1000‰$$

მეორე შემთხვევაში ი.შ. ($Q_{0-9}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$Q_{0-9} = \frac{S_{0-9}}{W_{20-49}} \cdot 1000‰ ,$$

სადაც $S_{0-4}$ - 0-4 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა, $S_{0-9}$ – 0-9 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა, $W_{20-49}$ - 20-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა.

**ინდექსი შობადობაზე ქორწინების გავლენისა** – უჩვენებს, თუ რამდენად ამცირებს შობადობის დონეს (შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს) არსებული ქორწინების დონე, იმ შემთხვევასთან შედარებით, როდესაც ფერტილურ ასაკში ქორწინებაში მყოფთა წილი იქნებოდა 100%. ი.შ.ქ.გ. (I) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$I = \frac{\sum_{15}^{49} W_x^m \cdot f_x}{\sum_{15}^{49} f_x} \cdot 100 ,$$

სადაც $W_x^m$ - სტაბილურ ან რეალურ მოსახლეობაში x ასაკში ქორწინებაში მყოფი ქალების წილი; $f_x$ – x ასაკის ქალების ქორწინებითი შობადობის კოეფიციენტი.

**ინდექსი** ცხოველმყოფელობისა (პოკროვსკი-პირლის) – წარმოადგენს გარკვეული დროის განმავლობაში (ჩვეულებრივად, წელიწადის მანძილზე) დაბადებულთა რაოდენობის შეფარდებას გარდაცვლილთა რაოდენობასთან. ი.ც. არის მოსახლეობის აღწარმოების პირობითი მაჩვენებელი. მისი პრაქტიკული გამოყენება მარტივია, რადგან არ საჭიროებს მოსახლეობის რაოდენობისა და სხვა მონაცემების ცოდნას. “დადებითი” ბუნებრივი მატებისას ი.ც. მნიშვნელობა ერთზე მეტია, ხოლო “უარყოფითი” ბუნებრივი მატებისას – ერთზე ნაკლები. იგი გავრცელდა XIX ს. ბოლოს, თუმცა შემდგომში მოსახლეობის აღწარმოების უფრო სრულყოფილი მაჩვენებლების გამოჩენასთან ერთად თანდათან “განიდევნა” და სადღეისოდ ნაკლებად გამოიყენება.





**ინვალიდები** – ადამიანები, რომლებსაც მეტ-ნაკლებად დაკარგული აქვთ შრომის უნარი ავადმყოფობის ან ტრავმის შედეგად.

**ინვალიდობა** – ავადმყოფობის ან ტრავმის შედეგად პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა დროებით ან მუდმივად; ნაწილობრივ ან მთლიანად. ი. აერთიანებს ორ ცნებას: ბიოლოგიურს – ავადმყოფობის შედეგად ორგანიზმის ფუნქციის დარღვევას და სოციალურს – პროფესიული შრომის შეწყვეტას ან ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოზე გადასვლას, რის გამოც ავადმყოფს სჭირდება სოციალური დახმარება ან სხვა სახის შეღავათები.

განასხვავებენ პირველად და საერთო ი-ს. პირველად ი-დ ითვლება წლის განმავლობაში პირველად აღიარებულ ინვალიდთა რაოდენობა, ხოლო საერთო ი-დ კი ინვალიდთა მთლიანი რაოდენობა.

**ინვესტიციები დემოგრაფიული** – მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების პირობებში დამატებითი დანახარჯების სიდიდე, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან.

**ინტეგრაცია ეთნიკურშორისი** – ეთნიკური პროცესების სახეობა, რომელიც იმით გამოიხატება, რომ მრავალეროვანი სახელმწიფოს საზღვრებში უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსების ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა ურთიერთქმედებას თანდათან მოჰყვება ეთნოსების დაახლოება და შერწყმა კულტურისა და სხვა ეთნიკური პარამეტრებით.

**ინტერგენეტიკური ინტერვალი** – თაობაში თანმიმდევრულ დაბადებათა შორის (პირველ და მეორე ბავშვს შორის, მეორე და მესამე ბავშვს შორის და ა.შ.) საშუალო ინტერვალი. ი.ი. დამოკიდებულია ფიზიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე. ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელებასთან ერთად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ფაქტორებს. მრავალშვილიან ოჯახებში ი.ი., როგორც წესი, ნაკლებია, ვიდრე საშუალოშვილიან ოჯახებში, ხოლო საშუალოშვილიან ოჯახებში უფრო ნაკლებია მცირეშვილიანთან შედარებით. ი.ი-ის გაზრდას მოჰყვება შობადობის დონის შემცირება. მონაცემები ი.ი-ის შესახებ უფრო ხშირად მიიღება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგად.

**ინფანტიციდი** – იხ. ბავშვთა მოკვდინება.

**ინფერტილურობა** – ქალებისათვის მთელი ფერტილური პერიოდის ან მის გარკვეულ მანძილზე დაბადებათა უქონლობა. ი. შეიძლება გამოწვეულ იქნას: 1) მეუღლეთა უნაყოფობით; 2) დაუქორწინებლობით; 3) ბავშვების გაჩენაზე განზრახ უარის თქმით. ჩვეულებრივ ი-ის დონე იზომება ქალების იმ წილით, რომლებსაც ფერტილური პერიოდის ბოლოსათვის არ ჰქონიათ ბავშვის გაჩენის შემთხვევები. სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფში და ქვეყნებში ი. მერყეობს 4-15%-ის ფარგლებში. ი. უნდა განვასხვაოთ უნაყოფობისაგან, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ ფიზიოლოგიური მიზეზებით და უშვილობისაგან, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას მკვდრად დაბადებითა და შვილის გარდაცვალებით.

**ინცესტი** – საქორწინო-სქესობრივი ურთიერთობები უახლოეს ნათესავებს შორის (მამა – ქალიშვილი, დედა – ვაჟიშვილი, და – ძმა). ი. დამახასიათებელი იყო შორეული წარსულისათვის და აკრძალულ იქნა ეგზოგამიის წესებით, თუმცა მისი დაშვებული შემთხვევები ადრეკლასობრივ ფორმაციებშიც გვხვდება. მაგ., ეგვიპტელი ფარაონები უპირატესობას ანიჭებდნენ ქორწინებას თავის დასთან. განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში ი. ამორალურად მიიჩნევა და უმრავლესეს ქვეყნებში კანონით იკრძალება. ამასთან, ი. უაღრესად არაკეთილსასურველია გენეტიკური თვალსაზრისით.

**იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები)** – პირები, რომლებიც მშობლიურ ქვეყანაში იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყვნენ იმის შედეგად, რომ საფრთხე შეექმნათ მათ და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიით, შიდა პოლიტიკური კონფლიქტების ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო და მიენიჭათ შესაბამისი (დევნილის) სტატუსი.

## კ

**კალენდარი დაბადებათა** – რეპროდუქციული პერიოდის განმავლობაში დროის მიხედვით დაბადებათა განაწილება. კ.დ. ჩვეულებრივ იზომება ქალების იმ კოჰორტის მიმართ, რომლებმაც დაამთავრეს ბავშვთა შობა ან გაიარეს ცოლ-ქმრული ცხოვრების გარკვეული პერიოდი. კ.დ. დადგენა სხვადასხვანაირად შეიძლება: 1) კოჰორტაში პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკური





ინტერვალების საშუალო მნიშვნელობების მიხედვით; 2) სხვადასხვა რიგითობის ბავშვების დაბადებისას კოჰორტაში დედების საშუალო ასაკს შორის სხვაობით.

**კალენდარი ქორწინებათა** – რეალურ თაობაში, ქორწინებაში შემსვლელთა განაწილება ასაკის მიხედვით. ტერმინი "კ.ქ." გამოიყენება ჰიპოთეზური თაობის ქორწინების მაჩვენებელთა გადაწევის ანალიზისას, რომელიც გამოწვეულია რეალურ თაობებში ქორწინების ასაკის ცვალებადობის გავლენით.

**კეთილდღეობა** – მთელი მოსახლეობის, მისი სხვადასხვა ჯგუფების, ოჯახის ან ცალკეული ადამიანების მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება შემოსავლების ოდენობითა და თითოეული სახეობის მოხმარების პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონით.

**კლიმაქსი** – ფერტილური ასაკიდან ხანშესულობაში გარდამავალი პერიოდი. ქალების კ. ვლინდება მენსტრუაციული ციკლის დარღვევით სრულ შეწყვეტამდე. კ. ჩვეულებრივ იწყება 45-54, უმეტესად 47 წლის ასაკიდან და 15-18 თვეს გრძელდება. ზოგჯერ აღინიშნება ნაადრევი (44 წლამდე) ან დაგვიანებული (55 წლის შემდეგ) კ. მამაკაცების კ. ჩვეულებრივ 60-70 წლის ასაკში ვითარდება და უფრო სუსტადაა გამოხატული, მაგრამ უფრო მძიმედ მიმდინარეობს, ვიდრე ქალებში.

**კმაყოფაზე მყოფი** – მოქალაქე, რომელიც სხვის სრულ კმაყოფაზე იმყოფება ან სხვისაგან იღებს საარსებო სახსრებს. ამა თუ იმ პირის კმაყოფაზე შეიძლება იყოს მისი ოჯახის წევრი (შეიძლება ოჯახის წევრის რჩენა კანონით იყოს განსაზღვრული) ან ადამიანიც, რომელიც ამგვარ დახმარებას საჭიროებს. კმაყოფაზე ყოფნა გარკვეულ სამართლებრივ შედეგს იწვევს როგორც კმაყოფაზე ამყვანის, ისე კმაყოფაზე აყვანილისათვის.

**კოდირება მოსახლეობის აღწერის, გამოკვლევის მასალისა** – მოსახლეობის აღწერის, გამოკვლევის, დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვის ან სხვა ინდივიდუალური და ჯგუფური მონაცემებისათვის პირობითი ნიშნების მინიჭება გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით მათი აღქმის, დამუშავებისა და შენახვის უზრუნველყოფის მიზნით.

**კოეფიციენტები დემოგრაფიული** – სხვადასხვა ტიპის სიდიდეების ზოგადი დასახელება, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის სხვადასხვა სახის მახასიათებელთა თანაფარდობას, მოსახლეობის სტრუქტურას, ცალკეულ დემოგრაფიულ

პროცესებსა და მოსახლეობის აღწარმოებას მთლიანად. ასეთი თანაფარდობების რაოდენობრივი გამოხატულება კ.დ-ის სახით გამოწვეულია იმით, რომ დემოგრაფიული შემთხვევების აბსოლუტური რაოდენობა დამოკიდებულია მოსახლეობის ან კოჰორტის რაოდენობაზე, რომელშიც ხდება მოცემული შემთხვევები. ამასთან, ამა თუ იმ მოსახლეობის ჯგუფების რაოდენობა თავის მხრივ დამოკიდებულია მთელი მოსახლეობის რაოდენობაზე, რომელშიც მოცემული ჯგუფი შედის. ამიტომ სხვადასხვა მოსახლეობის ან სხვადასხვა პერიოდის აბსოლუტურ რაოდენობათა შედარება დაამახინჯებდა ნამდვილ თანაფარდობას. სწორედ ასეთი მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით იყენებენ კ.დ. პრაქტიკულად ნებისმიერი სახის კ.დ. წარმოადგენენ ამა თუ იმ სიდიდეებისა და მოსახლეობის რაოდენობის, თუ მისი რომელიმე ნაწილის კოჰორტის რაოდენობასთან ან დემოგრაფიული შემთხვევების რაოდენობასთან თანაფარდობას. კ.დ. სტატისტიკაში მიღებული კლასიფიკაციით, წარმოადგენენ შეფარდებით გამოსახულ თვისებრივ მაჩვენებლებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს პროცესის განვითარების სისწრაფე, შემთხვევათა წარმოშობის სიხშირე, ურთიერთკავშირი, ვარიაცია და სხვა. კ.დ. გამოისახება პროცენტობით, პრომილებით, ერთეულით.

გამოყოფენ კ.დ-ის ორ მსხვილ კლასს: 1) მოსახლეობის ცვალებადობის (მოძრაობის) სიჩქარისა და დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის კოეფიციენტებს; 2) სტრუქტურულ კოეფიციენტებს.

პირველი კლასის მაჩვენებლები ასახავენ წარმოდგენას მოსახლეობის აღწარმოებაზე როგორც უწყვეტ პროცესზე, რომელიც გარკვეული ინტენსივობით მიმდინარეობს. მათში გამოიყოფა კ.დ-ის ჯგუფები, რომლებიც ახასიათებენ: 1) მოსახლეობის ცვალებადობის სიჩქარეს მთლიანობაში როგორც იმ ადამიანთა ერთობლიობას, რომელიც მუდმივად იცვლება დემოგრაფიული შემთხვევების გავლენით; 2) დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობას მოსახლეობაში ან კოჰორტაში. ის თავის მხრივ იყოფა ორ სახეობად: ა) ზოგადი, სპეციალური და სტანდარტიზებული კოეფიციენტები, რომლებიც გამოიანგარიშებიან მთელი მოსახლეობისათვის და ბ) კოჰორტაში დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის მაჩვენებლები (განზოგადების ხარისხის მიხედვით – ინტერვალური, კუმულაციური, ჯამობრივი); 3) ერთი თაობის მეორეთი შენაცვლების ხარისხი ანუ მოსახლეობის აღწარმოების კოეფიციენტები.

მეორე კლასის მაჩვენებლები იყოფა ორ ჯგუფად: 1) დატვირთვის მაჩვენებლები – ზომავენ თანაფარდობას მოსახლეობის ცალკეულ ნაწილებს შორის (შვილიანობის ინდექსი, დემოგრაფიული დატვირთვა); 2) მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ გარკვეული ნიშნების მქონე მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის ადამიანთა ან დემოგრაფიულ შემთხვევათა წილს (ოჯახიანობის კოეფიციენტი და სხვა).





**კოეფიციენტები** მიგრაციის სპეციალური – გამოიყენება გარკვეული მახასიათებლების მქონე – P (სქესი, ასაკი, განათლება და ა.შ.) მიგრანტების ანალიზისათვის. შედარებისათვის გამოიყენება ამავე მახასიათებლების მქონე მოსახლეობის რაოდენობა (S). კ.მ.ს. ($M_S$) გამოისახება პრომილებში (‰) ან პროცენტულად (%) და გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_s = \frac{P}{S} \cdot C,$$

სადაც C – 1000 ან 100, შესაბამისად პრომილეთი ან პროცენტულად გამოსახვისას.

**კოეფიციენტები** მოსახლეობის აღწარმოებისა – მაჩვენებლები, რომლებიც იძლევიან თაობათა ცვლის პროცესის ინტენსივობის განზოგადებულ რაოდენობრივ შეფასებას. კ.მ.ა. მიზანია წარმოდგენა მოგვცენ მოსახლეობის ზრდაზე მისი ასაკობრივი სტრუქტურისაგან დამოუკიდებლად, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის გავლენით იცვლება. კ.მ.ა. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის, თუმცა პრაქტიკაში ძირითადად ისინი გამოიანგარიშება მხოლოდ ქალებისათვის.

კ.მ.ა. შეიძლება განსაზღვრულ იქნას როგორც ჰიპოთეზური,ისე რეალური თაობებისათვის, თუმცა უმეტესად გამოიყენება კ.მ.ა. ჰიპოთეზური თაობისათვის.

ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვეს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო და ბრუტო კოეფიციენტებმა (იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის აღწარმოებისა ბრუტო, კოეფიციენტი მოსახლეობის აღწარმოებისა ნეტო).

XX ს. 60-იანი წწ. შუა პერიოდიდან იყენებენ აგრეთვე ე.წ. ნაცხოვრები წლების აღწარმოების მაჩვენებელს (იხ. კოეფიციენტი ნაცხოვრები წლების აღწარმოებისა).

შედარებით მარტივ კ.მ.ა-ს მიეკუთვნებიან ცხოველმყოფელობის ინდექსი და თაობათა შენაცვლების ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა უ. ტომპსონის, გ. ნიბსისა და ფ. ბურგდეფერის მიერ შემოთავაზებული (იხ. კოეფიციენტი ბურგდერფერისა, კოეფიციენტი ნიბსისა, კოეფიციენტი ტომპსონისა).

**კოეფიციენტი** აბორტისა ასაკობრივი – წარმოადგენს წლის განმავლობაში, გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის გაკეთებული აბორტების რაოდენობის შეფარდებას ამავე ასაკობრივი ჯგუფის ქალების საერთო რაოდენობასთან.

**კოეფიციენტი** აბორტისა ზოგადი – წარმოადგენს წლის განმავლობაში გაკეთებული აბორტების რაოდენობის შეფარდებას ფერტილური ასაკის (15-49 წ.) ქალების რაოდენობასთან. გამოისახება

პრომილეთი (‰), ე.ი. 1000 ქალზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** აბორტის სიხშირისა – წარმოადგენს წლის განმავლობაში გაკეთებული აბორტების რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მშობიარობათა რაოდენობასთან. გვიჩვენებს აბორტების რაოდენობას ყოველ 100 მშობიარობაზე.

**კოეფიციენტი** აბორტისა ჯამობრივი – უჩვენებს აბორტების რაოდენობას, რომელიც გაკეთებული იქნებოდა ყოველ 1000 ახალდაბადებულ გოგონაზე, მთელი ფერტილური პერიოდის განმავლობაში, იმ პირობით, რომ აბორტის ასაკობრივი კოეფიციენტების დონეები გამოანგარიშების დროისათვის უცვლელი დარჩებიან მთელი პერიოდის განმავლობაში და რომ გარკვეული კოჰორტის ყველა გოგონა იცოცხლებს 50 წლამდე. მაგ., კ.ა.ჯ. სიდიდე 850, რომელიმე წლისათვის, ნიშნავს რომ იმ წელს ქალების 85% მიმართავდა ხელოვნურ აბორტს.

**კოეფიციენტი** ასაკობრივი აკუმულაციისა – იხ. ინდექსი უიპლისა.

**კოეფიციენტი** ასაკობრივი სტრუქტურის ინსტაბილურობისა – გამოიყენება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისას. ახასიათებს რეალური მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განსხვავების ხარისხს სტაბილური მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან შედარებით. არსებობს რამდენიმე კ.ა.ს.ი. ერთ-ერთი მათგანი გამოიანგარიშება ფორმულით:

$$K_t = \sum_{x=0}^{\omega} \left| \frac{C_r(x)}{C_s(x)} - 1 \right|,$$

სადაც $K_t$ – კ.ა.ს.ი., $C_r(X)$ – t მომენტში რეალური მოსახლეობის ერთი ან 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების წილი, $C_S(X)$ – მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის საფუძველზე t მომენტში გათვლილი სტაბილური მოსახლეობის ერთი ან 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების წილი.

**კოეფიციენტი** ბეკი–კუჩინსკისა – იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის აღწარმოებისა ნეტო.

**კოეფიციენტი** ბოუგისა – წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის დასრულებისა და სტადიურობის მაჩვენებელს. კ.ბ. ($B_k$) გამოიანგარიშება ფორმულით:





$$B_k = 0.5\left(\frac{235 - F}{175} + \frac{7.5 - \sum F_x}{5.3}\right),$$

სადაც F შობადობის სპეციალური კოეფიციენტია; $\Sigma F_x$ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი.

რაც უფრო ახლოსაა კ.ბ. სიდიდე 100-თან (% გამოსახულებისას) მით უფრო ახლოსაა დემოგრაფიული გადასვლა დამთავრებასთან.

ეს მაჩვენებელი შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) დემოგრაფის დ. ბოუგის მიერ.

**კოეფიციენტი** ბოუგისა მოდიფიცირებული – წარმოადგენს ბოუგის კოეფიციენტის (იხ. კოეფიციენტი ბოუგისა) შემდგომ განვითარებას. კ.ბ.მ-ის შინაარსი იგივეა, რაც ბოუგის კოეფიციენტის შემთხვევაში. განსხვავება ის არის, რომ კ.ბ.მ-ის შემთხვევაში შეცვლილია ბოუგის კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულაში მოყვანილი მნიშვნელობების სიდიდეები. კ.ბ.მ-ის შემთხვევაში, დემოგრაფიული გადასვლის დაწყებამდე, შობადობის სპეციალური კოეფიციენტი 250-ის ტოლად არის მიჩნეული (235-ის ნაცვლად), ხოლო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი – 8,6-ის ტოლად (ჰუტერიტების შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის საშუალო სამი პერიოდისათვის: 1926-1930, 1936-1940, 1946-1950 წწ.), ნაცვლად 7,5. მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვრულ სიდიდედ, დემოგრაფიული გადასვლის დასრულებისათვის, კ.ბ.მ-ის შემთხვევაში მიჩნეულია შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის სიდიდე 2,1 (2,2 ნაცვლად).

ზემოთ მოყვანილის გათვალისწინებით კ.ბ.მ. ($B_K^M$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$B_k^m = 0.5\left(\frac{250 - F}{190} + \frac{8.6 - \sum F_x}{6.5}\right),$$

სადაც F შობადობის სპეციალური კოეფიციენტია, $\Sigma F_x$ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი რომელიმე გასაანგარიშებელი წლისათვის. კ.ბ.მ. შემოთავაზებულ იქნა 1998 წელს გ. მელაძისა და გ. წულაძის მიერ.

**კოეფიციენტი** ბურგდერფერისა – განეკუთვნება მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებს. კ.ბ. წარმოადგენს შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტების სხვაობას, რომლებიც სტანდარტიზებული არიან სტაციონარული მოსახლეობის ასაკობრივი

შემადგენლობის მიხედვით.

**კოეფიციენტი** განქორწინებისა ასაკობრივი – ახასიათებს სხვადასხვა ასაკის ადამიანების განქორწინებათა სიხშირეს. k.b.a. ($G_a$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G_a = \frac{G_x}{S_x} \cdot 1000 ,$$

სადაც $G_x$ არის გარკვეულ დროში x ასაკის ქალების (მამაკაცების) განქორწინებათა რაოდენობა; $S_x$ – იმავე დროში, x ასაკის ყველა ქალის (მამაკაცის) საშუალო რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

**კოეფიციენტი** განქორწინებისა ასაკობრივი სპეციალური – წარმოადგენს განქორწინების სიხშირის ერთ-ერთ მაჩვენებელს. კ.გ.ა.ს. გამოირჩევა მეტი სიზუსტით, ვიდრე განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტი, ვინაიდან არ არის დამოკიდებული მოსახლეობის ქორწინებით სტრუქტურაზე. კ.გ.ა.ს. ($G_{as}$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G_{as} = \frac{G_x}{W_x} \cdot 1000 ,$$

სადაც $G_x$ გარკვეულ დროში x ასაკის ქალების (მამაკაცების) განქორწინებათა რაოდენობა; $W_x$ – იმავე დროში x ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების (მამაკაცების) საშუალო რაოდენობა. გამოიხატება პრომილებში (‰).

**კოეფიციენტი** განქორწინებისა ზოგადი – წარმოადგენს განქორწინების ყველაზე მარტივ მაჩვენებელს. კ.გ.ზ. ($G_0$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G_0 = \frac{G}{S} \cdot 1000 ,$$

სადაც G არის გარკვეულ დროში განქორწინებათა რაოდენობა; S – იმავე დროში მოსახლეობის საშუალი რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

**კოეფიციენტი** განქორწინებისა სპეციალური – წარმოადგენს განქორწინების ერთ-ერთ მაჩვენებელს. კ.გ.ს. ($G_S$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G_s = \frac{G}{B} \cdot 1000 ,$$

სადაც G არის გარკვეულ დროში განქორწინებათა რაოდენობა; B – იმავე დროში არსებული საქორწინო წყვილების საშუალო რაოდენობა.





გამოისახება პრომილებში (‰).

**კოეფიციენტი** განქორწინებისა სპეციალური ქორწინების ხანგრძლივობის – არსებობს გამოთვლის ორი ხერხი.

1. კ.გ.ს.ქ.ხ. ($G_{k1}$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G_{k1} = \frac{G'}{K} \cdot 1000 ,$$

სადაც $G^1$ არის რომელიმე პერიოდში ქორწინების გარკვეული ხანგრძლივობის მქონე განქორწინებათა რაოდენობა; K – შესაბამისი წლების წინათ არსებულ დაქორწინებათა რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

2. კ.გ.ს.ქ.ხ. ($G_{k2}$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$G_{k2} = \frac{G'}{K'} \cdot 1000 ,$$

სადაც K' – ქორწინებათა ის რაოდენობა, რომელიც შემორჩა მოცემული დროისათვის შესაბამისი წლების წინათ არსებულ დაქორწინებათა რაოდენობიდან.

მეორე მეთოდით გამოთვლილი მაჩვენებელი უფრო ზუსტია, ვინაიდან ითვალისწინებს არა მარტო ქორწინების ისტორიას, არამედ განქორწინებისა და მოკვდაობის ისტორიასაც კოჰორტაში.

**კოეფიციენტი** განქორწინებისა ჯამობრივი – წარმოადგენს ყველა ასაკის განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამს. უჩვენებს განქორწინებათა საშუალო რაოდენობას თაობის სიცოცხლის განმავლობაში, ასაკის მიხედვით განქორწინებათა სიხშირის არსებული დონის შენარჩუნებისას.

**კოეფიციენტი** დაქვრივებისა ასაკობრივი – წარმოადგენს დაქვრივების ერთ-ერთ მახასიათებელს. კ.დ.ა. უჩვენებს მოცემული სქესისა და ასაკის 1000 ქორწინებაში მყოფზე დაქვრივების შემთხვევათა რაოდენობას.

**კოეფიციენტი** დაქვრივებისა სპეციალური – წარმოადგენს მოცემული სქესისათვის დაქვრივების შემთხვევათა რაოდენობის შეფარდებას იმავე სქესის ქორწინებაში მყოფი პირების საშუალო რაოდენობასთან.

**კოეფიციენტი** კუჩინსკისა – იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის აღწარმოებისა ნეტო.

**კოეფიციენტი** ლოტკასი – იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის

ბუნებრივი მატებისა ჭეშმარიტი.

**კოეფიციენტი** მიგრაციის ბრუნვის მოცულობისა (ინტენსივობისა) – წარმოადგენს მთლიანი მიგრაციის შეფარდებას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობასთან. კ.მ.ბ.მ. ($M_0$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_0 = \frac{P_i + P_j}{S} \cdot C,$$

სადაც $P_i$ არის გასულ მიგრანტთა რაოდენობა; $P_j$ – შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა; S – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა; C – კონსტანტა, რომელიც უდრის 1000 ან 100.

**კოეფიციენტი** მიგრაციის გადანაწილებისა – გამოიყენება შიგარაიონული მიგრაციის ანალიზისას. კ.მ.გ. სიდიდე ახასიათებს მიგრაციის როლს მოსახლეობის გადანაწილებაში და დამოკიდებულია ქვერაიონების რაოდენობაზე. კ.მ.გ. ($M_g$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_g = \frac{\sum_i \left| \sum_j P_{ji} - \sum_j P_{ij} \right|}{S},$$

სადაც $P_{ij}$ არის მიგრაციული ნაკადი i რაიონიდან j რაიონში; $P_{ji}$ – მიგრაციული ნაკადი j რაიონიდან i რაიონში; S – რაიონის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მიგრაციის ეფექტიანობისა – წარმოადგენს რაიონებს შორის მიგრაციის გაცვლის ეფექტიანობის საზომს, კ.მ.ე.($M_e$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_e = \frac{P_j - P_i}{P_i + P_j} \cdot C,$$

სადაც $P_j$ – შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა; $P_i$ – გასულ მიგრანტთა რაოდენობა; C – კონსტანტა, რომელიც უდრის 1000 ან 100.

**კოეფიციენტი** მიგრაციისა ზოგადი – უჩვენებს მიგრანტთა (მიგრაციის) რაოდენობას მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე.

კ.მ.ზ. (M) გამოიანგარიშება ფორმულით:





$$M = \frac{P}{S} \cdot C,$$

სადაც P არის გარკვეულ დროში არსებული მიგრაციის (მიგრანტების) რაოდენობა; S – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა; C – უდრის 1000 ან 100, ე.ი. შესაბამისად მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** მიგრაციისა ზოგადი გასვლის ინტენსივობის მიხედვით – წარმოადგენს გასულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე. კ.მ.ზ.გ.ი.მ. ($M_i$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_i = \frac{P_i}{S} \cdot C,$$

სადაც $P_i$ - გასულ მიგრანტთა რაოდენობა; S – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა; C – უდრის 1000 და 100, ე.ი. შესაბამისად მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** მიგრაციისა ზოგადი შემოსვლის ინტენსივობის მიხედვით – უჩვენებს შემოსულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 და 100 სულზე. კ.მ.ზ.შ.ი.მ. ($M_j$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_j = \frac{P_j}{S} \cdot C,$$

სადაც $P_j$ – შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა; S – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა; C – უდრის 1000 ან 100, ე.ი. შესაბამისად მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** მიგრაციის წმინდა ინტენსივობისა – წარმოადგენს წმინდა მიგრაციის (ნეტო-მიგრაციის) შეფარდებას მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობასთან და ახასიათებს მიგრაციის შედეგიანობას. კ.მ.წ.ი. ($M_n$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_n = \frac{P_j - P_i}{S} \cdot C,$$

სადაც $P_j$ – შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა; $P_i$ – გასულ მიგრანტთა რაოდენობა; S – მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის

საშუალო რაოდენობა; C – უდრის 1000 ან 100, ე.ი. შესაბამისად მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** მიგრაციული კავშირების ინტენსივობისა – გამოიანგარიშება მიგრანტების გამოსვლის რაიონის მიგრაციული შესაძლებლობების გამორიცხვის მიზნით, რომელიც დამოკიდებულია როგორც გამოსვლის, ისე შესვლის რაიონების მოსახლეობის რაოდენობაზე. კ.მ.კ.ი. ($M_k$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_k = S\frac{P_{ij}}{S_i \cdot S_j}\cdot C,$$

სადაც $P_{ij}$ არის მიგრაციული ნაკადი გამოსვლის i რაიონიდან შემოსვლის j რაიონში; $S_i$ – გამოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; $S_j$ – შემოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; S – მთელი მოსახლეობა; C – უდრის 1000 ან 100, ე.ი. შესაბამისად მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** მიგრაციული კავშირების ინტენსივობისა მოდერნიზებული – ეფუძნება რაიონებს შორის წმინდა მიგრაციის განსაზღვრას. კ.მ.კ.ი.მ. ($M_m$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$M_m = S\frac{P_{ij} - P_{ji}}{S_i \cdot S_j}\cdot C,$$

სადაც $P_{ij}$ არის მიგრაციული ნაკადი i რაიონიდან j რაიონში; $P_{ji}$ – მიგრაციული ნაკადი j რაიონიდან i რაიონში; $S_i$ – გამოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; $S_j$ – შემოსვლის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა; S – მთელი მოსახლეობა; C – უდრის 1000 ან 100, ე.ი. შესაბამისად მოსახლეობის 1000 ან 100 სულზე გაანგარიშებით.

**კოეფიციენტი** მკვდრადშობადობისა – უჩვენებს მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობას ყოველ 1000 დაბადებულზე. gamoisaxeba promileTi (‰). კ.მ. ($m_n$) გამოიანგარიშება ფორმულით;

$$m_n = \frac{M_n}{N}\cdot 1000,$$

სადაც $M_n$ – მკვდრადშობილი ბავშვების რაოდენობა; N – დაბადებული (ცოცხლად და მკვდრად) ბავშვების საერთო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა ასაკობრივი – ზომავს





მოკვდაობის დონეს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების (ერთწლიანი, 5 წლიანი და სხვ.) მიხედვით. განისაზღვრება როგორც გარკვეულ დროში (ჩვეულებრივ 1 ან 2 წელი) მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობის შეფარდება ამ ასაკობრივი ჯგუფის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰). კ.მ.ა. ($m_x$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_x = \frac{1}{T}\cdot\frac{M_x}{S_x}\cdot 1000,$$

სადაც T არის გარკვეული დრო; $M_x$ – გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში; $S_x$ – მოცემული ასაკობრივი ჯგუფის საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა გენერაციული – წარმოადგენს ბავშვთა შობის ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული (იხ. მოკვდაობა გენერაციული) გარდაცვლილი ქალების რაოდენობის შეფარდებას ცოცხლად დაბადებული (იხ. ცოცხლად დაბადება) ბავშვების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰). კ.მ.გ. გვიჩვენებს, თუ რამდენი ქალი გარდაიცვალა ბავშვთა შობის ფუნქციის განხორციელებისას ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა დედათა - დედათა მოკვდაობის დონის გამომხატველი მაჩვენებელი. უჩვენებს, თუ რამდენი დედა გარდაიცვალა 100000 ცოცხლად დაბადებულზე. კ.მ.დ. ($d_M$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$d_M = \frac{D_M}{n}\cdot 100000,$$

სადაც $D_M$ - გარდაცვლილ დედათა საერთო რაოდენობა; n - ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა 1 წლის ასაკზე უფროსი მოსახლეობისა – გამოიყენება მოკვდაობის საერთო დონეზე ჩვილთა მოკვდაობის გავლენის აცილებისათვის. კ.მ.1.წ.ა.უ.მ. ($m_{1+}$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_{1+} = \frac{M_{1+}}{S_{1+}}\cdot 1000,$$

სადაც $M_{1+}$ არის გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობა 1 წლის ასაკზე უფროს მოსახლეობაში; $S_{1+}$ – 1 წლის ასაკზე

უფროსი მოსახლეობის საშუალო წლიური რაოდენობა. გამოისახება პრომილეთი (‰).

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა ზოგადი – წარმოადგენს მოკვდაობის ყველაზე გავრცელებულ მაჩვენებელს. უჩვენებს გარდაცვლილთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. გამოისახება პრომილეთი (‰). კ.მ.ზ. (m) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m = \frac{M}{S} \cdot 1000,$$

სადაც M არის გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა რომელიმე პერიოდში (მაგ., 1 წლის განმავლობაში); S – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა ნეონატალური – უჩვენებს დაბადებიდან სიცოცხლის 28 დღემდე (0-27 დღე) გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობას ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე. გამოისახება პრომილეთი (‰). კ.მ.ნ. ($m_n^0$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_n^0 = \frac{m_{0-27}}{n} \cdot 1000,$$

სადაც $m_{0-27}$ არის ჩვილთა რაოდენობა, რომელიც გარდაიცვალა სიცოცხლის პირველ 27 დღეს; n – ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა პერინატალური – წარმოადგენს პერინატალური მოკვდაობის მაჩვენებელს. გამოისახება პრომილებში.კ.მ.პ. ($m_p^0$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_p^0 = \frac{m_n + m_{0-6}}{n} \cdot 1000,$$

სადაც $m_n$ არის მკვდრადშობილთა რაოდენობა; $m_{0-6}$ – სიცოცხლის პირველი 6 დღის მანძილზე გარდაცვლილთა რაოდენობა; n – ყველა დაბადებულის (მკვდრად და ცოცხლად) რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა პოსტნეონატალური – უჩვენებს სიცოცხლის 27 დღის შემდეგ და ერთ წლამდე ასაკის მანძილზე გარდაცვლილ ჩვილთა რაოდენობას. გამოისახება





პრომილეთი (‰). კ.მ.პ. ($m_p$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$m_p = \frac{m_{28+}}{n - m_{0-27}} \cdot 1000,$$

სადაც $m_{28+}$ – ჩვილთა რაოდენობა, რომელიც გარდაიცვალა სიცოცხლის 28 დღესა და ერთი წლის ასაკს შორის; n – დაბადებული ბავშვების რაოდენობა; $m_{0-27}$ – ჩვილთა რაოდენობა, რომლებიც გარდაიცვალნენ სიცოცხლის პირველ 27 დღეში.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა სიკვდილის მიზეზის მიხედვით – დიდი მნიშვნელობა აქვს მოკვდაობის ანალიზისას. კ.მ.ს.მ.მ. გამოითვლება სიკვდილის მიზეზთა გარკვეული ჯგუფებისათვის ცალკეული ასაკების მიხედვით.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა სტანდარტიზებული – გამოიყენება მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტზე მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის აცილების მიზნით, რისთვისაც მიმართავენ სტანდარტიზაციის სხვადასხვა მეთოდს (იხ. დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია). მაგ. სტანდარტიზაციის ირიბი მეთოდის შემთხვევაში მოცემული მოსახლეობის მოკვდაობის მაჩვენებლებს შეუპირისპირებენ იმ მოსახლეობის მაჩვენებლებს, რომელიც მიღებულია სტანდარტად და რომელიც შეწონილია მოცემული მოსახლეობის ასაკობრივი განაწილებით. ასეთ დროს კ.მ.ს. ($m_s^i$) ტოლია:

$$m_s^i = \frac{\sum_x S_x^0 m_x^0}{\sum_x S_x^0} \cdot \frac{\sum S_x^i \cdot m_x^i}{\sum S_x^i \cdot m_x^0},$$

სადაც მოყვანილი ფორმულის მარცხენა ნაწილი სტანდარტის ზოგადი კოეფიციენტია, რომელიც ტოლია მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების ($m_x = M_s / S_x$) $S_x^0$ -ით – x ასაკის ადამიანების რიცხვით ან წილით შეწონილი საშუალოსი. ფორმულის მარჯვენა ნაწილი – სტანდარტიზაციის ინდექსია, სადაც ნიშანი i – შესადარისი მოსახლეობის მაჩვენებელია, ხოლო ნიშანი o – მაჩვენებელი სტანდარტისათვის.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა 5 წლამდე ასაკის ბავშვების – მაჩვენებელი, რომელიც ზომავს დაბადებიდან 5 წლამდე (0-4 წელი) ასაკის ბავშვების მოკვდაობის დონეს.

გაიანგარიშება როგორ 5 წლამდე ასაკში გარდაცვლილი

ბავშვების რაოდენობის შეფარდება ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობასთან. გამოისახება პრომილეთი (‰) და უჩვენებს 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობას 1000 დაბადებულზე.

5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი ($d_{0-4}$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$d_{0-4} = \frac{D_{0-4}}{B} \cdot 1000,$$

სადაც $D_{0-4}$ - რომელიმე პერიოდში (მაგ., წელი) 5 წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობა; B - იმავე პერიოდში ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოკვდაობისა ჩვილთა – მაჩვენებელი, რომელიც ზომავს დაბადებიდან ერთ წლამდე ბავშვების მოკვდაობის დონეს. კ.მ.ჩ. გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვილთა მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად მაღალია შემდგომი ასაკობრივი ჯგუფების მოკვდაობის დონესთან შედარებით (ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკის გარდა). მოკვდაობის სხვა კოეფიციენტებისაგან განსხვავებით, მოცემულ შემთხვევაში, გარდაცვლილთა რაოდენობა შეეფარდება დაბადებულთა რაოდენობას და არა მოსახლეობის საშუალო რაოდენობას. კ.მ.ჩ. გამოისახება პრომილეთი (‰) და უჩვენებს ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობას ყოველ 1000 დაბადებულზე. არსებობს კ.მ.ჩ. ($m_0$) გამოთვლის რამდენიმე მეთოდი. ყველაზე მარტივია:

$$m_0 = \frac{m}{n} \cdot 1000,$$

სადაც $m$ არის ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა მოცემულ წელს; $n$ – ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იგივე წელს.

უფრო ზუსტია მეთოდი, რომლის დროსაც გაითვალისწინება შობადობის დონის ცვალებადობის გავლენა. მის შემთხვევაში:

$$m_0 = \frac{m}{\frac{2}{3}n + \frac{1}{3}n_{-1}} \cdot 1000,$$

სადაც $n_{-1}$ - წინა წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობა.

ამ ფორმულას მისი ავტორის საპატივცემლოდ ხშირად რატსის ფორმულას უწოდებენ.





1940 წ-დან დაწყებული გამოიყენება კ.მ.ჩ. გაანგარიშების კიდევ უფრო ზუსტი მეთოდი:

$$m_0 = \frac{m'}{n} + \frac{m''(n-m')}{n(n_{-1}-m_{-1})} \cdot 1000,$$

სადაც $m^I$ – ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა მოცემულ წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობიდან; $m^{II}$ – ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა წინა წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობიდან; $m_{-1}$ – წინა წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა იმავე წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობიდან; $n$ – მოცემულ წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობა; $n_{-1}$ – წინა წელს დაბადებული ბავშვების რაოდენობა.

**კოეფიციენტი** მოსახლეობის აღწარმოებისა ბრუტო – თაობათა შენაცვლების მაჩვენებელი, რომელიც არ ითვალისწინებს მოკვდაობას. წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ერთ-ერთ მახასიათებელს და შობადობის კრებსით დახასიათებას. კ.მ.ა.ბ. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალ-ცალკე ორივე სქესის მოსახლეობისათვის, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში გამოითვლება ქალებისათვის. იმის გამო, რომ ის არ ითვალისწინებს ქალიშვილების მოკვდაობას მათ მიერ დედის ასაკის მიღწევამდე, კ.მ.ა.ბ. არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რეალური მაჩვენებელი. კ.მ.ა.ბ. უჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას (თუ ქალი იცოცხლებდა ფერტილური პერიოდის ბოლომდე და მისი სიცოცხლის მანძილზე ყოველ ასაკში შენარჩუნებულ იქნებოდა შობადობის თანამედროვე დონე) კ.მ.ა.ბ. ($R$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$R = \delta \sum_{15}^{49} F_x,$$

სადაც $\delta$ – ცოცხლად დაბადებულთა შორის გოგონათა წილი, რომელიც მიახლოებით 0,49 ტოლია; $\sum_{15}^{49} F_x$ - შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (იხ. კოეფიციენტი შობადობისა ჯამობრივი).

**კოეფიციენტი** მოსახლეობის აღწარმოებისა ნეტო – მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის განმაზოგადებელი მახასიათებელი, რომელშიც გათვალისწინებულია შობადობა და მოკვდაობა. კ.მ.ა.ნ. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალ-ცალკე ორივე სქესისათვის, თუმცა, როგორც

წესი, გამოითვლება ქალების შემთხვევაში. კ.მ.ა.ნ. წარმოადგენს ქალიშვილების თაობის მიერ დედათა თაობის შენაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელს. კ.მ.ა.ნ. უჩვენებს ერთი ქალის მიერ თავისი ცხოვრების მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რაოდენობას, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგონას გაჩენისას. კ.მ.ა.ნ ($R_0$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$R_0 = \delta \sum_{15}^{49} F_x L_x,$$

სადაც $\delta$ – ცოცხლად დაბადებულთა შორის გოგონათა წილი;

$\sum_{15}^{49} F_x$ – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი; $L_x$ – ცოცხლად დარჩენილების რაოდენობა ქალების მოკვდაობის ცხრილიდან.

**კოეფიციენტი** მოსახლეობის აღწარმოების რეშიმის პრობრესულობისა – იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა ჭეშმარიტი.

**კოეფიციენტი** მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა – წარმოადგენს შობადობისა და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სხვაობას. გამოისახება მათსავით პრომილეთი (‰) და აჩვენებს, თუ რამდენია ბუნებრივი მატება მოსახლეობის 1000 სულზე. კ.მ.ბ.მ. (b) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$b = n - m,$$

სადაც $n$ – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი; $m$ – მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი.

კ.მ.ბ.მ. შეიძლება ასევე გაანგარიშებული იყოს როგორც გარკვეულ პერიოდში არსებული ბუნებრივი მატების (დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის სხვაობა) შეფარდება იგივე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან გამოსახული პრომილებში.

**კოეფიციენტი** მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა საკუთარი – იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა ჭეშმარიტი.

**კოეფიციენტი** მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა ჭეშმარიტი – წარმოადგენს სტაბილური მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტს, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის აღწარმოების მოცემულ რეჟიმს. კ.მ.ბ.მ.ჭ. არ არის დამოკიდებული ფაქტობრივი მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე და ზომავს შობადობისა და ამოწყდომის რიგითობის





ერთობლივ გავლენას მოსახლეობის რაოდენობის დინამიკაზე. კ.მ.ბ.მ.ჭ. (r) გამოიანგარიშება ფორმულით (მიახლოებითი ვარიანტი):

$$r = \frac{\ln R_0}{T},$$

სადაც $R_0$ არის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი; $T$ – დედის საშუალო ასაკი ბავშვის გაჩენისას.

კ.მ.ბ.მ.ჭ. ცნება შემოთავაზებულ იქნა ა. ლოტკას მიერ.

**კოეფიციენტი** მოსახლეობის დაბერებისა – გამოიყენება დემოგრაფიული დაბერების (იხ. დემოგრაფიული დაბერება) შეფასებისათვის. კ.მ.დ. (D) გამოიანგარიშება ორი შემთხვევისათვის:

$$1)\ D_{60} = \frac{S_{60+}}{S} \cdot 100; \qquad 2)\ D_{65} = \frac{S_{65+}}{S} \cdot 100,$$

სადაც $S_{60+}$ და $S_{65+}$ არის შესაბამისად, 60 წლისა და უფროსი ასაკის და 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობა; $S$ - მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა. კ.მ.დ. გამოისახება პროცენტებში (%).

**კოეფიციენტი** მოსახლეობის მატებისა – წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში ფაქტობრივი მოსახლეობის საერთო მატების (იხ. მოსახლეობის საერთო მატება) შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. კ.მ.მ. შეიძლება გამოისახოს როგორც აბსოლუტურ რიცხვებში, ისე პროცენტულად (%) და პრომილეთი (‰), თუ მიღებულ შედეგს გავამრავლებთ შესაბამისად 100 ან 1000-ზე. კ.მ.მ. შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნულის ტოლი სიდიდე იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობის რაოდენობა შესაბამისად იზრდება, კლებულობს ან რჩება უცვლელი. კ.მ.მ. ($\Delta S$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta S = \frac{S_1 - S_0}{S},$$

სადაც $S_0$ არის მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასაწყისში; $S_1$ – მოსახლეობის რაოდენობა პერიოდის დასასრულისათვის; $S$ – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** ნაცხოვრები წლების აღწარმოებისა – წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთ მაჩვენებელს. შემოთავაზებულ იქნა 1965 წელს ფრანგი დემოგრაფის ლ. ანრის მიერ. მისი მნიშვნელობა იქიდან გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის აღწარმოების ნეტო – კოეფიციენტი ასახავს მოსახლეობის მხოლოდ

საწყისი რაოდენობის აღდგენას და არ ითვალისწინებს იმას, რომ მოკვდაობის შემთხვევაში იზრდება იმ დროის ჯამი, რომელსაც იცხოვრებს თითოეული შემდგომი თაობა. კ.ნ.წ.ა. მაჩვენებელში დედათა თაობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი შესწორებულია მათ ქალიშვილთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსის საშუალებით.

$$R_v(t) = \frac{e_0(t+T)}{e_0(t)} \cdot R_0(t),$$

სადაც t არის დედათა თაობის დაბადების მომენტი; $e_0(t)$ – დედათა თაობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; $e_0(t+T)$ – ქალიშვილთა გასაშუალებული სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელთა დაბადების მომენტი ჩამორჩება დედების დაბადების მომენტს T სიდიდით; T – თაობის საშუალო სიგრძე; $R_0$ – დედათა თაობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტი.

**კოეფიციენტი** ნიბსისა – თაობათა შენაცვლების ერთ-ერთი მაჩვენებელი. წარმოადგენს შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ნამრავლს ახალდაბადებულთა სიცოცხლის მოსალოდნელ საშუალო ხანგრძლივობაზე.

**კოეფიციენტი** ოჯახიანობისა – ოჯახთა რაოდენობა, მარტოხელათა ჩაუთვლელად, რომელიც მოდის მუდმივი მოსახლეობის 1000 სულზე. წარმოადგენს ოჯახის საშუალო ზომის შებრუნებულ მაჩვენებელს. კ.ო. ახასიათებს რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობის ოჯახებში ადამიანთა "დაჯგუფების" ხარისხს. კ.ო. დამოკიდებულია მოსახლეობაში ოჯახის წევრთა რაოდენობასა და მარტოხელათა რაოდენობას შორის თანაფარდობაზე და აგრეთვე თვით ოჯახის ზომაზე. კ.ო. სიდიდის ზრდა ასახავს ოჯახის საშუალო ზომის შემცირებას. კ.ო.($\Delta O$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$\Delta O = \frac{O - Y}{S_m} \cdot 1000,$$

სადაც O არის ოჯახთა რაოდენობა; Y – მარტოხელათა რაოდენობა; $S_m$ – მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა.

**კოეფიციენტი** ტომპსონისა – თაობათა შენაცვლების ერთ-ერთი მაჩვენებელი. წარმოადგენს შეფარდებით სიდიდეს, რომლის მრიცხველშია რეალურ მოსახლეობაში 5 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობის თანაფარდობა 15-49 წლის ასაკის მოსახლეობასთან, ხოლო მნიშვნელში იგივე თანაფარდობა სტაციონარული მოსახლეობისათვის. კ.ტ. შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ცალ-ცალკე ორივე სქესისათვის.





**კოეფიციენტი** ქორწინების შეწყვეტისა ერთობლივი – ქორწინების შეწყვეტის (იხ. ქორწინების შეწყვეტა) დამახასიათებელი განმაზოგადებელი მაჩვენებელი. გამოიანგარიშება როგორც ქორწინების შეწყვეტის სპეციალური კოეფიციენტების ჯამი (იხ. კოეფიციენტი ქორწინების შეწყვეტისა სპეციალური).

**კოეფიციენტი** ქორწინების შეწყვეტისა სპეციალური – ქორწინების შეწყვეტის (იხ. ქორწინების შეწყვეტა) დამახასიათებელი ერთ-ერთი მაჩვენებელი. გამოიანგარიშება როგორც მოცემული მიზეზით გამოწვეული ქორწინების შეწყვეტის შემთხვევათა რაოდენობის შეფარდება საქორწინო წყვილთა საშუალო რაოდენობასთან.

**კოეფიციენტი** ქორწინებისა ასაკობრივი – წარმოადგენს გარკვეულ ასაკში დაქორწინებულთა რაოდენობის შეფარდებას იმავე ასაკის ქორწინების მქონე ადამიანების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). კ.ქ.ა. შეიძლება გამოთვლილი იყოს როგორც ყველა ქორწინებითი მდგომარეობის პირთათვის, ისევე ყოველი ქორწინებითი მდგომარეობისათვის – მარტოხელებისათვის, ქვრივებისათვის, განქორწინებულებისათვის. უფრო ხშირად კ.ქ.ა. გამოიანგარიშება ქორწინებაში არასდროს მყოფებისა და დაქორწინებულებისათვის. კ.ქ.ა. ($k_x$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k_x = \frac{K_x}{B_x} \cdot 1000 \ ,$$

სადაც $K_x$ – გარკვეულ x ასაკში დაქორწინებულთა რაოდენობა; $B_x$ – იმავე x ასაკის ქორწინების უნარის მქონე ადამიანთა რაოდენობა.

1970-იანი წწ. ბოლოდან კ.ქ.ა. ძირითადად გაიანგარიშება როგორც გარკვეულ ასაკში დაქორწინებულთა შეფარდება იმავე ასაკის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან.

**კოეფიციენტი** ქორწინებისა ზოგადი – წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში დაქორწინებულთა რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). კ.ქ.ზ. უჩვენებს დაქორწინებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე. კ.ქ.ზ. (k) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k = \frac{K}{S} \cdot 1000,$$

სადაც K – დაქორწინებულთა რაოდენობა; S – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

კ.ქ.ზ. განიცდის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურისა და ქორწინებითი მდგომარეობის გავლენას. ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით გამოიყენება ქორწინების სხვა მაჩვენებლები (მაგ., სპეციალური კოეფიციენტები), რომლებიც უფრო გამოსადეგია ქორწინების ანალიზისათვის.

**კოეფიციენტი** ქორწინებისა სპეციალური – წარმოადგენს დაქორწინებულთა რაოდენობის შეფარდებას ქორწინების უნარის მქონე ასაკის მოსახლეობასთან (ჩვეულებრივ 16 და უფროსი ასაკის). კ.ქ.ს. ($K_s$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$K_s = \frac{K}{S_{16+}} \cdot 1000,$$

სადაც K არის გარკვეულ პერიოდში (მაგ., ერთი წელი) დაქორწინებულთა raodenoba; $S_{16+}$ – 16 და უფროსი ასაკის მოსახლეობის საშუალო wliuri raodenoba. gamoisaxeba promilebSi (‰).

**კოეფიციენტი** ქორწინების სპეციალური ქორწინების უნარიანი მოსახლეობის – წარმოადგენს ქორწინების სპეციალური კოეფიციენტის დაზუსტებულ ვარიანტს. იგი გამოსადეგია საერთაშორისო შედარებისათვის და მოცემულ ქვეყანაში ქორწინების დონის დახასიათებისათვის, თუმცა არ ითვალისწინებს ქორწინების უნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის განსხვავებას. კ.ქ.ს.ქ.უ.მ. ($K'_s$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k'_s = \frac{K}{S'_{16+}} \cdot 1000,$$

სადაც K – გარკვეულ პერიოდში (წელი) დაქორწინებულთა რაოდენობა; $S'_{16+}$ – 16 და უფროსი ასაკის მოსახლეობაში უცოლოების (ან უქმროების), ქვრივებისა და განქორწინებულების რაოდენობა. გამოისახება პრომილებში (‰).

კ.ქ.ს.ქ.უ.მ. განისაზღვრება ცალ-ცალკე ქალებისა და მამაკაცებისათვის.

**კოეფიციენტი** ქორწინებისა ჯამობრივი – წარმოადგენს ქორწინებათა პირობით საშუალო რაოდენობას, რომელიც მოცემულ თაობაში მიიღება მათი ცხოვრების მანძილზე, მოკვდაობისა და თაობის ცვალებადობის გამომწვევი სხვა მიზეზების არარსებობის შემთხვევაში. მიიღება როგორც ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამი, ერთ ადამიანზე გაანგარიშებით. ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები განისაზღვრება 16-69 წლის ასაკებისათვის. 70 წლისა და უფროს ასაკში





ქორწინებები შეჰყავთ 69 წლის ასაკის ქორწინებათა რაოდენობაში. კ.ქ.ჯ. შეიძლება განისაზღვროს როგორც ქვედა, ისე პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის. რეალური თაობის კ.ქ.ჯ. წარმოადგენს მოცემული თაობის ქორწინებათა სიხშირის განმაზოგადებელ მახასიათებელს. კ.ქ.ჯ. ($k_T$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$k_T = \sum_{16}^{69} k_x : 1000,$$

სადაც $k_x$ რომელიმე x ასაკის ქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტია.

**კოეფიციენტი** შვილიანობისა სტრუქტურული – წარმოადგენს შვილიანობის დონის მაჩვენებელს. გამოიყენება შობადობის ანალიზისას. კ.შ.ს. უჩვენებს დაბადებულთა ერთობლიობაში ბავშვების საშუალო რიგითობას.

**კოეფიციენტი** შობადობისა ასაკობრივი – წარმოადგენს მოცემული დროის პერიოდში (მაგ., წელი) გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობას. გამოისახება პრომილებში (‰). კ.შ.ა. ($F_x$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_x = \frac{N_x}{W_x} \cdot 1000,$$

სადაც $N_x$ – გარკვეულ x ასაკში დაბადებული ბავშვების რაოდენობა; $W_x$ – იგივე x ასაკის ქალების საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** შობადობისა ბავშვის დაბადების რიგითობის მიხედვით – წარმოადგენს მოცემული დროის მანძილზე გარკვეული რიგითობის დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებას მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). კ.შ.ბ.დ.რ.მ ($n_i$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$n_i = \frac{N_i}{S} \cdot 1000,$$

სადაც $N_i$ – გარკვეული i რიგითობის ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა; S – მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** შობადობისა ზოგადი – წარმოადგენს გარკვეულ დროში დაბადებულთა საერთო რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). უჩვენებს დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის

1000 სულზე. მიუხედავად იმისა, რომ კ.შ.ზ. შობადობის ყველაზე მეტად გავრცელებული მაჩვენებელია, ის ამავე დროს მისი ყველაზე მიახლოებითი და უხეში მახასიათებელია. კ.შ.ზ. (n) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$n = \frac{N}{S} \cdot 1000,$$

სადაც N – გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) ცოცხლად დაბადებულთა საერთო რაოდენობა; S – იმავე პერიოდში მოსახლეობის საშუალო რაოდენობა.

**კოეფიციენტი** შობადობისა კუმულაციური – წარმოადგენს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამს ინტერვალში, რომელთაგან პირველი იწყება 15 წლიდან, ხოლო ბოლო მთავრდება x ასაკით. გამოისახება პრომილებში (‰). კ.შ.კ. ($F_k$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_k = \sum_{15}^{x} F_x,$$

სადაც $F_x$ არის x ასაკის შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი.

**კოეფიციენტი** შობადობისა რედუცირებული – წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელიც უჩვენებს ჩვილთა მოკვდაობის გავლენას შობადობის ზოგად კოეფიციენტზე. ის არის იმ ბავშვთა შობადობის კოეფიციენტი, რომლებმაც იცოცხლეს პირველი წელი. კ.შ.რ. რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე შობადობის ზოგადი კოეფიციენტი და ეს სხვაობა მით იფრო მცირეა, რაც ნაკლებია ჩვილთა მოკვდაობა. კ.შ.რ. (n') გამოიანგარიშება ფორმულით:

$$n' = n(1 - 0.001m_0),$$

სადაც n – შობადობის ზოგადი კოეფიციენტი; $m_0$ – ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი.

**კოეფიციენტი** შობადობისა სპეციალური – წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ. წელი) დაბადებულთა რაოდენობის შეფარდებას ფერტილური ასაკის (15-49) ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). უჩვენებს ამავე პერიოდში დაბადებული ბავშვების რაოდენობას ფერტილური ასაკის ყოველ 1000 ქალზე. კ.შ.ს. ($F_s$) გამოიანგარიშება ფორმულით;





$$F_s = \frac{N}{W} \cdot 1000,$$

სადაც N – გარკვეულ პერიოდში (მაგ. წელი) დაბადებული ბავშვების რაოდენობა; W – 15-49 წლის ასაკის ქალების რაოდენობა.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (n) დაკავშირებულია კ.შ.ს. ($F_s$) შემდეგნაირად:

$$n = F_s \cdot L,$$

სადაც L – 15-49 წლის ასაკის ქალების წილი მთელ მოსახლეობაში.

**კოეფიციენტი** შობადობისა ქორწინებითი – წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) ქორწინებაში დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდში 15-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). გამოიყენება საქორწინო სტრუქტურის გავლენის ელიმინირებისათვის. კ.შ.ქ. ($F_m$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_m = \frac{N_m}{W_m} \cdot 1000,$$

სადაც $N_m$ – გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) ქორწინებაში ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა; $W_m$ – იმავე პერიოდში 15-49 წლის ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების რაოდენობა.

**კოეფიციენტი** შობადობისა ქორწინების გარეშე – წარმოადგენს გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეფარდებას იმავე პერიოდში არსებული 15-49 წლის დაუქორწინებელი ქალების რაოდენობასთან. გამოისახება პრომილებში (‰). ახასიათებს დაუქორწინებელი ქალების ბავშვთა შობის ინტენსივობას. კ.შ.ქგ. ($F_r$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F_r = \frac{N_r}{W_r} \cdot 1000,$$

სადაც $N_r$ არის გარკვეულ პერიოდში (მაგ., წელი) რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ცოცხლად დაბადებული ბავშვების რაოდენობა;
$W_r$ – 15-49 წლის ასაკის დაუქორწინებელი ქალების რაოდენობა.

**კოეფიციენტი შობადობისა ჯამობრივი** – წარმოადგენს ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას. ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება შობადობის ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის გაყოფით 1000-ზე (ე.ი. ერთ ქალზე გაანგარიშებით). იმ შემთხვევაში, როდესაც ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალებია მოცემული (მაგ., 20-24, 25-29 და ა.შ.) ასაკობრივი კოეფიციენტის ჯამი საჭიროა გავამრავლოთ ხუთზე და შემდეგ გავყოთ 1000-ზე (ერთ ქალზე გაანგარიშებისათვის). კ.შ.ჯ. წარმოადგენს შობადობის დონის განმსაზღვრელ საკმაოდ ზუსტ მაჩვენებელს.კ.შ.ჯ. (F) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$F = \frac{\sum_{15}^{49} F_x}{1000},$$

სადაც $F_x$ შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტია.

**კოლონია** – 1) ქვეყანა ან ტერიტორია, რომელიც სხვა სახელმწიფოს ძალაუფლების ქვეშ იმყოფება, მოკლებულია პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და იმართება სპეციალური რეჟიმის საფუძველზე; 2) დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობლებით დასახლებული ადგილი: 3) ერთი ეროვნების ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ერთად ცხოვრობს უცხო ქვეყანაში; 4) რაიმე მიზნით ერთად თავმოყრილ ადამიანთა დასახლება.

**კოლონიზაცია**– საკუთარი ქვეყნის უშენი განაპირა მიწების დასახლებისა და სამეურნეო ათვისების პროცესი (“საშინაო კ.”), აგრეთვე უპირატესად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ახალშენების დაარსება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ („საგარეო კ.”).

**კოლონისტები** – კოლონიის (მნიშვნ. 2) მცხოვრებლები, კოლონიის (მნიშვნ. 3) წევრები.

**კომლი** – ცალკე ოჯახი, მოსახლე. ტერმინი მოდის სიტყვა “კვამლისაგან”. ფეოდალურ ხანაში კ. (“კვამლი”) ეწოდებოდა გლეხის, აზნაურის, თავადის ოჯახს, საცხოვრებელ სახლს, კერას, დამხმარე ნაგებობებს, მიწას, ფუძეს.

**კონკუბინატი** – ფაქტობრივი ქორწინების ხანგრძლივი ფორმა, რომლის იურიდიულ გაფორმებას ხელს უშლის აკრძალვები, დაფუძნებული საქორწინო პარტნიორების კლასობრივ, ეკონომიკურ ან სხვა უთანასწორობაზე. კ. ფართოდ იყო გავრცელებული ძველ რომში. კ-ის დროს ქალი არ ღებულობდა არავითარ წოდებრივ





პრივილეგიებს, რომლითაც სარგებლობდა მისი საქორწინო პარტნიორი, ხოლო კ-ში დაბადებული ბავშვები - მამის პრევილეგიებს.

**კონსოლიდაცია** – ეთნიკური პროცესების სახეობა, რომლის არსი ის არის, რომ ჩვეულებრივ ენითა და კულტურით ახლოს მყოფი ეთნოსები (ან მათი ნაწილები) ერთმანეთს შეერწყმებიან და წარმოიქმნება უფრო მსხვილი ეთნიკური ერთობა.

**კონტრაცეპცია** – ორსულობის თავიდან აცილება. წარმოებს სხვადასხვა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით. კ-ს მეთოდები შეიძლება იყოს: 1) ტრადიციული - შეწყვეტილი სქესობრივ აქტი (coitus interruptus) და კალენდარული მეთოდი და 2) თანამედროვე-ჰორმონალური აბები, საშვილოსნოსშიგა საშუალება (სპირალი), კონდომი, საინექციო საშუალება, იმპლანტი, სპერმიციდი, ქალისა და მამაკაცის სტერილიზაცია, დიაფრაგმა.

კ. მოსახლეობისათვის უძველესი დროიდან იყო ცნობილი. რეკომენდაციები კ-ის შესახებ გვხვდება “კამა სუტრასა” და “კოკა შასტრაში”, აგრეთვე ჰიპოკრატეს, არისტოტელეს, ალი-იბნ-აბასის, იბნ სინასა და სხვათა ნაშრომებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კ. მასობრივად გავრცელდა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების პერიოდში, ხოლო იქამდე ძირითადად გამოიყენებოდა ქორწინების გარეშე (ან უკანონო) ბავშვის თავიდან აცილების მიზნით და იშვიათი გამონაკლისის გარდა (მაგ., რომაელ დიდებულთა შორის ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში) ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება.

**კონტრაცეპციული ქცევა** – ადამიანის აქტივობა, რომელიც მიმართულია ორსულობის თავიდან აცილებისაკენ. კ.ქ. ძირითადად გავრცელებულია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებისას. კ.ქ-ს მიმართავენ შემდეგ შემთხვევებში: პროტოგენეტიკური ან ინტერგენეტიკური ინტერვალების რეგულირების დროს, როდესაც სრულად არ არის დაკმაყოფილებული “ბავშვების ყოლის მოთხოვნილება”, როდესაც ორსულობა ან მშობიარობა შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს ქალის ჯანმრთელობისათვის, როდესაც შეიძლება დაიბადოს არაჯანმრთელი ბავშვი.

**კონურბაცია** – ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობებით მჭიდროდ დაკავშირებული დამოუკიდებელი ქალაქების ჯგუფი. კ-ის განვითარებული ფორმაა აგლომერაცია (იხ. აგლომერაცია).

**კონფორმულობა** – სოციალური ჯგუფის გავლენით ადამიანის აქტივობის ცვლილება თავისი განწყობისა და შეხედულებების საწინააღმდეგოდ.

**კორელაცია** – მათემატიკურ სტატისტიკაში წარმოადგენს ალბათურ ან სტატისტიკურ დამოკიდებულებას. სტატისტიკური მონაცემებით კ-ის კვლევისას გულისხმობენ, რომ მონაცემები შემთხვევით სიდიდეებზე განმეორებით დაკვირვებათა შედეგებია და სწავლობენ ამ შემთხვევით სიდიდეთა შორის დამოკიდებულებას, გამოხატულს მათი განაწილების ან სხვა მახასიათებლების ტერმინებში.

**კოჰორტა** – ადამიანთა ერთობლიობა, რომლებმაც ერთი და იმავე პერიოდში განიცადეს გარკვეული დემოგრაფიული შემთხვევა (მაგ., ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაქორწინდა რომელიმე ერთ წელს; ქალების ჯგუფი, რომელმაც გააჩინა პირველი ბავშვი რომელიმე ერთ წელს და სხვ.). ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაიბადა რომელიმე კალენდარულ პერიოდში. აგრეთვე ცნობილია თაობის სახელწოდებით. კ-ის გამოსაყოფი დროის ინტერვალი (ერთი ან რამდენიმე წელი) დამოკიდებულია ანალიზის მიზნებზე და მასალის თავისებურებებზე.

ტერმინი "კ." 1947 წელს შემოიღო ამერიკელმა დემოგრაფმა პასკალ უელპტონმა. პირველად კ. გამოიყენებოდა სიგრძივი ანალიზისას, თუმცა შემდგომში მიიღო უნივერსალური ხასიათი. თანამედროვე დემოგრაფიაში განასხვავებენ რეალურ კ-ს (სიგრძივი ანალიზის ობიექტი) და ჰიპოთეზურ კ-ს (განივი ანალიზის ობიექტი.

რეალურ კ-ში ყველა შემთხვევა, რომელთა მოხდენა აერთიანებს ადამიანებს კ-ში, წარმოებს კალენდარული დროის გარკვეულ ინტერვალში, ხოლო შემდგომი შესაძლებელი შემთხვევები, რომელთა სიხშირე იზომება, გაგრძელებულია მომავალ დროში კ-ის ფორმირების კალენდარული პერიოდის მიმართ. მაგ., შობადობის სიხშირე ($f_\tau$) რეალურ საქორწინო კ-ში ტოლი იქნება:

$$f_\tau = \frac{N_{t+\tau}}{W_t},$$

სადაც $W_t$ – ქალების რაოდენობა, რომელიც დაქორწინდა t წელს; $\tau$ – ინტერვალი, რომელიც გავიდა დაქორწინების მომენტიდან ბავშვის გაჩენის მომენტამდე; $N_{t+\tau}$ – დაბადებათა რაოდენობა $W_t$ – რეალურ კ-ში მოცემული ქორწინების ხანგრძლივობისას.

ჰიპოთეზურ კ-ში ყველა შემთხვევა,რომელთა სიხშირე იზომება, წარმოებს კალენდარული დროის გარკვეულ ინტერვალში, რომელიც ითვლება ჰიპოთეზური კ-ის ფორმირების პერიოდად, ხოლო წინამავალი შემთხვევები გაგრძელებულია წარსულ დროში ამ პერიოდის მიმართ. მაგ., შობადობის სიხშირე ($f_\tau$) ჰიპოთეზურ





საქორწინო კ-ში ტოლია:

$$f_\tau = \frac{N_{t,\tau}}{W_\tau},$$

სადაც $N_{t,\tau}$ არის დაბადებათა რაოდენობა t კალენდარულ პერიოდში $\tau$ ქორწინების ხანგრძლივობისას; $W\tau$ – დაქორწინებული ქალების რაოდენობა იგივე t კალენდარულ პერიოდში $\tau$ ქორწინების ხანგძლივობით.

დემოგრაფიული პროცესის ანალიზი კ-ში ეფუძნება ამა თუ იმ დემოგრაფიული შემთხვევის დადგომის სიხშირის გაზომვას დროის ინტერვალთან დამოკიდებულებაში, რომელიც გავიდა წინა შემთხვევის დადგომის მომენტიდან.

**კრიმინოლოგია** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას როგორც სოციალურ მოვლენას, მის მიზეზებს, დამნაშავის პიროვნებას, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებებს.

კ-ის დემოგრაფიული ასპექტები ჩართულია დამნაშავეობის მიზეზობრივი განპირობებულობის კომპლექსურ დახასიათებაში. კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ დემოგრაფიული პროცესების გავლენა დამნაშავეობაზე თვალნათლივ შეინიშნება ტერიტორიის, მიგრაციის, ასაკის და სხვ. მიხედვით. დემოგრაფიული პროცესები დამნაშავეობაზე მოქმედებენ არა პირდაპირ, არამედ სხვა ფაქტორების მეშვეობით.

# ლ

**ლაქტაცია** – რძის წარმოქმნის, დაგროვებისა და პერიოდული გამოყოფის პროცესი, რომელიც თან სდევს მშობიარობას.

**ლეგიტიმაცია** – 1) ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილისათვის კანონიერი უფლებების მინიჭება; 2) რაიმე უფლებისა თუ რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება; ამ უფლების (რწმუნების) დამადასტურებელი საბუთი; 3) მოქალაქის პირადობის მოწმობა იმ ქვეყანაში, სადაც საპასპორტო სისტემა არ არსებობს.

**ლევირატი** – საქორწინო ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქვრივი ქალი ვალდებული იყო ან უფლება ჰქონდა ცოლად გაჰყოლოდა

მაზლს. ლ., როგორც ჯგუფობრივი ქორწინების გადმონაშთი, ფართოდ იყო გავრცელებული გვაროვნული წყობილების ხანაში. ლ. დიდხანს არსებობდა მთელ რიგ ხალხებში (კავკასიაში, შუა აზიაში, ებრაელებში და სხვ.), რასაც ხელს უწყობდა ურვადი.

**ლეტალობა** – სამედიცინო სტატისტიკაში რაიმე დაავადების, ჭრილობის ან უბედური შემთხვევისაგან გარდაცვლილთა რაოდენობის შეფარდება ამავე სნეულებით დაავადებულთა (დაჭრილთა ან უბედური შემთხვევის დროს დაზიანებულთა) რაოდენობასთან; გამოიხატება პროცენტობით (ცნობილია აგრეთვე "ლეტალობის კოეფიციენტის" სახელწოდებით). ლ-ის აღრიცხვა ხდება გარკვეული დროის მონაკვეთში, ჩვეულებრივ, 1 წლის მანძილზე.

**ლეტალობა საავადმყოფოს გარეშე** – წარმოადგენს რაიმე დაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობის შეფარდებას ამავე სნეულებით საავადმყოფოს გარეთ მყოფ დაავადებულთა რაოდენობასთან.

**ლეტალობა საავადმყოფოს შიგნა** – წარმოადგენს საავადმყოფოში რაიმე დაავადებისაგან გარდაცვლილთა რაოდენობის შეფარდებას იმავე საავადმყოფოში, იმავე დაავადებით ჰოსპიტალიზებული ავადმყოფების რაოდენობასთან.

**ლეტალობა საერთო** – წარმოადგენს როგორც საავადმყოფოში, ისე მის გარეთ რაიმე დაავადებისაგან გარდაცვლილთა რაოდენობის შეფარდებას ამავე სნეულებით დაავადებულთა რაოდენობასთან.

**ლეჭსისის ბადე** – იხ. დემოგრაფიული ბადე.

**ლიბიდო** – სექსუალურ ინსტინქტზე დაფუძნებული, სქესობრივი სწრაფვით გამოხატული, ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკური ენერგია. ლ. წარმოადგენს ფროიდიზმის ერთ-ერთ ცენტრალურ ცნებას, სადაც იგი განიხილება როგორც ადამიანის ქცევის დომინირებული მოტივი.

**ლტოლვილები** – პირები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი (მშობლიური) ქვეყანა და გადასახლებულიყვნენ სხვა ქვეყანაში უცხოური სამხედრო ოკუპაციის, გენოციდის, არსებული რეჟიმის, კონფლიქტების, სტიქიური უბედურებების, დევნის თუ სხვა მათთვის მიუღებელი პირობების გამო.





# მ

**მაზლი** – ქმრის ძმა.

**მალთუსიანელობა** – დემოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, შეხედულებათა სისტემა მოსახლეობის აღწარმოებასა და მის როლზე საზოგადოების განვითარებაში. სახელწოდება მომდინარეობს ინგლისელი ეკონომისტის თომას მალთუსის სახელიდან (1766-1834). მალთუსი მოსახლეობის აღწარმოებაში ხაზს უსვამდა ბიოლოგიური ფაქტორების განმსაზღვრელ როლს და მიაჩნდა, რომ ბიოლოგიურ თავისებურებათა გამო მოსახლეობა იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე არსებობის საშუალებანი. აქედან გამომდინარე, ხალხის სავალალო მდგომარეობის მიზეზად მიჩნეული იყო მისი უზომო გამრავლება. მოსახლეობის რაოდენობასა და წარმოების საშუალებათა რაოდენობას შორის თანაფარდობის რეგულირებისათვის, მალთუსის აზრით, აუცილებელია მოსახლეობის რაოდენობის შემცირება. იგი თვლიდა, რომ გადამეტმოსახლეობის არარსებობის შემთხვევაში აღმოიფხვრებოდა ის მთავარი მიზეზი, რომელიც იწვევდა დამპყრობლურ გეგმებს, ხოლო ქვეყნის შიგნით – ტირანიასა და აღშფოთებას. მალთუსი მოუწოდებდა ღარიბებს თავი შეეკავებინათ ქორწინებისაგან და აელაგმათ თავიანთი "გამრავლების ინსტიქტი". მალთუსი ხაზს უსვამდა თავისი კანონის აბსოლუტურობას და აღნიშნავდა, რომ მართებული არ იქნებოდა იმის დაშვება თითქოს მოსახლეობის მართვის კანონებმა განიცადეს რაიმე ცვალებადობა მას შემდეგ, რაც არსებობს ქვეყნიერება. მალთუსის მოსახლეობის თეორიაში დემოგრაფიული პროცესების ბიოლოგიური დეტერმინიზმიდან გამომდინარეობს სოციალური მოვლენების დემოგრაფიული დეტერმინიზმი. მალთუსის აზრით, სიღარიბის მთავარი მიზეზი არ არის დამოკიდებული მართვის წესსა და ქონების არათანაბარ განაწილებაზე. მალთუსის მოსახლეობის თეორიას ჰქონდა დისციპლინათაშორისი ხასიათი და მოიცავდა როგორც დემოგრაფიას, ისევე ფილოსოფიას, პოლიტეკონომიასა და პოლიტოლოგიას. მ-ამ არსებითი გავლენა მოახდინა XIX-XX სს. საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებაზე.

**მამა** – კაცი თავისი შვილების მიმართ.

**მამაკაცთა რაოდენობრივი უპირატესობა** – მთელ მოსახლეობაში ან მის ცალკეულ ჯგუფში (ძირითადად ასაკობრივი) მამაკაცთა რაოდენობის გადამეტება ქალების რაოდენობაზე.

**მამამთილი** – ქმრის მამა.

**მამიდა** – მამის და.

**მამიდაშვილი** – მამიდის შვილი.

**მარტოხელა** – ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ოჯახის გარეთ. ოჯახური მდგომარეობის ერთ-ერთი კატეგორია. ცნების შინაარსი დამოკიდებულია მოსახლეობის აღწერისას და გამოკვლევებისას მიღებულ ოჯახის განმარტებაზე. საქართველოში 1939 წლიდან ჩატარებული აღწერებისას მ-ად ითვლებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ქორწინებაში, არ ჰქონდათ ოჯახი და არ გააჩნდათ რეგულარული კავშირი ოჯახთან. ცნება "მ." ახასიათებს ადამიანის მდგომარეობას ოჯახის მიმართ და არა მის ქორწინებით მდგომარეობას. ამიტომ მართებული არ არის ამ ტერმინით მხოლოდ იმ ადამიანების აღნიშვნა, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში.

**მარტოხელა დედები** – დაუქორწინებელი ქალები, რომლებიც ზრდიან ბავშვს და ამასთან ბავშვის დაბადების მოწმობაში არ არის ჩანაწერი მამის შესახებ (ან ასეთი ჩანაწერი დედის მითითებით არის შევსებული).

**მასკულინიზაცია** – 1) დემოგრაფიაში – მოსახლეობის სტრუქტურის ცვალებადობა სქესის მიხედვით მამაკაცთა წილის გაზრდის მიმართულებით. 2) მედიცინაში – ქალებში მამაკაცის მეორეული სასქესო ნიშნების გაჩენა.

**მატერიალური დახმარება ბავშვის გაჩენისას** – სოციალური დახმარება, რომელსაც ქალი ან ოჯახი ღებულობს ბავშვის გაჩენისას და რომელიც ზოგჯერ მიმართულია შობადობის სტიმულირებისაკენ. განასხვავებენ ერთჯერად და ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას. სხვადასხვა ქვეყანაში ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან.

**მატრიარქატი** – სოციალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ პერიოდში. მ-ის ძირითადი ნიშნებია ქალის დომინირებული მდგომარეობა საზოგადოებაში, ქონებისა და თანამდებობის მემკვიდრეობა დედის მხრივ, მეუღლეთა მატრილოკალური ან დისლოკალური დასახლება (იხ. ქორწინება მატრილოკალური, ქორწინება დისლოკალური) დედისეული გვარის ზოგიერთი ნორმის ტრანსფორმაციის შედეგად.





**მატრიმონიალური ქცევა** – წარმოადგენს ადამიანების მოქმედებათა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც განიხილება ორი მიმართულებით – ქორწინებასა და განქორწინებაზე. მის დემოგრაფიულად მნიშვნელოვან ასპექტებს განეკუთვნება პირველი და შემდგომი ქორწინების ასაკი, პირველი და შემდგომი ქორწინების შეწყვეტის ასაკი, უქორწინობის პერიოდის ხანგრძლივობა ქორწინებამდე და ქორწინებებს შორის, ქორწინების ხანგრძლივობა, ქორწინებისა და განქორწინების მოტივაცია და სხვ. დემოგრაფიაში მ.ქ-ს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მისი რეპროდუქციულ ქცევაზე მოქმედების თვალსაზრისით.

**მაჭანკალი** – მექორწინე მხარეთა საქმის მომგვარებელი, შუამავალი, რომელიც გასამრჯელოს მიღების პირობით დასაქორწინებელთა, უმთავრესად ვაჟის ოჯახის, დავალებებს ასრულებდა. ისტორიულად მაჭანკლობა არქაული დროიდან იყო ცნობილი საქორწინო ურთიერთობებში.

**მეგალოპოლისი** – განსახლების ყველაზე დიდი ფორმა, რომელიც წარმოიქმნა მეზობლად მყოფი აგლომერაციების შერწყმის შედეგად. ამასთან მ. არ შთანთქავს შემავალ აგლომერაციებს და წარმოადგენს განსახლების უფრო მაღალ იერარქიულ დონეს. მ. არ არის მთლიანი ქალაქური განაშენიანება, მისი ფართობის დაახლოებით 9/10 გახსნილი სივრცეა. ყველაზე უფრო მეტად ჩამოყალიბებული მ. განლაგებულია ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე აშშ-ში ბოსტონსა და ვაშინგტონს შორის.

**მეთოდები განქორწინების შესწავლისა** – განქორწინების მაჩვენებლების, ფაქტორებისა და განმსაზღვრელი პირობების შესწავლის სპეციალური ხერხების ერთობლიობა.

***სტატისტიკური*** მ.გ.შ. საფუძველს წარმოადგენს ცალკეულ განქორწინებათა შემთხვევების რეგისტრაცია. ასეთი გზით მიღებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია განქორწინებულთა რაოდენობისა და სხვადასხვა ნიშნით მათი შემადგენლობის განსაზღვრა. მიმდინარე აღრიცხვისა და აღწერის მასალების გამოყენების შედეგად შესაძლებელია განქორწინების სხვადასხვა კოეფიციენტების გამოანგარიშება (იხ. კოეფიციენტი განქორწინებისა...) და ანალიზი. სტატისტიკური მ.გ.შ. გამოიყენება განქორწინების პროცესის დადგენის, განქორწინების არსებული ვითარების დახასიათებისა და პროგნოზირებისათვის.

***სოციოლოგიური*** მ.გ.შ. საშუალებას იძლევა დადგენილ და უფრო სრულფასოვნად იქნას შესწავლილი განქორწინება და მასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი. ამასთან, მხოლოდ სოციოლოგიური მ.გ.შ. იძლევა საშუალებას გამოვლენილ იქნას ისეთი მნიშვნელოვანი

საკითხები, როგორიცაა განქორწინების წინა სიტუაცია, მისი ხასიათი, პირობები და სხვ.

**მეთოდები** გრაფიკული დემოგრაფიაში – წარმოადგენს მოხაზულობათა საშუალებით მოსახლეობის განვითარებისა და განლაგების კანონზომიერებათა და დემოგრაფიულ პროცესებსა და სტრუქტურებს შორის დამოკიდებულების გამოსახვის ხერხების ერთობლიობას. მ.გ.დ. ფართო გავრცელება ჰპოვა დემოგრაფიულ ბადეზე დემოგრაფიული ერთობლიობების გამოსახვისას. ასევე საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა, სხვადასხვა სახის გრაფიკები და მრუდები. მ.გ.დ. წარმატებით გამოიყენება დემოგრაფიულ ისტორიაში (მაგ., დემოგრაფიული გადასვლის სქემა) და სხვ. მ.გ.დ. გამოყენების დასაწყისად მიჩნეულია XIX ს. და ის დაკავშირებულია გ. კნაპის, ა. ბეკერის, ვ. ლექსისის, გ. ცაინერის და სხვათა სახელებთან.

**მეთოდები** დემოგრაფიული – დემოგრაფიული პროცესების, სტრუქტურებისა და მთლიანობაში მოსახლეობის აღწარმოების შესწავლის სპეციალური ხერხების ერთობლიობა. მ.დ. ეფუძნება დემოგრაფიული ერთობლიობების შესწავლას, რომელთა განახლება მათი შევსებისა და კლების პროცესების შედეგად წარმოებს. მოსახლეობის აღწარმოების შემთხვევაში ეს ხდება დემოგრაფიულ შემთხვევათა შედეგად, რომელთა ნაწილი ხელს უწყობს მოსახლეობის რაოდენობის ან კოჰორტის გაზრდას (დაბადება, ქორწინება), ხოლო ნაწილი - მის შემცირებას (სიკვდილი, ქორწინების შეწყვეტა). დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა დამოკიდებულია დროისა და მოსახლეობის რაოდენობაზე ან გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა რაოდენობაზე, რაც ამ სიდიდეთა თანაზომადობისათვის საჭიროებს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის სხვადასხვა მაჩვენებლის გაანგარიშებას. დემოგრაფიული პროცესები უწყვეტად წარმოებს და ამიტომ მათი ინტენსივობა განიხილება როგორც კოჰორტის ასაკის ფუნქცია ან რომელიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნის დრო (ე.წ. დემოგრაფიული ფუნქცია). დემოგრაფიული პროცესების (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების შეწყვეტის) ინტენსივობა განსხვავებულია თაობის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ის დამოკიდებულია როგორც მოცემული თაობის ისტორიაზე, ისე მისი არსებობის თანამედროვე პირობებზე. ეს კი განაპირობებს დემოგრაფიული ცხრილების გავრცელებას, რომლებიც ახასიათებენ თაობის ცხოვრების მანძილზე მოცემული დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის რაოდენობრივ ცვალებადობას.

დემოგრაფიული პროცესების შესწავლა შესაძლებელია თანატოლების რეალურ თაობებში, მთელი მათი სიცოცხლის





მანძილზე ან თანამედროვეების ჰიპოთეზურ თაობებში, რომელთაც თითქოსდა იცხოვრეს, მოცემული მომენტის ან პერიოდის დემოგრაფიული პროცესის ასაკობრივი ინტენსივობის პირობებში. მათთვის შესაბამისად გამოიყენება სიგრძივი და განივი ანალიზის მეთოდები.

მონაცემთა შედარებისას, მოსახლეობის სტრუქტურაში არსებული განსხვავებების გავლენის გამორიცხვის მიზნით, გამოიყენება დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაციის მეთოდები.

თაობის (კოჰორტის) რაოდენობის ცვალებადობაზე ორი ან რამდენიმე დემოგრაფიული პროცესის ერთდროული გავლენის შესწავლის მიზნით გამოიყენება მოსახლეობის აღწარმოების მოდელები.

დემოგრაფიული პროცესების არსებული ინტენსივობის და მისი ცვალებადობის გავლენისა და აგრეთვე საწყისი ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის მოსახლეობის რაოდენობასა და მისი მომავალი სტრუქტურის ცვალებადობაზე გავლენის გაზომვის საშუალებას იძლევა ასაკგადაწევის მეთოდი.

დემოგრაფიული პროცესების თვალსაჩინო წარმოსახვისათვის გამოიყენება სხვადასხვაგვარი გრაფიკული მეთოდები.

**მეთოდები** მათემატიკური დემოგრაფიაში – გამოიყენება დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზისას, აგრეთვე სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების გამოანგარიშებისათვის. მ.მ.დ. გამოიყენება:

1) სხვადასხვა დემოგრაფიული პროცესის მახასიათებელთა შორის ურთიერთკავშირის, მოსახლეობის შემადგენლობისა და რაოდენობის ანალიზისას; 2) ცალკეულ დემოგრაფიულ რაოდენობრივ საზომთა გაანგარიშებისა და შეფასებისათვის და აგრეთვე მოსახლეობისა და იმ დემოგრაფიული პროცესების დახასიათებისათვის, რომელთა შესახებ მონაცემები, სხვადასხვა მიზეზით, არ იყო მიღებული; 3) ცალკეულ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის აღწერის, ანალიზისა და პროგნოზირებისათვის.

მ.მ.დ. გამოყენებას საფუძვლად უდევს დემოგრაფიული პროცესების ფორმალიზაცია, რომლის დროსაც საჭირო ხდება მოსახლეობის მთელი რიგი თვისებრივი მახასიათებლებისაგან აბსტრაჰირება.

**მეთოდები** მიგრაციის შესწავლისა – მიგრაციის მაჩვენებლების, ფაქტორებისა და მისი მექანიზმის შესწავლის სპეციალური ხერხების ერთობლიობა.

***სტატისტიკური*** მ.მ.შ. ეფუძნება მიგრანტების გადაადგილების ყოველი ცალკეული შემთხვევის რეგისტრაციას. ასეთი გზით

შესაძლებელია გარკვეულ პერიოდში ჩამოსულთა და წასულთა რაოდენობის, მიგრაციის მიმართულებისა და მიგრანტთა შემადგენლობის განსაზღვრა. მიმდინარე აღრიცხვის ან აღწერის მასალების საფუძველზე შესაძლებელია მიგრაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა კოეფიციენტის გაანგარიშება, რომლებიც სხვადასხვა კუთხით ახასიათებენ მას (იხ. კოეფიციენტი მიგრაციისა...). მიგრაციული პროცესების პირდაპირი აღრიცხვის მეთოდის გარდა გამოიყენება გაანგარიშების ირიბი მეთოდებიც. მაგ., გარკვეულ პერიოდში, მოსახლეობის საერთო მატებიდან ბუნებრივი მატების გამოკლების გზით შეიძლება მიგრაციის სალდოს გაანგარიშება და სხვ.

***სოციოლოგიური*** მ.მ.შ. მიზნად ისახავს მიგრაციის ფაქტორების, პოტენციური რეზერვების, მამოძრავებელი ძალებისა და მიგრაციის განმაპირობებელი მექანიზმის გამოვლენა-ანალიზს. სოციოლოგიური მ.მ.შ. აუცილებელია მიგრაციული პროცესების სიღრმისეული შესწავლისათვის, ვინაიდან მიმდინარე აღრიცხვა არ იძლევა ამისათვის საჭირო სრულყოფილ მასალას.

**მეთოდები** მოკვდაობის შესწავლისა – მოკვდაობის მაჩვენებელთა, გარდაცვალების მიზეზთა და მოკვდაობის განმსაზღვრელი პირობების შესწავლის სპეციალური ხერხების ერთობლიობა.

***სტატისტიკური მ.მ.შ.*** ეფუძნება სიკვდილის ცალკეული შემთხვევის რეგისტრაციას. მიმდინარე აღრიცხვისა და აღწერის მასალების საფუძველზე შესაძლებელია მოკვდაობის სხვადასხვა კოეფიციენტის გამოთვლა (იხ. კოეფიციენტი მოკვდაობისა...). არსებითი მნიშვნელობა აქვს მოკვდაობის ცხრილებს. მოკვდაობის მაჩვენებელთა მთლიანობაში გაანალიზება მისი ინტენსივობის გარკვევის, სიკვდილის მიზეზთა განსაზღვრის, სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენისა და მომავალი ტენდენციების წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

***სოციოლოგიური*** მ.მ.შ. გამოიყენება თვითშენახვითი ქცევის (იხ. თვითშენახვითი ქცევა) კვლევისა და ახსნისათვის, რომელიც მნიშვნელოვან წილად ზემოქმედებს მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

**მეთოდები** მოსახლეობის აღწერისა, გამოკვლევისა – მოსახლეობის აღწერის ან მისი გამოკვლევის პროცესში ადამიანების ან ოჯახების შესახებ ცნობების მიღების ხერხები. მ.მ.ა.გ. განსხვავდება რეგისტრატორსა და ცნობების მომცემ პირს შორის კონტაქტის ხასიათით, ცნობათა წყაროებისა და მათი მიღების საშუალებათა მიხედვით. საჭირო ცნობები ადამიანის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნას ან უშუალოდ მისგან, ან ადამიანთა ჯგუფის შესახებ ცნობების მიმცემი პასუხისმგებელი პირისაგან (მაგ., ოჯახის





უფროსი). ცნობები შეიძლება მიღებულ იქნას როგორც იმ საბუთებიდან, რომლებიც სხვა მიზნებისათვისაა განკუთვნილი, ისევე პირდაპირი გამოკითხვით. უკანასკნელი ფართოდ არის გავრცელებული და ხშირად მოსახლეობის აღწერების ან გამოკვლევების ქვეშ იგულისხმება სწორედ გამოკითხვა. ანსხვავებენ საკუთრივ გამოკითხვის მეთოდს და თვითაღრიცხვას (იხ. მეთოდი გამოკითხვისა, თვითაღრიცხვა). ცნობების უშუალო მიღების ხერხებიდან ფართოდ არის გავრცელებული ექსპედიციური ხერხი, როდესაც აღმრიცხველი მიდის გამოსაკითხთან და მისგან იღებს საჭირო ცნობებს. ხშირად გამოკვლევას ატარებენ საფოსტო გამოკითხვით, კითხვარების ფოსტით დაგზავნის გზით. ზოგჯერ გამოიყენება გამოცხადების წესი, როდესაც გამოსაკითხი პირები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სპეციალურ სარეგისტრაციო პუნქტში და იქ მიაწოდონ აუცილებელი ცნობები.

მ.მ.ა.,გ. არჩევა დამოკიდებულია ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე, აღწერის ან გამოკვლევის პროგრამის სირთულეზე, მოსახლეობის გამოკითხვისადმი მომზადებულობის ხარისხზე, ზუსტი ცნობების მიღების მნიშვნელობაზე. ჩვეულებრივ წარმოებს აღნიშნული მეთოდების კომბინირება. მიზანშეწონილია მათი ისეთი შეხამება, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა სანდოობას, მათ სწრაფ მოპოვებასა და მინიმალურ დანახარჯებს.

**მეთოდები** სოციოლოგიური დემოგრაფიაში – დემოგრაფიულ მეცნიერებაში სოციოლოგიური მეცნიერების გამოყენება. გამოიყენება როგორც პირველადი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების, ისე ანალიზისა და სოციოლოგიური თეორიის მეთოდები.

მ.ს.დ. გამოყენება განპირობებულია და სულ უფრო ფართოვდება შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინებისა და მიგრაციის სიღრმისეულ კვლევასთან დაკავშირებით. დემოგრაფიული პროცესების ახსნა-გაგებისათვის აუცილებელი გახდა არა მარტო მათი განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი, არამედ მათთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული შემთხვევების ცნობიერებაში ასახვის სოციალურ ინსტიტუტებთან ურთიერთკავშირისა და გავლენის და მთელი რიგი იმ საკითხების მოშველიება–მოზიდვა, რომლებიც სცდება ტრადიციული დემოგრაფიის ფარგლებს და სოციოლოგიურ მეცნიერებას მიეკუთვნება.

მ.ს.დ. გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური გახდა დემოგრაფიული ქცევის (იხ. დემოგრაფიული ქცევის) შესწავლისას და დემოგრაფიაში სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევების (იხ. სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევა) გავრცელებასთან დაკავშირებით.

**მეთოდები** სტატისტიკური დემოგრაფიაში –

სტატისტიკის პრინციპებზე დაფუძნებული დემოგრაფიული პროცესების დაკვირვების, აღწერისა და ანალიზის ხერხების ერთობლიობა. ისტორიულად მოსახლეობა იყო სტატისტიკური აღრიცხვის ერთ-ერთი პირველი ობიექტი, ხოლო დემოგრაფიული პროცესები განეკუთვნებოდნენ იმ სფეროს, რომელშიც სტატისტიკა განვითარდა როგორც მეცნიერება მასობრივი მოვლენების შესწავლის რაოდენობრივი მეთოდების შესახებ. ამიტომ მრავალი მ.ს.დ. გახდა ზოგადსტატისტიკური, ხოლო ზოგიერთი, სახეცვლილების შემდეგ, მოსახლეობის სპეციფიკის შესაბამისად, როგორც რაოდენობრივი ანალიზის ობიექტი, იქცა საკუთრივ დემოგრაფიულ მეთოდად.

თანამედროვე დემოგრაფიაში სტატისტიკური მეთოდები ძირითადად ოთხი მიმართულებით გამოიყენება: 1) მოსახლეობისა და დემოგრაფიული პროცესების შესახებ ცნობათა მიღებისათვის, მათი არასრული მონაცემებისას რეკონსტრუქციის ჩათვლით; 2) დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური აღწერისა და მათ შესახებ არსებული მონაცემების დამუშავებისათვის; 3) დემოგრაფიულ კანონზომიერებათა და სოციალურ-დემოგრაფიული კავშირების ანალიზისათვის; 4) დემოგრაფიული პროცესების მახასიათებელთა განზოგადებისა და მოსახლეობის აღწარმოებისა და მოსახლეობის მოძრაობის მაჩვენებელთა გაანგარიშებისათვის.

სტატისტიკური დაკვირვება კონკრეტულ რაოდენობრივ შედეგებს იძლევა, რომლებიც დემოგრაფიული ვითარების დახასიათების, დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებათა დადგენის, დემოგრაფიული მოდელების რიცხობრივი პარამეტრებისა და პროგნოზირების საფუძველს წარმოადგენს.

**მეთოდები ქორწინების შესწავლისა** – ქორწინების მაჩვენებელთა, ფაქტორებისა და განმსაზღვრელი პირობების შესწავლის სპეციალური ხერხების ერთობლიობა.

***სტატისტიკური*** მ.ქ.შ. საფუძველს წარმოადგენს ცალკეულ ქორწინებათა შემთხვევების რეგისტრაცია. ასეთი გზით მოპოვებული მასალის საფუძველზე შესაძლებელია ქორწინებათა რაოდენობისა და სხვადასხვა ნიშნით მისი შემადგენლობის განსაზღვრა. მიმდინარე აღრიცხვისა და აღწერის მასალების საფუძველზე შესაძლებელია ქორწინების სხვადასხვა კოეფიციენტის გაანგარიშება (იხ. კოეფიციენტი ქორწინებისა...) და ანალიზი, აგრეთვე ოჯახის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, ქორწინების პროცესის გამოვლენა, ქორწინების არსებული ვითარების დახასიათება და მისი პერსპექტივების განსაზღვრა. სათანადო მასალისა და სპეციალური მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია ოჯახის ევოლუციის დემოგრაფიული ისტორიის აღდგენა (იხ. მეთოდი ოჯახების





ისტორიის აღდგენისა).

***სოციოლოგიური*** მ.ქ.შ. ავსებს სტატისტიკურს და საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ქორწინების კვლევის, გაგებისა და ახსნისათვის და რომელზეც პასუხის მიღება შეუძლებელია სოციოლოგიური მეთოდების გამოყენების გარეშე (მაგ., წინასაქორწინო პირობები და სიტუაცია, ქორწინების მოტივაცია, მშობლების დამოკიდებულება ქორწინებისადმი და სხვ.).

**მეთოდები შობადობის შესწავლისა** – შობადობის მაჩვენებლების, ფაქტორებისა და განმსაზღვრელი მექანიზმის შესწავლის სპეციალური ხერხების ერთობლიობა.

მ.შ.შ. ***სტატისტიკურის*** საფუძველს შეადგენს ცალკეულ დაბადებათა შემთხვევების რეგისტრაცია. ასეთი გზით აღრიცხული მასალის საფუძველზე შესაძლებელია დაბადებულთა რაოდენობისა და სხვადასხვა ნიშნით მათი შემადგენლობის განსაზღვრა. მიმდინარე აღრიცხვისა და აღწერის მასალების საფუძველზე შესაძლებელია შობადობის სხვადასხვა კოეფიციენტის გამოთვლა (იხ. კოეფიციენტი შობადობისა...) და მათზე დაყრდნობით შობადობის რაოდენობრივი ანალიზი. სტატისტიკური მ.შ.შ. გამოიყენება წარსულში მიმდინარე შობადობის პროცესის დადგენის, შობადობის არსებული მდგომარეობის დახასიათების, მომავალი ტენდენციების განსაზღვრისათვის და სხვ.

***სოციოლოგიური*** მ.შ.შ. ავსებს სტატისტიკურს და საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას ფაქტორების ის რიგი, რომლის გამოვლენა ვერ ხერხდება სტატისტიკური მეთოდებით. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა რეპროდუქციულ ქცევაზე სოციალური ინსტიტუტების გავლენის განხილვის შესაძლებლობას იძლევა. სოციოლოგიური და სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდების გამოყენება რეპროდუქციული მოტივაციის, რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირების და სხვა საშუალებას იძლევა (იხ. შობადობის სოციოლოგია).

**მეთოდი ანამნეზური** – იხ. ანამნეზური გამოკვლევა.

**მეთოდი ანგალისა** – იგივეა, რაც ბუნიაკოვსკის მეთოდი (იხ. მეთოდი ბუნიაკოვსკისა).

**მეთოდი ასაკბადაწევისა (ასაკბადანაცვლებისა)** – მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის პერსპექტივაში გაანგარიშების წესი. ეფუძნება შემდეგ მსჯელობას: თუ მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, მოცემული ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფი Seadgens adamianTa garkveul raodenobas ($S_{x,i}$), მაშინ ერთი წლის

შემდეგ ამ ადამიანებმა უნდა გადაინაცვლონ შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში. მოკვდაობის არარსებობის შემთხვევაში მომდევნო ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფის რაოდენობა, საანგარიშო წელს, წინა ჯგუფის ტოლი იქნებოდა (ე.ი. $S_{x,i}$ -ის ტოლი იქნებოდა). მაგრამ მოკვდაობის გამო, შემდგომ ასაკამდე მიაღწევს ადამიანთა მხოლოდ გარკვეული რაოდენობა, რომელთა რიცხვი აიღება მოკვდაობის ცხრილიდან იქიდან მიღებული ცოცხლადობის კოეფიციენტის ( $P_x$ ) სახით (იხ. კოეფიციენტი ცოცხლადობისა). თუ გავამრავლებთ ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფის მოსახლეობის რაოდენობას ( $S_{x,i}$ ) შესაბამის ცოცხლადობის კოეფიციენტზე ( $P_{x,i}$ ), მაშინ მიღებული სიდიდე გამოხატავს მოსახლეობის რაოდენობას მომდევნო ასაკში ($S_{x+1,i}$) ერთი წლის შემდეგ. მსგავსი სახის გამოთვლები შეიძლება ვაწარმოოთ ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში როგორც $P_{x,i}$, ასევე $S_{x,i}$ აღებულ უნდა იქნას ერთნაირი ხუთწლიანი ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით.

**მეთოდი** ბუნიაკოვსკისა – მოკვდაობის ცხრილების აგების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ეფუძნება ასაკისა და დაბადების წლების მიხედვით დაჯგუფებულ გარკვეულ პერიოდში გარდაცვლილთა რაოდენობასა და აგრეთვე დაბადების წლების მიხედვით დაბადებულთა რაოდენობის შესახებ მონაცემებს. მ.ბ. წარმოადგენს მოკვდავთა სიების მეთოდის (იხ. მეთოდი მოკვდავთა სიებისა) შემდგომ მოდიფიკაციას და უცვლელი ამოწყდომის რიგითობის მქონე ჩაკეტილი მოსახლეობის (იხ. მოსახლეობა ჩაკეტილი) მოკვდაობის დონის გაზომვის საშუალებას იძლევა.

აღნიშნული მეთოდი 1864 წელს შემოთავაზებულ იქნა რუსი მათემატიკოსისა და დემოგრაფის ვიქტორ ბუნიაკოვსკის მიერ. მ.ბ. გამოყენებულ იქნა მხოლოდ მოკვდაობის რამდენიმე ცხრილის გაანგარიშებისას, მოსახლეობის აღწერის მონაცემთა არარსებობის შემთხვევაში.

**მეთოდი** გამოკითხვისა – იხ. გამოკითხვა.

**მეთოდი** გარდაცვლილთა სიებისა – მოკვდაობის ცხრილების აგების ისტორიულად პირველი მეთოდი, რომელშიც გამოიყენება მონაცემები მხოლოდ გარდაცვლილთა ასაკობრივი განაწილების შესახებ. იძლევა ზუსტ შედეგებს ჩაკეტილი მოსახლეობისათვის უცვლელი ამოწყდომის რიგითობისა და ყოველწლიურად დაბადებულთა მუდმივი რაოდენობების შემთხვევაში (იხ. მოსახლეობა სტაციონარული). თანამედროვე დემოგრაფიაში მ.გ.ს. გამოიყენება პალეოდემოგრაფიული კვლევებისას.

**მეთოდი** გრევილისა – წარმოადგენს მოკვდაობის





ცხრილების აგების მეთოდს, რომელიც მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებიდან გარდაცვალების ალბათობაზე გადასვლის SesaZ l eb l obas iZ l eva. mis ($q_x$) გასაანგარიშებლად გამოიყენება ფორმულა:

$$ {}_nq_x = \frac{{}_nm_x}{\frac{1}{n} + {}_nm_x\left[\frac{1}{2} + \frac{n}{12}\left({}_nm_x - \log_e c\right)\right]}, $$

სადაც ${}_nq_x$ არის გარდაცვალების ალბათობა ზუსტ x ასაკსა და x+n ასაკს შორის, ხოლო n – მოკვდაობის ცხრილის ბიჯი (სრული მოკვდაობის ცხრილებისას n=1, ხოლო მოკლე მოკვდაობის ცხრილებისას – n=5); ${}_nm_x$ – მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი; $\log_e c$ – ნატურალური ლოგარითმი c-დან, სადაც c წარმოადგენს კონსტანტას გომპერცის ფორმულიდან (იხ. გომპერც-მეიკჰემის ფორმულა). მოკვდაობის ცხრილების აგების გამარტივებული მეთოდისას $\log_e c$ სიდიდეს 0,095 -ის ტოლად იღებენ.

მ.გ. თანამედროვე დემოგრაფიაში მოკვდაობის ცხრილების აგების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია. გამოიყენება გაეროს კომპიუტერული პროგრამების პაკეტში – "მორტპეკ", მოკვდაობის ანალიზისათვის.

**მეთოდი** დაკვირვებისა – სოციოლოგიურ დემოგრაფიაში ინფორმაციის მოპოვების წესი, რომელიც ვარაუდობს იმ პროცესებისა და მოვლენების ვიზუალურ და სმენით აღქმას, რომელიც ეხება შესასწავლ ობიექტს და მნიშვნელოვანია კვლევის მიზნების თვალსაზრისით.

ფორმალიზაციის ხარისხის მიხედვით, მ.დ. შეიძლება იყოს: 1) სტანდარტიზებული, როდესაც მკვლევარი წინასწარ საზღვრავს, თუ შესასწავლი სიტუაციის რომელ ელემენტებს აქვს უპირველესი მნიშვნელობა კვლევისათვის და მათზე ამახვილებს ყურადღებას; 2) არასტანდარტიზებული, როდესაც შესასწავლი პროცესის ელემენტები წინასწარ არ არის განსაზღვრული.

არსებობს დაკვირვების სამი სახე: 1) ჩვეულებრივი, როდესაც დამკვირვებელი მხოლოდ აფიქსირებს ობიექტის რეაქციას; 2) მონაწილეობითი, როდესაც დამკვირვებელი შიგნიდან აფიქსირებს ობიექტში მიმდინარე პროცესებს; 3) ჩართული, როდესაც დამკვირვებელი ინკოგნიტოდ ერთვება დასაკვირვებელ ჯგუფში. ასეთი დაკვირვებისას შესაძლებელია ჯგუფის შინაგანი მექანიზმების ფუნქციონირების შემეცნება და ფიქსირება.

სოციოლოგიურ დემოგრაფიაში მ.დ. სოციოლოგიიდან შემოვიდა და გამოიყენება სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევებისას.

დემოგრაფიაში გამოიყენება დაკვირვების ჩვეულებრივი და მონაწილეობითი სახე.

**მეთოდი** ეილერისა – მოკვდაობის ცხრილების აგების წესი, რომელიც დაფუძნებულია გარდაცვლილთა ასაკობრივი შემადგენლობისა და წინა პერიოდის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტის მონაცემთა გამოყენებაზე. მ.ე. შესაძლებლობას იძლევა ადეკვატურად შეფასდეს მოკვდაობის დონე უცვლელი ამოწყდომის რიგითობის მქონე ჩაკეტილი (დახურული) მოსახლეობისათვის, რომლის რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. მ.ე. შემუშავებულია XVIII ს. შუა პერიოდში და ატარებს მისი ავტორის – ლეონარდ ეილერის სახელს.

**მეთოდი** კარტოგრაფიული დემოგრაფიაში – მოსახლეობის კვლევა გეოგრაფიული რუკების აგებისა და შესწავლის საფუძველზე. მ.კ.დ. შედის მოსახლეობის შესწავლის მეთოდების სისტემაში. მოსახლეობის შესწავლის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი რუკები: დემოგრაფიული, მოსახლეობის განლაგებისა და განსახლების, ეთნოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური. თემატური რუკების შექმნისათვის გამოიყენება მრავალფეროვანი წყაროები, რომელთა შორის ყველაზე მთავარია: 1) დემოგრაფიული სტატისტიკის მასალები, რომლებიც მოცემულ რუკებს აძლევენ ძირითადად შინაარსს; 2) ზოგადგეოგრაფიული რუკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ შინაარსის ტერიტორიულ ლოკალიზაციას და 3) მოსახლეობისა და მისი განსახლების რიგი გეოგრაფიული მახასიათებლები.

იხ. აგრეთვე მოსახლეობის რუკები.

**მეთოდი** კომპონენტებისა – მოსახლეობის მომავალი რაოდენობის გაანგარიშების პრინციპი, დაფუძნებული მისი დინამიკის განმსაზღვრელი სხვადასხვა კომპონენტის შესაძლებელი ცვალებადობის გათვალისწინებაზე. დემოგრაფიული პროგნოზირებისას ასეთ კომპონენტებად შეიძლება გათვალისწინებულ იქნენ შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციის მომავალი ტენდენციები. ძვრები მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაში და აგრეთვე ამ ტენდენციებისა და ძვრების გავლენის შედეგები მოსახლეობის მომავალ რაოდენობაზე. მ.კ. არ უნდა გავაიგივეოთ ასაკგადაწევის მეთოდთან, ვინაიდან უკანასკნელი წარმოადგენს მხოლოდ მოსახლეობის მომავალი რაოდენობის გათვლის გარკვეულ წესს და არა პრინციპებს.

**მეთოდი** კოჰორტული – იხ. სიგრძივი (გასწვრივი) ანალიზი.





**მეთოდი** მოდელირებისა დემოგრაფიაში – დემოგრაფიული ანალიზის მეთოდი, დაფუძნებული წარმოდგენაზე მოსახლეობის აღწარმოების შესახებ მთლიანად ან მის სხვადასხვა ელემენტზე ცვლადების ნაკრების სახით, რომლებიც ერთმანეთთან დემოგრაფიული მოდელების აგების გზით არიან დაკავშირებული. მ.მ.დ. შეცავს: 1) დემოგრაფიული მოდელებისა და კანონების ძირითადი ელემენტების განსაზღვრას; 2) დემოგრაფიული მოდელების გამოყენებას კონკრეტული მოსახლეობის მიმართ გაანგარიშებათა საწარმოებლად; 3) ამ გაანგარიშებათა შედეგების შედარებას ფაქტობრივ მონაცემებთან და მათ შორის განსხვავებათა გამოვლენას; 4) დემოგრაფიულ მოდელსა და რეალურ დემოგრაფიულ პროცესს შორის შეუთავსებლობის შემთხვევაში შესაძლებელი მიზეზების ანალიზს მოდელის სრულყოფის მიზნით. მ.მ.დ. გამოყენების წარმატება განისაზღვრება მისი და რეალურად არსებული დემოგრაფიული კავშირებისა და კანონზომიერებათა შესაბამისობით.

**მეთოდი** მოკვდაობის ინდური ცხრილების აგებისა – ეფუძნება მოსახლეობის ორი აღწერის მონაცემების გამოყენებას. გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ სანდო მონაცემების არარსებობის შემთხვევაში მოკვდაობის ცხრილების გაანგარიშების საშუალებას იძლევა. ჩაკეტილი მოსახლეობის შემთხვევაში, მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში, მოკვდაობის დონის შეფასების საშუალებას იძლევა. მ.მ.ი.ც.ა. საწყის მაჩვენებლად გამოიყენება ცოცხლადობის კოეფიციენტი აღწერებს შორის პერიოდში. ცოცხლადობის კოეფიციენტების ასაკობრივი რიგის მეშვეობით მოკვდაობის ცხრილების სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებაც არის შესაძლებელი. მ.მ.ი.ც.ა. ფართოდ გამოიყენებოდა ინდოეთის მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილების აგებისათვის.

**მეთოდი** მოსახლეობის მოსალოდნელი რაოდენობისა –იხ. მეთოდი სტანდარტიზაციისა შებრუნებული.

**მეთოდი** ოჯახების ისტორიის აღდგენისა – ისტორიული დემოგრაფიის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მოსახლეობის აღწარმოების პროცესების ევოლუციის შესწავლის მიზნით, მეტრიკათა დამუშავების საფუძველზე, ოჯახთა ისტორიის აღდგენის საშუალებას იძლევა (ძირითადად XVI-XX ს.).

მ.ო.ი.ა. ადამიანთა იდენტიფიკაციის საფუძველზე ითვალისწინებს ჩანაწერთა (ერთი ან რამდენიმე სამწყსოსი) შეგროვებას ნათლობის, დასაფლავებათა და ქორწილების შესახებ, რომლებიც ხდებოდა ცალკეულ ოჯახებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ოჯახური ბლანკების წარმომქნელი მასივი ყოველი ოჯახისათვის შეიცავს სახელებს, საცხოვრებელ ადგილს, დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების თარიღებს მეუღლეებისა და მათი შვილებისათვის,

ხოლო ზოგჯერ ცნობებს პროფესიისა და სოციალური სტატუსის შესახებ. ყოველი ოჯახისათვის გაიანგარიშება დემოგრაფიული მახასიათებლები: ქორწინების ხანგრძლივობა, დედის ასაკი ბავშვების დაბადებისას, ბავშვების რაოდენობა; ოჯახის წევრებისათვის – ქორწინების, გარდაცვალების ასაკი და სხვა. ზოგჯერ ადგენენ მეტრიკულ წიგნებს – ადამიანთა სიებს, რომლებიც გარკვეული თარიღისათვის მოცემული სამწყსოს საოჯახო მასივში ცხოვრობენ. მიღებული მონაცემების განზოგადება მოკვდაობის ცხრილების აგების, ქორწინების საშუალო ასაკის, ასაკობრივი შობადობის და სხვა დადგენის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით შედეგიანია მასალის დამუშავება კოჰორტების მიხედვით. მ.ო.ი.ა. შედეგად მიღებული მასალა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის დემოგრაფიული ქცევის ანალიზს, რეგიონული და საერთო დემოგრაფიული მაჩვენებლების გაანგარიშებისა და მათი შესაბამისი თანამედროვე მაჩვენებლებთან შედარების საშუალებას იძლევა. მეტრიკული სიებისა და საოჯახო მასივების მონაცემები გამოსადეგია აგრეთვე ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის.

**მეთოდი პაევსკისა** – მოკვდაობის ცხრილების აგების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტებისა და მოკვდაობის ძალის საშუალო სიდიდის გაიგივებაზე. აღნიშნული მეთოდი პირველად ვ. პაევსკის მიერ იყო შემოთავაზებული და ფართოდ გამოიყენება მოკვდაობის მოკლე ცხრილების გაანგარიშებისას.

**მეთოდი პირობითი თაობისა** – იხ. განივი (კვეთური) ანალიზი.

**მეთოდი რეალური თაობისა** – იხ. სიგრძივი (გასწვრივი) ანალიზი.

**მეთოდი სტანდარტიზაციისა ირიბი** – დემოგრაფიული კოეფიციენტების შედარებისას სტრუქტურულ განსხვავებათა გავლენის აცილების ერთ-ერთი მეთოდი (იხ. დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია). მ.ს.ი. დროს მოცემული მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს შეუპირისპირებენ სტანდარტად მიღებული მოსახლეობის მაჩვენებლებს, რომლებიც შეწონილი არიან მოცემული მოსახლეობის ასაკობრივი განაწილების მიხედვით. მ.ს.ი. შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობილია მონაცემები შესადარისი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც რომელიმე დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა მოსახლეობის ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში მცირეა. მ.ს.ი. პირველად XIX ს. შუა პერიოდში გამოიყენა ინგლისელმა სტატისტიკოსმა უ. ფარმა.

**მეთოდი სტანდარტიზაციისა ორმაგი** – დემოგრაფიული





კოეფიციენტების სტანდარტიზაციის ერთ-ერთი მეთოდი (იხ. დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია). გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესადარის მოსახლეობათა სტრუქტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან ორი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით. ამასთან, ჯერ წარმოებს სტანდარტიზაცია ერთი ნიშნის მიხედვით და შემდეგ ხდება მიღებული სტანდარტიზებული კოეფიციენტების სხვა ნიშნით სტანდარტიზაცია.

**მეთოდი სტანდარტიზაციისა პირდაპირი** – დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაციის ერთ-ერთი მეთოდი (იხ. დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია). მისი გამოყენების შემთხვევაში სტანდარტიზებული კოეფიციენტები გაიანგარიშება შესაძლებელი მოსახლეობის შესაბამისი ასაკობრივი დემოგრაფიული მაჩვენებლების შეწონვის გზით, ერთი და იგივე წონის მიხედვით, რომელიც პასუხობს სტანდარტად მიღებული მოსახლეობის ასაკობრივ განაწილებას. მ.ს.პ-ისათვის საჭიროა მონაცემები შესადარებელი მოსახლეობის ჯგუფების შესაბამისი ასაკობრივი მაჩვენებლებისა და სტანდარტად აღებული მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ. მ.ს.პ. პირველად 1883 წელს გამოიყენა ინგლისელმა სტატისტიკოსმა უ. ოგლმ დიდი ბრიტანეთის ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობის მოკვდაობის კოეფიციენტების შედარებისას.

**მეთოდი სტანდარტიზაციისა შებრუნებული** – დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაციის ერთ-ერთი მეთოდი (იხ. დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია). მ.ს.შ. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესადარებელი მოსახლეობისათვის ცნობილია დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა ასაკის მიხედვით, მაგრამ ცნობილი არ არის მონაცემები ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ. ამასთან მოცემულია სტანდარტის ასაკობრივი კოეფიციენტები. მ.ს.შ. შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი მეცნიერის დ. კერიჯის მიერ 1958 წელს.

**მეთოდი ცენტროგრაფიული მოსახლეობის შესწავლისა** – მოსახლეობის კვლევის ანალიტიკური და გრაფიკული ხერხების ერთობლიობა სხვადასხვაგვარი ე.წ. გეოდემოგრაფიული ცენტრების (იხ. დასახლებულობის ცენტრი) პოვნისა და მათი ტრაექტორიების გადაადგილების ანალიზის გზით.

**მეთოდი ჰიპოთეზური თაობისა** – იხ. განივი ანალიზი.

**მენარჩე (მენარხე)** – პირველი მენსტრუაცია. ჩვეულებრივ იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში – 11-15 წლის ასაკში. მისი გამოჩენის დრო სხვადასხვაა და დამოკიდებულია კლიმატზე, ცხოვრებისა და

სოციალურ-ჰიგიენურ პირობებზე, კვებასა და სხვა ფაქტორებზე.

**მენოპაუზა** – კლიმაქტერიული პერიოდის შემდგომი ფაზა, რომელიც ქალებში დგება უკანასკნელი მენსტრუაციის შემდეგ. ხასიათდება მენსტრუაციისა და ბავშვთა შობის ფუნქციის შეწყვეტით. უფრო ხშირად მ. იწყება 45-55 წლის ასაკში.

**მენსტრუალური ციკლი** – რთული ფიზიოლოგიური პროცესი, რომელსაც ახასიათებს ციკლური ცვლილებები ქალის მთელ ორგანიზმში. მეორდება ყოველი 21-36 (უფრო ხშირად 27-28) დღე-ღამის შემდეგ. მ.ც-ის გარეგანი გამოვლენაა სისხლდენა საშვილოსნოდან, რასაც მენსტრუაცია ეწოდება. მენსტრუაცია იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში – 11-15 წლის ასაკში (იხ. მენარქე) და გრძელდება მენოპაუზამდე – 45-55 წლის ასაკამდე (იხ. მენოპაუზა).

**მენსტრუაცია** – ციკლური სისხლდენა საშვილოსნოდან. წარმოადგენს მენსტრუალური ციკლის გარეგან გამოვლენას (იხ. მენსტრუალური ციკლი). მ. ყოველთვის ერთბაშად არ ყალიბდება, ზოგჯერ იგვიანებს, მაგრამ 6-12 თვეში ჩვეულებრივ ნორმალურ რიტმს იძენს და განსაზღვრული ინტერვალით მეორდება. მ. არა აქვთ გოგონებს სქესობრივ მომწიფებამდე, ქალებს ფეხმძიმობის დროს, ძუძუთი კვების პერიოდში და კლიმაქტერული პერიოდის დამთავრების შემდეგ.

**მეორე დემოგრაფიული გადასვლა** - დემოგრაფიული განვითარების ეტაპი, რომელიც გულისხმობს შობადობის შემცირებას დაბალ დონემდე, დემოგრაფიულ დაბერებას, არასტაბილურ ქორწინებას, განქორწინებათა მატებას, თავისუფალ კავშირთა და ქორწინების გარეშე შობადობის ზრდას და ა.შ. მიიჩნევენ, რომ მ.დ.გ. ინდივიდუალური ავტონომიისა და ინდივიდუალური არჩევანის უფლების ზრდის შედეგია, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის გაფართოებასთან.

**მეტრიკა** – დოკუმენტის სახელწოდება, რომლითაც დასტურდება მოქალაქის დაბადების თარიღი. იგივეა, რაც დაბადების მოწმობა (იხ. მოწმობა დაბადებისა).

**მეტრიკული დავთრები (წიგნები)** – მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის პირველადი წყარო, რომელიც საქართველოში გამოიყენებოდა მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში.

**მეტროპოლია** – 1) ურბანისტიკაში – მთავარი ქალაქი, ქვეყნის პოლიტიკური, სულიერი და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრი; მსხვილი ქალაქური აგლომერაცია. 2) მრავალსაფეხურიანი





იერარქიის განსახლების ფორმაში ერთ-ერთი მაღალი დონე (მაგ., ეკისტიკის თეორიაში). 3) სახელმწიფო, რომელსაც თავის მფლობელობაში აქვს კოლონიები, პროტექტორატები და ა.შ. 4) ძველი ბერძნული ქალაქები (პოლისები), რომლებსაც კოლონიები ჰქონდათ დაარსებული.

**მეურვეობა** – მცირეწლოვანთა აღზრდა და მათი ინტერესების სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ფორმა. მ. გულისხმობს აგრეთვე არაქმედუნარიან პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვას.

**მეუღლეები** – დაქორწინებული პირები, რომელთა ურთიერთ უფლება-მოვალეობანი წარმოიშობა რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.

**მეუღლეთა განცალკევებული ცხოვრება** – ზოგიერთ ქვეყანაში (დანია, იტალია, ნორვეგია, ფინეთი, აშშ, მექსიკა, ავსტრალია და სხვა) ქორწინების არასრული შეწყვეტის იურიდიული ფორმა. სასამართლო დადგენილება ათავისუფლებს მეუღლეებს ერთობლივი ბინადრობის მოვალეობისაგან, მაგრამ არ აძლევს ხელახალი ქორწინების უფლებას. უმრავლეს შემთხვევაში მ.გ.ც. წარმოადგენს შუალედურ ეტაპს სრული განქორწინების წინ. მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების მასალებში განცალკევებით მცხოვრები მეუღლეები შეჰყავთ ქორწინებაში მყოფთა ჯგუფში, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მათ გამოჰყოფენ ქორწინებითი მდგომარეობის დამოუკიდებელ კატეგორიად.

**მზრუნველობა** – მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ფორმა. მ-ს უშუალოდ ახორციელებს დანიშნული მზრუნველი. მ. წესდება არასრულწლოვანზე 15 წლის ასაკიდან 18 წლამდე, იმ შემთხვევაში, თუ იგი რაიმე მიზეზის (მშობლების გარდაცვალება, ავადმყოფობა, მშობლის უფლების ჩამორთმევა და სხვა) გამო დარჩა მშობლის მზრუნველობის გარეშე. მ. წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედითუნარიან პირზე მისივე თხოვნით, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი. მ. იმავე მიზნებს ისახავს, რასაც მეურვეობა. 15-დან 18 წლამდე არასრულწლოვანის ინტერესების დაცვისათვის გარიგების დადებისას, როგორც წესი, საჭიროა მზრუნველის თანხმობა. მ. შეწყდება, თუ მოისპო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა.

**მიგრანტები** - პირები, რომლებიც მონაწილეობენ მიგრაციულ პროცესში.

**მიგრანტები დროებითი** - პირები, რომლებიც დროებით იმყოფებიან მშობლიური ქვეყნის გარეთ.

**მიგრანტები ტრანზიტული** - პირები, რომლებიც გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში მესამე ქვეყნის (ქვეყნების) გავლით. მესამე შუალედური ქვეყნისათვის (ქვეყნებისათვის) ისინი ითვლებიან ტრანზიტულ მიგრანტებად.

**მიგრანტები შრომითი** - დროებითი მიგრანტები (იხ. მიგრანტები დროებითი), რომლებიც მიმღებ ქვეყანაში ეწევიან ან აქვთ სურვილი ეწეოდნენ შრომისანაზღაურებიან სამუშაოს.

**მიგრანტის ადაპტაცია (აკომოდაცია)** - პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება მიგრანტის ახალი საცხოვრებელი ადგილის (დასახლებული პუნქტის) ბუნებრივ-სამეურნეო და სოციალურ პირობებთან შეგუება.

**მიგრანტის ვიზა** - მიგრანტის სხვა ქვეყანაში ყოფნის სურვილის რეალიზაციაზე ქვეყნის გარეთ მიღებული უფლება.

**მიგრანტის ინსპექტირება** - ქვეყანაში იმიგრაციულ-ემიგრაციული პროცესების კონტროლისა და მართვის საშუალება, რომლის დროსაც ხორციელდება მიგრანტთა აღრიცხვა-რეგისტრაცია მიგრანტის ბარათის საფუძველზე და უკანონო მიგრანტთა გამოვლენა.

**მიგრანტის ინტეგრაცია** - მიგრანტის ადაპტაციის ისეთი ხარისხი, რომელიც მას არ გამოარჩევს ახალი ადგილის მცხოვრებლებისაგან.

**მიგრანტის სერთიფიკატი** - მიგრანტთა აღრიცხვა-რეგისტრაციისა და ინსპექტირების საშუალება.

**მიგრაცია** (მოსახლეობის მიგრაცია) - ადამიანთა გადაადგილება ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს იქით საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოდ ან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის შეცვლის მიზნით. გადაადგილების ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ მუდმივ და დაბრუნებით მიგრაციას. ეს უკანასკნელი შეიცავს დროებით მიგრაციას. მ-ის ცნება შეიცავს სეზონურ და ქანქარისებურ მიგრაციას, თუმცა ვიწრო გაგებით მ. სწორედ მუდმივი მიგრაციაა.

გამოყოფენ გარე და შიდა მ-ს. გარე მ. ცნობილია აგრეთვე საერთაშორისოს სახელით და გულისხმობს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთას. შიდა მ. წარმოადგენს ქვეყნის შიგნით





მოსახლეობის გადაადგილებას დასახლებულ პუნქტებს შორის. აქ გამოყოფენ მიგრაციას სოფელი – ქალაქი, ქალაქი – ქალაქი, ქალაქი – სოფელი, სოფელი – სოფელი.

მ. რეალიზაციის საშუალების მიხედვით იყოფა ორგანიზებულ (როდესაც მას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია ახორციელებს) და არაორგანიზებულ (როდესაც ის ინდივიდუალურად წარმოებს) მიგრაციად.

მ-ის პროცესი შეიცავს სამ სტადიას: პოტენციურ მ., საკუთრივ მ. და დასახლების ადგილის ცხოვრების პირობებისადმი მიგრანტების ადაპტაციის პროცესს. ცალკეული ადამიანისათვის მ. ერთეული შემთხვევაა, მაგრამ როგორც მასობრივი პროცესი მ. შედგება ნაკადებისაგან, რომლებიც გარკვეულ დროსა და ტერიტორიას მიეკუთვნებიან.

მ-ის ძირითადი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებსაც, აგრეთვე ბუნებრივ პირობებს. მ-ამ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარებაში.

მ. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ასევე დიდია მ-ის გავლენა მოსახლეობის სოციალურ და ეთნიკურ სტრუქტურაზე, მოსახლეობის განლაგებასა და განსახლებაზე.

**მიგრაცია** გარე – პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ქვეყნიდან გარეთ ან ქვეყანაში გარედან მიგრაცია.

**მიგრაცია** ეთნიკური – მოსახლეობის მიგრაცია, რომელშიც მონაწილეობენ გარკვეული ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილების ადამიანები, ე.ი. მთავარი მნიშვნელობა აქვს ეთნიკურ ფაქტორს.

**მიგრაცია** ეკოლოგიური – პროცესი, რომლის დროსაც მიგრაცია გამოწვეულია ეკოლოგიური კატასტროფებით ან ამის საშიშროებით.

**მიგრაცია** მთლიანი – იხ. ბრუტო მიგრაცია.

**მიგრაცია** რესპუბლიკათაშორისი – სსრკ არსებობის დროს მოსახლეობის გადაადგილება ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში.

**მიგრაცია** საბარეო – იხ. მიგრაცია გარე.

**მიგრაცია** საერთაშორისო – იხ. მიგრაცია გარე.

**მიგრაცია** სახელმწიფოთაშორისი – იხ. მიგრაცია

გარე.

**მიგრაცია სეზონური** – მოსახლეობის დროებითი (სეზონური) ტერიტორიული გადაადგილება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად. მ.ს. შეიძლება იყოს შიდა და გარე.

**მიგრაცია სოფლის მოსახლეობისა** – მოსახლეობის გადაადგილება მუდმივ საცხოვრებლად სოფლიდან ქალაქში ან ერთი სასოფლო დასახლებული პუნქტიდან მეორეში.

**მიგრაცია ქალაქის მოსახლეობისა** – მოსახლეობის გადაადგილება მუდმივ საცხოვრებლად ერთი ქალაქიდან მეორეში ან ქალაქიდან სასოფლო დასახლებულ პუნქტში.

**მიგრაცია ქანქარისებური** – პროცესი, რომლის დროსაც დასახლებული პუნქტიდან მიგრანტის გადაადგილება ხორციელდება მოკლე ვადით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად ან დროებით შეცვლით. მოსახლეობის რეგულარული გადაადგილება ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში. გადაადგილება შეიძლება დაკავშირებულ იყოს სამუშაოსთან, სწავლასთან, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და რეკრეაციულ მიზნებთან. რეგულარულობა შეესაბამება სამუშაო და სასწავლო რეჟიმს და სხვ. მ.ქ. წარმოიქმნა და განვითარდა ურბანიზაციის პირობებში. მ.ქ-ის საფუძველს შეადგენს შეუსაბამობა წარმოების განლაგებასა და მოსახლეობის განსახლებას შორის. მ.ქ-ის მთავარ მიმართულებას შეადგენს გადაადგილება სოფლიდან ქალაქში, მცირე ქალაქიდან დიდში. მ.ქ. ძირითადად შეიმჩნევა მსხვილი ქალაქებისა და ქალაქური აგლომერაციების საგარეუბნო ზონებში. ქალაქების საგარეუბნო რაიონებში ყალიბდება მ.ქ-ის მდგრადი ზონები.

ზოგიერთი დემოგრაფის აზრით, მ.ქ-ის ცნება პირობითია და მართებული არ არის მისი ჩართვა მოსახლეობის მიგრაციის ცნებაში.

**მიგრაცია შიგა** – პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ქვეყნის შიგნით მიგრაცია.

**მიგრაცია შიგაქალაქური** – ქალაქის ფარგლებში, ქალაქის ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებს გარეთ მოსახლეობის გადაადგილება. გადაადგილების მიხედვით ანსხვავებენ სამუდამო მ.შ-ს, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან და დაბრუნებით მ.შ-ს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს, სასწავლო, კულტურულ-





საყოფაცხოვრებო და სხვა სახის გადაადგილებასთან.

**მიგრაცია წმინდა** – იხ. მიგრაციის სალდო.

**მიგრაციის თეორია** – გარე მიგრაციის თეორიის შექმნას დიდი ხნის ისტორია აქვს. XIX საუკუნის ბოლოს ე.გ. რავენშტაინმა (1885, 1889) ჩამოაყალიბა მიგრაციის კანონები, ინგლისში მიგრაციის ემპირიული ანალიზის საფუძველზე და ამ ფენომენის გასაანალიზებლად პირველი თეორიული სტრუქტურა შექმნა. თუმცა ზოგიერთ მის მიერ შემოთავაზებულ პრინციპს ვერ უწოდებ უნივერსალურს, მათი უმრავლესობა მაინც წარმატებით გამოიყენებოდა XX საუკუნეში მიგრაციის ტენდენციების ასახსნელად. რავენშტაინი ამტკიცებდა, რომ მიგრაციის ძირითადი მიზეზია ეკონომიკური ფაქტორი და მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა აგრარული დასახლებებიდან ინდუსტრიული და კომერციული ცენტრებისკენ. დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში კვლავაც არ არსებობს მიგრაციის ერთიანი თეორია, თუმცა სერიოზული პროგრესი იგრძნობა ახსნის სხვადასხვა მცდელობის შემოთავაზების თვალსაზრისით.

**მიგრაციის თეორია ახალი ეკონომიკისა** – ნეოკლასიკური თეორიის (იხ. მიგრაციის თეორია ნეოკლასიკური) შეზღუდვებმა ახალი თეორიების გაჩენა გამოიწვია, რომელთა შორის უახლესია მ.თ.ა.ე., რომელიც ფოკუსირებას ახდენს მიკროეკონომიკურ დონეზე, თუმცა მიიჩნევს, რომ ადამიანები ინდივიდუალურად კი არ იღებენ მიგრაციის გადაწყვეტილებას, არამედ ჯგუფთან, ძირითადად შინამეურნეობასთან თუ ოჯახთან, შეთანხმებით, რათა მაქსიმალურად გაზარდონ მოსალოდნელი შემოსავალი და მინიმალურად შეამცირონ საბაზრო ჩავარდნასთან დაკავშირებული რისკი, რაც საკმაოდ ხშირია განვითარებად ქვეყნებში, სოცუზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის არარსებობის გამო (სტარკი, 1991). მ.თ.ა.ე. თანახმად, შინამეურნეობები ამცირებენ ეკონომიკურ რისკს იმით, რომ შრომითი ძალის გადანაწილებას ახდენენ. ამ პერსპექტივიდან, ოჯახის გარკვეული წევრების გაგზავნა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, სადაც ხელფასები და სამუშაო პირობები დამოუკიდებელია ადგილობრივი ეკონომიკური პირობებისგან, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისაგან დაზღვევის საშუალებას წარმოადგენს. გარე მიგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი ეხმარება შინამეურნეობებს გარკვეული კაპიტალის შოვნის გზით, პროდუქტიულობა აიმაღლოს მშობლიურ ქვეყანაში.

**მიგრაციის თეორია გადასვლისა** – ამ მიდგომის თანახმად, გარე მიგრაცია მჭიდრო კავშირშია დემოგრაფიული

გადასვლის სტადიებთან. ზელინსკიმ (1971) აღმოაჩინა, რომ მოდერნიზაცია კავშირშია მიგრაციის ნიმუშების სპეციფიკურ ცვლილებებთან და საზოგადოების მოდერნიზაციის თითოეულ ეტაპს მობილობის საკუთარი ნიმუში შეესაბამება. ზელინსკის მოდელი გამოყოფს მიგრაციის 5 ძირითად ტიპს: გარე მიგრაცია; შიდა მიგრაცია; მიგრაცია სოფლიდან ქალაქში; მიგრაცია სოფლიდან სოფელში; და მთელი რიგი მოკლევადიანი მობილობა, რასაც ავტორი ცირკულაციას უწოდებს.

ზელინსკიმ მიგრაციაზე ტრანსპორტირების გაუმჯობესების გავლენაც კი გაითვალისწინა. ტრანსპორტირების გაუმჯობესებასთან ერთად, ადამიანებს შეუძლიათ დარჩნენ თავიანთ სამშობლოში და იმოგზაურონ სამსახურში და უკან, მაშინ როცა განუვითარებელი ტრანსპორტირების შემთხვევაში, მათ აუცილებლად მოუწევდათ სამუშაო ადგილას გადასვლა. ელექტრონული კომუნიკაციების გაუმჯობესებასთან ერთად, მეტ ადამიანს აქვს საშუალება იმუშაოს შინ, აღარ იქმნება რა გაუთავებელი მოძრაობის აუცილებლობა.

მ.თ.გ. კონცეფციის თანახმად, მიგრაციული პროცესების განვითარება გადის რიგ ფაზას (სტადიას), რომელიც დაახლოებით შეესაბამება დემოგრაფიული გადასვლის ფაზებს.

**მიგრაციის** თეორია მსოფლიო სისტემებისა – კიდევ ერთი მიდგომა, რომელიც ცდილობს გარე მიგრაციის მიზეზების ახსნას, აგებული მარქსის იდეებზეა საერთაშორისო კაპიტალიზმის შესახებ (პაპადემეტრუ და მარტინი, 1991; ვალერშტაინი, 1974). ცნობილი ისტორიულ-სტრუქტურული მოდელის თუ მსოფლიო სისტემების თეორიის სახელით, იგი გვთავაზობს, რომ მიგრაციის წყაროს წარმოადგენს ინსტიტუციური თუ სექტორული დისბალანსი, რომელსაც იწვევს სახელმწიფოს ჩართვა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში. მსოფლიო შრომითი ბაზარი სამ ძირითად ზონადაა დანაწილებული: ცენტრი, ნახევრად პერიფერია და პერიფერია. ამ სამ ზონას შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის სხვადასხვა სახის შრომით მიგრაციას წარმოშობს (პორტესი, 1995; საზენი, 1988; პეტრასი, 1981). ძირითადად, მიგრაციას ადგილი აქვს ყოფილ კოლონიზატორ ქვეყნებსა და მათ ყოფილ კოლონიებს შორის და ამას არსებული კულტურული, ლინგვისტური,ადმინისტრაციული,სატრანსპორტო და კომუნიკაციური კავშირები უწყობს ხელს. ცენტრალურ ქვეყნებში, მსოფლიო ეკონომიკის მენეჯმენტი კონცენტრირებულია შედარებით მცირერიცხოვან ქალაქურ ცენტრებში საბანკო, ფინანსური, პროფესიული სერვისისა და მაღალტექნიკური ინფრასტრუქტურის ფარგლებში. თუ გავითვალისწინებთ ამ ქალაქებში არსებულ ძლიერ მოთხოვნას ნაკლებგანათლებულ მუშახელზე და მძიმე ინდუსტრიის





რაოდენობის შემცირებას, პერიფერიულ ქვეყნებთან არსებულ მაღალგანვითარებულ სატრანსპორტო და კომუნიკაციურ ქსელებთან ერთად, ისინი საკმაოდ მიმზიდველი ხდება გარე მიგრანტებისთვის (საზენი, 1991).

**მიგრაციის** თეორია ნეოკლასიკური – თანამედროვე მკვლევრებმა (ტოდარო, 1976; ჰარისი და ტოდარო, 1970) მოახდინეს კლასიკური თეორიის მოდიფიკაცია და მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია შეიმუშავეს, რომლის თანახმად, ის ქვეყნები, სადაც შრომის მაღალი წილია კაპიტალთან შედარებით, ნაკლები საბაზრო ანაზღაურებით გამოირჩევიან, ის ქვეყნები კი, სადაც შრომის დაბალი წილია კაპიტალთან შედარებით, მეტი საბაზრო ანაზღაურებით გამოირჩევიან. ეს სხვაობები შემოსავალში უბიძგებს მუშებს დაბალი ანაზღაურების ქვეყნებიდან მაღალი ანაზღაურების ქვეყნებს მიაშურონ; შედეგად კი, მუშახელის რაოდენობა კლებულობს და ანაზღაურება იზრდება მიგრანტთა სამშობლოში და მუშახელის რაოდენობა იზრდება და ანაზღაურება კლებულობს მიგრაციის ადგილებში, იქმნება რა ვითარება, როცა სხვაობა ანაზღაურებაში ასახავს მხოლოდ მიგრაციის ხარჯებს. ამ მომენტში გარე მიგრაცია წყდება.

ამ თეორიის რეალურ პირობებში გამოყენებისას, მიგრაციის სარგებელი იზომება ინდივიდუალურ დონეზე მიღებული წმინდა შემოსავლით დროის დადგენილ მონაკვეთში. წმინდა შემოსავალი კი წარმოადგენს სხვაობას მიგრაციის ქვეყანაში მოსალოდნელ ანაზღაურებასა და მიგრანტის სამშობლოში მოსალოდნელ ანაზღაურებას შორის. მიგრაციის ქვეყანაში მოსალოდნელი ანაზღაურება იზომება ინდივიდის უნარების გამრავლებით მის მიერ სამუშაოს შოვნის ალბათობაზე; მსგავსად ამისა, მიგრანტის სამშობლოში მოსალოდნელი ანაზღაურება იზომება მიგრანტის რეალური შემოსავლის გამრავლებით სამშობლოში სამუშაოს შოვნის ალბათობაზე. წმინდა შემოსავლები გამოითვლება დროის გარკვეულ მონაკვეთში და საბოლოო ჯამი გამოიყენება მიგრაციის სარგებლის შესაფასებლად (მესი, 1993; ტოდარო, 1976; ჰარისი და ტოდარო, 1970).

მ.თ.ნ. თავისი შეზღუდვები აქვს, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოსა და იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლობის ჩათვლით, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე მიგრაციის შესახებ (პაპადემეტრო და მარტინი, 1991).

**მიგრაციის** თეორია ორმაგი შრომითი ბაზრისა – მიგრაციის ნეოკლასიკური თეორიისა და მიგრაციის ახალი ეკონომიკის თანახმად, მიგრაცია ძირითადად ინდივიდებისა თუ ოჯახების მიერ გაკეთებული რაციონალური არჩევანის შედეგს

წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, სხვა ეკონომიკური თეორიები საკითხს მაკროეკონომიკური თვალსაზრისით უდგებიან და ამტკიცებენ, რომ გარე მიგრაცია ძირითადად იმ საერთაშორისო ძალების ზემოქმედების პროდუქტია, რომელიც ინდივიდუალურ არჩევანს სცილდება და ზღუდავს მას. ორმაგი შრომითი ბაზრის თეორიის თანახმად, გარე მიგრაცია გამოწვეულია უცხოური მუშა ხელის პერმანენტული მოთხოვნით განვითარებულ ქვეყნებში (პიორე, 1979), რასაც რამდენიმე ფაქტორი იწვევს: ჯერ ერთი, ხელფასები ასახავს არა მარტო პროდუქციისა და მოთხოვნის პირობებს, არამედ სტატუსსა და პრესტიჟს. შესაბამისად, რათა შენარჩუნებულ იქნას არსებული შრომითი იერარქია, ხელფასები ვერ უპასუხებს თავისუფალ ცვლილებებს მუშებით უზრუნველყოფაში. ამ პირობებში, დამქირავებლები, რომლებიც ეძებენ ნაკლებგანათლებულ მუშახელს, რომელიც იერარქიული სტრუქტურის ძირში იმყოფება, ვერ გაზრდიან ხელფასებს, რადგან ამით დაირღვევა სოციალური ბალანსი სტატუსსა და ანაზღაურებას შორის: ხელფასების გაზრდა იერარქიული სტრუქტურის ძირში გამოიწვევს ხელფასების გაზრდის მოთხოვნას იერარქიის ზედა დონეზეც. რათა თავიდან აიცილონ ასეთი ზეწოლა შრომითი ძალის ნაკლებობის პირობებში, დამქირავებლები ცდილობენ იაფი გადაწყვეტილება მონახონ: უცხოური მუშახელის იმპორტი, რომელიც თანახმა იქნება დაბალ ანაზღაურებაზე. მეორე ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი მუშახელის დაქირავებას, არის ის, რომ იერარქიული სტრუქტურის ძირში მყოფი სამსახურები არ იძლევა აღმავალი სოციალური მობილობის საშუალებას. ამიტომ ასეთ სამუშაოზე მხოლოდ ის დათანხმდება, ვისთვისაც ის მხოლოდ ფულის შოვნის საშუალებაა და არ აწუხებს სტატუსის ამაღლების პრობლემა. უცხოელი მუშები განვითარებადი ქვეყნებიდან (განსაკუთრებით, არალეგალური სტატუსის მქონენი) თანახმა არიან ამგვარ სამსახურებზე, რადგან მათი დაბალი ხელფასი განვითარებულ ქვეყნებში გაცილებით მაღალია, ვიდრე საშუალო ხელფასი განვითარებად ქვეყნებში. და ბოლოს, მესამე ფაქტორი, რომელიც ნაკლებგანათლებული მუშახელის ზრდას იწვევს განვითარებულ ქვეყნებში, ორმაგი ეკონომიკის განვითარებაა, რომელიც ხასიათდება კაპიტალ-ინტენსიური პირველადი სექტორისა და შრომა-ინტენსიური მეორადი სექტორის თანაარსებობით, აგრეთვე სეგმენტირებული შრომითი ბაზრით. პირველად სექტორში მომუშავე ადამიანები სტაბილურ, მაღალანაზღაურებად სამუშაოს ფლობენ; მეორად სექტორში მომუშავენი კი არასტაბილურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოს, რომლიდანაც შეიძლება ნებისმიერ დროს დაითხოვონ და რომელიც, რა თქმა უნდა, არც დაწინაურების საშუალებას იძლევა. რადგან ადგილობრივი მუშახელი არ თანხმდება ამგვარ სამუშაოზე, ამ სექტორში მუშახელის ნაკლებობას უცხოელი მუშახელი ავსებს. ეს განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში ხდება, სადაც ქალები და





თინეიჯერები, სოციალური შეზღუდვებისა თუ უკეთესი სამუშაო პირობების გამო, არ მონაწილეობენ მეორად სექტორში.

**მიგრაციის თეორია ოჯახური მიგრაციისა და მიგრაციის სელექციურობისა** – ეს თეორია ნეოკლასიკური მოდელის გაფართოებას წარმოადგენს, მიიჩნევს რა, რომ მიგრაციის დიდი ნაწილი მოიცავს მთელი ოჯახების მიგრაციას და არა ცალკეული ოჯახის წევრებისა. მინსერი (1978) იკვლევდა ოჯახის სხვადასხვა წევრებზე შემოსავლის განსხვავებული ოდენობის გავლენას. ასეთი მიდგომა უფრო რეალისტურია, რადგან ოჯახის ერთი წევრი შეიძლება მოელოდეს ზრდას, მეორე კი - დანაკარგს პოტენციურ შემოსავალში მიგრაციის ქვეყანაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახი შედგება ერთზე მეტი ეკონომიკურად აქტიური პიროვნებისაგან, კონფლიქტური მიზნების წარმოშობის ალბათობა რეალურად არსებობს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახში ორი დაქორწინებული ზრდასრული ადამიანია, მათზე დამოკიდებული ან დამოუკიდებელი შვილებით, მინსერი (1978) აჩვენებს, რომ მიგრაციამ შეიძლება წარმოშვას „მჭიდროდ დაკავშირებული წამსვლელები" ან „მჭიდროდ დაკავშირებული დამრჩენები," და რომ ინდივიდისა და წყვილის ოპტიმალურ სტრატეგიებს შორის სხვაობა დამოკიდებულია კორელაციის ხარისხზე ქმრისა და ცოლის სარგებელს შორის მიგრაციიდან. მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს სრულყოფილ კორელაციას, ინდივიდისა და წყვილის ოპტიმალური სტრატეგიები ემთხვევა ერთმანეთს.

ბორჯასმა და ბრონარსმა (1989) გამოიყენეს მინსერის თეორია, რათა გაეანალიზებინათ შეერთებულ შტატებში მიგრაციის სელექციურობა. მხოლოდ ინდივიდუალური მიგრანტების შესწავლის საფუძველზე, ბორჯასმა (1987) აჩვენა, რომ მიგრანტის სამშობლოსა და მიგრაციის ქვეყანას შორის შემოსავლის სხვაობა გავლენას ახდენს იმ ადამიანის ტიპზე, რომელიც მიგრაციაში მიდის. თუ შემოსავლის სხვაობა უფრო მაღალია მიგრაციის ქვეყანაში, საშუალოზე მაღალი განათლების მქონე ადამიანებს უჩნდებათ მიგრაციის სურვილი, რადგან უფრო მაღალი ხელფასის ქონა შეუძლიათ მიგრაციის ქვეყანაში. თუკი შემოსავლის სხვაობა უფრო მაღალია მიგრანტის სამშობლოში, უფრო დაბალი განათლების მქონე ადამიანებს უჩნდებათ მიგრაციის სურვილი. თუმცა დაქორწინებული წყვილების შემთხვევაში, სელექციურობის ეფექტი მცირდება, რადგან მიგრანტები განათლების ნაკლები დონით, რომლებიც არ წავიდოდნენ დამოუკიდებლად მიგრაციაში იმ ქვეყანაში, სადაც შემოსავლის სხვაობა მაღალია, აღარ შეფერხდებიან, თუ დაქორწინებულნი არიან უფრო მაღალი განათლების მქონე ადამიანებზე.

**მიგრაციის** თეორიაში სისტემური მიდგომა – თითოეული განხილული თეორია წარმოადგენს გარე მიგრაციის მიზეზებისა და დინამიკის ახსნის მცდელობას. უფრო სრულყოფილი თეორიის შექმნის მიზნით, მათ გარკვეულ კომბინაციას გვთავაზობს მიგრაციული სისტემების თეორია. ამ მიდგომის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს მოსახლეობის სამეცნიერო შესწავლის კავშირის (IUSSP) გარე მიგრაციის კომიტეტის მოღვაწეობა, რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა 1992 წელს.

სისტემური მიდგომა მთელ რიგ მოსაზრებებს ეფუძნება: პირველ რიგში, მიგრაცია ქმნის ერთიან სივრცეს, აერთიანებს რა მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს. მიგრაციის მიზეზებისა და შედეგების გასაგებად, აუცილებელია ამ ერთიანი სივრცის მხედველობაში მიღება. მეორეც, მიგრაცია არის ერთ-ერთი იმ პროცესთაგანი, რომელიც აკავშირებს მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს და მჭიდრო კავშირშია სხვა ისტორიულ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებთან. მესამეც, პროცესები, რომლებიც აკავშირებენ მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს, დროთა განმავლობაში ორივე ქვეყნის პირობების ცვლილებას იწვევენ. მეოთხეც, სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარე მიგრაციის დინების განსაზღვრაში, სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სტრატეგიული კავშირების ხელშეწყობით, რამაც შეიძლება ირიბი გზით გამოიწვიოს მიგრაცია. მეხუთეც, აუცილებელია იმ მექანიზმების განსაზღვრა, რომელთა გზით მაკროეკონომიკური დონე გავლენას ახდენს მიგრაციის გადაწყვეტილებაზე ინდივიდუალურ დონეზე. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია მიგრაციული ქსელები, რომლებიც შედგება მიგრანტებისგან, მათი ნათესავებისგან, მეგობრებისგან და ნაცნობებისგან, რომელთა სოციალური და ნათესაური ურთიერთობები მოქმედებს, როგორც კავშირები მიკროეკონომიკურ დონეზე მიგრაციის ქვეყანასა და მიგრანტის სამშობლოს შორის. სხვა მექანიზმები მოიცავენ დამქირავებელთა ინტერესებს, მულტინაციონალურ კორპორაციებს, საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, სამხედრო ერთეულებს და სხვებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა საერთაშორისო დინებაზე. შესაბამისად, სისტემური მიდგომა დაფუძნებულია მიგრაციული სისტემის, როგორც ქვეყნების ქსელის გაგებაზე, რომელთა შორის მიგრაცია დიდადაა განპირობებული მთელი რიგი ქსელების ფუნქციონირებით, რომლებიც აკავშირებენ მიგრაციის აგენტებს აგრეგაციის სხვადასხვა დონეზე.

ქვეყნების ჯგუფი ჩაითვლება სისტემის შემქმნელად იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. მათ მსგავსი პოზიცია აქვთ მიგრაციასთან დაკავშირებით; ისინი შეიძლება ჩაითვალოს მიგრაციის წყაროდ ან დანიშნულების ადგილად;





2. დანიშნულების ადგილად ჩათვლილი ქვეყნები გამოირჩევიან ეკონომიკური განვითარების ერთნაირი დონით, კულტურული განვითარების მაღალი დონითა და მსგავსი ინსტიტუციონალური სტრუქტურებით;

3. ისინი გამოირჩევიან ერთიანობით მიგრაციასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში და მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები აქვთ.

**მიგრაციის** თეორიაში სოციოლოგიური მიდგომა – თუმცა ეკონომიკური ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანია, თუ არა დომინანტური, მიგრაციული გადაწყვეტილებების მიღებისას, ეკონომიკური თეორიები ხშირად ვიწროდაა მიჩნეული, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ მიგრაციის ისეთ მიზეზებს, როგორიცაა იძულებით დევნილობა, უკეთეს კლიმატში ცხოვრების სურვილი, ან თუნდაც მომავალი მეუღლის ძიება უკეთეს საქორწინო ბაზარზე. ამ ფაქტორების გათვალისწინების მცდელობას წარმოადგენს ლის (1966) თეორია, რომლის თანახმად, მიგრაციის მიზეზია პოზიტიური ფაქტორების არსებობა მიგრაციის ქვეყანაში და ნეგატიური ფაქტორების არსებობა მიგრანტის სამშობლოში. რაც უფრო დიდია სხვაობა „მიზიდულობის ძალებს" შორის (პოზიტიურს მინუს ნეგატიური ფაქტორები) სამშობლოსა და მიგრაციის ქვეყანას შორის, მით უფრო სავარაუდოა მიგრაციის ალბათობა.

ეკონომიკური თეორიის მსგავსად, სოციოლოგიური თეორიაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა ინდივიდუალურ, არამედ ჯგუფურ, ოჯახურ მიგრაციას, როცა ოჯახის ერთი წევრი მიდის, ფუძნდება და შემდეგ სხვა წევრებიც მიყავს. მიგრაციული ქსელები წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს, რომლის საფუძველზეც ადამიანები იღებენ საჭირო ინფორმაციას, აგრეთვე ფინანსურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მიგრაციასა და ადაპტაციის პროცესს, და ამცირებს რისკ-ფაქტორებს. მიგრაციული ქსელების ეფექტური მოქმედება ხელს უშლის მთავრობას აკონტროლოს მიგრაციული ნაკადების ზომა, მით უმეტეს, როცა ახალი მიგრანტების შემოსვლა ოფიციალურად ნებადართულია წინა მიგრანტებთან ნათესაური კავშირების საფუძველზე.

**მიგრაციის** სალდო – რომელიმე ტერიტორიაზე, გარკვეულ დროში, შემოსულთა და გასულთა რაოდენობას შორის სხვაობა.

**მიგრაციის წლიური რაოდენობა** – მოცემულ ტერიტორიაზე წლის განმავლობაში მიგრაციულ გადაადგილებათა ერთობლიობა. მ.წ.რ. ყოველთვის აღემატება მიგრირებული მოსახლეობის რაოდენობას, ვინაიდან მიგრანტების ნაწილი წელიწადში რამდენჯერმე გადაადგილდება.

**მიგრაციული გადასვლა** – კონცეფცია, რომელიც ხსნის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ ევოლუციას. მ.გ. კონცეფციის თანახმად, მიგრაციული პროცესების განვითარება გადის რიგ ფაზას (სტადიას), რომელიც დაახლოებით შეესაბამება დემოგრაფიული გადასვლის ფაზებს. მ.გ. კონცეფციაში, დემოგრაფიული გადასვლის მიმდინარეობასთან ერთად, ყურადღება ეთმობა ეკონომიკურ განვითარებას (მოდერნიზაციას) და ამ უკანასკნელთან კავშირში განიხილება.

მ.გ. კონცეფცია, დემოგრაფიული გადასვლის საფუძველზე, 1971 წელს შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) მეცნიერის ვ. ზელინსკის მიერ. სადღეისოდ მოცემულმა კონცეფციამ ფართო გამოყენება ჰპოვა.

**მიგრაციული განწყობა** – ადამიანის მზადყოფნა ფსიქოფიზიკური აქტივობისათვის, რომელიც მიმართულია მიგრაციული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ.

**მიგრაციული კონტროლი** – კონტროლის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ქვეყანაში დადგენილი იმიგრაციული კვოტის დაცვა და უკანონო მიგრაციის აღკვეთა.

**მიგრაციული კოჰორტა** – მიგრანტთა ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია მიგრაციის საერთო პერიოდით მოცემულ დასახლებულ პუნქტში.

**მიგრაციული მოთხოვნილება** – ადამიანის მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს მისი საცხოვრებელი გარემოს შეცვლას და მას საამისოდ მიმართავს. მიგრაციული მოთხოვნილების წარმოქმნას განაპირობებს სხვადასხვა მოთხოვნილებები, მისწრაფებები, მიზნები და ფასეულობები, რომელთა დაკმაყოფილება ან მოპოვება მოცემულ გარემოში ვერ ხერხდება. როდესაც ადამიანის რომელიმე მოთხოვნილების, მისწრაფების, მიზნის ან ფასეულობის დაკმაყოფილება – მოპოვება არ ხერხდება იმ გარემოში, სადაც მისი მოთხოვნილება – მისწრაფების დაკმაყოფილება – მოპოვება იქნება შესაძლებელი, ე.ი. მიგრაციული მოთხოვნილებაში იგულისხმება საცხოვრებელი გარემოს შეცვლის მოთხოვნილება.

**მიგრაციული ნაკადი** – მიგრანტების საერთო რაოდენობა, რომელთაც გარკვეული დროის მონაკვეთში აქვთ ჩამოსვლისა და გასვლის საერთო ტერიტორია (ადგილი).

**მიგრაციული პოლიტიკა** – მოსახლეობის მიგრაციაზე მიზანდასახული ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსი. მ.პ-ის





მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მიგრაციის ოპტიმიზაცია. მ.პ-ის ღონისძიებები პირობითად იყოფა ორ ჯგუფად: პირდაპირი და ირიბი. მ.პ-ის ღონისძიებები, დასმული ამოცანიდან გამომდინარე, შეიძლება ხელს უწყობდნენ ან ზღუდავდნენ მოსახლეობის შემოსვლას ან გასვლას, როგორც ქვეყნის შიგნით რაიონებს შორის, ისევე სახელმწიფოებს შორის. მ.პ. უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის ტერიტორიულ თავისებურებებს, განვითარების ისტორიულ პირობებს, წარმოებისა და შრომითი რესურსების განლაგებას, მოსახლეობის განსახლებას, მიგრანტთა ადაპტაციის საკითხებს და სხვა.

**მიგრაციული ძცევა** – განისაზღვრება მიგრაციული (გადაადგილების) მოთხოვნილებით და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო სიტუაციით (იხ. მიგრაციული მოთხოვნილება). მ.ქ. წარმოადგენს ადამიანის აქტივობას, რომელიც მიმართულია მიგრაციული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მ.ქ-ის შედეგად იცვლება მიგრანტის ცხოვრებისეული მდგომარეობის მახასიათებლები. მ.ქ-ზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიგრანტის პიროვნულ თვისებებს, მის მისწრაფებებსა და მიზნებს, იმ ფასეულობებს, რომლისკენაც ორიენტირებულია მიგრანტი. ასევე არსებითია არსებული სოციალური მოთხოვნები, სხვა ადამიანების დამოკიდებულება მ.ქ-ზე, მიბაძვა, კომუნიკაციის პროცესი და სხვა ფენომენები. დასახელებული საკითხების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი ხდება მ.ქ-ის თავისებურებების გამოვლენა-გაგება.

**მიკროაღწერა** – მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევა, რომელიც რეპრეზენტატულია მთელი ქვეყნის მასშტაბით. მ-ის თავისებურება ისაა, რომ ჩატარებული შერჩევის შედეგად შეისწავლება ყველა რაიონი და მოსახლეობის ყველა ჯგუფი. შერჩევის მოცულობა დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და მონაცემთა დეტალურობაზე. ჩვეულებრივ შერჩევის მოცულობა მ-ისას მერყეობს და შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის 1-10%. მოსახლეობის აღწერისაგან განსხვავებით, მ. არ საჭიროებს დიდ დანახარჯებს და რთულ ორგანიზაციას. მისი გამოკვლევის პროგრამა, როგორც წესი, შედარებით ვრცელია და ძირითადად ერთ რომელიმე თემას ეხება. მ-ამ ფართო გავრცელება ჰპოვა ევროპაში XX ს. შუა პერიოდიდან. საქართველოში მ. ჩატარდა 1985 წელს და წარმოადგენდა მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიულ გამოკვლევას.

**მიკროცენზი** – იხ. მიკროაღწერა.

**მკვდრადშობადობა** – ნაყოფი, რომელიც იბადება 28

კვირის ორსულობის შემდეგ (სიგრძე აქვს არანაკლებ 35 სმ. და წონა არანაკლებ 1000 გრ.). სიკვდილი მშობიარობის დაწყებამდე, მშობიარობის პროცესში ან მშობიარობის შემდეგ პირველ ჩასუნთქვამდე. ყველაზე ხშირია მ. ქრონიკული ინფექციებით დაავადებულ ქალებში ან იმ ქალებში, რომლებმაც ორსულობის პერიოდში გადაიტანეს მწვავე ინფექციური დაავადებანი, აგრეთვე ორსულთა ტოქსიკოზის, გულ-სისხლძარღვთა დაავადების, რეზუს-შეუთავსებლობის დროს, გართულებული მშობიარობისას და სხვა.

**მოდელები დემოგრაფიული** – განკუთვნილია მოსახლეობის მდგომარეობისა და მისი ცვალებადობის, აგრეთვე მოსახლეობის აღწარმოების ცალკეული ელემენტების ან აღწარმოების პროცესის მთლიანობაში აღწერისათვის.

თანამედროვე დემოგრაფიაში მ.დ. ძირითადად გამოიყენება: 1) დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლების მიღებისათვის; 2) დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებათა და ფაქტორების შესწავლისათვის; 3) დემოგრაფიული პროგნოზირებისათვის; 4) მიმდინარე და რეტროსპექტული დემოგრაფიული გაანგარიშებისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არ მოიპოვება სტატისტიკური მონაცემები ან ისინი სანდო არ არის; 5) დემოგრაფიული ექსპერიმენტებისათვის, დემოგრაფიული ანალიზის მეთოდების დამუშავების ჩათვლით; 6) დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებათა ეფექტიანობის შეფასებისათვის და სხვა.

უმრავლეს მ.დ-ს არა აქვს პრეტენზია აღწეროს მოდელირებადი პროცესის ყველა მრავალფეროვანი თვისება და თავისებურება. მრავალი მ.დ. ითვალისწინებს მხოლოდ ზოგიერთ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მახასიათებელს.

მ.დ-ის აგებისა და გამოყენებისას წარმოებს მოდელირების ობიექტისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ნიშნებისა და თვისებებისაგან აბსტრაჰირება, რომლებიც არაარსებითნი არიან ან ასეთებად ითვლებიან მოცემული მ.დ-ის ამოცანებიდან გამომდინარე. მ.დ-ს საფუძვლად უდევს მოდელირების ობიექტის ფორმალიზაცია, რომელშიც განისაზღვრება მოდელირების პროცესისა და მისი მიმდინარეობის გარემოს რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები.

ყოველი მ.დ. ხასიათდება მოდელის ენდოგენური და ეგზოგენური ცვლადებით და ამ ცვლადების თანაფარდობის სისტემით. ენდოგენური ცვლადები განისაზღვრება თვითონ მ.დ-ში. მათ შეიძლება მიეკუთვნებოდეს ისეთი დემოგრაფიული ცვლადები, როგორიცაა მოსახლეობის რაოდენობა, დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობა და მათი ინტენსივობა და ა.შ. ეგზოგენური ცვლადები განისაზღვრება მოდელის გარეთ. თავისი





ხასიათით ისინი შეიძლება იყვნენ როგორც დემოგრაფიული, ისევე არადემოგრაფიული – ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ა.შ. ეგზოგენურ ცვლადებში აუცილებლად შედის დრო, ასაკი და მათ შორის ურთიერთკავშირი. ხშირად ითვალისწინებენ ასევე რომელიმე დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობას. ენდოგენური ცვლადები განიხილება როგორც ასეთი ხანგრძლივობის ან ასაკის ფუნქცია.

ტერმინი "მ.დ." ფართოდ გამოიყენება XX ს. 40-იანი წლებიდან.

**მოდელები დემოგრაფიული** დემოეკო-ნომიკური – ისეთი დემოგრაფიული მოდელებია, სადაც ენდოგენურ ცვლადებად მიჩნეულია ეკონომიკური მახასიათებლები. მ.დ.დ. ადგენენ ურთიერთკავშირს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. მ.დ.დ-ს მიეკუთვნება მაგ. რიჩარდ ისტერლინის მოდელი, რომელშიც ურთიერთდაკავშირებულია ოჯახის შემოსავლისა და შობადობის ცვალებადობა.

**მოდელები დემოგრაფიული** დეტერმინისტური – მასში ალბათობის ცნებას აქვს არა ზოგადი მათემატიკურ-სტატისტიკური შინაარსი, არამედ ის გაიგივებულია დემოგრაფიულ სიხშირესთან.

**მოდელები დემოგრაფიული** დისკრეტული – ისეთი დემოგრაფიული მოდელებია, სადაც დრო და ასაკი გარკვეული ბიჯით იცვლებიან. ყველა ცნობილი მიკრომოდელი დისკრეტულია. მიკრო მოდელების ნაწილიც დისკრეტულია. ისინი გამოიყენებიან როგორც ანალიზისათვის, ისევე სხვადასხვა გაანგარიშებისათვის.

**მოდელები დემოგრაფიული** იმიტაციური – წარმოადგენენ სტოქასტურ, დისკრეტულ მიკრომოდელებს, რომლებშიც ადამიანის დემოგრაფიული მდგომარეობის ან სხვა დემოგრაფიული ერთეულების ცვალებადობა მოდელირდება მონტე-კარლოს მეთოდით. მ.დ.ი-ს საფუძვლად უდევს ადამიანის ან ოჯახის დემოგრაფიული ქცევის დანაწევრება ელემენტარულ მოქმედებებად ან აქტებად. ადამიანის ცხოვრება განიხილება დროის ან ასაკის ყოველ მონაკვეთში (ბიჯზე) არჩევანის გარკვეული ალბათობების ალტერნატიული ნაკრებისა და განაწილებათა ფუნქციების სახით.

**მოდელები დემოგრაფიული** მაკრო – აღწერენ დემოგრაფიულ პროცესებს მთელი მოსახლეობის ან მისი ცალკეული ნაწილის დონეზე.

**მოდელები დემოგრაფიული** მიკრო – ასახავენ დემოგრაფიულ პროცესებს ადამიანის ან ოჯახის დონეზე

დემოგრაფიული შემთხვევების თანმიმდევრობით.

**მოდელები დემოგრაფიული სტოქასტური** – დემოგრაფიული მოდელები, რომლებშიც გათვალისწინებულია დემოგრაფიულ შემთხვევათა ალბათური ხასიათი. ყველა მიკრომოდელი სტოქასტურია. უმრავლესი დემოგრაფიული ერთობლიობა არ წარმოადგენს სტატისტიკური თვალსაზრისით ერთგვაროვან ერთობლიობას, ხოლო დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირის განაწილების საკითხი მოცემული ალბათობისას ნაკლებად არის შესწავლილი, რაც სირთულეს უქმნის მ.დ.ს-ს.

**მოდელები დემოგრაფიული უწყვეტი** – ისეთი დემოგრაფიული მოდელები, სადაც დრო და ასაკი შედიან როგორც უწყვეტად ცვლადი, რაც განასხვავებს მათ დისკრეტული მოდელებისაგან. მ.დ.უ-ის ფასეულობა ის არის, რომ დაკავშირებულია მოსაზრებასთან თითქოს ასეთი მოდელის უმრავლესი ცვლადი უწყვეტია ან დიფერენცირებულია დროის (ასაკის) ფუნქციით. ასეთი ვარაუდი ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს, თუმცა ეს ხელს არ უშლის მ.დ.უ-ის წარმატებით გამოყენებას.

**მოდელები მოსახლეობის აღწარმოებისა** – დემოგრაფიული მოდელების კლასი (იხ. მოდელები დემოგრაფიული). მ.მ.ა. აღწერენ თაობათა შენაცვლების პროცესს. მ.მ.ა. ადგენენ კავშირს, ერთი მხრივ, მოსახლეობის რაოდენობასა და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას შორის და, მეორე მხრივ, – შობადობის რეჟიმსა და ამოწყდომის რიგითობას შორის. ამასთან, ძირითადად მიჩნეულია, რომ მოსახლეობა ჩაკეტილია, თუმცა არიან მ.მ.ა., სადაც გათვალისწინებულია მიგრაციული პროცესების გავლენა.

მ.მ.ა. მიეკუთვნებიან დეტერმინისტულ მაკრომოდელებს. ისინი შეიძლება იყვნენ უწყვეტი და დისკრეტულებიც.

მ.მ.ა. ენდოგენურ ცვლადებს მიეკუთვნებიან ის ფუნქციები და პარამეტრები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის რაოდენობასა და შემადგენლობას დროის რომელიმე ინტერვალში ან ამ ინტერვალის გარკვეულ წერტილებში. ეგზოგენურ ცვლადებს განეკუთვნება შობადობისა და მოკვდაობის რაოდენობრივ მახასიათებელთა სისტემა. მაგ., ცოცხლადობის ფუნქცია მოცემულ ინტერვალში. ეგზოგენურ ცვლადებს მიეკუთვნებიან აგრეთვე მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის მახასიათებლები რომელიმე საწყისი მომენტისათვის და მიგრაციის მახასიათებლები.

მ.მ.ა. გამოიყენება: 1) მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ცალკეულ შემადგენელთა ურთიერთკავშირისა და დამოკიდებულებათა ანალიზისათვის და მოსახლეობის





აღწარმოების განმაზოგადებელ მახასიათებელთა მიღებისათვის; 2) პერსპექტიული, რეტროსპექტული და სხვა დემოგრაფიული გაანგარიშებისათვის; 3) არადამაკმაყოფილებელი დემოგრაფიული სტატისტიკის პირობებში იმ მონაცემების აღდგენისათვის, რომლებიც აკლია.

უმრავლესი მ.მ.ა. განიხილავენ მდედრობითი სქესის მოსახლეობას.

**მოდელი ბონგბაარტსისა** – შობადობის უშუალო ფაქტორების გავლენის მოდელი. წარმოადგენს განსხვავებას შობადობის პოტენციურად შესაძლებელ დონესა და შობადობის რეალურ დონეს შორის. მოცემულია ინდექსების სერიის სახით, რომელთაგან თითოეული უჩვენებს გარკვეული ფაქტორის გავლენის ხარისხს. მ.ბ. ძირითადი განტოლებაა:

$$TFR = C_m \cdot C_e \cdot C_a \cdot C_t \cdot TF,$$
$$TMFR = C_e \cdot C_a \cdot C_t \cdot TF,$$
$$TNMFR = C_t \cdot TF,$$

სადაც TF არის ნაყოფიერების ჯამობრივი კოეფიციენტი (ავტორის შეფასებით საშუალოდ TF 15,3 ტოლია); TFR – შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი: TMFR – ქორწინებითი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი; TNMFR – ბუნებრივი ქორწინებითი შობადობის ინდექსი;$C_m$ – ქორწინებითი მგომარეობის გავლენის ინდექსი; $C_e$ – კონტრაცეპციის გავლენის ინდექსი; $C_a$ – აბორტების გავლენის ინდექსი; $C_t$ – მშობიარობის შემდგომი სტერილობის გავლენის ინდექსი.

$$C_m = \frac{TFR}{TMFR}.$$

$$C_e = 1 - 1.08 \cdot U \cdot e,$$

სადაც U არის ქალების წილი, რომელიც იყენებს კონტრაცეპციას, e – გამოყენებული კონტრაცეპციის საშუალო ეფექტურობა.

$$C_a = \frac{TFR}{TFR + b \cdot TAR},$$

სადაც TAR არის აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (იხ. კოეფიციენტი აბორტისა ჯამობრივი), b – 0,4 (1+U).

$$C_t = \frac{20}{18.5 + t},$$

სადაც $t$ – მშობიარობის შემდგომი საშუალო სტერილობა ლაქტაციისა და თავშეკავების მიზეზით.

მ.ბ. შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი (აშშ) დემოგრაფის ჯ. ბონგაარტსის მიერ 1978 წელს.

**მოდელი მოკვდაობისა ბრასის** – მოკვდაობის მრუდის აღმწერი ერთ-ერთი მათემატიკური მოდელი. აქვს ორი პარამეტრი (ასაკი და ცოცხლად დარჩენილთა რიცხვი). ეფუძნება შემდეგი სახის ფუნქციას ("ლოგიტად" წოდებულს):

$$Y_x = \log it(op_x) = 0.5 \ln(op_x / oq_x),$$

სადაც $op_x = l_x / l_0$ არის 0 წლიდან $x$ ასაკამდე ($l_x$ – ცოცხლად დარჩენილთა რიცხვი $x$ ასაკამდე, $l_0$ – მოკვდაობის ცხრილის ფესვი) ცოცხლად დარჩენის ალბათობა; $oq_x = 1 - op_x$. ეს პირდაპირი ლოგიტია. მის შებრუნებულს წარმოადგენს $\text{logit}(oq_x)$. ამასთან, $\text{logit}(op_x) = -\text{logit}(oq_x)$. $op_x$ განსხვავებით $Y_x$ ფუნქციამ შეიძლება მიიღოს ნებისმიერი მნიშვნელობები $-\infty$ და $+\infty$ შორის. ბრასმა ემპირულად დაადგინა, რომ:

$$Y_x = \alpha + \beta Y'_x,$$

სადაც $\alpha$ და $\beta$ პარამეტრებია, $Y_x$ – შესასწავლი ცოცხლად დარჩენილთა ცხრილის ლოგიტები, $Y'_x$ – ცოცხლად დარჩენილთა სტანდარტული ცხრილის ლოგიტები.

მ.მ.ბ. გამოიყენება მოკვდაობის ანალიზისა და პროგნოზისათვის, არასრული ინფორმაციის საფუძველზე მოკვდაობის ცხრილების აგებისათვის და სხვა.

მ.მ.ბ. შემოთავაზებულ იქნა ინგლისელი დემოგრაფის უ. ბრასის მიერ 1968-1971 წწ.

**მოდელი ჰელიგმენ-პოლარდისა** – უწყვეტი 8 პარამეტრიანი მოკვდაობის მოდელი 0 წლიდან უსასრულობამდე ($0 \le x \le \infty$). აქვს შემდეგი სახე:

$$q_x / p_x = A^{(x+B)^c} + D \exp(-E[\ln x - \ln F]^2) + GH^x,$$

სადაც $q_x$ – გარდაცვალების ალბათობა წლის განმავლობაში, ვინც მოაღწია ასაკს $x$ წელს; ცოცხლად დარჩენის ალბათობა შემდეგ ასაკამდე, $p_x = 1 - q_x$; $A, B, \ldots H$ – მოდელის პარამეტრები.

$A$ – ჩვილთა მოკვდაობის დონის საზომი, $B$ უჩვენებს $A$-ს "ლოკალიზაციას" მრუდის მოცემულ ნაკვეთზე, $C$ – ჩვილთა მოკვდაობის შემცირების ტემპი ასაკთან ერთად, განტოლების საშუალო წევრი აღწერს "კუნძს" მოკვდაობის მრუდზე 15 და 40 წელს შორის, $F$ პარამეტრი ახასიათებს "კუნძის"





ადგილმდებარეობას მრუდზე, $D$ და $E$ _ მის ფორმას; განტოლების მესამე წევრი (გომპერცის ექსპონენციალი) ასახავს უფროსი ასაკის მოსახლეობის მოკვდაობას, რომელიც ახლოსაა გეომეტრიულ პროგრესიასთან; შესაბამისად პარამეტრი $G$– დონე, ხოლო $H$ – მოკვდაობის ზრდის ტემპი მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში.

ზოგადი სახით ჰელიგმენ-პოლარდის მოკვდაობის კანონი გამოისახება შემდეგნაირად:

$$q_x / P_x = \sum_{t+1}^{n} A_t \exp\left(-B_t [f_x(x) - C_t] D_t\right).$$

მ.ჰ.-პ. შემოთავაზებულ იქნა დემოგრაფების, დიდი ბრიტანელი ლ. ჰელიგმენისა და ავსტრალიელი ჯ. პოლარდის მიერ 1980 წელს.

**მოზრდილები** – დემოგრაფიაში ფერტილური ან სამუშაო ასაკის მოსახლეობა. მ-ის ასაკობრივი საზღვრები პირობით ხასიათს ატარებენ და იცვლებიან მიღებული ასაკობრივი კლასიფიკაციის შესაბამისად.

**მოთხოვნილება** – იმ უკმარისობის ან დანაკლისის განცდა, რაც აუცილებელია ორგანიზმის, ადამიანების, სოციალური ჯგუფის ან მთლიანად საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, ორგანიზმის მოქმედების განმსაზღვრელი.

მ. განიხილება როგორც ინდივიდის განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა, მისი "დაძაბულობის", "დაუკმაყოფილებლობის", "დისკომფორტულობის" შეგრძნება ან გაცნობიერება, რომლის მეშვეობითაც ფსიქიკაში აისახება ორგანიზმის ცხოველმყოფელობის შინაგანი და გარეგანი პირობების შესატყვისობის დარღვევა, რის გამოც მ. აღძრავს სტიმულს მოქმედებისათვის, რომელიც ემსახურება ამ შეუსატყვისობის მოხსნას.

**მოკვდაობა** – თაობათა ამოწყდომის პროცესი. მ. მასობრივი პროცესია, რომელიც ყალიბდება სიკვდილის მრავალი ცალკეული შემთხვევისაგან. ეს უკანასკნელნი ხდებიან სხვადასხვა ასაკში და ერთობლიობაში განსაზღვრავენ რეალური ან ჰიპოთეზური თაობის ამოწყდომის რიგითობას.

თაობათა ამოწყდომის პროცესი დამოკიდებულია მოკვდაობის მრავალ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორზე (ბუნებრივ-კლიმატური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა.). მ-ის დემოგრაფიული ანალიზის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოკვდაობის ფაქტორების ორ მსხვილ ჯგუფად დაყოფა: 1) ენდოგენური, რომლებიც გამოწვეულია ადამიანის ორგანიზმის შინაგანი განვითარებით და 2) ეგზოგენური, რომლებიც

დამოკიდებულია გარემოს მოქმედებაზე. სიკვდილი ყოველთვის არის ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგი, მაგრამ მათი როლი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულია და განსაკუთრებით მნიშვნელოვან განსხვავებას ჰქონდა ადგილი კაცობრიობის ისტორიის თვალსაზრისით.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მ-ამ განიცადა მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები. თვისებრივ ცვლილებებში აღსანიშნავია მ-ის ეგზოგენური ფაქტორების მოქმედების შესუსტება და თაობათა ამოწყდომის პროცესში შემთხვევითობის როლის შემცირება. რაოდენობრივი ცვლილებების თვალსაზრისით აღსანიშნავია ამოწყდომის რიგითობის ტრანსფორმაცია, რომელსაც მოჰყვა ყოველი თაობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა. ამ ცვლილებებს არ გააჩნდათ თანდათანობითი ხასიათი, ისინი ნახტომისებურად წარმოებდნენ. მ-ის თვისებრივი და შესაბამისი რაოდენობრივი ნახტომები დაკავშირებული იყო მსხვილ სოციალურ-ეკონომიკურ ძვრებთან.

ისტორიულ-დემოგრაფიული გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ჯერ კიდევ შედარებით არც თუ ისე დიდი ხნის წინ ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი იყო ძირითადად ეგზოგენური მოკვდაობა და თაობათა ამოწყდომის მაღალი სიჩქარე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჩვეულებრივ დაახლოებით 30 წელს შეადგენდა და არასოდეს აღემატებოდა 35 წელს, ხოლო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, როგორც წესი, 32-40‰ ნაკლები არ იყო. ასეთი ვითარების ცვალებადობა პირველად დასავლეთ ევროპაში დაიწყო XVIII ს. ბოლოს და გამოხატული ხასიათი მიიღო დაახლოებით XIX ს. შუა პერიოდიდან. ამ ცვალებადობის შედეგად პირველად ისტორიაში მოხდა არა მარტო მ-ის ეგზოგენური ფაქტორების შეზღუდვა, არამედ მათ გადაინაცვლეს უკანა პლანზე და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცათ მ-ის ენდოგენურ ფაქტორებს. არსებითად შეიცვალა სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურა. მკვეთრად შემცირდა სიკვდილის წილი, რომლებიც გამოწვეული იყო ისეთი ეგზოგენური მიზეზებით, როგორიცაა შიმშილი, ეპიდემიები, ტუბერკულოზი, კუჭ-ნაწლავთა, ინფექციური და სხვა მსგავსი დაავადებებით. გადამწყვეტი როლი მიენიჭათ ენდოგენურ ფაქტორებს, ძირითადად სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს. XX ს. მსგავსი პროცესები თანდათან გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. საქართველოში აღნიშნული ცვალებადობა დაიწყო XIX ს.

მ.– პირველი დემოგრაფიული პროცესია, რომელიც მეცნიერული ანალიზის ობიექტი გახდა. სწორედ მ-ის შესწავლა დაედო საფუძვლად ჯ. გრაუნტის ნაშრომს (1662 წ.). განვლილი დროის მანძილზე შემუშავებულ იქნა მ-ის შესწავლის სპეციფიკური მეთოდები. მ-ის შესწავლისას დემოგრაფია მჭიდრო ურთიერთკავშირშია ისეთ სხვა





მეცნიერულ დისციპლინებთან, როგორიცაა მათემატიკა, სტატისტიკა, სოციალური ჰიგიენა, გერონტოლოგია და სხვა.

**მოკვდაობა** ანტენატალური – ნაყოფის სიკვდილი ორსულობის 28 კვირის გასვლის შემდეგ მშობიარობის დაწყებამდე.

**მოკვდაობა** ახალდაბადებულთა – იგივეა, რაც ნეონატალური მოკვდაობა.

**მოკვდაობა** გენერაციული – ქალების მოკვდაობა, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა შობის ფუნქციის განხორციელებასთან. მ.გ-ის მიზეზებია: აბორტის, ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებები; აგრეთვე ავადმყოფობები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ორსულობასა და მშობიარობასთან, მაგრამ რომლებიც გართულებულია მათ მიერ.

**მოკვდაობა** დედათა – ქალების მოკვდაობა ორსულობის ბოლოს (28 კვირის შემდეგ), მშობიარობისას და მშობიარობის შემდგომ პერიოდში (მშობიარობიდან 6 კვირის მანძილზე).

**მოკვდაობა** ინტრანატალური – ნაყოფის სიკვდილი მშობიარობის განმავლობაში.

**მოკვდაობა** კვაზიენდოგენური – ტერმინი, რომელიც გამოიყენება მოკვდაობის ისეთი ტიპის აღნიშვნისათვის, რომელიც დაკავშირებულია ენდოგენურ ფაქტორებთან, თუმცა სინამდვილეში საფუძვლად უდევს გარე მიზეზები.

**მოკვდაობა** ნაყოფისა – ჩანასახის დაღუპვა ორსულობის მეცხრე კვირიდან დაწყებული დაბადების მომენტამდე.

**მოკვდაობა** ნეონატალური – ჩვილთა მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე.

**მოკვდაობა** ნეონატალური ადრეული – ჩვილთა მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის პირველ კვირას.

**მოკვდაობა** ნეონატალური გვიანდელი – ჩვილთა მოკვდაობა სიცოცხლის 2-4 კვირის განმავლობაში.

**მოკვდაობა** პერინატალური – ნაყოფებისა და ჩვილთა მოკვდაობა პერინატალური პერიოდის განმავლობაში (იხ. პერინატალური პერიოდი). მ.პ. შეიცავს მკვდრადშობადობასა და ადრეულ ნეონატალურ მოკვდაობას.

**მოკვდაობა პოსტნატალური** – იგივეა, რაც ადრეული ნეონატალური მოკვდაობა (იხ. მოკვდაობა ნეონატალური ადრეული).

**მოკვდაობა პოსტნეონატალური** – მოკვდაობა სიცოცხლის 28-ე დღიდან ერთ წლამდე ასაკში.

**მოკვდაობა პროფესიული** – გულისხმობს მოკვდაობის დიფერენციაციას დასაქმების სახეების მიხედვით სხვა ნიშნების (სქესი, ასაკი და სხვ.) გათვალისწინებით. მოკვდაობის შესწავლის ერთ-ერთი მიმართულება. შესაბამისი სტატისტიკური მასალის დამუშავების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მ.პ-ის ასაკობრივ-სქესობრივი კოეფიციენტების გაანგარიშება და ანალიზი. მ.პ-ის ანალიზი შეიძლება შეიცავდეს არა მარტო უფროსი ასაკის მოსახლეობის მოკვდაობის კვლევას, არამედ მკვდრადშობადობისა და ახალდაბადებულთა მოკვდაობასაც მათი მშობლების დასაქმების მიხედვით. მ.პ-ის ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს დასაქმებათა სწორ კლასიფიკაციას. პირველად მ.პ-ის დემოგრაფიული გამოკვლევა ჩატარებულ იქნა ინგლისელი დემოგრაფის უილიამ ფარის მიერ ინგლისისა და უელსის 1861 წლის აღწერის მონაცემებისა და 1860-1861 წწ. მოკვდაობის რეგისტრაციის საფუძველზე.

მ.პ. დიფერენციული მოკვდაობის (იხ.) შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება.

**მოკვდაობა სიკვდილის მიზეზების მიხედვით** – გულისხმობს მოკვდაობის დიფერენციაციას სიკვდილის მიზეზების მიხედვით. მ.ს.მ.მ. ანალიზი საშუალებას იძლევა: შეფასდეს მოკვდაობაში სიკვდილის ცალკეული მიზეზის მნიშვნელობა, გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, თუ მოკვდაობის დონის შემცირებისათვის რომელი დაავადებების წინააღმდეგ უნდა იქნას მიმართული ძირითადი ძალისხმევა, განისაზღვროს ამა თუ იმ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ღონისძიებათა ეფექტიანობა.

მნიშვნელოვანი ცვლილება მოკვდაობის სტრუქტურაში განპირობებულ იქნა ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა შორის თანაფარდობის ცვალებადობით. თუ XX ს. დასაწყისში ინფექციურ დაავადებებს პირველი ადგილი ეჭირათ სიკვდილის მიზეზთა სტრუქტურაში, უკვე XX ს. 60-იანი წწ. მოკვდაობა ამ მიზეზით შემცირდა ათჯერ და მეტჯერ და პირველ ადგილზე გამოვიდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის, ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებისა და აგრეთვე უბედური შემთხვევების, მოწამვლებისა და ტრავმების მიზეზებით.

**მოკვდაობა ჩვილთა** – ბავშვთა მოკვდაობა სიცოცხლის პირველ წელს (0-12 თვე). მ.ჩ. მნიშვნელოვნად ჭარბობს მომდევნო





ასაკობრივი ჯგუფების მოკვდაობას გარდა ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკისა. მ.ჩ. წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს, რომელიც არაპირდაპირ ახასიათებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მ.ჩ. შემცირება ხელს უწყობს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

მ.ჩ. ძირითად მიზეზებს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში წარმოადგენს პერინატალური პერიოდის (იხ. პერინატალური პერიოდი) დაავადებები და ორსულობის დღენაკლულობა. მ.ჩ. დამოკიდებულია აგრეთვე მშობიარობათა რაოდენობაზე, დედის ასაკზე, სოციალურ და ყოფით პირობებზე და სხვა. მ.ჩ. ბიჭებში რამდენადმე უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში.

XX ს. 80-იან წწ. მ.ჩ. ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში მისი მაჩვენებელი 10-ზე ნაკლები იყო, ხოლო აზიისა და აფრიკის რიგ ქვეყნებში (ლაოსი, პაკისტანი, ომანი, ეთიოპია, ჩადი და სხვა) აღემატებოდა 100.

მ.ჩ. შემცირების ძირითადი პირობებია: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლება, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

არსებობს მ.ჩ. მაჩვენებლის გაანგარიშების სხვადასხვა ხერხი (იხ. კოეფიციენტი მოკვდაობისა ჩვილთა).

**მოკვდაობის ბიულეტენები** – გარდაცვლილთა ყოველკვირეული სიები, რომლებიც ქვეყნდებოდა ლონდონში XVI-XVII ს. თავდაპირველად ისინი შეიცავდნენ მონაცემებს მხოლოდ შავი ჭირისაგან გარდაცვლილთა შესახებ. თანდათანობით მ.ბ-ში შეტანილ იქნა მონაცემები დაბადების შესახებ, გარდაცვლილთა და მონათლულთა განაწილება სქესის მიხედვით, დაკრძალულთა ასაკი, ქორწინებისა და სიკვდილის სხვადასხვა მიზეზის შესახებ. მ.ბ. ქვეყნდებოდა დუბლინში და ევროპის ზოგიერთ სხვა ქალაქშიც. მ.ბ. წარმოადგენენ ისტორიული დემოგრაფიის ძვირფას წყაროს. პირველად ისინი გამოყენებულ იქნა ჯ. გრაუნტის მიერ.

**მოკვდაობის ძალა** – დემოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოკვდაობის ინტენსივობის ზომას ასაკის მცირე ინტერვალში. მ.ძ. ტოლია ერთ წელზე დაყვანილი სიკვდილის ალბათობისა უსასრულოდ მცირე ასაკობრივი ინტერვალის მანძილზე. მ.ძ. გამოიყენება მოკვდაობის უწყვეტ მოდელებში ძირითადად სხვადასხვა დემომეტრიულ ფუნქციას შორის კავშირის დასამყარებლად. უშუალოდ დემოგრაფიული ანალიზისას მ.ძ., როგორც წესი, არ გამოიყენება. ცნება "მ.ძ.", დემოგრაფიულ ლიტერატურაში, 1825 წელს შემოიტანა ინგლისელმა მათემატიკოსმა ბენჯამინ გომპერცმა.

**მომაკვდავთა (გარდაცვლილთა) რიცხვი** – მოკვდაობის ცხრილების მაჩვენებელი. წარმოადგენს იმ პირთა რიცხვს, რომლებიც მოკვდნენ მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში დაბადებულთა საწყისი ერთობლიობიდან. აღინიშნება $d_x$-ით.

**მომთაბარეობა** – მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა სისტემატური გადაადგილება. მ. სივრცითი მოძრაობის სახეობაა, რომელიც განპირობებულია მეურნეობის ხასიათისა და ცხოვრების წესით.

მ. აღმოცენდა II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში ევრაზიის მთისა და სტეპის ტომებში შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილების შედეგად. სადღეისოდ მ. განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ ხალხებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ სტეპებში, ნახევარუდაბნოებსა და უდაბნოებში.

**მონიტორინგი** – პერიოდულად ჩატარებული მასობრივი გამოკითხვები, რომლებიც იძლევიან ობიექტურ ინფორმაციას შესასწავლი ობიექტის ცვალებადობის შესახებ საამისოდ შედგენილი სპეციალური ანკეტებისა და მათი შემდგომი ანალიზის საფუძველზე.

**მონოგამია** – ერთქორწინება. ოჯახისა და ქორწინების ისტორიული ფორმა. მ. წარმოიშვა პირველყოფილი საზოგადოების რღვევისას და შემდგომში ქორწინების გაბატონებული ფორმა გახდა. მ-ის დროს მამაკაცი დაქორწინებულია მხოლოდ ერთ ქალზე, ხოლო ქალი – მხოლოდ ერთ მამაკაცზე. ამასთან, წყვილადი ქორწინებისაგან განსხვავებით, საქორწინო კავშირი მათ შორის მყარდება მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ზოგჯერ შეიძლება გრძელდებოდეს მთელი სიცოცხლე.ამასთან იგი ამა თუ იმ ფორმით სანქციონირებულია საზოგადოების მიერ.

**მორტპეკ** (MortPak) – დემოგრაფიული ანალიზისა და პროგნოზირების კომპიუტერული პროგრამა. უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციის მიღებას მოკვდაობის შესახებ, მათ შორის არასრული მონაცემების შემთხვევაში. წარმოადგენს 17 ქვეპროგრამის ნაკრებს. მ. შესაძლებლობას იძლევა: აგებულ იქნას მოკვდაობის მოკლე ცხრილები, სტაბილური მოსახლეობა, გამოყენებულ იქნას მოკვდაობის ტიპური ცხრილები,გადაყვანილ იქნას მოკვდაობის კოეფიციენტები 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფებიდან ერთწლიანში, მიღებულ იქნას მოკვდაობის ზოგადი დონის შეფასება და გათვალისწინებულ იქნას მოკვდაობის რეგისტრაციის სისრულე, შეფასებულ იქნას შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, გაკეთდეს მოსახლეობის პროგნოზი





ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით და სხვა.

**მოსახლეობა** – დედამიწაზე ან მის ცალკეულ ნაწილში მცხოვრები, წარმოებისა და უშუალოდ სიცოცხლის აღწარმოების პროცესში ისტორიულად ჩამოყალიბებადი და უწყვეტად განახლებადი ადამიანთა ერთობლიობა. მ. საზოგადოების მთავარი კომპონენტია. განვითარების ყოველ ეტაპზე მ. გამოდის როგორც ადამიანთა კონკრეტულ-ისტორიული ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს მის სოციალურ-დროით დახასიათებას. ამასთან მ. შეივსება კიდევ ერთი ზოგადი დახასიათებით – სივრცობრივ-ტერიტორიულით. ადამიანები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან გარკვეული ურთიერთობით და ახორციელებენ თავიანთ ცხოველქმედებას საზოგადოების ორგანიზაციის შესაბამისი ტერიტორიის სივრცით საზღვრებში, წარმოქმნიან რა მ-ის შედარებით მდგრად ერთობლიობებს (მატერიკისა და მისი რეგიონების მ., ამა თუ იმ ქვეყნისა და მისი რაიონების მ. და ა.შ.).

მ-ის რაოდენობა, შემადგენლობა, საქმიანობა, ცხოვრების პირობები, აგრეთვე ტერიტორიული დასახლებულობა და განსახლების ფორმები შეესაბამება საზოგადოების განვითარების გარკვეულ დონეს. მ-ის სამუშაო ასაკის ნაწილი მთავარი მწარმოებლური ძალაა, ყოველგვარი მატერიალური და სულიერი დოვლათის შემქმნელია. მ-ის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს წარმავალი თაობების ახალი თაობებით შენაცვლების გზით მისი მუდმივი განახლება.

დემოგრაფიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით მ. განიცდის მუდმივ განახლებას. მ-ის რაოდენობისა და შემადგენლობის ცვლილებები არათანაბრად მიმდინარეობს დროსა და სივრცეში (იხ. დემოგრაფიული ისტორია).

**„მოსახლეობა”** – ინფორმაციული სისტემა (POPIN) – დემოგრაფიული ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და გავრცელების ავტომატიზებული სისტემა. იქმნება 1973 წლიდან მოსახლეობის კომისიის მე-17 სესიის გადაწყვეტილებით. მის შექმნაში მონაწილეობენ გაეროს მოსახლეობის ფონდი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. სისტემის მიზანია ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის უზრუნველყოფა დემოგრაფიული ინფორმაციით.

**მოსახლეობა ავტოქთონური** – იხ. აბორიგენები.

**მოსახლეობა ახალგაზრდა** – მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განზოგადებული დახასიათება,

რომელშიც ბავშვების დიდი წილია და შესაბამისად მცირეა ხანდაზმული და მოხუცი ადამიანების წილი. ბაერო-ს დემოგრაფიული კლასიფიკაციით, მ.ა-ად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა წილი 4%-ზე ნაკლებია. მ.ა-თვის დამახასიათებელია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი ტემპი.

**მოსახლეობა** დაბერებული – მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განზოგადებული დახასიათება, რომელშიც ხანდაზმული და მოხუცი ადამიანების დიდი წილია. ბაერო-ს დემოგრაფიული კლასიფიკაციის მიხედვით, მ.დ-ია, თუ მასში 65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა წილი 7%-ზე მეტია.

**მოსახლეობა** დასაქმებული – სამუშაო ადგილით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

**მოსახლეობა** დაუსაქმებელი – მოსახლეობა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით.

**მოსახლეობა** დახურული – იხ. მოსახლეობა ჩაკეტილი.

**მოსახლეობა** ეგზოტიკური - ერთ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის, რასის და კულტურის მქონე მოსახლეობა. ტერმინი „მ.ე.“ შემოტანილ იქნა ავთანდილ სულაბერიძის მიერ.

**მოსახლეობა** ექსპონენციალური – მათემატიკური მოდელი, რომელიც მოსახლეობას აღწერს ზრდის მუდმივი ტემპითა და მისი აღწარმოების ორი პარამეტრიდან ერთ-ერთით – ასაკობრივი სტრუქტურით ან ცოცხლადობის ფუნქციით.

ამ თვალსაზრისით, მ.ე-ის მოდელი დემოგრაფიაში პირველად, 1907 წელს, შემოთავაზებულ იქნა ალფრედ ჯეიმს ლოტკას მიერ და მისგან დამოუკიდებლივ ვლადისლავ ბორტკევიჩის მიერ 1911 წელს. ა. ლოტკამ აჩვენა,რომ უცვლელი ტემპითა და უცვლელი ამოწყდომის რიგითობით მზარდი მოსახლეობა ისწრაფვის გარკვეული ასაკობრივი სტრუქტურისაკენ და შობადობისა და მოკვდაობის მუდმივი კოეფიციენტებისაკენ. მ.ე-ს უკავია ცენტრალური ადგილი სტაბილური მოსახლეობის თეორიაში (იხ. მოსახლეობა სტაბილური).

თავდაპირველად მ.ე. გამოიანგარიშებოდა მდედრობითი სქესის მოსახლეობისათვის. XX ს. 40-იანი წწ. შუა პერიოდიდან ის განზოგადებულ იქნა ორივე სქესისათვის. ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება განისაზღვროს როგორც მოსახლეობა, რომელშიც მუდმივია: 1) ბიჭების დაბადების წილი; 2) სამი ფუნქცია შემდეგი





ოთხიდან: ქალების ცოცხლადობის ფუნქცია, ქალების განაწილება ასაკის მიხედვით, მამაკაცების ცოცხლადობის ფუნქცია, მამაკაცების განაწილება ასაკის მიხედვით.

**მოსახლეობა** იურიდიული – მოსახლეობის კატეგორია, რომელიც აერთიანებს მოცემულ დასახლებულ პუნქტთან რეგისტრაციის რომელიმე წესით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობას (მაგ. ჩაწერით). მ.ი. არ არის მუდმივი და ფაქტობრივი მოსახლეობის შესატყვისი, ვინაიდან ეს უკანასკნელი ორი კატეგორია გამოიყოფა ადამიანთა ბინადრობის ფაქტობრივი ხასიათის საფუძველზე და არა მისი ადმინისტრაციული გაფორმების მიხედვით.

**მოსახლეობა** კვაზისტაბილური – მოსახლეობის თეორიული მოდელი, რომელშიც შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის უცვლელობის პერიოდის შემდეგ იწყება მოკვდაობის დონის შემცირება და ამასთან შენარჩუნებულია შობადობის მუდმივი ასაკობრივი ინტენსივობა. მ.კ-ის მოდელი სტაბილური მოსახლეობის შემდგომ განზოგადებას წარმოადგენს და რეალური მოსახლეობის დინამიკის იმ პერიოდს ასახავს, როდესაც მოკვდაობის შემცირებას ჯერ კიდევ არა სდევს ასაკობრივი შობადობის კლება. მ.კ-ის ძირითადი თვისება ის არის, რომ დროის ყოველ მომენტში მასში არსებობს თითქმის იგივე თანაფარდობები მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, შობადობის, მოკვდაობისა და მოსახლეობის ბუნებრივი მატების ზოგად კოეფიციენტებს შორის, რაც რომელიმე ესპონენციალურ მოსახლეობაშია. ამის გამო, მ.კ. ფართოდ გამოიყენება იმ ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების განსაზღვრისას, რომელთათვის შესაბამისი სანდო მონაცემები არ არსებობს.

ტერმინი “მ.კ.” პირველად გამოიყენა ფრანგმა დემოგრაფმა ჟ. ბურჟუა-პიშამ 1958 წელს.

**მოსახლეობა** კლებადი – იხ. მოსახლეობა რეგრესული.

**მოსახლეობა** ლოგისტიკური – მოსახლეობის თეორიული მოდელი, სადაც მოსახლეობის რაოდენობა დროში იცვლება ე.წ. ლოგისტიკური მრუდის განტოლების შესაბამისად.

მ.ლ-ს საფუძვლად უდევს ჰიპოთეზა,რომლის თანახმად მოცემულ კონკრეტულ პირობებს შეესაბამება მოსახლეობის გარკვეული ზღვრული რაოდენობა, რომელთანაც მიახლოებისას, ზოგიერთი ხელშემშლელი ძალების გავლენით, იწყება მოსახლეობის ზრდის შენელება.

შემდგომში გაირკვა, რომ მ.ლ. არ ასახავს რეალურად არსებულ მოსახლეობათა დინამიკას და ლოგისტიკური მრუდის განტოლების

მოდერნიზაციათა მცდელობების მიუხედავად ნაკლებად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, ვიდრე ზოგიერთი სხვა დემოგრაფიული პროგნოზირების მეთოდი.

მ.ლ-ის კონცეფცია პირველად 1835 წელს წამოყენებულ იქნა ბელგიელი მეცნიერის ადოლფ კეტლეს მიერ და იგი განავითარა ბელგიელმა მათემატიკოსმა პიერ ფერჰიულსტმა (1838 წელს).

**მოსახლეობა** მალთუსიანური – იგივეა, რაც ექსპონენციალური მოსახლეობა (იხ. მოსახლეობა ექსპონენციალური). ტერმინით "მ.მ." სარგებლობდა ა. ლოტკა. ამ ტერმინმა გავრცელება ჰპოვა საზღვარგარეთის დემოგრაფიულ ლიტერატურაში.

**მოსახლეობა** მიწერილი – იხ. მოსახლეობა იურიდიული.

**მოსახლეობა** მკვიდრი – იხ. აბორიგენები.

**მოსახლეობა** მუდმივი – მოსახლეობის ძირითადი კატეგორია, რომელიც აერთიანებს ადამიანთა ერთობლიობას, რომლისთვისაც მოცემული დასახლებული პუნქტი ან ტერიტორია მოცემული დროისათვის წარმოადგენს ჩვეულებრივი ბინადრობის ადგილს. მ.მ. აღირიცხება მოსახლეობის აღწერებისას XIX ს. შუა პერიოდიდან დაწყებული. მუდმივი ბინადრობის განსაზღვრის კრიტერიუმები იცვლებოდა დროთა განმავლობაში და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

**მოსახლეობა** ნაწილობრივ სტაბილური – თეორიული მოსახლეობის მოდელი დროში მუდმივი ასაკობრივი განაწილებით. მ.ნ.ს. დროის ნებისმიერ მომენტში ემთხვევა სტაბილურ მოსახლეობას (იხ. მოსახლეობა სტაბილური), რომელიც დროის შესაბამის პერიოდში შობადობის რეჟიმსა და ამოწყდომის რიგითობას პასუხობს. მ.ნ.ს-ის მოდელი წარმოადგენს სტაბილური მოსახლეობის შემდგომ განზოგადებას და ასახავს რეალური მოსახლეობის განვითარების იმ ეტაპს, როდესაც მოკვდაობის დონის კლებას ჯერ არ მოჰყვება ასაკობრივი შობადობის შემცირება. მ.ნ.ს-ს თეორიას აქვს მკაცრი თეორიული და დედუქციური ხასიათი. დამტკიცებულია, რომ მოსახლეობა, რომელშიც ყველა ასაკის მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობა თანაბრად მცირდება, წარმოადგენს მ.ნ.ს-ს. ასეთი ვითარება წარმოიქმნება მოკვდაობის კლების საწყის ეტაპზე,როდესაც ლიკვიდირებულია ზოგიერთი ეგზოგენური მიზეზებისაგან გამოწვეული მოკვდაობა, რაც თითქმის ერთნაირ გავლენას ახდენს ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოკვდაობაზე. მ.ნ.ს. წარმოადგენს კვაზისტაბილური





მოსახლეობის ფორმალურ დასაბუთებას და აქვს იგივე გამოყენების სფერო.

ტერმინი "მ.ნ.ს." ლიტერატურაში პირველად 1966 წელს იქნა გამოყენებული. მ.ნ.ს-ის თეორია ძირითადად შემუშავებულ იქნა ფრანგი დემოგრაფის ჟ. ბურჟუა-პიშას მიერ.

**მოსახლეობა** ნახევრად სტაბილური – იხ. მოსახლეობა ნაწილობრივ სტაბილური.

**მოსახლეობა** პროგრესული – მზარდი მოსახლეობის თეორიული მოდელი, რომელიც ასახავს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების რეჟიმს. მ.პ. შეიძლება დახასიათებულ იქნას მოსახლეობის აღწარმოების ერთზე მეტი ნეტო კოეფიციენტით. პრაქტიკულად მ.პ. შეესაბამება ექსპონენციალურ მოსახლეობას დადებითი ზრდის ტემპით.

მ.პ. მოდელი დასაბუთებულ იქნა ვ. ბორტკევიჩის მიერ 1911 წელს და განვითარებულ იქნა ა. ლოტკას მიერ სტაბილური მოსახლეობის თეორიაში. თვითონ ტერმინი "მ.პ." ნასესხები იქნა ვ. ბორტკევიჩის მიერ შვედი მეცნიერის ა.სუნდბერგისაგან, რომელმაც 1899 წელს ასაკობრივი სტრუქტურის სამი ტიპი შემოიღო: პროგრესული, სტაციონარული და რეგრესული.

**მოსახლეობა** რეგრესული – კლებადი მოსახლეობის თეორიული მოდელი, რომელიც ასახავს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმს. პრაქტიკაში მ.რ. შეესაბამება ექსპონენციალურ მოსახლეობას (იხ. მოსახლეობა ექსპონენციალური) უარყოფითი მატების ტემპით. მ.რ. შეიძლება დახასიათებულ იქნას მოსახლეობის აღწარმოების ერთზე ნაკლები ნეტო კოეფიციენტით. მ.რ-ის ასაკობრივი სტრუქტურა შეესაბამება ე.წ. "რეგრესულ" ტიპს (ასაკობრივი პირამიდა ვიწრო საფუძვლით და გაფართოებული წვეროთი). მ.რ-ში შობადობის კოეფიციენტი ნაკლებია მოკვდაობის კოეფიციენტზე. მ.რ-ის მდგომარეობის შენარჩუნებას მოჰყვება დეპოპულაცია. მ.რ-ს შეიძლება ჰქონდეს ადგილი მოსახლეობის დადებითი ბუნებრივი მატების შემთხვევაშიც, თუ მიგრაციის სალდო მუდმივად უარყოფითია და ის ჭარბობს მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელს.

**მოსახლეობა** საშუალო – მთელი განსახილველი პერიოდისათვის მოსახლეობის განმაზოგადებელი მაჩვენებელი. მ.ს-ს გამოსაანგარიშებლად გამოიყენება სხვადასხვა ხერხი. ყველაზე გავრცელებულია მ.ს-ს გამოთვლა როგორც საშუალო ქრონოლოგიურისა. თუ მოსახლეობის რაოდენობას განვიხილავთ rogorc S(t) დროის ფუნქციას რომელიმე პერიოდისათვის $t=t_0$-დან $t=t_0+T$ -მდე, სადაც T დაკვირვების პერიოდის სიდიდეა, მაშინ

მ.ს. (S) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$S = \frac{1}{T}\int_{t_0}^{t_0+T} S(t)dt.$$

მ.ს-ს დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სახის გაანგარიშებისა და დემოგრაფიული ანალიზისას.

**მოსახლეობა** საშუალოწლიური – წლის განმავლობაში მოსახლეობის საშუალო რაოდენობა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოითვლება წლის შუა პერიოდისათვის. უფრო ხშირად მ.ს. გამოიანგარიშება როგორც წლის დასაწყისისა და წლის დასასრულისათვის არსებული მოსახლეობის რაოდენობათა საშუალო არითმეტიკული.

**მოსახლეობა** სახეზე მყოფი – იხ. მოსახლეობა ფაქტობრივი.

**მოსახლეობა** სოფლისა – ქვეყნის, რაიონის, სასოფლო დასახლებათა მთელი ერთობლიობის მცხოვრებლები. მ.ს. წარმოადგენს სასოფლო ადგილის მუდმივ მოსახლეობას. მ.ს. მოსახლეობის კატეგორიაა, რომელიც გამოიყოფა მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვისას.

**მოსახლეობა** სტაბილური – მოსახლეობის თეორიული მოდელი შობადობისა და მოკვდაობის დროში უცვლელი ასაკობრივი ინტენსივობითა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურით. მ.ს. იგულისხმება ჩაკეტილად, ე.ი. არ განიცდის მიგრაციული პროცესების გავლენას. დემოგრაფიული ანალიზისას მ.ს-ის მოდელის გამოყენება ეფუძნება სამ თვისებას: 1) მ.ს-ს ახასიათებს დროში უცვლელი მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი. მაშასადამე, მისი რაოდენობის ცვალებადობა აღიწერება დროის ექსპონენციალური ფუნქციით, ხოლო მ.ს. წარმოადგენს ექსპონენციალური მოსახლეობის კერძო შემთხვევას; 2) შობადობის ყოველ რეჟიმს და ამოწყდომის რიგითობას შეესაბამება ერთადერთი მ.ს. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმით; 3) მოსახლეობას, რომელშიც დროის რომელიმე მომენტიდან უცვლელი რჩება შობადობის რეჟიმი და ამოწყდომის რიგითობა, თანდათან სტაბილიზირდება ასაკობრივი სტრუქტურაც. ეს თვისება ცნობილია ერგოდიულობის სახელით (იხ. ერგოდიულობის თვისება), ხოლო მოსახლეობა კი ხდება – ასიმპტოტური (იხ. მოსახლეობა სტაბილური ასიმპტოტური).

მ.ს. მოდელი გამოიყენება: 1) მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის





ინტეგრალურ მახასიათებელთა გაანგარიშებისათვის, მაგ., ისეთისათვის როგორიცაა კოეფიციენტი მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა ჭეშმარიტი და სხვა; 2) ერთი მხრივ, შობადობის რეჟიმისა და ამოწყდომის რიგითობის ურთიერთგავლენის და, მეორე მხრივ, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისათვის; 3) დემოგრაფიულ გაანგარიშებათა და პროგნოზირებისათვის, როდესაც სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის შესახებ სანდო არ არის; 4) მოსახლეობის ბუნებრივი მატების სხვადასხვა ჰიპოთეზისას მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა ანალიზისათვის; 5) სხვა დემოგრაფიული და ეკონომიკური მოდელების შემადგენელ ნაწილად.

მ.ს-ის მოდელის საშუალებით დემოგრაფიული ვითარების ანალიზს საფუძვლად უდევს პროექცია მოსახლეობის აღწარმოების მომავალ თავისებურებებზე დროის რომელიმე პერიოდში იმ დაშვებით, რომ შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობები უცვლელი დარჩება და რომელიმე პერიოდის შემდეგ მოსახლეობა გახდება სტაბილური.

მ.ს-ის მოდელები შეიძლება იყოს როგორც უწყვეტი, ისევე დისკრეტული.

მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდის იდეა როგორც მ.ს-is საფუძველი პირველად გამოთქმულ იქნა ინგლისელი მ. ჰეილის მიერ 1677 წელს. მ.ს-ის თეორიის დამუშავების დასასრულად მიჩნეულია 1907 წელი, ხოლო მის ავტორად ითვლება ა. ლოტკა. 1911 წელს ვ. ბორტკევიჩის მიერ საბოლოო სახით იქნა მოცემული ექსპონენციალური მოსახლეობის თეორია. ამ მიმართულებით ბოლო დროის ნაშრომებიდან აღსანიშნავია ჟ. ბურჟუა-პიშას მიერ განვითარებული ნაწილობრივ სტაბილური მოსახლეობის თეორია (1971 წ.).

**მოსახლეობა** სტაბილური ასიმპტოტური – მოსახლეობის თეორიული მოდელი, რომელიც აღწერს მოსახლეობის აღწარმოებას დემოგრაფიული გადასვლის შემდგომ ეტაპზე ან რომელიმე კატაკლიზმების შემდეგ (ომები, ეპიდემიები და ა.შ.), რომლებიც არღვევენ მის ასაკობრივ სტრუქტურას. მ.ს.ა-ის რაოდენობის დინამიკის თავისებურება სტაბილურ მოსახლეობასთან შედარებისას დამოკიდებულია მხოლოდ საწყის ასაკობრივ სტრუქტურაზე და იზომება მოსახლეობის მატების პოტენციალით.

**მოსახლეობა** სტანდარტული – პირობითად გამოყოფილი მოსახლეობა (ჩვეულებრივ ერთი ან რამდენიმე რეალური მოსახლეობის სტრუქტურების გასაშუალების გზით), რომლის დახმარებით სწარმოებს დემოგრაფიული კოეფიციენტების სტანდარტიზაცია.

**მოსახლეობა სტაციონარული** – თეორიული მოსახლეობა, რომელიც წარმოადგენს სტაბილური მოსახლეობის კერძო შემთხვევას, როდესაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტი კოეფიციენტი ნულის ტოლია და მოსახლეობის რაოდენობა უცვლელია.

მ.ს-ის თეორიის ძირითადი შინაარსი გამოიხატება თანაფარდობათა სისტემით დაბადებულთა, ცოცხლად მყოფთა, გარდაცვლილთა და სიკვდილისა და დაბადებათა ალბათობებს შორის. ეს თანაფარდობები გამოიყენება დემოგრაფიული ცხრილების, უპირველეს ყოვლისა კი მოკვდაობის ცხრილების აგებისათვის. მ.ს-ის ასაკობრივი სტრუქტურა განისაზღვრება ცოცხლადობის ფუნქციით.

მ.ს-ის თეორიის საფუძვლები ჩამოყალიბებულ იქნა ინგლისელი ედმუნდ ჰალეის მიერ 1693 წელს. XIX ს. ბოლოს გერმანელმა გეორგ კნაპმა დეტალურად დაამუშავა მ.ს-ის ძირითადი რაოდენობრივი თანაფარდობები. საბოლოო სახით მ.ს-ის თეორია XX ს. პირველ მესამედში გადმოცემულ იქნა ალფრედ ლოტკას მიერ.

**მოსახლეობა ფაქტობრივი** – მოსახლეობის ძირითადი კატეგორია, რომელიც აერთიანებს ადამიანების ერთობლიობას, რომელიც აღწერის მომენტში მოცემულ დასახლებულ პუნქტში ან მოცემულ ტერიტორიაზე იმყოფება. მ.ფ. აღირიცხება მოსახლეობის აღწერებისას ა. კეტლეს მიერ ბელგიაში 1846 წელს ჩატარებული აღწერიდან მოყოლებული.

ქართულ დემოგრაფიულ ლიტერატურაში მ.ფ-ის ნაცვლად ხშირად არასწორად გამოიყენება ტერმინი "მოსახლეობა სახეზე მყოფი".

**მოსახლეობა ქალაქისა** – ქვეყნის, რაიონის ქალაქურ დასახლებათა მთელი ერთობლიობის მცხოვრებლები. მ.ქ. მოსახლეობის კატეგორიაა, რომელიც გამოიყოფა მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვისას. მ.ქ. და სოფლის მოსახლეობის რაოდენობათა თანაფარდობა ძირითადად ახასიათებს რომელიმე ქვეყნის ან რაიონის ურბანიზაციის ხარისხს.

**მოსახლეობა ქორწინებისუნარიანი** – მამაკაცებისა და ქალების ერთობლიობა, რომელთაც აქვთ ქორწინებისუნარიანობა (იხ.). იგულისხმება ქორწინების ასაკის ქორწინებაში არმყოფი მამაკაცებისა და ქალების ერთობლიობა.

**მოსახლეობა ღია** – მოსახლეობა, რომლის საერთო





რაოდენობა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა იცვლება არა მარტო მოსახლეობის აღწარმოების პროცესის, არამედ მიგრაციის გავლენითაც, რომელიც განიხილება მოსახლეობის რაოდენობის შევსების (კლების) წყაროდ.

**მოსახლეობა ჩაკეტილი** – მოსახლეობა, რომლის საერთო რაოდენობა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა იცვლება მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების პროცესის (ე.ი. შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების) შედეგად და არ განიცდის მიგრაციის გავლენას.

m.C-is koncefcia, Sigademografiuli urTierTkavSirebis gamosavlenad,pirvelad XVIII s. wamoayena leonardeilerma.

**მოსახლეობის ავტომატიზებული კარტოთეკა** – რიგ ქვეყნებში მოსახლეობის მიმდინარე აღრიცხვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ქვეყნისათვის ან მისი მსხვილი რეგიონებისათვის ერთიანი მოსახლეობის რეგისტრის (იხ. მოსახლეობის რეგისტრი) წარმოებას, ინფორმაციის მოპოვების, შენახვისა და დამუშავებისათვის გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

მ.ა.კ-ისა და მოსახლეობის რეგისტრის წარმოების ძირითადი პრინციპები და წესები ემთხვევა. მ.ა.კ-ს ჩვეულებრივ აწარმოებენ ცენტრალური სტატისტიკური ორგანოები. მ.ა.კ-ის ორგანიზების საფუძველს წარმოადგენს მოსახლეობის აღწერის მასალები. დაკვირვების პროგრამა, როგორც წესი, არ სცილდება იმ ზოგადი ნიშნების საზღვრებს, რომლებიც მუდმივია ადამიანის სიცოცხლის მანძილზე ან რომელთა ცვალებადობაზე დაკვირვება შეიძლება მიგრაციისა და დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების საფუძველზე: გვარი, სახელი, ქორწინებაში ყოფნა, დამოკიდებულება უახლოეს ნათესავებთან, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მდგომარეობა გარკვეული მომენტისათვის – ცხოვრობს მოცემული პირი დასახლებულ პუნქტში, წასულია, თუ გარდაიცვალა (თარიღის მითითებით), მოსახლეობის აღწერის შემდეგ ქვეყანაში ჩამოსული პირებისათვის – ჩამოსვლის თარიღი.

**მოსახლეობის აღრიცხვა** – 1) რომელიმე ტერიტორიის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ მონაცემთა შეგროვება.

2) მოსახლეობის შესახებ მონაცემთა მიღების კონკრეტული სახე. მონაცემთა შეგროვების სიხშირისა და ხასიათის მიხედვით ანსხვავებენ ერთდროულ და მიმდინარე მ.ა-ს.

ერთდროული მ.ა. წარმოადგენს მონაცემთა ერთჯერად შეგროვებას ძირითადად იმ ადამიანთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც გარკვეულ დროს ცხოვრობენ ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში ან რაიონში. მოსახლეობის აღწერისაგან განსხვავებით,

იგი გამარტივებული წესებით წარმოებს და გულისხმობს მონაცემთა მიღებას მხოლოდ მცხოვრებთა საერთო რაოდენობის შესახებ, ზოგჯერ ასაკისა და სქესის მიხედვითაც. ამასთან, მ.ა. ყოველთვის არ წარმოებს გამოკითხვის საფუძველზე; ხშირად საამისოდ გამოიყენება მცხოვრებთა ესა თუ ის სიები ან სხვა დოკუმენტები, ე.ი. მხედველობაში მიიღება ე.წ. იურიდიული მოსახლეობა (იხ. მოსახლეობა იურიდიული). ამის გამო ერთდროული მ.ა-ის სანდოობა უშუალოდ არის დამოკიდებული შესაბამისი დოკუმენტების სისრულესა და სისწორეზე.

მიმდინარე მ.ა. წარმოადგენს მოცემული ტერიტორიის მცხოვრებთა ამა თუ იმ სიების წარმოებას, რომლებიც განკუთვნილია მოსახლეობის თანამედროვე რაოდენობის შეფასებისათვის, მის ყველა ცვალებად შემთხვევათა (დაბადება, სიკვდილი, ჩამოსვლა, წასვლა) რეგისტრაციის საფუძველზე მათი წარმოშობისას.

**მოსახლეობის აღწარმოება** – თაობათა მუდმივი განახლების პროცესი, რომელიც შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს.

მ.ა. ალბათური პროცესია, რომელსაც წარმოქმნის შობადობისა და მოკვდაობის მრავალი ერთეული შემთხვევა. პოპულაციის ხანგრძლივი არსებობა გულისხმობს მისი გარემოსთან ურთიერთქმედების პირობების შენარჩუნებას, რაც შესაძლებელია დემოგრაფიული შემთხვევების გარკვეული სახით მოწესრიგების შემთხვევაში. მსგავს პროცესებს ადგილი აქვს ბუნებაშიც. ბუნებაში პოპულაციის გამრავლებას აქვს ბიოლოგიური საფუძვლები. ადამიანის წარმოშობისა და მისი და საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე პოპულაციის აღწარმოების მართვის სისტემა განიცდის თვისებრივ ცვლილებას. გამრავლების ბიოლოგიურ მექანიზმებთან ერთად თავს იჩენს მართვის სოციალური მექანიზმები და ფუნქციონირებას იწყებს მ.ა-ის მართვის ახალი სისტემა.

მ.ა. თავის განვითარებაში გაივლის სხვადასხვა ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან. ისტორიულად მ.ა-ის ყოველი მსხვილი ეტაპისათვის დამახასიათებელია დემოგრაფიული პროცესების თავისებური მსვლელობა შესაბამისი დემოგრაფიული ურთიერთობებით და დემოგრაფიული ქცევით. მ.ა-ის ამ თვისებრივ ნიშანთა ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნებასა და განზოგადებას მივყავართ მ.ა-ის ტიპების ცნებასთან და კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორიის განხილვასთან როგორც ამ ტიპების თანმიმდევრობით ცვლასთან (იხ. მოცემული ლექსიკონის ის ნაწილი, სადაც განხილულია მ.ა-ის ტიპები).

მ.ა-ის პროცესის რაოდენობრივ ზომაზე წარმოდგენას იძლევა მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მაჩვენებლები, რომლებშიც





გაერთიანებულია შობადობისა და მოკვდაობის რეჟიმის მაჩვენებლები. ისინი მ.ა-ის რეჟიმის ეგზოგენურ პარამეტრებს მიეკუთვნებიან და განსაზღვრავენ მის ენდოგენურ პარამეტრებს – მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას, აგრეთვე მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტს (ან მოსახლეობის ბუნებრივი მატების ჭეშმარიტ კოეფიციენტს).

მ.ა. ერგოდიულ პროცესს წარმოადგენს (იხ. ერგოდიულობის თვისება). მოსახლეობის თანამედროვე ასაკობრივი სტრუქტურა ნაკლებად ხდება დამოკიდებული წინა სტრუქტურაზე და სულ უფრო მეტად – ეგზოგენური პარამეტრების წარსული პერიოდის დინამიკაზე (სუსტი ერგოდიულობა).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეგზოგენური პარამეტრების როლი დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესში, რომელიც იწყება მას შემდეგ, როდესაც ეს პარამეტრები მუდმივი (გარკვეულ ფარგლებში) გახდება. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა მიისწრაფვის წონასწორობის მდგომარეობისაკენ, რომლის დროსაც ის სტაბილური ხდება. მისი ასაკობრივი შემადგენლობა განისაზღვრება შობადობისა და მოკვდაობის რეჟიმით, ხოლო მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა არ არის დამოკიდებული ასაკობრივ შემადგენლობაზე (ძლიერი ერგოდიულობა). ამ დინამიკაში ასაკობრივი შემადგენლობის დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიმჩნევა მხოლოდ სტაბილიზაციის დამთავრების შემდეგ და ის საბოლოო ხდება.

საბოლოო ჯამში მ.ა-ის პროცესი და მისი შედეგები დამოკიდებული არიან ეგზოგენურ პარამეტრებზე.

პირველი ცდები მ.ა-ის გააზრებისა, როგორც შობადობისა და მოკვდაობის ერთიანობისა, გამოთქმული იყო ლ. ეილერის მიერ XVII ს. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ანალიზის ინტერესის სფეროს უფრო მისი ცალკეული შემადგენლები წარმოადგენენ, ვიდრე მ.ა. მთლიანობაში. მხოლოდ XX ს. პირველი ათწლეულიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც შეიქმნა სტაბილური მოსახლეობის მოდელი, შესაძლებელი გახდა მ.ა-ის პროცესის მთლიანობაში დანახვა და მისთვის დამახასიათებელი შინაგანი რაოდენობრივი დამოკიდებულების გაგება. დასრულებული სახით ეს მოდელი წარმოდგენილ იქნა ამერიკელი დემოგრაფის ალფრედ ლოტკას მიერ (1907 წ.), თუმცა მას ბევრი წინამორბედი ჰყავდა და შემდგომშიც არაერთმა დემოგრაფმა შეიტანა თავისი წვლილი მასთან დაკავშირებით.

**მოსახლეობის აღწარმოება გაფართოებული** – მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო თაობის რაოდენობა აღემატება წინა თაობის რაოდენობას, რაც განაპირობებს მოსახლეობის რაოდენობის მატებას. მ.ა.გ-ის დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია.

**მოსახლეობის აღწარმოება მარტივი** – მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო და წინა თაობის რაოდენობა ტოლია (დაახლოებით). მ.ა.მ-ის დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთის ტოლია, ხოლო შობადობის ჯამობრივი და შობადობის ზოგადი კოეფიციენტები შესაბამისად 2,10 და 13,7 (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას: ორივე სქესი – 73,1, ქალები – 75,0, მამაკაცები – 71,2).

**მოსახლეობის აღწარმოება შეკვეცილი (შეკვწრომებული)** – მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო თაობის რაოდენობა ნაკლებია წინა თაობის რაოდენობაზე. მ.ა.შ.(შ)-ის დროს მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე ნაკლებია. ნეტო-კოეფიციენტის ასეთი სიდიდე არ ნიშნავს მოსახლეობის რაოდენობის დაუყოვნებლივ შემცირებას. მ.ა.შ-ის რეჟიმის გამოჩენა განიხილება როგორც დეპოპულაციის (იხ.) პოტენციური ნიშანი.

**მოსახლეობის აღწარმოების არქეტიპი** – მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი ტიპი, რომელიც დამახასიათებელი იყო კაცობრიობის ისტორიის ადრეული ეტაპისათვის, კლასობრივამდელი საზოგადოებისათვის. ის ჩამოყალიბდა პალეოლითის ხანაში და დაკავშირებული იყო პალეოლითის ეკონომიკასთან და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლებიც მის ბაზაზე ვითარდებოდნენ. არქეტიპის დროს მოკვდაობა ძალიან მაღალი იყო და პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა ათასწლეულების მანძილზე. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა დაახლოებით 20 წელს. ერთი დედის ცოცხლად დარჩენილი ბავშვების რაოდენობა საშუალოდ ორის ფარგლებში მერყეობდა. ამის გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის არ იცვლებოდა და ძალიან ნელა იზრდებოდა. მ.ა.ა-მა გასტანა ნეოლითის ხანამდე.

**მოსახლეობის აღწარმოების დეპოპულაციური ტიპი** - იხ. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპი.

**მოსახლეობის აღწარმოების ექსტენსიური ტიპი** – ის. მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი.

**მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი** – მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი ტიპი,რომელიც თავდაპირველად წარმოიქმნა XVIII ს. ბოლოს დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად





განვითარებულ ქვეყნებში (საქართველოში – XIX საუკუნეში). ამ დროიდან მოყოლებული იწყება მოკვდაობის (იხ. მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი) ფაქტორების შეზღუდვა. იზრდება მედიცინის როლი, თავი იჩინა ახალმა სანიტარულ-ჰიგიენურმა პირობებმა, რაც გამომდინარეობდა მრეწველობის განვითარებიდან და მასთან დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული პროგრესიდან.

XIX ს. შუა პერიოდამდე მოკვდაობა ძირითადად გამოწვეული იყო ეგზოგენური ფაქტორებით (ტუბერკულოზი, პნევმონია, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები). XX ს. მოკვდაობა ძირითადად გამოწვეულია ენდოგენური ფაქტორებით (გულ-სისხლძარღვთა და სხვა).

თანამედროვე ტიპის დროს წინასთან (ტრადიციულთან) შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. უკვე XIX ს. შუა პერიოდისათვის განვითარებულ ქვეყნებში მან 40 წელს მიაღწია, ხოლო 1905 წლისათვის 45-55 წელს.

რაც შეეხება შობადობას, მ.ა.თ.ტ-ის დროს, წინამორბედისაგან განსხვავებით, ყურადღებას იქცევს რაოდენობრივი ცვლილებები. მ.ა.თ.ტ-თვის წინასთან შედარებით შობადობის დაბალი დონეა დამახასიათებელი, თვისებრივი თვალსაზრისით მ.ა.თ.ტ-თვის არსებითია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება, რომელიც უცხოა წინა ტიპებისათვის. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა შობადობის დონეებში რაოდენობრივი სხვაობა მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული და თანამედროვე ტიპებს შორის.

**მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფაზები** – მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფარგლებში შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებელთა გარკვეული პირობითი საფეხურები. მ.ა.თ.ტ.ფ-ში გამოყოფენ რამდენიმე ფაზას:

I ფაზის დროს მოკვდაობა უფრო მნიშვნელოვნად კლებულობს, ვიდრე შობადობა, რაც იწვევს მოსახლეობის ბუნებრივი მატების სწრაფ ზრდას.

II ფაზის დროს მოკვდაობის კლება გრძელდება და ფაზის ბოლოსათვის მიიღწევა ყველაზე დაბალი მაჩვენებელი. ამავე დროს კლებას იწყებს შობადობა. შობადობის კლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოკვდაობისა, ამიტომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება თანდათან ნელდება.

III ფაზის დროს იზრდება მოკვდაობა. ეს ზრდა გამოწვეულია ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებით (დემოგრაფიული დაბერებით). შობადობის შემცირება ნელდება და ფაზის ბოლოს აღწევს მარტივი აღწარმოებისათვის საჭირო დონეს. თუმცა იმავე დროს მოკვდაობა მაინც უფრო ნაკლებია შობადობაზე.

IV ფაზის დროს მოკვდაობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს – დაახლოებით 13-ს მოსახლეობის 1000 სულზე. ამით დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესი უნდა დამთავრდეს. ამის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა უნდა შეწყდეს

და ერთ უცვლელ დონეზე დარჩეს.

დემოგრაფების ნაწილი მიიჩნევს, რომ IV ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია V ფაზის დადგომა. მის დროს შობადობის ძლიერი კლების შედეგად იწყება მოსახლეობის რაოდენობის შემცირება.

დემოგრაფთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ IV ფაზის დასრულების შემდეგ მოსალოდნელია თვისებრივად ახალი მოსახლეობის აღწარმოების ტიპი,რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იქნება დეპოპულაცია (იხ. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპი).

მოცემული სქემა ასახავს დემოგრაფიული განვითარების მთავარ მიმართულებას, მაგრამ არ გამორიცხავს გარკვეულ ცვალებადობასა და გადახრას ძირითადი ტენდენციებისაგან.

**მოსახლეობის აღწარმოების ინტეგრალური განტოლება** – მათემატიკური განტოლება, რომელიც ადგენს კავშირს, ერთი მხრივ, მოსახლეობის რაოდენობასა და ასაკობრივ სტრუქტურას და, მეორე მხრივ, შობადობისა და მოკვდაობის ასაკობრივ ინტენსივობას შორის. მ.ა.ი.გ. როგორც მოსახლეობის აღწარმოების ელემენტი გამოიყენება მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის პარამეტრების ურთიერთკავშირის ანალიზისას. შემოთავაზებულ იქნა ა. ლოტკას მიერ 1907-1939 წლების ნაშრომებში. მ.ა.ი.გ-ს $[N^F(t)]$ აქვს შემდეგი სახე:

$$N^F(t) = \delta(t)\int_0^{\infty} N^F(t-x)l^F(x,t-x)f(x,t-x)dx,$$

სადაც $N(t)$ არის დაბადებათა სიმჭიდროვე; $F$ - ინდექსი აღნიშნავს მდედრობით სქესს; $l(x,t)$ – ცოცხლადობის ფუნქცია: $f(x,t)$– შობადობის ფუნქცია; $\delta(t)$ – $t$ მომენტში დაბადებულთა შორის გოგონების წილი.

**მოსახლეობის აღწარმოების ინტენსიური ტიპი** – იხ. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი.

**მოსახლეობის აღწარმოების პრიმიტიული ტიპი** – იხ. მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი.

**მოსახლეობის აღწარმოების რაციონალური ტიპი** – იხ. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი.

**მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი** – დემოგრაფიული





კატეგორია, რომელიც აღნიშნავს განსახილველი დროის მომენტისათვის მოსახლეობის აღწარმოების პროცესის კონკრეტული რაოდენობრივი მახასიათებლების ერთობლიობას. მ.ა.რ-ს აღწერენ ეგზოგენური და ენდოგენური პარამეტრების ნაკრების თანმიმდევრობითი ინტერპრეტაციით სტაბილური მოსახლეობის მოდელის ფარგლებში (მ.ა.რ-ის პარამეტრების შესახებ იხ. მოსახლეობის აღწარმოება). მ.ა.რ-ის პარამეტრები შეიძლება იცვლებოდეს ფართო ფარგლებში, მაგრამ ისინი არ სცილდება როგორც ადამიანის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს, ასევე მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ისტორიულ საზღვრებს. ამ მხრივ შეიძლება ვილაპარაკოთ მოსახლეობის აღწარმოების რომელიმე ტიპის რეჟიმზე. მრავალი მ.ა.რ. შეიძლება დაყვანილ იქნას აგრეთვე სამ სახეობაზე – გაფართოებული, მარტივი ან შეკვეცილი (იხ. მოცემული ლექსიკონის: მოსახლეობის აღწარმოება მარტივი და ა.შ.).

**მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის ეკონომიურობა** – დემოგრაფიული "დანახარჯებისა " და "შედეგების" თანაფარდობა.

თუ დანახარჯებს შევაფასებთ მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო-koeficientiT (R), ხოლო შედეგებს – ნეტო-კოეფიციენტით ($R_0$), მაშინ მათი თანაფარდობა $(R/R_0)$ შეიძლება განვიხილოთ როგორც მ.ა.რ.ე-ის ზომა. მ.ა.რ.ე. უჩვენებს, თუ საშუალოდ რამდენი გოგო უნდა გააჩინოს ერთმა ქალმა, რომ უზრუნველყოფილ იქნას დედათა თაობის მარტივი შენაცვლება (მარტივი აღწარმოება). მ.ა.რ.ე. მით უფრო მაღალია, რაც უფრო ახლოსაა ერთთან აღნიშნული თანაფარდობა.

**მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი** – წარმოიქმნება მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის მეორეთი შეცვლის პერიოდში. მ.ა.ტ.პ. აერთიანებს როგორც წარმავალი, ისევე მომავალი ტიპებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ძირითადი ტიპებისაგან განსხვავებით მ.ა.ტ.პ. მდგრადი არ არის და არ შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობა.

ტერმინი „მ.ა.ტ.პ." შემოტანილია ავთანდილ სულაბერიძის მიერ მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპის ნაცვლად. მისი აზრით, სხვადასხვა კრიტერიუმით,მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი ვერ აკმაყოფილებს „ტიპი"-სათვის დამახასიათებელ ძირითად მოთხოვნებს და ამდენად იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ მოსახლეობის აღწარმოების ტიპად.

**მოსახლეობის აღწარმოების ტიპი** – კატეგორია,რომელიც ასახავს მოსახლეობის აღწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან თვისებრივ მხარეებს მეტ-ნაკლებად მსგავს ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პირობებში. მ.ა.ტ. მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმთან და განსაზღვრავს იმ საზღვრებს, რომელშიც

შეიძლება იცვლებოდეს აღწარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლები. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოყენებულ იქნას მ.ა.ტ-ის იდენტიფიკაციისათვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულ იქნება მათი მთელი სისტემა, რადგან რომელიმე ცალკეული მაჩვენებელი შეიძლება ერთნაირი იყოს სხვადასხვა მ.ა.ტ-თვის.

თითოეული მ.ა.ტ-ის ჩამოყალიბება და განვითარება იმავე დროს არის შესაბამისი შობადობისა და მოკვდაობის ტიპის ჩამოყალიბება და განვითარება.

სხვადასხვა მ.ა.ტ. წარმოადგენს კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორიის თანმიმდევრულ ეტაპებს. ამასთან დაკავშირებით გამოყოფდნენ სამ მ.ა.ტ-ს – არქტიპს, ტრადიციულს და თანამედროვეს. დემოგრაფების ნაწილი გამოყოფს მეოთხე მ.ა.ტ-ს - უახლესს. (იხ. მოცემული ლექსიკონის შესაბამისი ნაწილები).

**მოსახლეობის აღწარმოების ტიპის ფაზა** – კატეგორია, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის აღწარმოების ტიპის შემადგენელ ნაწილს, მისი განვითარების საფეხურს და ასახავს მის ფარგლებში მიმდინარე შობადობისა და მოკვდაობის ცვალებადობას. ფაზები გამოყოფილი იყო მხოლოდ მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის (იხ. მოცემული ლექსიკონის შესაბამისი ნაწილი). თითოეულ ფაზას შეესაბამება შობადობისა და მოკვდაობის გარკვეული რეჟიმი.

ბოლო დროს (2004 წელს ვ. სულაბერიძის მიერ) მ.ა.ტ.ფ-ები გამოყოფილ იქნა მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპისათვის.

**მოსახლეობის აღწარმოების ტრადიციული ტიპი** – დამახასიათებელი იყო კაპიტალისტურამდელი, აგრარული კლასობრივი საზოგადოებისათვის და კაპიტალისტური განვითარების საწყისი სტადიისათვის. მ.ა.ტ.ტ. წარმოიშვა ნეოლითის ხანაში და ემთხვევა ამ დროს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ რევოლუციას (მიმთვისებლური მეურნეობიდან წარმოებრივ მეურნეობაზე გადასვლა, რასაც მოჰყვა მყარად ბინადარი ცხოვრების საფუძვლის შექმნა და მძლავრი დასახლებების გაჩენა). მ.ა.ტ.ტ. გაბატონებული იყო XVIII საუკუნემდე, თუმცა ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობას XX ს-შიც. ეს ტიპი ახასიათებდა.

მ.ა.ტ.ტ-ის მოკვდაობა ორი კომპონენტისაგან შედგებოდა: ე.წ. „ნორმალური" მოკვდაობა, რომელიც შეიმჩნეოდა შედარებით ხელსაყრელ პერიოდში და კატასტროფული მოკვდაობა, რომელიც დამახასიათებელი იყო განსაკუთრებული არახელსაყრელი პერიოდისათვის. მ.ა.ტ.ტ-ის დროს მოკვდაობა საკმაოდ მაღალი იყო, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წელს შეადგენდა.

მთელი ტრადიციული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო





ქორწინების მსგავსი ფორმები. დემოგრაფიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადრეული ქორწინების ასაკი და იმათი ძალიან დაბალი წილი, ვინც საერთოდ არ ქორწინდებოდა.

შობადობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების არარსებობა, რისი შედეგიც იყო შობადობის მაღალი დონე. მაღალი შობადობისა და მაღალი მოკვდაობის პირობებში დაბალი იყო მოსახლეობის მატების ტემპი, რომელიც წელიწადში საშუალოდ 0,03 – 0,04%-ს შეადგენდა.

**მოსახლეობის აღწარმოების უახლესი** (depopulaciuri) tipi - მოსახლეობის აღწარმოების ტიპი, რომელიც დადგება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის შემდეგ. მ.ა.უ.(დ).ტ-თვის დამახასიათებელია შობადობაზე მოკვდაობის მეტობა, რომელიც დეპოპულაციის სახით ჩამოყალიბდება.

ვლადიმერ სულაბერიძის მიერ გამოყოფილ იქნა მ.ა.უ.(დ).ტ-ის ოთხი ფაზა.

ქართველ დემოგრაფთა შორის მ.ა.უ.(დ).ტ-ის შესწავლაში აღსანიშნავია ავთანდილ სულაბერიძისა და ვლადიმერ სულაბერიძის წვლილი.

ზოგიერთი ავტორის მიერ დემოგრაფიულ ლიტერატურაში მ.ა.უ.(დ).ტ-ის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი მოსახლეობის აღწარმოების „ცივილიზებული ტიპი".

**მოსახლეობის აღწარმოების ფაზათაშორისი პერიოდი** - მოსახლეობის აღწარმოების რომელიმე ტიპის ფარგლებში ერთი ფაზის მეორეთი შეცვლისას არსებული პერიოდი. გამოყოფენ ფაზიდან ფაზაზე გადასვლის ორ სახეს: ფარულს, ანუ დახურულს და მეორეს - აშკარას, ანუ ღიას. ამასთან, მ.ა.ფ.პ-ის დასადგენად მთელი რიგი კრიტერიუმებია მიჩნეული.

მ..ა.ფ.პ. საქართველოს მაგალითზე განხილულ-გაანალიზებული იქნა ავთანდილ სულაბერიძის მიერ.

**მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი** - იხ. მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი პერიოდი.

**მოსახლეობის აღწერა** – განსაზღვრული დროისათვის ქვეყნის ან მისი რომელიმე ნაწილის თითოეულ მცხოვრებზე დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცნობების შეკრება. ზოგჯერ ცნება – „მ.ა." შეიცავს აგრეთვე მონაცემთა damuSavebasa da gamoqveynebas. ბაერო-ს სტატისტიკური კომისიის განსაზღვრით, მ.ა. წარმოადგენს დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ მონაცემთა შეკრების, განზოგადების, შეფასების, ანალიზისა და გამოქვეყნების, ან სხვა სახით გავრცელების ერთიან პროცესს, რომელიც გარკვეული დროისათვის ეხება ქვეყანაში

მყოფ ყველა პირს ან ქვეყნის განსაზღვრულ ნაწილს. მ.ა-ის მიზანია სქესისა და ასაკის, სოციალური, ქორწინებითი და ოჯახური მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილებისა და სხვათა მიხედვით მცხოვრებთა საერთო რაოდენობის, მათი შემადგენლობის, დასახლებულ პუნქტებს შორის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება – განაწილების, მათი განათლების დონის, პროფესიისა და საქმიანობის და ა.შ. შესახებ ცნობების დადგენა. ასეთი ცნობების შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრისათვის, მოსახლეობის მეცნიერული შესწავლისათვის და სხვა.

მ.ა. წარმოებს პერიოდულად, წინასწარ განსაზღვრულ დროს. აღწერის თარიღის დადგენისას წლის ისეთი დრო უნდა შეირჩეს, როცა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება მინიმალურია. წინასწარ შედგენილი პროგრამა ითვალისწინებს აღწერის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებებს; მუშავდება სააღწერო ფურცელი, რომელშიც ჩამოთვლილია ყველა კითხვა, რომელზეც უნდა უპასუხოს თითოეულმა სრულწლოვანმა პირმა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე. მცირეწლოვანების შესახებ ცნობებს იძლევიან მათი მშობლები ან ახლობლები. ყველა ცნობა იკრიბება დროის გარკვეული მომენტის, ე.წ. კრიტიკული მომენტის მიხედვით (იხ. მ.ა-ის კრიტიკული მომენტი). აღწერა წარმოებს წინასწარ მომზადებული, სპეციალურად გამოყოფილი აღმწერების მიერ. როგორც წესი, მ.ა-ს აწარმოებენ ოჯახების შემოვლისა და გამოკითხვის გზით. ზოგჯერ ცნობები მიიღება ფოსტით დაგზავნილი კითხვარების პასუხებით (აშშ – 1970, 1980 წწ.) ან სარეგისტრაციო პუნქტში, სადაც მცხოვრებლები უნდა გამოცხადდნენ გარკვეულ დროს (ჩინეთი – 1953, 1982). საჭირო ცნობათა წრე განისაზღვრება აღწერის პროგრამით (იხ. მ.ა-ის პროგრამა).

აღწერის მომზადება და ჩატარება მოითხოვს კარგ ორგანიზაციას, პუნქტუალობას, სიზუსტეს, რათა შეკრებილი ცნობები მაქსიმალურად ასახავდეს რეალურ სურათს (არ შეიძლება ვინმეს გამოტოვება ან მეორედ აღრიცხვა). აღწერის შედეგები მუშავდება გარკვეული პროგრამის საფუძველზე. წარმოებს აღწერის ფურცლებში შესული ერთგვაროვანი ცნობების კოდირება, რაც აღწერის მასალების დამუშავებისას ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენების საშუალებას იძლევა.

მ.ა-ს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მ.ა-ებს მათი თანამედროვე გაგებით წინ უძღოდა მოსახლეობის აღრიცხვა აზიისა და აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში ჯერ კიდევ 3 ათას წელს ძვ. წ.ა. არსებობს ცნობები მოსახლეობის აღრიცხვის შესახებ ეგვიპტეში (დაახლოებით 2800-2500 წწ. ძვ.წ.ა.), მესოპოტამიაში, ინდოეთსა და ჩინეთში (2238 წელი ძვ. წ.ა.), აგრეთვე იაპონიაში, რომლებიც წარმოებდა სამხედრო და გადასახადების აკრეფის





მიზნით. ასევე ცნობილია მოსახლეობის აღრიცხვა ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში (მაგ. 435 წელი ძვ. წ.ა.). ამ უკანასკნელში მითითებული თარიღიდან მოყოლებული რეგულარულად ტარდებოდა ე.წ. ცენზები. მოსახლეობის აღრიცხვები წარმოებდა XI-XVI ს. ახალი წ.ა. ევროპის რიგ ქვეყნებში (ინგლისი – 1086 წ., ნიურბერგი – 1449 წ., სტრასბურგი – 1473 წ., ციურიხის კანტონები – 1567 წ.). განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი მოსახლეობის შესწავლისადმი XVII ს. მოსახლეობას აღრიცხავდნენ ევროპის რიგ ქვეყნებში (ავსტრია, ბავარია, ჰოლანდია, დანია, ესპანეთი), აგრეთვე იაპონიასა და ამერიკაში. მაგრამ ეს აღრიცხვები არ მოიცავდა მთელ მოსახლეობას, ზოგჯერ რამდენიმე წელს გრძელდებოდა და ამდენად არ იყო სრულფასოვანი.

მ.ა-ების დასაწყისს, მათი თანამედროვე გაგებით, უკავშირებენ მ.ა-ებს, რომლებიც ჩატარდა აშშ (1790 წ.), შვედეთსა და ფინეთში (1800 წ.), ინგლისში, დანიაში, ნორვეგიასა და საფრანგეთში (1801 წ.). საკუთრივ მოსახლეობის აღწერის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი.

პირველ ეტაპზე (XVIII ს. დასასრული – XIX ს. პირველი ნახევარი) საფუძველი ეყრებოდა მ.ა-ების ორგანიზაციასა და მათი პროგრამების განსაზღვრას. ამ პერიოდში დაიწყო მ.ა-ების რეგულარულად ჩატარება აშშ და ინგლისში (ყოველ 10 წელს), საფრანგეთსა და შვედეთში (ყოველ 5 წ.), ავსტრიაში (ყოველ 3-4 წელს) და სხვა. მაგრამ ამ დროის მ.ა-ები ითვალისწინებდნენ ნიშანთა მცირე რაოდენობას, არ მოიცავდნენ მთელ მოსახლეობას, ხოლო მათი მასალების დამუშავებას მრავალი წელი სჭირდებოდა.

მეორე ეტაპზე (XIX ს. მეორე ნახევარი – XX ს. პირველი ნახევარი) მ.ა-ების ჩატარება დაიწყო ევროპისა და ამერიკის ყველა ქვეყანაში და აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ვითარდებოდა მ.ა-ის თეორია და პრაქტიკა, ფართოვდებოდა როგორც მ.ა. პროგრამა, ისევე მასალის დამუშავების პროგრამა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ა. კეტლეს ხელმძღვანელობით ბელგიაში 1846 წელს ჩატარებული მ.ა. ის პირველად იყო ერთდღიანი და აღირიცხა ფაქტობრივი მოსახლეობა.

მესამე, თანამედროვე ეტაპი დაიწყო XX ს. შუა პერიოდიდან. ჩატარებულ იქნა ორი ათასზე მეტი მ.ა.

საქართველოში ჩატარებული მ.ა-ებიდან ცნობილია ჯერ კიდევ 1254 წლის აღწერა, თუმცა XIX საუკუნემდე მათ მოსახლეობის აღრიცხვის ხასიათი ჰქონდათ და ემსახურებოდნენ სამხედრო და გადასახადების აკრეფის მიზანს. XIX ს. დაიწყო კამერალური აღწერები, რომლებიც პერიოდულად ტარდებოდა. მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა საქართველოში 1897 წელს ჩატარდა. საყოველთაო მ.ა. ჩატარდა აგრეთვე 1926, 1939, 1959, 1970,

1979, 1989 და 2002 წწ-ში.

**მოსახლეობის აღწერა ერთდღიანი** – ქვეყნის მოსახლეობის აღწერა, რომელიც ერთი დღის განმავლობაში ტარდება. მ.ა.ე-ის მიზანია მოსახლეობის "მომენტალური სურათის" მიღება, რომელიც მუდმივად იცვლება დაბადებათა და გარდაცვალებათა შედეგად. ამასთან, ჩვეულებრივ მოსახლეობის გამოკითხვა და სააღწერო ფურცლების შევსება წინასწარ წარმოებს, ხოლო აღწერის დღეს აღმწერები ხელახლა შემოივლიან სახლებს, ამოშლიან გარდაცვლილებს და ჩაწერენ დაბადებულებს. ამით ცნობები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ დაიყვანება მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტის მდგომარეობამდე. მ.ა.ე. რთულია ჩვეულებრივზე, ვინაიდან საჭიროებს ყოველი ოჯახის ორჯერად შემოვლას და შესაბამისად აღმწერების დიდ რიცხვს.

პირველი მ.ა.ე. ჩატარებულ იქნა ბელგიაში 1846 წელს ადოლფ კეტლეს ხელმძღვანელობით, რომელსაც ეკუთვნის ერთდღიანი აღწერის იდეა.

**მოსახლეობის აღწერა საცდელი** – ქვეყნის მცირე ნაწილის მოსახლეობის მთლიანი გამოკვლევა, რომელიც ტარდება მოსახლეობის აღწერის მეთოდის, მისი ინსტრუმენტარის, კითხვათა ფორმულირების, ცნობათა შეკრების ორგანიზაციის წესის, აღწერაში მონაწილე პერსონალის დატვირთვისა და მოსახლეობის მოსალოდნელი აღწერის სხვა მეთოდური და ორგანიზაციული საკითხების შესამოწმებლად. ჩვეულებრივ, მ.ა.ს. ტარდება ქვეყნის რამდენიმე რაიონში, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ბუნებრივ-სამეურნეო პირობებით, მოსახლეობის შემადგენლობითა და მოსახლეობის ტერიტორიული განსახლების ხასიათით.

**მოსახლეობის აღწერის თარიღი** – მოსახლეობის აღწერის დაწყების წელი, თვე და პირველი დღე. აღწერის თვის დადგენისას ისეთი დრო უნდა შეირჩეს, როცა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება მინიმალურია.

ზოგიერთ ქვეყანაში მ.ა.თ-ად იღებენ 1 იანვარს (მაგ., უნგრეთი) ან 31 დეკემბერს (მაგ., ბელგია, ესპანეთი), რაც მოსახერხებელია დემოგრაფიული გაანგარიშებებისათვის.

საქართველოში, ბოლო პერიოდში, ჩატარებული აღწერებისას მ.ა.თ-ად აღებულ იქნა იანვრის შუა რიცხვები.

**მოსახლეობის აღწერის ინსტრუმენტარი** – დოკუმენტთა ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობის შესახებ მონაცემების შეკრებისა და წინასწარი შედეგების შეჯამებისათვის. ასეთ დოკუმენტებად მიიჩნევენ: 1) მოსახლეობის აღწერის ფურცლებს, გამოკვლევის ბლანკებს და მოსახლეობის აღწერის პროგრამით





გათვალისწინებულ სხვა ბლანკებს; 2) მონაცემთა შეკრების ორგანიზებისა და აღრიცხვის სისრულის უზრუნველყოფისათვის საჭირო დოკუმენტებს; 3) შედეგების შეჯამებისათვის საჭირო მასალებს, წინასწარი შედეგების ჩათვლით.

ანსხვავებენ ძირითად და დამხმარე მ.ა.ი-ს. ძირითადს მიეკუთვნება პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებზე პასუხების ჩაწერისათვის საჭირო ბლანკები და ინსტრუქცია მათი შევსებისათვის. დანარჩენი ინსტრუმენტარი მიჩნეულია დამხმარედ.

**მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი** – მთელი ქვეყნისათვის ერთიანი დროის ზუსტი მომენტი, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის აღწერისას შესაკრები ცნობები. მ.ა.კ.მ-ის დადგენა შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნას მოსახლეობის მომენტალური სურათი. ადამიანები იბადებიან, კვდებიან, ქორწინდებიან, განქორწინდებიან, იცვლიან თავიანთ სოციალურ მდგომარეობას, გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეში და სხვა. ყოველი დღის ბოლოსათვის მოსახლეობა უკვე ის არ არის, რაც დილისათვის იყო. მ.ა.კ.მ-ს აქვს მნიშვნელობა ერთდღიანი მოსახლეობის აღწერის დროსაც და მით უფრო მაშინ, როდესაც მოსახლეობის აღწერა გრძელდება რამდენიმე დღეს. მოსახლეობის აღწერის ყველა დღის განმავლობაში სააღწერო ფურცლებში ჩაიწერება ცნობები ქვეყნის ყველა მცხოვრების შესახებ მ.ა.კ.მ-ის მდგომარეობის მიხედვით.

ჩვეულებრივ, მ.ა.კ.მ-ად მიიჩნევენ შუაღამეს მოსახლეობის აღწერის პირველი დღის წინ. ეს აიხსნება იმით, რომ მოსახლეობას აღწერენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ადამიანთა უმრავლესობა შუაღამისას იმყოფება სახლში.

XX ს. ბოლოს მსოფლიოში მოსახლეობათა აღწერების უმრავლესობა ითვალისწინებს მ.ა.კ.მ-ს. მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში (აშშ, ფინეთი) მოსახლეობის აღწერის თარიღს ადგენენ გარკვეული დღით, მ.ა.კ.მ-ის გარეშე.

XX ს. მოყოლებული საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის ყველა აღწერისას მ.ა.კ.მ-ად მიჩნეულ იქნა აღწერის პირველი დღის წინა შუაღამე.

**მოსახლეობის აღწერის მასალები** – პირველადი ან კრებსითი მონაცემები, რომლებიც მიიღება მოსახლეობის აღწერის შედეგად. განასხვავებენ: 1) საკუთრივ პირველად მ.ა.მ-ს – აღწერის ფურცლებს ან სხვა დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ცალკეული ადამიანის ან ოჯახის შესახებ. ისინი წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომელთა დამუშავების შედეგად მიიღება ცნობები მოსახლეობის რაოდენობის, შემადგენლობის, განლაგებისა და აღწარმოების შესახებ; 2) მ.ა.მ-ის დამუშავების შედეგები – სხვადასხვა სახის კრებსითი მონაცემები მოსახლეობის შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილების სისტემით და შეიცავენ

სტატისტიკურ მონაცემებს მოსახლეობის შესახებ. ზოგჯერ მ.ა.მ-ს უწოდებენ იმ დოკუმენტების ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის აღწერის ორგანიზებასთან.

**მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება** – მოსახლეობის აღწერისას ცალკეული პირების ან ოჯახების შესახებ მიღებული ცნობების გარდაქმნა კრებსით, განზოგადებულ მაჩვენებელთა ერთობლიობაში, რომლებიც მოსახლეობის ან მის ცალკეულ ჯგუფს ახასიათებს. მ.ა.მ.დ. წარმოადგენს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა სისტემას შეკრებილ ცნობათა დამუშავებისათვის მომზადების, კოდირებისა და კრებსით მონაცემთა დათვლისათვის. მ.ა.მ.დ. ხორციელდება მისი პროგრამის შესაბამისად. მ.ა.მ.დ. წარმოებს ორ ეტაპად. პირველი ეტაპი – მასალის მომზადება ავტომატიზებული დამუშავებისათვის. ის გულისხმობს აღწერის ფურცლებში არსებულ ცნობათა ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, რომ გამოსადეგი აღმოჩნდეს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით დამუშავებისათვის. მეორე ეტაპი – გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით კრებსითი მონაცემების დათვლა.

**მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების ჭრილი** – რომელიმე ერთი ნიშნის მიხედვით მოსახლეობის თვისებრივად ერთგვაროვანი ჯგუფების ნაკრები, რომლისთვისაც მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავებისას ღებულობენ თანამოსახელე ცხრილებს კრებსითი მონაცემებით. ანსხვავებენ ტერიტორიულ და თემატურ მ.ა.მ.დ.ჭ-ს. ტერიტორიული ახასიათებს მოსახლეობის შემადგენლობას ცალკეული ტერიტორიის მიხედვით, ხოლო თემატური – მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების სოციალურ-დემოგრაფიულ შემადგენლობას (მაგ., სქესის, ასაკის, ეროვნების და სხვ. მიხედვით). როგორც წესი, ორივე ჭრილი შეთავსებით გამოიყენება.

**მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა** – ნიშანთა დაჯგუფებებისა და შეთავსებათა სისტემა, რომლის საფუძველზე მოსახლეობის აღწერისას მიღებული ინდივიდუალური ცნობები გარდაიქმნება კრებსით განზოგადებულ სიდიდეებად, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის რაოდენობას, შემადგენლობას, განლაგებასა და აღწარმოებას მთლიანად ან ცალკეული ჯგუფების მიხედვით. მ.ა.მ.დ.პ. განსაზღვრავს იმ ცნობათა წრესა და შინაარსს, რომლებიც აუცილებელია მიღებულ იქნას მოსახლეობის აღწერისას. მ.ა.მ.დ.პ. განისაზღვრება საკუთრივ მოსახლეობის აღწერის პროგრამის საფუძველზე.

მ.ა.მ.დ.პ. შეიცავს რამდენიმე ძირითად თემას: დემოგრაფიული დახასიათება (მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივ-სქესობრივი





შემადგენლობა, ქორწინებითი მდგომარეობა, ოჯახური შემადგენლობა და სხვ.), კულტურული დახასიათება (მოსახლეობის განათლების დონე სხვადასხვა ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების მიხედვით და სხვ.), სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება (განაწილება არსებობის საშუალებათა წყაროების, მეურნეობის დარგების, დასაქმების მიხედვით), მიგრაციული დახასიათება (ბინადრობის ხანგრძლივობა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და სხვ.), მოსახლეობის აღწარმოების დახასიათება (ქალების განაწილება ასაკისა და მათ მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით დიფერენცირებული სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნით), მოსახლეობის განლაგების დახასიათება (განაწილება ქალაქისა და სასოფლო დასახლებული პუნქტებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ჭრილში).

**მოსახლეობის აღწერის პროგრამა** – ადამიანების, ოჯახების მახასიათებელი ნიშნების ნუსხა ან ცნობები მათ შესახებ, რომლებიც გროვდება მოსახლეობის აღწერისას. მ.ა.პ-ის შესაბამისად აღწერის ფურცელში და სხვა სტატისტიკურ ფორმულარებში შეიტანება კითხვები, რომლებიც ასახავენ: 1) სამისამართო ცნობებს; 2) მოსახლეობის კატეგორიას; 3) დემოგრაფიულ ნიშნებს (სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა); 4) მოქალაქეობას, ეროვნებას, სარწმუნოებას; 5) მოსახლეობის განათლების დონეს; 6) სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს (დასაქმება, სამუშაო ადგილი, არსებობის საშუალებათა წყაროები, საზოგადოებრივი ჯგუფი და სხვ.); 7) ქორწინებასა და შობადობას; 8) მიგრაციას (დაბადების ადგილი, ბინადრობის ადგილი გარკვეული დროის უკან და სხვ.) და სხვა. თანამედროვე მ.ა.პ-ები ფართოვდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების, შემადგენლობის, შობადობის, მიგრაციისა და მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზირების შესწავლისა და დადგენის მიზნით. მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფისათვის, სხვებთან შედარებით, მ.ა.პ. უფრო ვრცელია. მაგ., ქორწინებაში მყოფებს ეკითხებიან ქორწინების რიგითობას და დაქორწინების თარიღს; ქალებს – დაბადებული ბავშვების რაოდენობის შესახებ და სხვა. მ.ა.პ. დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე. ქვეყნებში სადაც ადგილი აქვს ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებს უფრო დაწვრილებით შეისწავლება მიგრაცია. ქვეყნებში, სადაც მაღალია ან დაბალი მოსახლეობის მატების ტემპი მეტ ყურადღებას უთმობენ შობადობას. იმ ქვეყნებში, სადაც სათანადო დონეზე არ იმყოფება დემოგრაფიული შემთხვევების მიმდინარე აღრიცხვა (ძირითადად განვითარებადი ქვეყნები) მ.ა.პ-ში აქცენტი ამ უკანასკნელზეა გადატანილი.

**მოსახლეობის აღწერის (სააღწერო) უბანი** – მოსახლეობის აღწერისას პირობითად გამოყოფილი ტერიტორია, რომელთა მცხოვრებლების შესახებ შეკრებენ ცნობებს ან მათ შეკრებას ხელმძღვანელობს აღმწერი (რამდენიმე აღმწერს ხელმძღვანელობს ინსტრუქტორ-კონტროლიორი). მ.ა.უ. წარმოადგენს სააღწერო დარაიონების ერთ-ერთ ელემენტს (იხ. სააღწერო დარაიონება). მ.ა.უ-ებად იყოფა მთელი ქვეყნის დასახლებული ტერიტორია. მ.ა.უ-ები იქმნება აგრეთვე შორეული მგზავრობის მატარებლებში, გემებზე და სხვა. მ.ა.უ-ის საშუალო ზომები დამოკიდებულია აღწერის პროგრამაზე, ჩატარების მეთოდსა და ვადებზე. ისინი განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიმდინარე შეფასების საფუძველზე და, როგორც წესი, მოიცავს კომპაქტურ ტერიტორიას – ქალაქურ დასახლებებში ერთ ან რამდენიმე კვარტალს, სასოფლო დასახლებებში – მის ნაწილს, მთლიანად ერთ დასახლებას ან რამდენიმე მცირე დასახლებულ პუნქტს.

**მოსახლეობის აღწერის (სააღწერო) ფურცელი** – მოსახლეობის აღწერის ძირითადი დოკუმენტი. წარმოადგენს ბლანკს, აღწერის პროგრამის შესაბამისად, მასში დაბეჭდილ კითხვებზე პასუხების ჩაწერისათვის. მოსახლეობის აღწერის მეთოდის, გამოკითხვისა და მასალის დამუშავების მიხედვით განასხვავებენ ინდივიდუალური და სიობრივი ფორმის მ.ა.ფ-ებს. ინდივიდუალური მ.ა.ფ. განკუთვნილია ერთი ადამიანის შესახებ ცნობების ჩაწერისათვის, ხოლო სიობრივი მ.ა.ფ-ში ჩაიწერება ცნობები რამდენიმე ადამიანის შესახებ. თანამედროვე მოსახლეობის აღწერებისას სიობრივი მ.ა.ფ. გამოიყენება სრული აღწერისათვის, ხოლო ინდივიდუალური მ.ა.(ს).ფ. შერჩევითი აღწერისათვის.

**მოსახლეობის აღწერის ხანგრძლივობა** – პერიოდი, რომლის განმავლობაში ტარდება მოსახლეობის აღწერა. მ.ა.ხ. შეიძლება იყოს ერთი დღე (ერთდღიანი აღწერისას), რამდენიმე დღე ან კვირა.

**მოსახლეობის ბუნებრივი მატება** – გარკვეული დროის განმავლობაში დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობას შორის სხვაობის აბსოლუტური სიდიდე. როდესაც დაბადებულთა რაოდენობა აღემატება გარდაცვლილთა რაოდენობას, მაშინ მ.ბ.მ. დადებითია. მოკვდაობის ძალიან მაღალი დონის ან შობადობის დაბალი დონის შემთხვევაში დაბადებულთა რაოდენობა შეიძლება ნაკლები აღმოჩნდეს გარდაცვლილთა რაოდენობაზე და ასეთ დროს მ.ბ.მ. უარყოფითი სიდიდე იქნება.





**მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა** – დაბადებათა და გარდაცვალებათა ერთობლიობის განზოგადებული ტერმინი, რომელიც ცვლის მოსახლეობის რაოდენობას.

ტერმინი "მ.ბ.მ." წარმოიქმნა XIX ს. მეორე ნახევარში გერმანულ სტატისტიკურ ლიტერატურაში, რომელშიც ანსხვავებდნენ მოსახლეობის მდგომარეობას და მოსახლეობის მოძრაობას. უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფოდა ბუნებრივ მოძრაობად (დაბადებები, სიკვდილი) და მექანიკურ მოძრაობად (ჩამოსვლები, გასვლები). მ.ბ.მ-ას მიაკუთვნებდნენ აგრეთვე ქორწინებებსა და განქორწინებებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უშუალოდ არ ცვლიდნენ მოსახლეობის რაოდენობას. მოგვიანებით ტერმინი გამოიყენებოდა ძირითადად შობადობისა და მოკვდაობის მაჩვენებლების მიმართ.

**მოსახლეობის გამოკვლევა** – რომელიმე ტერიტორიის მცხოვრებთა ნაწილისაგან ცნობათა შეკრება მათი შემადგენლობის, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით. მ.გ-ას ატარებენ იმ სახის ზუსტი ცნობების მიღებისათვის, რომლებიც შეუძლებელია ან მიზანშეწონილი არ არის მიღებულ იქნას მოსახლეობის აღწერისას ან მიმდინარე აღრიცხვისას. მ.გ-ის მიზანია მოსახლეობის აღწარმოების კომპონენტებისა და ფაქტორების, ცხოვრების პირობების, დემოგრაფიული ქცევის სახეობებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა. მოსახლეობის აღწერისაგან განსხვავებით, მ.გ. ეხება მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს და წარმოადგენს შერჩევით კვლევას. შერჩევა იმ სახით წარმოებს, რომ მისი შედეგები ასახავდეს მთელ მოსახლეობას. მ.გ-ის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოკითხულ იქნას როგორც მოსახლეობის ყველა ჯგუფი, ისევე მისი ცალკეული კატეგორია (მაგ., რეპროდუქციული ქცევის შესწავლისას ძირითადად მიღებულია ფერტილური ასაკის ქორწინებაში მყოფი ქალების გამოკითხვა). მ.გ. შეიძლება იყოს ერთჯერადი, ტარდებოდეს პერიოდულად, პანელური. გამოჰყოფენ ასევე ანამნეზურ მ.გ-ას. გამოკვლევების მიზნებიდან და პროგრამიდან გამომდინარე, მ.გ-ის მასშტაბები განსხვავდება. შერჩევის მოცულობა შეიძლება იცვლებოდეს ასიდან ათიათასობით ადამიანამდე.

**მოსახლეობის განვითარება** – მოსახლეობაში რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებათა კანონზომიერი პროცესი, მისი კავშირებისა და დამოკიდებულებათა სისტემის გართულება, რომელსაც საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოსახლეობა მიჰყავს ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისაკენ. მ.გ. წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემადგენელ ნაწილს. თავის მხრივ, ელემენტის სახით,

იგი შეიცავს მოსახლეობის აღწარმოებას (იხ. დემოგრაფიული განვითარება).

**მოსახლეობის განვითარების მართვა** – სოციალური მართვის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, მოსახლეობაზე საზოგადოების აქტიური ზემოქმედების კონკრეტულ-ისტორიული ხერხი, რომლის მიზანია მისი განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში სასურველი რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების ფორმირება ან შენარჩუნება. მოსახლეობაზე ამა თუ იმ ზომით ზემოქმედების ცდები შეიმჩნევა ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე. დემოგრაფების ნაწილს მ.გ.მ-ის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა დაჰყავს მოსახლეობის პოლიტიკის ცნებამდე (იხ. მოსახლეობის პოლიტიკა), ხოლო ზოგჯერ მ.გ.მ-ში იგულისხმება დემოგრაფიული პროცესების სოციალური განსაზღვრულობა.

**მოსახლეობის განლაგება** – გარკვეული პერიოდისათვის მოსახლეობის სივრცითი განაწილებისა და დასახლებათა ქსელის ჩამოყალიბების პროცესის შედეგი. მ.გ. შედის მოსახლეობის განსახლების ცნებაში.

**მოსახლეობის განსახლება** – ტერიტორიაზე მოსახლეობის განაწილებისა და გადანაწილების პროცესი და მისი შედეგი – დასახლებათა ქსელი. "მ.გ"-ის ცნება შეიცავს მოსახლეობის განლაგებას, დასახლებული ადგილების ფუნქციურ-ტერიტორიულ ურთიერთკავშირებს და მოსახლეობის მიგრაციას.

მ.გ. წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს, რომელიც ასახავს საზოგადოების ცხოვრების ბევრ მხარეს. ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მ.გ-ას ქვეყნის ტერიტორიაზე, იყოფა სამ დიდ ჯგუფად: სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივი და დემოგრაფიული. მ.გ-ის ძირითადი კანონზომიერებაა განსახლების ფორმებისა და წარმოების წესისა და საწარმოო ძალების განვითარების დონის შესაბამისობა.

მ.გ. იცვლება დროისა და ადგილის მიხედვით. უძველეს დროიდან ჩვენს ეპოქამდე მან განვითარების რთული გზა განვლო.

მ.გ-ის მთავარი ელემენტია დასახლებული პუნქტი. არსებობს ორი ძირითადი კატეგორიის დასახლებული პუნქტი – ქალაქი და სოფელი. ამის შესაბამისად წარმოიქმნება მ.გ-ის ორი ფორმა – საქალაქო და სასოფლო. მ.გ-ის ერთიან სახეს ქმნის არა მარტო ამ ორი ძირითადი ფორმის შეთანაწყობა, არამედ აგრეთვე მათ შიგნით არსებული სხვაობანი და განლაგების სიხშირე. დასახლებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მდებარეობით, მოსახლეობის რაოდენობით, ფუნქციური დანიშნულებით, გარეგნული სახითა და სხვა ნიშნებით.





**მოსახლეობის გენეტიკა** – გენეტიკის მიმართულება, რომელიც შეისწავლის ადამიანის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის მოვლენას პოპულაციის დონეზე.

მ.გ. შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მოსახლეობის რაოდენობისა და დემოგრაფიული სტრუქტურის, ქორწინების, ოჯახური სტრუქტურის, შობადობის, მოკვდაობის, მოსახლეობის აღწარმოების, მოსახლეობის განსახლებისა და მიგრაციის გენეტიკურ ასპექტებს.

**მოსახლეობის გეოგრაფია** – გეოგრაფიის დარგი, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის შემადგენლობისა და დასახლებათა სოციალურ, ეკონომიკურ, ისტორიულ და ბუნებრივ პირობებში ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებებსა და სივრცით თავისებურებებს.

**მოსახლეობის გლობალური პრობლემები** – თანამედროვეობის დემოგრაფიულ პრობლებათა ერთობლიობა, რომელიც ეხება მთელი კაცობრიობის ინტერესებს და რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია თანამედროვე ეპოქის შემდგომი სოციალური პროგრესი. მ.გ.პ-ის რიცხვს ეკუთვნის მოსახლეობის სწრაფი მატება განვითარებად ქვეყნებში და დეპოპულაციის საშიშროება განვითარებულ ქვეყნებში. არაკონტროლირებადი ურბანიზაცია განვითარებად ქვეყნებში და მსხვილი ქალაქების კრიზისი განვითარებულ ქვეყნებში, სტიქიური მიგრაცია, განსაკუთრებით გარე, რომელსაც ზოგჯერ მოსდევს პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავება რიგ ქვეყნებს შორის და სხვა. მ.გ.პ. ან გამწვავებული თანამედროვე მსოფლიო დემოგრაფიული ვითარება შეადგენენ გლობალური პრობლემების განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. ტერმინი "გლობალური პრობლემები" შემოტანილ იქნა მეცნიერულ ლიტერატურაში XX ს. 60-იანი წწ. ბოლოს და 70-იანი წწ. დასაწყისში "რომის კლუბის" მეცნიერთა ნაშრომებიდან.

**მოსახლეობის დაბერება** – იხ. დემოგრაფიული დაბერება.

**მოსახლეობის დანაკარგები** – განმაზოგადებელი ცნება, რომელიც გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი ნეგატიური დემოგრაფიული ცვლილებების შეფასებისას. იგულისხმება მ.დ. გამოწვეული ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმებით (მიწისძვრები, ქარიშხლები, ეპიდემიები, შიმშილი, ომები, რევოლუციები, კატასტროფები და სხვა).

**მოსახლეობის დასაქმება** – ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფასა და სამეურნეო საქმიანობაში

მონაწილეობასთან.

**მოსახლეობის ეკოლოგია** – მეცნიერული მიმართულება, რომელიც იკვლევს მოსახლეობასა და გარემოს შორის პირდაპირ და უკუკავშირებს, არკვევს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ქცევის შეცვლას სხვადასხვა სოციალურ-ეკოლოგიურ სიტუაციაში. გამოყოფენ გარემოს ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, სამედიცინო-ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა თავისებურებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობაზე. ურთიერთკავშირის გაგება გარემოს ხარისხსა და იმ პროცესებს შორის, რომლებიც მიმდინარეობენ საზოგადოებასა და მოსახლეობაში, არსებობდა ჯერ კიდევ ძველ ჩინეთში, ინდოეთში, ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. მოგვიანებით ამ მიმართულებით აღსანიშნავია შ. მონტესკიეს, ლ. ფოიერბახის, შ. ფურიეს, რ. ოუენის, ფ. რატცელის, ჟ. ბრიუნის და სხვათა შრომები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკელი მეცნიერების რ. პარკისა და ე. ბერჯესის შრომებს, რომლებმაც 1921 წელს შემოიღეს "ადამიანის ეკოლოგიის" ცნება.

**მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლები** – სიდიდეები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის რაოდენობის ცვალებადობას დროში. ანსხვავებენ საკუთრივ მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლებს და მოსახლეობის მატების მაჩვენებელს. ისინი იყოფიან აბსოლუტურ (მოსახლეობის საერთო მატება, მოსახლეობის ბუნებრივი მატება) და ფარდობით მაჩვენებლად. ფარდობითი მაჩვენებლები ორი ტიპისაა – კოეფიციენტები და ტემპები.

მ.ზ.მ-ში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მოსახლეობის








ბუნებრივი მატების ჭეშმარიტ კოეფიციენტს (იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა ჭეშმარიტი) და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო-კოეფიციენტს (იხ. კოეფიციენტი მოსახლეობის აღწარმოებისა ნეტო).

**მოსახლეობის ზრდის ტემპები** – წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობის ორი თანმიმდევრული დონის შეფარდებას. მ.ზ.ტ. ($T_r$) საშუალო n ტოლდიდი დროის ინტერვალებისათვის გამოიანგარიშება საშუალო გეომეტრიულის ფორმულით:

$$T_r = \sqrt[n]{\frac{S_n}{S_o}},$$

სადაც $S_0$ და $S_n$ შესაბამისად არის მოსახლეობის რაოდენობა დროითი ინტერვალის საწყისი და საბოლოო მომენტისათვის.

100-ზე გამრავლების შემთხვევაში მ.ზ.ტ. გამოისახება პროცენტულად. მ.ზ.ტ. არ შეიძლება იყოს უარყოფითი სიდიდე. როდესაც $T_r>1(>100\%)$ – მოსახლეობის რაოდენობა იზრდება, როდესაც $T_r<1(<100\%)$ – მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს, ხოლო როდესაც $T_r=1(=100\%)$ – მოსახლეობის რაოდენობა უცვლელია.

**მოსახლეობის თეორია** – მეცნიერულ ცოდნათა სისტემა, რომელიც იძლევა ერთიან წარმოდგენას მოსახლეობაზე. შეისწავლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის განვითარებას შორის ურთიერთკავშირებსა და ურთიერთქმედებას. ხსნის მოსახლეობის განვითარებისა და კონკრეტული დემოგრაფიული პროცესების კანონებსა და კანონზომიერებებს. მ.თ-ის ძირითადი პრობლემებია: მოსახლეობის როლის გარკვევა საზოგადოების პროგრესში; მოსახლეობის განვითარებისა და მისი ცალკეული პროცესების სოციალურ-ეკონომიკური განპირობებულობის შესწავლა; საზოგადოებრივი განვითარების კანონების გავლენის როლის დადგენა მოსახლეობაზე; დემოგრაფიული პროცესების კანონზომიერებების შესწავლა; მოსახლეობის განვითარებასა და კონკრეტულ დემოგრაფიულ პროცესებში სოციალურისა და ბიოლოგიურის, ცნობიერისა და სტიქიურის თანაფარდობა და სხვ. შორის ურთიერთობის გარკვევა.

მოსახლეობაში რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებათა შორის ურთიერთკავშირის ახსნის ცდები, საზოგადოების განვითარების მთლიან პროცესში და მის ცალკეულ მხარეებთან კავშირში, ცნობილია უძველესი დროიდან.

**მოსახლეობის კატეგორიები** – რომელიმე დასახლებული

პუნქტის ან ტერიტორიის მცხოვრებთა ზოგადი დახასიათება მათ მოცემულ ადგილთან ურთიერთკავშირში. ანსხვავებენ მ.კ.: მუდმივი მოსახლეობა, ფაქტობრივი მოსახლეობა და იურიდიული მოსახლეობა.

მოსახლეობის აღწერებისას ძირითადად აღრიცხავენ მუდმივ ან ფაქტობრივ მოსახლეობას, ან ორივეს. მიჩნეულია, რომ მოსახლეობის აღწერისას ორივე მ.კ. აღრიცხვა ზრდის მოსახლეობის აღწერის სიზუსტეს.

**მოსახლეობის კმთილდღეობა** – განისაზღვრება მოსახლეობის შემოსავლების დონით (იხ. მოსახლეობის შემოსავლები).

**მოსახლეობის მატების პოტენციალი** – მოსახლეობის აღწარმოების კომპონენტების წვლილის მაჩვენებელი მოსახლეობის მომავალ მატებაში მისი სტაბილიზაციის პერიოდის განმავლობაში. განისაზღვრება თეორიული მოსახლეობისათვის, რომელსაც დროის რომელიმე საწყისი მომენტიდან შობადობისა და მოკვდაობის უცვლელი ფუნქციები აქვს, იგივე მომენტის რეალური მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით. თეორიული მოსახლეობის არჩევა დამოკიდებულია მ.მ.პ-ის გაანგარიშების მეთოდზე. ფრანგი დემოგრაფის ჟ. ბურჟუა-პიშას მიერ შემოთავაზებული მეთოდიკის შესაბამისად, მ.მ.პ-ის გაანგარიშებისათვის გამოიყენება სტაციონარული მოსახლეობა (იხ. მოსახლეობა სტაციონარული). ეს განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობის მატების ნულოვანი კოეფიციენტის შემთხვევაში მოსახლეობა რაოდენობრივად იქამდე მატულობს, ვიდრე რეალური მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა სავსებით არ უპასუხებს მოცემული სტაციონარული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს. "მ.მ.პ"-ის ცნება დემოგრაფიაში შემოტანილ იქნა 1945 წელს ფრანგი მეცნიერის პ. ვენსანის მიერ.

**მოსახლეობის მექანიკური მატება** – იხ. მიგრაციის სალდო.

**მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა** – მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების სხვადასხვა სახეობა. ტერმინი "მ.მ.მ." წარმოიქმნა XIX ს. მეორე ნახევრის გერმანულ სტატისტიკურ ლიტერატურაში. თანამედროვე მეცნიერულ (დემოგრაფიულ) ლიტერატურაში, როგორც წესი, გამოიყენება ტერმინი "მოსახლეობის მიგრაცია".

**მოსახლეობის მიგრაციული მატება** – იხ. მიგრაციის სალდო.

**მოსახლეობის მოძრაობა** – მოსახლეობის ამა თუ იმ





რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების ცვლილება. მოსახლეობის თეორიაში ანსხვავებენ მ.მ-ასა და მოსახლეობის განვითარებას. ტერმინი "მ.მ." გამოიყენება ზოგადად მოსახლეობის ცვლილების აღსანიშნავად, ხოლო ტერმინი "მოსახლეობის განვითარება" (იხ. მოსახლეობის განვითარება) გამოხატავს მოსახლეობაში რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებათა ისეთ პროცესს, რომელსაც შეესაბამება მისი ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა.

**მოსახლეობის მსოფლიო აღწერა** – მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის აღწერების ერთობლიობა, რომლებიც ერთ დროსა და ერთიანი პრინციპით ტარდება.

მოსახლეობის აღწერების ჩატარების შესახებ ზოგადი რეკომენდაციები გამომუშავებულ და განხილულ იქნა საერთაშორისო სტატისტიკურ კონგრესებზე ჯერ კიდევ XIX ს. შუა პერიოდში და შეთანხმებულ და მიღებულ იქნა კონგრესის სესიაზე 1872 წელს პეტერბურგში. 1897 წლის პეტერბურგის საერთაშორისო სესიაზე მიღებულ იქნა წინადადება ჩაეტარებინათ მ.მ.ა. 1900 წელს, მაგრამ ეს წინადადება ვერ იქნა რეალიზებული, ისევე როგორც მოგვიანებით მიღებული რეკომენდაცია მ.მ.ა-ის ჩატარების თაობაზე 1940 წელს. მ.მ.ა-ის ჩანაფიქრის რეალიზაცია შესაძლებელი გახდა ბაერო-ს შექმნის შემდეგ, რომელმაც მოუწოდა ყველა ქვეყანას ჩაეტარებინათ მოსახლეობის აღწერები იმ წელს, რომელიც მთავრდებოდა 0-ზე ან მასთან ახლოს მყოფ ციფრზე. ყოველი ათწლეულის დასაწყისში გაერო უშვებს დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია მოსახლეობის აღწერის ჩატარების პრინციპები და რეკომენდაციები. უმრავლეს ქვეყნებში მოსახლეობის აღწერები ჩატარდა 1960, 1970, 1980, 1990, 2000 ან წლებში, რომლებიც დაბოლოებული იყო ან 9 ან 1-ზე.

**მოსახლეობის მსოფლიო დღე** – ღონისძიებათა პროგრამა, მიმართული მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის მოსახლეობის პრობლემებზე ყურადღების მისაქცევად, რომელიც განახორციელა ბაერო-მ 1974 წელს.

**„მოსახლეობის ნულოვანი მატება"** – დემოგრაფიული კონცეფცია, რომლის თანახმად მოსახლეობის რაოდენობის მატების შეწყვეტის აუცილებლობა და შესაძლებლობა როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისევე მთლიანად მსოფლიოში დაკავშირებულია შობადობის საყოველთაო კონტროლთან. ამ კონცეფციის მომხრეები დემოგრაფიული პოლიტიკის მიზნად მიიჩნევენ შობადობის შემცირებას

მოკვდაობის დონემდე (მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მიუხედავად). ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის მატებას არ ექნება ადგილი. "მ.ნ.მ." თავის დასახელებას სწორედ აქედან იღებს. მის მისაღწევად საჭიროდ მიიჩნევენ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ფართოდ გავრცელებას, მკაცრ ადმინისტრაციულ ზომებს, პროპაგანდასა და ა.შ. რიგ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) "მ.ნ.მ"-ის მიღწევა გამოცხადებულ იქნა ოფიციალურ სახელმწიფო პოლიტიკად მოსახლეობის სფეროში. "მ.ნ.მ"-ის კონცეფცია ფორმულირებულ იქნა 1960-იანი წლების შუა პერიოდში ამერიკელი დემოგრაფის დ. ბოუგის მიერ. "მ.ნ.მ" ძირითადად განკუთვნილი იყო განვითარებადი ქვეყნებისათვის, იქ, სადაც აღინიშნება მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატება, თუმცა არ გამორიცხავდა მის გამოყენებას განვითარებულ ქვეყნებში.

**მოსახლეობის პოლიტიკა** – სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის განვითარებაზე ზემოქმედება.

მ.პ. მოიცავს: 1) ზემოქმედებას მოსახლეობის აღწარმოებაზე; 2) მოსახლეობის მიგრაციისა და ტერიტორიული სტრუქტურის რეგულირებას; 3) ზემოქმედებას მოზარდი თაობის სოციალიზაციის პროცესზე; 4) შრომის პირობების გარკვეული კომპლექსის რეგულირებას; 5) ზემოქმედებას მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრების ზოგად პირობებზე.

**მოსახლეობის რაოდენობა** – ადამიანების რიცხვი რომელიმე მათ ერთობლიობაში, რომელიც განიხილება როგორც მოსახლეობა. ანსხვავებენ თეორიულ მ.რ-ას, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიულ ანალიზსა და დემოგრაფიულ მოდელებში (მაგ., სტაბილური მოსახლეობა) და ფაქტობრივ მ.რ-ას (რომელიმე ტერიტორიის, ქვეყნის, რაიონის და ა.შ.) მ.რ. დაბადებათა და გარდაცვალებათა გამო მუდმივად იცვლება. დემოგრაფიაში მ.რ. განიხილება როგორც დემოგრაფიული პროცესებისა და მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურისა (ჩაკეტილი მოსახლეობა) და მიგრაციის (ღია მოსახლეობა) ურთიერთქმედების შედეგი. მ.რ. გამოიყენება დემოგრაფიული კოეფიციენტებისა და რიგი სხვა მაჩვენებლების გაანგარიშებისას. მონაცემები მ.რ-ის შესახებ მიიღება მოსახლეობის აღწერისას, ხოლო აღწერებს შორის პერიოდში – მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე.

**მოსახლეობის რაოდენობის შეფასება** – მთელი ქვეყნის ან მისი ნაწილის მცხოვრებთა მიახლოებითი რიცხვის განსაზღვრა მოსახლეობის აღწერის ჩატარების გარეშე. მ.რ.შ-ს აწარმოებენ მოსახლეობის ბოლო აღწერის საფუძველზე. შეფასებისას





ითვალისწინებენ მონაცემებს დაბადებათა, გარდაცვალებათა და მოგრაციის რაოდენობის შესახებ.

**მოსახლეობის რაოდენობისა და შემად-ენლობის მიმდინარე გაანგარიშებები** – მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე მოსახლეობის საერთო რაოდენობისა და შემადგენლობის გაანგარიშება. გაანგარიშებათა ბაზად გამოიყენება მოსახლეობის აღწერის, დემოგრაფიულ შემთხვევათა მიმდინარე აღრიცხვისა და მოსახლეობის მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები. სქესისა და ასაკის მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის გაანგარიშებებს საფუძვლად უდევს მოსახლეობის აღწერის მონაცემები ერთწლიანი ასაკობრივი ინტერვალით. გაანგარიშებებს აწარმოებენ ასაკგადაწევის მეთოდის (იხ. მეთოდი ასაკგადაწევისა) ან ინტრაპოლაციის გამოყენებით.

**მოსახლეობის რეგისტრი** – ქვეყნის მცხოვრებთა სახელობითი და რეგულარულად აქტუალიზირებული ნუსხა, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ადმინისტრაციულ აღრიცხვას.

**მოსახლეობის რუკები** – მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების, განსახლების, მისი შემადგენლობისა და აღწარმოების, გადაადგილებისა და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების ამსახველი რუკები. მოიცავს მოსახლეობის შესახებ სხვადასხვა რაოდენობრივ და თვისებრივ მაჩვენებლებს. თავისი შინაარსით მ.რ. მეტად ტევადია და მრავალფეროვანი ცნობების წყაროს წარმოადგენს. მ.რ. რამდენიმე სახეობად შეიძლება დაჯგუფდნენ.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგების რუკები ასახავენ მოსახლეობის რაოდენობასა და მოსახლეობის სიმჭიდროვეს. განსახლების რუკები აჩვენებენ დასახლებათა ტიპებს და მათ ტერიტორიულ სისტემას. დემოგრაფიული რუკები ასახავენ მოსახლეობის აღწარმოებას, მოსახლეობის შემადგენლობას სქესისა და ასაკის მიხედვით, ქორწინებით მდგომარეობას და ოჯახურ შემადგენლობას, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობასა და მიგრაციას. ეთნოგრაფიული რუკები მიუთითებენ მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაზე, ცალკეული ხალხის განსახლებაზე, მათ ყოფაზე, მოსახლეობის რასობრივ და ანთროპოლოგიურ დახასიათებაზე. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური რუკები ახასიათებენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ შემადგენლობას, შრომით რესურსებს, მოსახლეობის ცხოვრების დონესა და სხვა.

**მოსახლეობის საერთო მატება** – გარკვეული დროის ინტერვალის დასაწყისისა და ბოლოსათვის მოსახლეობის რაოდენობებს შორის სხვაობა. მ.ს.მ. გამოისახება აბსოლუტური რიცხვით. ის შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი და ნულის ტოლი. მოცემული

ტერიტორიისათვის მ.ს.მ. მოსახლეობის ბუნებრივი მატებისა და მოსახლეობის მიგრაციული მატების ჯამის ტოლია.

**მოსახლეობის სანიტარული კულტურა** – სოციალური ჰიგიენისა და სამედიცინო პროფილაქტიკის სფეროში ცოდნისა და მიღწევათა ერთობლიობა და მოსახლეობის მიერ შესაბამისი ჰიგიენური და პროფილაქტიკური წესების შესრულება.მ.ს.კ-ის მაღალი დონე ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას. მ.ს.კ-ის დონე დაკავშირებულია მოსახლეობის საერთო კულტურული განვითარების დონესთან.

**მოსახლეობის სიმჭიმის ცენტრი** – იხ. დასახლებულობის ცენტრი.

**მოსახლეობის სიმჭიდროვე** – მოცემული ტერიტორიის დასახლებულობის დონე. გამოისახება საერთო ფართობის ერთეულზე (1 კმ$^2$-ზე) მუდმივად მცხოვრებთა რაოდენობით. მ.ს-ის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება დიდი ფართობის შიგა წყლის სივრცე. შეიძლება ცალ-ცალკე განისაზღვროს ქალაქისა და სოფლის მ.ს-ის მაჩვენებლები.

**მოსახლეობის სოციოლოგია** – მეცნიერული მიმართულება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის აღწარმოებისა და მოსახლეობის განვითარების სოციოლოგიურ ასპექტებს. მ.ს-ის სპეციფიკა ის არის, რომ იგი მოსახლეობას შეისწავლის ზოგადსოციოლოგიური პოზიციებიდან, როგორც ქცევისა და საქმიანობის ფორმას, დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა ფაქტორების კომპლექსში.

**მოსახლეობის სტატისტიკა** – იხ. დემოგრაფიული სტატისტიკა.

**მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება** – იხ. მიგრაცია.

**მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია** – მოსახლეობის ცხოველქმედების სივრცითი ფორმა. მ.ტ.ო-ის ცნება მოიცავს მოსახლეობის განლაგებას (ჩამოყალიბებულ დასახლებათა ქსელს), დასახლებული ადგილებისა და მოსახლეობის თავმოყრის არეალების ფუნქციურ ტერიტორიულ ურთიერთკავშირებს.

**მოსახლეობის ტერიტორიული ფორმირება** – გარკვეული ტერიტორიის მოსახლეობის წარმოქმნა და დინამიკა. ქვეყნისა და რაიონის ფარგლებში მ.ტ.ფ-ის წყაროებს წარმოადგენენ: მოსახლეობის აღწარმოება და მიგრაცია, აგრეთვე ადმინისტრაციული გარდაქმნები. მ.ტ.ფ-ის შესწავლა გულისხმობს აღნიშნული წყაროების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზს და მათ გავლენას მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და





დემოგრაფიულ მახასიათებლებზე.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** – მოსახლეობის განაწილება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით. თუ მ.შ.(ს). წარმოდგენილია ორი (მაგ., სქესი) ან რამდენიმე ნიშნის გრადაციით, მაშინ თითოეული მათგანი შეიძლება დაყოფილ იქნას ქვეჯგუფებად სხვა ნიშნების მიხედვით (მაგ., ადამიანთა განაწილება ასაკის მიხედვით ხშირად განიხილება თითოეული სქესისათვის ცალ-ცალკე).

გამოჰყოფენ მ.შ(ს)-ას ასაკის, სქესის, ეთნოსის, ენის, ეროვნების, ოჯახური და ქორწინებითი მდგომარეობის, რასის, რელიგიისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მ.შ.(ს). დროის გარკვეული მომენტისათვის არის წინა პერიოდის დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის ცვალებადობის შედეგი. ამავე დროს მ.შ.(ს)-ზე არის დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობის შემდგომი ცვალებადობა, ვინაიდან ამა თუ იმ პროცესის ინტენსივობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში განსხვავებულია.

ზოგიერთი მეცნიერი ანსხვავებს "მოსახლეობის შემადგენლობისა" და "მოსახლეობის სტრუქტურის" ცნებებს და მათ არაიდენტურად მიიჩნევს. მოცემულ ლექსიკონში აღნიშნული ცნებები იდენტურია.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა) ასაკობრივი** – დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესწავლის მიზნით მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და ასაკობრივი კონტინგენტების მიხედვით. მ.შ.(ს).ა. ახასიათებს რა ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობას, ამასთან იგი მისი და მოსახლეობის დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლების ურთიერთკავშირის შეფასების საშუალებას იძლევა. ზოგადი სტრუქტურული ცვლილებების შეფასებისას გამოიყენება გამსხვილებული განაწილება სამ ასაკობრივ ჯგუფად: 0-14 წელი, 15-59 და 60 და მეტი (ან 0-14, 15-64 და 65 და მეტი).

დემოგრაფიული თვალსაზრისით მ.შ.(ს.)ა. წარსულის მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის და მიგრაციის ევოლუციის შედეგია და ამასთანავე მომავალი დემოგრაფიული განვითარების დამოუკიდებელი კომპონენტია.

შვედმა დემოგრაფმა გ. სუნდბერგმა გამოყო მ.შ.(ს).ა. სამი ძირითადი ტიპი: 1) პროგრესული – მოსახლეობის მთელ რაოდენობაში ბავშვების დიდი წილით, რომელსაც შეესაბამება მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი მაჩვენებელი; 2) სტაციონარული – მთელ მოსახლეობაში საბავშვო და მოხუცებულობის ასაკობრივი ჯგუფების თითქმის გაწონასწორებული წილი. ასეთი სტრუქტურის მქონე მოსახლეობის ბუნებრივი მატება ძალიან უმნიშვნელოა ან უცვლელ დონეზე იმყოფება (სტაციონარული); 3) რეგრესული – მთელ მოსახლეობაში ხანდაზმული და მოხუცებულობის ასაკის ადამიანების შედარებით დიდი წილი. მას შეესაბამება მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება. მ.შ.(ს).ა-ის ტიპების ამგვარი გამოყოფა ფართოდ არის გავრცელებული დემოგრაფიაში.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** გეოგრაფიული – მოსახლეობის საერთო რაოდენობის განაწილება დაკვირვების ტერიტორიული ობიექტების მიხედვით. ტერმინი "მ.შ.(ს).გ." ასახავს დემოგრაფიულ-გეოგრაფიული ინფორმაციის გავრცელებულ ფორმებს, რომლებიც ჩვეულებრივ მოყვანილია მსოფლიოს ან რომელიმე ქვეყნისათვის სტატისტიკურ ცნობარებსა და სტატისტიკურ პუბლიკაციებში.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** ეთნიკური – მოსახლეობის განაწილება ეთნიკური კუთვნილების ნიშნის მიხედვით. მ.შ.(ს).ე. შეიძლება განსხვავებულ იქნას როგორც ცალკეული ქვეყნის და მისი რომელიმე რაიონისათვის, ისევე ქვეყანათა ჯგუფისა (მაგ., დასავლეთ ევროპა) და მთლიანად მსოფლიოსათვის. მ.შ.(ს).ე-ის განსაზღვრისათვის, ეთნიკური კუთვნილების პირდაპირი მონაცემების გარდა, გამოიყენება მონაცემები მშობლიური ენის შესახებ.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** ენობრივი – ცალკეული რაიონის, ქვეყნის, კონტინენტის და მთლიანად მსოფლიოს მოსახლეობის განაწილება სხვადასხვა ენობრივი მაჩვენებლის (მშობლიური ენა, სალაპარაკო ენა, წიგნიერობის ენა) მიხედვით.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** ეროვნული – მოსახლეობის განაწილება ეროვნული კუთვნილების ნიშნის მიხედვით.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** ოჯახური – ადამიანთა განაწილება სხვადასხვა სიდიდის, შემადგენლობისა და ტიპის ოჯახების მიხედვით. მ.შ(ს).ო. გამოიხატება ოჯახების დაჯგუფებით ამა თუ იმ მახასიათებლების მიხედვით (ოჯახის წევრთა რაოდენობა, ოჯახში ბავშვების რაოდენობა და სხვა) და აგრეთვე ამ მახასიათებლებით ყველა ოჯახის წევრების დაჯგუფებით. საყოველთაოდ მიღებული მ.შ(ს).ო-ის მაჩვენებელთა სისტემა არ არსებობს. ის დამოკიდებულია მოსახლეობის აღწერის პროგრამაზე და მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების პროგრამაზე. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოცემულ ქვეყანაში მიღებულ ოჯახის განმარტებას.

მ.შ.(ს).ო. პირდაპირ ან ირიბად განიცდის პრაქტიკულად ყველა დემოგრაფიული პროცესისა და ცხოვრების პირობების მთელი ერთობლიობის გავლენას, რომელთა ზემოქმედების შედეგად მიმდინარეობს ეს პროცესები.

მ.შ.(ს).ო. უნდა განვასხვაოთ ოჯახის შემადგენლობისაგან, რომელიც გულისხმობს ერთი ოჯახის წევრების განაწილებას დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ნიშნების მიხედვით.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** პროფესიული – შრომის დანაწილების საფუძველზე მუშაკების განაწილება პროფესიების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ადამიანების მომზადებას გარკვეული სამუშაოს შესრულების, მათ მიერ შესაბამისი





თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებისათვის. მ.შ.(ს).პ-ის დემოგრაფიული ასპექტის შესწავლა ითვალისწინებს შრომის ფსიქოფიზიოლოგიური განსხვავების აღრიცხვას სქესის მიხედვით, ჯანმრთელობისათვის მავნე პროფესიებისა და წარმოების სახეობების კლასიფიკაციასა და აღრიცხვას და სხვა. დემოგრაფიაში მ.შ.(ს).პ. გამოიყენება პროფესიულ დაავადებათა და მოკვდაობის შესწავლისათვის.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** რასობრივი – მოსახლეობის განაწილება რასობრივი ნიშნის კუთვნილების მიხედვით მცირე და დიდი რასების,გარდამავალი ტიპების და ა.შ. გამოყოფით. რასობრივი კუთვნილების აღრიცხვას აწარმოებენ მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის (აშშ, ბრაზილია და სხვ.) მოსახლეობის აღწერისას, იქ სადაც მ.შ.(ს).რ. რთულია, ხოლო რასობრივი ურთიერთობები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უფრო ხშირად გამწვავებულია. რასობრივ აღრიცხვას აწარმოებენ გამარტივებულად, ჩვეულებრივ, კანის ფერის მიხედვით.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** რეგიონული – მოსახლეობის განაწილება ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. მ.შ.(ს).რ. არის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურის ნაირსახეობა.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** რელიგიური – მოსახლეობის განაწილება რელიგიური ნიშნის კუთვნილების მიხედვით. მოსახლეობის ეთნიკური, ეროვნული და ენობრივი შემადგენლობისაგან განსხვავებით მ.შ.(ს).რ. ეხება არა მთელ მოსახლეობას, არამედ მის მორწმუნე ნაწილს.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** სოციალური – მოსახლეობის განაწილება სოციალური ჯგუფების მიხედვით.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** სქესობრივი – მოსახლეობის განაწილება მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანების მიხედვით. იზომება მოსახლეობაში ან მის ჯგუფებში მამაკაცებისა და ქალების წილით (პროცენტით), ან მამაკაცების რიცხვით, რომელიც მოდის ყოველ 100 (1000) ქალზე. მ.შ.(ს).ს. ყალიბდება სქესთა რაოდენობის თანაფარდობით დაბადებისას და ქალებისა და მამაკაცების მოკვდაობის განსხვავებით.

**მოსახლეობის შემადგენლობა (სტრუქტურა)** ქორწინებითი – მოსახლეობის განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით. მხედველობაში მიიღება არა მთელი მოსახლეობა, არამედ 16 (ან 15) და უფროსი ასაკის მოსახლეობა. როგორც წესი, მოსახლეობის განაწილება ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით

წარმოდგენილია ორივე სქესისათვის ცალ-ცალკე.

**მოსახლეობის შემოსავლები** – ფულადი და ნატურალური შემონატანების ერთობლიობა, რომელსაც ღებულობს ცალკეული პირი ან ოჯახი (შინამეურნეობა) გარკვეული დროის მანძილზე და იხარჯება მოხმარებასა და დაგროვებაზე. ბაერო-ს კლასიფიკაციით მ.შ-ს მიეკუთვნება ყველა შემონატანი, მათ შორის ოპერაციებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული პირების კაპიტალთან, იმ ოპერაციების ჩათვლით, რომელსაც ისინი ახორციელებენ როგორც არაკორპორაციული წარმოებების მფლობელები.

**მოსახლეობის შესახებ ცოდნის სისტემა** – მეცნიერების მიმართულება, რომელიც განიხილავს მოსახლეობას როგორც ერთიან, რთულ სისტემას. მ.შ.ც.ს. წარმოადგენს მოსახლეობის განვითარების ეფექტიანი მართვის აუცილებელ პირობას.

**მოსახლეობის ხარისხი** – კომპლექსური ცნება, რომელიც შეიცავს მოსახლეობის მახასიათებელთა სისტემას და განსაკუთრებით მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს – მოსახლეობას სამუშაო ასაკში. ის წარმოადგენს მოსახლეობის განათლების დონის, მისი პროფესიული სტრუქტურის, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის, მობრაობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა მახასიათებლებს. მეცნიერულ ლიტერატურაში ტერმინი "მ.ხ." გვხვდება უკვე XVIII ს. ნაშრომებში.

**მოქალაქეობა** – პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც ასახავს მის მყარ კავშირს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობანი ერთმანეთის მიმართ დადგენილია კონსტიტუციით და სხვა კანონებით. მ-თვის უმთავრესია პირის უფლება მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში და მასზე (მოქალაქეზე) სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელება ადგილსამყოფელის მიუხედავად.

**მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები** – იხ. სამოქალაქო მდგომარეობის აქტები.

**მოწმობა** **განქორწინებისა** – საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დოკუმენტი, რომელსაც გასცემენ სარ-ის ორგანოები განქორწინების აქტის ჩაწერის შემდეგ.

**მოწმობა** **გარდაცვალებისა** – საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დოკუმენტი, რომელსაც იძლევიან სარ-ის ორგანოები დაინტერესებული პირების თხოვნით გარდაცვალების აქტის ჩაწერის საფუძველზე.





**მოწმობა** **გარდაცვალებისა საქმიმო** – ადამიანის გარდაცვალების ფაქტისა და მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**მოწმობა** **დაბადებისა** – საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დოკუმენტი, რომელსაც გასცემენ სარ-ის ორგანოები დაბადების აქტის ჩაწერის შემდეგ.

**მოწმობა** **ქორწინებისა** – საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დოკუმენტი, რომელსაც გასცემენ სარ-ის ორგანოები ქორწინების აქტის ჩაწერის შემდეგ.

**მოხუცები** – მოხუცი და ხანდაზმული ადამიანები. 60 (ან 75) წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის კატეგორია, გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

**მრავალშვილიანი დედები** – საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მიჩნეულია, რომ ქალები, რომლებმაც დაბადეს და აღზარდეს სამი და მეტი შვილი მიეკუთვნებიან მ.დ-ს. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ "მ.დ." და "მრავალშვილიანი ოჯახის" ცნებები (იხ. ოჯახი მრავალშვილიანი).

**მრავალშვილიანობა** – რეპროდუქციული ქცევის შედეგი, რომელსაც მოჰყვება ოჯახში ბავშვების ბევრი რაოდენობის ყოლა.

მ. შეიძლება იყოს იმპულსური დონის რეპროდუქციული ქცევის შედეგი, როდესაც "ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" გაუცნობიერებელია და არ წარმოებს ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება. ასეთ დროს ქალი აჩენს იმდენ ბავშვს, ფიზიოლოგიურად რამდენის გაჩენის უნარიც შესწევს, რასაც შეიძლება მ. მოჰყვეს. წარსულში არსებული მაღალი მოკვდაობისას მ. ობიექტურად იყო საჭირო. ამიტომ ის აისახა ტრადიციებში, რელიგიურ ნორმებში და სხვ. ამის შემდეგ მ-ას ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფდნენ.

მას შემდეგ, რაც მოკვდაობის დონემ დაიკლო და მ. აღარ იყო იმდენად საჭირო როგორც წარსულში, გავრცელდა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება. ასეთ დროს "ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" უკვე გაცნობიერებულია, ხოლო რეპროდუქციული ქცევა სოციალურ დონეზე მიმდინარეობს. მოცემულ შემთხვევაში, წინასაგან განსხვავებით, მ. სხვადასხვა მოტივით გამოწვეული, გაცნობიერებული მისწრაფების შედეგია.

**მრავალცოლიანობა** – მამაკაცის ცხოვრება ერთად, საერთო მეურნეობის წარმოებით, ორ ან რამდენიმე ქალთან. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს ამ ქალებთან ქორწინების რეგისტრაციას. ერთიანი მეურნეობის წარმოება მაშინაც შეიძლება, როცა ცოლები

ქმართან ერთად ოჯახში არ ცხოვრობენ, მაგრამ მათი მეურნეობა ქმრის საერთო მეურნეობის ნაწილია.

**მრუდები ქორწინებისა** – თაობაში ქორწინებათა სიხშირის გრაფიკული გამოსახულება. პირველ ქორწინებაში შესვლის პროცესის დახასიათებისათვის უფრო ხშირად განიხილება ქორწინების ალბათობა დროის გარკვეული ინტერვალისათვის (წელი), როგორც ასაკის ფუნქცია (იხ. ცხრილები ქორწინებისა). ეს მრუდი, ჩვეულებრივ, ერთწვეროიანია და ასიმეტრიული მარცხენა მხრისაკენ.

ხელახალი ქორწინების პროცესის დახასიათებისათვის განიხილება დაქორწინების ალბათობა როგორც ასაკის ფუნქცია, ან ინტერვალი განქორწინების შემდეგ. ეს მრუდებიც ერთმოდალურია და ასიმეტრული მარცხენა მხარისაკენ.

**მრუდები შობადობისა** – ბავშვთა შობის სიხშირის გრაფიკული გამოსახულება. ჩვეულებრივ გამოიხატება ასაკთან, ქორწინების ხანგრძლივობასთან ან ინტერგენეტიკურ ინტერვალთან დამოკიდებულებაში. მ.შ. განსაზღვრის სფერო შეზღუდულია ფერტილური პერიოდით ან ქორწინების ხანგრძლივობით ამ პერიოდის საზღვრებში.

საერთო შობადობის მრუდს ასაკთან დამოკიდებულებაში, ფერტილური პერიოდის ფარგლებს გარეთ, ყველა ასაკში აქვს ნულის მნიშვნელობა. ასაკთან ერთად ფუნქციის მნიშვნელობა ჯერ მკვეთრად მატულობს, ხოლო შემდეგ თანდათან მცირდება ნულამდე. ამ მრუდს მაქსიმალური მნიშვნელობა აქვს 20-30 წლისათვის ქალების შემთხვევაში და რამდენადმე უფროსი ასაკის მამაკაცების შემთხვევაში.

საერთო შობადობის მრუდისაგან ასაკთან დამოკიდებულებაში, რომელიც ზემოთ იყო განხილული, განსხვავებით სხვანაირი გამოსახულება აქვს როგორც საქორწინო და ქორწინებაგარეშე შობადობის მრუდებს ასაკთან დამოკიდებულებაში, ისევე საქორწინო შობადობის მრუდს ქორწინების ხანგრძლივობასთან დამოკიდებულებაში.

**მული** – ქმრის და.

**მუცლის მოწყვეტა** – სპონტანური აბორტი (იხ. აბორტი).

**მშობიარობა** – ორსულობის დამამთავრებელი რთული ფიზიოლოგიური პროცესი, როდესაც საშვილოსნოს რიტმული შეკუმშვის შედეგად დედის ორგანიზმიდან გამოიდევნება ნაყოფი და მისი მომყოლი. განარჩევენ დროულ მ-ს, რომელიც იწყება ნაყოფის ჩასახვიდან 10 სამთვარეო თვის ანუ 40 კვირის ბოლოს (დასაშვები მერყეობა 14 დღეა); ნაადრევს – როცა





იბადება მოუმწიფებელი, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი ნაყოფი – 28 კვირიდან 40 კვირამდე და დაგვიანებულს, როცა იბადება გადამწიფებული ნაყოფი – ჩასახვიდან 40-41 კვირის შემდეგ.

პირველი ბავშვის მშობიარობისას დედის ოპტიმალურ ასაკად ითვლება 20-24 წელი, მეორესი – 25-29.

**მშობიარობა ერთნაყოფიანი** – ბავშვის დაბადება ერთნაყოფიანი მშობიარობის შედეგად. მ.ე-ს გაცილებით ხშირად აქვს ადგილი მრავალნაყოფიან მშობიარობასთან შედარებით.

**მშობიარობა მრავალნაყოფიანი** – ორი და მეტი ბავშვის (ტყუპების) დაბადება ერთი მრავალნაყოფიანი ორსულობის დროს. მ.მ. სიხშირის მიმართ გამოვლენილია შემდეგი კანონზომიერება: ერთნაყოფიან დაბადებათა რაოდენობა ისე შეეფარდება ორნაყოფიან დაბადებათა რაოდენობას, როგორც ორნაყოფიან დაბადებათა რაოდენობა სამტყუპის გაჩენას, ხოლო სამტყუპის გაჩენა – ოთხნაყოფიან დაბადებას და უდრის 80 (ე.ი. 80 ერთნაყოფიან დაბადებაზე მოდის ერთი ორნაყოფიანი დაბადება და ა.შ.). შობადობის დონის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ მშობიარობათა რაოდენობა არ არის დაბადებული ბავშვების ტოლი.

ზემოთ აღწერილი ზოგადი კანონზომიერება მნიშვნელოვნად განსხვავდება ეთნიკური და რასობრივი ნიშნის მიხედვით. აღმოსავლეთ აზიის ხალხებში მ.მ. შედარებით მცირეა (მაგ., იაპონელებში ყოველ 1000 მშობიარობაზე იბადება 5 ტყუპი), ევროპის მოსახლეობაში საშუალოდ 1000 მშობიარობაზე მოდის 10 ტყუპი, სამხრეთ ინდოეთში 1000-ზე მოდის 35, ხოლო ნიგერიის ზოგიერთ ხალხში 1000-ზე 50 მ.მ. მოდის.

**მშობლები** – დედა და მამა შვილისათვის. დემოგრაფიაში ოჯახური მდგომარეობის კატეგორია, რომელიც მიუთითებს ნათესაურ დამოკიდებულებაზე ოჯახის წევრებსა და მათ შვილებს შორის.

**მცხოვრებთა (ცოცხლადმყოფთა) რიცხვი** – მოკვდაობის ცხრილების მაჩვენებელი. მ.(ც.)რ. ტოლია მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში შემავალი, გარკვეულ ასაკამდე ცოცხლად დარჩენილთა რიცხვის საშუალოსა და ინტერვალის sigrZis simravlisa. aRiniSneba Lx-ით.

# ნ

**ნაბიჭვარი** – ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი ძველ საქართველოში. ნ-ის მნიშვნელობით "ბუში", "ბიჭი", "ცოდვისშვილი" და "მხევლის შვილიც" იხმარებოდა. ნ. კანონიერ ანუ "მართალ შვილს" უპირისპირდებოდა. ყმა ქალის ნ. მის ბატონს ეკუთვნოდა. "დიდებულისა შექმნილ" ნ-ს აზნაურობა ენიჭებოდა. ნ. არ ითვლებოდა თავისი მშობლების უძრავი ქონების მემკვიდრედ. ნ. ვაჟს შეეძლო ან ძმებთან დამდგარიყო "ერთის ყმის ალაგს", ანდა სხვა ვინმეს ყმობოდა, ქალი კი მამას უნდა გაეთხოვებინა და გაემზითვებინა. ნ-ის მდგომარეობა საქართველოში შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე ფეოდალური დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. მაგ., გერმანიასა და ინგლისში უკანონოდ შობილს თითქმის არავითარი უფლება არ ჰქონდა.

**ნათესაობა** – ადამიანებს შორის სისხლითი კავშირი, რომელიც ემყარება ერთი ადამიანის მეორისაგან ან საერთო წინაპრისაგან წარმოშობას. ნ-ს წინაპარსა და შთამომავალს შორის (მაგ., მამა-შვილს, ბაბუასა და შვილიშვილს შორის) პირდაპირი ნ. ეწოდება. ნ. აღმავალია, როცა ნათესაურ კავშირს განიხილავენ შთამომავლობიდან წინაპრისაკენ, და დაღმავალი – წინაპრიდან შთამომავლობისაკენ. საერთო წინაპრისაგან წარმომავალ ნ-ს (მაგ., და-ძმა, ბიძა-ძმისშვილი) გვერდითი ნ. ეწოდება. და-ძმა შეიძლება იყოს ღვიძლი (როცა საერთო დედ-მამა ჰყავთ) და არაღვიძლი (დედით ერთნი ან მამით ერთნი).

საქართველოსა და რიგი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით ნ. ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრული უფლება-მოვალეობის წარმოშობის საფუძველია, მაგ., მემკვიდრეობის დროს, მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის დროს, დაუშვებელია ქორწინება პირდაპირ ნათესავებს, ღვიძლ და არაღვიძლ და-ძმას შორის..

ფეოდალურ საქარველოში ქრისტიანული ეკლესიის გავლენით სისხლით ნ-ის გვერდით სამართლებრივი მნიშვნელობა მიეცა "სულიერ ნათესაობასაც". ნათლია, ნათლული და მათი ახლობლები პირდაპირი ხაზის ნათესავებად ითვლებოდნენ. კერძოდ, "სულიერი ნათესაობა" ქორწინებისათვის ისეთივე დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა, როგორსაც სისხლით ნათესაობა. ნათესაური ურთიერთობა ძმადნაფიცობის საფუძველზედაც წარმოიშობოდა.

**ნათესაობის ხარისხი** – ელემენტარული ერთეული ორ ნათესავს შორის გენეალოგიური მანძილის გამოთვლისათვის. ნ.ხ. თავის ერთობლიობაში შეადგენს გარკვეულ სისტემას, რომელიც შეესაბამება ნათესაობის სისტემას, მაგრამ არ არის მისი ანალოგიური. ნათესაობის სისტემას წარმოშობს საზოგადოების სოციალური





სტრუქტურა, ხოლო ნ.ხ. უშუალოდ ასახავს ნათესავთა გარკვეული კატეგორიების სოციალურად სანქციონირებულ უფლება-მოვალეობებს. ნ.ხ-ს ითვალისწინებს კანონმდებლობა (იხ. ნათესაობა).

არსებობს ნ.ხ-ის გამოთვლის სხვადასხვა სისტემა. საქართველოში გაბატონებული იყო ნ.ხ-ის გამოთვლის რომაული სისტემა. მისი მიხედვით ყოველი დაბადება ხარისხად ითვლებოდა; დაბადებათა რიცხვი ორ პირს შორის საერთო წინაპრამდე ზუსტად ასახავდა ნ.ხ-ს. ქორწინება იკრძალებოდა სისხლით ნათესაობის VII ხარისხშიც კი.

**ნაყოფი ადამიანისა** – ადამიანის ჩანასახი განაყოფიერების მომენტიდან დაბადებამდე. მეცხრე კვირისათვის ნ.ა-ის სიგრძეა 3-4 სმ., ნათლად გამოირჩევა თავი, სხეული, თვალების, ცხვირის, პირის, კიდურების ჩანასახები.

**ნაყოფიერება** – ქალის, მამაკაცის ან საქორწინო წყვილის განაყოფიერებისა და ცოცხალი ბავშვების დაბადების ბიოლოგიური უნარი. ნ. ძირითადად დამოკიდებულია გენეტიკურ თავისებურებებზე, მეუღლეების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ქორწინებაში მეუღლეთა თვისებების შეთავსებაზე. ქალის ნ. ხასიათდება ჩასახვის უნარით, ნაყოფის მუცლით ტარებით და ცოცხალი ბავშვის დაბადებით, ხოლო მამაკაცის ნ. – განაყოფიერების უნარით. ამასთან, ცნობილია, რომ მეუღლეებს, რომლებსაც ცალ-ცალკე გააჩნიათ ნორმალური ნ., რეგულარული სქესობრივი ურთიერთობისა და კონტრაცეპციის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც არ ხდება ჩასახვა, რაც მათი ბიოლოგიური შეუთავსებლობის შედეგია.

ინდივიდუალური ნ. ფართო საზღვრებში ვარირებს, სრული უნაყოფობიდან 35 ცოცხლად დაბადებულ ბავშვამდე მთელი ცხოვრების მანძილზე (ერთნაყოფიანი მშობიარობისას). ადამიანის საშუალო სახეობრივი ნ. შეადგენს 10-12 ცოცხლად დაბადებას მთელი ცხოვრების მანძილზე ან 12-15 ორსულობას (მკვდრადშობადობისა და მუცლის მოწყვეტის ჩათვლით).

დემოგრაფიულ გამოკვლევებში ნ-ს შეისწავლიან როგორც შობადობისა და რეპროდუქციული ქცევის ერთ-ერთ ფაქტორს.

**ნებელობა** – ადამიანის უნარი წარმართოს თავისი ქცევა და საქმიანობა პიროვნულად მისაღები სოციალურ ფასეულობათა სისტემის მიხედვით. ტერმინი "ნ." დემოგრაფიაში ძირითადად გამოიყენება რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებით.

**„ნეომალთუსიანელობა"** – XIX ს. მე-2 ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მალთუსიანელობის (იხ. მალთუსიანელობა) საფუძველზე ჩამოყალიბებული დემოგრაფიული მოძღვრების ერთ-ერთი მიმართულება. "ნ"-ის წარმომადგენლებმა უარი თქვეს

მალთუსიანელობის ძირითად იდეაზე – ადამიანების მუდმივ მისწრაფებებზე მრავალშვილიანობისაკენ და წამოაყენეს დებულება ადამიანის ცნობიერებიდან "გამრავლების ინსტიქტის" განდევნის შესახებ. "ნ." არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას რეპროდუქციული ქცევის სოციალურ-ეკონომიკურ დეტერმინაციას და ძირითად ყურადღებას უთმობს ადამიანთა ცნობიერებასა და "შობადობის შეზღუდვისაკენ მოსახლეობის მისწრაფების" რეალიზაციის ტექნიკურ პირობებს. "ნ"-ს პრაქტიკული საქმიანობის მთავარი აქცენტი გადატანილი აქვს კონტრაცეპციული საშუალებების გავრცელებაზე, მკაცრ ადმინისტრაციულ ზომებზე, პროპაგანდაზე და ა.შ.

XX ს. მეორე ნახევარში "ნ"-ის განვითარებას ახალი იმპულსი მისცა დემოგრაფიულმა აფეთქებამ განვითარებად ქვეყნებში. "ნ"-ის აზრით მოსახლეობის სწრაფ და უკონტროლო ზრდას განვითარებად ქვეყნებში მოჰყვება მათი მოსახლეობის გაღატაკება და ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენა; ბუნებრივი რესურსების გამოლევა, ეკოლოგიური და ეკონომიკური კატასტროფა. მეორე მხრივ კი ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალრიცხოვანი და საშიში პოლიტიკური კონფლიქტები. შესაძლებელი, არასასურველი ვითარების თავიდან აცილების მიზნით "ნ." იძლევა რეკომენდაციებს იმის თაობაზე, რომ გატარებულ უნდა იქნას შობადობის შემცირებისაკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა.

ტერმინი "ნ." პირობით ხასიათს ატარებს და ასახავს საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპს, როდესაც ერთმანეთთან იყო დაპირისპირებული ე.წ. კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგია. "ნ"-ის წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან ისეთი ცნობილი დემოგრაფები, როგორიცაა ე. კოული, დ. ბოუგი, ს. ენკე და სხვ. "ნ"-დან გამომდინარე ღონისძიებები ფართოდ გამოიყენება ბევრ განვითარებად ქვეყანაში.

**ნეტო-მიგრაცია** – იხ. მიგრაციის სალდო.

## ო

**ობიექტივაცია** – წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ აქტივობას. "ო" არის ქცევის შეფერხების შედეგად ადამიანის აქტივობის შეჩერება, რათა აზროვნებისა და ნებელობის დახმარებით გამოინახოს სიტუაციისათვის ადეკვატური ქცევა. "ო"-ის ცნება დემოგრაფიაში გამოიყენება რეპროდუქციული ქცევის





თავისებურებათა ასახსნელად. ო-ს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი რეპროდუქციული განწყობის წარმოშობის დროს თეორიული მსჯელობის საგნად გახდის ბავშვებს. ადამიანის წინაშე წარმოიქმნება გადასაჭრელი საკითხი – ბავშვების რა რაოდენობა იყოლიოს მან. ის ასეთ შემთხვევაში დროებით "შეჩერდება", გაიაზრებს შექმნილ ვითარებას და მსჯელობის სპეციალურ ობიექტად აქცევს მას. ადამიანს ასეთ დროს ექმნება ობიექტივირებული წარმოდგენა. ო-ის შემდეგ ადამიანი უკვე განსაზღვრავს ბავშვების თავისთვის მისაღებ რაოდენობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ო-ის შემდეგ ადამიანი ბავშვების შესაძლებელი, "განუსაზღვრელი" რაოდენობიდან ირჩევს ბავშვების გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მან უნდა იყოლიოს, ე.ი. ობიექტივაცია შერჩევითობის, ანუ არჩევანის შესაძლებლობას იძლევა, რასაც მანამდე არა აქვს ადგილი.

ო. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დემოგრაფიული ქცევის სხვა სახეობათა შესწავლის შემთხვევაშიც.

**ოვულაცია** – მომწიფებული კვერცხუჯრედის (მდედრობითი სასქესო უჯრედის) გამოსვლა საკვერცხიდან მუცლის ღრუში. ო-ს პერიოდული ხასიათი აქვს.

**ონტოგენეზი** – ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება, ე.ი. იმ თანმიმდევრული გარდაქმნების ერთობლიობა, რომელსაც ორგანიზმი განიცდის ჩასახვიდან სიკვდილამდე. ტერმინი "ო." შემოიღო გერმანელმა ბიოლოგმა ე. ჰეკელმა 1866 წელს.

**ორსულობა** – ქალის ორგანიზმში განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ნაყოფის განვითარების ფიზიოლოგიური პროცესი. ო-ის საშუალო ხანგრძლივობა 280 დღეა და როდესაც ნაყოფი აღწევს სრული განვითარების ხარისხს იგი მთავრდება მშობიარობით. სქესობრივი მომწიფების ასაკიდან (11-15 წელი) საკვერცხეში მომწიფებას იწყებს კვერცხუჯრედი. თუ მომწიფებული კვერცხუჯრედი შეერწყმის მამაკაცის სასქესო უჯრედს – სპერმატოზოიდს, ანუ განაყოფიერდება, იწყება ო.

**ორსულობათა ისტორია** – ინფორმაცია ქალის ორსულობათა საერთო რაოდენობის, დაორსულების დროისა და ორსულობის შედეგების შესახებ.

**ორსულობის შეწყვეტა** – იხ. აბორტი.

**ოჯახთა კლასიფიკაცია** – იხ. ოჯახთა ტიპოლოგია.

**ოჯახთა ტიპოლოგია** – ოჯახების ისეთი განაწილება, რომელიც დამოკიდებულია მათი სოციალურ-დემოგრაფიული

შემადგენლობისა და ფუნქციების არსებულ თავისებურებებზე. დემოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ოჯახის ტიპებს, რომლებიც გამოყოფილია მოსახლეობის აღწარმოების მნიშვნელობის მიხედვით: ოჯახში მეუღლეების არსებობით (ერთი ან ორივე მეუღლე), მეუღლეების ასაკი ან ქორწინების ხანგრძლივობა, ოჯახში ბავშვების არსებობა, მათი რაოდენობა და ასაკი. ო.ტ. ითვალისწინებს აგრეთვე ოჯახების დაყოფას მარტივად და რთულად, ოჯახში წევრების რაოდენობას და სხვა. საყოველთაოდ მიღებული ო.ტ. არ არსებობს. ამიტომ მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევების მონაცემები ოჯახების ტიპებად განაწილების შესახებ ხშირად შეუდარებელია ერთი ქვეყნისათვისაც კი.

**ოჯახი** – ქორწინების თუ ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ყოფა-ცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით. ო-ის სოციალურ აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განახლების მოთხოვნილება. ამ სოციალური ერთეულის ბიოლოგიურ საწყისს ქორწინება და შობადობა წარმოადგენს. მათი და ნათესაობის გათვალისწინებით ოჯახი სოციობიოლოგიურ ინსტიტუტს შეიძლება მივაკუთვნოთ (იხ. ოჯახის სოციობიოლოგიური სტრუქტურა). ამასთან ო. საზოგადოების სპეციფიკური ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთგანმსაზღვრელ კავშირშია საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან (თუმცა გარკვეული დამოუკიდებლობითაც ხასიათდება); მას აქვს განვითარების ფაზები და ო-ის წევრთა გარკვეული სტრუქტურა. ოჯახის მნიშვნელობა გამომდინარეობს მისი მრავალფეროვანი ფუნქციებიდან, რომლებიც მთელი საზოგადოების თუ პიროვნების მოთხოვნილებების განვითარების კვალდაკვალ იცვლება. ერთი რიგის ფუნქციები თითქმის მუდმივად ინარჩუნებენ ძირითადობას (შთამომავლობის შექმნის, აღზრდის და სხვ.), მეორენი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული თუ სოციალურ-ეკონომიკური წყობის პირობებში, სხვადასხვა ძალით მოქმედებენ (მაგ., მეურნეობრივი), სუსტდებიან (ეკონომიკური) ან ქრებიან (მწარმოებლური). მესამენი კი თანდათან მზარდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენენ (სოციალიზაციის, ო-ის წევრთა ემოციური ურთიერთობის განხორციელების, დასვენების ორგანიზაციის და სხვა ფუნქციები). თანამედროვე პირობებში ო-ის სიმტკიცე სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია – სახელმწიფო ახდენს მისი შექმნის თუ დაშლის, ქორწინების, განქორწინების ფიქსაციას.

ო. აღმოცენდა პირველყოფილ საზოგადოებაში (შუა პალეოლითი) ქორწინების, როგორც სოციალური ინსტიტუტის, წარმოშობის კვალდაკვალ. ქორწინებისა და ო-ის პირველი ფორმა





იყო წყვილადი ო. (ერთი წყვილის არა მარტო სქესობრივი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კავშირი, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული ჯგუფობრივი სქესობრივი ურთიერთობა). მაგრამ წყვილადი ო. მტკიცე არ იყო და ადვილად იშლებოდა. ამას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ ო-ის განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთა შრომითი და ყოფა-ცხოვრებითი ერთობის ფორმას, ძირითად სოციალურ ორგანიზმს, გვარი წარმოადგენდა.

როგორც მყარი სოციალური და მწარმოებლური ჯგუფი, ო. ჩამოყალიბდა გვიანდელი ნეოლითის ეპოქაში გვაროვნული წყობის დაშლის, კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობასთან ერთად. ეს არის მონოგამიური ო., რომლის ჩამოყალიბება განაპირობა კერძო საკუთრების დაგროვებამ და პირდაპირი მემკვიდრისთვის მისი გადაცემის მოთხოვნამ. წყვილადიდან მონოგამიურზე გარდამავალ ფორმას წარმოადგენდა პატრიარქალური ო., რომელიც მკაცრად მონოგამიური მხოლოდ ქალისათვის იყო. მისი განვითარების გვიანდელ საფეხურზე შექმნილმა საოჯახო თემმა საზოგადოების ცხოვრების განმსაზღვრელი ხასიათი მიიღო. ეს იყო მშობლებისა და მათი დაოჯახებული ვაჟიშვილების ინდივიდუალური ო-ებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი სოციალური ერთეული, რომელიც ხასიათდებოდა შრომის ორგანიზაციის შიგაოჯახური ურთიერთობების განსაზღვრული სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციით და იერარქიით, ო-ის უფროსი მამაკაცის ავტორიტარულობით. ო-ის ეს ფორმა დაშალა კაპიტალისტურმა ურთიერთობამ. მან დაარღვია ადრინდელი ეპოქებისათვის დამახასიათებელი კავშირი ო-სა და წარმოებას შორის. დიდი ო. დაიშალა მხოლოდ მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარ პატარა, ნუკლეარულ ო-ებად. ამაში სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა წარმოებაში ქალის ჩაბმამ და მის მიერ სამოქალაქო უფლებების მოპოვებამ. აღმოცენდა ო., რომლის სრულ განვითარებას ხელს უწყობდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა. საქორწინო და საოჯახო ურთიერთობაში შექმნილმა პროგრესულმა ტენდენციებმა შემდგომში სრული განვითარების შესაძლებლობა მიიღეს.

ო-ს შეისწავლის მრავალი მეცნიერება – სოციოლოგია, ეკონომიკა, ეთნოგრაფია, სამართალი, ფსიქოლოგია, დემოგრაფია და სხვა. დემოგრაფიაში ო. შეისწავლება მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მის რეპროდუქციულ ფუნქციას, რომელიც სხვა ფუნქციებთან ურთიერთკავშირში განიხილება. ამავე დროს შესწავლის ობიექტს წარმოადგენს თვით ო-ების წარმოქმნისა და განვითარების პროცესი. ამასთან, განიხილება ო-ს შემადგენლობის ცვალებადობა, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის აღწარმოებაზე: დაქორწინება, ბავშვების გაჩენა, განქორწინება ან ო-ის რომელიმე

წევრის სიკვდილი, ახალგაზრდა ო-ის წარმოქმნა. ვითარდება რა, ო. გაივლის რიგ ეტაპებს, რომელთა თანმიმდევრობა ოჯახის სიცოცხლის ციკლს წარმოქმნის (იხ. ოჯახის სიცოცხლის ციკლი).

ტერმინი "ო." თურქული წარმოშობისაა. თავდაპირველად ქართულში მის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი "სახლი" და "კომლი".

**ოჯახი** ავტორიტარული – იგულისხმება ურთიერთობის ფორმა ოჯახის წევრებს შორის, რომელსაც ახასიათებს ცოლის ქმრისადმი დაქვემდებარებასა და მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში მკაცრი დისციპლინა. ო.ა. ძირითადად დამახასიათებელი იყო ტრადიციული ოჯახისათვის და უმთავრესად გავრცელებული იყო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებამდე.

**ოჯახი** არასრული – ერთ-ერთი მშობელი ერთი ან რამდენიმე დაუქორწინებელი შვილით. ამგვარად არასრულობის დახასიათება ეხება ცოლ-ქმარს. ო.ა. ძირითადად წარმოიქმნება განქორწინების, ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის, მეუღლეთა განცალკევებული ცხოვრების, აგრეთვე ქორწინების გარეშე ბავშვების დაბადების (მარტოხელა დედა) შედეგად.

**ოჯახი** ბიოლოგიური – ცოლ-ქმარი და მათი შთამომავლობა. ჩვეულებრივ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ორი თაობა, ე.ი. მშობლები და მათი შვილები. ო.ბ-ს წარმოქმნიან მხოლოდ სისხლით ნათესაობით დაკავშირებული ადამიანები.

**ოჯახი** დემოკრატიული – იგულისხმება ურთიერთობის ფორმა ოჯახის წევრებს შორის. ო.დ. ეფუძნება მეუღლეებს შორის როლების განაწილებას არა ტრადიციების შესაბამისად (იხ. ოჯახი ავტორიტარული), არამედ მათი პიროვნული თვისებებისა და უნარის მიხედვით, თითოეული მათგანის თანაბარ მონაწილეობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მოვალეობათა ნებაყოფლობით განაწილებაზე, ბავშვების აღზრდას დაფუძნებულს შეგნებაზე და არა ძალდატანებაზე. ო.დ. ძირითადად გავრცელებას იწყებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებასთან ერთად.

**ოჯახი** დიდი – გვარიდან გამოყოფილი ოჯახის ისტორიული ფორმა, პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი. ჩამოყალიბდა მატრიარქალური გვარის დაშლისა და პატრიარქალური გვარის ფორმირების პერიოდში. აერთიანებდა სისხლით ნათესავთა რამდენიმე თაობას (3-4 ან მეტს) მამის მხრიდან. ო.დ. წარმოადგენდა გარდამავალ საფეხურს წყვილადი ოჯახიდან მონოგამიურ ოჯახზე. ო.დ-ის გადმონაშთი მსოფლიოს მთელმა რიგმა ხალხმა XIX ს-მდე შეინარჩუნა.





**ოჯახი** ეგალიტარული – იგულისხმება ურთიერთობის ფორმა ოჯახის წევრებს შორის. სპეციალურ ლიტერატურაში გამოიყენება ორი მნიშვნელობით: 1) როგორც დემოკრატიული, ე.ი. თანასწორი (ეგალიტარული ნიშნავს თანასწორს, თანასწორუფლებიანს) ოჯახის სინონიმი (იხ. ოჯახი დემოკრატიული); 2) ოჯახი, რომელშიც ცოლი და ქმარი ერთმანეთის გარდა თავისუფალია თავისთვის სხვა სქესობრივი პარტნიორის არჩევანში.

**ოჯახი** მარტივი – იხ. ოჯახი ნუკლეარული.

**ოჯახი** მრავალშვილიანი – შობადობის მაღალი დონის ზოგადი დახასიათება. ჩვეულებრივად იგულისხმება ქალის მიერ დაბადებული ბავშვების დიდი რაოდენობა. მხედველობაში მიიღება საშუალო ან დაბადებათა ტიპური რაოდენობა. ო.მ-ად დემოგრაფიაში მიჩნეულია ხუთი და მეტშვილიანი ოჯახი.

**ოჯახი** მცირეშვილიანი – შობადობის დაბალი დონის ზოგადი დახასიათება. ჩვეულებრივად იგულისხმება ქალის მიერ დაბადებული ბავშვების მცირე რაოდენობა. მხედველობაში მიიღება საშუალო ან დაბადებათა ტიპური რაოდენობა. ო.მ-ად ითვლება 1-2 შვილიანი ოჯახი.

**ოჯახი** ნუკლეარული – ოჯახი, რომელიც შედგება ცოლ-ქმრისა და შვილებისაგან ან შვილების გარეშე, ან ერთ-ერთი მშობლისა და დაუქორწინებელი შვილებისაგან. ო.ნ. ჩვეულებრივ ითვლება ცოლ-ქმარი და მხოლოდ მათი ის შვილები, რომლებიც ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. მაგ., დედა შვილით წარმოქმნის ო.ნ-ს, ხოლო ბებია შვილიშვილით – არა.

**ოჯახი** რთული – ოჯახი, რომელიც შედგება ნათესაური ურთიერთობებით გაერთიანებული რამდენიმე ნუკლეარული ოჯახისაგან, რომელთაგან თითოეული შეიძლება იყოს სრული ან არასრული და ამასთან შეიცავდეს მეუღლეთა ნათესავებს. მაგ., ო.რ-ს წარმოქმნის ცოლ-ქმარი შვილით და შვილის ცოლით.

**ოჯახი** საშუალოშვილიანი – ჩვეულებრივ იგულისხმება ქალის მიერ დაბადებული ბავშვების რაოდენობა. მხედველობაში მიიღება საშუალო ან დაბადებულთა ტიპური რაოდენობა. ო.ს-ად დემოგრაფიაში ითვლება 3-4 შვილიანი ოჯახი.

**ოჯახი** სრული – ოჯახი, რომლის შემადგენლობაში შედის ორივე მეუღლე. ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ ნუკლეარული ოჯახი.

**ოჯახი** უშვილო – ნუკლეარული ოჯახი, რომელშიც ცოლ-

ქმარს განზრახ ან უნაყოფობის გამო არ ჰყავთ არცერთი შვილი.

**ოჯახის ბიუჯეტი** – ოჯახის ფაქტობრივი შემოსავლისა და გასავლის მოცულობა და სტრუქტურა. ო.ბ. წარმოადგენს ოჯახის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ო.ბ-ის შესწავლა დაიწყო დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ XVIII ს. მეორე ნახევრიდან.

**ოჯახის ბირთვი** – ცოლ-ქმარი ან ერთ-ერთი მეუღლე შვილებით. ბაერო-ს სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციების თანახმად, მოსახლეობის აღწერებისას, ო.ბ. ითვლება: 1) ცოლ-ქმარი შვილების გარეშე; 2) ცოლ-ქმარი ერთი ან რამდენიმე ქორწინებაში არასდროს მყოფი შვილით (სრული ო.ბ.); 3) ერთ-ერთი მშობელი (დედა ან მამა) ერთი ან რამდენიმე ქორწინებაში არასდროს მყოფი შვილით (არასრული ო.ბ.).

**ოჯახის გაზრდის ალბათობა** – წარმოადგენს ქალების წილს, რომლებმაც გააჩინეს (n+1) შვილი, მათ შორის, რომლებმაც დაბადეს n შვილი. ასეთი მაჩვენებლების სერია ყველა დაბადების რიგითობისათვის სრულად ახასიათებს შობადობის დონეს კოჰორტაში (რეალურში ან ჰიპოთეზურში).

რეალური კოჰორტისათვის, რომელმაც დაასრულა ბავშვთა შობა, ო.გ.ა. ($a_n$) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$a_n = \frac{\sum_{n+1}^{\omega} W_k}{\sum_{n}^{\omega} W_k},$$

სადაც n – შემდეგი დაბადების რიგითობა; $W_k$ – ქალების რაოდენობა, რომლებმაც გააჩინეს K რიგითობის შვილი. მაჩვენებელი გამოიყენება როგორც საქორწინო კოჰორტისათვის, ისევე კოჰორტისათვის დაბადების წლის მიხედვით. უკანასკნელ შემთხვევაში ის ცნობილია შემდეგი დაბადების ალბათობის სახელით.

ო.გ.ა-ის სიდიდე არ შეიძლება ერთის ტოლი იყოს უნაყოფობის არსებობის გამო, თუმცა უახლოვდება მას და აღწევს 0,96-0,97.

**ოჯახის დაგეგმვა** – ადამიანის, ცოლ-ქმრის მიერ გადაწყვეტილების მიღება ოჯახის ზომის შესახებ, კერძოდ ოჯახში ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლის შესახებ და ამ გადაწყვეტილების განხორციელებისაკენ მიმართული ქცევა.





ოჯახის დაგეგმვა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებით განისაზღვრება, რომელიც წარმოებს კონტრაცეპციის სხვადასხვა მეთოდისა და აბორტების გამოყენების მეშვეობით.

ო.დ. ხელს უწყობს ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლას, არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებას, პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკური ინტერვალების არჩევასა და დაცვას.

ო.დ-ის შედეგად მცირდება ჩვილთა მოკვდაობა, მტკიცდება დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა, კლებულობს მეორადი უნაყოფობა.

2) ზოგიერთ ქვეყანაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში ო.დ-ში იგულისხმება ო.დ-ის სპეციალური პროგრამები, რომელიც ცნობილია აგრეთვე "შობადობის კონტროლის" სახელწოდებით. ასეთი პროგრამების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართულია ოჯახში ბავშვთა შობის შეზღუდვისაკენ.

**ოჯახის ზოგადი სტრუქტურის სქემა** – საფუძვლად უდევს ოჯახის ძირითადი საწყისები – სოციობიოლოგიური და სოციალური, რომლებიც წარმოქმნიან პირველი დონის სტრუქტურებს. თავის მხრივ, ისინი განაპირობებენ მეორე დონის სტრუქტურებს – დემოგრაფიულს და ურთიერთობების. ყოველ მათგანს საკუთარი ქვესტრუქტურული ელემენტები აქვს. მთლიანობაში, სქემატურად ოჯახის ზოგადი სტრუქტურა მოყვანილია ქვემოთ. (იხ. შემდეგ გვერდზე).

მოცემული სახით ო.ზ.ს.ს. შემოთავაზებულ იქნა მზია ბექაიას მიერ 1998 წელს, თუმცა ის უფრო ადრე იყო მის მიერვე შემუშავებული (1980-იან წწ.).

**ოჯახის ზომა** – იხ. ოჯახის სიდიდე.

**ოჯახის კრიზისი** – ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის დეგრადაცია. ძირითადად გამოიხატება ოჯახის მიერ საზოგადოებისათვის აუცილებელი ისეთი ფუნქციების შემცირებაში, როგორიცაა მოსახლეობის აღწარმოება და ახალი თაობების აღზრდა.

**ოჯახის მოდერნიზაცია** – ოჯახის კრიზისის ალტერნატიული კონცეფცია, რომელიც ისტორიულად განპირობებულად და ამდენად დასაშვებად მიიჩნევს ოჯახის კრიზისთან დაკავშირებულ პრობლემებს. თვლის, რომ ადგილი აქვს ოჯახის მოდერნიზაციას და არა მის კრიზისს.

**ოჯახის ნუკლეარიზაცია** – დაქორწინებასთან დაკავშირებით ოჯახიდან შვილების გამოყოფის ტენდენცია, რომელსაც მოჰყვება მოსახლეობაში ნუკლეარული ოჯახების წილის ზრდა.

ოჯახის ზოგადი სტრუქტურის სქემა








**ოჯახის საშუალო სიდიდე (ზომა)** – წარმოადგენს ოჯახების სიდიდის მიხედვით განაწილების განმაზოგადებელ მაჩვენებელს. ო.ს.ს.(ზ.) ახასიათებს ჰიპოთეზურ თაობას და ამიტომ დამოკიდებულია მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობისა და ქორწინებითი მდგომარეობის ცვალებადობაზე. ო.ს.ს.(ზ.)-ის მნიშვნელობა იცვლება ფართო საზღვრებში და დამოკიდებულია რთული ოჯახების გავრცელებასა და ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე. ო.ს.ს.(ზ.) – x გამოიანგარიშება ფორმულით:

$$x = \frac{\sum_i x_i n_i}{\sum_i n_i},$$

სადაც $x_i$ არის ოჯახის სიდიდე ( i=2,3...); $n_i$ – მოცემული სიდიდის რაოდენობა; $\sum_i x_i n_i$ - ყველა ოჯახის წევრების რაოდენობა, რომელიც მოცემული ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობის ტოლია მარტოხელების გამოკლებით.

**ოჯახის სიდიდე** – დროის მოცემული მომენტისათვის, ოჯახის შემადგენლობაში შემავალი, ნათესაობით დაკავშირებული, ერთად მცხოვრები ადამიანების რაოდენობა. ო.ს. დამოკიდებულია ოჯახის მიღებულ განსაზღვრებაზე. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს იმას, გათვალისწინებულია თუ არა ერთად მცხოვრები ნათესავების ბიუჯეტის ერთობა. ო.ს. განისაზღვრება ოჯახის ბირთვის (ერთია თუ რამდენიმე), ბავშვების რაოდენობით, ოჯახში სხვა ნათესავების არსებობით.

შობადობასთან მიმართებაში ტერმინი "ო.ს." ხშირად გამოიყენება ოჯახში ბავშვების რაოდენობის აღნიშვნისათვის.

**ოჯახის სოციობიოლოგიური სტრუქტურის სქემა** – ოჯახის სოციობიოლოგიური არსის, შიგა აღნაგობის სქემატური გამოსახულება (იხ. შემდეგ გვერდზე).

ოჯახის სოციობიოლოგიური არსი, ტიპოლოგია და ო.ს.ს.ს. მოცემულ იქნა მზია ბექაიას მიერ.

**ოჯახის სოციოლოგია** – სოციოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ოჯახს, როგორც ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების ფორმას, მის ფუნქციებს, ოჯახში პიროვნებათაშორის ურთიერთობებს, პიროვნების მოტივაციის მდგრადობას ქორწინებისადმი. ო.ს. მჭიდრო კავშირში იმყოფება დემოგრაფიასთან.

განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ საკითხები, რომლებიც ეხება

### ოჯახის სოციობიოლოგიური სტრუქტურის სქემა








ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობას, ქორწინებისა და ოჯახის ფორმირების ევოლუციას, ოჯახისა და მისი ფუნქციების მდგომარეობას საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთკავშირს და სხვა.

**ოჯახის უფროსი** – ოჯახის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ასრულებს მისი ლიდერის როლს. ზოგიერთ ქვეყანაში ო.უ-ს გააჩნია განსაკუთრებული უფლებები და პასუხისმგებელია მასზე. ზოგჯერ ო.უ-ად განიხილება პირი, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახის სხვა წევრებს ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი პირობებით. ო.უ-ის ინსტიტუტის არსებობა და შინაარსი დამოკიდებულია ოჯახის ფუნქციებსა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების დონეზე. პირობებში, როდესაც ოჯახი იყო მწარმოებლური უჯრედი, ო.უ-ის მახასიათებლებით განსაზღვრავდნენ ოჯახის სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის სოციალურ კუთვნილებას. ოჯახის სოციალური ფუნქციების ცვლილებებთან ერთად ო.უ-ის ეკონომიკური მდგომარეობა უკვე აღარ არის მისი სოციალური სტატუსის ერთადერთი კრიტერიუმი და ოჯახის კუთვნილებას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან განსაზღვრავს მისი სხვა წევრებისა და მთელი ოჯახის მახასიათებლები.

ო.უ-ის კატეგორიის შენარჩუნება მოსახლეობის სტატისტიკაში გამოწვეულია იმით, რომ ოჯახის ყველა წევრის მიერ ნათესაური ურთიერთობის მითითება ერთი მათგანის მიმართ, მოსახლეობის აღწერებისა და გამოკვლევებისას, ერთი ოჯახის მეორისაგან გამიჯვნისა და ოჯახის ყველა წევრის ოჯახური მდგომარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ბაერო-ს რეკომენდაციების შესაბამისად, ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ბოლო დროს ჩატარებული მოსახლეობის აღწერებისას ო.უ-ის კატეგორია არ გამოიყენება. ოჯახის წევრების ოჯახური მდგომარეობა განისაზღვრება აღწერის ფურცელში პირველად ჩაწერილი წევრის მიმართ.

**ოჯახის სიცოცხლის ციკლი** – სოციალური და დემოგრაფიული თვალსაზრისით იმ არსებით მდგომარეობათა თანმიმდევრობა, რომელშიც იმყოფება ოჯახი ჩამოყალიბების მომენტიდან იქამდე, სანამ შეწყვეტს თავის არსებობას. საყოველთაოდ აღიარებული, ერთიანი ო.ს.ც-ის სქემა არ არსებობს. ჩვეულებრივ გამოჰყოფენ შემდეგ ფაზებს: 1) ოჯახის წარმოქმნა – პირველი ქორწინება; 2) ბავშვთა შობის დაწყება – პირველი შვილის გაჩენა; 3) ბავშვთა შობის დასრულება – უკანასკნელი შვილის გაჩენა; 4) პირველი შვილის დაქორწინება (გამოყოფა ცალკე ოჯახად); 5) უკანასკნელი შვილის დაქორწინება (გამოყოფა ცალკე ოჯახად); 6) ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი ან განქორწინება (ოჯახის არსებობის შეწყვეტა). ო.ს.ც. ჩვეულებრივ განიხილება ნუკლეარული

ოჯახისათვის, მაგრამ თუ შვილს დაქორწინების შემდეგ მოჰყავს მეუღლე ოჯახში, მაშინ ოჯახი ხდება რთული. ო.ს.ც. განიხილება ოჯახთა ერთობლიობისათვის ერთ-ერთი მეუღლის (ძირითადად ცოლის) ასაკის ან ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით. ამასთან, გამოიანგარიშება საშუალო ასაკი, რომლის შედარება თანმიმდევრობითი ფაზებისათვის შესაძლებლობას იძლევა დადგენილ იქნას როგორც ცალკეული ფაზის, ისევე მთელი ციკლის ხანგრძლივობა. ო.ს.ც-ის ფაზების ცვალებადობას შეესაბამება ოჯახის შემადგენლობის ცვალებადობაც და აგრეთვე მათი როლის სტრუქტურისა და გარკვეულ ფარგლებში ცხოვრების წესის ცვლილებაც.

**ოჯახის წევრი** – პირი, რომელსაც აქვს უფლება-მოვალეობანი ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე. კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ განსაზღვრავს ო.წ-ის პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს, ხოლო სამოქალაქო კანონმდებლობა – ო.წ-ის უფლება-მოვალეობებს მემკვიდრეობით, საბინაო და სხვა ურთიერთობათა სფეროში.

**ოჯახის წევრი** ცალკე მცხოვრები – ოჯახური მდგომარეობის კატეგორია, რომელსაც ზოგიერთ ქვეყნაში გამოყოფენ მოსახლეობის აღწერებისას. ო.წ.ც.მ-ად მიჩნეულია ოჯახის ის წევრი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ოჯახისაგან განცალკევებით, მაგრამ მასთან საერთო ბიუჯეტი ან რეგულარული მატერიალური კავშირი აქვს. ო.წ.ც.მ-ად აგრეთვე ითვლებიან ის პირები, რომლებიც მოსახლეობის აღწერის მომენტისათვის დროებით ცხოვრობდნენ ოჯახისაგან განცალკევებით. ო.წ.ც.მ-ის კატეგორიაში შეიძლება შედიოდნენ სტუდენტები, რომლებიც ცხოვრობენ სწავლის ადგილას, სარემონტო და სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკები და ა.შ.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მოსახლეობის ამ კატეგორიის ცალკე გამოყოფა ეწინააღმდეგება ოჯახის განმარტებას.

**ოჯახური მდგომარეობა** – ადამიანის მდგომარეობა ოჯახის დემოგრაფიულ სტრუქტურაში. ქორწინებითი მდგომარეობისაგან (იხ. ქორწინებითი მდგომარეობა) განსხვავებით მიუთითებს იმაზე, შედის თუ არა ადამიანი ოჯახში და რა ადგილი უჭირავს ოჯახის სხვა წევრებს შორის. ანსხვავებენ ო.მ-ის ორ მსხვილ კატეგორიას: 1) ოჯახის წევრები და 2) პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახებს. პირველი კატეგორია იყოფა ქვეკატეგორიებად, რომელსაც შეესაბამება ადამიანის ადგილი ოჯახის სტრუქტურაში – მეუღლეები, შვილები, მეუღლეთა მშობლები და სხვა ნათესავები. მეორე კატეგორიას შეადგენენ მარტოხელები, რომელთა შორის გამოჰყოფენ იმ მარტოხელებს, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი მეურნეობა და მარტოხელებს, რომლებიც ცხოვრობენ საერთო საცხოვრებლებში.

**ოჯახური ურთიერთობები** – სხვადასხვა სახის





ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის. ო.უ-ში გამოჰყოფენ: ნათესაობით, სულიერ, ზნეობრივ, ძალაუფლებრივ, ავტორიტეტულ და სამართლებრივ ურთიერთობებს. როლების მიხედვით – თაობებს შორის, მეურნეობით და სხვა ურთიერთობებს.

# პ

**პალეოდემოგრაფია** – მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის უძველეს ადამიანურ ერთობებში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს. წარმოადგენს ისტორიული დემოგრაფიის ნაწილს. პ-ის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს შემდეგი წყაროები: წერილობითი (აღწერების დოკუმენტები, ეპიტაფიები), პალეოანთროპოლოგიური (ადამიანის ნამარხი ჩონჩხების ანალიზის შედეგები), ეთნოარქეოლოგიური (ეთნოგრაფიული დაკვირვებები, ექსტრაპოლირებული უძველეს ისტორიაზე). პ. დაკავებულია ამ წყაროების შესწავლით და მოიცავს საზოგადოების განვითარების მთელ დამწერლობამდელ პერიოდსაც. წყაროების თავისებურება განსაზღვრავს პ-ს როგორც არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და დემოგრაფიის მიჯნაზე მყოფ დარგს.

**პანდემია** – ეპიდემია, რომელსაც ახასიათებს ინფექციური დაავადების (მაგ., ქოლერა, გრიპი) გავრცელება ერთი რომელიმე ქვეყნის, მისი მეზობელი ქვეყნის ამ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე. დაავადებიდან გამომდინარე, პ-მ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს დემოგრაფიულ პროცესებზე (მოკვდაობაზე, ჩვილთა მოკვდაობაზე, ბუნებრივ მატებაზე, მიგრაციაზე).

**პანელური გამოკვლევა** – გარკვეული დროის შემდეგ ერთი და იგივე პროგრამით, ადრე გამოკვლეული მოსახლეობის ჯგუფების განმეორებითი გამოკვლევა. პ.გ-ის მიზანია იმ ცვლილებათა შესწავლა, რომლებიც მოხდა ადამიანთა ჯგუფებში დროის გარკვეულ პერიოდში.

**პანმიქსია** – ისეთი ვითარების დამახასიათებელი აბსტრაქტული მოდელი, როდესაც საქორწინო წყვილთა შერჩევას აქვს შემთხვევითი ხასიათი და შეუღლების ყველა ვარიანტი თანაბარი ალბათობისაა. რეალურ სინამდვილეში პ-ს ადგილი არა აქვს. დემოგრაფიაში პ. გამოიყენება ქორწინების ინდექსების აგების საფუძველად.

**პაპა** – მამის ან დედის მამა.

**პასპორტი** – მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტი.

**პატრიარქატი** – პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში გავრცელებული ურთიერთობების ფორმა, რომელიც ხასიათდებოდა მამაკაცის უპირატესი როლით მეურნეობაში, საზოგადოებასა და ოჯახშიც. პ-ზე გადასვლა განსაზღვრა კერძო საკუთრების წარმოშობამ. პ-თვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე მამის ხაზით ნათესაობის აღრიცხვა, წყვილადი ქორწინებიდან მონოგამიაზე გადასვლა (იხ. ოჯახი), დიდი პატრიარქალური ოჯახების შექმნა და სხვა.

**პატრონატი** – ობოლი ან მშობლებთან კავშირგაწყვეტილი ბავშვების ნებაყოფლობითი აყვანა ოჯახებში აღსაზრდელად სახელმწიფო ორგანოებთან ხელშეკრულების საფუძველზე. ბავშვის ამყვანი პირი ღებულობს გარკვეულ გასამრჯელოს და ის ვალდებულია აღზარდოს და შეინახოს ბავშვი, როგორც თავისი ოჯახის წევრი და ამასთან ითვლება მის მეურვედ (მზრუნველად). თანამედროვე პერიოდში პ. ნაკლებად გამოიყენება.

**პედიატრია** – მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის ბავშვის ორგანიზმის სხვადასხვა ასაკობრივი პერიოდის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბავშვთა სნეულებებს, მათ მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

**პენდლერები** – ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე პირები.

**პენსია** – ფულადი უზრუნველყოფა, რომელსაც რეგულარულად იღებენ მოქალაქეები კანონით დადგენილ შემთხვევებში (მოხუცებულობის, შრომის უნარის დაკარგვის, ავადმყოფობისა და სხვ. გამო).

**პენსიონერები** – პირები, რომლებიც პენსიას იღებენ.

**პერინატალური პერიოდი** – პერიოდი ორსულობის 28 კვირიდან დაწყებული ახალდაბადებულის სიცოცხლის მეშვიდე დღემდე.

**პოლიანდრია** – მრავალქმრიანობა, ჯგუფური ქორწინების იშვიათი გადმონაშთი, როცა ერთ ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავდა. XIX ს-ში შემორჩენილი იყო ალეუტებსა და ესკიმოსებთან, ხოლო ტიბეტისა და სამხრეთ ინდოეთის ზოგიერთ ჯგუფში უფრო გვიანაც არის დამოწმებული.

**პოლიგამია** – მრავალქორწინება. ხშირად ტერმინი “პ.”





არაზუსტად იხმარება მრავალცოლიანობის აღსანიშნავად. იხ. პოლიგინია.

**პოლიგინია** – მრავალცოლიანობა, ქორწინების ერთ-ერთი ისტორიული ფორმა, როცა ერთ მამაკაცს რამდენიმე ცოლი ჰყავდა. დამახასიათებელი იყო უმთავრესად პატრიარქატისათვის. პ. შემონახული იყო კლასობრივ საზოგადოებაში აღმოსავლეთის მთელ რიგ მუსლიმანურ ხალხებში და გაბატონებული კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში პ. აკრძალულია.

**პოპულაცია** – 1) წარმოდგება ლათინურიდან. უცხო ენაზე population ნიშნავს მოსახლეობას; 2) გენეტიკაში, ეკოლოგიასა და ევოლუციურ მოძღვრებაში, ერთი სახეობის იმ ინდივიდთა ერთობლიობაა, რომლებიც მრავალი თაობის მანძილზე ერსსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ, თავისუფლად ეჯვარებიან ერთმანეთს და სხვა ასეთივე ჯგუფებისაგან იზოლირებული არიან.

**პოპულაციონისტიკა** – მოსახლეობის შესახებ სისტემატიზებული მეცნიერული ცოდნის პირველი დასახელება. ტერმინი “პ.” პირველად 1841 წელს გამოიყენა შვეიცარიელმა მეცნიერმა კრისტოფ ბერნულიმ თავისი წიგნის დასახელებაში “პოპულაციონისტიკის ცნობარი”.

**პორნოგრაფია** – ლიტერატურაში,სახვით ხელოვნებაში,თეატრში, კინოსა და ა.შ. სქესობრივი ცხოვრების ნატურალისტური გამოსახულება, რომელიც ძირითადად უჩვენებს სქესობრივი ქცევის ინსტიქტურ-ინსტრუმენტულ ასპექტებს. პ-ის მეცნიერული განმარტების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, რომელიც ძირითადად გამოწვეულია სოციოკულტურული და სიტუაციური კონტექსტით.

**პროგნოზ-გაფრთხილება** – მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშება, რომელიც უჩვენებს ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ვითარების შესაძლებელ არახელსაყრელ და საშიშ შედეგებს, რომელთა თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება.

**პროგნოზი ანალიტიკური** – დემოგრაფიაში პროგნოზის სახე, რომლის მიზანია მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტენდენციების შესწავლა მოსახლეობის მომავალი რაოდენობისა და შემადგენლობის შეფასების თვალსაზრისით. პ.ა. კეთდება მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის უცვლელობიდან გამომდინარე, მოცემული დროისათვის

შობადობისა და მოკვდაობის არსებული ტენდენციების შენარჩუნების ან მათი უმნიშვნელო ცვალებადობის გათვალისწინებით. პროგნოზის სხვადასხვა ვარიანტის შედარება შესაძლებლობას იძლევა შეფასებულ იქნას მოსახლეობის აღწარმოების თითოეული კომპონენტის გავლენის ხარისხი.

**პროგნოზი დემოგრაფიული** – მოსახლეობის მოძრაობის ძირითადი პარამეტრებისა და მომავალი დემოგრაფიული ვითარების მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრა. პ.დ-ისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: მოსახლეობის რაოდენობის, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი და ქორწინებითი შემადგენლობის, შობადობის, მოკვდაობის, მიგრაციისა და მოსახლეობის თვისებრივი მახასიათებლების განსაზღვრას. პ.დ. გამომდინარეობს პერსპექტიული გაანგარიშებებიდან, რომლებიც ეფუძნება დემოგრაფიული პროცესების მოსალოდნელი დინამიკის ზოგიერთ ჰიპოთეზას. ამგვარი გაანგარიშებები, როგორც წესი, კეთდება რამდენიმე ვარიანტად. მათ შორის ყველაზე შესაძლებელი ვარიანტი, რომელსაც პრეტენზია აქვს მოსახლეობის აღწარმოების მომავალი მსვლელობის სიზუსტეზე, ჩვეულებრივ მიიჩნევა პ.დ-ად. პ.დ-ის სანდოობა დამოკიდებულია როგორც ამოსავალი ინფორმაციის სიზუსტეზე, ისევე დემოგრაფიული პროცესების ცვალებადობის შესახებ გამოყენებული ჰიპოთეზების დასაბუთება-მართებულობაზე.

მოსახლეობის მომავალი რაოდენობის განჭვრეტის ცდები ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის პერიოდს განეკუთვნება. პ.დ-ის მეცნიერულად დასაბუთებული პირველი ცდები XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში გაკეთდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეონარდ ეილერის დამსახურება, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ზრდის მათემატიკური თეორიის შექმნაში.

**პროტოგენეტიკური ინტერვალი** – დროის ინტერვალი დაქორწინებასა და პირველი ბავშვის დაბადებას შორის. რომელიც გამოიანგარიშება ქალების თაობისათვის.

**პუბერტატი** – სქესობრივი მომწიფება.

## რ

**რასა** - გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელსაც აქვს საერთო წარმომავლობა,





რაც ვლინდება მხოლოდ ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი მემკვიდრეობითი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნების (სხეულის აგებულება, კანის, თმის ფერი, თავის ფორმა და სხვ.) ერთობლიობით. მიღებულია ოთხი დიდი რ-ის გამოყოფა: ნეგროდიული და მასთან ახლოს მყოფი ავსტრალოიდური, ევროპეიდული და მონღოლოიდური. დიდი რ-ების შიგნით გამოიყოფა მცირე რ-ები, ხოლო მათში – ტიპების ჯგუფები.

მიჩნეულია, რომ რასობრივი თავისებურებების გავლენა დემოგრაფიულ პროცესებზე (მაგ., შობადობაზე) დიდი არ არის, თუმცა დემოგრაფიული გადასვლის და შესაბამისად დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით ზოგიერთი კონტინენტის მოსახლეობა, რომელსაც ძირითადად ერთი რ-ის წარმომადგენლები შეადგენენ (მაგ. აფრიკა – ნეგროიდული) განსხვავდება სხვა კონტინენტებზე მყოფი მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია არა რასობრივი განსხვავებით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვაობით.

**რატსის ფორმულა** – გამოიყენება ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტის გამოსაანგარიშებლად გარკვეული კალენდარული პერიოდისათვის, როგორც წესი, ერთი წლისათვის. შემოთავაზებულ იქნა XX ს. დასაწყისში გერმანელი მათემატიკოსისა და დემოგრაფის იოჰანეს რატსის მიერ. რ.ფ-ის მიხედვით ჩვილთა mokvdaoba (m) შემდეგნაირად გამოიანგარიშება:

$$m = \frac{M_0}{\alpha N + \beta N'} \cdot 1000,$$

sadac $M_0$ – მოცემულ წელს ერთ წლამდე ასაკის გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობა; N – დაბადებულთა რაოდენობა მოცემულ წელს; N' - დაბადებულთა რაოდენობა წინა წელს; რატსის მიხედვით – $\alpha$=2/3, $\beta$=1/3. ჩვილთა მოკვდაობის შემდგომი შემცირების პირობებში მიღებულია: $\alpha$=3/4, $\beta$=1/4.

**რეადაპტაცია** – უკუმიგრანტის ხელახალი ადაპტაცია.

**რეევაკუაცია** – მოსახლეობის (წარმოება-დაწესებულებათა და მათი ქონების) დაბრუნება ძველ ადგილას, საიდანაც ევაკუირებული იყვნენ. (იხ. ევაკუაცია).

**რეემიგრანტები** – ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული პირები.

**რეემიგრაცია** – ემიგრანტების დაბრუნების პროცესი სამშობლოში.

**რეიმიგრანტები** – რეიმიგრაციაში მონაწილე პირები.

**რეიმიგრაცია** – იმიგრაციის შედეგად ქვეყანაში ჩამოსული პირების ქვეყნიდან წასვლა (უკუდენა).

**რეინტეგრაცია** – უკუმიგრანტის ხელახალი ინტეგრაცია.

**რეპატრიანტები** – პირები, რომლებიც ბრუნდებიან სამშობლოში რეპატრიაციის შედეგად.

**რეპატრიაცია** – პროცესი, რომლის დროსაც ხდება პოლიტიკური რეპრესიების შედეგად გასახლებულ პირთა, აგრეთვე ლტოლვილთა ან ტყვედ წაყვანილთა სამშობლოში დაბრუნება.

**რეპროდუქციის პერიოდი** – (უნდა განვასხვავოთ ფერტილური პერიოდისაგან, იხ. ფერტილური პერიოდი). ქალების ცხოვრების ის ნაწილი, რომლის განმავლობაში ისინი ფაქტობრივად ახენენ ბავშვებს. რ.პ. შეიძლება განისაზღვროს დაქორწინების ფაქტობრივი ასაკისა და უკანასკნელი ბავშვის გაჩენის ასაკს შორის სხვაობით.

გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში რ.პ. საშუალოდ შეადგენდა 6 წელს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ფერტილურ პერიოდზე (35 წელი).

**რეპროდუქციული განწყობა** – ადამიანის მზადყოფნა ფსიქოფიზიკური აქტივობისათვის, მიმართული "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებისაკენ. რ.გ. წინ უსწრებს რეპროდუქციულ ქცევას, წარმოადგენს გარკვეული სახის მზადყოფნას და განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას.

რ.გ-ის აღმოცენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების", შესაბამისი სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობის არსებობა, ურთიერთდამთხვევა და ერთდროული ზემოქმედება. რ.გ-ში ასახულია ეს ფაქტორები და ამიტომ მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მიზანშეწონილობით ხასიათდება.

"ბავშვების ყოლის მოთხოვნილება" მოცემული ლექსიკონის სხვა ნაწილშია განხილული (იხ. "ბავშვების ყოლის მოთხოვნილება"). რაც შეეხება სიტუაციას და ოპერაციულ შესაძლებლობას, არსებული სინამდვილიდან გამომდინარე, რ.გ-ის შემთხვევაში, ისინი საკმაოდ ფართო საზღვრებში ვარირებენ. სიტუაცია ეს ურთიერთობაა მეუღლეებს შორის, სხვადასხვა სახის ყოფითი და ცხოვრებისეული პირობები. ოპერაციული





შესაძლებლობა შეიძლება განისაზღვრულ იქნას ასაკით და მისგან გამომდინარე თავისებურებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობით და ძირითადად ბავშვთა შობის უნარით.

რ.გ. (და შესაბამისად რეპროდუქციული ქცევა) შეიძლება იყოს სამი დონის: იმპულსური დონის რ.გ., თეორიული დონის რ.გ. და სოციალური დონის რ.გ.

იმპულსური დონის რ.გ-ისას ბავშვთა შობა განისაზღვრება მხოლოდ ნაყოფიერებით. ბავშვთა შობის შემზღუდველი სხვა პირობები პრაქტიკულად არ არსებობს.

თეორიული დონის რ.გ. აღმოცენდება მიზანშეწონილი ქცევის ობიექტივაციის მონაწილეობით (იხ. ობიექტივაცია) და მის დროს ადამიანი ორიენტირებულია პრობლემური სიტუაციის მოხსნისა და ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლისაკენ.

სოციალური დონის რ.გ-ის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს ნებელობა წარმოადგენს (იხ. ნებელობა). სოციალური დონის რ.გ-ის საფუძველზე განხორციელებული ქცევა ადამიანის ისეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება, რომელიც მას მომავალში შეიძლება გაუჩნდეს. ასეთი ქცევა ზოგჯერ ითვალისწინებს სხვა ადამიანის "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებას. სოციალური დონის რ.გ-ის ფორმირებაში მონაწილეობას იღებენ სოციალური ფაქტორები.

პიროვნებისათვის ბავშვები, მათი ყოლა, ფასეულობას წარმოადგენენ. ბავშვებს გარკვეული ადგილი უჭირავთ ფასეულობათა სისტემაში. პიროვნება ბავშვებთან, როგორც ფასეულობათა სისტემაში არსებულ სოციალურ ობიექტებთან, ცნობიერ დამოკიდებულებაში იმყოფება. მის გამო სოციალური დონის რ.გ-ის ფორმირებაში ადამიანის ცნობიერება მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებს (იხ. აგრეთვე: რეპროდუქციული ქცევა, რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა).

**რეპროდუქციული მოტივაცია** – ფსიქიკური მდგომარეობანი, რომლებსაც ადამიანი თავისი ქცევის აღმძვრელ ფენომენებად განიცდის. რ.მ. ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) ფსიქიკური ფენომენები, რომლებიც ქცევის პოზიტიურ ძალებად განიცდებიან და 2) ფსიქიკური ფენომენები, რომლებიც ქცევის ნეგატიურ ძალებად განიცდებიან. ადამიანი მათ განიცდის როგორც გარკვეული საგნებისა და სიტუაციისაკენ წარმმართველ, ან საგნებისა და სიტუაციისაგან განმარიდებელ ძალებს.

აქედან გამომდინარე, რეპროდუქციული მოტივაციის შესწავლისას ორი ძირითადი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ: 1) ბავშვების ყოლის მოტივები, ე.ი. ის მოტივები, რომლებიც მიმართავენ ადამიანს ბავშვების ყოლისაკენ, ხელს უწყობენ ბავშვების ყოლას და 2) ბავშვების ყოლის ხელშემშლელი მოტივები, ე.ი. ის მოტივები, რომელთა განცდის შემდეგ ადამიანი ერიდება ბავშვების ყოლას. ამ უკანასკნელის მოქმედება

ხელს უშლის "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილებას (იხ. ბავშვების ყოლის მოტივები, ბავშვების ყოლის ხელშემშლელი პირობები (მოტივები).

**რეპროდუქციული ნორმები** – ქცევის პრინციპები და ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლასთან და მიღებულია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში.

ანსხვავებენ მრავალშვილიანობისა და მცირეშვილიანობის რ.ნ-ებს, რომლებიც დამახასიათებელია რეპროდუქციული ქცევის ძირითადი ტიპებისათვის (იხ. რეპროდუქციული ქცევა).

**რეპროდუქციული ორიენტაციები** – 1) რეპროდუქციული ქცევის საკითხში გარკვევა, ქცევის დაგეგმვა ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლისათვის; 2) ტერმინი "რ.ო." გამოიყენება აგრეთვე ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ იმ წარმოდგენების აღსანიშნავად, რომლებიც ყალიბდებოდა ბავშვობის ასაკში (იხ. წარმოდგენა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ).

**რეპროდუქციული უფლებები** – მამაკაცისა და ქალის უფლება, იყვნენ ინფორმირებულნი და, ამავე დროს, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს მათ მიერ შერჩეული ოჯახის დაგეგმვისა და შობადობის რეგულირების უსაფრთხო, ეფექტური და მისაღები მეთოდები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, აგრეთვე უფლება, მიიღონ სათანადო სამედიცინო მომსახურება, რაც უზრუნველყოფს ქალისათვის უსაფრთხო ორსულობას და მშობიარობას, ხოლო წყვილისათვის - ჯანმრთელი ბავშვის დაბადების შანსს.

**რეპროდუქციული უფლებები ქალთა** – ქალთა უფლება თავისუფლად და სრული პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ და გააკონტროლონ სექსუალურ სფეროსთან, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი; ამასთან ეს გადაწყვეტილებები უნდა იყოს თავისუფალი დისკრიმინაციის, ძალადობისა და აგრესიისაგან. ეს უფლებები ასევე გულისხმობს სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას, პიროვნების ურთიერთპატივისცემას, თანხმობასა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას სქესობრივი ქმედებისა და მისი შედეგების თვალსაზრისით.

**რეპროდუქციული ქცევა** – აქტივობა, რომელიც მიმართულია "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დასაკმაყოფილებლად. რ.ქ. განისაზღვრება "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებით" და იმ სიტუაციით, რომელშიდაც შესაძლებელია





ამ "მოთხოვნილების" დაკმაყოფილება. რ.ქ.წარმოადგენს შესაბამისი რეპროდუქციული განწყობის რეალიზაციას (იხ. რეპროდუქციული განწყობა). რ.ქ. შეიძლება იყოს სამი ტიპის: 1) მრავალშვილიანობა – იმპულსური დონის, ობიექტივაციის არარსებობის შედეგით, ან 5 და მეტი ბავშვის ყოლის გაცნობიერებული მოთხოვნილებით განპირობებული; 2) საშუალოშვილიანი – 3-4 "ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით" განპირობებული და 3) მცირეშვილიანი – 1-2 "ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით" განპირობებული. მრავალშვილიანი რ.ქ-ის ტიპი ძირითადად განისაზღვრება ნაყოფიერების თავისებურებებით, ხოლო მცირეშვილიანი – ორსულობის თავიდან არიდებითა და ორსულობის შეწყვეტით.

რ.ქ., რომელიც "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას" ეფუძნება, განიცდის ცხოვრებისეული გარემო პირობების გავლენას. როდესაც ოჯახში ბავშვების რაოდენობა შეესაბამება "ბავშვების ყოლის მოთხოვნილებას", მაშინ ცხოვრებისეული პირობების ნებისმიერ გაუმჯობესებას არ მოჰყვება ბავშვების ამ რაოდენობის მომატება. მაგრამ, როდესაც ოჯახში ბავშვების რაოდენობა ნაკლებია „ბავშვების ყოლის მოთხოვნილებაზე", მაშინ ამ მოთხოვნილების რეალიზაციისათვის საჭირო პირობების გაუმჯობესებას მოჰყვება ბავშვის (ბავშვების) ყოლა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ადამიანის მიერ პირობების შეფასების კრიტერიუმი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი და იგივე პირობები სხვადასხვა ადამიანის მიერ შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ხელსაყრელი, ან არახელსაყრელი.

მრავალშვილიანობის რეპროდუქციული ნორმები, რომლებიც ჩვილთა და საერთო მოკვდაობის მაღალი დონის შემთხვევაში იყო გაბატონებული და მათზე შესაბამის რეაქციას წარმოადგენდა, მათი კლების პირობებში აღარ აღმოჩნდა საჭირო. ამას დაემატა ოჯახის ფუნქციების ცვლილება და გარეოჯახური ორიენტაციების გაძლიერება. ყოველივე ამას მოჰყვა მრავალშვილიანობის ნორმების შეცვლა საშუალოშვილიანობისა და შემდეგ მცირეშვილიანობის ნორმებით. ფართოდ გავრცელდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები და აბორტი. დაირღვა სქესობრივი და რ.ქ-ის შერწყმულობა. მცირეშვილიანი რ.ქ-თვის დამახასიათებელია დაქორწინების ადრეული ასაკი, "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" დაკმაყოფილება ქორწინების პირველ წლებში, ჩასახვის საწინააღდეგო საშუალებებისა და ხელოვნური აბორტების ინტენსიური გამოყენება.

რ.ქ-ის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ იქნას ობიექტივაციისა და ნებელობის გავლენა რეპროდუქციის პროცესზე, მრავალშვილიანობის აღმოცენებისა და შემდგომში მისი მცირეშვილიანობით შეცვლის პირობები, დღევანდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი ტენდენციები და სხვა (იხ. აგრეთვე – რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა).

**რეპროდუქციული ქცევის თეორია** – თეორია, რომელიც მთლიან წარმოდგენას იძლევა რეპროდუქციული ქცევის კანონზომიერებებზე და მიმართულია მის ახსნა-განმარტებისაკენ. სადღეისოდ, რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობის ასახსნელად სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ამ მოსაზრებებს შორის რეპროდუქციული ქცევის ახსნის ნაყოფიერ ცდად შეიძლება ჩაითვალოს და ამასთან თეორიისათვის დამახასიათებელი ფორმის მქონეა ა. ანტონოვის მიერ გამოყენებული ვ. იადოვის პიროვნების სოციალური ქცევის დისპოზიციურ რეგულაციაზე დაფუძნებული და გ. წულაძის მიერ წარმოდგენილი დ. უზნაძის თეორიასა და ზოგადად ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განწყობის ფსიქოლოგიაზე დაფუძნებულ შეხედულებათა სისტემა.

ვ. იადოვი დისპოზიციური რეგულაციისათვის იყენებს დ. უზნაძის განწყობის თეორიისათვის დამახასიათებელ ზოგად სქემას იმ განსხვავებით, რომ განწყობის ადგილი დისპოზიციას უკავია. ამის გამო, გ. წულაძის მიერ მოყვანილ რეპროდუქციული ქცევის თეორიასა და ა. ანტონოვის მიერ მოყვანილ რეპროდუქციული ქცევის თეორიის საფუძვლებს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. გ. წულაძის შემთხვევაში რეპროდუქციული ქცევა შესაბამისი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, რომელიც "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების", შესაბამისი სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების ურთიერთდამთხვევის საფუძველზე აღმოცენდება. ა. ანტონოვის მიხედვით, დისპოზიციის სისტემა ქცევის რეგულაციის ძირითად ფსიქოლოგიურ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ბავშვების ყოლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციით განისაზღვრება.

არის განსხვავებებიც. ა. ანტონოვის მიხედვით, შობადობა ყოველთვის სოციალურად განპირობებული იყო (შორეულ წარსულშიც კი). გ. წულაძის გაგებით, გარკვეულ პერიოდში ბავშვთა შობა თავისუფალი იყო ყოველგვარი სოციალურისაგან და იმპულსურ დონეზე მიმდინარეობდა. ა. ანტონოვი ადამიანის ცნობიერებას ზოგადად ე.წ. "დემოგრაფიულ ცნობიერებას" უკავშირებს, მაშინ როდესაც გ. წულაძის გაგებით, ადამიანს ცნობიერება სავსებით შეიძლება ჰქონდეს ჩამოყალიბებული, მაგრამ ბავშვთა შობას არაცნობიერად მიმართავდეს. ამასთან, გ.წულაძეს მიაჩნია, რომ "დემოგრაფიული ცნობიერების" მოქმედების მექანიზმი, რომელიც დემოგრაფიულ პროცესში ცნობიერების მონაწილეობას გულისხმობს, საკმაოდ ბუნდოვანია. მის ნაცვლად ის უფრო მართებულად მიიჩნევს ობიექტივაციისა და ნებელობის ცნებების გამოყენებას.

ორივე თეორიის მიხედვით, შობადობის ცვლილება ძირითადად გამოწვეულია "ბავშვების ყოლის მოთხოვნილების" ცვალებადობით.

**რეპროდუქციული ქცევის ფაქტორები** – რეპროდუქციული ქცევის განმსაზღვრელი, ადამიანის ან ოჯახისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის მაჩვენებელი (ფიზიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა). რეპროდუქციული ქცევის შესწავლაში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, მისი ფაქტორების ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია არ არსებობს. ჩვეულებრივ გამოჰყოფენ შემდეგ რ.ქ.ფ-ს: ფიზიოლოგიური, საქორწინო-საოჯახო, ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა, ბავშვების რაოდენობა მშობლების ოჯახში, განათლება, მატერიალური კეთილდღეობა, საბინაო პირობები, დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილი (ურბანიზაციის დონე), სოციალიზაციის ადგილი, ეროვნული კუთვნილება.





**რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა** – მის საფუძველს შეადგენს შ. ნადირაშვილის მიერ შემუშავებული სქემა. სქემა ასახავს ადამიანის ფსიქიკური აქტივობის სამ დონეს – დაბალიდან უმაღლესამდე. ადამიანის ფსიქიკური აქტივობის ეს დონეები მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება. ადამიანი, აქტივობის ამა თუ იმ მომენტში, საჭიროების მიხედვით, ფსიქიკური აქტივობის შესატყვის დონეზე მოქმედებს.

მოყვანილი სქემა რეპროდუქციული ქცევის გარდა ასახავს რეპროდუქციული ქცევის ევოლუციას, შვილიანობის ტიპების ტრანსფორმაციას.

საქმე ისაა, რომ რეპროდუქციული ქცევის განხორციელებისათვის სულაც არ არის საჭირო მთელი მოყვანილი ციკლის, სამივე დონის გავლა. რეპროდუქციული ქცევა შეიძლება პირველივე დონეზე განხორციელდეს, ე.ი. იყოს იმპულსური. ასეთ დროს მას შეესაბამება შვილიანობის გარკვეული ტიპი,რომელიც გაუცნობიერებელი ბავშვთა შობით, ობიექტივაციისა და მისაღები ქცევის შერჩევის გარეშე მიიღწევა. იმპულსური დონის რეპროდუქციული ქცევის დამახასიათებელ ნიშანს ბევრი ბავშვის ყოლა წარმოადგენს. ასეთ დროს ადამიანი იყოლიებს იმდენ ბავშვს, რამდენის გაჩენაც შეუძლია ნაყოფიერებიდან გამომდინარე.

მეორე დონე, მთელი თავისი სისტემით, გონებაჭვრეტით ხასიათს ატარებს, რის შედეგადაც, ობიექტივაციის საფუძველზე, წყდება მისაღები რეპროდუქციული ქცევის შერჩევა.

მესამე დონისათვის პირველისაგან განსხვავებული შვილიანობის ტიპი იქნება დამახასიათებელი, ძირითადად ბავშვთა შობის ნაკლები ინტენსივობა, იმპულსური დონის რეპროდუქციულ ქცევასთან შედარებით. ტოლობა ბავშვთა შობის ინტენსივობის თვალსაზრისით, პირველსა და მესამე დონეს შორის, მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც სოციალური დონის რეპროდუქციული ქცევის მიზანდასახულ შედეგს წარმოადგენს იმდენი ბავშვის ყოლა, რამდენის გაჩენაცაა (ფიზიოლოგიურად) შესაძლებელი. ეს უკანასკნელი, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე იშვიათობას წარმოადგენს და სადღეისოდ, მრავალშვილიანობის შემთხვევაშიც სოციალური დონის რეპროდუქციული ქცევისათვის მაინც ნაკლები ბავშვთა შობის ინტენსივობაა დამახასიათებელი, ვიდრე იმპულსური








რეპროდუქციული ქცევისათვის. ძირითადად მოცემული სქემა და მასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე პროცესები დაედო შობადობის განწყობისეულ კონცეფციას (იხ. შობადობის განწყობისეული კონცეფცია).

**რეპროდუქციული ჯანმრთელობა** – სრული ფიზიკური და სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ რეპროდუქციულ სისტემასთან, მის ფუნქციებთან და მასში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული დაავადების არარსებობა.

ამრიგად, რ.ჯ. გულისხმობს, რომ ადამიანს აქვს დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო სექსუალური ცხოვრებისა და რეპროდუქციის უნარი და თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებისას, გამოიყენოს თუ არა ეს უნარი, როდის გამოიყენოს და რა სიხშირით.

**რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა** – მეთოდების, ტექნოლოგიების (საშუალებების) და მომსახურების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს რეპროდუქციული ჯანმრთელობის (იხ.) განვითარებას და ემსახურება რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში არსებული პრობლემების პრევენციასა და გადაჭრას. ის, აგრეთვე, მოიცავს სექსუალურ ჯანმრთელობასაც, რომლის მიზანია არა მხოლოდ სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული კონსულტაციები და ამ დაავადებათა მკურნალობა, არამედ ცხოვრების ხარისხისა და პერსონალური ურთიერთობების გაუმჯობესებაც.

**რურალიზაცია** – ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში სოფლის მოსახლეობის წილის ზრდა.

**რურბანიზაცია** – ცხოვრების ქალაქური ფორმებისა და პირობების გავრცელების პროცესი სოფლად.

# ს

**საალრერო დარაიონება** – რაიონის (ქალაქის) ტერიტორიის დაყოფა სხვადასხვა რანგის უბნებად მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაოს ორგანიზაციისათვის. ს.დ. წარმოებს რაიონის რუკების, ქალაქის კვარტალების გეგმებისა და მოსახლეობის რაოდენობის არსებულ შეფასებათა საფუძველზე.

ს.დ-ის მიზანია – სრულად მოიცვას მოსახლეობა, რაციონალურად განალაგოს პერსონალი საალრერო უბნებზე მუშაობისათვის, შეამსუბუქოს მოსახლეობის აღწერის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა, უზრუნველყოს მოსახლეობის აღწერის მასალების წინასწარი დათვლა და მათი წარმოდგენა დამუშავებისათვის. ს.დ-ის

საფუძველს წარმოადგენს სააღწერო პერსონალზე დატვირთვის მიღებული ნორმები. საქართველოში ჩატარებული აღწერებისას ერთ სააღწერო განყოფილებაზე მოდიოდა 6-8 საინსტრუქტორო უბანი, ერთ საინსტრუქტორო უბანზე – 4-5 სააღრიცხვო უბანი, ერთ სააღრიცხვო უბანზე – 550-650 მოსახლე.

**სააღწერო უბანი** – იხ. მოსახლეობის აღწერის (სააღწერო) უბანი.

**საბავშვო ბაბა** – ზოგიერთ ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 2 თვიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

**საბავშვო ბაბა-ბაღები** – ზოგიერთ ქვეყანაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება 2 თვიდან 7 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის

**საბავშვო ბაღი** – სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის დაწესებულება. ს.ბ., როგორც დაწესებულებათა ერთ-ერთი ტიპი, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს. იგი, როგორც წესი, განათლების სისტემის პირველი საფეხურია.

**საბავშვო სახლი** – ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო აღმზრდელობითი დაწესებულება იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ მშობლები ან გაწყვეტილი აქვთ მათთან ურთიერთობა (მშობელთა ავადმყოფობის ან მათთვის მშობლის უფლება-მოსილების ჩამორთმევის გამო და სხვ.).

**საბარეშბნო ზონები** – ტერიტორიები, რომლებიც გარს ეკვრის ქალაქს (ძირითადად დიდ ქალაქს), იმყოფება მასთან ურთიერთკავშირში, ვითარდება მისი ზეგავლენით და თავადაც ზემოქმედებას ახდენს ქალაქის განვითარებაზე. ს.ზ. წარმოადგენენ აგლომერაციის ნაწილს.

**საერთო საცხოვრებელი** – ნათესაურ კავშირში არ მყოფი, მაგრამ ერთგვაროვანი სოციალური ფუნქციის მქონე ან არსებობის საშუალებების წყაროებით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლივი ბინადრობის ფორმა (ყაზარმა, სტუდენტური ს.ს.,სახლი მოხუცებულებისათვის და სხვა).

**საზოგადოება** – ფართო მნიშვნელობით – ადამიანთა თანაცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების ერთობლიობა. ვიწრო მნიშვნელობით – სოციალური სისტემის კონკრეტულ-ისტორიული ტიპი (მაგ.,მონათმფლობელური ს.), ან მისი შესატყვისი სოციალური ორგანიზაციის სპეციფიკური





სისტემა (მაგ., თანამედროვე ინგლისის ს.).

**საინსტრუქტორო უბანი** – სააღწერო დარაიონების ელემენტი, ტერიტორია, რომლის მოსახლეობა გამოიკითხება აღმწერების მიერ ინსტრუქტორ-კონტროლიორის ხელმძღვანელობით.

**სამოქალაქო მდგომარეობის აქტები** – მოქმედებები, რომლებიც ეხება ადამიანის სამოქალაქო-სამართლებრივ სტატუსს და ერთობლიობაში ახასიათებს მის მოქალაქეობრივ მდგომარეობას. ს.მ.ა-ს მიეკუთვნება დაბადების, გარდაცვალების, ქორწინებისა და განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელისა და გვარის გამოცვლის აქტები. ს.მ.ა-ის რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების, ისე მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. საქართველოში ს.მ.ა-ის რეგისტრაცია წარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის (სარ) ორგანოებში.

**სამუშაო დრო** – დრო, რომლის განმავლობაში მუშაკი საწარმოში (ორგანიზაციაში, დაწესებულებაში) ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ს.დ-ის ხანგრძლივობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

**სამუშაო ძალა** – ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარის ერთობლიობა, რომელსაც იგი იყენებს მატერიალური დოვლათის საწარმოებლად.

**სამუშაო ძალის დენადობა** – სამუშაო ძალის გადაადგილების პროცესი ერთი საწარმოდან, დარგიდან და ადმინისტრაციული რაიონიდან მეორეში, რაც არ ექვემდებარება რეგულირებას. მას საფუძვლად უდევს მუშაკთა პირადი სურვილი ან შრომის დისციპლინის დარღვევა.

**სანაცია აქტიური** – დემოგრაფიაში ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ჭარბი შრომითი რესურსების ქვეყნის გარეთ დასაქმებისაკენ (შრომითი ემიგრაციისაკენ).

**სანაცია პასიური** – დემოგრაფიაში ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიგნით ახალი ათვისების რეგიონებში ჭარბი შრომითი რესურსების დასაქმებისაკენ – გადასახლებისაკენ.

**საოჯახო დატვირთვა** – კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობა საშუალოდ ოჯახის ერთ წევრზე, რომელსაც აქვს არსებობის საშუალებათა დამოუკიდებელი წყარო, ან ოჯახის ერთ წევრზე, რომელიც დასაქმებულია. ჩვეულებრივ გამოიანგარიშება ამა თუ იმ

სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ოჯახთა ერთობლიობისათვის.

**საოჯახო დახმარებები** – ერთჯერადი ან ყოველთვიური ფულის გაცემა ოჯახების მატერიალურ დახმარებათა აღმოსაჩენად ბავშვების აღზრდისა და მოვლისათვის. სხვადასხვა ქვეყანაში ის მნიშვნელოვნად განსხვავდება.

**საოჯახო პოლიტიკა** – სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, მიმართული ოჯახის როგორც საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის განმტკიცების, კეთილდღეობისა და განვითარებისაკენ. საოჯახო პოლიტიკა უზრუნველყოფს ოჯახის სოციუმში ფუნქციონირების ისეთი მექანიზმების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მისი (ოჯახის) მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას.

საოჯახო პოლიტიკა ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, ინფორმაციული, პროპაგანდისტული და ორგანიზაციული რიგის მთლიანი სისტემაა, რომელსაც თავისი იდეოლოგია, მმართველობის სტრუქტურები, ძირითადი ფორმები, რეალიზაციის მექანიზმები, კანონმდებლობითი, საკადრო, სამეცნიერო და საინფორმაციო საფუძვლები აქვს.

ტერმინი საოჯახო პოლიტიკა სამეცნიერო ლიტერატურაში 1980-იანი წლების ბოლოდან გამოიყენება.

დღესდღეობით საოჯახო პოლიტიკის როგორც ცნების ზუსტი და საზოგადოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს, რის გამოც სპეციალისტთა ნაწილი მას სოციალურ დაცვასთან აიგივეებს, ფაქტობრივად დაჰყავთ რა იგი სხვადასხვა დახმარებამდე, კომპენსაციამდე და შეღავათამდე. სხვა მოსაზრების საფუძველზე, საოჯახო პოლიტიკა არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გაიგივებულ იქნას არც სოციალურ და არც ეკონომიკურ პოლიტიკასთან. რიგი მეცნიერის აზრით, კი საოჯახო პოლიტიკა დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენლობაში უნდა იქნას ჩართული (რაც ავიწროებს საოჯახო პოლიტიკის მნიშვნელობას ოჯახის მიმართ და იგი პრაქტიკულად რეპროდუქციულ ფუნქციაზე ზემოქმედებამდე დაჰყავს).

საოჯახო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანია ოჯახის მიერ ეკონომიკური, რეპროდუქციული, სექსუალური, აღმზრდელობითი, ფსიქოლოგიური, რეკრეაციული და სხვა ფუნქციების შესრულების აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.

ზოგადად საოჯახო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენენ: ოჯახის სუვერენობის, არჩევანის თავისუფლების, საკუთარ ძალებზე დაყრდნობის, სოციალური დაცულობის, სახელმწიფო და რეგიონული პოლიტიკის ერთიანობის პრინციპი.

**საოჯახო სამართალი** – სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს პირად და ქონებრივ ურთიერთობებს მეუღლეებს,





შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის.

**სარგ** – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებები.

**სასიცოცხლო პოტენციალი** – გარკვეული ასაკის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის სიცოცხლის მომავალი წლების რაოდენობა, გამოანგარიშებული მოკვდაობის ცხრილების საფუძველზე ასაკობრივი მოკვდაობის დონის შენარჩუნების პირობით. ს.პ. წარმოადგენს ცენტრალურ ცნებასა და ძირითადად განმაზოგადებელ მაჩვენებელს პოტენციურ დემოგრაფიაში. იზომება ადამიან-წლებით.

ადამიანის ს.პ. x ზუსტ ასაკში განისაზღვრება ამ ასაკში მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგძლივობით. ადამიანის საშუალო ს.პ. x, x+1 ასაკის ინტერვალში წარმოადგენს ყველა ადამიანის ს.პ-ის საშუალოს x და x+1 ასაკებს შორის. მოსახლეობის ერთობლივი ს.პ. განისაზღვრება ყველა მცხოვრების ს.პ-ის ჯამით. ს.პ-ის მატება ძირითადად განპირობებულია დაბადებულთა და ჩამოსულთა რაოდენობით, ხოლო ს.პ-ის კლება – გარდაცვლილთა და წასულთა რაოდენობით. ს.პ-ს, რომელიც გამოიანგარიშება როგორც საშუალო სიდიდე ერთ ადამიანზე, ეწოდება ერთეულოვანი ს.პ. ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების სიცოცხლის მომავალი წლების საერთო რაოდენობა წარმოადგენს ზოგად, ანუ სრულ ს.პ-ს. ის შეიძლება დაიყოს კერძო ს.პ-ებად ან იმ წლებად, რომლებიც ნაცხოვრებია სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში ან სხვადასხვა კალენდარულ პერიოდში. მაგ., ს.პ. საქორწინო ცხოვრების პერიოდში და სხვა.

**სასოფლო ადგილი** – ქვეყნის, რაიონის მთელი ტერიტორია, რომელიც იმყოფება ქალაქურ დასახლებათა გარეთ, ბუნებრივი და ადამიანის მიერ გარდაქმნილი ლანდშაფტებით,მოსახლეობით და დასახლებული პუნქტებით, რომლებიც მიეკუთვნებიან სასოფლო კატეგორიას. ს.ა-ის ფუნქციები განსხვავდება ქალაქურ დასახლებათა ფუნქციებისაგან.

**სასოფლო განსახლება** – ქალაქგარე ტერიტორიებზე სხვადასხვა ტიპის სასოფლო დასახლებების სახით მოსახლეობის ცხოვრების ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა. ს.გ. არის განსახლების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთ-ერთი სახეობა. საზღვრები მათ შორის გარკვეულად პირობითია და პრაქტიკულად დამოკიდებულია და დგინდება საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. მთლიანობაში ს.გ. განსხვავდება ქალაქურისაგან ფუნქციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და აგრეთვე დასახლების ხალხმრავლობის სიმცირით.

**სასოფლო დასახლებები** – ყველა დასახლებული ადგილი, რომელიც არ შეესაბამება მოცემულ ქვეყნებში მიღებულ ქალაქურ დასახლებათა გაგებას და რომლებიც განლაგებულია სასოფლო

ადგილას. ს.დ. იყოფა სამ ძირითად ტიპად: 1) სასოფლო-სამეურნეო დასახლებები; 2) არასასოფლო-სამეურნეო ს.დ, რომელთა მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სატყეო მეურნეობაში, ქალაქის მოსახლეობის დასვენების ადგილების მომსახურებით და ა.შ. 3) შერეული ს.დ. – აგრარულ-ინდუსტრიული, ადგილობრივი ადმინისტრაციული ცენტრებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფუნქციებით.

**საქორწინო აკრძალვები** – ადამიანთა ქორწინებისუნარიანობის შეზღუდვა კანონმდებლობით, რელიგიური ნორმებით ან ადათ-წესებით.

**საქორწინო არჩევანი** – საქორწინო პარტნიორის არჩევა მოცემული საქორწინო წრის ფარგლებში (იხ. საქორწინო წრე). ს.ა-ზე მოქმედებს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური კრიტერიუმები. თითოეული მათგანის მნიშვნელობა ცვალებადია დროში და დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებული სოციალურ-კულტურულ ნორმებსა და ტრადიციებზე. ცალკეული კრიტერიუმის გავლენის მნიშვნელობა ს.ა-ზე იზომება ქორწინების ინდექსებით.

**„საქორწინო ბაზარი"** – ტერმინი, რომელიც გამოიყენება დემოგრაფიაში ქორწინების უნარიანი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის რაოდენობათა თანაფარდობის აღსანიშნავად. ვითარება "ს.ბ."-ზე, დაქორწინების ალბათობა, დამოკიდებულია მოსახლეობაში პოტენციური საქორწინო პარტნიორების რაოდენობაზე, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურაზე. "ს.ბ"-ის ვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე შობადობის დონის მკვეთრი ცვალებადობა და სქესობრივად არადაბალანსებული ინტენსიური მიგრაციული პროცესები. თავის მხრივ არახელსაყრელი ვითარება "ს.ბ"-ზე მოქმედებს როგორც ქორწინების, ისევე განქორწინების პროცესებზე.

**საქორწინო და საოჯახო კოდექსი** – კანონთა კრებული, რომელიც ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებს. ს. და ს.კ-ით დადგენილია დაქორწინებისა და განქორწინების პირობები და წესი, მოწესრიგებულია ოჯახში, თუ ოჯახის სხვა წევრთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე შვილად აყვანისა და სხვა საკითხები.

**საქორწინო კონტრაქტი** – მრავალი ქვეყნის სამართალში ნეფე-დედოფლის მიერ დაქორწინების დროს დადებული შეთანხმება ქონების მართვისას ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგების თაობაზე.





**საქორწინო კოჰორტა** – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც დაქორწინდა ერთი და იმავე პერიოდში, ჩვეულებრივ ერთი ან ხუთი წლის მანძილზე. ესა თუ ის დემოგრაფიული შემთხვევა ს.კ-ში განიხილება დაქორწინების მომენტიდან გასული ინტერვალით. ს.კ. წარმოადგენს კოჰორტის ზოგადი ცნების კერძო შემთხვევას.

**საქორწინო პარტნიორთა შერჩევა** – იხ. საქორწინო წყვილთა შერჩევა.

**საქორწინო წრე** – მოცემული ადამიანისათვის შესაძლებელი საქორწინო ერთობლიობა. ს.წ. განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო სისტემათა და საზოგადოების ზნეობრივ-ეთიკური ნორმებით, ისევე მოცემული ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მისი ხასიათის თავისებურებებით და სხვა. მონოგამიური ქორწინების პირობებში ს.წ-ში ფორმალურად არ შედიან ქორწინებაში მყოფი პირები, მაგრამ განქორწინების თავისუფლების დროს საქორწინო წყვილთა გარკვეული ნაწილი შეირჩევა ქორწინებაში მყოფთა კატეგორიიდან. პოტენციურ საქორწინო პარტნიორებად არ განიხილებიან ის პირები, რომლებთანაც ქორწინებას კრძალავს კანონი ან ადათ-წესები.

**საქორწინო წყვილთა შერჩევა** – ტერმინი, რომლითაც დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ ცალკეულ პირთა ან ურთიერთშესაფერის წყვილთა მოძებნის სპეციალურ ორგანიზაციათა საქმიანობას.

ტრადიციული ოჯახის პირობებში შვილებისათვის მეუღლეების შერჩევას აწარმოებდნენ მშობლები ან შუამავლები (მაჭანკლები). თანამედროვე პირობებში პარტნიორის შერჩევას ძირითადად აწარმოებენ თვითონ დაქორწინების მსურველნი, თუმცა შესაბამისი პარტნიორის ძიებისას გამოიყენებიან როგორც ნაცნობ-მეგობრები, ისევე მშობლები და სხვა. სპეციალური საშუამავლო ორგანიზაციების საქმიანობა მიმართულია შესაძლებელი არჩევანის გაფართოებისაკენ.

**საცხოვრებელი ადგილი** – ადგილი, სადაც ადამიანი მუდმივად ან ხანგრძლივი დროით ცხოვრობს.

**სახელი** – მიენიჭება ბავშვს მისი დაბადების რეგისტრაციისას. ს-ს ბავშვს მიაკუთვნებენ მშობლები.

**სეგრეგაცია** – რასობრივი ჯგუფების იძულებითი გამოყოფა (ფერადკანიანთა თეთრკანიანებისაგან).

**სექსოლოგია** – მეცნიერება სქესისა და სქესობრივ ურთიერთობათა შესახებ.

**სიბერე** – ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივი პერიოდის საბოლოო ფაზა, რომლის დადგომის ხასიათი და დრო განპირობებულია ორგანიზმის ფიზიოლოგიური დაბერების პროცესით. ს-ის ცნება როგორც ბიოფსიქოლოგიური, ისევე სოციალურ-ისტორიული ხასიათისაა. მისი დროითი ჩარჩოები პირობითია და არსებითად იცვლება კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე. ამასთან, ს. დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ცხოვრების წესზე.

**სიბრძივი (გასწვრივი) ანალიზი** – დემოგრაფიული პროცესების შესწავლის წესი, რომლის დროსაც ისინი აღიწერებიან და ანალიზდებიან კოჰორტაში. ს.ა. გულისხმობს მოცემული კოჰორტისათვის ამა თუ იმ დემოგრაფიული პროცესის მახასიათებლების მიღებას, რომლებიც დამოკიდებულია კოჰორტის წარმოშობისა და მოცემული მდგომარეობის დადგომის დროის შუალედზე (კოჰორტისათვის დაბადების დროის მიხედვით – ასაკზე, საქორწინო კოჰორტისათვის – ქორწინების ხანგრძლივობაზე და ა.შ.). ს.(გ.)ა.წარმოებს რიგი კოჰორტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

განივი ანალიზისაგან (იხ. განივი ანალიზი) განსხვავებით, ს.(გ.)ა-სას დემოგრაფიული შემთხვევები განიხილება მათი ბუნებრივი თანმიმდევრობის მიხედვით, როგორც ერთი კოჰორტის ან კოჰორტათა ჯგუფის სიცოცხლეში მომხდარი. გრაფიკული გამოსახულებისას მას შეესატყვისება დემოგრაფიულ შემთხვევათა ერთობლიობა დემოგრაფიულ ბადეზე სიცოცხლის ხაზის (იხ. ხაზი სიცოცხლისა) გასწვრივ.

ს.(გ.)ა-ს პირობებში სხვადასხვა კოჰორტის დემოგრაფიულ შემთხვევათა სიხშირის შედარებისას შეიძლება მივიღოთ სწორი წარმოდგენა ცხოვრების პირობების ცვალებადობის გავლენის შესახებ დემოგრაფიული პროცესების დინამიკაზე. ამასთან, ს.(გ.)ა-სას ეს მდგომარეობა უფრო ზუსტად იქნება გადმოცემული, ვიდრე განივი ანალიზისას.

ს.(გ.)ა. და განივი ანალიზი განსხვავდება ერთმანეთისაგან მაჩვენებლების გაანგარიშების წესით. ს.ა-სას ადამიანების შესაბამისი დემოგრაფიული შემთხვევები განიხილება იმ კოჰორტაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, ხოლო განივი ანალიზისას – მოცემული კალენდარული წლის განმავლობაში.

განივი ანალიზისას გამოიყენება მიმდინარე აღრიცხვის მასალები და შესაბამისი მონაცემები, ხოლო ს.(გ.)ა-სას – მოსახლეობის აღწერებისა და სპეციალური გამოკვლევების დროს მიღებული რეტროსპექტული მონაცემები და თაობათა ჭრილში დამუშავებული რამდენიმე წლის მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები.

ს.(გ.)ა-ს, განივ ანალიზთან შედარებით, განსაკუთრებით მაშინ აქვს უპირატესობა, როდესაც შეისწავლება ის პროცესები, რომელთათვის დემოგრაფიული შემთხვევები თაობაში წარმოებს დროის შედარებით მცირე მონაკვეთის განმავლობაში (მაგ., შობადობისა და ქორწინების





შესწავლისას).ასევე დიდია ს.(გ.)ა-ს მნიშვნელობა დემოგრაფიულ შემთხვევათა კალენდარის და ამ კალენდარის ცვალებადობის შესწავლისას.

წარმოდგენა ს.(გ.)ა-ს შესახებ პირველად ჩამოაყალიბა ლექსისმა 1875 წელს. ამერიკელმა დემოგრაფმა პასკალ უელპტონმა XX ს. 50-იან წლებში პირველმა აღნიშნა განსხვავება ჰიპოთეზურ და რეალურ კოჰორტებს შორის და შემოიღო ტერმინი „სიგრძივი ანალიზი” და “განივი ანალიზი”.

**სიდედრი** – ცოლის დედა.

**სიკვდილის ალბათობა** – იხ. გარდაცვალების ალბათობა.

**სიკვდილის მიზეზები** – ავადმყოფობები, პათოლოგიური ან ფიზიოლოგიური მდგომარეობები და ტრავმები, რომლებიც იწვევენ ან ხელს უწყობენ სიკვდილის დადგომას. აგრეთვე უბედური შემთხვევებისა და ძალდატანებითი სიკვდილის ის გარემოებანი, რომლებმაც ტრავმის შედეგად გამოიწვიეს სიკვდილი. ს.მ. უმეტესწილად დგინდება ექიმის მიერ. ს.მ-ის თანამედროვე სტატისტიკა ეფუძნება ერთი, ძირითადი სიკვდილის მიზეზის აღრიცხვას.

**სიკვდილის მიზეზები ეგზოგენური** – სიკვდილის მიზეზთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია გარემოს ზემოქმედებასთან. ს.მ.ე-ს განეკუთვნება უბედური შემთხვევები, ტრავმები, მოწამვლები, ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, სასუნთქი ორგანოებისა და კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებები და სხვა.

**სიკვდილის მიზეზები ენდოგენური** – სიკვდილის მიზეზთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებული და გამოწვეულია თვითონ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებით. ს.მ.ე-ს განეკუთვნება სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, განვითარების თანდაყოლილი მანკები, მემკვიდრეობითი და ზოგიერთი სხვა ავადმყოფობა.

**სიკვდილის მიზეზები მეორეული** – იხ. სიკვდილის მიზეზები მრავალგვარი.

**სიკვდილის მიზეზები მრავალგვარი** – სიკვდილის რამდენიმე (ორი და მეტი) მიზეზი, რომელსაც უთითებენ დასკვნაში სიკვდილის მიზეზთა შესახებ. სიკვდილის საწყისი მიზეზის გარდა, ს.მ.მ-ს მიაკუთვნებენ იმ გართულებებსაც, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სიკვდილს.

**სიკვდილის მიზეზი ერთადერთი** – მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია სიკვდილის მიზეზების შესახებ მასალის სტატისტიკური

დამუშავების საერთაშორისო პრაქტიკაში. ითვალისწინებს სიკვდილის მხოლოდ ერთი მიზეზის მიხედვით აღრიცხვას.

**სიკვდილის მიზეზი საწყისი** – ავადმყოფობა ან ტრავმა, აგრეთვე უბედური შემთხვევის ან ძალდატანებითი სიკვდილის ის მდგომარეობა, რომლებიც იწვევენ პათოლოგიური პროცესის თანმიმდევრობას, რომელსაც უშუალოდ მოჰყვება სიკვდილი. აირჩევა მოკვდაობის მიზეზების სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზისათვის.

**სიკვდილის მიზეზი უშუალო** – ავადმყოფობა, ტრავმა ან მათი გართულება, რომლებიც წარმოადგენენ პათოლოგიურ მდგომარეობათა ჯაჭვში საბოლოო გამოვლენას, რომელმაც გამოიწვია სიკვდილი. წარმოადგენს სიკვდილის მიზეზის სრული დიაგნოზის ნაწილს. ს.მ.უ. არ უნდა გავაიგივეოთ კლინიკური სიკვდილის ნიშნებთან.

**სიმამრი** – ცოლის მამა.

**სისტემური მიდგომა მოსახლეობის შესწავლისას** – სისტემური მიდგომის პრინციპებისა და მეთოდოლოგიურ საშუალებათა გამოყენება მოსახლეობის განვითარებისა და ცალკეული დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობის კანონებისა და კანონზომიერებათა შესწავლისას.

ს.მ.მ.შ. ძირითადი არსი, როგორც შემეცნებითი პრინციპების ერთობლიობისა, ისაა, რომ მოსახლეობა შეისწავლება მთლიანობაში, როგორც რთული სოციალური სისტემა. ამის საფუძველზე მეცნიერების საგანი მოსახლეობის შესახებ აგებულია მოსახლეობისა და ცალკეული დემოგრაფიული პროცესების განვითარების კანონების სისტემის სახით.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა** – ინტერვალი დაბადებასა და სიკვდილს შორის, რომელიც გარდაცვალებისას ასაკის ტოლია. დაბადებულთა თაობისათვის გასაშუალებული ს.ხ. დემოგრაფიული სტატისტიკის მაჩვენებელია და წარმოადგენს მოკვდაობის განმაზოგადებელ მახასიათებელს.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა ალბათური** – იხ. სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალი მედიანური.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა ასაკობრივ ინტერვალში** – ტოლია წლების იმ საშუალო რაოდენობისა, რომელიც იცოცხლა დაბადებულთა რომელიმე ერთობლიობამ მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს გადავადებული სიცოცხლის





მომავალი საშუალო ხანგრძლივობის კერძო შემთხვევას.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა მოდალური** – ტოლია მოკვდაობის ცხრილებში დაფიქსირებული, ამოწყდომის რიგითობის შესაბამისად, სიკვდილის ასაკის მიხედვით ახალდაბადებულთა ერთობლიობის განაწილების მოდისა. ს.ს.მ. წარმოადგენს ერთი წლის ასაკზე უფროსი პირების სიცოცხლის ხანგრძლივობის ყველაზე მეტად შესაძლო სიდიდეს.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალი მედიანური** – ტოლია მოკვდაობის ცხრილებში დაფიქსირებული ამოწყდომის რიგითობის შესაბამისად სიცოცხლის მომავალი ხანგრძლივობის მიხედვით იმ ადამიანთა განაწილების მედიანისა, რომლებმაც მიაღწიეს რომელიმე ასაკს. ახალდაბადებულთათვის ს.ხ.მ.მ. ეს ის ასაკია, რომელამდეც იცოცხლებს დაბადებულთა ნახევარი.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალი მოდალური** – ტოლია ინტერვალის სიდიდისა მოცემული ასაკიდან სიცოცხლის მოდალურ ხანგრძლივობამდე.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალი საშუალო** – წარმოადგენს გარკვეულ ასაკამდე, მოკვდაობის ცხრილებში დაფიქსირებული ამოწყდომის რიგითობის შესაბამისად, ცოცხლად დარჩენილთა განაწილების საშუალო არითმეტიკულს.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალი საშუალო გადავადებული** – ტოლია წლების იმ საშუალო რაოდენობისა, რომელიც მოსალოდნელია იცოცხლონ რომელიმე ასაკობრივ ინტერვალში გარკვეულ ასაკს მიღწეულმა პირებმა.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა მოსალოდნელი** – იხ. სიცოცხლის ხანგრძლივობა მომავალი საშუალო.

**სიცოცხლის ხანგრძლივობის სოციოლოგია** – დისციპლინათაშორისი გამოკვლევების დარგი, რომელიც შეისწავლის სოციალური და კულტურული ფაქტორების გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მოკვდაობის მაჩვენებლებზე, მის დიფენციაციას სხვადასხვა საზოგადოებასა და მოსახლეობის ჯგუფებში.

**სორორატი** – ჩვეულება, რომლის თანახმადაც მამაკაცი რამდენიმე ქალთან, ღვიძლ დებთან ან ბიძაშვილებთან ამყარებდა საქორწინო ურთიერთობას.

**სოფელი** – დასახლების ერთ-ერთი უძველესი და საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა. ხალხმრავლობის მიხედვით არჩევენ პატარასა და დიდ ს-ებს. ს-ების გარეგნული იერი მრავალფეროვანია ქვეყნის განსხვავებული ბუნებრივი პირობებისა და საწარმოო მიმართულების გამო, მაგრამ მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებისა და სასოფლო –სამეურნეო წარმოების უპირატესი გავრცელება.

**სოციალიზაცია** – საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების ჩართვის პროცესი. ს-ის თეორია არკვევს, თუ რა სოციალური ფაქტორები ქმნიან პიროვნების ამა თუ იმ თავისებურებას, აგრეთვე ს-ის მექანიზმსა და საზოგადოებრივ შედეგებს.

**სოციალური მობილობა** – ადამიანის ან სოციალური ჯგუფის მიერ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ადგილის ცვლა, მისი გადაადგილება ჯგუფიდან ან ფენიდან ფენაში, ზემოდან ქვემოთ და პირიქით. ანსხვავებენ ორგვარ მობილობას: ჰორიზონტალურს, როცა ადამიანის ან ჯგუფის მდგომარეობა არსებითად არ იცვლება, და ვერტიკალურს, როცა არსებითი ცვლილება ხდება.

**სოციალური ფენა** – ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფი, რომელსაც სხვა ჯგუფებისაგან განასხვავებს გარკვეული, მეტ-ნაკლებად მაღალი ან დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა (ქონებრივი, კულტურული და ა.შ.).

**სოციალური ჯგუფი** – შედარებით მყარი ერთობა იმ ადამიანებისა, რომელთაც აქვთ საერთო მიზნები, ფასეულობები და ქცევის ნორმები. ანსხვავებენ დიდ, საშუალო და მცირე ს.ჯ-ებს.

**სოციობიოლოგია** – მეცნიერება სოციალური ქცევის ბიოლოგიური საფუძვლების შესახებ.

**სოციოლოგია** – მეცნიერება საზოგადოების, როგორც მთლიანი სისტემის, ასევე ცალკეული სოციალური პროცესების, ინსტიტუტებისა და ჯგუფების შესახებ, რომლებიც განიხილება საზოგადოებრივ მთლიანობასთან კავშირში.

**სოციოლოგიურ-დემოგრაფიული გამოკვლევა** – დემოგრაფიული ქცევის შესახებ მეცნიერული ცოდნის გამომუშავების პროცესი ემპირიული მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მეცნიერულად რეგლამენტირებული პროცედურა. არკვევს სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენას





დემოგრაფიულ ცვლადებზე ქცევითი ასპექტების, ფასეულობითი ორიენტაციების, მოტივებისა და განწყობის შესწავლის გზით. ს-დ.გ-ისას გამოიყენება სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების მეთოდები.

**სრულწლოვანება** – კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკი, რომლის დადგომა სამოქალაქო ქმედითუნარიანობისა და სხვაგვარი უფლება-მოვალეობების შეძენას უკავშირდება. საქართველოში ს-ის ასაკია 18 წელი. ს-ის მიღწევისას, ადამიანი, ქმედითუნარიანობის გარდა, საარჩევნო და სხვა უფლებებსაც იძენს.

**სტატისტიკა** – მეცნიერება, რომელიც ადგილისა და დროის განსაზღვრულ პირობებში შეისწავლის მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ კანონზომიერებებს.

**სტატისტიკა მორალური** – XIX ს. რიგი მეცნიერის მიერ გამოყოფილი მოსახლეობის შესწავლის დარგი, რომელსაც ისინი მიაკუთვნებდნენ როგორც დანაშაულებათა სტატისტიკას, ისევე მოსახლეობის აღწარმოების ზოგიერთ ასპექტს. ტერმინი "ს.მ." 1830 წელს შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ა. გარიმ და 1843 წელს გამოიყენა ა. კეტლემ.

**სტატისტიკა სოციალური** – სტატისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის და აღწერს სოციალურ პროცესებსა და მოვლენებს.

**სტერილიზაცია** – განაყოფიერების უნარის მოსპობა ქირურგიული ოპერაციის გზით სქესობრივი ფუნქციის ჰორმონული რეგულაციის შენარჩუნებით. ბოლო პერიოდში ზოგიერთ ქვეყანაში, მატულობს სტერილურ ქორწინებათა წილი ერთ-ერთი მეუღლის ნებაყოფლობითი ს-ის შედეგად, რომელიც მიმართულია შესაძლებელი ჩასახვის გამოსარიცხად.

**სტერილობა** – სქესმწიფე ინდივიდში სქესობრივი გამრავლების უნარის არქონა. დემოგრაფიაში ზოგჯერ აიგივებენ ს-ს და უნაყოფობას, მაგრამ ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. უნაყოფობა ფართო მოვლენაა, რომელიც შეიცავს ს-ს, როგორც ერთ-ერთ სახეობას.

ს-ისას ანსხვავებენ მის სხვადასხვა ფორმას: მუდმივი ს. – უფროს ასაკში მენოპაუზის დადგომის შემდეგ. ფერტილურ პერიოდში როგორც დაავადების ან სტერილიზაციის შედეგი; დროებითი ს. – ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში, კონტრაცეპციის გამოყენების პერიოდში; ბუნებრივი ს. – ნორმალური ფიზიოლოგიური მიზეზებით გამოწვეული; ხელოვნური ს. – ჩასახვის საწინააღმდეგო

საშუალებების გამოყენებით გამოწვეული; პათოლოგიური ს. – გამოწვეული ავადმყოფობათა და ტრავმების შედეგად; აბსოლუტური ს. – ჩასახვის სრული გამორიცხვით; ფარდობითი ს. – ჩასახვის შანსი შენარჩუნებულია, მაგრამ ძალიან მცირეა.

**სუბნაყოფიერება** – ბავშვთა შობის დაქვეითებული ბიოლოგიური უნარი. ხასიათდება, საშუალო სიდიდესთან შედარებით, შემცირებული განაყოფიერების უნარით და სპონტანული აბორტის, მკვდრადშობადობის გაზრდილი ალბათობითა და შედარებით გაგრძელებული პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკური ინტერვალებით (ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენების გარეშე).

**სუბურბანიზაცია** – მსხვილი ქალაქების საგარეუბნო ზონის ზრდისა და განვითარების პროცესი, რომლის შედეგად წარმოებს აგლომერაციის ფორმირება. ჩვეულებრივ ს-ს ახასიათებს გარეუბნებისა და ქალაქ-თანამგზავრების მოსახლეობის ზრდის უფრო მაღალი ტემპები, თვით აგლომერაციის ცენტრ-ქალაქთან შედარებით.

**სქესთა პროპორცია** – იხ. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა.

**სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა** – მოსახლეობაში ან მის ამა თუ იმ ჯგუფში მდედრობითი და მამრობითი სქესის პირთა რაოდენობის თანაფარდობა. ძირითადად იზომება მამაკაცთა რაოდენობით, რომელიც მოდის 100 ან 1000 ქალზე, ზოგჯერ – მამრობითი სქესის პირთა წილით (%) ორივე სქესის პირთა შორის.

ადამიანის სიცოცხლის პერიოდიდან გამომდინარე, ს.რ.თ-ს ყოფენ პირველად, მეორეულ და მესამეულად. პირველადი ს.რ.თ. წარმოადგენს მამრობითი და მდედრობითი ზიგოტების რაოდენობის თანაფარდობას განაყოფიერებისას. ის შეადგენს ადამიანის ბიოლოგიის კვლევის ობიექტს. მიახლოებითი შეფასებით, პირველადი ს.რ.თ. შეადგენს 125-130 მამრობით ჩანასახს 100 მდედრობითზე. დემოგრაფიის კვლევის ობიექტს წარმოადგენს მეორეული და მესამეული ს.რ.თ. მეორეული ს.რ.თ. წარმოადგენს ბიჭებისა და გოგონების რაოდენობის თანაფარდობას ცოცხლადდაბადებულთა შორის. როგორც წესი, ის ნაკლებია პირველად ს.რ.თ-ზე. მეორეული ს.რ.თ. შეადგენს 105-106 ბიჭს 100 გოგონაზე, ანუ 51,2 %-ს ბიჭების სასარგებლოდ. ეს თანაფარდობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, მაგრამ იშვიათად აღემატება 107, და ასევე იშვიათად არის 104-ზე ნაკლები. მესამეული ს.რ.თ. წარმოადგენს მამრობითი და მდედრობითი სქესის პირთა თანაფარდობას ფერტილურ ასაკში, ან ფერტილური ასაკის ცალკეულ ჯგუფში. ხშირად განიხილება აგრეთვე სხვა ასაკობრივი





ჯგუფებისათვის. მესამეული ს.რ.თ. მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია მამაკაცებისა და ქალების ასაკობრივ მოკვდაობაზე.

დემოგრაფიაში ანსხვავებენ აგრეთვე სტაციონარულ და ნორმალურ ს.რ.თ-ს. სტაციონარული ს.რ.თ. წარმოადგენს მამრობითი და მდედრობითი სქესის პირთა თანაფარდობას სტაციონარულ მოსახლეობაში. ყველა ასაკისათვის ის დამოკიდებულია მამაკაცთა და ქალების მოკვდაობაზე ყველა წინა ასაკში. ნორმალური ს.რ.თ. წარმოადგენს სტაციონარული და მეორეული ს.რ.თ-თა ნამრავლს გაყოფილს 100-ზე ან 1000-ზე. ნორმალური ს.რ.თ. დამოკიდებულია როგორც მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის თანაფარდობაზე, ისევე დაბადებულთა შორის ბიჭებისა და გოგონების რაოდენობაზე.

ს.რ.თ-ის სიდიდე ირღვევა ნებისმიერი უზუსტობებისა და დაბადებულთა არასრული რეგისტრაციის, ან რეგისტრაციის წარმოების შეცვლისას.

ს.რ.თ.-ზე დამოკიდებულია ქორწინებათა რაოდენობა და სიხშირე, აგრეთვე დაბადებათა რაოდენობა და საერთო ჯამში კი მოსახლეობის აღწარმოება.

**სქესი** – ორგანიზმის გენეტიკურ, მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ნიშან–თვისებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მის მონაწილეობას ახალ თაობათა წარმოქმნაში და შთამომავლობისათვის მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემაში.

**სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა** – იხ. ასაკობრივი პირამიდა.

**სქესობრივი აღზრდა** – ფართო გაგებით – თაობიდან თაობამდე სქესობრივი კულტურის გადაცემის, ინდივიდუალური და მასობრივი სქესობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების, სქესობრივი იდენტურობის, სქესობრივი ქცევისა და სქესობრივი როლების მოდელების ფორმირების პროცესი.

აგრეთვე სამედიცინო პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სქესის საკითხებისადმი სწორი მიდგომის აღზრდას მშობლებში, ბავშვებში, მოზარდებსა და ახალგაზრდებში.

**სქესობრივი კულტურა** – ფართო გაგებით – ცოდნის, სოციალური ნორმებისა და ფასეულობების, აკრძალვებისა და მითითებათა ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია სქესთა განსხვავებასა და მათ ურთიერთობებთან.

**სქესობრივი ლტოლვა** – იხ. ლიბიდო.

**სქესობრივი მომწიფება** – ორგანიზმის ღრმა შინაგანი გარდაქმნების საფუძველზე სქესობრივი სიმწიფის მიღწევა.

**სქესობრივი მორალი** – საზოგადოების სქესობრივი კულტურის, მისი ფასეულობათა და ნორმატიულ-რეგულირებითი ასპექტების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. ს.მ-ში სქესობრივი ცხოვრების რეგლამენტაცია, სქესობრივი როლებისა და სქესობრივი ორიენტაციების სპეციფიკა ღებულობს მორალური და ეთიკური ნორმების ფორმას.

**სქესობრივი ორიენტაცია** – ინდივიდისათვის დამახასიათებელი განწყობისეულ-მოტივაციური ან ქცევითი უპირატესობის მინიჭება სქესობრივი ლტოლვის ობიექტისადმი (ჰომო ან ჰეტეროსექსუალობა) ან მისი დაკმაყოფილების ფორმებისადმი.

**სქესობრივი როლი** – სოციოკულტურულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სქესთა რეალურ ქცევას მათი სტატუსის, ან პოზიციიდან გამომდინარე და აღნიშნული ნორმების რეალიზაციასთან დაკავშირებულ ქცევას.

**სქესობრივი ქცევა** – მოქმედებათა და დამოკიდებულებათა სისტემა, რომლის მეშვეობითაც წარმოებს სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილება.

**სქესობრივი ცხოვრება** – ქცევითი რეაქციებისა და მოქმედებების, სომატური და ფსიქიკური პროცესების ერთობლიობა, რომელთა ციკლური გამეორება, ადამიანის სიცოცხლის მანძილზე, უზრუნველყოფს სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილებას.

## ტ

**ტაიმინგი** – იხ. კალენდარი დაბადებათა.

**„ტვინთა გადინება"** –სამეცნიერო-ტექნიკური კადრების ემიგრაცია განვითარებადი ქვეყნებიდან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. "ტ.გ." მოსახლეობის გარე მიგრაციის თავისებური სახეობაა.

**ტოლები** – ერთი ასაკის ადამიანები. დემოგრაფიული ანალიზისას განიხილება ტ-ის ერთობლიობა, რომლებსაც ერთნაირი ზუსტი ასაკი აქვთ, ან რომლებიც ერთი და იმავე ასაკობრივ ინტერვალში (ერწლიანში ან ხუთწლიანში) იმყოფებიან.

სიგრძივი ანალიზისას განიხილავენ ტ-ს, რომლებიც რომელიმე ერთ რეალურ თაობას ეკუთვნიან და დემოგრაფიულ შემთხვევათა რაოდენობას, რომლებიც ამ თაობაში მოხდა ამა თუ იმ ასაკში. მაგ., რომელიმე კოჰორტამ დაბადების წლის მიხედვით გააჩინა ბავშვების





გარკვეული რაოდენობა მოცემულ ასაკში.

**ტომი** – წინაკლასობრივ საზოგადოებაში ეთნიკური და სოციალური ერთიანობის ტიპი. ახასიათებს წევრთა სისხლით ნათესაობითი კავშირი. იყოფა გვარებად ან ფრატრიებად. აქვს საერთო სატომო ტერიტორია, ენა (დიალექტი), ტომობრივი თვითშეგნება და ენდოგამია; განვითარებულ გვაროვნულ წყობილებაში – საკუთარი მმართველობა, რომელსაც სათავეში უდგას სატომო საბჭო. ტ-ს აქვს თავისი კულტი და სატომო ღვთასწაულები.

**ტრადიცია** – ადამიანთა ქცევის ისტორიულად დამკვიდრებული წესი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ჩვევის სახით ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ტ-ს საფუძვლად უდევს ადამიანთა ერთობლივი ცხოვრებისა და საქმიანობის აუცილებლობა. მისი წარმოშობა განსაზღვრულია საზოგადოების განვითარების მოთხოვნებით. ვიდრე ამ მოთხოვნებს პასუხობს, ტ. დადებით როლს ასრულებს ისტორიაში. ტ. გარკვეული გამძლეობით ხასიათდება და, მიუხედავად ცხოვრების პირობების შეცვლისა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვლავ განაგრძობს არსებობას.

**ტრავმატიზმი** – ტრავმების ერთობლიობა, რომელიც მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს მიღებული აქვს განსაზღვრული დროის მანძილზე. განასხვავებენ საწარმოო და არასაწარმოო ტ-ს. საწარმოო ტ-ის ზრდა უმეტეს ქვეყნებში მძიმე მრეწველობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. არასაწარმოო ტ-ის ზრდა დაკავშირებულია XX ს. II ნახევარში სატრანსპორტო (საგზაო) ტ-ის ზრდასთან. ტ-ის მაჩვენებელი, გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება ტრავმების რაოდენობით 100 მომუშავეზე ან მოსახლეობის 100 სულზე.

**ტყუპები** – ერთი ორსულობის შედეგად დაბადებული ორი ან მეტი ბავშვი. ტ. ჩნდებიან თითქმის ერთდროულად, ერთი დედისაგან. არსებობს ტ-ის ორი ტიპი: ერთკვერცხისეული (მონოზიგოტური) და სხვადასხვაკვერცხისეული (პოლიზიგოტური). ერთკვერცხისეული ტ. ვითარდებიან ერთი ზიგოტისაგან, რომელიც ორსულობის ადრეულ სტადიაზე იყოფა ორ ან მეტ იზოლირებულ ნაწილად. მათგან თითოეული დამოუკიდებელ ორგანიზმად ვითარდება. სხვადასხვაკვერცხისეული ტ-ის წარმოშობა შესაძლებელია ორი ან მეტი კვერცხუჯრედის ერთდროულად მომწიფების შემთხვევაში. ერთკვერცხისეული ტ. ყოველთვის ერთი სქესისანი არიან, აქვთ სისხლის ერთი და იგივე ჯგუფი და ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. სხვადასხვაკვერცხისეული ტ. შეიძლება იყვნენ როგორც განსხვავებული, ისე ერთი სქესისანი, ერთმანეთს ისე ჰგვანან, როგორც ჩვეულებრივი და-ძმა.

# უ

**უკუმიგრანტები** – უკუმიგრაციაში მონაწილე პირები.

**უკუმიგრაცია** – პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება მიგრანტების (უკუმიგრანტების) მშობლიურ ქვეყანაში ან ქვეყნის შიგნით, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

**უმუშევრები** – სამუშაო ასაკის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელიც ვერ შოულობს სამუშაოს.

**უმუშევრობა** – თავისუფალი სამუშაო ძალის მოთხოვნაზე მიწოდების გადაჭარბება, მათი რაოდენობრივი და სტრუქტურული შეუსაბამობა.

**უნაყოფობა** – მოზრდილი ორგანიზმის მიერ შთამომავლობის შექმნის უნარის უქონლობა. უნაყოფოდ ითვლება ისეთი ქორწინება, რომლის დროსაც ორსულობა არ დგება რეგულარული ცოლ-ქმრული ცხოვრების ერთი წლის შემდეგ, ჩასახვის საწინააღმდეგო მეთოდების გამოუყენებლობის შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როდესაც ორსულობა მთავრდება მკვდრადშობადობით ან სპონტანური აბორტით. უ. შეიძლება იყოს როგორც მამაკაცის (40%-მდე), ისე ქალის (40%-მდე) ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების შედეგი, ან ორივეს ერთად (20 %).

განარჩევენ ქალის პირველად (როდესაც ქალი არცერთხელ არ დაორსულებულა) და მეორეულ (მშობიარობის ან აბორტის შემდგომ) უ-ს. ქალის უ. შეიძლება იყოს აბსოლუტური (საშვილოსნოს უქონლობა ან განუვითარებლობა, საკვერცხეების უქონლობა, სასქესო ორგანოების განვითარების მანკები და სხვა) და შედარებითი, როდესაც ორსულობა რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელი ხდება ამ მიზეზის ლიკვიდაციის შემდეგ.

მამაკაცების უ-ის მიზეზებია სასქესო ორგანოების განვითარების მანკები, ასპერმია, სათესლის სიმსივნე და სხვა. ქალის უ-ის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საშვილოსნოს ლულების დახშობა, რაც ხელს უშლის მამაკაცის სასქესო უჯრედის – სპერმატოზოიდისა და ქალის კვერცხუჯრედის ერთმანეთთან შეხვედრას და განაყოფიერებას.

**ურბანიზაცია** – ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შეთანაწყობა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.





უ-ის მთავარი ნიშნებია: ადამიანთა საქმიანობის კონცენტრაცია ქალაქებში, მოსახლეობის სოციალური აქტიურობისა და მობილობის გაძლიერება, ინდუსტრიულ, შემდგომში კი ავტომატიზებულ წარმოებაზე გადასვლა, ინფორმაციის დაგროვებისა და გადაცემის გაფართოება, არაწარმოებითი სფეროს დაჩქარებული ზრდა და საქალაქო აგლომერაციების განვითარება, ყველა დასახლებას შორის კავშირების გაძლიერება. ქალაქი ახდენს წარმოების კონცენტრაციას, სულ უფრო მზარდი რაოდენობით იზიდავს მოსახლეობას, რის შედეგადაც ფართოვდება მისი ფუნქციური დანიშნულება. უ-ის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს სამრეწველო წარმოება, რომელიც ძირითადად ქალაქებშია თავმოყრილი.

საზოგადოების განვითარებაში ქალაქების როლის ზრდის ისტორიულ პროცესს დასაბამი მიეცა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში. ჯერ კიდევ ათასეული წლების წინათ ჩაისახა ქალაქები ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ძველ საბერძნეთსა და რომში. მაგრამ თანამედროვე ქალაქების დაჩქარებულ ზრდას საფუძვლად დაედო წარმოების ინდუსტრიული წესის დანერგვა და მიმოსვლის საშუალებათა მთლიანად გადახალისება. თავის მხრივ, უ-მ უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზე.

1800 წელს დედამიწის მთელ მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობის წილი შეადგენდა 3%, 1850 წ. –6,4%, 1900 წ. – 19,6%, 1950 წ. – 28,9%, 1990 წ. – 40%-ზე მეტს და 2003 წელს - 47%. საქართველოში, 2002 წლის აღწერით, მთელ მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობის წილმა შეადგინა 52,3%.

უ. გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე. უ-ის პროცესის განვითარებასთან ერთად, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობის შობადობის დონე მცირდება, რასაც შემდგომში მოჰყვება სოფლის მოსახლეობის შობადობის დონის კლებაც. ქალაქებში მიგრანტების (სოფლიდან) შობადობის დონე რამდენადმე მეტია, ვიდრე მკვიდრი ქალაქელებისა. ამასთან, ეს განსხვავება უკვე შემდგომი თაობისათვის ქრება. ქალაქის მოსახლეობაში სოფლის მოსახლეობასთან შედარებით მეტია განქორწინების დონე და სხვა (იხ. აგრეთვე – ქალაქი).

**ურბანიზებული არეალი** – ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აშშ-ში გამოჰყოფენ ქვეყნის აგლომერაციების მთლიანი გაშენების ზონების სტატისტიკური აღრიცხვის განსაზღვრის მიზნით. უ.ა. მოიცავს აგლომერაციის ბირთვს მის ადმინისტრაციულ საზღვრებში და გარემომცველ ტერიტორიას გაშენების ზოლში მოსახლეობის სიმჭიდროვით არანაკლებ 1000 კაცისა 1 კვადრატულ მილზე (მილი აშშ – სიგრძის ერთეულია, რომელიც ტოლია დაახლოებით 1, 61 კმ.; kvadratuli mili (aSS) = 2,59km.$^2$).

**ურბანიზებული ზონა** – ტერიტორია ქალაქურ დასახლებათა მაღალი სიმჭიდროვითა და ქალაქის მოსახლეობის დიდი წილით.

**ურბანიზებული ტერიტორია** – ქალაქის ან აგლომერაციის ტერიტორიის ფარგლებში ქალაქური განაშენიანების მთლიანი ზონა.

**უმუშევრობა** – ქორწინებაში არ შესვლა მთელი ცხოვრების განმავლობაში. უ. შეიძლება იყოს როგორც იძულებითი (ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა), ისევე გამოწვეული იყოს "საქორწინო ბაზარზე" არსებული ცუდი ვითარებით ან რომელიმე სოციალურ ჯგუფთან კუთვნილებით (მაგ., ბერ-მონაზვნობა). უ-ის გავრცელება წარმოადგენს ქორწინების ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს, რომელიც მოქმედებს შობადობაზე. როგორც წესი, უ. ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში. ის დამოკიდებულია აგრეთვე სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. მასზე მოქმედებს რელიგია, ტრადიციები, ოჯახის ფორმა და სხვა.

უ-ის დონე განისაზღვრება მოცემული სქესის იმ ადამიანთა წილით, რომლებიც არ დაქორწინდნენ გარკვეული ასაკისათვის (ჩვეულებრივ, 50 წლისათვის).

**უშვილობა** – იგივეა, რაც ინფერტილურობა. იხ. ინფერტილურობა.

**უცოლოები** – მამაკაცები, რომლებსაც ცოლი არა ჰყავთ. წარმოადგენს ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-ერთ კატეგორიას. ტერმინი "უ" დემოგრაფიაში გამოიყენება ქორწინებაში არასდროს მყოფი მამაკაცების აღსანიშნავად.

# ფ

**ფემინიზაცია** – 1) დემოგრაფიაში – მოსახლეობის სტრუქტურაში ქალების წილის გაზრდა; 2) მედიცინაში – მამრობით ორგანიზმში მდედრობითი მეორეული სასქესო ნიშნების განვითარება.

**ფერტილური (ფერტილობის) პერიოდი** – (უნდა განვასხვაოთ რეპროდუქციის პერიოდისაგან, იხ. რეპროდუქციის პერიოდი), ქალების ცხოვრების ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც მათ აქვთ ბავშვების გაჩენის უნარი. დემოგრაფიაში ფ.პ-ის ხანგრძლივობა განისაზღვრება ფერტილური ასაკის საზღვრებით. დემოგრაფიაში ფ.პ-ის დასაწყისად მიჩნეულია 15 წლის ასაკი, დასასრულად – 49 წლის ასაკი, ე.ი. ფ.პ. შეადგენს საშუალოდ 35 წელს.





**ფერჰიულსტის ფორმულა** – იძლევა მოსახლეობის მომავალი რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას. წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზის ერთ-ერთ მეთოდს. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$S_n = S_0 \sum \left( K - \alpha \frac{n+1}{2} \right) t_n ,$$

სადაც $S_n$ – მოსახლეობის რაოდენობა $n$ წლის შემდეგ; $S_0$ – მოსახლეობის ამოსავალი (საწყისი) რაოდენობა; $k$ – მოსახლეობის მატების პროცენტი პირველ წელს; $\alpha$ – მოსახლეობის მატების შემცირების მუდმივი სიდიდე; $t_n$ – დროის ფუნქცია.

ფ.ფ. შემუშავებულ იქნა ბელგიელი მათემატიკოსის პიერ ფრანსუა ფერჰიულსტის (1804-1849 წწ.) მიერ.

**ფიზიკური განვითარება** – ადამიანის ორგანიზმის მორფოლოგიურ და ფუნქციურ მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მისი ფიზიკური ძალის მარაგს, ამტანობასა და ქმედუნარიანობას. მზარდი ორგანიზმის ფ.გ., დროის ყოველ მონაკვეთში, ახასიათებს ორგანიზმის ფორმირების, მომწიფებისა (ბიოლოგიური ასაკი) და მორფოფუნქციური მდგომარეობის პროცესს. ის ექვემდებარება ბიოლოგიურ კანონებს და დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პირობების კომპლექსზე. ფ.გ. მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

**ფიზიოლოგია ადამიანისა** – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სასიცოცხლო დინამიკას, უჯრედებისა და უჯრედთა სტრუქტურული ელემენტების ფუნქციებსა და მათში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებს.

**ფიზიოლოგიური დაბერება** – ადამიანის ასაკობრივ ცვლილებათა ბიოლოგიური პროცესი, რომელიც იწყება სიბერემდე და რომელსაც გარდაუვლად მოჰყვება ორგანიზმის შეგუებითი შესაძლებლობების შემცირება და, როგორც ამის შედეგი, იზრდება გარდაცვალების ალბათობა.

**ფილოგენეზი** – სხვადასხვა ორგანიზმის ისტორიული განვითარება.

**ფრატრია** – სოციალური ორგანიზაციის ფორმა ათენსა და ძველი საბერძნეთის სხვა რეგიონებში. ფ. იყო მონათესავე გვართა გამაერთიანებელი ეგზოგამიური ჯგუფი, რომელიც საქორწინო კავშირში იმყოფებოდა სხვა ფრატრიასთან. ორი ფ-ის დუალური

ორგანიზაცია შეადგენდა ტომს. დუალურ-ფრატრიული ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობათა რეგულირება.

**ფსიქოლოგია** – მეცნიერება ფსიქიკური სფეროს მოვლენებისა და კანონზომიერებების შესახებ.

**ფსიქოლოგია განწყობისა** – ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელიც შეისწავლის განწყობის აღმოცენებისა და გამოვლენის კანონზომიერებებსა და თავისებურებებს და თვით განწყობის ფსიქოლოგიურ არსს. ჩამოყალიბდა საქართველოში დ. უზნაძის თეორიის საფუძველზე (იხ. აგრეთვე განწყობა და განწყობის თეორია).

**ფსიქოლოგია სოციალური** – ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევათა სისტემას და მის საფუძვლად მდებარე იმ კანონზომიერებებს, რომლებიც ვლინდება სხვა ადამიანებთან, ჯგუფებსა და კოლექტივებთან ურთიერთობაში.

**ფუნქცია დემოგრაფიული** – კოჰორტაში დემოგრაფიული პროცესის რაოდენობრივი მახასიათებელი, რომელიც გამოიხატება როგორც დროის ინტერვალის ფუნქცია კოჰორტის ფორმირების მომენტიდან. ფ.დ-ის არგუმენტად შეიძლება გამოდიოდეს ნებისმიერი დემოგრაფიული მდგომარეობის ხანგრძლივობა – ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა და ა.შ. ფუნქციად შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი დემოგრაფიული პროცესის რაოდენობრივი მახასიათებელი, რომლის მნიშვნელობა ცალსახად თანაეფარდება არგუმენტის მნიშვნელობებს და აქვს აზრი დემოგრაფიული თვალსაზრისით.

ფ.დ-ის მახასიათებლებია ცხრილები, დიაგრამები და აგრეთვე სხვადასხვა სახის განმაზოგადებელი სიდიდეები, რომლებიც აღებულია ფუნქციის განსაზღვრის სფეროს ფარგლებში. მაგ., შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი როგორც შობადობის ფუნქციის მახასიათებელი.

ერთარგუმენტიანი ფ.დ-ის გარდა გამოიყენება აგრეთვე ორარგუმენტიანი ფ.დ. მაგ., შობადობა როგორც დაქორწინების ასაკისა და ქორწინების ხანგრძლივობის ფუნქცია. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა ან სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები განიხილება როგორც კალენდარული დროის ფუნქცია, ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ ფ.დ-ად, თუმცა მათ აქვთ ფ.დ-თვის დამახასიათებელი ბევრი თვისება.

ფ.დ-ებს ფართო გამოყენება აქვთ დემოგრაფიაში. დემოგრაფიული ცხრილების ყოველი მაჩვენებელი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ფ.დ-ის მნიშვნელობა.





**ფუნქცია ცოცხლადობისა** – მოკვდაობის პროცესის რაოდენობრივი მახასიათებელი. წარმოადგენს ასაკის ფუნქციას. ფ.ც. იმ ალბათობის ტოლია, რომ ახალდაბადებული იცოცხლებს რომელიმე ზუსტ x ასაკამდე, სადაც x – ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია. ფ.ც. დემოგრაფიულ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, აღინიშნება l(x) –ით. ფ.ც. მნიშვნელობები, რომლებიც შეესაბამებიან x არგუმენტის მთლიან მნიშვნელობებს, როგორც წესი, მოცემულია მოკვდაობის ცხრილებში ცოცხლად დარჩენილთა სახით. ამასთან, ცოცხლადობის ალბათობა მრავლდება ცხრილის ფესვზე, რომელიც ტოლია 1000, 10000 ან 100000. ფ.ც. გამოიყენება მოსახლეობის აღწარმოების მათემატიკურ მოდელებში, სადაც ფ.ც. წარმოდგება როგორც მოკვდაობის რეჟიმის ძირითადი მახასიათებელი.

ფ.ც. ძირითადად გამოიყენება უწყვეტ მოდელებში, სადაც მიჩნეულია, რომ l(x) არის x-ის უწყვეტი და დიფერენცირებული ფუნქცია. დეტერმინისტურ მოდელებში მიჩნეულია, რომ რომელიმე x ასაკამდე ცოცხლადობის ალბათობა და ადამიანთა წილი, რომლებმაც ამ ასაკს მიაღწიეს, ერთმანეთს ემთხვევა. აქედან გამომდინარე, ფ.ც. გამოიყენება მოსახლეობის აღწარმოების ინტეგრალურ განტოლებაში დაბადებულთა რაოდენობის საფუძველზე, რომელიმე ასაკობრივ ინტერვალში მცხოვრებთა რიცხვის განსაზღვრისათვის.

## ქ

**ქალაქი** – დასახლებული პუნქტი, რომელიც სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად მიეკუთვნება ქალაქების კატეგორიას. როგორც წესი, ქ-ს (სოფლისაგან განსხვავებით) გააჩნია მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც ძირითადად დაკავებულია არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობით – მრეწველობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, მეცნიერება, კულტურა. ქ-ს ახასიათებს დასახლების დიდი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა. ქ. ასრულებს სამრეწველო-საწარმოო, სატრანსპორტო, საორგანიზაციო-სამეურნეო, კულტურულ-პოლიტიკური, ადმინისტრაციული და მკურნალობის ორგანიზაციის ფუნქციებს.

ქ-ების დაარსება და განვითარება მჭიდრო კავშირშია შრომის ტერიტორიულ დანაწილებასთან. ქ-თა უმრავლესობის განვითარების ძირითადი ფაქტორია საზოგადოებრივი წარმოების ფუნქცია, თუმცა არსებობს ქალაქწარმომქმნელი სხვა ფაქტორებიც. მაგ., ადმინისტრაციული (ჩვეულებრივ სავაჭრო და საწარმოო ფაქტორებთან ერთად), სამხედრო-სტრატეგიული, დასასვენებელი და სამკურნალო, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო, რელიგიური.

თითოეული ქ-ის ფუნქციური ტიპი არსებითად განისაზღვრება მისი გეოგრაფიული მდებარეობითა და იმ კავშირების თავისებურებებით, რომლებიც არსებობს ქ-სა და მისკენ მიზიდულ ტერიტორიას შორის.

პირველი ქ-ები, როგორც ადმინისტრაციული და რელიგიური, ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები, ძვ. წ. IV-III ათასწლეულში წარმოიშვა. ქ-ის შექმნამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივ განვითარებაზე. შუა საუკუნეებში ქ. სასაქონლო წარმოების ცენტრი იყო და კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა.

საქართველოში ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ჩნდება ქ-ის წინამორბედი ფორმა: ბორცვზე სამოსახლოს ცენტრალური გამაგრებული ნაწილი – არისტოკრატის საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობა, მის ირგვლივ დასახლება ცალკეულ უბნებად, მოშორებით ხელოსანთა უბნები და ნეკროპოლი. მთელ რიგ ქ-ებზე გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა მათ ეკონომიკურ სიძლიერესა და ზრდა-განვითარებას.

საძდეისოდ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში - ქ-ის მოსახლეობის წილი შეადგენს 70-80% და მეტს (იხ. აგრეთვე – ურბანიზაცია).

**ქალაქ–თანამგზავრი** – ქალაქური დასახლება, რომელიც განლაგებულია მსხვილი ქალაქის ცენტრის მახლობლად და მიისწრაფვის მისკენ სამეურნეო ან კულტურულ-საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. ქ-თ-ს შეიძლება ჰქონდეს სამრეწველო, სატრანსპორტო, რეკრეაციული და სხვა ფუნქციები. ქ-თ. ხშირად შედის აგლომერაციაში.

**ქალაქთმშენებლობა** – ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების განვითარების თეორია და პრაქტიკა. ქ-ში დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, განსაკუთრებით ბუნებრივი და მიგრაციული მატების თანაფარდობათა თავისებურებებით, მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურით და პერსპექტიული დემოგრაფიული ვითარებით.

ქალაქის მოსახლეობის პერსპექტიული რაოდენობა (H) გამოიანგარიშება ფორმულით:

$$H = \frac{K \cdot 100}{100 - (O + I)},$$

სადაც K არის ქალაქთწარმომქნელი კონტინგენტების პერსპექტიული





მოსახლეობის რაოდენობა; O – მთელ მოსახლეობაში თვითმოქმედი მოსახლეობის წილი; I – მთელ მოსახლეობაში არათვითმოქმედი მოსახლეობის წილი. საშუალოდ O შეადგენს 18-25%, ხოლო I – 46-48%.

**ქალაქის გარეუბანი** – იხ. გარეუბანი.

**ქალაქური აგლომერაცია** – იხ. აგლომერაცია.

**ქალაქური დასახლება** – იხ. ქალაქი.

**ქალაქური დეკონცენტრაცია** – ქალაქებში მოსახლეობის სიმჭიდროვის შემცირების პროცესი მოსახლეობის ქალაქის საზღვრებს გარეთ (ძირითადად საგარეუბნო ზონებში) გასვლის შედეგად.

**ქალაქური კონცენტრაცია** – მოსახლეობის თავმოყრის პროცესი ქალაქურ დასახლებებში. წარმოადგენს ურბანიზაციის ერთ-ერთ გამოვლინებას. ქ.კ-ის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოსახლეობის სიმჭიდროვე, რომელიც მსოფლიოს უმრავლეს ქალაქში შეადგენს რამდენიმე ათიათას კაცს ერთ კმ.$^2$. ქ.კ-ის ზუსტი განსაზღვრისათვის გამოიყენება ე.წ. წმინდა სიმჭიდროვის მაჩვენებელი, რომელშიც ქალაქური დასახლების მთელი ტერიტორიიდან გამოკლებულია გაუშენებელი ტერიტორია (პარკები, მინდვრები და სხვ.). ზოგიერთ ქალაქურ დასახლებაში მათზე მოდის მთელი ტერიტორიის 5-%-მდე.

**ქალთა რაოდენობრივი (რიცხობრივი) უპირატესობა** – მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ან მის ცალკეულ ჯგუფში (ძირითადად ასაკობრივში) ქალთა რაოდენობის სიჭარბე მამაკაცთა რაოდენობასთან შედარებით.

**ქალწული** – ტერმინი, რომელიც როგორც წესი, გამოიყენება საქორწინო ასაკის ქორწინებაში არასდროს მყოფი ქალების მიმართ. გამოიყენება აგრეთვე უბიწო ქალის აღსანიშნავად.

**ქვეყანაში მიგრანტთა ყოფნის უფლება** – მიმდები ქვეყნის ნებისმიერი ნებართვა, რომელიც იძლევა მიგრანტის დროებით ყოფნის ან მუდმივად ცხოვრების უფლებას.

**ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები უცხოელები** – პირები, რომლებიც კანონიერ საფუძველზე მუდმივად ცხოვრობენ ქვეყანაში და არ არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები.

**ქვრივები** – ადამიანები, რომელთა ქორწინება მეუღლის გარდაცვალების გამო შეწყდა. ქორწინებითი მდგომარეობის ერთ-

ერთი კატეგორია.

**ქმარი** – კაცი იმ ქალის მიმართ, რომელთანაც ქორწინებით არის დაკავშირებული.

**ქმედითუნარიანობა** – მოქალაქის უნარი თავისი მოქმედებით მოიპოვოს უფლებები და შეიქმნას იურიდიული მოვალეობანი (მაგ., დადოს ხელშეკრულება, გასცეს მინდობილობა), აგრეთვე პასუხი აგოს არამართლზომიერი მოქმედებისათვის (მაგ., ქონებრივი ზიანის მიყენებისათვის). ქ. სრული მოცულობით სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ წარმოიქმნება.

**ქორწინება** – 1) საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქ-ის წარმოშობა-განვითარების შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს. შუა და ზედა პალეოლითის ხანაში, გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბების საფეხურზე, წარმოიქმნა ეგზოგამია და ჯგუფური ქორწინება. გვაროვნულ წყობილებაში შეიქმნა წყვილადი ქორწინება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქორწინო ურთიერთობის ამ საფეხურზე ცოლი და ქმარი საცხოვრებლად რჩებოდნენ თავ-თავიანთ გვარში. უფრო მოგვიანებით ქმარი დასახლდა ცოლის გვარში, ხოლო შემდეგ ცოლი გადავიდა ქმრის გვარში. მეუღლეთა პირადი ქონება გაუყოფელი იყო, ხოლო ქ. – არამყარი. წყვილადი ქ-ის ყველა აღნიშნული ფორმა ინარჩუნებდა ჯგუფური ქ-ის გადმონაშთებს. გვაროვნული წყობილების დაშლის ხანაში მომზადდა ნიადაგი კლასობრივი საზოგადოებისათვის, არსებითად შეიცვალა ქ-ის ბუნებაც. გვარის დაშლის საფუძველზე შეიქმნა დიდი პატრიარქალური ოჯახი ანუ საოჯახო თემი და მონოგამიური ქ.

ქ-ის ყველაზე მყარი ფორმაა ცოლ-ქმრული წყვილისა და მათი შთამომავლობის მტკიცე კავშირი მამაკაცის ხაზით. მონოგამიურმა ქ-მ დასრულებული სახე მიიღო ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახის ჩამოყალიბების დროიდან, რაც პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლისა და კერძო მესაკუთრეობის განვითარების პირობებში მოხდა. კლასობრივ საზოგადოებაში მონოგამიურმა ქ-მ შეითვისა ამა თუ იმ ფორმაციისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რომელთაგან არსებითია ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ქ. ოჯახთან ერთად წარმოადგენს იმ ინსტიტუტებს, რომლებიც





მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ დემოგრაფიულ პროცესებს, განსაკუთრებით – შობადობას.

2) ქორწინებით შეუღლებული წყვილების წარმოქმნის პროცესი. აღნიშნავს აგრეთვე თაობის ან მოსახლეობის ქორწინებაში ყოფნას. მოიცავს როგორც პირველ, ისევე ხელახალ ქ-ს. დაქვრივებასა და განქორწინებასთან ერთად, ქ. განსაზღვრავს მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურის აღწარმოებას. დამოკიდებულია "საქორწინო ბაზარზე" არსებულ ვითარებაზე, საქორწინო წრის ფორმირებაზე, საქორწინო არჩევანზე და სხვა. ქ. წარმოადგენს სოციალურ-დემოგრაფიულ პროცესს, რომელიც განპირობებულია და რეგულირდება სოციალურ-კულტურული ნორმებით, აქვს იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური და სხვა ასპექტები, რომელთაც შეისწავლის მრავალი საზოგადოებრივი მეცნიერება. ქ-ის დემოგრაფიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მისი მჭიდრო კავშირი მოსახლეობის აღწარმოებასთან. ქ. – შობადობის, ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის ცვალებადობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. დემოგრაფიაში ქ. ძირითადად შეისწავლება ფერტილური ასაკის ფარგლებში.

ქ-ისა და მისი ინტენსივობის დახასიათებისათვის დემოგრაფიაში გამოიყენება სხვადასხვა სახის კოეფიციენტები და ინდექსები (იხ. კოეფიციენტი ქორწინებისა...).

ქ-ის შესწავლა ჯერ კიდევ XVIII ს. დაიწყო, თუმცა ვითარდებოდა ნელა. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში შემუშავებულ იქნა ქ-ის გაზომვის ძირითადი მეთოდოლოგიური ხერხები. ქ-ის ფართო და გაღრმავებული დემოგრაფიული კვლევა XX ს. შუა პერიოდიდან იწყება.

**ქორწინება** ბიეთნიკური – იხ. ქორწინება ეროვნულად შერეული.

**ქორწინება** დისლოკალური – ქორწინების ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ცხოვრება (თითოეული თავის ნათესაურ ჯგუფში). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქ.დ. მომდინარეობს მატრიარქატიდან პატრიარქატზე გარდამავალი პერიოდიდან. ზოგიერთ ტომში (ნაირებში – ინდოეთი) შემორჩენილი იყო XX ს-მდე.

**ქორწინება** ერთეროვნული – ჰომოგამური ქორწინების სახეობა (იხ. ქორწინება ჰომოგამური), რომლის დროს ცოლ-ქმარი ერთი ეროვნებისანი არიან.

**ქორწინება** ეროვნულად შერეული – პეტეროგამური ქორწინების სახეობა (იხ. ქორწინება ჰეტეროგამური), რომლის დროს

ცოლ-ქმარი სხვადასხვა ეროვნებისაა.

**ქორწინება იურიდიული** – ქორწინება, რომელიც გაფორმებულია იმ ქვეყნის კანონების შესაბამისად, სადაც იყო რეგისტრირებული. იგივეა, რაც რეგისტრირებული ქორწინება.

**ქორწინება კონსენსუალური** – თავისუფალი (იურიდიულად გაუფორმებელი) კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც ატარებს ცოლ-ქმრული ურთიერთობის სახეს და ასეთად არის აღიარებული საზოგადოებაში.

**ქორწინება კუზენური** – ქორწინების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო გვაროვნული წყობილებისა და ადრინდელი კლასობრივი საზოგადოებისათვის. განასხვავებენ ქ.კ-ის ორ ძირითად ტიპს: კროსკუზენურს – ქორწინებას დედის ძმის ქალიშვილთან ან მამიდაშვილთან და ორთოკუზენურს – ქორწინებას მამის ძმის ქალიშვილთან ან დეიდაშვილთან.

**ქორწინება მატრილოკალური** – ქორწინების ფორმა, როცა ქმარი საცხოვრებლად ცოლის თემში გადადიოდა. გავრცელებული იყო მატრიარქატის დროს.

**ქორწინება მონოლოკალური** – ქორწინება, რომლის დროსაც მეუღლეები შედიან შინამეურნეობის შემადგენლობაში. თანამედროვე ქორწინების ყველაზე გავრცელებული ტიპი.

**ქორწინება მორგანატული** – არათანაბარი ქორწინება, რომლის დროს ცოლზე არ ვრცელდება ქმრის წოდებრივი პრივილეგიები (ან პირიქით), ხოლო შვილებზე მამისა.

**ქორწინება პატრილოკალური** – როცა ცოლი საცხოვრებლად გადადის ქმრის თემში. ქ.პ. ჩაისახა მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლისას.

**ქორწინება რეგისტრირებული** – ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც გაფორმებულია მოცემულ ქვეყანაში მიღებული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

**ქორწინება საეკლესიო** – ერთი შვიდ საიდუმლოთაგან ქრისტიანულ რელიგიაში. ასრულებს ეკლესიაში მღვდელი ან ეპისკოპოსი. წარმოადგენს შესაუღლებელ პირთა მონაწილეობით ჩატარებულ საეკლესიო ცერემონიალს. ქრისტიანული რელიგია საიდუმლოთი შეკრულ ცოლ-ქმრულ კავშირს განიხილავს როგორც ქრისტეს სულიერ კავშირს ეკლესიასთან და ძალიან ძნელად (მართლმადიდებელი) ან საერთოდ არ





აუქმებს (კათოლიკური) მას.

**ქორწინება სამოქალაქო** – ქორწინება, რომელიც ფორმდება სახელმწიფო ხელისუფლების სათანადო ორგანოებში ეკლესიის მონაწილეობის გარეშე.

**ქორწინება სისხლითნათესაური** – ქორწინება ადამიანებს შორის, რომლებიც დაკავშირებული არიან სისხლით ნათესაობით მამის ან დედის ხაზით. მის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კუზენური ქორწინება (იხ. ქორწინება კუზენური); გვხვდებოდა აგრეთვე ინცესტის სახითაც (იხ. ინცესტი).

**ქორწინება ფაქტობრივი** – ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც გაფორმებული არ არის კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებისას მხედველობაში მიიღებოდა ქორწინებაში ფაქტობრივად ყოფნა, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებული იყო თუ არა ქორწინება.

**ქორწინება ფიქციური** – ქორწინება, რომელიც რეგისტრირებული იყო რაიმე მიზნით, მაგრამ რომელსაც არ მოსდევს ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობები.

**ქორწინება წყვილადი** – პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებული ქორწინების ფორმა. მონოგამიური ქორწინებისაგან განსხვავდება იმით, რომ ქ.წ-ის დროს ჯერ კიდევ არ იქმნება ოჯახი როგორც ეკონომიკური ერთეული. ასეთი ქორწინება არამდგრადია. ქ.წ-მა შეცვალა ჯგუფური ქორწინება, რომლისგანაც შემოინახა ქორწინებამდელი და არასაქორწინო ურთიერთობები, "დამატებითი" ქმრები და ცოლები. სხვა მოსაზრებათა თანახმად, ქ.წ. სქესთა შორის ჯგუფური ურთიერთობების გადმონაშთებთან ერთად ქორწინების უძველეს ფორმას წარმოადგენდა.

**ქორწინება ჯგუფური** – ქორწინების უძველესი ფორმა, რომლის დროსაც ერთი ფრატრიის, გვარის ან გვარის შიგა რომელიმე ჯგუფის ყველა მამაკაცს საქორწინო კავშირი ჰქონდა დამყარებული სხვა ასეთივე ჯგუფის ყველა ქალთან.

**ქორწინება ჰეტეროგამური** – ქორწინება ადამიანებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ და სხვა ჯგუფებს, ან ერთობებს. თანამედროვე პირობებში ქ.ჰ. ფართოდ არის გავრცელებული და გამოდგენა ჰომოგამური ქორწინება (იხ. ქორწინება ჰომოგამური).

**ქორწინება ჰომოგამური** – ჩვეულება ან ტენდენცია, რომლის

მიხედვით ქორწინება ხდება გარკვეული სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფის ან ერთობის შიგნით. უძველესი დროიდან, შუა საუკუნეების ჩათვლით, ქ.ჰ. გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ქ.ჰ. მცირდებოდა და მის ადგილს იკავებდა ჰეტეროგამური ქორწინება (იხ. ქორწინება ჰეტეროგამური), რომელიც სადღეისოდ გავრცელებული ფორმაა. ქ.ჰ-ის ცალკეული სახეობები (მაგ., უპირატესი ქორწინება ერთი ეროვნების წარმომადგენლებში) დღეისთვისაც არის შემორჩენილი.

**ქორწინებამდელი ჩასახვა** – ბავშვის ჩასახვა ქალის დაქორწინებამდე.

**ქორწინებითი მდგომარეობა** – ადამიანის მდგომარეობა ქორწინების მიმართ, რომელიც განისაზღვრება ქვეყანაში არსებული ჩვეულებებითა და სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ქორწინების სახისა და ფორმის მიუხედავად, განასხვავებენ: ქორწინებაში არმყოფებს და ქორწინებაში მყოფებს. ქორწინებაში არმყოფები თავის მხრივ იყოფიან: ქორწინებაში არასდროს მყოფებად, ქვრივებად და განქორწინებულებად (განშორებულებად). ქ.მ-ის ჩამოთვლილი კატეგორიები მიჩნეულია ძირითადად და გამოიყოფიან მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებათა უმრავლესობისას.

ქორწინების, განქორწინებისა და დაქვრივების შემთხვევაში ხდება ადამიანის გადასვლა ქ.მ-ის ერთი კატეგორიიდან მეორეში. ასეთ გადასვლათა ერთობლიობა წარმოადგენს მოსახლეობის საქორწინო სტრუქტურის აღწარმოების პროცესს, რომელიც დემოგრაფიაში განიხილება როგორც მოსახლეობის აღწარმოების შემადგენელი ნაწილი.

ზოგიერთი ქვეყნის სტატისტიკა ზემოჩამოთვლილ ქ.მ-ის კატეგორიების გარდა გამოჰყოფს აგრეთვე კონსენსუალურ და რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფებს, განცალკევებით მცხოვრებ მეუღლეებს, პირველ და ხელახალ ქოწინებაში მყოფებს.

**ქორწინებითი ქცევა** – წარმოადგენს ადამიანების მოქმედებათა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც მიმართულია ქორწინებაზე. ქ.ქ. მატრიმონიალური ქცევის (იხ. მატრიმონიალური ქცევა) ერთ-ერთ სახეობას შეადგენს, თუმცა ლიტერატურაში ხშირად ის განქორწინებასთან ერთად მთლიანობაში განიხილება როგორც მატრიმონიალური ქცევა და ამდენად გაიგივებულია მასთან.

**ქორწინებითი შობადობა** – ქორწინებაში მყოფთას შობადობა. ამასთან, მოცემული კატეგორია შეიძლება შეიცავდეს როგორც კონსენსუალურ ქორწინებაში, ისე თანაცხოვრებაში მყოფთა





შობადობას.

**ქორწინების აქტი** – ქორწინებასთან დაკავშირებული ქმედება, რომელიც ეხება ადამიანის მოქალაქეობრივ-სამართლებრივ მდგომარეობას. ქ.ა-ის რეგისტრაცია წარმოებს სარ-ის ორგანოებში.

ქ.ა-ს გააჩნია დემოგრაფიული მნიშვნელობა როგორც იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც წარმოებს დემოგრაფიული შემთხვევის მიმდინარე აღრიცხვა.

**ქორწინების ბრუტო–პროდუქტიულობა** – დაბადებათა საშუალო რაოდენობა ერთ ქორწინებაზე, ფერტილური პერიოდის ბოლომდე, ქორწინების შეწყვეტის გაუთვალისწინებლად.

**ქორწინების გაუქმება** – განქორწინება, ქორწინების შეწყვეტა მეუღლეების სიცოცხლის განმავლობაში. ქ.გ. რეგულირდება კანონმდებლობის საფუძველზე ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კოდექსის მიხედვით. ქ.გ. წარმოებს სასამართლოს ან სარ-ის ორგანოების მიერ ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის განცხადების მიხედვით. ქორწინება გაუქმებულად მიიჩნევა, თუ დადგენილ იქნება, რომ მეუღლეების ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეიძლება. ქორწინება გაუქმებულად ითვლება მხოლოდ განქორწინების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტებში რეგისტრაციის შემდეგ.

**ქორწინების დონე** – მოსახლეობაში ქორწინების გავრცელების ხარისხი. იზომება ქორწინებაში სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარდობით რეალური ან ჰიპოთეზური თაობების სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. სიცოცხლის ხანგრძლივობას გებულობენ მოკვდაობის ცხრილებიდან. ქორწინებაში სიცოცხლის ზუსტი წლების რაოდენობის გასაანგარიშებლად ძირითადად მიმართავენ შეფასებას. ამისათვის რეალური მოსახლეობის ყოველ ასაკში ქორწინებაში მყოფთა წილს დაადებენ სტაციონარული მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილების შესაბამის ასაკობრივ რაოდენობებს. ამასთან დაშვებულია, რომ სტაციონარული მოსახლეობის ქორწინებითი სტრუქტურა ყოველ ასაკში შეესაბამება რეალური მოსახლეობის ქორწინებით სტრუქტურას მოცემულ პერიოდში. შემდეგ, ასეთი გზით მიღებულ ასაკში ქორწინებაში მყოფთა რაოდენობების ჯამის თაობის საწყის რაოდენობაზე გაყოფით ღებულობენ ქორწინებითი სიცოცხლის საშუალო წლების რაოდენობას სტაციონარული მოსახლეობის ერთ ადამიანზე.

ქ.დ. დამოკიდებულია უქორწინობაზე, პირველადი დაქორწინების ასაკზე, ხელახალ ქორწინებათა სისრულესა და ვადაზე.

მოსახლეობის აღწარმოების ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფერტილური ასაკის ქალების ქ.დ-ს, რომელიც გამოიანგარიშება

ზემონაჩვენების ანალოგიურად. შობადობაზე ქორწინების გავლენის თვალსაზრისით ქ.დ. შეიძლება შეფასებულ იქნას სპეციალური ინდექსით (იხ. ინდექსი შობადობაზე ქორწინების გავლენის).

**ქორწინების ევროპული ტიპი** – მისთვის დამახასიათებელია: 1) გვიანდელი ქორწინება და 2) უქორწინობის მაღალი წილი. ქორწინების ეს ტიპი დამახასიათებელი იყო ევროპისათვის მისი აღმოსავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი რაიონების გამოკლებით, ე.ი. ძირითადად – დასავლეთ ევროპისათვის. მაგ., XIX ს. ბოლოს საფრანგეთში 25-29 წლის ასაკის ქალებში დაუქორწინებელი იყო 30%, ხოლო 45-49 წლის ასაკში – 12% (მამაკაცებში შესაბამისად 48% და 11%). იმავე დროს ბულგარეთში 25-29 წლის ქალებში დაუქორწინებელი იყო მხოლოდ 3%, ხოლო 45-49 წლის ასაკში – 1 % (მამაკაცებში შესაბამისად 23% და 3%).

ქ.ე.ტ-ის გავრცელებამ დასავლეთ ევროპაში ხელი შეუწყო შობადობის შემცირებას.

**ქორწინების ნეტო-პროდუქტიულობა** – დაბადებათა საშუალო რაოდენობა ერთ ქორწინებაზე, ფერტილური პერიოდის ბოლომდე, ქორწინების შეწყვეტის გათვალისწინებით.

**ქორწინების პროდუქტიული პერიოდი** – იხ. რეპროდუქციის პერიოდი.

**ქორწინების პროდუქტიულობა** – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს შობადობას ცოლ-ქმრის მიერ დაბადებული ბავშვების საბოლოო რაოდენობის საფუძველზე. ქ.პ. გამოიანგარიშება როგორც საქორწინო კოჰორტაში ერთ ქორწინებაზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა. ქ.პ. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას, როგორც კოჰორტის ყველა ქორწინებისათვის, ისევე მისი რომელიმე ნაწილისათვის. მაგ., ქალის ან მამაკაცის დაქორწინების ასაკთან დამოკიდებულებაში. ქ.პ. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ცალ-ცალკე პირველი და ხელახალი ქორწინებისათვის. ქ.პ. წარმოადგენს გათხოვილი ქალების გაანგარიშებულ შობადობის ცხრილების ერთ-ერთ შემაჯამებელ მაჩვენებელს.

**ქორწინებისუნარიანობა** – მოცემულ საზოგადოებაში ადამიანის დაქორწინების უფლება.

**ქორწინების შეწყვეტა** – საქორწინო კავშირის დაშლა ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილის ან ქორწინების გაუქმების შედეგად. იურიდიული თვალსაზრისით, ქ.შ. ქორწინების გაბათილებულად მიჩნევის საფუძველზეც ხდება.

ქ.შ-ის ალბათობა განქორწინების შედეგად მაღალია ქორწინების პირველ





წლებში, ხოლო ქორწინების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად იზრდება ქ.შ-ის ალბათობა გამოწვეული ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების საფუძველზე. თავის მხრივ, ქ.შ-ის სიხშირის ზრდა ხელს უწყობს მოკვდაობის გადიდებას, ვინაიდან ქვრივებისა და განქორწინებულების მოკვდაობა უფრო მაღალია, ვიდრე ქორწინებაში მყოფების.

ქ.შ-ში ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისა და განქორწინების წილი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგ., აშშ განქორწინების წილი ყველა ქ.შ-ის 44% შეადგენდა (1970 წ.), საფრანგეთში – 17% (1972 წ.), ბელგიაში – 11% (1970 წ.).

**ქორწინების ხანგრძლივობა** – სიდიდე, რომელიც ახასიათებს ქორწინების ხანგრძლივობას დაქორწინების მომენტიდან დაკვირვების ან რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევის დადგომის (მიმდინარე ქ.ხ.) ან ქორწინების შეწყვეტის მომენტამდე (საბოლოო ქ.ხ.). იზომება წლებით როგორც საშუალო ქ.ხ. რეალური ან ჰიპოთეზური საქორწინო კოჰორტისათვის.

ანსხვავებენ იურიდიულ და ფაქტობრივ ქ.ხ-ს. დემოგრაფიას აინტერესებს ფაქტობრივი ქ.ხ., მაგრამ ვინაიდან მონაცემები მის შესახებ ძნელად არის მოსაძიებელი იყენებს იურიდიულ ქ.ხ-ს.

პირველ ქორწინებათა საბოლოო ქ.ხ. საშუალოდ უფრო მეტია, ვიდრე ხელახალ ქორწინებათა; განქორწინებით დამთავრებული ქორწინების შეწყვეტისათვის ის უფრო ნაკლებია, ვიდრე მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეული ქორწინების შეწყვეტისათვის.

**ქცევა** – გარემო სიტუაციაზე ორგანიზმის რეაქციათა სისტემა. ქ-ის ანალიზისას განასხვავებენ ქ-ის სუბიექტს (რომელიც ახორციელებს ქ-ს), ქ-ის ობიექტს (რომლისკენაც მიმართულია ქ.), ქ-ის გარკვეულ პროგრამასა და მისი შესრულების მექანიზმს. ორგანიზაციის ტიპის მიხედვით ანსხვავებენ ქ-ის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დონეებს. დ. უზნაძის მიერ შემოთავაზებულ იქნა და შემდგომში შ. ნადირაშვილის მიერ საბოლოო სახით იქნა გადმოცემული ადამიანის ქცევისა და საქმიანობის შემდეგი ფორმები: ინტროგენული, გარდამავალი, ექსტროგენული და პიროვნებათაშორისი ურთიერთობების.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მიხედვით, ყოველგვარი ქცევა წარმოადგენს შესაბამისი განწყობის რეალიზაციას, რომელიც თავის მხრივ წარმოიქმნება მოთხოვნილების, სიტუაციისა და ოპერაციული შესაძლებლობების საფუძველზე.

**ქცევა სოციალური** – პიროვნების აქტივობა, რომელიც განსაზღვრულია პირადი მოთხოვნილებებისა და შესატყვისი სიტუაციების გარდა იმ სოციალური მოთხოვნებითაც, რომლებსაც მას საზოგადოება უყენებს.

# შ

**შემდეგი (მომდევნო) დაბადების ალბათობა** – იხ. ოჯახის გაზრდის ალბათობა.

**შემთხვევის წერტილი** – დემოგრაფიულ ბადეზე ადამიანის სიცოცხლეში მომხდარი რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევის პირობითი გამოსახულება. შ.წ-ის აბსცისას შეესაბამება შემთხვევის თარიღი კალენდარულ დროში, ორდინატას – შემთხვევის დადგომის მომენტისათვის რომელიმე მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ზუსტი მნიშვნელობა. სიცოცხლის ხაზი (იხ. ხაზი სიცოცხლისა) საშუალებას იძლევა განსაზღვრულ იქნას ადამიანის დაბადების თარიღი ან მისი გადასვლა მოცემულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში. შ.წ-თა ერთობლიობა, რომელიც იმყოფება დემოგრაფიული ბადის სხვადასხვა ხაზს შორის, წარმოქმნის დემოგრაფიულ შემთხვევათა ერთობლიობას (იხ. დემოგრაფიული ერთობლიობები). შ.წ. ჩვეულებრივ დემოგრაფიულ ბადეზე არ დაიტანება და მას მხოლოდ წარმოიდგენენ.

**შვებულება** – მუშა-მოსამსახურეთა ყოველწლიური დასვენების დრო, რომლის განმავლობაშიც მათ შეენახებათ სამუშაო ადგილი და ხელფასი.

**შვებულება** დეკრეტული – ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების არაზუსტი სახელწოდება. იხ. შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო.

**შვებულება** ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით – ეძლევათ მომუშავე ქალებს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომი შვებულების შემდეგ ხელფასის გარკვეული ანაზღაურებით ბავშვის გარკვეული ასაკის მიღწევამდე ან ბავშვის ავადმყოფობის გამო. შ.ბ.მ.დ. სიდიდით (ან ხანგრძლივობით) განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში.

**შვებულება** ორსულობისა და მშობიარობის გამო – ეძლევათ მომუშავე ქალებს გარკვეული დრო მშობიარობამდე და გარკვეული დრო მშობიარობის შემდეგ ხელფასის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურებით. შ.ო.დ.მ.გ. განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში.

**შვილად აყვანა** – იურიდიული აქტი – ბავშვის აყვანა აღსაზრდელად მშვილებლისა და შვილობილისათვის ყველა იმ სამართლებრივი ურთიერთობის დადგენით, რაც არსებობს მშობლისა





შვილისათვის.

**შვილთაშვილი** – შვილთა შთამომავალი, შვილიშვილის შვილი.

**შვილი** – ადამიანი თავისი მშობლების მიმართ.

**შვილიანობა** (შვილოსნობა) – იხ. ნაყოფიერება.

**შვილიერება** – იხ. ბავშვთა შობა.

**შვილიშვილი** – შვილის შვილი. შ-ს აქვს განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი თავისი ბებიებისა და ბაბუების (პაპების) მიმართ.

**შთამომავლობა** – ერთი მშობლისაგან ან ერთი წინაპარისაგან წარმოშობილი ადამიანთა ერთობლიობა.

**შინამეურნეობა** – სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების, კვების საერთო წესებს და დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან არანათესაური ურთიერთობებით, ან ორივეთი ერთად. შ. შეიძლება შედგებოდეს ერთი დამოუკიდებლად მცხოვრები ადამიანისაგან.

გაერო-ს რეკომენდაციების თანახმად, შ-ის განმარტება ეფუძნება ყოფით წყობას, რომლის ფარგლებში ცალკეული პირები ან ადამიანთა ჯგუფები უზრუნველყოფენ თავის თავს საჭმელით და ცხოვრებისათვის ყოველივე საჭიროთი. შ. შეიძლება შედგებოდეს ერთი, ან რამდენიმე პირისაგან, რომელთაც გაერთიანებული აქვთ თავიანთი შემოსავალი და ერთობლივად ეწევიან მეურნეობას. ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ნათესავები, ისევე არანათესავები, ან ერთიც და მეორენიც.

**შინამეურნეობის სახეები** – შინამეურნეობების დაყოფა კერძოდ და კოლექტიურად.

**შობადობა** – ბავშვთა შობის პროცესი ადამიანთა ერთობლიობაში, რომელიც თაობას ან მოსახლეობას შეადგენს. შ. მოკვდაობასთან ურთიერთქმედებისას ქმნის მოსახლეობის აღწარმოებას.

ადამიანის მიერ შთამომავლობის აღწარმოების უნარი შ-ის ბიოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. ბავშვთა შობის პოტენციური შესაძლებლობა ეფუძნება ნაყოფიერებას, რომლის რეალიზაცია წარმოებს ქალების ერთობლიობაში რეპროდუქციული ქცევის შედეგად. რეპროდუქციული ქცევის საბოლოო შედეგი – ოჯახში

ბავშვების რაოდენობა ცხოვრების წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სხვა კომპონენტებთან.

შ-ის მაქსიმალურად შესაძლებელ დონეს აფასებენ ნაყოფიერების დონით. ნაყოფიერების დონის გაზომვის პირდაპირი მეთოდები არ არსებობს. მას აფასებენ ირიბად – განაყოფიერების უნარის ან ბუნებრივი შობადობის დონის საფუძველზე (იხ. შობადობა ბუნებრივი), რომელიც ყოველთვის მეტია რეალური შ-ის დონეზე.

შ. მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქორწინების ინსტიტუტზე. ეს უკანასკნელი და მისი გავრცელება სხვადასხვა საზოგადოებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქორწინებაში მყოფების შ. თითქმის ყოველთვის მეტია, ვიდრე ქორწინებაში არმყოფების. ქორწინებაგარეშე დაბადებული ბავშვების წილი უმრავლეს ქვეყანაში დიდი არ არის, თუმცა მისი ცვალებადობა ცალკეული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია – 0-დან ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, 70-80%-მდე ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ზოგიერთ ქვეყანაში.

შ-ის გაზომვას აწარმოებენ სხვადასხვა კოეფიციენტის, შ-ის ცხრილებისა და ინდექსების საშუალებით (იხ. კოეფიციენტი შობადობისა..., ცხრილები შობადობისა, ინდექსები შობადობისა... და სხვა). შ-ის მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთებს, რომლებიც შ-ს ახასიათებენ არა დაბადებული ბავშვების რაოდენობის საფუძველზე, არამედ შეხედულებათა რაოდენობრივი შეფასების მიხედვით, რომლებიც მიიღება სპეციალური გამოკვლევების შედეგად ოჯახში ბავშვების იდეალური, სასურველი, მოსალოდნელი და სხვ. რაოდენობის დადგენით (იხ. ბავშვების იდეალური რაოდენობა, ბავშვების სასურველი რაოდენობა, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა და სხვა).

შ-ის დღევანდელი მდგომარეობის გაგებისა და მომავალი ტენდენციების განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის ისტორიულ ევოლუციას, რომელიც დაკავშირებული იყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. კაპიტალიზმამდე შ-ის დონე განისაზღვრებოდა ბუნებრივი შ-ის დონით და სხვადასხვა ასაკის დაქორწინებული ქალების წილით. ქორწინება ის ძირითადი ინსტრუმენტი იყო, რომელიც არეგულირებდა შ-ს. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ ისინი ძირითადად გამოიყენებოდა ქორწინებაგარეშე ბავშვების გაჩენის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ქორწინებაში რეპროდუქციული ქცევა მიმართული იყო ბავშვების მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობის ყოლისაკენ. ამ დროს არ წარმოებდა ბავშვთა შობის ნებელობითი შეზღუდვა და ადგილი არ ჰქონდა ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას (იხ. ბავშვთა შობის ნებელობითი შეზღუდვა, ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება). XVIII ს. ბოლოდან თანდათან იწყება ამ უკანასკნელთა გამოყენება და





გავრცელება თავდაპირველად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საქართველოში ეს პროცესი XIX ს. პირველი ნახევრიდან დაიწყო. ამ მდგომარეობას მოჰყვა შობადობის შემცირება, რომელმაც თანდათან სულ უფრო გამოხატული და მნიშვნელოვანი ხასიათი მიიღო (იხ. მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპი, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფაზები).

შ-ის კვლევის ისტორია იწყება XVII-XVIII ს. უკვე ჯ. გრაუნტის ნაშრომებში დადგენილ იქნა შ-ის მახასიათებლები. XIX ს. მეორე ნახევრამდე შ-თან დაკავშირებული საკითხები ძირითადად თეორიულ პლანში განიხილებოდა – მალთუსიანელებისა და მათი მოწინააღმდეგეების პოლემიკის სახით. ამასთან, ამ დროს უმრავლესი ქვეყნის შ-ის სტატისტიკა არ იყო დამაკმაყოფილებელი. XIX ს. ბოლოს დაგროვდა საკმარისი მონაცემები, მაგრამ შ-ის შესწავლამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯერ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო შემდგომში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადადგა.

**შობადობა ბუნებრივი** – შობადობა, რომელიც არ იზღუდება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებითა და ხელოვნური აბორტებით. ერთმანეთთან არ უნდა გავაიგივეოთ შ.ბ. და ნაყოფიერება (იხ. ნაყოფიერება), ვინაიდან ნაყოფიერება ბოლომდე არ რეალიზდება შ.ბ-ში.

შ.ბ-ის კონცეფცია გამოიყენება ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების ხარისხის გასაზომად, რომელიც განისაზღვრება ფარდობითი სხვაობით რეალურ შობადობასა და შ.ბ-ს შორის.

შ.ბ-ის განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდი ეფუძნება შემდეგ დაშვებას: თანამედროვე მოსახლეობის შობადობის ჰიპოთეზურ დონეს უტოლებენ რომელიმე მოსახლეობის რეალური შობადობის დონეს, რომელიც არ იყენებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, ხელოვნურ აბორტებს, რომელსაც დაქვეითებული არა აქვს ნაყოფიერება და რომელშიც გავრცელებული არ არის უქორწინობა და გვიანდელი ქორწინება. ამ პრინციპზეა აგებული კოულის ინდექსი,რომელიც ეფუძნება შობადობის ჰიპოთეზურ მაქსიმუმს (იხ. ინდექსები კოულისა) და ბორისოვის ინდექსი, რომელიც ეფუძნება შ.ბ-ის ჰიპოთეზურ მინიმუმს (იხ. ინდექსი ბორისოვისა, ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმი). კოულის შემთხვევაში ერთი ქალის მიერ ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა შეადგენს 12.44 15-49 წლის ინტერვალისათვის, ხოლო ბორისოვის შემთხვევაში – 7.95 20-49 წლის ინტერვალისათვის.

ტერმინი "შ.ბ." 1961 წელს შემოიღო ფრანგმა დემოგრაფმა ლ. ანრიმ.

**შობადობა კოჰორტის** – შობადობა, რომელიც დამახასიათებელია ქალების ან მამაკაცების ჯგუფისათვის, რომლებიც ერთი და იმავე თაობას ან საქორწინო კოჰორტას

მიეკუთვნებიან.

**შობადობა ქორწინების გარეშე** – შობადობის ნაწილი, წარმოქმნილი ქორწინების გარეშე დაბადებებით.

**შობადობის კონტროლი** – დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებით სახელმწიფოს ზემოქმედება შობადობის პროცესზე. ასეთი ზემოქმედების მიზანს ძირითადად წარმოადგენს შობადობის დონისა და მოსახლეობის მატების ტემპის შემცირება. ტერმინი "შ.კ." გამოიყენება აგრეთვე ოჯახის დონეზე ბავშვთა შობის კონტროლის, მეურლეების ან ადამიანის მიერ იმ მეთოდების გამოყენების აღსანიშნავად, რომელთა დახმარებითაც წარმოებს ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება. შ.კ. ფართოდ გავრცელდა XX ს. 60-იან წლებში განვითარებად ქვეყნებში. მოგვიანებით აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში ხორციელდება შ.კ-ის სახელმწიფო პროგრამები, რომელიც ეფუძნება ოჯახის დაგეგმვის პრაქტიკის გავრცელებას.

**შობადობის კონცეფცია ბანყოობისეული** – განიხილავს რეპროდუქციულ ქცევასა და მის ევოლუციას ქართული ფსიქოლოგიური სკოლის განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით გამოჰყოფენ ფსიქიკური აქტივობის სამ დონეს, რომელიც განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას და შობადობას.

პირველი დონის რეპროდუქციული განწყობისა და შესაბამისი რეპროდუქციული ქცევის ფორმირება წარმოადგენს ინდივიდის შინაგანი არაცნობიერი აქტივობის შედეგს. ასეთ შემთხვევაში ბავშვთა შობა განისაზღვრება ნაყოფიერებით და გამოიხატება ბუნებრივი შობადობით (იხ. შობადობა ბუნებრივი). რეპროდუქციული ქცევა მიმდინარეობს იმპულსურ დონეზე, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე და ადგილი არა აქვს ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას. ასეთი მდომარეობა არსებობდა უძველესი დროიდან XIX ს-მდე, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპამდე.

ფსიქიკური აქტივობის მეორე დონე აღმოცენდება ობიექტივაციის საფუძველზე (იხ. ობიექტივაცია). ობიექტივაცია ადამიანისათვის მისაღები ბავშვების რაოდენობის არჩევის საშუალებას იძლევა, რასაც მანამდე არ ჰქონდა ადგილი.

ეს თეორიული შედეგი შემდგომში ნებელობის (იხ. ნებელობა) დახმარებით ღებულობს პრაქტიკულ რეალიზაციას. ნებელობა წარმოადგენს მესამე, უმაღლესი დონის – სოციალურის ძირითად ნიშანს და მის საფუძველზე მიიღწევა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება, რომელიც დამახასიათებელია მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის.

შ.კ.გ. შობადობის ევოლუციისა და რეპროდუქციული ქცევის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლას უკავშირებს მოკვდაობის დინამიკასა და მის ცვალებადობას. შ.კ.გ. წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის





(იხ. დემოგრაფიული გადასვლა) კონცეფციის ნაირსახეობას (იხ. აგრეთვე – რეპროდუქციული ქცევისა და მისი ევოლუციის სქემა).

მოცემული კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა გ. წულაძის მიერ 1984-1990 წწ. ნაშრომებში.

**შობადობის კონცეფცია დევის–ბლეიკისა** – წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის (იხ. დემოგრაფიული გადასვლა) კონცეფციის ნაირსახეობას. იგი უარყოფს ჰომეოსტატური რეგულირების იდეას და ეფუძნება მოკვდაობის დინამიკისაგან შობადობის ევოლუციის ფარდობითი დამოუკიდებლობის წანამძღვარს.

ამ კონცეფციაში მოსახლეობის აღწარმოების ორივე კომპონენტი განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, მაგრამ ამ დეტერმინაციის მექანიზმები განსხვავებულია შობადობისა და მოკვდაობის შემთხვევაში.

შ.კ.დ-ბ. მიხედვით აგრარული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაცია განაპირობებს მრავალშვილიანობის სუბიექტურ რაციონალობას, მათ შორის მის ეკონომიკურ სარგებლობას. აქედან გამომდინარეობს, რომ შობადობის ტიპის შეცვლა დამოკიდებულია არა იმდენად მოკვდაობის შემცირებაზე, რამდენადაც ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებზე, რომლებიც აყალიბებენ საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული ტიპის ორგანიზაციას.

მოცემული კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა ამერიკელი დემოგრაფების კ.დევიდისა და ჯ. ბლეიკის მიერ 1949-1956 წწ. ნაშრომებში.

**შობადობის კონცეფცია ისტორიული ტიპებისა** – წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის (იხ. დემოგრაფიული გადასვლა) კონცეფციის ნაირსახეობას. მოსახლეობის აღწარმოების ტიპებისა და მისი პერიოდიზაციის (იხ. მოსახლეობის აღწარმოების – არქეტიპი – ტრადიციული ტიპი, – თანამედროვე ტიპი) შესაბამისად გამოყოფს შობადობის სამ ისტორიულ ტიპს – I – არქეტიპს, II – ტრადიციულ ტიპს და III – თანამედროვე ტიპს, რომლებიც იმავე დროით საზღვრებში იყო გაბატონებული, როგორც მოსახლეობის აღწარმოების შესატყვისი ტიპები.

შ.კ.ი.ტ. თანახმად, შობადობის ერთი ტიპი განსხვავდება მეორისაგან არა იმდენად შესაბამისი ქცევის რაოდენობრივი მიზნებით, რამდენადაც უპირველეს ყოვლისა ამ ქცევის მართვის მეთოდებით, მოტივაციის ხასიათით, დემოგრაფიული ურთიერთობების მთელი წყობილებით.

შ.კ.ი.ტ. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ მდგომარეობას, რომ ტრადიციული ტიპის შობადობისას აუცილებელი არ იყო მოთხოვნილების გააზრება და სუბიექტის მიერ მოქმედებასა და შედეგს შორის კავშირის გაცნობიერება. შობადობის ტრადიციული ტიპისათვის უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელი იყო ბავშვთა შობის

წარმართვისა და მშობლებისათვის მის სარგებლობას შორის კავშირის არსებობა.

თვითონ არჩევის იდეა, თავისი ქცევიდან გამომდინარე, შედეგებს შორის კავშირურთიერთობა აბსოლუტურად უცხო იყო ტრადიციული საზოგადოების ადამიანისათვის (ბავშვთა შობის საკითხში). ის აზრი, რომ საკუთარი სურვილის მიხედვით შეიძლება მეტი ან ნაკლები ბავშვების გაჩენა, საერთოდ წარმოუდგენელია თანამედროვე საზოგადოებამდე (მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპამდე) არსებული ადამიანისათვის.

შ.კ.ტ. თანახმად, შობადობის თანამედროვე ტიპამდე ადგილი არ ჰქონდა ბავშვთა შობის შიგაოჯახურ რეგულირებას როგორც მასობრივ მოვლენას. შობადობის თანამედროვე ტიპიდან მოყოლებული ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება ღებულობს მასობრივ ხასიათს.

შ.კ.ტ. მიხედვით,თანამედროვე ტიპამდე,ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების არარსებობა და შესაბამისად მაღალი შობადობა ძირითადად გარკვეულ, დაცვით რეაქციას წარმოადგენდა იმ დროს არსებული მაღალი მოკვდაობის წინააღმდეგ. მოკვდაობის შემცირებას მოჰყვა დემოგრაფიულ ურთიერთობათა ცვლილება, ბავშვთა შობის საკითხისადმი მშობლების ცნობიერი დამოკიდებულება და ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირების გავრცელება.

მოცემული კონცეფცია შემუშავებულ იქნა ა. ვიშნევსკის მიერ ძირითადად 1972-1982 წწ.

**შობადობის კონცეფცია კოლდუელისა** –წარმოადგენს დემოგრაფიული გადასვლის (იხ. დემოგრაფიული გადასვლა) კონცეფციის ნაირსახეობას. ამ კონცეფციის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილებების იდენტურობისა და სოციალურად განსაზღვრული მიზნების ბუნებიდან გამომდინარე, შობადობას ყოველ საზოგადოებაში აქვს რაციონალური ხასიათი. შემგროვებელთა, მონადირეთა და მომთაბარე მესაქონლეთა “პრიმიტიული” საზოგადოება და ტრადიციული საზოგადოება ახალისებს მაღალ შობადობას. ამისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს “სიმდიდრის ნაკადს” (ეკონომიკური სარგებლობა, რომელიც მიიღება სიცოცხლის მანძილზე პროდუქტების, ფულის, შრომის, მომსახურების, დაცვის, გარანტიების, სოციალური და პოლიტიკური მხარდაჭერის სახით). ეს “სიმდიდრის ნაკადი” შეიძლება მიმართული იყოს უმცროსი თაობიდან უფროსზე ან პირიქით. რეპროდუქციული ქცევის ტიპისათვის მნიშვნელოვანია ამ “ნაკადის” მიმართულება. როდესაც “ნაკადი” მიემართება ზევით, ე.ი. უფროსი თაობისაკენ, მაშინ არსებობს დაინტერესება მრავალრიცხოვან შთამომავლობაში და მიმდინარეობს შესაბამისი რეპროდუქციული ქცევა, რომელიც განსაზღვრავს შობადობის მაღალ დონეს. როდესაც “ნაკადი” მიემართება ქვემოთ, ე.ი. უმცროსი თაობისაკენ, მაშინ დაინტერესებას მრავალრიცხოვან თაობაში





ადგილი არა აქვს, რასაც მოჰყვება შესაბამისი რეპროდუქციული ქცევა, რომელიც განსაზღვრავს შობადობის დაბალ დონეს. “პრიმიტიულ” და ტრადიციულ საზოგადოებაში “სიმდიდრის ნაკადი” მიემართება ქვემოდან ზემოთ, ხოლო ინდუსტრიულში – მშობლებიდან შვილებისაკენ, რაც იწვევს მათ შორის რეპროდუქციული ქცევის განსხვავებას.

შ.კ.კ. მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს აგრეთვე ოჯახის ეკონომიკურ სტრუქტურას და საზოგადოების “კულტურულ სუბსტრუქტურას”. შ.კ.კ. მიხედვით რეპროდუქციული ქცევის ტიპის ცვლილებისათვის მნიშვნელობა აქვს ოჯახური წარმოების წესიდან კაპიტალისტურზე გადასვლასა და ბოლოს, შ.კ.კ. მიხედვით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს “კულტურული სუპერსტრუქტურა”, რომლის ცვლილებას მოჰყვება რეპროდუქციული ქცევის ახალი ნიმუშების მიღება. ამ ურთიერთქმედებაში გადამცემ რგოლს წარმოადგენს თაობათაშორისი “სიმდიდრის ნაკადი”.

მოცემული კონცეფცია შემოთავაზებულ იქნა ავსტრალიელი დემოგრაფისა და სოციოლოგის ჯ. კოლდუელის მიერ 1976-1981 წწ. ნაშრომებში.

**შობადობის კონცეფციები სარგებლიანობისა** – შ.კ.ს-ს არსი შემდგომში მდგომარეობს: ბავშვების მაღალ სარგებლიანობას მაღალი შობადობა მოჰყვება, ხოლო დაბალ სარგებლიანობას – დაბალი შობადობა. აქ ძირითადად მხედველობაში აქვთ ბავშვების ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობა.

შ.კ.ს. მიხედვით წარსულში მაღალი შობადობა გამოწვეული იყო ბავშვების ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობით. ბავშვები წარმოადგენდნენ ოჯახის კეთილდღეობის საფუძველს. შ.კ.ს. თანახმად, თანამედროვე პერიოდში ბავშვებმა დაკარგეს წინანდებური ეკონომიკური და სოციალური სარგებლიანობა, რასაც მოჰყვა შობადობის შემცირება.

**შობადობის მსოფლიო გამოკვლევა** – მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით შობადობის არსებული ტენდენციების, რეპროდუქციული ქცევისა და რეპროდუქციული განწყობის შესახებ სანდო და შესადარისი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საერთაშორისო პროგრამა.

გამოკვლევის პროგრამა ითვალისწინებდა ქალების გამოკითხვას ტიპური ანკეტის ორი ვარიანტის მიხედვით: მაღალი შობადობის ქვეყნებისათვის და დაბალი შობადობის ქვეყნებისათვის. შერჩევის მოცულობა სხვადასხვა ქვეყნისათვის მერყეობდა ორი ათასიდან ათი ათას ქალამდე.

შ.მ.გ-ის შედეგების საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო:

დემოგრაფიული პოლიტიკის პრაქტიკული რეკომენდაციები განვითარებადი ქვეყნებისათვის, შერჩევით გამოკვლევათა სისტემების განვითარების რეკომენდაციები და ეროვნული დემოგრაფიული კადრების მომზადების საკითხები.

შ.მ.გ. ჩართული იყო გაეროს მიერ მოსახლეობის მსოფლიო წლის ღონისძიებაში და მისი განხორციელება დაიწყო 1972 წლიდან.

**შობადობის სოციოლოგია** – დემოგრაფიის დარგი, რომელიც დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე შეისწავლის შობადობისა და მისი ცვალებადობის განმაპირობებელ თავისებურებებს.

შ.ს. ამუშავებს პრობლემების ფართო წრეს, შეისწავლის ბავშვთა შობის ინტენსივობის ტენდენციებს, რეპროდუქციულ განწყობას, ბავშვების ყოლის ფასეულობით – მოტივაციურ ასპექტებს და სხვა. შ.ს-ის განსაკუთრებულ თემას წარმოადგენს რეპროდუქციული ორიენტაციების, ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ იმ წარმოდგენების ფორმირების პროცესის შესწავლა, რომლებიც ყალიბდებოდა ბავშვობის ასაკში.

**შობადობის სტიმულირება** – დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებით შობადობის პროცესზე სახელმწიფოს ზემოქმედება, რომლის მიზანია შობადობის დონისა და მოსახლეობის მატების ტემპის ამაღლება.

**შობადობის ფაქტორები** – ქვემოთ მოცემული იქნება შობადობის ფაქტორების მიღებული კლასიფიკაცია.

**A. შუალედური ცვლადები**

1. *ბიოლოგიური შესაძლებლობა*
   სქესობრივი მომწიფების ასაკი, მენოპაუზა, უნაყოფობა
   ჩასახვის ყოველთვიური ალბათობა
   შიდასაშვილოსნო მოკვდაობა
   მშობიარობის შემდგომი პერიოდი

2. *საქორწინო რეჟიმი*
   ქორწინების ასაკი (ან სქესობრივი ცხოვრების დაწყება)
   უქორწინობის სიხშირე
   სიკვდილის, დაქვრივების ან განქორწინების სიხშირე და ასაკი
   ხელახალი ქორწინების სიხშირე და ასაკი
   პარტნიორების განცალკევებით ცხოვრების პერიოდი

3. *სხვა სოციოკულტურული ცვლადები*
   სქესობრივი ურთიერთობის სიხშირე
   ძუძუთი კვების ხანგრძლივობა
   სქესობრივი ურთიერთობის შეზღუდვა





4. *შობადობის რეგულირების ცვლადები*
   ურთიერთობის ხანგრძლივობის ინდივიდუალური გადაწყვეტილება
   ჩასახვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები: თავშეკავება, კონტრაცეპციის გამოყენება
   ორსულობის შედეგზე მოქმედი გადაწყვეტილება: ხელოვნური აბორტი
   ნებაყოფლობითი სტერილიზაცია (რომელიმე ერთი პარტნიორის)

**B. სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ცვლადები**

1. ეთნიკური წარმომავლობა, კულტურული ჯგუფები
2. რელიგია
3. განათლების დონე
4. სოციალურ-პროფესიული სტატუსი
5. ეკონომიკური სტატუსი, შემოსავალი
6. ოჯახის სტრუქტურა
7. საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, სოფელი)

**C. გარემოს ცვლადები**

1. ჯანმრთელობა
2. კვება
3. ასაკობრივი სტრუქტურა
4. პოლიტიკური სტრუქტურა

**D. ფსიქო-სოციოლოგიური ცვლადები**

1. ბავშვთა შობასთან დაკავშირებული ორიენტაცია (ბავშვების რაოდენობა, ბავშვის სქესი, პროტოგენეტიკური და ინტერგენეტიკული ინტერვალები და სხვა)
2. დამოკიდებულება ქორწინებასა და ოჯახისადმი
3. დამოკიდებულება სექსუალობისადმი
4. დამოკიდებულება ბავშვთა შობის რეგულირებისადმი

**შობადობის შემცირების ეკონომიკური ზღვარი** – წარმოადგენს მოცემულ წელს დაბადებულთა იმ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც მიმდინარე წლის მოკვდაობის, მატერიალურ წარმოებაში დასაქმების დონისა და შრომის მწარმოებლურობის პირობებში შეძლებენ აწარმოონ წარსულ პერიოდზე არანაკლები მოცულობის ეროვნული შემოსავალი. შ.შ.ე.ზ. განისაზღვრება ორ პერიოდში დაბადებულ თაობათა მიერ წარმოებული მოსალოდნელი ეროვნული შემოსავლის თანაფარდობით.

რომელიმე თაობის მიერ წარმოებული მოსალოდნელი ეროვნული შემოსავალი ($D_n$) გაიანგარიშება ფორმულით:

$$D_n = \sum N \cdot d \cdot P \cdot V, \qquad (1)$$

სადაც: N არის მოცემულ წელს დაბადებათა რაოდენობა, d – მოცემულ წელს მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა წილი, V- საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის დონე, რომელიც უჩვენებს წლის განმავლობაში მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე მოსული ეროვნული შემოსავლის მოცულობას, P – სამუშაო პერიოდის ფაქტობრივი საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც გაიანგარიშება მოკვდაობის ცხრილების მაჩვენებლებით:

$$P = \frac{T_{16} - T_{60}}{l_0},$$

$T_{60}$ ნაცვლად შეიძლება აღებულ იქნას $T_{65}$. $T_{16}$,$T_{60}$ ($T_{65}$)– 16 და 60 (ან 65) წელს მიღწეულ პირთათვის სიცოცხლის კაცთ-წელიწადების რიცხვი მოკვდაობის ცხრილებიდან; $l_0$ – მოკვდაობის ცხრილების ფუძე (100000).

მეორე ტოლობა გამოისახება ფორმულით:

$$D_n^0 = \sum N' \cdot d' \cdot P' \cdot V' \qquad (2)$$

ფორმულა (2) გვიჩვენებს, თუ მიმდინარე წელს რამდენი დაბადებულის, მათი დასაქმების, შრომის მწარმოებლურობისა და მოკვდაობის დონის პირობებში იწარმოება წინა პერიოდის ეროვნული შემოსავალი.

საინტერესოა, N'-ის რა სიდიდის პირობებში მიიღწევა ორმხრივი ტოლობა. ამიტომ, თუ N' მივიჩნევთ უცნობ სიდიდედ, მისი გაანგარიშება ფორმულის (2) საშუალებით შემდეგნაირად შეიძლება:

$$N' = \frac{D_n^0}{d' \cdot P' \cdot V'} \qquad (3)$$

N'-ის მიღებული სიდიდე, მიმდინარე წლისათვის, არის შ.შ.ე.ზ. შ.შ.ე.ზ. შემოთავაზებულ იქნა მერაბ ხმალაძის მიერ 1995 წელს.

**შრომა** – ადამიანის შეგნებული, მიზანშეწონილი საქმიანობა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

**შრომითი რესურსები** – ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც მუშაობისათვის აქვს აუცილებელი ფიზიკური განვითარება, გონებრივი შესაძლებლობა და ცოდნა.





საქართველოში შ.რ-ს მიეკუთვნება სამუშაო ასაკის მოსახლეობა (16-64 წლის მამაკაცები და 16-59 წლის ქალები). აქ არ შედიან არამომუშავე I და II ჯგუფის ინვალიდები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოხუცებულობის პენსიას ღებულობენ შეღავათიან პირობებში (5-10 წლით ადრე) და აღნიშნულზე უფროსი და უმცროსი ასაკის დასაქმებული მოსახლეობა.

**შრომითი რესურსების ასაკობრივი სტრუქტურა** – ასაკობრივი ჯგუფების თანაფარდობა შრომითი რესურსების შემადგენლობაში. შ.რ.ა.ს-ის მდგომარეობა და დინამიკა ბევრად არის დამოკიდებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმსა და მიგრაციაზე. ყველა ქვეყნის შრომითი რესურსების შემადგენლობაში ჭარბობს სამუშაო ასაკის მოსახლეობა, რომლის საზღვრები დადგენილია კანონმდებლობით (იხ. შრომითი რესურსები). ამასთან, მიღებულია ოთხი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფის გამოყოფა: 16-29, 30-49, 50-59 ან 50-64 (მამაკაცები) და 50-54 ან 50-59 (ქალები), 60 (65) და უფროსი ასაკის მამაკაცები და 55 (60) და უფროსი ასაკის ქალები. ამის გარდა შ.რ.ა.ს-ში გამოიყოფა ჯგუფები 5 ან 10-წლიანი ინტერვალებითაც.

**შრომითი რესურსების ბალანსი** – ახასიათებს სამუშაო ძალის აღწარმოებას და შეიცავს შრომითი რესურსების გამოყენების მაჩვენებელთა სისტემას.

**შრომითი რესურსების გეოგრაფია** – შეისწავლის შრომითი რესურსების ტერიტორიულ განლაგებას.

**შრომითი რესურსების მოძრაობა** – შრომითი რესურსების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ცვლილებების პროცესი როგორც რაოდენობრივი, ისევე თვისებრივი თვალსაზრისით. შ.რ.მ. უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის საჭირო შრომითი რესურსების განაწილებასა და გადანაწილებას.

**შრომითი რესურსების სქესობრივი სტრუქტურა** – მამაკაცებისა და ქალების რაოდენობრივი თანაფარდობა შრომითი რესურსების შემადგენლობაში. ფაქტობრივად შ.რ.ს.ს. განისაზღვრება სამუშაო ასაკის მამაკაცებისა და ქალების თანაფარდობით, ვინაიდან შრომით რესურსებში ჭარბობს ამ ასაკის მოსახლეობა. ნორმალურად ითვლება მამაკაცების წილის გადამეტება, ვინაიდან მათი სამუშაო ასაკის ზედა საზღვარი მეტია ქალებთან შედარებით. მაგრამ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების შრომით რესურსებში ჭარბობს ქალების წილი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – მამაკაცების წილი. ასეთი მდგომარეობა განპირობებულია შრომით რესურსებზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკით, ეროვნული ტრადიციების, რელიგიისა და სხვა გავლენით.

შ.რ.ს.ს. განსხვავდება დასაქმების სფეროებისა და დარგების მიხედვით.

**შრომისუნარიანობა** – მდგომარეობა, რომელიც ნებას აძლევს ადამიანს თავისი ჯანმრთელობისადმი ზიანის მიყენების გარეშე შეასრულოს გარკვეული სამუშაო.

**შრომისუუნაროება დროებითი** – მუშაკის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლის გამოც, ავადმყოფობის ან ტრავმის შედეგად წარმოშობილი ფუნქციური დარღვევები დროებით ხელს უშლის პროფესიულ საქმიანობას.

## ჩ

**ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები** – იხ. კონტრაცეპცია.

**ჩასახვის უშვილობა** – ქალის უშვილობა მოახდინოს განაყოფიერებული კვერცხის ჩასახვა. ჩ.უ. შეიძლება იყოს თანდაყოლილი, შეძენილი, ხელოვნურად გამოწვეული (სტერილიზაცია), აბსოლუტური და ფარდობითი (ჩასახვისადმი უნარი შენარჩუნებულია, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირებულია). როგორც ნორმალური მდგომარეობა ჩ.უ. აღინიშნება ყოველი მენსტრუალური ციკლისას და ოვულაციის არარსებობისას, აგრეთვე მშობიარობის შემდგომ პერიოდში ოვულაციის განახლებამდე.

**ჩასახვის შესაძლებელი პერიოდი** – საკვერცხე ფოლიკულადან მწიფე კვერცხუჯრედის გამოსვლის წინა და შემდგომი უახლოესი დღეები. ამ დროს ყველაზე მაღალია ქალის განაყოფიერების უნარი. მენსტრუალური ციკლის სხვა დღეებში განაყოფიერების ნაკლები ალბათობაა ან ის საერთოდ შეუძლებელია.

**ჩაწერა** განქორწინების აქტისა – საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში წარმოებს შესაბამისი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის წიგნში განქორწინების რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ან მეუღლეების ერთობლივი განცხადების, ან ერთ-ერთი მათგანის განცხადების საფუძველზე (თუ განქორწინება ხდება სარ-ის ორგანოებში) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ჩ.გ.ა. მოიცავს სხვადასხვა სოციალურ და დემოგრაფიულ მონაცემებს განქორწინებულების





შესახებ და წარმოადგენს პირველად დოკუმენტს ქვეყანაში განქორწინების მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

**ჩაწერა** გარდაცვალების აქტისა – ადასტურებს ადამიანის გარდაცვალების ფაქტს. საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, სარ-ის ორგანოებში სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის წიგნში, გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერი. ჩ.გ.ა. მოიცავს სოციალურ და დემოგრაფიულ მონაცემებს გარდაცვლილის შესახებ და წარმოადგენს პირველად დოკუმენტს ქვეყანაში გარდაცვალების მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

**ჩაწერა** დაბადების აქტისა – ადასტურებს ბავშვის წარმოშობას მოცემული მოქალაქეებისაგან, ამტკიცებს ბავშვისადმი მიკუთვნებულ სახელს, მამის სახელს და გვარს. ჩ.დ.ა. წარმოებს სარ-ის ორგანოებში შესაბამისი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის წიგნში, ბავშვის დაბადების ადგილის ან მშობლების (ერთ-ერთი მათგანის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მშობლების (ერთ-ერთი) მათგანის განცხადების, გარკვეულ შემთხვევაში (თუ მშობლები ავად არიან, გარდაიცვალნენ, უცნობია და ა.შ.) სხვა პირების განცხადების საფუძველზე გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერის რეგისტრაციით. დაბადების რეგისტრაცია წარმოებს სამედიცინო დაწესებულებების ცნობის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს ბავშვის დაბადებას (განსაკუთრებულ შემთხვევაში დაბადების ფაქტს ადასტურებს ორი მოწმე). ჩ.დ.ა. წარმოაგენს პირველად დოკუმენტს დაბადებათა მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

**ჩაწერა** სამოქალაქო მდგომარეობის აქტებისა – საქართველოსა და სხვა ქვეყნებში, დამწერლობითი ცნობები სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ, დაფიქსირებული კანონით დადგენილი წესის შესაბამისად კომპეტენტური ორგანოების მიერ შესაბამისი დემოგრაფიული შემთხვევების ნამდვილობის დამოწმების მიზნით.

**ჩაწერა** ქორწინების აქტისა – ქორწინების ფაქტის რეგისტრაცია შესაბამისი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ჩაწერის წიგნში. საქართველოსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ჩაწერა წარმოებს სარ-ის ორგანოების მიერ. ჩ.ქ.ა. აღრიცხავს დაქორწინებულთა რიგ სოციალურ-დემოგრაფიულ მახვენებლებს და წარმოადგენს პირველად დოკუმენტს ქორწინების მიმდინარე აღრიცხვის შესახებ.

**ჩვევა** - ვარჯიშის შედეგად გამომუშავებული ავტომატიზებული მოქმედება, რომლის შემადგენელი მოძრაობები ცნობიერების მონაწილეობის გარეშე სრულდება.

**ჩვეულება** – ჩვევის ისეთი სახე, რომლის შესრულება ადამიანის მოთხოვნილებად გადაიქცა. ჩ-ში იმპულსურად აღმოცენდება მოთხოვნილება და მისი მოქმედება ავტომატურად ხორციელდება. ჩ. შეიძლება აღმოცენდეს ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში. განასხვავებენ პოზიტიურ და ნეგატიურ ჩ-ს. პოზიტიური ჩ-ის შესამუშავებლად საჭიროა სათანადო მოქმედების ხშირი განმეორება, ნეგატიურის აღმოსაფხვრელად – სისტემატური თავშეკავება მათი შესრულებისაგან.

# ც

**ცენზი** – 1) დიდ ბრიტანეთში, აშშ და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში მოსახლეობის აღწერის დასახელება. მოსახლეობის აღწერის გარდა, რომელიც საცხოვრებლის აღწერასთან ერთად წარმოებს, ც-ს მიაკუთვნებენ საწარმოო, სავაჭრო აღწერებს;
2) ძველ რომში მოქალაქეთა აღწერა მათი ქონების მითითებითა და შეფასებით; მიზნად ისახავდა სოციალურ-პოლიტიკურ, სამხედრო, წოდებრივი და საგადასახადო მდგომარეობის განსაზღვრას; 3) შუა საუკუნეებში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გლეხთა ნატურალური ან ფულადი გამოსაღები;
4) პირობა, რომელიც აუცილებელია საწარმოების შესატანად გარკვეულ სიაში, რეესტრში; 5) პირობები, რომლებიც საშუალებას აძლევს პიროვნებას ისარგებლოს ამა თუ იმ პოლიტიკური უფლებებით (პირველ რიგში საარჩევნო უფლებით). მაგ., ქონებრივი ც., განათლების ც.

**ცივილიზაცია** – 1) საზოგადოების შედარებით მაღალი საფეხური, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების დონე (ანტიკური ც., თანამედროვე ც.); 2) მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამედროვე კულტურა, განათლება.

**ცოლი** – ქალი იმ კაცის მიმართ, რომელთანაც ქორწინებით არის დაკავშირებული.

**ცოლ-ქმარი** – იხ. მეუღლეები.

**ცოცხლად დაბადება** – ბავშვის დაბადება ცოცხლად. ც.დ-ის განსაზღვრა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ც.დ. წარმოადგენს დედის ორგანიზმიდან ჩასახვის პროდუქტის სრულ გამოყოფას ორსულობის ხანგრძლივობის მიუხედავად. ამასთან ნაყოფი ასეთი გამოყოფის შემდეგ უნდა სუნთქავდეს, ან უნდა ამჟღავნებდეს სიცოცხლის ნებისმიერ სხვა ნიშნებს (გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია ან კუნთების თვითნებური შეკუმშვა) მიუხედავად იმისა გადაჭრილია თუ არა ჭიპლარი და განცალკევებულია თუ არა პლაცენტა.

**ცოცხლად დარჩენილთა რიცხვი** – მოკვდაობის ცხრილის მაჩვენებელი. ც.დ.რ. წარმოადგენს იმ პირთა რაოდენობას, რომლებმაც დაბადებულთა საწყისი ერთობლიობიდან მიაღწიეს გარკვეულ ასაკს. აღინიშნება $l_x$-ით.

**ცოცხლად მყოფთა (მცხოვრებთა) ერთობლიობა** –დემოგრაფიულ სტატისტიკაში ანსხვავებენ ც.მ.(მ.)ე-ის ორ ძირითად სახეს. პირველი შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც დაიბადნენ დროის გარკვეულ შუალედში და იცოცხლეს მოცემულ ასაკზე მეტი. მას შეესაბამება თანატოლების ერთობლიობა.

მეორე სახის ც.მ.(მ.)ე. შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც დაიბადნენ გარკვეულ შუალედში და იცოცხლეს რომელიმე კალენდარულ მომენტზე მეტი. მას შეესაბამება თანამედროვეების ერთობლიობა.

**ცოცხლადობის (ცოცხლად დარჩენის) ალბათობა** – მოკვდაობის ცხრილის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი. წარმოადგენს ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც ცოცხლად დარჩებიან მოცემული ასაკობრივი ინტერვალის ბოლომდე იმათი რიცხვიდან, ვინც იცოცხლა მის დასაწყისამდე. ც.(ც.დ.)ა. ( $p_x$ ) ტოლია:

$$p_x = 1 - q_x ,$$

სადაც $q_x$ გარდაცვალების ალბათობაა მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში.

**ცხოვრების დონე** – კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის მოსახლეობის, სოციალური ჯგუფების, ოჯახის ან ადამიანის კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხს.

**ცხოვრების წესი** – ასახავს ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოების ადამიანთა ცხოვრების ტიპურ ფორმას, მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროში ადამიანთა ურთიერთობის ძირითად ნიშნებს. ც.წ. ვლინდება ადამიანთა ურთიერთობის ყველა სფეროში.

**ცხოვრების ხარისხი** – მოსახლეობის ცხოვრების დონისა და პირობების დახასიათება. ც.ხ. განისაზღვრება რიგი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, გეოგრაფიული, პოლიტიკური და მორალური ფაქტორებით.

**ცხრილები** ავადობისა – მაჩვენებელთა მოწესრიგებული თანმიმდევრობა, რომელიც უჩვენებს მოსახლეობის ავადობის სიხშირისა და სხვა მახასიათებლების ცვალებადობას. წარმოადგენს ავადობის რიცხვით მოდელს ჰიპოთეზურ კოჰორტაში.

ც.ა. სამი სახისაა: 1) ინტეგრალური, 2) ქრონიკული დაავადებების და 3) მწვავე დაავადებების.

**ცხრილები** განქორწინებისა – მაჩვენებელთა მოწესრიგებული თანმიმდევრობა, რომელიც ახასიათებს განქორწინების შედეგად ქორწინებათა შეწყვეტას, რომელიმე ერთობლიობაში. ც.გ. წარმოადგენენ განქორწინების პროცესის მოდელს რეალურ ან ჰიპოთეზურ კოჰორტაში, რომელიც ასახავს ამ პროცესის მიმდინარეობას ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით.

ც.გ. საშუალებას იძლევა აღვწეროთ განქორწინება მოსახლეობის ჩამოყალიბებულ ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურისა და სხვა დემოგრაფიული პროცესებისაგან დამოუკიდებლად, გამოვავლინოთ ამ პროცესისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და შევადაროთ ისინი სხვადასხვა მოსახლეობაში.

ც.გ. აიგება დემოგრაფიული ცხრილების ზოგადი პრინციპების შესაბამისად სხვა დემოგრაფიული პროცესების ცხრილების ანალოგიურად (იხ. ცხრილები დემოგრაფიული). ც.გ. იყოფა ზოგადად, სადაც განქორწინებათა რაოდენობა შეეფარდება მოსახლეობის საერთო რაოდენობას და სპეციალურად, სადაც განქორწინებათა რაოდენობა შეეფარდება ქორწინებაში მყოფთა რაოდენობას.

**ცხრილები** დაქვრივებისა – მაჩვენებელთა მოწესრიგებული თანმიმდევრობა, რომელიც ახასიათებს მეუღლის გარდაცვალების შედეგად ქორწინების შეწყვეტას, მამაკაცების ან ქალების რომელიმე ერთობლიობაში. ც.დ. წარმოადგენს დაქვრივების პროცესის რიცხვით მოდელს რეალურ ან ჰიპოთეზურ კოჰორტაში, რომელიც ასახავს ამ პროცესის მიმდინარეობას ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების სისტემის სახით.

ც.დ. საშუალებას იძლევიან აღვწეროთ დაქვრივების პროცესი სხვა დემოგრაფიული პროცესებისა და მოსახლეობის ჩამოყალიბებული ასაკობრივი და ქორწინებითი სტრუქტურისაგან დამოუკიდებლად, შევადაროთ სხვადასხვა მოსახლეობაში დაქვრივების ინტენსივობა და გავაანალიზოთ მოკვდაობის გავლენა





ქორწინების სტაბილურობაზე. ც.დ. აიგება ორივე სქესისათვის ცალ-ცალკე. ც.დ. იყოფა ზოგადად და სპეციალურად. ზოგადი ც.დ. ახასიათებენ დაქვრივების რისკს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ქორწინებათა რაოდენობის მიუხედავად, რომელშიც შეიძლება შესულიყვნენ მოცემული კოჰორტის წარმომადგენლები. სპეციალური ც.დ. არ ითვალისწინებენ დაქვრივების ურთიერთქმედებას სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან და მათ უწოდებენ წმინდა ცხრილებს. კომბინირებული ცხრილები, რომლებშიც დაკავშირებულია დაქვრივება, მოკვდაობა და განქორწინება ცნობილია ქორწინების შეწყვეტის ცხრილების სახელით.

**ცხრილები დემოგრაფიული** – ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა მოწესრიგებული რიგები, რომლებიც ახასიათებენ კოჰორტაში ერთი ან რამდენიმე დემოგრაფიული პროცესის მიმდინარეობას. ც.დ. წარმოადგენენ რიცხვით მოდელებს, რომლებიც ასახავენ კოჰორტის საკუთარ დროზე (ასაკი, ქორწინების ხანგრძლივობა) დამოკიდებულ შესაბამისი დემოგრაფიული პროცესის ინტენსივობის ცვლილებას და თვითონ კოჰორტის რაოდენობის ცვლილებას შესაბამისი დემოგრაფიული პროცესების გავლენით.

ც.დ. შეიძლება ახასიათებდნენ როგორც რეალური, ისევე ჰიპოთეზური კოჰორტის დემოგრაფიულ პროცესებს. ცხრილი შედგება ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების ნაკრებისაგან, ამასთან ერთტიპური მაჩვენებლების ყოველი რიგი გაანგარიშებულია ცხრილის ერთიანი სკალის მიხედვით. სკალად იყენებენ დროს, რომელიც გავიდა კოჰორტის წარმოშობის მომენტიდან, ასაკს (რომელიც გავიდა დაბადებიდან), ქორწინების ხანგრძლივობას (დრო, რომელიც გავიდა დაქორწინების მომენტიდან) და ა.შ. დრო ცხრილის სკალაზე იზომება წლებით, აგრეთვე თვეებითა და დღეებით. სკალის ბიჯიდან გამომდინარე, ცხრილები იყოფა სრულად – ბიჯი ერთი წელი და მოკლედ – უფრო მსხვილი ბიჯით (ჩვეულებრივ 5 ან 10 წელი). ც.დ-ს უფრო წვრილი ბიჯით, რომლებიც გამოიყენება ჩვილთა მოკვდაობისა და შობადობის ზოგიერთ ცხრილში, არა აქვთ სპეციალური დასახელება.

ც.დ-ის ორი ძირითადი ტიპი არსებობს – ზოგადი და სპეციალური. ც.დ-ის ტიპი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ როგორ განიხილება ერთეული დემოგრაფიული შემთხვევა – როგორც განმეორებადი ან როგორც განუმეორებადი. თუ ერთეული დემოგრაფიული შემთხვევა განიხილება როგორც განმეორებადი, მაშინ აგებენ ზოგად ცხრილებს, ხოლო განუმეორებადის დროს – სპეციალურ ცხრილებს. განუმეორებადი შემთხვევაა სიკვდილი, ხოლო სხვა შემთხვევები (დაბადება, ქორწინება, განქორწინება)

განმეორებადია, თუ არ გავითვალისწინებთ რიგითობას და განუმეორებადია, თუ განვიხილავთ ცალ-ცალკე (პირველი ქორწინება, მე-2 ქორწინება და ა.შ.). ზოგად ც.დ-ში ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს კოეფიციენტი, რომელიც გამოიანგარიშება კოჰორტის მთელი რაოდენობის მიმართ, რომელიც არ იცვლება სკალის ბიჯიდან ბიჯამდე (ინტერვალური კოეფიციენტი). ამის გარდა ზოგადი ც.დ-ები შეიცავენ კუმულაციურ კოეფიციენტებს, რომლებიც უჩვენებენ შემთხვევების საშუალო რაოდენობას, რომელიც მოხდა კოჰორტაში სკალის მოცემულ მომენტამდე ან მის შემდეგ. სპეციალური ც.დ. წარმოადგენენ მაჩვენებლების უფრო ღრმა და რთულ სისტემას. ინტერვალური კოეფიციენტების გარდა (კუმულაციური კოეფიციენტები გამოიანგარიშება იშვიათად) მათში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ შემთხვევის დადგომის ალბათობებს სკალის მოცემული ინტერვალისათვის. ეს უკანასკნელი გამოიანგარიშება მოცემული ინტერვალის საწყისი ერთობლიობის რაოდენობის მიმართ. ც.დ-ის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს აგრეთვე მოცემულ კოჰორტაში დარჩენის ალბათობა. ამ უკანასკნელს ხშირად განიხილავენ როგორც იმ ადამიანთა რაოდენობას, რომლებიც დარჩნენ წინანდელ მდგომარეობაში დროის მოცემულ მომენტამდე. ც.დ-ის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად მიჩნეულია ინტერვალში კოჰორტიდან გასვლის ალბათობა, რომელიც გამოიანგარიშება მთელი საწყისი ერთობლიობის მიმართ. ამ ალბათობათა რიგი წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდებიან ადამიანები კოჰორტიდან გასვლის სკალაზე განხილული პროცესის გავლენით. ერთ ცხრილში თუ ერთდროულად განიხილება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პროცესი, მაშინ ასეთ ცხრილს კომბინირებულს უწოდებენ. მისგან განსხვავებით, თუ ცხრილში აღწერილია ერთი პროცესი, მაშინ მას წმინდას უწოდებენ.

ც.დ-ის შედგენის პირველ მცდელობად მიჩნეულია 1662 წელს ჯ.გრაუნტის მიერ წარმოდგენილი მოკვდაობის ცხრილი. ქორწინების ცხრილები პირველად ი. მიურემ ააგო 1764 წელს, ხოლო შობადობის ცხრილები – რ. ბეკმა 1884 წელს.

**ცხრილები** მოკვდაობისა – ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა მოწესრიგებული რიგი,რომელიც უჩვენებს გარდაცვალების შედეგად რომელიმე დაბადებული ერთობლიობის შემცირებას ასაკთან ერთად. წარმოადგენს ასაკობრივ მაჩვენებელთა სისტემას, რომლებიც ზომავენ მოკვდაობის დონეს დროის ცალკეულ პერიოდში, რომელიმე ასაკამდე ცოცხლად მიღწევას, სიცოცხლის ხანგრძლივობას და სხვა. ც.მ. დემოგრაფიული ცხრილების ყველაზე გავრცელებული სახეა. ისინი წარმოადგენენ მოკვდაობის ყველაზე ზუსტ დახასიათებას.

ც.მ-ის მაჩვენებლები გამოიყენება მოკვდაობის დინამიკისა და დიფერენციაციის შესწავლისას, აგრეთვე მთელი მოსახლეობის ან





ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მოკვდაობის დონის დახასიათებისას, ასაკგადაწევის მეთოდით მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის პერსპექტიული გაანგარიშებისას, სხვა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაზე მოკვდაობის გავლენის გასაზომად.

ძირითად მაჩვენებელს, რომელიც ც.მ-ში ზომავს ასაკზე დამოკიდებულ მოკვდაობის დონეს, წარმოადგენს სიკვდილის (gardacvalebis) albaToba ($q_x$) და მისი დამატება ერთამდე – ცოცხლადობის ალბათობა ($p_x$). ც.მ-ში $l_x$ უჩვენებს ახალდაბადებულთაგან x ასაკამდე მიღწეულთა რაოდენობას. ც.მ. მაჩვენებლებს მიეკუთვნებიან აგრეთვე გარდაცვლილთა რიცხვი ($d_x$), ცოცხლად მყოფთა რიცხვი ($L_x$). ც.მ. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც $e_x$ აღინიშნება.

**ცხრილები** მოკვდაობისა აქტუარული – მოკვდაობის ცხრილები, რომლებიც შედგენილია სადაზღვევო კომპანიების მონაცემებით, ასაკისა და დაბადების წლის მიხედვით დაზღვეულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის საფუძველზე. ც.მ.ა. ახასიათებს ადამიანთა განსაკუთრებულ (დაზღვეულთა) ერთობლიობას და ამით განსხვავდება ჩვეულებრივი მოკვდაობის ცხრილებისაგან. ამავე დროს ც.მ.ა. ზოგიერთი სპეციფიკური დემოგრაფიული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებასაც იძლევა. მაგ. ც.მ.ა. გარკვეული დაჯგუფება სადაზღვევო თანხის სიდიდის მიხედვით (რომელიც დაზღვეულის შემოსავლის დონეზეა დამოკიდებული) მოკვდაობის სოციალური დიფერენციაციის შეფასების საშუალებას იძლევა. პირველი ც.მ.ა. აგებულ იქნა XVIII ს. ჰოლანდიაში ვილემ კერსებომის მიერ.

**ცხრილები** მოკვდაობისა ინდური – იხ. მეთოდი მოკვდაობის ინდური ცხრილების აგებისა.

**ცხრილები** მოკვდაობისა კალენდარული პერიოდისა – იხ. ცხრილებივი მოკვდაობისა ჰიპოთეზური თაობისა.

**ცხრილები** მოკვდაობისა კოჰორტული – ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა თანმიმდევრობა, რომელიც უჩვენებს, თუ ასაკთან ერთად, გარდაცვალების შედეგად, როგორ ხდება კოჰორტის შემცირება ე.ი. იმ ადამიანთა ერთობლიობისა, რომლის ცხოვრებაშიც ერთდროულად მოხდა რომელიმე დემოგრაფიული შემთხვევა. თუ ეს შემთხვევა დაბადებაა, მაშინ ც.მ.კ. ემთხვევა რეალური თაობის მოკვდაობის ცხრილებს.

**ცხრილები** მოკვდაობისა მოკლე – მოკვდაობის ცხრილები, რომლებიც გაანგარიშებულია 5-წლიანი ან 10 წლიანი ასაკის ინტერვალებით. ც.მ.მ. გასაანგარიშებლად გამოიყენება მონაცემები გარდაცვლილთა და ცოცხლად მყოფთა რაოდენობის შესახებ 5 წლიანი ან 10-წლიანი ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით. ც.მ.მ. არ უნდა ავურიოთ მოკვდაობის სრული ცხრილების შემცირებულ პუბლიკაციებთან, სადაც მოყვანილია მაჩვენებლები "დამრგვალებული" ასაკებისათვის, მაგ. ხუთწლიანი.

**ცხრილები** მოკვდაობისა რეალური თაობის – ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა მოწესრიგებული რიგი, რომელიც უჩვენებს ასაკთან ერთად გარდაცვალების შედეგად დაბადებულთა გარკვეული ერთობლიობის – რეალური თაობის შემცირებას. ც.მ.რ.თ. მაჩვენებელთა განსაზღვრისათვის აუცილებელია დაბადებულთა რეალურ ერთობლიობაზე დაკვირვება მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე, ან ამოწყდომის პროცესის მოდელირება რეტროსპექტულად არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.

**ცხრილები** მოკვდაობისა სიკვდილის მიზეზის მიხედვით – ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა მოწესრიგებული რიგები, რომლებიც ახასიათებენ სიკვდილის ცალკეული მიზეზის გავლენას ასაკობრივი მოკვდაობის ინტენსივობაზე, გარკვეულ ასაკებამდე მიღწევას, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და მოკვდაობის სხვა მახასიათებლებზე.

ც.მ.ს.მ.მ. წარმოადგენენ ჩვეულებრივი მოკვდაობის ცხრილების შემდგომ განვითარებას. მათი აგება ჩვეულებრივ ხდება 5-წლიანი ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით. ც.მ.ს.მ.მ. გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს დემოგრაფიული პროგნოზირება, როდესაც მოკვდაობის საერთო დონის ც.მ.ს.მ.მ-ში რეალიზებულ კომპონენტებად დაშლა იძლევა მოკვდაობის პროცესის პროგნოზირების შესაძლებლობას.

მოკვდაობის ჩვეულებრივი ცხრილებისაგან განსხვავებით, რომელთათვის არსებობს მაჩვენებელთა აღიარებული სტანდარტული ნაკრები, ც.მ.ს.მ.მ. მაჩვენებელთა შემადგენლობა იცვლება ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე. ც.მ.ს.მ.მ. იყოფა სამ ჯგუფად; ფაქტობრივი მაჩვენებლები - ზომავენ მოკვდაობის ფაქტობრივ დონეს სიკვდილის ცალკეული მიზეზისაგან; წმინდა მაჩვენებლები – ზომავენ მოკვდაობის ინტენსივობას რომელიმე მიზეზისაგან ყველა სხვა დანარჩენი მიზეზის მოქმედების აცილების შემთხვევაში; ჰიპოთეზური მაჩვენებლები – აფასებენ მოცემული მიზეზით მოკვდაობის გავლენას მოკვდაობის საერთო დონეზე.

ც.მ.ს.მ.მ. აგების პირველი გამოცდილება ეკუთვნის შვეიცარიელ მეცნიერს დანიელ ბერნულის 1760 წელს, ხოლო მისი იდეები განავითარა





ე.დიუვილარმა 1814 წელს.

**ცხრილები** მოკვდაობისა სრული – მოკვდაობის ცხრილები, რომლებიც გაანგარიშებულია ერთწლიანი ასაკობრივი ინტერვალებით. მოკვდაობის ცხრილების ეს ნაირსახეობა ყველაზე ზუსტ წარმოდგენას იძლევა ასაკობრივი მოკვდაობის ინტენსივობაზე. ც.მ.ს. გაანგარიშებისას სიცოცხლის პირველ წელს ზოგჯერ ყოფენ უფრო წვრილ ასაკობრივ ინტერვალებად (მაგ. თვეების მიხედვით). ც.მ.ს. აიგება ერთწლიანი ასაკობრივი ინტერვალებისათვის 0-დან 100 ან 110 წლამდე.

**ცხრილები** მოკვდაობისა მოდელური (ტიპური) – მოკვდაობის ცხრილების სისტემა, რომელთაგან თითოეული ასახავს ასაკთან ერთად მოკვდაობის ინტენსივობის ცვლილებას მსგავსი ამოწყდომის რიგითობის მქონე მოსახლეობისათვის. მოკვდაობის ცხრილები, რომლებიც შედიან ც.მ.მ.(ტ)-ის სისტემაში შეიძლება განსხვავდებოდნენ რიგი პარამეტრებით, რომელთა შორის, როგორც წესი, შედის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. ც.მ.მ.(ტ)-ის რიგი, რომელიც მოწესრიგებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება განვიხილოთ როგორც ამოწყდომის რიგითობის ევოლუციის მოდელი მოკვდაობის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვეზე გადასვლისას.

ც.მ.მ.(ტ) უმრავლეს შემთხვევაში აიგება ცალ-ცალკე ყოველი სქესისათვის და წარმოადგენს წყვილადი ცხრილების სისტემას, სადაც ყოველ "მამრობით" ცხრილს შეესაბამება ერთი "მდედრობითი" ცხრილი. ითვლება, რომ ასეთი წყვილადი სისტემა ასახავს მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის ყველაზე ტიპურ თანაფარდობას.

ც.მ.მ.(ტ) დემოგრაფიაში გამოიყენება მოკვდაობის დემოგრაფიული ანალიზისას ასაკობრივი მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფასებისათვის (იმ ქვეყნებში, სადაც გარდაცვლილთა არასანდო აღრიცხვაა), დემოგრაფიული პროგნოზის შემუშავებისას.

ც.მ.მ.(ტ)-ის აგების ერთ-ერთი პირველი,ფართოდ ცნობილი ცდა ეკუთვნის ფ.ნოუტსტაინს 1944 წელს. იმ დროს გამოიცა ფ.ნოუტსტაინის და მისი თანამშრომლების მონოგრაფია „ევროპისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მომავალი", სადაც განხილული იყო მოკვდაობის ასაკობრივი განაწილება და მისი ტენდენციები, რომლსაც მოკვდაობა გაივლის მაღალიდან დაბალ დონემდე. კონკრეტულად განზოგადება წარმოდგენილია ხაზოვანი რეგრესიის დამოკიდებულების სახით. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება რეგრესიის ერთი პარამეტრი. ამიტომ ინტერპრეტაცია შედარებით ადვილია: მოკვდაობის ევოლუცია ერთ ხაზს მიჰყვება, რომელიც რეგრესიული დამოკიდებულებით აღიწერება. მისგან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა დაბალიდან მაღალ დონემდე მსგავს გზას გაივლის.

ცნობილია აგრეთვე ფრანგული დემოგრაფიული სკოლის ც.მ.მ.(ტ). მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, გულისხმობენ ს. ლედერმანისა და ჟ. ბრეას მოდელურ ცხრილებს, რომლებიც ფაქტორულ ანალიზს ეფუძნება. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სამი მთავარი კომპონენტის გამოყოფა, რომლებიც მოკვდაობის ვარიაციის 92,6% ხსნიდა.

ასევე ცნობილია ბურჟუა-პიშას, კოულ-დემენის, გაეროსა და სხვა ც.მ.მ.(ტ).-ბი.

**ცხრილები** მოკვდაობის მოდელური (ტიპური) ბურჟუა-პიშასი – მოკვდაობის მოდელური ცხრილების ერთ-ერთი სისტემა. ეფუძნება ს. ლედერმანისა და ჟ. ბრეას მიღწევებს ამ სფეროში.. იგი ეყრდნობა მსოფლიოს 42 ქვეყნის 244 ცხრილის ანალიზს. ამ შედეგების საფუძველზე ჟ. ბურჟუა-პიშამ ააგო მოკვდაობის მოდელური ცხრილების ხუთგანზომილებიანი სისტემა, რომელშიც აცილებულ იქნა გაეროს (1955) მოკვდაობის მოდელური ცხრილების გარკვეული ნაკლი (იხ. ცხრილები მოკვდაობისა მოდელური (ტიპური) გაეროსი (1955).

**ცხრილები** მოკვდაობისა მოდელური (ტიპური) გაეროსი (1955) – მოკვდაობის მოდელური ცხრილების ერთ-ერთი სისტემა (იხ. ცხრილები მოკვდაობისა ტიპური). შემუშავებულ იქნა 1955 წელს გაეროს ექსპერტების მიერ, მოკვდაობის 158 სხვადასხვა ცხრილის სტატისტიკური დამუშავების გზით. მათ საფუძველზე აგებულ იქნა 40 ცხრილისაგან შემდგარი მოკვდაობის მოდელური ცხრილების სისტემა, რომელიც მოწესრიგებულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდისა (18-დან 75 წლამდე) და მოკვდაობის დონის მიხედვით. ცხრილები შეიცავენ ცოცხლად დარჩენილთა რიცხვსა და გარდაცვალების ალბათობას 0-დან 85 და უფროსი ასაკებისათვის 5-წლიანი ინტერვალით, ორივე სქესისათვის ცალ-ცალკე.

**ცხრილები** მოკვდაობისა მოდელური (ტიპური) გაეროსი (1982) – მოკვდაობის მოდელური ცხრილების ერთ-ერთი სისტემა. შემუშავებულ იქნა 1982 წელს გაეროს ექსპერტების მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის გარდაცვალების შემთხვევების რეგისტრაციისას შესაძლებელ შეცდომათა შესწორების გათვალისწინებით. მიჩნეულია, რომ ც.მ.მ.(ტ).გ.(1982) მოკვდაობის ევოლუციის მრავალვარიანტიან კონცეფციას ეფუძნება.

**ცხრილები** მოკვდაობისა მოდელური (ტიპური) კოული-დემენისა – მოკვდაობის მოდელური ცხრილების ერთ-





ერთი სისტემა. საფუძვლად დაედო მოკვდაობის 326 ცხრილის სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის დროსაც ასაკობრივი გარდაცვალების ალბათობები და მათი ლოგარითმები წარმოდგენილ იქნენ როგორც ერთი პარამეტრის ფუნქციები, რომელიც ზომავდა მოკვდაობის საერთო დონეს. ასეთ პარამეტრად აღებულ იქნა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5 წლის ასაკში. ცხრილების მონაცემების საშუალო მნიშვნელობებიდან გადახრის ანალიზის საფუძველზე შედგენილ იქნა მოკვდაობის მოდელური ცხრილების 4 რეგიონული სისტემა: "დასავლეთი" (რომელმაც ყველაზე მეტი გამოყენება ჰპოვა დემოგრაფიულ გამოკვლევებში), "ჩრდილოეთი", "სამხრეთი" და "აღმოსავლეთი". ისინი ძირითადად ასახავენ განვითარებული ქვეყნების (უმთავრესად დასავლეთ ევროპის) მონაცემებს, რაც ართულებს მათ გამოყენებას განვითარებადი ქვეყნებისათვის. ც.მ.მ(ტ).კ-დ გამოქვეყნებულ იქნა ა.კოულისა და ჯ. დემენის ავტორობით 1966 წელს. 1989 წელს გამოქვეყნებულ იქნა დამატებითი ც.მ.მ(ტ)..კ-დ, რომელშიც გათვალისწინებულია მოკვდაობის თანამედროვე ტენდენციები.

**ცხრილები** მოკვდაობისა ჰიპოთეზური თაობისა – ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა მოწესრიგებული რიგი, რომელიც უჩვენებს ასაკთან ერთად, სიკვდილის შედეგად, დაბადებულთა რომელიმე პირობითი ერთობლიობის შემცირებას, რომლებმაც მთელი სიცოცხლე იცოცხლეს მოცემული კალენდარული პერიოდისათვის დამახასიათებელი მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის პირობებში. მოკვდაობის ასაკობრივი ინტენსივობის დაფიქსირებული მაჩვენებლების საფუძველზე განისაზღვრება ჰიპოთეზური თაობის მიღწევა ყოველ ასაკამდე. საწყის მაჩვენებლად ც.მ.ჰ.თ. გამოსაანგარიშებლად გამოიყენება მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები ან გარდაცვალების ალბათობები. ც.მ.ჰ.თ. ახასიათებენ მოკვდაობის დონეს კალენდარულ პერიოდში, ხოლო მოკვდაობის ცვლილების პირობებში კი მიახლოებითაც ვერ ასახავენ მოცემულ პერიოდში მცხოვრები თაობების მოკვდაობის დონეს.

**ცხრილები** მოსახლეობის ჯანმრთელობის შეფასებისა – მოწესრიგებულ მაჩვენებელთა თანმიმდევრობა, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვალებადობას ასაკთან ერთად, მისი შესაბამისი ჯანმრთელობის ჯგუფებად განაწილების საფუძველზე, მოსახლეობის ავადობის შესწავლის შედეგად.

**ცხრილები** მულტისტატუსური – დემოგრაფიული ცხრილების ზოგადი ფორმა, რომელიც იხილავს ორი ან მეტი მოსახლეობის ჯგუფის ურთიერთქმედებას, რომლებიც ეკუთვნიან ერთ ან რამდენიმე კოჰორტას, მაგრამ განცალკევებული არიან რომელიმე დემოგრაფიულ მდგომარეობასთან (სტატუსთან) კუთვნილების მიხედვით. მაგ., ვისაც ჰყავს და არა ჰყავს ბავშვები, დაქორწინებულები და დაუქორწინებლები, ჯანმრთელები და

ავადმყოფები და სხვა.

მულტისტატუსური მიდგომა გამოსადეგია პრაქტიკულად ყველა დემოგრაფიული პროცესის მიმართ, თუმცა ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ქორწინებისა და განქორწინების ანალიზისას.

**ცხრილები** მოდელური (ტიპური) შრომითი ცხოვრების ხანგრძლივობისა – კომბინირებული ცხრილები, რომლებიც წარმოადგენენ ჰიპოთეზური თაობის ორი ცვლადის – დემოგრაფიულის (მოკვდაობის დონე) და ეკონომიკურის (ეკონომიკური აქტივობის ასაკობრივი დონეები) ემპირიული ურთიერთკავშირების განზოგადების შედეგს. ისინი არიან მოკვდაობის ტიპური ცხრილებისა და თაობის შრომითი პოტენციალის აღწარმოების მაჩვენებელთა კომბინაცია. ც.მ.(ტ).შ.ც.ხ. გამოიყენება ეკონომიკურ-დემოგრაფიულ მოდელირებასა და თაობის შრომითი პოტენციალის პროგნოზირებისას.

**ცხრილები** ქორწინებისა – მაჩვენებელთა მოწესრიგებული თანმიმდევრობა, რომელიც ახასიათებს დროში ადამიანთა რომელიმე ერთობლიობის დაქორწინებას. ც.ქ წარმოადგენენ რეალური ან ჰიპოთეზური კოჰორტის ქორწინების პროცესის რიცხვით მოდელს, რომელიც ასახავს ამ პროცესს ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების სისტემის სახით. ც.ქ აღწერენ ქორწინების პროცესს მოსახლეობის ჩამოყალიბებული ასაკობრივი სტრუქტურისაგან დამოუკიდებლად და საშუალებას იძლევიან შედარებულ იქნას სხვადასხვა მოსახლეობაში ქორწინების პროცესის ინტენსივობა, გაანალიზებულ იქნას მისი შიგა კანონზომიერებანი.

ზოგად ც.ქ-ში განიხილება ქორწინება, მოსახლეობის ქორწინებითი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად. სპეციალური ც.ქ აიგება მხოლოდ ქორწინებაში არასდროს მყოფებისათვის. წმინდა ც.ქ-ში განიხილება მხოლოდ ქორწინების გავლენა, ხოლო კომბინირებულ ც.ქ-ში – ქორწინება და მოკვდაობა. ც.ქ. აგრეთვე შეიძლება იყოს სრული და მოკლე, რაც დამოკიდებულია ასაკობრივი ინტერვალის დონეზე.

ჩვეულებრივ ც.ქ აიგებიან ასაკის სკალის მიხედვით, ხოლო ც.ქ ხელახალი ქორწინებისათვის – აგრეთვე განქორწინების ან დაქვრივების შემდეგ ინტერვალის ხანგრძლივობის სკალის მიხედვით. ც.ქ აიგებიან ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის, მაგრამ ერთი და იგივე მოსახლეობისათვის აგებული ისინი არ არიან ერთიანი, არამედ მხოლოდ ავსებენ ერთმანეთს. როგორც წესი, დაქორწინებულების რაოდენობა ც.ქ მამრობითი არ ემთხვევა დაქორწინებულთა რაოდენობას მდედრობითი ც.ქ-ს. ც.ქ დიფერენციაცია შეიძლება წარმოებდეს საქორწინო პარტნიორთა დემოგრაფიული ან ნებისმიერი სოციალური ნიშნის მიხედვით.

ც.ქ. აგების პირველი მცდელობა ეკუთვნის ი. მიურეს 1764 წელს.

**ცხრილები** ქორწინების პროდუქტიულობისა – შობადობის ცხრილები (იხ. ცხრილები შობადობისა) გაანგარიშებული დაქორწინებული





ქალებისათვის, რომლებიც ახასიათებენ შობადობას ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით.

**ცხრილები** ქორწინების შეწყვეტისა – მაჩვენებელთა მოწესრიგებული თანმიმდევრობა, რომელიც ახასიათებს რომელიმე ერთობლიობაში მეულლის სიკვდილის ან ქორწინების გაუქმების შედეგად ქორწინებების დროთა განმავლობაში შეწყვეტას. ც.ქ.შ. ძირითადი დანიშნულებაა – ქორწინების შეწყვეტის პროცესის ანალიზი და მასზე განქორწინებისა და დაქვრივების შედარებითი გავლენის გარკვევა საქორწინო კოჰორტისა და მოსახლეობის სხვა თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად, აგრეთვე მათი გამოყენება ოჯახებისა და მოსახლეობის ოჯახური სტრუქტურის პროგნოზისათვის.

ც.ქ.შ. არის ორი სახის – ზოგადი და სპეციალური ზოგადი ც.ქ.შ. აიგება სხვადასხვა ასაკის შეხამებით. ც.ქ.შ. აგებისათვის საჭიროა ცნობები მამაკაცებისა და ქალების მოკვდაობის შესახებ ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით და ანალოგიური მონაცემები განქორწინების შესახებ, ხოლო სპეციალური ცხრილებისათვის – ერთიც და მეორეც დაქორწინებულ ქალ-ვაჟის ასაკის შეხამებით.

ც.ქ.შ. აგების პირველი ცდები XVIII ს. მეორე ნახევარში განხორციელდა.

**ცხრილები** ქორწინების ხანგრძლივობისა – იხ. ცხრილები ქორწინების შეწყვეტისა.

**ცხრილები** შობადობისა – მაჩვენებელთა მოწესრიგებული რიგი, რომელიც აჩვენებს ქალების რომელიმე ერთობლიობაში ბავშვთა შობის პროცესის სიხშირესა და სხვა მახასიათებლების დროში ცვლილებას. ც.შ. წარმოადგენენ რეალური ან ჰიპოთეზური კოჰორტის შობადობის რიცხვით მოდელს. ც.შ. შესაძლებლობას იძლევიან: სრულად იქნას აღწერილი შობადობის პროცესი ჩამოყალიბებული დემოგრაფიული სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად, უშუალოდ იქნას შედარებული როგორც სხვადასხვა მოსახლეობის შობადობა, ასევე ერთი და იგივე მოსახლეობაში შობადობის დონის დინამიკა, შესწავლილ იქნას შობადობის პროცესის შინაგანი კანონზომიერებები და გამოვლენილ იქნას მისი დამახასიათებელი თავისებურებები, მოყვანილი მონაცემები გამოყენებულ იქნას მოსახლეობის პერსპექტიული გაანგარიშებისათვის.

ზოგადი ც.შ. აიგებიან დაბადების რიგითობის გაუთვალისწინებლად. მათში მაჩვენებლების ნაწილი ახასიათებს შობადობის დონეს სხვა დემოგრაფიული პროცესებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო ნაწილი – მოკვდაობის გათვალისწინებით. სპეციალური ც.შ. აიგებიან დაბადების რიგითობის გათვალისწინებით. ისინი ახასიათებენ შობადობას დაბადებული ბავშვების რაოდენობის მხედველობაში მიღებით. სპეციალური ც.შ. შეიძლება იყოს ორი სახის: როდესაც სკალად აღებულია ასაკი და როდესაც სკალად აღებულია წინა დაბადებიდან გასული ინტერვალი.

როგორც ზოგადი, ისევე სპეციალური ც.შ. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ყველა ქალისათვის ან მხოლოდ დაქორწინებული ქალებისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში აგებული ცხრილები ცნობილია ქორწინების პროდუქტიულობის ცხრილების სახელით.

ზოგადი ც.შ. ყველა ქალისათვის აგების ძირითადი იდეები შემოთავაზებულ იქნა 1884 წელს რ. ბეკის მიერ, ხოლო დაქორწინებული ქალებისათვის – 1932 წელს კ. ჯინის მიერ.

**ცხრილი ულპიანესი** – მოკვდაობის ცხრილებიდან ჩვენამდე მოღწეული უძველესი ცხრილი. ატარებს მისი შემდგენელის, ცნობილი რომაელი იურისტის დომიციუს ულპიანეს (დაახლოებით 170-228 წ.) სახელს. ც.უ-ს მიზანს შეადგენდა წლების იმ რაოდენობის განსაზღვრა, რომლის განმავლობაში სხვადასხვა ასაკის ადამიანებს უნდა გადაეხადათ მუდმივი რენტა.

**ცხრილი ფლორენციული** – მოკვდაობის ერთადერთი ცხრილი, რომელიც შუა საუკუნეების პერიოდს ეკუთვნის. აღმოჩენილია ფლორენციის არქიეპისკოპოსის კურიის არქივში და დათარიღებულია 1526 წლის 16 მაისით. ც.ფ-ის შინაარსი თითქმის სრულად ემთხვევა ულპიანეს ცხრილის შინაარსს.

## ძ

**ძველი მცხოვრებნი** – ადამიანები, რომლებიც დიდხანს ცხოვრობენ ერთ რომელიმე ადგილზე ან მკვიდრი მოსახლეები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის მანძილზე არ წასულან მშობლიური ადგილიდან.

**ძირი (ფესვი) დემოგრაფიული ცხრილისა** – პირობითი სიდიდე, რომელიც მიღებულია დემოგრაფიული ცხრილების ზოგიერთი მაჩვენებლის გაანგარიშების მასშტაბად. ჩვეულებრივ მას იღებენ 10 ათასის ან 100 ათასის ტოლად; სხვა სიდიდე უფრო იშვიათად გამოიყენება. ძ(ფ.)დ.ც. არჩევისას ვარაუდობენ, რომ დემოგრაფიული ცხრილის მაჩვენებლების სიზუსტე იგივე რიგისაა, რაც უკუ სიდიდე ძ(ფ.)დ.ც. მაგ., თუ დემოგრაფიული ცხრილის მაჩვენებლის საწყისი სიზუსტე შეადგენს 0.0001, მაშინ ძ(ფ.) დ.ც. სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 10 ათასს.

**ძმა** – ერთი დედ-მამის (ან ერთ-ერთი მათგანის) ვაჟიშვილი სხვა შვილების მიმართ.





**ძმისწული** – ძმის შვილი.

**ძუძუთა ბავშვი** – ბავშვი დაბადების მომენტიდან სიცოცხლის პირველი წლის ბოლომდე. ძ.ბ. იგივეა რაც ჩვილი ბავშვი.

## წ

**წარმოდგენა ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ** – ადამიანის შინაგანი განცდა, რომელიც რეპროდუქციული ქცევის საკითხში აფართოებს მისი ცნობიერების ჰორიზონტს. წ.ო.ბ.რ.შ. წარმოსახვითი ხასიათისაა და მასში მოცემულია ახლის განცდა, რომელიც ამასთანავე ეხება მის შესაძლებელ რეპროდუქციულ მომავალს.

წ.ო.ბ.რ.შ-ის აღმოცენება და ჩამოყალიბება დამოკიდებულია ინდივიდუალურ თავისებურებებსა და გარემო პირობებზე. მისი პირველადი აღმოცენების ასაკად, ცალკეულ შემთხვევაში, 5 წელზე ნაკლებიც კი იყო დაფიქსირებული. წ.ო.ბ.რ.შ. ფორმირების პროცესი 10-12 წლის ასაკამდე ნელა მიმდინარეობს და ამ პერიოდში ძირითადად ფუნქციურ ტენდენციასთანაა დაკავშირებული. შემდგომში წ.ო.ბ.რ.შ. ჩამოყალიბების პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. მისი ფორმირება ურთიერთკავშირშია სოციალიზაციასთან. აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი თვალსაზრისით (დასახელებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით) წ.ო.ბ.რ.შ-ს სტაბილური ხასიათი უკვე დაბალ ასაკშივე აქვს.

## ჭ

**ჭარბი მოსახლეობა** – იხ. გადამეტმოსახლეობა.

**ჭარბმოკვდაობა მამაკაცთა** – იხ. ზემოკვდაობა (ჭარბმოკვდაობა) მამაკაცთა.

## ხ

**ხაზი ასაკისა** – ხაზი დემოგრაფიულ ბადეზე (იხ. დემოგრაფიული ბადე), რომელიც აერთიანებს გარკვეულ დემოგრაფიულ მდგომარეობაში ყოფნის ხანგრძლივობის ამა თუ იმ მნიშვნელობათა მიღწევის მომენტებს. მაგ., ასაკის ერთნაირი მნიშვნელობა; ქორწინების ხანგრძლივობა მისი შეწყვეტის მომენტში; წლების რაოდენობა, რომელიც გავიდა პირველი და მეორე ბავშვის დაბადებას შორის და ა.შ. ხ.ა. წარმოადგენს ჰორიზონტალს, რომელიც იწყება ორდინატთა ღერძზე

წერტილში, რომელიც შეესაბამება ასაკის ან მდგომარეობის ხანგრძლივობის ამა თუ იმ მნიშვნელობას. ადამიანები, რომელთა სიცოცხლის ხაზს (იხ. ხაზი სიცოცხლისა) კვეთს ერთი და იგივე ხ.ა. არიან ტოლები (იხ. ტოლები).

**ხაზი დემოგრაფიული მდგომარეობის** xangrZlivobisa **–** იხ. ხაზი ასაკისა.

**ხაზი ნათესაობისა –** ნათესავთა თანმიმდევრობა, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან წარმოშობით. ჩვეულებრივ ანსხვავებენ პირდაპირ და გვერდით ხ.ნ., აღმავალ და დაღმავალ ხ.ნ. (იხ. ნათესაობა).

**ხაზი სიცოცხლისა –** ხაზი დემოგრაფიულ ბადეზე (იხ. დემოგრაფიული ბადე), რომელიც გამოსახავს ადამიანის სიცოცხლეს კალენდარული დროის კოორდინატებსა და კოჰორტის საკუთარ დროში. მოკვდაობის შესწავლისას ადამიანის სიცოცხლეს გამოსახავს დროისა და ასაკის კოორდინატებში, ხოლო სხვა დემოგრაფიული პროცესების შესწავლისას – ადამიანის ყოფნას ამა თუ იმ დემოგრაფიულ მდგომარეობაში დროისა და მდგომარეობის ხანგრძლივობის კოორდინატებში. ხ.ს-ზე წერტილებით შეიძლება იყოს აღნიშნული ადამიანის სიცოცხლეში მომხდარი სხვადასხვა დემოგრაფიული შემთხვევა – დაქორწინება, ბავშვის დაბადება, ქორწინების შეწყვეტა, გარდაცვალება. ამ წერტილების აბსცისები შეესაბამება ამა თუ იმ დემოგრაფიული შემთხვევის თარიღს, ხოლო ორდინატები – იმ ასაკს ან დემოგრაფიული მდგომარეობის ხანგრძლივობას, რომელშიც მოხდა ესა თუ ის შემთხვევა. ადამიანის ხ.ს. მთავრდება გარდაცვალების წერტილით, რომლის აბსცისა შეესაბამება მისი გარდაცვალების თარიღს, ხოლო ორდინატა – გარდაცვალების ზუსტ ასაკს, ე.ი. ხ.ს. შესაძლებლობას იძლევა ამა თუ იმ დემოგრაფიული შემთხვევის ორი კოორდინატით განისაზღვროს მისი მესამე კოორდინატი. მაგ., ადამიანის დაბადების თარიღისა და მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ზუსტი ასაკი, რომელშიც გარდაიცვალა ადამიანი. ანალიზისას საქმე აქვთ ხ.ს. ერთობლიობებთან, რომლებიც თაობას მიეკუთვნება.

**ხალხთა დიდი გადასახლება –** ამ სახელწოდებაში იგულისხმება გერმანული, სლავური, სარმატული და სხვა ტომების მასობრივი შეჭრა რომის იმპერიის ტერიტორიაზე IV-VII სს-ში, რამაც დააჩქარა რომის იმპერიის დამხობა და მის ტერიტორიაზე მონათმფლობელური წყობილების ფეოდალურით შეცვლა.

ხ.დ.გ-ის უკანასკნელ მიგრაციულ ტალღებად ზოგჯერ მიიჩნევენ





დაპყრობებს VII-XI სს-ში, ნორმანთა ლაშქრობებს VIII-XI სს-ში და უნგრელების ჩასახლებას პანონიაში (IX ს.ბოლო).

**ხალხი –** ადამიანთა ისტორიულ-სოციალური ერთობა სხვადასხვა დონეზე: 1) ადამიანთა ეთნიკური ერთობა (ტომი, ეროვნება); 2) ფართო გაგებით – ამა თუ იმ ქვეყნის მთელი მოსახლეობა; 3) ვიწრო მნიშვნელობით – გარკვეული საზოგადოებრივი კლასების, სოციალური ჯგუფებისა და ფენების ერთობლიობა.

**ხამურაბის კანონები –** ბაბილონის კანონთა კრებული. შედგენილია ხამურაბის მეფობის ბოლო წლებში (დაახლოებით ძვ.წ. 1760წ.). ტექსტი ლურსმულია და წარწერილია ბაზალტის სტელაზე. ხ.კ. შედგება შესავლის, 282 მუხლისა და ბოლოთქმისაგან. 68 მუხლში განხილულია საოჯახო ურთიერთობები.

## ჯ

**ჯანმრთელობა –** ანსხვავებენ მოსახლეობის ჯ-ს და ადამიანის ჯ-ს. მოსახლეობის ჯ. წარმოადგენს საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან პირობასა და მაჩვენებელს. მოსახლეობის ჯ-ის მდგომარეობაზე მსჯელობენ დემოგრაფიული პროცესებიდან (შობადობა, მოკვდაობა, ჩვილთა მოკვდაობა), ადამიანის ფიზიკური განვითარების დონისა და ავადობიდან გამომდინარე. მოსახლეობის ჯ-ზე მოქმედებს სოციალურ-ჰიგიენური, ბუნებრივ-კლიმატური და სხვა ფაქტორები. ადამიანის ჯ-ის ცნება არ არის მკაცრად დეტერმინირებული, რაც განპირობებულია ადამიანის ჯ-ზე მოქმედი ფაქტორების მრავალფეროვნებით და ორგანიზმის ცხოველქმედების ძირითადი მაჩვენებლების ინდივიდუალურ რხევათა ფართო დიაპაზონით. პრაქტიკული და თეორიული მედიცინისათვის მნიშვნელობა აქვს იმ "ნორმების" განსაზღვრას, რომლებისგანაც გადახრა შეიძლება ჩაითვალოს ავადმყოფობად.

## ჰ

**ჰეტეროგამია –** იხ. ქორწინება ჰეტეროგამური.

**ჰიგიენა** – პროფილაქტიკური მედიცინის დარგი, რომელიც შეისწავლის გარემოს მრავალრიცხოვანი ფაქტორის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ჰ. კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც დაკავშირებულია მედიცინის ყველა დარგთან, აგრეთვე ბიოლოგიასთან, ქიმიასთან, სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებებთან და სხვა.

**ჰიგიენა სოციალური** – კომპლექსური მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის მედიცინის სოციალურ პრობლემებს, მოსახლეობისა და მისი ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენას საზოგადოების ჯანმრთელობაზე, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და გაკაჟების ღონისძიებებს.

**ჰი პერურბანიზაცია** – მოსახლეობის კონცენტრაცია უმსხვილეს ქალაქებსა და ურბანიზებულ რაიონებში. ტერმინი "ჰ." გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხმრავლობა და მსხვილი ქალაქის (ან აგლომერაციის) ფართობი იმდენად დიდია, რომ ვლინდება ურბანიზაციის ნეგატიური თვისებები.

**ჰომოგამია** — იხ. ქორწინება ჰომოგამური.



# ქართულ-ინგლისურ-რუსული ლექსიკონი

# GEORGIAN-ENGLISH-RUSSIAN DICTIONARY

# ГРУЗИНО-АНГЛО-РУССКИЙ СЛОВАРЬ

# ა

**აბორიგენები**
Aborigines
Аборигены

**აბორტი**
Abortion
Аборт

**აგლომერაცია**
Agglomeration
Агломерация

**ადამიანი**
Human being
Человек

**ადამიანის გენეტიკა**
Human genetics
Генетика человека

**ადაპტაცია**
Adaptation
Адаптация

**აზრის კვლევა**
Opinion survey
Обследование мнений

**აკლიმატიზაცია**
Acclimatization
Акклиматизация

**ალიმენტი**
Alimony
Алименты

**ამენორეა**
Amenorrhea
Аменорея

**ამოწყდომის რიგითობა**
Abridged life table
Порядок вымирания

**ანამნეზური გამოკვლევა**
Anamnestic survey
Анамнестическое обследование



**ანთროპოგენეზი**
Anthropologenesis
Антропогенез

**ანთროპოგეოგრაფია**
Anthropogeography
Антропогеография

**ანთროპოლოგია**
Anthropology
Антропология

**ანთროპოსოციოლოგია**
Anthroposociology
Антропосоциология

**ანკეტა**
Questionnaire
Анкета

**ანკეტირება**
Questioning
Анкетный опрос

**არასრულწლოვანები**
Minors
Несовершеннолетные

**ასაკი ადამიანისა**
Age
Возраст человека

**ასაკი ზუსტი**
Exact age
Точный возраст

**ასაკი მედიანური**
Median age
Медианный возраст

**ასაკი მოდალური**
Modal age
Модальный возраст

**ასაკი რეპროდუქციისა**
Reproductive age
Репродуктивный возраст

**ასაკი სამუშაო**
Labour age
Рабочий возраст

**ასაკი სამუშაომდელი**
Pre-labour age
Дорабочий возраст

**ასაკი სამუშაოს შემდგომი**
Post-labour age
Послерабочий возраст

**ასაკი საპენსიო**
Pension age
Пенсионный возраст

**ასაკი საქორწინო მედიანური**
Median age at marriage
Медианный брачный возраст

**ასაკი საქორწინო მინიმალური**
Minimal age at marriage
Минимальный брачный возраст

**ასაკი საქორწინო მოდალური**
Modal age at marriage
Модальный брачный возраст

**ასაკი საშუალო**
Mean age
Средний возраст

**ასაკი საშუალო გარდაცვლილთა**
Mean age at death
Средний возраст умерших

**ასაკი საშუალო დედისა**
Mean age of mother
Средний возраст матери

**ასაკი საშუალო საქორწინო**
Mean age at marriage
Средний брачный возраст

**ასაკი საშუალო საქორწინო გაანგარიშებითი**
Computed mean age at marriage
Расчетный средний брачный возраст

**ასაკი ფერტილური**
Fertile age
Фертильный возраст

**ასაკი ქორწინებისა**
Marriage age
Брачный возраст



**ასაკი ქორწინებისა იდეალური**
Ideal marriage age
Идеальный брачный возраст

**ასაკის დამახინჯება**
Age errors
Искажение возраста

**ასაკის დამრგვალება**
Age heaping
Округление возраста

**ასაკის მიხედვით გარდაცვლილთა განაწილება**
Age-specific death rate
Распределение умерших по возрасту

**ასაკობრივი აკუმულაცია**
Age accumulation
Аккумуляция возрастная

**ასაკობრივი დაჯგუფება**
Age grouping
Возрастная группировка

**ასაკობრივი ინტერვალი**
Age interval
Интервал возраста

**ასაკობრივი კლასიფიკაცია**
Age classification
Классификация возраста

**ასაკობრივი კონტინგენტი**
Age contingent
Возрастной контингент

**ასაკობრივი პერიოდიზაცია**
Age periodization
Возрастная периодизация

**ასაკობრივი პირამიდა**
Age pyramid
Возрастная пирамида

**ასაკობრივი სკალა**
Age scale
Шкала возраста

**ასაკობრივი ჯგუფი**
Age group
Возрастная группа

**ასიმილაცია**
Assimilation
Ассимиляция

**აქსელერაცია (აქცელერაცია)**
Acceleration
Акселерация (Акцелерация)

**აქტუარი**
Actuary
Актуарий

**აღმწერი**
Enumerator
Счетчик

**აღრიცხვა**
Registration
Учет

**აღწერა სტატისტიკაში**
Census statistics
Перепись в статистике

**ახალგაზრდობა**
Youth
Молодежь

**ახალდაბადებულები (ახალშობილები)**
Newborns
Новорожденные

**ახალმოსახლეები**
New-settlers
Новоселы

**ახალმოსახლეთა შეგუება**
Adaptation of new-settlers
Приживаемость новоселов

## ბ

**ბაბუა**
Grandfather
Дед

**ბავშვები**
Children
Дети



**ბავშვები ქორწინებაში დაბადებული**
Legitimate children
Дети рожденные в браке

